წიგნი სამშობლოსათვის მარადისობაში ავტორი მარინა ნაჭყებია, აფხაზეთის ომი 1992-93 წელი, მკვლევარი

შარტავა ჟიული

უბედურია ქვეყანა, რომელსაც გმირები არა ჰყავს, არსებობს მრავაათასწლოვან ისტორიაში საქართველო ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც გამუდმებით ითხოვდა გმირებს. ხოდა ასე იბადებოდნენ და ეწირებოდნენ ჭეშმარიტი გმირები თავიანთი ქვეყნის დაცვას, თავიანთი სამშობლოს სიყვარულს.

სწორედ ქეჯი ერისთავის ტოლფასი გმირობა ჩაიდინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჟიული შარტავამ , რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო სოხუმის დატოვებისა და აცხადებდა: მე სანამ სული მიდგას, სოხუმს ვერ დავტოვებ, ვინაიდან ის ამ მძიმე განსაცდელის ჟამს ქართველმა ხალხმა ჩამაბარა“.

სიკვდილის საფრთახე არაფრად ჩააგდო, ვინაიდან სიცოცხლე სამშობლოს ეჩხირებოდა. დახვრეტიდან სულ რამდენიმე წუთით ადრე მტრისა და მოყვასის გასაგონად აცხადებდა: **“здесь обьязательно будуть жить грузины и абхазы вместе“.**

ჟიული შარტავამ თავისი რაინდული სიკვდილით კიდევ ერთი სასახელო ფურცლით გაამდიდრა ჩვენი ხალხის გმირული ისტორიის მატიანე და მომავალ თაობებს სამშობლოსათვის თავგანწირვის მაგალითი მისცა.

ჟიული აფხაზეთისათვის მოკვდა, მაგრამ მან თავისი სიკვდილით სიკვდილი დაამარცხა, დაუმტკიცა მტერს, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რომ შეუძლებელია ქართველის დამარცხება, რომელიც თავის მიწა-წყალს იცავს.

ის ვაჟკაცურად შეეგება მტერს, ამაყად გაყვა ჯალათებს თავისი დაცვით, მუდამ საამაყო, მისაბაძ მაგალითად დარჩება შარტავა და ყველა ის ვინც სამშობლოსათვის თავდადებულის სიკვდილით აღესრულა: გურამ გაბისკირია, ჯუმბერ ბეთაშვილი, მამია ალასანია . . .

“ვინც სახელოვნად მოკვდება, სახელი დარჩეს ქებული,
ნაძრახ სიცოცხლეს ისა სჯობს, საფლავსა იყოს დებული“.

სულხან-საბა ორბელიანი.

ჟიული შარტავას ხსოვნას

არც ბრძოლის ცეცხლში ჩამწვარხარ,
არც მიგიკარა ტყვიამა,
სულებმა წინაპრებისამ,
შემოგცინეს და გეამა.
შეუდრეკელო ვაჟკაცო,
არც შიშით მოდექ - მოდექი,
იწვოდა მთელი სოხუმი,
შენ კი უკვდავად იდექი!

ეთერ აფაქიძე
2011 წლის სექტემბერი.

მამია ალასანია

1943 წლის 6 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში, გიორგობის დღეს დაიბადა მამია ალასანია. იმავე წელს ალასანიების ოჯახი ზუგდიდში გადასახლდა. მამია ალასანიამ 1961 წელს ზუგდიდის N1 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა.
მან სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ისევ ზუგდიდში დაბრუნდა. იგი ექვსი თვის განმავლობაში მუშაობდა ზუგდიდის ენგურჰესალდკომბინატში ინჟინრად, ვიდრე არ გაემგზავრა მოსკოვში 1967 წელს, რათა მოსკოვის უმაღლესი სკოლის სტუდენტი გამხდარიყო. 1970 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, მამია ალასანია მუშაობას შეუდგა ბათუმში აჭარის უშიშროების კომიტეტის სისტემაში. ბათუმში მუშაობის პერიოდში მამია ალასანია დაოჯახდა.
მამია ალასანია 1974 წლიდან სამუშაოდ თბილისში უშიშროების კომიტეტის ცენტრალურ აპარატში გადავიდა და სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა, მოგვიანებით კი სამხრეთ

ოსეთის ავტონომიური ოლქის უშიშროების კომიტეტის უფროსი გახდა.
1980-81 წლებში ორჯერ, 6 და 9 თვით, ოპერატიული დავალებით მივლინებულ იქნა ავღანეთში.
საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ხდება ეროვნული უშიშროების სამსახურის ჩამოყალიბება საინფორმაციო სადაზღვერვო ბიუროდ, რომლის შექმნისთანავე მამია ალასანია ბიუროს უფროსის მოადგილედ დაინიშნა. 1992-93 წლებში იგი სპეციალური დავალებით, კონკრეტულად კი სამოქალაქო დაპირისპირების აღმოფხვრის მიზნით, გაგზავნეს სამეგრელოს რეგიონში.
შემდეგ იყო ომი აფხაზეთში. მამია ალასანია ამ ომში გმირულად იბრძოდა და გმირულად შესწირა საკუთარი სიცოცხლე ქვეყნის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. 1993 წლის 27 სექტემბერს, ქალაქ სოხუმში სეპარატისტებმა საქართველოს უშიშროების პოლკოვნიკი ორმოცდაათი წლის მამია ალასანია მოკლეს.
საქართველოს გმირის მამია ალასანიას საფლავი დღემდე უცნობია. მაგრამ, ცნობილია ერთი რამ – საქართველოს ჰყავდა ერთგული შვილი, რომელიც ქვეყნისთვის უმძიმეს წუთებში იმყოფებოდა იქ, სადაც უნდა ყოფილიყო მამია ალასანიასდარი პიროვნება.

რუსეთმა სამგზავრო თვითმფრინავების ჩამოყრა სოხუმთან დაიწყო

მალაიზიური "ბოინგი" პირველი სამგზავრო თვითმფრინავი არ არის, რომელიც საბრძოლო მოქმედების ზონაში საზენიტო რაკეტით ჩამოაგდეს.
23 წლით ადრე, 1993 წლის სექტემბრის ბოლოს, აფხაზმა სეპარატისტებმა რუსული საზენიტო საშუალებებით სოხუმთან ორი ქართული სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს, სამი კი ბაბუშერის აეროპორტში საარტილერიო ცეცხლით გაანადგურეს.
ამ სტატიის ავტორი უკვე ალყაშემორტყმულ სოხუმში 1993 წლის 19 სექტემბერს ჩაფრინდა და აფხაზი სეპარატისტებისა და რუსი სამხედროების ორგანიზებული საჰაერო ტერორიზმის ფაქტების თვითმხილველი გახდა.
ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 1993 წლის 20-დან 28 სექტემბრის ჩათვლით აფხაზმა სეპარატისტებმა და რუსმა სამხედროებმა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხუთი სამგზავრო თვითმფრინავი გაანადგურეს, მათგან ორი - ჰაერში.
20 სექტემბერს აფხაზებმა ბაბუშერის სამოქალაქო აეროპორტს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც დაიწვა ავიაკომპანია "ორბის" კუთვნილი NE-134F ტიპის სამგზავრო თვითმფრინავი, თუმცა იმის გამო, რომ უკვე ჩამოწერილი იყო და მასში არავინ იჯდა, მსხვერპლი არ ყოფილა.
21 სექტემბერს საჰაერო ტერორიზმის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი ფაქტი მოხდა - ავიაკომპანია "ტრანსაირ ჯორჯიას" კუთვნილი NE-134F ტიპის სამგზავრო თვითმფრინავი სოჭიდან ბაბუშერის აეროპორტში ბრუნდებოდა. აეროპორტთან დაშვებისას, დაახლოებით 300 მ სიმაღლეზე, სამგზავრო თვითმფრინავს ძრავაში მოხვდა სითბური დამიზნების "სტრელას" საზენიტო რაკეტა, რომელიც ზღვაში მოდრეიფე კატარღიდან აფხაზმა თორიმ აჩბამ გაუშვა. დაზიანებული თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა და მის ბორტზე მყოფი ეკიპაჟის 6 წევრი და 21 მგზავრი დაიღუპა.
დღესაც მახსოვს - ცხედრები ზღვაში ტივტივებდა, ყველა სოხუმელი თავის ნაცნობს ეძებდა (დაღუპულთა შორის ჟურნალისტებიც იყვნენ)...
მეორე დღეს, 22 სექტემბერს, თურმე უფრო დიდი ტრაგედია გველოდა - "ტრანსაირ ჯორჯიას" კუთვნილ NE-154< ტიპის სამგზავრო თვითმფრინავს, რომელსაც თბილისიდან სოხუმში დასახმარებლად 120 მგზავრი (მათ შორის მაშინდელი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მებრძოლები) მოჰყავდა, ისევ ბაბუშერის აეროპორტში დაჯდომის წინ ზღვაში მოდრეიფე კატარღიდან საზენიტო რაკეტა ესროლეს და ძრავაში მოარტყეს. პილოტებმა შეძლეს თვითმფრინავის დასაფრენ ზოლამდე მიყვანა, მაგრამ უხეში დაჯდომის შედეგად თვითმფრინავმა დაშლა დაიწყო და ხანძარი გაუჩნდა. ლაინერის ავზები საავიაციო ნავთით თბილისში ბოლომდე აავსეს, რომ სოხუმიდან უკან გამოსაფრენადაც საკმარისი ყოფილიყო და

ხანძრის მძლავრი კერების გაჩენას საწვავის დიდმა მარაგმაც შეუწყო ხელი. ამ ტრაგედიის შედეგად ლაინერის ეკიპაჟის 8 წევრი და 100 მგზავრი დაიღუპა.
23 ოქტომბერს ბაბუშერის აეროდრომიდან დევნილების გამოსაყვანად ემზადებოდა "ტრანსაირის" NE-134 და აფხაზებმა აეროპორტის ტერიტორია "გრადიდან" სწორედ ამ დროს დაბომბეს. თვითმფრინავს რაკეტის ნამსხვრევები მოხვდა და ცეცხლი გაუჩნდა. ეკიპაჟმა ცეცხლმოდებული თვითმფრინავიდან 24 მგზავრის გამოყვანა მოახერხა. გავრცელებული ინფორმაციით, ეკიპაჟის ერთი წევრი დაიღუპა.

ლევან ანზორის ძე აბესაძე

დაიბადა 1973 წლის 29 ოქტომბერს თბილისში. მსახურობდა ვაზიანის სატანკო ნაწილში. იბრძოდა აფხაზეთში ოჩამჩირესთან.

დაიღუპა 1992 წლის 29 დეკემბერს

კახა ახობაძე

კახა ახობაძე დაიბადა 1972 წლის 18 ივლისს ქალაქ თბილისში. თავისი ჯანმრთელობის გამო სამხედრო გაწვევას არ ექვემდებარებოდა. მაგრამ, მან მტკიცედ გამოაცხადა „მე სამშობლოს ვჭირდები და უნდა წავიდე“. კახას ძმაც წავიდა აფხაზეთში საომრად. ძმებმა იქ მოძებნეს ერთმანეთი და ერთად იცავდნენ სამშობლოს.

კახა ახობაძე აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა რიგებში, – ჯერ სახალხო ლაშქარ „ბაგრატიონის“, ხოლო აღნიშნული ლაშქრის საქართველოს თავდაცვის მეორე საარმიო კორპუსის 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მე-8 ბატალიონთან შეერთების შემდეგ, აღნიშნული ბატალიონის მე-2 (ბაგრატიონის სახელობის) ასეულის შემადგენლობაში. 1993 წლის 15 იანვარს აღნიშნული ასეული, ბრიგადის ხელმძღვანელობის დავალებით იცავდა პოზიციებს ოჩამჩირის რაიონის სოფელი კვიტოულთან. დილიდანვე მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან მოუხდა ბრძოლაში ჩართვა. იგი მამაცურად უტევდა მოწინააღმდეგეს. ამ ბრძოლაში კახა ახობაძე გმირულად დაიღუპა მიყენებული ჭრილობებისაგან. იგი დაკრძალულია საგარეჯოს რაიონის სოფელი წყაროსთავში და დაჯილდოვდა სიკვდილის შემდეგ მედლით „მხედრული მამაცობისათვის

ნური აფრასიძე

დაიბადა 1954 წლის 8 ივნისს გულრიფშის რაიონის სოფელ საკენში.
1961-1971 წლებში სწავლობდა გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის სკოლა-ინტერნატში.
1971-1973 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქ. სუდაკში.
შემდეგ მუშაობდა ბიჭვინთაში მშენებლობაზე.
1989 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. სოხუმში ავტობუსის მძღოლად.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 26 სექტემბერს, ქ. სოხუმთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ენვერ მიხეილის ძე ავალიანი



დაიბადა 1949 წლის 10 ივლისს გულრიფშის რაიონ სოფელ საკენში. 1967 წელს დაამთავრა დრანდის საშუალო სკოლა-ინტერნატი. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით და სიბეჯითით.

სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. დაამთავრა ტექნიკური ტექნოლოგიის სპეციალობა. მუშაობდა შორეულ ზღვაოსნობაში.

ქართუაფხაზური ომის დაწყების დღიდან ჩადგა ქვეყნის სამსახურში. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მე-2 ბატალიონის მე-3 ასეულში მსროლელად 1992 წლის 23 სექტემბერს. ამავე წლის 1 ნოემბერს დაინიშნა 23-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონის ნაღმმტყორცნი ბატარეის ყუმბარმტყორცნელი ათეულის მეთაურად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მე-2 ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში და თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და თავდადებულმა მეომარმა.

1993 წლის 1 იანვარს მდინარე გუმისთის მისადგომებთან გმირულად დაიღუპა.

ნუგზარ ავალიანი

დაიბადა 1952 წელს, გულრიფშის რაიონ სოფელ საკენში. საშუალო სკოლა დაამთავრა დრანდის სკოლა-ინტერნატში.

ქართულ-აფხაზური ომის დროს აიღო იარაღი და დადგა ქვეყნის სადარაჯოზე. 1993 წელს გმირულად დაიღუპა მტერთან ბრძოლაში.



ენვერ მიხეილის ძე ავალიანი

დაიბადა 1949 წლის 10 ივლისს გულრიფშის რაიონ სოფელ საკენში. 1967 წელს დაამთავრა დრანდის საშუალო სკოლა-ინტერნატი. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით და სიბეჯითით.

სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. დაამთავრა ტექნიკური ტექნოლოგიის სპეციალობა. მუშაობდა შორეულ ზღვაოსნობაში.

ქართუაფხაზური ომის დაწყების დღიდან ჩადგა ქვეყნის სამსახურში. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მე-2 ბატალიონის მე-3 ასეულში მსროლელად 1992 წლის 23 სექტემბერს. ამავე წლის 1 ნოემბერს დაინიშნა 23-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონის ნაღმმტყორცნი ბატარეის ყუმბარმტყორცნელი ათეულის მეთაურად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მე-2 ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში და თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და თავდადებულმა მეომარმა.

1993 წლის 1 იანვარს მდინარე გუმისთის მისადგომებთან გმირულად დაიღუპა.

საული (ზური) ადეიშვილი

საული (ზური) ალექსანდრეს-ძე ადეიშვილი, დაიბადა 1955 წლის 12 აპრილს, სოხუმის რაიონის სოფელ ახალშენში. დაამთავრა სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი. გავლილი აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური. ჯარის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოხუმის მარმარილოს წიაღისეულის გადამამუშავებელ საამქროში-მძღოლად. მიღებული

აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი, ყავს მეუღლე და ორი შვილი.1992 წლის 14 აგვისტოდან სათავეში ჩაუდგა ახალშენის ახალგაზრდა მებრძოლებს. ჩარიცხული იქნა მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-8 ბატალიონის ზ/რიგითად.1992 წლის 2 ნოემბერს დღის 9 საათზე შტაბის უფროსს მოახსენა, რომ შუბარა-ახალშენის მიმართულებით იჭრებოდა სოხუმის მისადგომებისკენ შემოვლითი გზა (რისი ნახვაც მხოლოდ იქ გაზრდილ ადამიანს შეეძლო) შტაბში ამ მოხსენებას დეზინფორმაცია უწოდეს და პოზიციებზე დაბრუნება უბრძანეს.ამ შემთხვევიდან, რამოდენიმე საათის შემდეგ ***<u>1992 წლის 3 ნოემბრის გამთენიისას, დილის 5 საათისთვის,</u>*** სწორედ მოხსენებაში მითითებული შემოვლითი გზით (რომელსაც დეზინფორმაცია უწოდეს), შემოსულ მტერთან (*ეს იყო ჩეჩენთა 400 კაციანი ბატალიონი)* ბრძოლისას გმირულად დაეცა მისი მშობლიური სოფლის და მიწაწყლისთვის.

ლევან აბაშიძე

გიორგი ნადირაშვილი და ლევან აბაშიძე მეგობრები იყვნენ წავიდნენ სამშობლოს დასაცავად აფხაზეთში. დაიღუპნენ გმირის სიკვდილით 1992 7 სექტემბერს ეშერის ბრძოლაში. ნათელში იყვნენ მათი უკვდავი სულები.

ომარ არღვლიანი

საქართველოს რესპუბლიკის შეარიღებული ძალების სამხედრო ჯარების ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონი ,,მონადირის" მაიორი ომარ ილიას ძე არღვლიანი.

ომარ არღვლიანი 1992 წლის 14 აგვისტოდან იბრძოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში, სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში. მონაწილეობას იღებადა თითქმის ყველა საბრძოლო მოქმედებებში, გუმისტიდან ოჩამჩირის რაიონამდე. ყოველთვის ცხელ წერტილებისკენ უწევდა გული. ამ ბრძოლებში 6-ჯერ აქვს ჭრილობები მიღებული. გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ პოზიციებს უბრუნდებოდა.

თავდადებული ბრძოლებისათვის მიღებული აქვს „ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენი" და ,,ღირსების" მედალი.

1994 წლის 24 მარტს გმირულად დაიღუპა დალის ხეობაში, სოფელ ლათის შემოსასვლელში.

დაკრძალულია მესტიის რაიონის სოფელ ცხუმარში.

იური ანუა

იური (გიორგი) დიმიტრის ძე ანუა დაიბადა 1934 წლის 6 აგვისტოს ქ. ოჩაჩირეში. საშალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. სწავლა განაგრძო მოსკოვის სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტში. 1963 წლის 18 სექტემბერს, თბილისში, ყოვლადწმიდა სამების ეკლესიაში – იური ანუამ და ზოია ადამიამ ჯვარი დაიწერეს. ბატონი იური წლების განმავლობაში თაბამდებობებზე მუშაობდა. იგი საერთაშორისო მნიშვნელობის სამი პროექტის ავტორია. მისი მეუღლე განათლებით იურისტია. მათ შეეძინათ ქალიშვილი მანანა და ვაჟიშვილი მალხაზი. მანანამ დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ენდოკრინოლოგიის სპეციალობით, მალხაზმა კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიური ფაკულტეტი.

1980-იან წლებში ანუების ოჯახმა სოფელ კამანში სააგარაკე მიწა შეიძინეს, სადაც აგარაკი ააშენეს და ფაქტიურად იქ ცხოვრობდნენ.

1988-1990 წლებში იური ანუამ ამავე სოფელში არსებული ნგრევისპირას მისული, იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი, საკუთარი სახსრებით აღადგინა. 1990 წლის 25 ნოემბერს წმ. იოანე ოქროპირის სასწაულმოქმედი ქვის სარკოფაგი სოხუმის საკათედრო ტაძრიდან კომანის განახლებულ ეკლესიაში დააბრუნეს. ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სადღესასწაულო წირვა აღავლინა. მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ იური (გიორგი) ანუას გაწეული უდიდესი

ღვაწლისათვის, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო, წმ. გიორგის პირველი ხარისხის ორდენი გადასცა.

კომანის მთებში წმ. იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნის ადგილამდე მისვლის გასაადვილებლად იურიმ 1500 საფეხურიანი რკინის კიბე აღმართა. ყოველი 100 საფეხურის შემდეგ გაკეთებული იყო სკამი მომლოცველთა დასასვენებლად. მორწმუნენი ყოველი წლის 7 ივლისს ადიოდნენ ამ მთაზე. ადგილობრივი კომუნისტური პარტიის აქტივისტებმა წმიდა მოწამე ვასილისკოს სასწაულმოქმედ წყაროსთან საკალმახე მეურნეობის მოწყობა გადაწყვიტეს. გექტარამდე მიწა გათხარეს და უზარმაზარი რეზერვუარი ააშენეს. შემდეგ რატომღაც თევზის გაშენება არ მოხერხდა და წლების განმავლობაში ეს აუზი ბაყაყების და ქვეცარმავალის ბუდედ იქცა. იურიმ გაასუფთავა წმ. წყალი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ეს უზარმაზარი აუზი ისევე მიწით ამოავსო და იქაურობა გამწვანდა. წმ. წყაროს კოლოსალური სულიერი და სამკურნალო ძალა აქვს. იური (გიორგი) ანუას წმ. წყაროზე მცირე გაზილიკის ტიპის ეკლესიის აშენება ჰქონდა განზრახული. ასევე წმ. ილია წინასწარმეტყველისა და წმ. ვასილისკოს საფლავთან ტაძრების აღდგენა, ხოლო წმ. იოანე ნათლისმცემლის მთაზე სალოცავის გაკეთება სურდა. საუბედუროდ ყოველივე ამის გაკეთება არ დასცალდა.

1993 წლის 5 ივლისს დილის 5 საათზე, ზ/ეშერის მხრიდან, კამანზე შემოტევა განხორციელა გენერალ ლებედის საშტურმო-სადესანტო ბატალიონმა, მათ შეუერთდა ეშერის ბატალიონი, რომელიც ძირითადად ნარკოტიკებით გაბრუებული ახალგაზრდებისგან შედგებოდა. მტერს წინააღმდეგობას უწევდა ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი, კამანის ასეულის მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა ზაზა პაკელიანი. ამ ჯგუფმა სიცოცხლის ბოლომდე გმირულად იბრძოლა! მტერი კამანის დაპყრობის შემდეგ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიას მოედო. მათ ტაძრიდან გაიყვანეს მამა ანდრია და იური (გიორგი) ანუა. მონასტერში მყოფმა ანუას ოჯახმა მეორე დღეს შეიტყო, თუ როგორ დახვრიტეს მამა ანდრია, ხოლო იური (გიორგი) ანუას გარდაცვალება, რამოდენიმე თვის შემდეგ, მხოლოდ თბილისში იყო მათთვის ცნობილი.

ანდრიაძე კონსტანტინე

დაიბადა 1967 წლის 14 ივლისს ქ. რუსთავში.1973-1985 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 149-ე საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ელმავალმშენებელი ქარხნის პროფტექნიკუმში.1986 - 1988 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში მონღოლეთის რესპუბლიკაში ქ. მანგალდობაში, სადაც განლაგებული იყო სარადარო-სეისმური კვლევების ლაბორატორია.

სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნებისთანავე, აქტიურად ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში, სადაც მისი მისაბაძი უფროსი მეგობრები იყვნენ: ირაკლი შენგელია, ვახტანგ ხმალაძე, რეზო შავიშვილი, გუბაზ სანიკიძე, ალექსანდრე შალამბერიძე და მრავალი სხვა გამოჩენილი პოლიტიკოსი. იგი თვითონვე ხუმრობდა: “ბასტილისს დაცემის დღეს ვარ დაბადებული და თავისუფლების წყურვილი ჩემში უპირველესიაო“.

1989 წლის 9 აპრილს კონსტანტინე იყო ძალიან მოწამლულიდა დასჭირდა მკურნალობის კურსის გავლა.

1989 წელს ჩაირიცხა პუშკინის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტშიისტორიის ფაკულტეტზე. იმავე წლის 28 სექტემბერსპუშკინის ინსტიტუტის ფაკულტეტის სტუდენტებმა კახა ბროკიშვილმა, დათო ბეჟაშვილმა, კოტე ანდრიაძემ და ოთხმა სხვა სტუდენტმა მაშინ გამომავალ გაზეთ “ახალგაზრდა კომუნისტში“გამოაქვეყნეს წერილი, სადაც მოითხოვცვეს ინსტიტუტს გადარქმეოდა პუშკინის საზხელიუ და დარქმეოდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ბუნებით და აზროცვნებით პედაგოგის სულხან - საბა ორბელიანის სახელი და მიაღწიეს კიდეც.

1989 წლის ოქტომბერს ინსტიტუტმა დაიწყო არა პუშკინის არამედ სულხან-საბა ორბელიანის სახელობით.

კონსტანტინე იყო, 1992 წლის ოქტომბრის თვეში დანიშნული საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატი იყო, რაზედაც გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა, რომ არჩევნებში ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატობის კანდიდატი იყო 23 წლის კონსტანტინე ანდრიაძე, ყველაზე ხნიერი კი 83 წლის ებგენი ხარაძე. მაგრამ აიერია ქვეყანა და არასწორმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია ორ მოძმე ხალხს აფხაზებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი, რომელიც კარგად გამოიყენა რუსეთმა და კონფ;ლიქტი ომად აქცია. რომ არა გაგრაში რუსების მიერ შემოყვანილი “ტ-72“ ტანკები დღეს სხვა პიოლიტიკური და გეოგრაფიული სიტუაცია იქნებოდა. გაგრის ამბავმა გაურკვეველი დროით გადადო ქართველებისა და აფხაზების შერიგებისა და თანაცხოვრების შესაძლებლობა.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 2 ოქტომბერს გია ყარყარაშვილთან ერთად გაფრინდა სოხუმიდან გაგრაში, მოსახლეობის დასახმარებლად.

გაგრაში უამრავი ქართველი დაიღუპა, უამრავი უსამართლო ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მათ შირისაა კონსტანტინე ანდრიაძეც. იგი ებრძოდა არა აფხაზებს, არამედბ იცავდა საქართველოსმ ტერიტორიულ მთლიანობას, რომლის საშიშროებაც შექმნა და დროებით განახორციელა კიდეც რუსეთმა.

ქართველი გმირების ბრძოლები შეუფასებელია.

კონსტანტინე ანდრიაძე დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ასლანიკაშვილი ლერი

დაიბადა1961 წლის 17 მაისს ქალაქ თბილისში.1968-1978 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 143-ე საშუალო სკოლაში.1979 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1980-1982 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.1982 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა ადგილებში ელექტრიკოსად. იყო სახალხო ფრონტის აქტიური წევრი.

ეროვნული გვარდიის შექმნის შემდეგ, 1991 წლიდან, მსახურობდა 26-ე ბატალიონში ასმეთაურად, და ეროვნული გვარდიის კაპიტანი.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებისთანავე ჩადგა მებრძოლთა რიგებში. იცავდა სამაჩაბლოს “იმედის“ წევრებთან ერთად, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრიც იყო. 1992 წლის დასაწყისში იყო მარნეულის ბატალიონის ასმეთაური და ეროვნული გვარდიის კაპიტანი. აფხაზეთში იბრძოდა ომის პირველივე დღეებიდანვე.

“გმირს ბრძოლა შიობს! და ამ სიტყვებით ამხნევებდა ის თავის თანამებრძოლებს და ამით სიმამამცეს და სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა მათ.

ლევან ასლანიკაშვილი თანამებრძოლთა ხსოვნაში დარჩება, როგორც სპეტაკი და უშიშარი ვაჟკაცი. იმ საბედისწერრო დღეს - 1992 წლის 5 ოქტომბერს ქ. გაგრასთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

სამშობლოს დაცვისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვიუს დაჯილდოვებულია ვ. გორგასლის III ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ

არ შეიძლება საქაღთველომი დაივიწყოს ლერი ასლანიკაშვილი და მასავით გულანთებული ადამიანები, რომლებიც ჩვენს დღევანდელ და ხვალინდელ დღეს შეეწირნენ.

ბესიკ თამაზის ძე აბულაძე

დაიბადა 1971 წლის 25 აპრილს ქ. სოხუმში,. სწავლობდა ბესლეთღის N 2 საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1991 წელს გამოცდები ჩააბარა დონის - როსტოვის საინჟინრო ინსტიტუტში. იყო სპორტსმენი, აქვს ზიუდოში გამარჯვების სიგელი,. იყო ნიჭიერი, ნაკითხი, სამშობლოს მიყვარული .

1992 წლის 14 აგვისტოს ბრძოლები დაიწყო აფხაზეთში საქართველოს ერთიანობის აღსადგენად. ბესიკმა თავი ვალდებულად ჩათვალა, მიეტოვებინა ინსტიტუტი და სამშობლოში დაბრუნებულიყო. ასეც მოხდა. მან სამსახური დაიწყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ენ ბრიგადის 1 ოცეულის გათვლის ნომრად.

1993 წლის 16 სექტემბერი. . .

თავზარდაცემული ამბავი სწარაფად გავრცელდა ქალაქში: საბჭოთა გენერალიტეტმა მშვიდობაზე შეთანხმება დაარღვია და ურიცხვი საბრძოლო ტექნიკა და ჯარით მდინარე გუმისთა გადმოლახა.

წავიდნენ. . . იმავე დღეს მოწინააღმდეგესთან პირველსავე შეტაკების დროს მტრის მიერ გასროლილი ჭურვის აფეთქების შედეგად სასიკვდილოდ დაიჭრა მამაცი ჯარისკაცი რიგითი ბ. აბულაძე.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში რიგით ბ. აბყულაძეს უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მიერ წარმოებულ ყველა ძირითად საბრძოლო ოპერაციებში. იმ საბედისწერო დღეს ოცდარვა მებრძოლს მოუყარა თავი სამშობლოს მოყვარულმა. საქართველომ სხვა მრავალ გულმხურვალე მამულიშვილთან ერთად, ეს ერთი მგზნებარე ვაჟკაცის დაკარგა.

ღამის ორ საათზე შიშის ქვეშ, დაასაფლავეს ბესო სოხუმის რაიონის სოფ. ბირცხის სასაფლაოზე.

abuladze besiki

abuladze besiki v1.1

გოჩა ადუაშვილი

დაიბადა 1967 წლის 2 ნოემბერს ქ. თბილისში. თბილისის 117-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პოლიტექნიუკურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა. სამხედრო ვალდებულება მან ავღანეთში მოიხადა და იქიდან საპატიო წოდებით დაბრუნდა. შემდეგ აფხაზეთის კონფლიქტი დაიწყო და აქაც წარბშეუხრელად წავიდა და კაცურად აღასრულა მამულიშვილური ვალი.

სამშობლოსათვის გულაანთებულმა ვაჟკაცმა თავისი სიცოცხლე გმირულად დაასრულა 1993 წლის 16 სექტემბერს ქ. სოხუმში.

გოჩას მეგობრები ახასიათებენ, როგორც ნიჭიერ სამხედროსა და მამაც მებრძოლს. მას დავიწყება არ უწერია, რამე თუ სამშობლოსათვის გაიღო ერთადერთი და ყველაზე ძვირფასი - სიცოცხლე.

გოჩას დედა ქ-ნი ნარგიზა გულისტკივილით, მაგრამ მაინც ამაყად დადის თბილისის ქუჩებში. ცხოვრება გრძელდება! მის უკვდავ სახელის ნათებას მისი შვილები განაგრძობენ.

გოჩა ადუაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით “მხედრული მამაცობისათვის“, და ასევე ვახტანგ გორგასლის 111ხარისხის ორდენით.

. . . ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს დიახაც დააკლდა, მაგრამ რჩეულ მებრძოლთა რიგებს შეუერთდა.

დიდება გმირებს, ქართველ მეომრებს,
თავის გაწირვის მათს ნიჭს და უნარს,
ვინც წინაპრების გზას იმეორებს,
კვდება და სიკვდილს სიკვდილით თრგუნავს.

(გ. აბაშიძე)

ავალიანი დავითი.

დაიბადა 1967 წლის 13 აპრილს თეთრიწყაროს რაიონის სოფ, ასურეთში.

6 წლის ასაკში მამით დაობლდა, იზრდებიოდა ბებია-ბაბუასთან ერთად.

პატარაობიდანვე ბეჯითი, წესრიგის მოსიყვარული იყო, სწავლის პერიოდში გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა თანატოლებსა და მეგობრებში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პირნათლად მოიხადა სამხედრო სავადებულო სამსახურიც და მუშაობა ასურეთის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. თავდადებით იბრძოდა ყველგან, სადაც საჭირო იყო - ოჩამჩირეში, არადუში, ტამიშზე. “ტყვიების წვიმაში“უშიშრად გამოყავდა დაჭრილები და დაღუპულები. თავისი ხანმოკლე სიცოხლის მანძილზე თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა მებრძოლმა, იყო უშიშარი და უღალატო, რაც გამოამჟღავნა კიდეც ფრონტის ხაზზე.

დაიღუპა 1993 წლის 22 სექტემბერს ქ. სოხუმში თვითმფრინავის აფეთქების შედეგად.

დავით ავალიანი ოჩამჩირის რაიონში მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით.

საბედისწერო გაფრენა

აფხაზეთს ცეცხლი ეკიდა,
ყველას გვიხმობდა საშველად,
საბედისწერო აღმოჩნდა
თქვენი პირველი გაფრენა.

ლილი გოგებაშვილი

ალავიძე ბადრი

აიბადა 1971 წლის 7 აპრილს ქ. თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მ. ჯავახიშვილის სახელობის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. იყო საოცრად კეთილი და უშუალო ბედნიერი, გალაღებული ბავშვობა და სტუდენტობა ჰქონდა. მან მხოლოდ ორი კურსის დამთავრება მოასწრო და წავიდა იქ, სადაც მის თანამემამულეთ ყველაზე მეტად უჭირდა, სამშობლოს სჭირდებოდა. ისე წავიდა, სახლში არ გააგებინა.

1993 წლის 3 ინვრიდან “შავნაბადას“ ბატალიონში ჩაიერიცხა და მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის რეგიონში.

თავდაუზოგავად ებრძოდა მტერს,
იბრძოდა მამულის ერთიანობისათვის,
იბრძოდა საქართველოსათვის,
იბრძოდა ჭაბუკური სიკასკასით და ენერგიით.

1993 წლის 23 სექტემბერს საბრძოლო ოპერაციის შესრულებისას ბადრი ალავიძე უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ჩემი, პატიოსანი ვაჟკაცი მყავდა, თვალცრემლიანი გვესაუბრება ქ-ნი ლეილა, ბადრის დედა, მის დაოჯახებაზე ვოცნებობდი, ატყდა აფხაზეთის ომი და ჩემმა შვილმა უმალვე იარაღით ხელში უყოყმანოდ მიაშურა ფრონტის ხაზს. “მხოლოდ იმისთვის ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე, რომ ჩემი შვილის სახელი დავიწყებას არ მიეცეს!“

დიახ, მძიმეა უსაფლაოდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ ადამიანთა ოჯახის წევრების ცრემლი და ტკივილი.

რამაზ ალასანია

დაიბადა 1967 წლის 26 თებერვალს, გუდაუთის რაიონის სოფ. ახალსოფელში.
სწავლა - განათლება მიიღო აფხაზეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე.

აფხაზეთში ომის დაწყების პირველივე დღიდან ჩაირიცხა მე-2ბ საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-3 ასეულის მსროლელ სანიტრად, 1993 წლის პირველ ივლისიდან კი დაინიშნა ამავე ბატალიონის ნაღმსატყორცნი საცეცხლეენ ოცეულის მეთაურის მოადგილედ.

იყო უშიშარი მებრძოლი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიუონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში. განცაკუთრებით თავი გამოიჩინა 15-17 მარტის შემოტევისას სოფ. შრომაშ, რისთვიაც

აკობიძე ალექსანდრე

უსაზღვროდ უყვარდა მშობლიური კუთხე და ქვეყანა. დილის მზე საოცარ სურათს ქმნიდა სოფელ ცაგერაში. მარადიულ სიმწვანეში ჩაფლული სოფელი სულმოუთქმელად ელოდა ყოველ ახალმოვლენილის დაბადებას. ასე იყო ალექსანდრეს დაბადების დღესაც. ვინ იცოდა, თუ რას უმზადებდა ბედი ალექსანდრეს . . .

ალექსანდრე აკობიძე დაიბადა 1956 წლის 15 მაისს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ცაგერაში. აფხაზეთში ძმათამკვლელი ომის დაწყების პირველივე დღიდან მოხალისედ ჩაეწერა და თავგანწირულად იბრძოდა ყველგან. მონაწილეობდა ბრძოლებში ტამიშთან, მერკულასთან.

საბედისწერო გამოდგა მისთვის 1993 წლის 3 იანვარი. აფხაზი სეპარატისტების მორიგი შეტევისასნ სოფელ ცაგერასთან გამართული სასტიკი ბრძოლის დროს ყუმბართმტყორცნის ჭურვის აფეთქების შედეგად სასიკვდილოდ დაიჭრა. ბრძოლის ველიდან მისი ცხედარი თანამებრძოლებმა გადმოასვენეს.

კეთილი, სათნო, მეგობრებისა და ახლობლების მოსიყვარულე, ბრძოლაში კი ნამდვილი ვაჟკაცი, - ასე ახასიათებდნენ თანამებრძოლები.

ალექსანდრე აკობიძე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ის იარღით ხელში სიცოცხლის ბოლო წუთამდე იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

მისი დაფლეთილი ცხედარი მშობლიურმა მიწამ ჩაიხუტა გულში.

დიდების მოპოვება გამარჯვებისაკენ დაუოკებულ სწრაფვასთან არის დაკავშირებული

ლევანი (ლერი) ასლანიკაშვილი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ქართველი ხალხის
ძმობისა და მშვიდობიანი თანაცხიოვრების თავდადებული მოტრფიალე,
ვახტანგ ასლანიკაშვილის შვილი.

ასლანიკაშვილების ოჯახის ტრადიაციად იქცა სამშობლოს სიყვარული, გამბედაობა, მამაცობა, პატრიოტიზმი, რომლის მაგალითია ლერი ასლანიკაშვილი, რომელმაც თავი შესწირა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას და 23 წლის ახალგაზრდამ 1993 წლის 16 მარტს დაასრულა სიცოცხლე, თუმცა გმირები არ კვდებიან.

ლერი ასლანიკაშვილი დაიბადა 1969 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფ. არადუში, რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისში კონსტანტინე ლესელიძის სახელობის სპეციალიზირებულ სამხედრო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და სწავლა განაგრძო მოსკოვის ავტო-საინჟინრო უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. შევიდა ახლად ჩამოყალიბებულ ბატალიონში, რომრლიც დისლოცირებული იყო გულრიფშის რაიონში.

1992 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე მოხალისეთა რიგებში ჩადგა და სოხუმის 23 - ე ბრიგადის 1 ბატალიონის მებრძოლი გახდა. ამ ბრიგადის ხელმძღვანელ გენო ადამიას გვერდით იბრძოდა სოცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

მრავალი შეტევის მონაწილე იყო ლერი ასლანიკაშვილი. სოხუმს რამდენიმეჯერ შემოუტია მტერმა, მაგრამ ქართველმა ვაჟკაცებმა უკუაქციას ის.

1993 წლის თებერვლის მკაცრი სუსხიანი ზამთარი იყო, მტერმა შემოუტია სოხუმს. ქართველებმა კონტრშეტევა განახორციელეს, მტერი განდევნეს და დაედევნენ. ამის შესახებ ლერის უბნის წიგნაკში ჩანაწერი გვეუბნება: “გავათავისუფლეთ აჩადარა, გადავედით გუმისთაზე, მივაღწიეთ ახალ ათონის მისადგომებთან, საღამომდე, ალბათ ლესელიძემდე მივიდოდით და ამ დროს მოვიდა ბრძანება, “დაიხიეთ უკან“, ე.ი. იყო ღალატი, ისე როგორც ყოველთვის ქართველებს გვჩვევია.

1993 წლის 16 მარტს, როცა მტერმა (აფხაზეთის სახელით რუსეთის შეიარაღებულმა ჯარმა) კვლავ შემოუტია, სოხუმის მისადგომებთან სოფ. აჩადარაში მდინარე გუმისთასთან ლერი პიდაპირ ეკვეთა, შემჩნია ორ სართულიან სახლში დაბანაკებული მოწინააღმდეგე და პირველი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მას, მაგრამ მტერმა სიმრავლით სძლია და ზურგიდან ორი ტყვიით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ლერიმ ვეღარ იხილა ალყაში მოქცეული თანამებრძოლების სამშვიდობოზე გამოყვანა, რაზედაც რამდენიმე ვაჟკაცის სოცოცხლე შეეწირა.

ლერი ასლანიკაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია მედლით “მხედრული მამაცობისათვის“.

მურთაზ აკობია

დაიბადა ოჩამჩირეში, შავი ზღვის პირა კოპწია ქალაქში, 1976 წლის 1 ნოემბერს. წლების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა გალის რაიონის სოფ. საბერიოში. სწავლობდა საბერიოს N2 საშუალო სკოლაში. გამოირჩეოდა კარგი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით.

17 წლის, პირტიტველა, დაუოჯახებული იყო, როცა აფხაზეთის კონფლიქტი დაიწყო. მოხალისედ 24 - ე ბრიგადის 244-ე ბატალიონში ჩაიტიცხა. სიცოცხლით სავსე "ღიმილის ბიჭი" აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში.

მან მამულს საკუთარი, ჯერ კიდევ გაუფურჩქვნილი, სიცოცხლე უყოყმანოდ ანაცვალა. 1993 წლის 29 სექტემბერს ის ოჩამჩირეში ერთ-ერთი შეტევის დროს გმირულად დაეცა. მას მერე მისი ცხედარი არავის უნახავს. იგი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

მცირე ხანს იცხოვრა ამ ქვეყნად, მაგრამ სამშობლოსათვის თავდადებული გმირის სახელი დატოვა.
მის დედას უყოყმანოდ შეუძლია გაიმეოროს დიდი ილიას სიტყვები:

"ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი . . .

მურთაზ აკობიას გამწარებულ დედას ქ-ნ ნანულის ვუსურვოთ ჯამრთელობა და გამძლეობა, რომ დიდხანს ატაროს თავისი გმირი შვილის სახელი.

შენ გმირი ხარ!

. . . და აქ უნებლიედ მაგონდება პოეტის სიტყვები:

"ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს".

ვალერი ასლანიკაშვილი

ვალერი ვკლადიმერის ძე ასლანიკაშვილი დაიბადა 1948 წლის 10 იანვარს ოჩამჩირის რაიონის სოფ. არადუში. ალალსა და თავმდაბალს, უშუალსა და ერთგულს ყოველთვის სწამდა, რომ თუ სამშობლოს დასჭირდებოდა ის პირველი ჩადგებოდა დამცველთა შორის და სიცოცხლესაც დაუფიქრებლად გაწირავდა.

სწორედ, აფხაზეთის ომმა წარმოაჩინა მისი ხასიათის სიმტკიცე, სიმამაცე და სამშობლოსადმი ერთგულება. ის თავდადებით იცავდა თავის სოფელს და სიცოცხლის ბოლო წუთამდე სოფელი არ დაუტოვებია.

1993 წლის 28 სექტემბერი კი ერთ-ერთი საბრძოლო იოპერაციის დროს, ოჩამჩირის მისადგომებთან, სოფ. არადუში დაიღუპა. დარჩა მეუღლე და ორი ქალიშვილი, რომლებიც არასოდეს დაივიწყებენ გმირი მამის სახელს. ~

ვალერიმ ტყვეობას გმირული სიკვდილი არჩია, სწორედ ამ საქციელით მოწინააღმდეგეს ეროვნული სულის სიმტკიცე დაანახა. ის დაკრძალულია საკუთარ ეზოში.

დიახ, მისი ხსოვნის წინაშე სწორედ, რომ ქედის მოხრა გვმართებს.

მართლაც, ადამიანი ხომ მანამდე ცოცხლობს, ვიდრე მის სახელს იხსენებენ.

აქუბარდია გოჩა

დაიბადა 1961 წელს ქ. სოხუმში. სწავლობდა ქ. სოხუმის მე-6 საშუალო სკოლაში. დაამთავრა ქ. თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი 1984 წელს, ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის კვალიფიკაციით. ინსტიტიტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. სოხუმის ორგ. ხელსაწყოს ქარხანაში, დირექტორის მოადგილედ. მისი ჰობი იყო შემოქმედებითი მოღვაწეობა; წერდა ლექსებს, მოთხრობებს.
ბუნებით იყო დინჯი, თავშეკავებული, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, ჰყავდა ბევრი მეგობარი და მათ შორის იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.ძლიერ განიცადა აფხაზი მეზობელი ბიჭის დაღუპვა, რომელიც მოწინააღმდეგეთა ბანაკში იბრზოდა.
აქუბარდია გოჩას არ დაუტოვებია მშობლიური ქალაქი--სოხუმი და თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა პირნათლად შეასრულა ბოლომდე. ის რიგით მებრძოლად ჩაირიცხა 1992 წლის ოქტომბერში მოხალისეთა ლაშქარ "ცხუმის" პირველ ასეულში. 1993 წლის თებერვლიდან კი

დაინიშნა პირველი ასეულის მეორე ოცეულის პირველი ათეულის მეთაურად.
1993 წლის 16-17 სექტემბერს აქუბარდია გოჩა ევგენის ძე დაიკარგა უკვალოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში საომარი მოქმედებების დროს ქ. სოხუმში შუქურას რაიონში.
მისი სახელი გმირთა მოედნის დაფას ამშვენებს ქ. თბილისის გმირთა მოედანზე. იქ დანთებული მუდმივი ცეცხლის ნათელში ამყოფოს ღმერთმა ყველა დაღუპული გმირის სული.
ისე კი ცხოვრების დევიზად ჯქონდა;;" სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი".

ახალაძე გიორგი (გია)

დაიბადა 1959 წელს ქ. სოხუმში. მისი ოცნება სამართლებრივი და თავიშუფალი ქვეყანა იყო. სამართლიანობის გრძნობით აღზრდილმა მუსაობა შინაგანი საქმეთა სამინისტროს, სოხუმის საქალაქო განყოფილების სისხლის სამართლის სამზებროს ინსპექტორად დაიწყო. დისციპლინიანი, ამტანი, გონიერი, უანგარო და მამაცი ყველას სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდა და მალე უფროსი ლეიტენანტის წოდებაც მოიხვეჭა.
ბევრი ფიქრი და ლამაზი ოცნებები დარჩა აუხდენელი. ოცნებობდა ოჯახის შექმნაზე, მაგრამ აფხაზეთში ამოვარდნილმა ქარიშხალმა ძირფესვიანად შეცვლა მისი ცხოვრება.
აფხაზეთის საომარი მოქმედებებს სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულის მრავალი სიცოცხლე შეეწირა. აწორედ აფხაზეთში, 1993 წლის 5 ივლისს სამშობლოს სიყვარულს შეეწირა გიორგი ახალაძე. მისი დაღუპვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო არა მარტო სოხუმის შინაგან საქმეთა

განყოფილებისთვის, არამედ ოჯახისთვის, მეგობრისთვის, ნათესავებისა და სამშობლოსათვის.
ამ ქვეყნად მას დარჩა სახელი, მეგობრები, სამშობლო, რომელიც არასოდეს ივიწყებს ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულ რაინდებს, თუმცა ღრმად უნდა გვწამდეს, შორს არაა ის დღე, როცა სამართლიანობა იზეიმებს და დავიბრუნებთ ჩვენს აფხაზეთს, ქვეყანა კი გალაქტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ ხსოვნას სანთლებად აინთებს.

ასკაროვი მამედი ბადრის ძე



დაიბადა 1975 წელს ქ. თბილისში.

1993 წლის ივნისში ასკაროვი მამედ აფხაზეთში ომის დროს მოხალისედ ჩამოვიდა ქ. სოხუმში. 23-ე ბრიგადის მეთაურის ბრძანებით ჩარიცხულუ იყო 23-ე ბრიგადის სამთო მსროლელ ასეულში. მონაწილეობდა ივნისს-ივლისის ბრძოლებში შრომა-ახალშენის მიმართულებით.

ასკაროვი მამედი სულით, ხორცით 18 წლის ბიჭი ქართული მიწის დაცვას შეეწირა თავი იმ მიწის დაცვას, რომელმაც გაზარდა, კაცუკაცობა, სიყვარული და სითბო ასწავლა. სიმართლის მოყვარე,

პატიოსან, მშრომელ ახალგაზრდას ყველა აფასებდა. როცა ჩვენს ქვეყანას გაუჭირდა მამედი მებრძოლი გახდა.

1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზ სეპარატისტების შემოტევის დროს ქ. სოხუმზე ასკაროვი მამედი ასეულთან ერთად მონაწილეობდა სოხუმის დაცვაში.

1993 წლის 23 სექტემბერს სოხუმის რაიონის სოფელ იაშტუხასთან მტერთან შეტაკების დროს ასკაროვი მძიმედ დაიჭრა მკერდის არეში, ბრძოლის ველიდან ასკაროვი მამედი გამოიყვანა მებრძოლმა ფიფია თენგიზმა. იგი მიყვანილი იქნა ქ. სოხუმის მეორე საქალაქო საავადმყოფოში გონება დაკარგული, მძიმე მდგომარეობაში. ამ დროს იბომბებოდა საავადმყოფოები, პურის ქარხნები, ქალაქის ცენტრი...

ასკაროვის ბედი უცნობია. ასკაროვი მამე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ახობაძე ჯამბულ

დაიბადა 1963 წლის პირველ მარტს ქ. სოხუმში.მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო, ხალხი მას იცნობდნენროგორც ნიჭიერ, უღალატო ახალგაზრდას, რომელიც ყოველთვის ქვეყნისა და ადამიანთა სიყვარულზე ფიქრობდა.

მისი ოცნება თავისუფალი ქვეყანა იყო და ამგვარი ქვეყნისთვის ბრზოლას შეეწირა კიდეც.

იყო 23-ე მექანიზებული ბრიგადის ტანკსაწინააღმდეგო დივიზიის პირველი ოცეულის მეორე ათეულის უშიშარი მებრძოლი და სიკვდილსაც უშიშრად შეეგება.

1992 წლის 10 დეკემბერს ის გმირულად დაეცა.

გვწამს, რომ საქართველოში "კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი".

ასაბაშვილი მაქსიმე (მამუკა)

დაიბადა 1967 წლის 18 მაისს მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში. სწავლობდა ბანძის საშუალო სკოლაში. რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. სოხუმში შოთა რუსთაველის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1984 წელს და იმავე წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის პოლითექნიკურ ინსტიტუტში თვითმფრინავ მშენებლობის ფაკულტეტზე.

1986-88 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქ. ჩელიაბინსკში.

1992 წელს, როცა არეულობა მოხდა აფხაზეთში, იგი მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად. მსახურობდა ბატალიონ "ორბში", რომლის მებრძოლებმაც ვაჟკაცურად დაიცვეს მტრის მიერ 2 დეკემბრის შემოტევა ტამიშთან, სოფელ ათარასთან. შეტაკების დროს დაიჭრა დიდი რაოდენობით მებრზოლები, რომელთა მტრის ალყაში მოქცევის გამო ვერ ხერხდებოდა.

მამუკამ ცეცხლი თავის თავზე აიღო და გაიტყუა მტერი. ამის შემდეგ დაჭრილების დიდი რაოდენობა გაიყვანეს, მამუკას ერთი მებრძოლი ბრზოლის ველზე დარჩა, რომელიც სისხლისგან იცლებოდა. მისი გამოყვანის დროს სნაიპერის ტყვიამ სიცოცხლე მოუსპო და ის გმირულად დაეცა მეგობრის წინ.

სწორედ აქ წმინდა მიწაზე დალია სული. სიკვდილის შემდეგ მაქსიმე (მამუკა) ასაბაშვილი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

მამა-შვილი შუქრი და ზურაბ ანჩაბაძეები

საქართველოსთვის, სამშობლოსთვის...

ასე ესმოდათ გმირებს.

ანჩაბაძე შუქრი ნიკოლოზია ძე დაიბადა 1951 წლის 4 ივნისს ქ. გალში. დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. აგრონომად მუშაობდა სიდის მეურნეობაში, ქალაქის საბჭოში". იპოდრომის დირექტორის მოადგილედ, გაზის სამმართველოში ერთ-ერთი განყოფილების უფროსად" . შემდეგ კი პოლიციაში.

კაპიტანი ანჩაბაძე შუქრი ნიკოლოზის ძე აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს რიგებში იბრძოდა 1993 წლის იანვრიდან, მესამე ასეულის მეთაურად.

1993 წლის 25 ივლისს საქართველოს სამხედრო პოლიციის შტაბის უფროსის ბრძანებით შუქრი ანჩაბაზე თავისი ასეულით გაიგზავნა შრომა -ჯამანის მიმართულებით, შეტევაზე გადმოსული მტრის შესაჩერებლად.

ამ ბრძოლაში შუქრი დაიღუპა. სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით. დასაფლავებულია მშობლიურ ქალაქში.

ანჩაბაძე ზურაბი შუქრის ძე დაიბადა 8 აპრილს ქ. გალში.

20 წლის ზურაბი 1993 წლის თებერვლიდან იბრძოდა აფხაზეთის პოლიციის სამმართველოს სოხუმის ბატალიონის განყოფილებაში პირველი ასეულის მეთაურად.

1993 წლის 17 სექტემბერს უფროსი ლეიტენანტი ანჩაბაძე ზურაბი თავისი ასეულით გაგზავნილი იქნა შრომის მიმართულებით "ზეგანის" დასაცავად. წარმოებულ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. დასაფლავებულია ქ. გალში მამის გვერდით.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

აბაშიძე გივი

დაიბადა 1960 წლის 6 ივლისს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

1993 წლის 30 მარტს ბრძანება N70-ის საფუძველზე ჩაირიცხა 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში რიგით მებრძოლად.

გივი აბაშიძე იყო პატიოსანი ადამიანი და აქტიური მებრძოლი. ოცეული, რომელშიც ის ირიცხებოდა და მამაცურად იბრძოდა,მტრის წინააღნდეგ კოჩარის ფრონტზე.

1993 წლის 16 მაისს, მტრის ერთ-ერთ შემოტევის დროს დაიღუპა სოფ. ცაგერაში, ჭურვზე აფეთქების შედეგად.

ამაღლობელი არჩილი

დაიბადა 1962 წლის 2 იანვარს ქ. თბილისში.აქვე დაამთავრა თბილისის პირველი ექსპერიმენტალური საშუალო სკოლა სა სწავლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსისტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. 1990 წლის ივნისში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა.
როგორც კისაქართველოში ომის ხანძარი დაინთო, იარაღით ხელში იმ ადამიანების გვერდით დადგა, ვისაც სწამდა და უყვარდა საქართველო.
1992 წლის 11 ოქტომბერს მოხალისედ ჩაირიცხა 101-ე ბატალიონის მე-2 ასეულში ათმეთაურის

თანამდებობაზე. ასეულის მიერ ჩატარებულ ყველა დაბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობდა, გამოირჩეოდა როგორც მამაცი და ერთგული მებრძოლი.
1993 წლის 3 თებერვალს არჩილ ამაღლობელი სოფელ ახალშენთან დაიღუპა.
ქართულმა მეცნიერებამ არჩილ ამაღლობელის სახით დაკარგა ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მკლევარი.
არჩილ ამაღლობელი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

ადამია გენო აკაკის ძე

დაიბადა 1936 წლის 8 მარტს ქ. სენაკში. 1955 წელს სენაკის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე განაგრძო. მუშაობდა სხვადასხვა სამსახურში.
დაიწყო ომი აფხაზეთთან...
და ამ ომმა ყველაფერი შეცვალა. გენო ადამიაც სამშობლოს ერთ-ერტ ჯარისკაცად იქცა. 1992 წლის 18 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსის N306-ე ბრძანების საფუძველზე პოლკოვნიკი გენო ადამია 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მეთაურად დაინიშნა.
უერთგულო საქმეს რომელსაც ემსახურებოდა. უღალატო ოყო მეგობრებისთვის. ეს თვისებები ეკუთვნის ერთ ადამიანს, გენო ადამიას, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა.
1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა.სისხლდაცლილმა 23-ე ბრიგადამ 11 დღე გაუზლო შემოტევას, ბრიგადის მეთაურმა გენო ადამიამ კი 12 დღე და ღამე იომა.
1993 წლის 28 სექტემბერს მას მდინარე კელასურთან მტრის ჩასაფრებული ჯგუფი დახვდა, რომლებმაც გაანადგურა მისი მანქანა და თანმხლებლებიც (ზურაბ ჩიქოვანი, კოტე ლეთოდიანი). რაინდი იყო და რაინდად შეაბიჯა მარადისობაში.

გენერალი გენო ადამია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდავახტანგ გორგასლის პირველი და მესამე ხარისხის ორდენით. დასაფლავებულია თბილისის საბურთალოს პანთეონში.

ზაალ ამაშუკელი

დაიბადა 1965 წლის 1 თებერვალს ქ. თბილისში.ის გახლდათ მხატვარ-დიზაინერი, ხელოვნებამცოდნე, სამართალმცოდნე, ისტორიკოსი. იგი დაჯილდოებული იყო ყველაზე დიდი ადამიანური სიყვარულის ჯილდოთი. უყვარდა საქართველო და განსაკუთრებით აფხაზეთი, როდესაც აფხაზეთი ცეცხლის ალში გაეხვია, გადაწყვიტა დამდგარიყო იქ, სადაც სამშობლოს ბედი

წყდებოდა.
"ერთხელ ყველა მოკვდებითო"- უყვარდა ამ ფრაზების განმეორება, იხსენებს აცრემლებული დედა ქალბატონი ლეილა.
1993 წლის 22 სექტემბერს თავის განუყრელ მებრძოლებთან ერთად ბაბუშერის აეროპორტში თვითმფრინავის აფეთქების შედეგად დაიფერფლა.
სიკვდილის შემდეგ სამშობლოს დაცვისა და ართიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისთვის ზაალ ამაშუკელი ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

აბულაძე ტარიელ-აბულაძე კობა (მამა- შვილი) მარადისობაში ამყოფა....

აბულაზე ტარიელ დაიბადა 1952 წლის ივლისს სენაკის სოფ. ლეძაძამეში.
1960 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა გულრიფშის რაიონი სოფ. ვარჩეში.
აბულაძე კობა ტარიელის ძე დაიბადა 1976 წლის 24 ივნისს გულირიფსის რაიონი სოფ. ვარჩე.
მამა -შვილი ირიცხებოდნენ 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში. ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც არაწმოებდა მე-5 ბატალიონი. მეთაურთა ბრძანებებს პირნათლად ასრულებდნენ. თანამებრძოლებს შორის სარგებლობდნენ კარგი ავტორიტეტით.
აბულაძე ტარიელ დაიღუპა 1993 წლის 29 სექტემბერს აფხაზებთან შეტაკების დროს სოფელ ვარჩეში.
აბულაძე კობა 1993 წლის 29 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონი სოფელი ახალი კინდღში მტრის შემოსევის დროს დაიკარგა უგზო-უკვლოდ.
ბედისწერამ მამა-შვილი ერთ დღეს 1993 წლის 29 სექტემბერს მარადისობაში ამყოფა....

ადამია თენგიზ

დაიბადა 1966 წლის 5 დეკემბერს გულირიფშის რაიონის სოფ. გულირიფსში. დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი 1990 წელს.

თენგიზ მიტუშას ძე ადამია აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე მოხალისედ ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობისათვის მებრზოლთა რიგებში. 1992 წლის სექტემბრიდან 1993 წლის იანვრამდე ირიცხებოდა 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურის გენერალ გენო ადამიას დაცვაში, ხოლო 1993 წლის იანვრიდან---ამავე ბრიგადის საკომენდატო ასეულ "სკორპიონში" მსროლელად. მიღებული აქვს მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში სოხუმის რაიონის სოფლებში გუმისთა, შრომა. ოჩამჩირის რაიონის სოფლებში აძიუბჟა, ტამიში.
1993 წლის 16 მარტს საკომენდატო ასეულის სხვა თანამებრზოლებთან ერთად მონაწილეობდა დაბრძოლო ოპერაციებში სოხუმის რაიონის სოფელ შრომასთან. უთანასწორო ბრძოლაში თენგიზ ადამიამ მიიღო სასიკვდილო ჭრილობა.
თენგიზ ადამია დაკრძალულია გულრიფშის რაიონის სოფ. გულრიფში..
თენგიზ ადამია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია "მხედრული მამაცობისათვის"

ანანიევი ვლადისლავ

დაიბადა 1947 წელს თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1963 წლის 8აგვისტოდან 1969 წლის 25 მაისამდე მუშაობდა ფოთში საქართველოს საოკეანო თევზისსაჭერ სამმართველოში დამხმარე მექანიკოსად.1964 წლამდე მსახურობდა მაროკოში, გიბრალტარში, ატლანტიკის ოკეანეში, საქართველოს საოკეანო თევზსაჭერ სამმართველოში მატროსის თანამდებობაზე.
1072 წლიდან მუშაობდა თბილისის ელექტროშემდუღებელ მოწყობილობათა ქარხნის საიარაღო საამქროში მე-6 თანრიგის შგამჩარხავად.იყო დამსახურებული დონორი.
1992 წლის 27 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლაში აფხაზეთში, როგორც 102-ე ბატალიონის შტაბის უფროსი.

1993 წლის 28 ივლისს ვლადისლავ ანანიევი დაიღუპა ტამიშის ხიდთან საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს. ვლადისლავ ანანიევი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

სერჟანტი ზაზა ახალკაცი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.
გორის სატანკო ბაზის დაბომბვამ სიცოცხლე მოუსწრაფა

ახვლედიანი ემზარ

დაიბადა 1971 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში.

რიგითი ემზარ ახვლედიანი აფხაზეთში მოქმედებების დაწყების პირველივე დღიდან ჩაირიცხა 24-ე

ბრიგადის 243-ე ბატალიონის რიგებში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბრძოლო ოპერციებში,

რომლებსაც აწარმოებდა 24-ბრიგადა. 1992 წლის 24 ოქტომბერს, საბრძოლო ოპერაციის დროს, სოფელ მერკულაში შეტაკებისას ბრძოლის ველზე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა ფეხოსანთა სადესანტო მანქანით, რომელსაც ემზარი მართავდა. ნაღმის აფეთქება ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ცხედრის პოვნაც ვერ მოხერხდა.

გიორგი აბათარი

გიორგი აბიათარი დედისერთაა, სამხედრო სავალდებულო სამსახური არ ეხება. 18 წელი შეუსრულდება თუ არა, მაინც წავა... 2 თვეც არ იმსახურებს – ომი დაიწყება. მუხლზე პრობლემები ჰქონდა, ომში არ მიჰყავთ, კომისია უნდა გაიაროო. პირველი მანქანიდან ჩამოსვამენ. მეორე მანქანაში ავა და ომში მაინც წავა...

გიორგი აბიათარი კოჯორში დაიბადა 1990 წლის 5 აპრილს, იზრდებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ჯაფარიძეში. დალხენილი ბავშვობა არ ჰქონია. დედისერთა იყო, მაგრამ ოჯახს უჭირდა და ვერ ანებივრებდნენ.

2008 წლის 5 აპრილს გიორგის 18 წელი შეუსრულდა.
დედა: „ძალიან მინდოდა მისი დაბადების დღე რომ აღმენიშნა, აღვნიშნეთ, მაგრამ ბევრის დაპატიჟება ვერ შევძელი და მოვუბოდიშე, ყველა ვერ დაგიპატიჟე-მეთქი. მომეხვია, მერე რა მოხდა, 19 წლის თუ სამხედრო ნაწილში გავხდები, 20 წლის ხომ სახლში ვიქნები და მაშინ გადავიხადოთ დიდი დაბადების დღეო...“

დედამ გადაუხადა დაპირებული დიდი დაბადების დღე, ყველა იყო – თანაკლასელები, ნათესავები, ჯარის მეგობრები. აღარ იყო გიორგი... გიორგი ველარც 19 წლის გახდა, ველარც ოცის...

დედა: „ბოლოს 27 ივლისს ვნახე, ღუდუშაურის კლინიკაში რომ მყავდა - მუხლი ტკიოდა... მთელი დღე ხელი ჰქონდა გადახვეული და მიყვარხარო, მიმეორებდა... რომ გამომაცილა, ჩამეხუტა და ისე დამემშვიდობა.... მას მერე მისი ხმა აღარ გამიგია... ომში რომ მიდიოდნენ, გიორგი არ მიჰყავდათ, მანქანიდან ჩამოუსვამთ, შემოწმება გაქვს გასავლელიო, მაგრამ მანქანაში მაინც ასულა, შემდეგ უკვე გორში უნახავთ, ტყვია-წამალს რომ ურიგებდნენ“.

გიორგი აბიათარი 8 აგვისტოს, ერედვში დაიღუპა - მტრის ჩამოგდებულმა კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა.

ელიკო ზედელაშვილი, მასწავლებელი: „გიორგი ცელქი, დაუდეგარი, უსაზღვროდ კაცთმოყვარე, მეგობრებისთვის თავგანწირული ბიჭი იყო. ისტორიკოსობაზე ოცნებობდა და ძალიან ბევრს კითხულობდა. მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა იყო, სრულებითაც არ იყო ჩაკეტილი.

ტრიალებდა ყველგან, სკოლაში, მეგობრებში, მეზობლებში. ბოლო შეხვედრისას დიდი სიყვარულით და სიამაყით მითხრა: მე ჯარში წავედიო. მე კი გავეხუმრე: მაშ მშვიდად ვიყო გიორგი-მეთქი? დიახ, გჯეროდეთ ჩემიო. დავიჯერე გიორგი, დავიჯერე...“
გიორგი აბიათარი გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით...

ალიხანაშვილი ალექსანდრე ზურაბის ძე

დაიბადა 1961 წლის თებერვალში.

თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების მებრძოლი დაიკარგა გაგრაში 1992 წლის 2 ოქტომბერს.

უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ალხანაშვილი მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონში ჯავშანტრანსპორტიორების ოცეულის მეთაურად 1992 წლის 1 იანვრიდან. ამავე წლის 15 სექტემბრამდე მონაწილეობდა ცხინვალის რეგიონში შესულ სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში. 1992 წლის 19 სექტემბრიდან მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში, კერძოდ გაგრაში. მტრის ერთ-ერთი შემოტევის დროს საბრძოლო დავალების შესრულებისას 1992 წლის 2 ოქტომბერს უფროსი ლეიტენანტი ალიხანაშვილი ალექსანდრე გმირულად დაიღუპა ქალაქ გაგრის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლაში. დაკრძალულია ქ. გაგრაში.

ალექსანდრემ პირნათლად შეასრულა მასზედ დაკისრებული დავალერბა საკუთარი სიცოცხლის ფასად. გამოჩენილი გმირობისათვის საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 10 აპრილის N37 ბრძანებულებით დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

ახვლედიანი ნუგზარ

დაიბადა 1964 წლის 13 მაისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცაგერაში.რიგითი ნუგზარ ახვლედიანი ჩარიცხული იყო 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში 1992 წლის 23 სექტემბრიდან.
იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში.
1993 წლის 5 იანვარს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.
დასაფლავებულია სოფელ ცაგერაში.

ირაკლი ბარნოვი

(1968-1993)

პოლიციის ლეიტენანტი ირაკლი კონსტანტინეს ძე ბარნოვი დაიბადა 1968 წლის 14 თებერვალს, ქალაქ თბილისში. 1986 წელს დაამთავრა ქ.თბილისის N5 საშუალო სკოლა. 1986-1988 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ, 1988 წლის 14 ივლისიდან მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში-მთავრობის დაცვაში, ქ. თბილისის ყოფილი ორჯონიკიძის რაიონის შს რაიონულ განყოფილებაში. 1990 წლის პირველი სექტემბრიდან 1991 წლის 10 ოქტომბრამდე სწავლობდა შსს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე. 1991 წლის 11 სექტემბრიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა პოლიციელად ქ. თბილისის შსს წყალმომარაგებათა ნაგებობების დაცვის პოლიციის ლეგიონში.

1992 წლის აგვისტოში პოლიციის თანამშრომლებთან ერთად მივლინებულ იქნა აფხაზეთის რეგიონში, საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად.

1992 წლის 25 აგვისტოს სოხუმის რაიონში, აგუძერასთან, საბრძოლო მოქმედებების დროს 24 წლის ირაკლი ბარნოვმა მძიმე ტრავმა მიიღო. სეპარატისტები აქტიურად უტევდნენ სოხუმს. მტრის ნაღმის აფეთქების შედეგად იგი გადმოვარდა ბეტეერიდან და ელენთა დაუზიანდა, ჭრილობა საბედისწერო აღმოჩნდა. მძიმედ დაჭრილმა ირაკლიმ ამოასვენა ღრმა ხევში გადაჩეხილი საკუთარი მეთაურის ცხედარი.

მიუხედავად მრავალი ქირურგიული საოპერაციო ჩარევისა, ირაკლი 1993 წლის 31 იანვარს მძიმე პერეტონიტის შედეგად გარდაიცვალა.

ირაკლი ბარნოვის სახელი ამოტვიფრულია შსს თბილისის დიღმის სამმართველოს მემორიალურ დაფაზე.

ბიგვავა ზურაბ

,,სიკვდილმა მე გამომარჩიოს და თქვენ კი გადაგარჩინოთ..."

ბიგვავა ზურაბი დაიბადა 1956 წლის 2 იანვარს , ოჩამჩირის რაიონში სოფელ აგუბედიაში.
სწავლობდა, შრომობდა და შექმნა ლამაზი ოჯახი.

იგი იყო ნამდვილი ერის შვილი...
სოფელ აგუბედიაში, სადაც ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ, ქართველი ბავშვები იძულებით აფხაზურ სკოლაში სწავლობდნენ, ვინაიდან არ მიმდინარეობდა ქართული სწავლება-განათლება. 1990 წელს ზურაბის დიდი ბრძოლის შემდეგ აფხაზურ სკოლაში ქართული კლასი გაიხსნა.იყო ბევრი მუქარა ზურაბის მიმართ, ერთადერთი ვაჟიშვილის სიცოცხლითაც კი ემუქრებოდნენ. რადგან ბავშვები შიშით სწავლობდნენ, გადაწყვიტა მეგობრების დახმარებით გაეხსნა ქართულ ენოვანი

საჯარო სკოლა. ამ სკოლამ მხოლოდ სამი წელი იარსება, ომის დროს 1993 წელს სეპარატისტებმა სკოლა დაწვეს.
ბიგვავა ზურაბი იროდის ძე იყო მეორე საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 245-ე ბატალიონის შემადგენლობაში, მე-3 ასეულის უფროსის მოადგილედ 1992 წლის 25 დეკემბრიდან 1993 წლის 5 ივლისამდე.

5 ივლისს ბრძოლის დროს სნაიპერის ტყვიამ შეიწირა მისი სიცოცხლე. იმ დღეს ბიჭებისთვის უთქვამს.."დღეს შეიძლება ვინმეს სიცოცხლე ბრძოლამ შეიწიროს, ეს ომია და ღმერთს შევთხოვ, თუ ვინმეს გელით სიკვდილი მე გამომარჩიოს უფალმა..." ასეც მოხდა!
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გამოჩენილი მამაცობისათვის, თავდადებისა და თავგანწირვისთვის ზურაბ ბიგვავა დაჯილდოვდა მესამე ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

„ამბობდა, სოხუმში დროშა მე უნდა ავაფრიალოო, სულიერად იყო მეომარი…

კაპრალი თემურ ბოკუჩავა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.
ჯარისკაცმა თავის ბიჭუნას ალექსი დაარქვა. მეუღლემ ჰკითხა: „რატომ მაინცდამაინც ალექსი?“
ჯარისკაცი მეუღლეს დაჰპირდა, რომ ბავშვის ნათლობისას ეტყოდა, „რატომ მაინცდამაინც ალექსი“.
ბავშვი 28 აგვისტოს უნდა მოენათლათ.
8 აგვისტოს ის გმირულად დაეცა ცხინვალის მისადგომებთან და ეს საიდუმლო თან ჩაიტანა მიწაში, იმ მიწაში, რომლის დაცვასაც შესწირა თავი.
თემურ ბოკუჩავა სოხუმელი იყო. 1983 წელს დაიბადა სოხუმში. ათი წლისაც არ იყო, მშობლიური ქალაქი რომ დაატოვებინა მტერმა. ოჯახი სენაკში გადავიდა საცხოვრებლად. სწავლობდა სენაკის მეშვიდე საშუალო სკოლაში, რომელიც ახლა მისი სახელობისაა.
მაია ცეცხლაძე, მეუღლე: „ძალიან კარგი მოსწავლე ყოფილა, ამასთანავე, ძალიან ცელქი…“
ბავშვობა დევნილობასა და ოცნებაში გაილია – სოხუმში დაბრუნებულიყო. გაილია ბავშვობა, მაგრამ არ გაილია თავად ეს ოცნება…

ბოკუჩავა სერგო

დაიბადა 1974 წლის 22 აპრილს ქ. თბილისში. 1991 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა.
იმავე წელს ჩაირიცხა ილია ჭავჭავაძია სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.
გატაცებული იყო სპორტიტ. ირიცხებოდა ჩოგბურთელთა კლუბის "მუხის ფოთლის "წევრად.ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციის მიერ ჩატარებულ თბილისის მეორე ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა.
1992 წლის 6 ოქტომბერს აფხაზეთში გაემგზავრა. მუდამ წინა ხაზზე იბრძოდა , დიდი რისკის ფასად გამოჰყავდა დაჭრილები თუ დაღუპულები ყველაზე სახიფათო ადგილებიდან.
30 ნოემბერს, გამთენიისას, სოფ. არადუს თავდასხმის დროს მტრის ტყვისმ გამოასალმა სიცოცხლეს.მიუხედავად დაჭრილისა კიდევ მოასწრო ერთი დაჭრილის გადარჩენა.

18 წლის ცხოვრების მანძილზე იცოცხლა კაცური კაცის სახელით. უცოლშვილომ დატოვა თავისი ლამაზი მშობლების ოჯახი.

ბოკუჩავა ალექსანდრე

დაიბადა 1947 წელს ქ. სოხუმში. კაპიტანი ბოკუჩავა ჩარიცხული იყო 1993 წლის ივლისიდან 23-ე ბრიგადის საგანგებო ქვედანაყოფის ოპერატიულად მონაწილეობა აქვს მიღებული ყველა საბრძოლო ოპერაციებში რასაც აწარმოებდა 23-ე დრიგადის საგანგებო ქვეგანაყოფი სახელდობრ შრომა-ზეგანი-ცუგუროვკა-მდინარე გუმისტა, კაპიტანი ბოკუჩავა იყო კეთილსინდისიერივ და მამაცი ოფიცერი დიდი ავტორიტეტით სრგებლობდა თანამებრძოლეებთან. 1993 წლის 20 სექტემბერს ცნობილი მოვალეობის დროს კაპიტანი ბოკუჩავა ალექსანდრე ცუდად გახდა თანამებრძოლების მიერ იქნა გამოყვანილი პოზიციიდან და ჰოსპიტალიზებული. გადაყვანილი იქნა სამკურნალოდ სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, შემდეგ ქ. მოსკოვში 1994 წლის23 მაისს გარდაიცვალა.

ბენიძე რამაზი

დაიბადა 1948 წლის 20 ოქტომბერს ქ. სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთში.
1966 წელს დაამთავრა სოხუმის აკაკი წერეთლის სახელობის მე-6 საშუალო სკოლა.
სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1973 წელს. მუსაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში თავისი სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსად. ბოლო წლებში, 1977 წლიდან მუშაობდა აფხაზეთის საგზაო-სამართველოსი უფროს-ინჟინერ-მექანიკოსად.
1992 წლის 14 აგვისტო....
დაირღვა მშვიდი და სანატრელი ცხოვრება...
ბენიძე რამაზი 1993 წლის 20 მაისიდან დაინიშნა ს/ნ 10152-ის საინჟინრო-მესანგრეთა ბატალიონის საგზაო ხიდსამშენებლო ასეულის მეთაურის მოადგილედ.
1993 წლის 28 სექტემბერს დახვრეტილ იქნა ბაგრამიანის ბატალიონის მიერ.
დასაფლავებულია საკუთარ ეზოში.

ბურძგლა მიხეილ მიხეილის ძე.

დაბადებული 1971 6 მარტს თბილისში. საქართველოს მხედრიონის რაზმის წევრი. დედისერთა. უცოლშვილო. სტუდენტი. დაიღუპა გმირის სიკვდილით გაგრაში მთაზე განხორციელებული შეტევის დროს 1992 28 აგვისტოს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. მის სახელს ატარებს თბილისის ქუჩა. დაკრძალულია საბურთალოს საძმო სასაფლაოზე.

დათო ბოლქვაძე ***(1969-1993)*** *ქართველი რეჟისორი და ოპერატორი*

დაბადების თარიღი: 1969 წლის 19 მარტი. ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს ამერიკულმა სააგენტო WTN-მა დათო სააგენტოს კავკასიის ბიუროს ოპერატორად მიიწვია, იგი მივლინებულ იქნა სამოქალაქო ომის გასაშუქებლად დასავლეთ საქართველოში, სადაც 1993 წლის 28 ოქტომბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ქობალიამ და მისმა ჩამოყვანილმა აფხაზებმა დახვრიტეს. მოგვიანებით მისი კამერა აფხაზეთის ტელევიზიაში გამოჩნდა.

ბეჟანიშვილი თამაზი (ტუზიკა) ვაჟას ძე

დაიბადა 1965 წლის 21 ივლისს ქ. გორში.
1971-1982 წლებში სწავლობდა ქ. გორის №2 საშუალო სკოლაში.
1983-1985 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში სახალინზე.
დემობილიზაციის შემდეგ დაამთავრა ერთწლიანი საბუღალტრო სკოლა. პარალელურად დაამთვარა მძღოლის კურსები.
1992 წელს მოუვიდა უწყება გორის სამხედრო კომისარიატიდან და გაიწვიეს ახალციხეში ე.წ. "ზბორებზე". სამი დღის შემდეგ ახალციხიდანვე წაიყვანეს გაგრაში, სადაც ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-11 საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადიოს მე-4 "გაგრის"ბატალიონში. მნონაწილეობა ჰქონდა მიღებული ყველა საბრძოლო ოპერაციაში ბატალიონთან ერთად. იყოდიციპლინირებული. მეთაურის დავალებას ყოველთვის დროყულად და პირნათლად ასრულებდა. ომის მსვლელობისას მას დაჭრილი თანამებრძოლები არაერთხელ გამოუყვანია ბრძოლის ველიდან სამშვიდობოზე. იყო სამშობლოზე ძლიერ შეყვარებული პიროვნება, რაც ვლინდებოდა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში.
1992 წლის 2 ოქტომბერს მოწინააღმდეგის შემოტევიუს დროს ქ. გაგრაზე ბატალიონის თანამებრძოლებთან ერთად იგი საბრძოლო მანქანით "ბტრ"-თ გადეღობა მტერს და რამოდენიმე საათის განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდა აფხაზ სეპარატისტებსა და მათ მიერ დაქირავებულ ბოევიკებს, რამაც მისცა შესაძლებლობა მშვიდობიან მოსახლეობას გასულიყო სამშვიდობოზე. იარაღით ხელში სოცოცხლის ბოლო წუთამდე იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ უთანასწორო ბრძოლაში თამაზ ბეჟანიშვილი გმირულად დაიღუპა.
აი როგორ იხსენებენ თამაზს მასწავლებლები: "ერთი ჩვეულებრივი ღიმილიანი ბიჭი იყო ტამაზ ბეჟანიშვილი, ღიმილით უყვარდა ყოველთვის სალამის მოცემა. ის ზრდილი და თავაზიანი იყო უფროსების მიმართ. ამხანაგებს ძალიან უყვარდათ, რადგან მან არ იცოდა ღალატი,. აქ სკოლაში ისწავლა თამაზმა სამშობლოს, ბუნების და მიწაწყლის სიყვარული".
მისი ახალგაზრდული წლები საქართველოს არეულ დროს დაემთხვა, როცა აფხაზეთში მეგობარი ბიჭები იღუპებოდნენ თამაზს რა გააჩერებდა სახლში. არ ასვენერბდა სამშობლოზე ფიქრი და მალევე ეს ფიქრი დაასრულა იმით, რომ უსიც სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.
მან არ იცოდა გაჭირვებაში უკან დახევა, ასევე მოექცა თავის სიცოცხლესაც. უნდა იამაყო ჩემო საქართველო, რომ ზრდი თამაზისნაირ ბიჭებს. გორის N 2 საშყუალო სკოლამ ექვსი საუკეთესო ახალგაზრდა შესწირა საქართველოს თავისუფლებას, მათ შირისაან ჩვენი თამაზი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სპეტაკი სულები.

თამაზს ძალიან უყვარდა მშვიდობა და ყველა მშვიდობის მოყვარე ადამიანი. აფხაზეთის ომის დროს, როგორც ღიმილის ბიჭმა დატოვა ტავისი ქალაქი, მშობლები, მეგობრები და ბრძოლის ველზე დაჰყო ტავისი დარჩენილი ცხოვრება. ძალიან აკლია ქალაქს, მშობლებსა და მის მეგობრებს ერთი ლამაზი და კაცური კაცი - თამაზ ვაჟას ძე ბეჟანიშვილი.

თამაზ ბეჟანიშვილი დაჯილდოვებულის ვ. გორგასლის I ხარისხის ორდენით.

შეხვედ5ა ქ. გორში თამაზ ბეჟანიშვილის ოჯახში დედა- ქალბატონ ქსენიასთან.

ბერიძე ზურაბი

დაიბადა 1973 წლის 2 დეკემბერს ახალციხის რ-ნის სოფ. კოთელიაში.1980-1990 წლებში სწავლობდა გარდაბნის რ-ნის, სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლაში.სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტსი დროს, 1993 წლის 2 ივლისს ლაბრა-ტამიშთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ბეთაშვილი ჯუმბერი

დაიბადა1939 წლის 26 ივნისს ქ. თბილისში.1946 წელს სწავლა დაიწყო თბილისის I საშუალო სკოლაში. 1950 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა სოხუმში. 1956 წელს დაამთავრა სოხუმის I საშუალო სკოლა. შემდეგ დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. სწავლობდა ასევე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. ცნობილი ეკონომისტის, აკადემიკოს ტერეშჩენკოს ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი. სწავლობდა მოსკოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში. 1972 წელს იყო მიუნჰენში ოლიმპიური თამაშების კომსორგი. 1974 წელს მუშაობა დაიწყო ქ. გაგრაში საქალაქო კომიტეტში ჯერ ინსტრუქტორად, ხოლო შემდეგ განყოფილების გამგედ. 1976 წლიდან მუშაობდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში. 1992–1993 წლებში იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მდივანი.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს მას არც ერთი დღე არ დაუტოვებია სოხუმი. ის ეხმარებოდა როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს, ბერძნებს, რუსებს, სომხებს. როდესაც სოხუმი დაეცა, მას სთხოვდნენ დაეტოვებინა ქალაქი.

ევგენი ევტუშენკო - რუსი პოეტი

. . . რომ იყოს შესაძლებლობა, პირველი ღმერთს პუშკინის გაცოცხლებას ვთხოვდი, მეორე კი - ჟუმბერის . . .“

. . . ის უანგარო, ოქროს გულის ადამიანი იყო. ჯუმბერი აბედნიერებდა თავის ირგვლივ ყველას. . . ის ბუნებით ინტერნაციონალისტი იყო და ომის დროს არა მხოლოდ ქართველებს, არამედ რუსებსა და აფხაზებსაც ევლინებოდა გადამრჩენად. . . “
როცა მე ვეკითხები ჩემს თავს, შექმნილი აუტანელი მდგომარეობიდან . . . როგორ გამოსავალს შემოგვთავაზობდა ჟუმბერ ბეთაშვილი . . . ის შემოგვთავაზებდა არ განგვეგრძნო კამათი იმაზე, ვინ მართალია და ვინ დამნაშავე . . . სიზმარივით დაგვევიწყებინა ყველაფერი, რაც მოხდა . . . “

«С руками связанными как злодей,
Не горбясь, ты шел вдоль руин,
Самый красивый из всех людей
И даже из всех грузин…»
«Я друга потерял и потерялся сам,
Мы потеряли то, что больше государства…

… Я был немножко им, он был немножко мной,
Его не предал я, и он меня не предал.
Страна – друг не всегда. Он был моей страной.
Народ – неверный друг. Он был моим народом.
Я русски. Он грузин. Кавказ теперя как морг.
Идет людей с людьми бессмысленная битва.
И если мертв мой бруг, народ тоже мертв,
И если он убит – страна мая убита».

ავთანდილ საყვარელიძე - “ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი
. . . უყვარდა ყველა, ეხმარებოდა ყველას, განუყრელი ეროვნებისა. . .
. . . აფხაზებმა მოიხსენიეს ჟუმბერი, როგორც დამაკავშირებელი ადამიანი - ხიდი აფხაზებსა და ქართველებს შორის...“
. . . ადამიანი, რომლის გულიც და გონებაც მთლიანად სიყვარულით იტყო ავსებული, რომელსაც ქართველების “სავიზო ბარათს“ უწოდებდნენ აფზხაზეთში, კაცი, რომელიც სიცოცხლეს უყვარდა...

თემურ გაიდარი - რუსეთის საზღვაო ფლოტის კონტრადმირალი:
“. . . საიცრად წარმოსადეგი, ლამაზი და ჭკვიანი. სამყაროს უმზერდა კეთილი თვალებით. ყველას რომ მისნაირად ემზირა . . . ყველასათვის, ვინც ჩვენს ცოდვილ მიწაზე ცხოვრობს, დარწმუნებული ვარ, აღარ იქნებოდა ძალადობა, სიძულვილი და ძარცვა“.
“. . . ქართული ჩამოსხმის შენი ძმა “. . . ასეთი სიტყვებით მირეკავდა ხოლმე სოხუმიდან მოსკოვში“.
“ღმერთო! რამდენი რუსი გენიოსი და უდიდესი პოეტური ტალანტი ჰპოვებდა შთაგონებას საქართველოში. რამდენს დაეხმარა, რამდენი ანუგეშა. რთული, უფრო ხშირად კი ტრაგიკული ცხოვრების გზაზე ეს გასაოცარი კავშირი უჩუმრად, მაგრამ ბუნებრივად და თვალნათლივ გამოვლინდა ჟუმბერის - საქართველოს ერთ-ერთი ღირსეული შვილის ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ მისი გახსენებისას, არ შეიძლება არ იფიქრო ამ ორი ერის სულსა და სულიერებაზე. ხომ ნათელია, რომ არა მარტო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, არამედ კიდევ რაღაც უფრო ამაღელვებელი, მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, უსამართლობისა, ზოგჯერ კი მმართველთა დანაშაულებებისა, იზიდავდა და ახლაც იზიდავს რუსეთსა და საქართველოს ერთმანეთთან“.

ედუარდ შევარდნაძე - საქართველოს მეორე პრეზიდენტი.
“. . . ბევრი რამ მეც შემიძლია დავადასტურო, რადგან პირადად, კარგა ხნის განმავლობაში ვიცნობდი ჯუმბერს, გამოჩენილ მამულიშვილს და ჭეშმარიტ გმირს...“
“... ჟუმბერ ბეთაშვილი უნიკალური პიროვნება იყო, თავგანწირული და უერთგულესი“.

ეგორ იაკოვლევი - “ნეზავისიმაია გაზეტა“-ს რედაქტორი
“... ლეგენდარული პიროვნება, რუსეთის ინტელეგენციის მეგობარი, ... თვით აფხაზების თქმით, იმდროინდელი განუკითხაობისას ათეულობით აფხაზის გადამრჩენი...“

გენო კალანდია - პოეტი
“არ გაქცეულა ის არსად, არა!
ის მარტოდ მარტო ქალაქსი დარჩა, -
პოეტი, დენთი და ლამანჩელი,
ხომ არ მოგიკრავს, უფალო, თვალი?“

1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ჯუმბერ ბეთაშვილი, თათბირის შემდეგ, ჭრილობის გადასახვევად წავიდა კელასურში სიძესთან, სამედიცინო ბატალიონის “კობრა“ მეთაურთან დავით მორგოშიასთან. მიუხედავად თხოვნისა, ასეთ მდგომარეობაში აღარ დაბრუნებყულიყო უკვე აფხაზების მიერ დაკავებულ სოხუმში, ჯუმბერ ბეთაშვილმა უპასუხა: **“მე ბავშვებს და ქალებს ვერ მივატოვებ"**. დაბრუნდა სოხუმში და . . .

დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ბერუაშვილი ბადრი

დაიბადა 1958 წლის 29 მაისს ქ. თბილისში.1965–1975 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 129–ე სასუალო სკოლაში.აფხაზეთში შეიარაებილი კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს დაიკარგა უგზო–უკვლოდ ქ. სოხუმში.საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 ნოემბრის განკარგულებით, დაჯილდოვებულია ვ.გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ბერიშვილი ნაპო

დაიბადა 1940 წლის 5 ივლისს ქ. გაგრაში.1942 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ქ. თბილისში.1947-1958 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 49-ე საშუალო სკოლაში.1958 წელს ჩაირიცხა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1963 წელს.1963 წელს მუშაობა დაიწყო წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯიხაშკარის საშუალო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად.1963-1965 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქ. როსტოვში.1965 წელს დაქორწინდა (მეუღლე-გალინა ბერიშვილი).1967 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, ხოლო შემდეგ გადაყვანილ იქნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ინსტრუქტორად.1975 წელს დაინიშნა ქ. თბილისის პარტიული კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგედ. პარალელურად სწავლობდა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.შემდეგ მუშაობა გააგრძელა შინაგან საქმეთა სამინისტროში კადრების სამმართველოს უფროსად.1990 წელს მუშაობა დაიწყო თავდაცვის სამინისტროს საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერატიული განყოფილების

უფროსად.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 3 ოქტომბერს დაიკარგა უგზო-უკვლოდ ქ. გაგრაში.დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

ბუჩუკური დავით

დაიბადა 1969 წლის 16 აპრილს ქალაქ თბილისში.1975-1986 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში.1987-1989 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.1992 წლის 7 აგვისტოდან მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნული გვარდიის ბატალიონ ,,თეთრ არწივში".აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს 1992 წლის 3 ოქტომბერს ქ. გაგრასთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოთ.

ბადალაშვილი ნოდარი

დაიბადა 1956 წლის 29 მარტს დაბა მანგლისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტში განაგრძო. პირნათალად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე.

1992 წლის აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებიდან ირიცხებოდა მანგლისის ბატალიონში, იყო ამ ბატალიონის მეთაურიც. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთის რეგიონში.

1993 წლის 13 ივლისს სოფ. შრომასთან გამართულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა კიდეც.

სიკვდილის შემდეგ მას მიენიჭა სიგელი საქართველოს ეროვნული გვარდიის შექმნაში აქტიური მონაწილეობისათვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში გმირობისა და თავდადებისათვის კი გვარდიის ვეტერანთა კავშირის სამუდამო წევრობა.

ბაღათურია დევიზი

დაიბადა 1945 წლის 25 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფ. მაიდანში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. ბავშვობიდანვე ზრდილობთ, ერთგულებით, ნიჭიერებითა და თავაზიანობის გრძნობით გამოირჩეოდა. სამხედრო სავალდებულო სამსახური გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პირნათლად გაიარა, საიდანაც ოჯახმა არაერთი მადლობის წერილი მიიღო.

შემდეგ კი სწავლა მილიციის უმაღლეს სკოლაში ქ. მოგილიოვში განაგრძო, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა ოჩამჩირის სახაზო სატრანსპორტო რკინიგზის მილიციაში დაიწყო. ორ ვაჟკაცს უზრდიდა სამშობლოს და ბედნიერად ცხოვრობდა, სანამ . . . აფხაზეთი ცეცხლის ალში გაეხვეოდა.

დევიზ ბაღათურია, როგორც ბევრი სხვა, იძულებული გახდა მშვიდობიანი ცხოვრება მიეტოვებინა და სამშობლოს დასაცავად პატრიოტთა შორის ჩამდგარიყო. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთის სატრანსპორტო პოლიციის მიერ განხორციელებულ ყველა ოპერატიულ ღონისძიებაში.

1993 წლის 14 ივნისი კი მისთვის უკანასკნელი გაბრძოლება გამოდგა. იგი აფხაზ სეპარატისტებთან მორიგი ოპერაციის შესრულებისას მძიმედ დაიჭრა, ორი დღე ებრძოდა სიკვდილს, მერე კი დაიღუპა.

დევიზ ბარათურია დაკრძალულია აბაშის რაიონის სოფ. მაიდანის სასასფლაოზე.

აფხაზეთის ომმა ძალიან ბევრი გმირი გამოავლინა. იმედი მაქვს მათი სახელები სამუდამოდ ჩაიბეჭდება ქართველი ერის ისტორიაში.

ბართია ვალერი

დაიბადა 1960 წლის 29 ივნისს მარტვილის რაიონის სოფ. ბალდაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამსახურს პირნათალდ იხდის ქ. ომსკში. საპატიო სიგელით და ზემდეგის წოდებით უბრუნდება მშობლიურ სოფელს. ის ბავშვობიდანვე ოცნებობდა პოლიციელის მეტად რთულ და საპასუხისმგებლო პროფესიაზე. ამიტომაც გადაწყვიტა სწავლა ქ. ლენინგრადის პოლიციის სკოლაში გაეგრძელებინა, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა აფხაზეთის შს სამინისტროს ოჩამჩირის რაიონის შს განყოფილების სატრანსპორტო პოლიციაში დაიწყო, რომელსაც მთელი პასუხისმგებლობის გრძნობითა და თავგანწირვით მოეკიდა. მალევე დაოჯახდა, წინ ცხოვრების დიდი და ლამაზი გზა ჰქონდა გასავლელი, მაგრამ დაიწყო აფხაზეთის ომი და ვალერიც, რაკი მამული შველას ითხოვდა, წამითაც არ დაფიქრებულა და პირნათლად, უსიტყვოდ დადგა სამშობლოს სადარაჯოზე.

1992 წლის 14 ნოემბერს კი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა - მისი ცხედარი ზღვამ გაგრის სანაპიროზე გამორიყა.

დასაფლავებულია მშობლიური სოფლის ბალდას სასასფლაოზე.

საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლა, რომელსაც შენი სიცოცხლე. შეეწირა, გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ბენდელიანი ვალერი ოთარის ძე

დაიბადა 1957 წლის 10 მარტს ოჩამჩირის რაიონის სოფ. არადუში.

ქ. სოხუმის სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ, 1977 წელს დაამთავრა მექანიკური სასწავლებელი. პინათლად მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

ვალერი უაღრესად გულთბილი, გამორჩეული მეუღლე, მამა და მეგობარი იყო. გამოირჩეოდა სიკეთიდა და ვაჟკაცობით. უზომოდ უყვარდა სამშობლო, სწორედ სამშობლოს სიყვარულმა ააღებინა იარაღი ხელში და ვაჟკაცურად იბრძოდა კიდეც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების პირველივე დღიდან. იგი მსახურობდა 24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონში, აქტიურ მონაწილეიობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, პირნათლად ასრულებდა მეთაურის ყველა საბრძოლო დავალებას, თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1993 წლის 29 თებერვალს მძიმედ დაიჭრა, 2 მარტს კი მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა. დასაფლავებულია სოფ. არადუში.

ყოველთვის გწანდეს, რომ საქართველო მხოლოდ ისეთმა ვაჟკაცებმა მოიტანეს მხრებით დღევანდლამდე, როგორისც ის იყო. მისი და მის მსგავსთა სულები მოგვიწოდებენ ისევ ვიხსნათ, გავაერთიანოთ და ავაღორძინოთ ჩვენი სამშობლო. მისი ვაჟკაცები მიხეილი და მალხაზი კი არასოდეს დაივიწყებენ გმირი მამის სახელს და საამაყო თაობას გაზრდიან ვალერი ბენდელიანის სახელით.

ბეჭვაია გიორგი დავითის ძე

დაიბადა 1961 წლის 24 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფ. დარჩელში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში ქალაქ კალინგრადში. ექვსი თვის შემდეგ გადაყვანილ იქნა ავღანეთში, რამაც მასზე უარყოფიდათ იმოქმედა, რის გამოც გარკვეული ხნის მანძილზე დეპრესიულ მდგომარეობაში იყო. გამოჯანმრთელობის შემდეგ საცხოვრებლად ქ. სოხუმში გადავიდა, მუშაობდა სამშენებლო ობიექტზე, პარალელურად სწავლობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო- სამშენებლო ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. მალევე შექმნა ოჯახი და მომავალსაც იმედიანად შეჰყურებდა, რომ არა აფხაზეთში დატრიალებული მოვლენები . . . ის უყოყმანოდ დადგა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლთა რიგებში.

1993 წლის 16 მარტის ერთ-ერთ- შეტაკების დროს გიორგი მუცლის არეში მძიმედ დაიჭრა, ბედად გადარჩა, ბუნებით უშიშარი კიდევ კიდევ უფრო მეტად დარწმუნდა შინაგანად, რომ მტრის ტყვია ვერ მოერეოდა და კვლავ ჩაება ბრძოლაში. ის ამბობდა: ჩვენი ბრძოლა აფხაზებთან წააგავს ძმების ჩხუბს, რომლებიც დედის სიყვარულში ეჯიბრებიანო, სჯეროდა, რომ საღი აზრი გაიმარჯვებდა და შერიგება მოხდებოდა . . . .

თუმცა, 1993 წლის 26 სექტემბერს სოხუმში მტრის გააფთრებული შემოტევის დროს გიორგი ბეჭვაია მორიგი საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის და სიმამაცისათვის გიორგი ბეჭვაია დაჯილდოვებულია ღირსებვის ორდენით.

დაე, თუნდ მოკვდე, არ მეშინიან

მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი

ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან

თქვან აღასრულა მან თვისი ვალი.

(ილია).

ბეჭვაია ბადრი



დაიბადა 1966 წლის 17 მარტს ქ. ოჩამჩირეში. 1973 წელს შევიდა ბაბუშერას სკოლა ინტერნატში, ამავე წელს ის მამით დაობლდა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მალევე დაოჯახდა და 1992 წლის 1 ოქტომბერს ვაჟიშვილის მამა გახდა.

ბადრი უზომოდ იყო შეყვარებული თავის მიწა-წყალზე, ამიტომაც პირველ დღეებიდანვე დადგა იქ სადაც ჭეშმარიტი ვაჟკაცი უნდა მდგარიყო. ირიცხებოდა 24-ე ბრიგადის 244-ე ბატალიონის შემადგენლობაში, მაგრამ ყველასათვის თავდადებული, ერთგული კაცის ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა.

1993 წლის 29 სექტემბერს სოფ. ოხურეისთან ერთ-ერთი შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა.

ის უშიშრად შეეგება სამშობლოსათვის სიკვდილს, ასე ულმობლად შეწყვიტა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე თავსმოხვეულმა, ძმათამკვლელმა ომმა.

გარბიან წლები, ბადრის შეწყვეტილი სიცოცხლე მის ვაჟიშვილში გრძელდება.

თემური საოცრად ჰგავს მამას, მასში ის გენი დუღს, რომელსაც გადაშენება არ უწერია.

“ქართული გენი უკვდავია,

ქართული ე5ი უძლეველია.

ბობოხიძე აკაკი ნუგზარის ძე

დაიბადა 1979 წლის 12 სექტემბერს, ახმეტის რაიონის სოფ,. მალისაანში.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად ჩაირიცხა ქაქუცა ჩიოლოყაშვილის სახელობის პოლკში 1992 წლის 10 ნოემბერს, ბრძანება N72-ის საფუძველზე.

აკაკი ბობოხიძე მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინატრე ბრძოლებნში აფხაზეთშო.

საქაღტველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიის ს/ნ 55 055-ის მეთაური პოლკოვნიკი, მისი მოადგილე ვიცე პოლკოვნიკი და თანამებრძოლები ა. ბობოხიძეს ახასიათებენ, როგორც თავდადებულ მეომარს.

1993 წლის სექტემბნერში ერთ-ეერთი შეტაკებისას მეომარი აკაკი ბობოხიძე დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

დავიღალე მოლოდინით

დავიღალე ღელვით

მაგრამ შენი დაბრუნების

იმედს ვეღარ ველევი/

შვილი დამიბრუნე,

შვილი დამიბრუნე ღმერთო/~.

(ნაზი მარტიაშვილი).

ბესიკ აწზორის ძე ბელთაზე

დაიბადა 1976 წლის 24 აპრილს ქ. სოხუმში, დაამთავრა ქ. სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა. ჰქონდა შესანიშნავი მუსიკალური სმენა. იყო სოხუმის

ახალგაზრდობის სასახლესთან არსებული ინტერნაციონალურ ბავშვთა კაპელას ერთ-ერთი წევრი, მონაწილეობა მიიღო მრავალ ფესტივალში “როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ოჯახს მრავალი მადლობა აქვს მიღებული სასახელო შვილის აღზრდისათვის. ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა და რაც ხშირად იშვიათია, ლამაზ სხეულში ლამაზი სული იყო დავანებული. მაღალი, გამხდარი, შავქოჩორა, ცისფერთვალა ჭაბუკი. დიდი გულის და სულის პატრონი. 14 წლის ასაკში 1990 წლის აგვისტოში, ინგლისში კუნძულ მენზე წაიყვანეს ფესტივალზე“.

ბესიკი ქართულ ტრადიციების დამცველ ერთგულ ოჯახში იზრდებოდა, ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა თავისი მრავალტანჯული სამშობლოს ჭირვარამი, ქართულ პატრიოტულ სიმღერებზე “შავლეგო“, “ჩემო კარგო ქვეყანავ“, “ქართველი ხელი ხმალს იკარ“ აღზრდილ ვაჟკაცს, როცა მამულს გაუჭირდა წუთითაც არ დაუფლებია ყოყმანის გრძნობა. ბესიკის ბებია აფხაზი ეროვნების ქალბატონი გახლდათ. ქალაბატონი მინუშა აგუმავა თავის შვილიშვილს ზრდიდა სამშობლოს პატრიოტული გრძნობით, როცა აფხაზეთში არეულობა მოხდა მაშინ 16 წლის იყო, აიღო ხელში იარაღი და ქართულ ჯარში ჩაეწერა.

ბესიკ ბელთაზე ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის მესამე ბატალიონში, ბოლომდე გმირულად იცავდა სოხუმს, სოხუნმის დაცემის შემდეგ კი ზუგდიდის სპეცდანიშნულების რაზმში ირიცხებოდა. სამი წელი იარაღი ხელიდან არ გაუგდია საქართველოს ერთიანობისათის გულანთებულ ჭაბუკს,. ერთხელ დედისთვის უთავამს: “დედა, მე შენ მიყვარხარ,მაგრამ სამშობლო შენზე მეტად მიყვარსო“. . . ქალბატონ ინეზა ბენიძეს კი არ სწყენია ეს სიტყვები, პირიქით სიამაყის გრძნობა დაეუფლა ამ სიტყვების შემდეგ.

1994 წლის 22 დეკემბერს ქ. გალის გამგეობის რეკომენდაციით დაინიშნა აფხაზეთის სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს რკინიგზის ობიექტების დაცვის მე-4 ათასეულის მე-2 ასეულის თანამდებობაზე სპეციალური წოდების “პოლიციის რიგითის“ მინიჭებით. სამხედრო მოქმედებების დროს ბესიკი გამოირჩეოდა დიდი თავგანწირვით. ლეგენდები დადიოდა მისი საგმირო სამხედრო მოქმედებების შესახებ. ჯერ კიდევ სიცოცხლეში 18 წლის ასაკში ბესიკი იყო ჩამოყალიბებული ჯარისკაცი.

1995 წლის იანვარში იგი მივლინებული იყო ქ. ზუგდიდში, სადაც იცავდა რკინიგზის ობიექტებს, კერძოდ, მდინარე ენგურზე გამავალ სარკინიგზო ხიდს. 1995 წლის 6 სექტემბერს, ერთ-ერთი შემოსვლის დროს, იგი სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი გალის რაიონის მხრიდან ნასროლი ტყვიის შედეგად, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა. დაკრძალულია ქ. ქუთაისში - საფიჩხიის სასასფლაოზე.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 4 სექტემბრის N 557 განკარგულებით ბესიკ ბელთაზე დაჯილდოვებულია სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობის შედეგად 111 ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

“ღიმილის ბიჭი ვიყავი,

ბეჭზე არწივი მეხატა,

19 წლისა შევსრულდი,

ოცი არ გადამეხადა,

სამშობლოს დროშა მეჭირა,

მტერს ვეცემოდი მეხადა“ . . .

იგი მუდამ, ღიმილის ბიჭდ დარჩება არამარტო ახლობლების ხსოვნაში, არამედ საქართველოს ისტორიაში.

მარად ჭაბუკად დარჩენილი ვაჟკაცი, უშვილძიროდ გადასულო ქართველო, გჯეროდეს შენი სისხლი არ შერჩება გადამთიელს, შენი სამშობლოს ცას ტყვიისფერი ღრუბელი მოსცილდება და ამაში შენი ლომის წილიც იქნება.

ბოთერაშვილი გიორგი(გოგიტა)

ბოთერაშვილი გიორგი(გოგიტა)
დაიბადა ქ. სოხუმში 1972 წლის 19 მარტს.დაამთავრა ქ. სოხუმის მე-11 საშუალო სკოლა 1989 წელს და იმავე წელს ჩაირიცხა ქ. ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. ქუთაისის უნივერსიტეტის მორაგბეთა სამეფო კლუბ "აიეტის" აქტიური წევრი იყო. აფხაზეთში დაწყებულმა საომარმა მდგომარეობამ დაფრთხე შეუქმნა საზღვრების მთლიანობას და მის მშობლიურ ქ . სოხუმს.
--"ჩემს სოხუმს უჭირსო!" თქვა მან, დროებით გადასდო სწავლილ საქმე და იარაღით ხელში ჩადგა თავის ერთადერთ უმცროს ძმასთან, კობასთან ერთად ქალაქის დამცველთა რიგებში და თვეების განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საომარ მოქმედებაში ფრონტის წინა ხაზზე.
1993 წლის 16 მარტი საბედისწერი გამოდგა მისთვის. მდინარე გუმისტასთან ყველაზე დიდი,

მასიური შემოტევის დროს ბრძოლას გმირულად შეეწირა მისი ხანმოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსიანი ლამაზი სიცოცხლე. სოხუმელი ვაჟკაცი დასაფლავებულია გულირიფშია სასაფლაოზე.
სიკვდილის შემდეგ მიენიჭა გმირის წოდება ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით და დაჯილდოებულია მედლით"მხედრული მამაცობისათვის. 21 წლის ვაჟკაცის ცხოვრების ნიშანსვეტად დარჩა მხოლოდ ორი თარიღით .....

ზურაბ ბერიძე

დაიბადა 1972 წლის 15 ივნისს ქ. სოხუმში. მეცამეტე სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა 45-ე პროფსასწავლებელში.

1992 წელს მოხალისედ ჩაეწერა სოხუმის 23-ე ბრიგადის მესამე ბატალიონში. იბრძოდა გუმისთის წინა ხაზზე სამშობლოს დასაცავად.შემდეგ გადავიდა 23-ე ბრიგადის სადაზღვეო ნაწილში მზვერავად.

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა.

1993 წლის სოფელ შრომასთან ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს მძიმედ დაიჭრა და 1994 წლის 27 ნოემბრამდე ებრძოდა სიკვდილს წყალტუბოს საავადმყოფოში.

ბექაური ბაკური

დაიბადა 1970 წელს ქ . თბილისში.ეროვნული მოზრაობის პირველივე დღიდანვე იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ერთიანობისათვის ბრZოლებში, კერძოდ აფხაზეთის რეგიონში, გაგრის მიმართულებით 1992 წლის აგვისტოს თვეში.

რაღაც განსხვავებული, ყველასაგან გამორჩეული კოლორიტი შექმნა თავის ცხოვრებაში. იყო მორიდებული , თავაზიანი. როგორც კი ეროვნულმა მოზრაობამ იფეთქა, იგი მის ტალღებს აჰყვა.

გაგრის დაცემის დროს ბაკური გაუჩინარდა გაურკვეველი მიმართულებით, მისი ვინაობა დღემდე უცნობია.

გმირები არ კვდებიან, მათ სახელს სიყვარულით და მოწიწებით წარმოთქვამს შთამომავლობა.

ბოლქვაძე ინვერ

დაიბადა 1956 წლის 22 მარტს ქ. ოჩამჩირეში. დაამთავრა ტყვარჩელის პირველი საშუალო სკოლა.პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. უმაღლესი მიიღოქ. ასტრახანში. ივერი ერმილის ძე ბოლქვაძე მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისსადგურ დრანდის რკინიგზის სადგურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

1992 წლის 14 დეკემბრიდან იგი მსახურობდა ქ. სოხუმის რკინიგზის კვანძის სამხედრო კომენდატურაში, რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადას. მისი ხელმძღვანელობით და კონტროლოთ მიმდინარეობდა სამხედრო ტექნიკის, იარაღისა და ტყვია-წამლის დროულად გატარება და ფრონტის წინა ხაზზე მიწოდება.

1993 წლის 28 სექტემბერს გულრიფშის რაიონის დაბომბვის დროს იგი დაღუპა მტრის მიერ ნასროლი ჭურვის აფეთქების შედეგად.

დასაფლავებულია გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარის სასაფლაოზე.

ბელქანია ანზორ, გელა (მამა-შვილი)

ანზორ ბელქანია დაიბადა 1948 წლის 3 აპრილს გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში.

გელა ბელქანია დაიბადა 1970 წლის 3 მარტს, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში.

დიდი და ლამაზი ოჯახი ჰქონდათ. როცა კონფლიქტი დაიწყო აფხაზეთში მთელი ოჯახი დადგა იქ, სადაც ქართველი უნდა იდგეს, სამშობლოს სადარაჯოზე.

ბელქანია ანზორ აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ჩარიცხული იყო აფხაზეთის სამხედრო პოლიციის ბატალიონის პირად შემადგენლობაში მებრძოლად 1993 წლის თებერვლიდან.

1992 წლის აგვისტოს თვეში, აფხაზეთში შექმნილი ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების უმაღლესი სკოლის ოფიცერთა და მსმენელა ერთი ჰგუფი მივლინებულ იქნა ქ. გაგრის დასაცავად, კერძოდ სოფელ კოლხიდასთან.

ბრზოლის ველზე გმირულად დაეცა ბელქანია გელა ანზორის ძე.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციის ლეიტენანტი ბელქანია გელა სიკვდილის შემდეგ მიენიჭა სპეციალური წოდება "პოლიციის ლეიტენანტი".

დიახ, მხოლოდ 22 წელი იცოცხლა...

დაკრძალულია გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში.

თქვენ თავისუფალ საქართველოსთვის იდექით მედგრად მამა-შვილი ბელქანიებო!

თეიმურაზ ბაბლიძე

დაიბადა 1969 წლის 8 აპრილს ხარაგაურის რაიონის სოფელ ჯაფარეულში. საშუალო განათლება მიიღო ხარაგაულის საშუალო სკოლაში. სემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის N 32 საშ. პროფ-სასწავლებელში. დამთავრების შემდეგ მუსაობადა ქ. თბილისში ვაგონ შემკეთებელ ქარხანაში ზეინკლად. ამ პერიოდში დაოჯახდა კიდევაც. მალევე გაიწვიეს სამხედრო სავალდებულოში, 1987-89 წ. წ.

რიგითი ბაბლიძე თეიმურაზი გაწვეული იქნა ხარაგაურის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ 1992 წლის 29 სექტემბერს, ჩარიცხული იყო ქუთაისის 21-ე მექანიზირებულ ბრიგადაში.

1992 წლის 5 ოქტომბერს უგზო-უკვლოდ დაიკარგა ქ. გაგრაში.

ბაციკაძე ზაქარია

დაიბადა ქ. გორში 1967 წლის 31 იანვარს.

მოსიყვარულე ჭეშმარიტი პატრიოტი, ამაყი სამართლიანი ოცნებობდა და შენატროდა საქართველოს ძლიერს, თავისუფალს--ვერ მოესწრო.

ის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირველი საარმიო კორპუსის გორის ს/ნ 55063-მსახურობდა. 1993 წლის 15 მაისიდან მივლინებულ იქნა აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად. ზაქარია თავდაუზოგავად იბრძოდა, ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიჭრა, დაბრუნდა მშობლიურ ქალაქაში, ჭრილობა ჯერ კიდევ კარგად მოშუშებული არ ჰქონდა, რომ ისევ გასწია აფხაზეთისკენ.

ზაქარიას უკანასკნელი სიტყვები.."დედა მაპატიე, რა ფასი აქვს ჩემს ყოფნას სახლში, როცა ჩვენი ბიჭები იქ იხოცებიანო ..."--უთხრა და წავიდა...

1993 წლის 24 სექტემბერს კი სოფელ ახალდაბასთან ერთ-ერთ საბრძოლო დავალებბის შესრულებისას იგი თავის 12 მეგობართან ერთად უგზო-უკვლოდ დაიკარგა...მერაბიშვილი ჯიმშერ, კვირიკაშვილი ღუცე, ზამანაშვილი როინ,პეტრიაშვილი ნუგზარ, შაყულაშვილი რამაზ, ჭულულაძე ზურაბ,ფალაშვილი ვანო,ონიაშვილი ალიკა, მაზნაშვილი დურმიშხანი,ქერდიყოშვილი რამაზ,გოგოლაძე მირიან,ზერეკიძე ლევან.

დიახ, უგზო-უკვლოდ და უსაფლაოდ დაკარგული მებრძოლები, მაგრამ არც ერთი უსახელოდ დაკარგულნი.

ბერიძე ზურაბი ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1973 წლის 2 დეკემბერს ქ თბილისში.

1990 წელს დაამთავრა გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშ. სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

ზურაბი თავის უპირველეს მოვალეობად მამულის დაცვა ჩათვალა. გულანთებული ვაჟკაცი, რომელიც ჯერ კიდევ 19 წლის არ იყო, უღალატო თანამებრძოლად იქცა. მებრძოლთა შორის პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებდა.

რიგითი ბერიძე ზურაბ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე საქართველოს მთლიანობის რიგებში ჩაირიცხა, 1992 წელს--საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე

ბრიგადის 117-ე ბატალიონში. მონაწილეობას ღებულობდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებშ.

1993 წლის 2 ივლისს ლაბრა- ტამიშის ბრზოლის დროს გამართულ ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მისი ბედი დღემდე უცნობია.

ბოსიკაშვილი კახაბერ

დაიბადა ქ. თბილისში 1968 წლის 8 მაისს.

სამშობლოს სიყვარული დედის რძესთან შეისისხლხორცა... უსაზღვროდ უყვარდა საქართველო და როცა აფხაზეთს გაუჭირდა თბილისელი ბიჭი კახაბერი უთქმელად ჩადგა საბღძოლო ბატალიონში.

იგი ჩაირიცხა 1992 წლის სექტემბერში, მონაწილეობდა ყველა იმ საბრძოლო ოპერაციებში, რომელიც შეასრულა ბატალიონმა აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ იბრძოდა სოფელ ლაბრაში, კინდღში, ტამიშში, შრომაში და სოხუმში.

1993 წლის სექტემბერი... მტერმა კიდევ ერთხელ დაარღვია შეთანხმება და განიარაღებულ სოხუმს შემოუტია. სოხუმი 1993 წლის 27 სექტემბერს დაეცა, მიუხედავად სიმწრისა მებრძოლები მაინც არ უთმობდნენ ქართულ მიწას მტერს...

1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმის დაცვისას უგზო-უკვლოდ იქნა დაკარგული სამშობლოსათვის თავდადებული კახაბერ ბოსიკაშვილი.

იგი დაჯილდოებულია უმაღლესი ჯილდოთი--ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

თქვენს სამარადჟამო საუფლოში უთუოდ მოაღწევს ამბავი საქართველოს გამარჯვებისა, რასაც თქვენ უყოყმანოდ შესწირეთ სიცოცხლეს.

ბერიკაშვილი შმაგი

ჭაბუკი არაგველთა ქუჩიდან....

დაიბადა 1972 წლის 3 ივლისს ბორჯომში , სამას არაგველთა ქუჩაზე. დაამთავრა ბორჯომის N6 საშ. სკოლა. სწავლობდა პროფტექნიკურ სასწავლებელში, მუშაობდა მინია ქარხანაში. მოიხადა სამხედრო-სავალდებულოსამსახური ქ. თბილისში, შინაგან ჯარის N2052-ე ბატალიონში.

შმაგი ბერიკაშვილი, დედისერთაა, შრომისმოყვარე ჭაბუკი. მამა ადრე გარდაეცვალა, დედის

გვერდით იდგა. დედას უხაროდა ერთადერთი ვაჟის წარმატებები, მაგრამ ბედის ბორბალმა სხვანაირად წაიყვანა შმაგის ბედი...მან სამშობლოს სიყვარული დედაზე წინ დააყენა და როცა სამშობლოს გაუჭირდა პირველივე დღიდანვე 1992 წლის 14 აგვისტოდან დადგა სამშობლოს დასაცავად.ჰ~ჯგუფმა, რომელშიც იყო რიგითი ბერიკაშვილი, დაიკავა საბრძოლო პოზიცია კოჩარა-ქეთევანის მიმართულებით 1992 წლის 28 ნოემბერს.

შმაგის დედის სიტყვებიდან გამომდინარე, უთქვამს ; "მე ჩემს საქართველოს თავს შემოვევლებიო."...და , მართლაც შემოევლო სამშობლოს დედისერთა ჭაბუკმა.აფხაზური ფორმირების მიერ განხორციელებული შეტევის შედეგად შინაგანი ჯარების N2052 დაიხია უკან და პირადმა შემადგენლობამ განიცადა დანაკლისი დაღუპულების, დაკარგვისა და დაჭრილების სახით. დაკარგულთა შორის იყო ბერიკაშვილი შმაგი.

უფალმა მოავლინა ბერიკაშვილი შმაგი სამას არაგველთა ქუჩაზე და სწორედ ის შევიდა სამას არაგველთა სიებში.

gagris batalionis yofili mebrZoli murman Cxotua

თამაზ ბოჯგუა და თამაზ ხუხუა.

საქართველოს ისტორიას ქართველ თავდადებულთა ბევრი მაგალითი შემოუნახავს, რომელთა კოხორტას თამამად დაამშვენებდა გაგრელი თამაზ ბოჯგუა და კოჩარელი თამაზ ხუხუას სახელები. ამ ორმა სამშობლოსათვის გულანთებულმა ვაჯკაცმა, რომელთათვისაც საფიცარი და უწმინდესი საქართველო იყო, ომის ტრაგიკულად დამთავრების შემდეგ არ მიატოვეს აფხაზეთი და დადგნენ იქ, სადაც “სისხლიანი დგას ანგელოზი“, რათა დაემკვირებინათ ვაჟკაცური სული და მხედრული შემართება. მათი გმირობის მოწმე თანამებრძოლები და ღმერთია მხოლოდ. ვისინი გამოირჩეოდნენ მაღალ პროფესიულობითა და შინაგანი სულიერი სიმტკიცით.

გაგრელმა და კოჩარელმა გმირებმა ბევრ აფსუა და გადამთიელ ბოევიკებს დაუბნელეს მზე, ბევრი ქართველის სიცოცხლე იხსნეს სიკვდილისაგან. ღმერთი ყოველთვის მათ მხარეს იყო ამ არეულ და მტრობა-ღალატით სავსე წუთისოფელში, მაგრამ . . . ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის შესრულებისას ისინი ალყაში მოექცნენ . . . საშინელი წამებით სიკვდილი გარდუვალი იყო. სეხნიებმა ერთმანეთს თვალებში ჩახედეს, უსიტყვოდ გაესაუბრნენ ერთმანეთს და საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანეს, თუმცა მანამდე გზააბნეულ აფხაზებს შოთა ნიშნიანიძის ლექსი კუდევ ერთხელ შეახსენეს:

“შენ სულ აფხაზობ, რაც არსებობს ეს, საქართელო . . .
და რაღას სწუხარ . . . აგწეწია სული რაღაზე?
ღმერთი და რჯული! საქართველო სანამ იქნება,
შენ სულ აფხაზი იქნები და სულ იაფხაზებ.
ბაგეზე ლოცვა შეჰყინვიათ ილორის ხატებს
და მათი გმინვა გარდიგარდმო ესმით მეზობლებს.
აფხაზო კაცო, შენს დაწიხლულ, უიღბლო გამდელს -
შენს საქართველოს ჩეჩნის ტყვია როგორ ესროლე?!

მაგრამ აფხაზთა სულში ბოროტი და ეშმა იყო ჩაბუდებული, მათთვის ამ სტრიქონების გახსენება მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავდა. ალყაში მოქცეულებმა “შავლეგო“შემართებით დასჭექეს ისე, როგორც მერაბ კოსტავას სჩვეოდა, იგრძნეს მერაბის ნათელი გადმოვიდა მათზე . . . დიდი ვაჟას უკვდავი სიტყვები, ტირილ-სიცილში არეული, მთელ არემარეს ფარავდა ქართული ჰანგებით გაჟღენთილი -

“სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება“.

შუბები არ ჰქონდათ, ერთმანეთისთვის რომ ეძგერებინათ. ბოლო ტყვიები ერთმანეთს დაახალეს და ჩახუტებულებმა დალიეს სული. . . მტერიც შეაშინა მათმა ვაჟკაცურმა საქციელმა და რამდენიმე საათი ვერ გაბედეს მათთან მიახლოება, შემდეგ კი ძლივს დააშორეს ერთმანეთს სამშობლოსათის გულანთებული ვაჟკაცები.

ასეთ ადამიანებს შეცოდება არ სჭირდებათ, რადგანაც მათი სული უკვდავია, სხვა ყველაფერი წარმავალია. ახლა მათი სულები აფხაზეთს იცავენ, დაბრუნებისათვის დღესაც იბრძვიან, დაბრუნებას კი მომავალი გააჩნია. . . ღმერთი სამართლიანია!

კაპრალი არტემ ბალახაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

თერთმეტ აგვისტოს, ბროწლეთში, ცხინვალთან ახლოს, მას ბოლო ბრძოლა ჰქონდა მტერთან. კაპრალი ბალახაშვილი ცხინვალში იყო, ფრონტის წინა ხაზზე, ქვეითთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უშიშარი ყოფილა. 5 დღე სიკვდილის პირისპირ იდგა, არ მარცხდებოდა. 11 აგვისტოს კი რუსის მიერ ნასროლმა კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა.

უფროსი სერჟანტი არჩილ ბერიანიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

9 აგვისტოს რუსულმა ავიაციამ იერიში გორზე მიიტანა. იმ ავბედით დღეს საქართველოს ისტორია, სამშობლოსთვის თავდადებული გმირების სახელებით, ისევ შეივსო. არჩილ ბერიანიძე გორის ნაწილის დაბომბვის დროს დაიღუპა. გული უგრძნობდა, მაგრამ წამიც არ შეყოვნებულა, ისე გავიდა ბრძოლის ველზე. დღეს მის საქმეს მეუღლე აგრძელებს, ნათია გოგიშვილმა აჩის სახელზე ფორმა ჩაიცვა.

კაპრალი იოსებ ბეჟუაშვილი

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

მე ვარ ქართველი და მაშასადამე მე ვარ ოპტიმისტი, რადგან ჭეშმარიტი ქართველი ყოველთვის იყო, არის და იქნება, ბუნებით ოპტიმისტი.

ბეროძეები---მამა-შვილი ზურაბ და მამუკა

ბეროძე მამუკა დაიბადა 1965 წლის 1 იანვარს.

სწავლობდა ქ. სოხუმის მე-11 საშ. სკოლაში. სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის სამშენებლო ინსტიტუტში განაგრძო, რომლის დამთავრებისთანავე ასპირანტურაში დარჩა და მალე სამეცნიერო ხარისხიც უნდა მიეღო. რამოდენა გზა უნდა გაელია მამუკა ბეროძეს, რამდენი სიკეთე უნდა ეთესა, ემრავლებინა გენი გალაღებულიყო სიცოცხლით.

ბეროძე მამუკა ზურაბის ძე ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის მესამე ბატალიონის მესამე ასეულის მესამე ოცეულის მეთაურად.

1993 წლის 19 სექტემბერს დაიღუპა აჩადარის მიდამოებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებისას.

როდესაც სიცოცხლით და სიყვარულით სავსე მამუკა, მორიგი შეტევიდან აღარ დაბრუნდა, აფორიაქდა ზურაბ ბეროძე, რაღა გააჩერებდა და პირმშოს საძებრად მტრის ზურგს უტია.

ზურაბ ბეროძე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მასალათა გამძლეობისა და ტექნიკური მექანიკის პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოკტორი, ასზე მეტი სამეცნიერო შრომისა და რამდენიმე მონოგრაფიული ავტორი იყო. იყო შესანიშნავი პედაგოგი, მეგობარი, თანადგომი და უანგარო მრჩეველი ჰყავდათ მის აღმზრდელებს, მეგობრებსა და ახლობლებს.. ბეროძეების ოჯახიდან სამი ვაჟკაცი გააცილა ქალბატონმა მავლინამ ქუდზე კაცით და რაღა დააკავებდათ ლომგულა ბიჭებს მამუკასა და კახას.

მამულს ზურაბ და მამუკა ბეროძეების სიცოცხლე დასჭირდა მსხვრეპლად.

მამუკა ბეროძე 1998 ლის 27 ივლისს N435 განკარგულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

ბუღაძე თენგიზ

დაიბადა 1971 წლის 26 ივლისს საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთაში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის მე-18 პროფსასწავლებელში. აფხაზეთის კონფლიქტის დროს, ''ქართველ შევარდენთა ლეგიონში.'' იყო წეშმარიტი პატრიოტი, უშიშარი, იბრძოდა გაგრაში, რომლის შემდეგ ოჩამჩირეში იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.
1993 წლის 22 აპრილს სოფელ კინდღში მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ბლიაძე თენგიზ

დაიბადა 1955 წლის 1 ივნისს ბორჯომში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რკინიგზაში მუშად. პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამსახური. ბორჯომის მეორე ჩამომსხმელ ქარხანაში მუშაობდა.
1992 წლის 27 ოქტომბრიდან ბორჯომის სამხედრო კომისარიატმა გაიწვია აფხაზეთის დასაცავად. იბრძოდა სოხუმში, საზენიტო--საარტელირიო ნაწილში.ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს დაიჭრა მარჯვენა ხელსა და ფეხში. მას შემდეგ ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

ავთანდილ ბჟალავა

დაიბადა 1948 წლის 3 თებერვალს ხობის რაიონის სოფელ პატარა ფოთში. სკოლის დამთავრების შემდეგ დაოჯახდა, საცხოვრებლად გადავიდნენ აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში. მუშაობდა ციტრუსების მეურნეობაში.
აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე ჩაირიცხა 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მე-5 ბატალიონში რიგითად.
1992 წლის 13 ნოემბერს მდინარე გულისთის მისადგომებთან ბრძოლის დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ზაზა და თეიმურაზ (ძმისშვილი და ბიძია) გაბუნიები

გაბუნია ზაზა

ჯერ 19 წლისას რ იყო....
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მეორე კურსის სტუდენტი იყო...
ორი აფხაზი გვარდიელი დაატყვევა ქალაქ სოხუმში. თეთრ ხიდთან, იარაღი აჰყარა და ორივე გაუშვა, გაოცებულმა მეგობრებმა რომ ჰკითხეს, რას აკეთებ, ზედმეტი სიკეთე იგივე ბოროტობააო, ღიმილით უპასუხაძ; რას ჰქვია ნაკლები და ზედმეტი სიკეთე, სიკეთე, ისევე როგორც ცრემლი, წუხილი, განს შიიძლება გაიზომოს ან აიწონოს?
ის გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე....

გაბუნია თეიმურაზ

სოხუმიდ მკვიდრს, 43 წლის თეიმურაზ გაბუნიას, თავისი ძმიშვილის, 19 წლის ვაჟკაცის---ზაზას გმირულად დაღუპვამ ააღებინა იარაღი ხელში. მოხალისედ ჩაეწერა 23-ე ბრიგადის მესამე ბატალიონში. 11 თვის მანძილზე იბრძოდა თავის ძმასთან---მიხეილთან ერთად.
1993 წლის 15 ივლისს მდინარე გუმისთის მისადგომებთან დაიღუპა. მიხეილმა კი სოხუმის დაცემის დღესაც არ დატოვა წმინდა საფლავები და როგორც სოხუმელები ამბობენ, 29 სექტემბერს 48 წლის ასაკში შეაკვდა მტერს.

გოგოხია სლავა

დაიბადა 1959 წელს ქ. გაგრაში. საშუალო სკოლის და სამხედრო სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ გულმა შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ გაუწია და მისი არჩევანი არავის გაჰკვირვებია, სლავა საოცრად მოწესრიგებული და სამართლიანობით იყო დაჯილდოებული. გაგრის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მუშაობა სლავამ 1982 წლიდან დაიწყო. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა განყოფილების მიერ განხორციელებულ ყველა ოპერატიულ ღონისძიებაში, ახალგაზრდა პოლიციელს მომავალი ნათელ ფერებში ეხატებოდა. ჰყავდა ლამაზი ოჯახი, ზრუნავდა თავის ორ შვილზე, ფიქრობდა მათ მომავალზე...მაგრამ აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებამ ძირფესვიანად შეცვალა მისი ცხოვრება.
1992 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ გაგრაზე აფხაზი ექსტრემისტების და გადამთიელების მძაფრი

შემოტევის დროს, შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც გაგრის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ბრძანებით გაგზავნილი იქნა სანატორიუმ "გრუზიას" მიმდინარე ტერიტორიის დასაცავად. საბრძოლო შეტაკების დროს გმირულად დაეცა ოცდაცამეტი წლის ახალგაზრდა პოლიციელი. სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის სლავა ალექსანდრეს ძე გოგოხია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

გიორგი (გუგა) რევაზის ძე გურგენიძე

დაიბადა 1965 წლის 1 იანვარს ქ.თბილისში. მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალ გია გულუას სახელობის პოლიციის სპეციალური დანიშნულების სამმართველოში.
იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. დაიღუპა 1993 წლის 4 ივლისს აფხაზეთში მდინარე გუმისთასთან მიმდინარე ბრძოლის დროს.
დაჯილდოებულია :სიცოსხლეში_ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით და გარდაცვალების შემდგომ_ მხედრული მამაცობის ორდენით.

გერაშჩენკო ნიკოლაი

წარმოშობით უკრაინელი ნიკოლაი გერაშჩენკო როსტოვიდან ძმის სისხლის ასაღებად ჩამოვიდა აფხაზეთში, მისი ძმა სოხუმელი იყო და ომის დაწყების დღიდან ქართველებთან ერთად იბრძოდა. ორივე ძმის დაღუპვის შემდეგ მათი ადგილი ქართულ ჯარში მათმა დამ დაიკავა. ეს მისი უკანასკნელი ფოტოა დაღუპვამდე რამოდენიმე წუთით ადრე. დაიღუპა 1993 წლის ივლისში.

გერაშენკო ვასილი

დაიბადა 1965 წელს ქ. სოხუმში. დაამთავრა მე-4 საშუალო სკოლა. ჩაირიცხა როსტოვის საზღვაო სასწავლებელში. მუშაობდა სოხუმის საზღვაო პორტში.

ომის დაწრების პირველივე დღეებში სამხედრო შტაბში გამოცხადდა და საქაღთველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მოტომსროლელ ბატალიონში ჩაირიცხა. საბრძოლო ოპერაციების დროს ოცეულის სნაიპერი იყო.

1993 წლის მარტის შუა რიცხვებში სოხუმის შტურმოთ აღება დაიგეგმა. იერიში 15 მარტს გამთენიისას დაიწყო. სამი ყუმბარა ესროლა ზედიზედ, მტერი გაანადგურა და თვითონაც ბრძოლის ველზე დარჩა.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით “მხედრული მაკაცობისათვის“.

უმცროსი სერჟანტი ილია გაბუნია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.
ის გმირია, რომელიც შინდისის მიწაზე დაეცა. მტრის ალყას თავი ვერ დააღწია და საუკუნოდ შეუერთდა საქართველოსთვის თავდადებული გმირების რიგებს. ოჯახი დღეს მისთვის ლოცულობს, “ვნატრობ იმ დღეს, როცა იმერში გადავინაცვლებ და ჩავეკონები ჩემს მოუსიყვარულებლად დაღუპულ შვილს, ილოს” – გმირის დედა შვილთან შეხვედრას ელოდება.
თეა ოქროპირაშვილი, მეუღლე: “გვეუბნებოდა ომში არ ვარო. 8 აგვისტოს დამირეკა და ისევ მომატყუა, კარგად ვარო. ბოლოს კი 11 აგვისტოს დავუკავშირდით და ვკითხე სად იყო, მითხრა: გორში ვართ, ბრძანებას ველოდებით და სამშვიდობოს გამოვდივართო. ამის შემდეგ არაფერი ვიცოდი.
როგორც გვითხრეს, 11 აგვისტოს მტრის ალყაში მოექცნენ შინდისში, ვერ გამოსულან, სწორედ მაშინ არის დაღუპული. ილია შინდისში იპოვეს გარდაცვლილი. მისი გადმოსვენება პატრიარქის დახმარებით მოხდა. 17 აგვისტოს ჩამოვასვენეთ და საღამოსვე წესის აგებით დავასაფლავეთ. ჩვენთვის ჯოჯოხეთი იყო ამის გაგება. როცა მოგვენატრება, მაშინ დიდ დარდთან, ყოველი ნუგეში ამაოა.”
ილია გაბუნია 1975 წელს ვანის რაიონის სოფელ ზედა გორაში დაიბადა. ოჯახს ეიმედებოდა, ისიც ყოველთვის გვერდში ედგა, შრომისმოყვარე ყოფილა, არანაირ სამუშაოს არ თაკილობდაო, იხსენებს მეუღლე.
თეა ოქროპირაშვილი, მეუღლე: “საქართველოს ისტორია ჰყვარებია. მეფეთა საგმირო ამბები იტაცებდა თურმე. სკოლის დამთავრების შემდეგ გაუწვევიათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ქუთაისში გაუვლია სავალდებულო სამსახური. იქ მოწინავე ჯარისკაცის სახელი ჰქონდა. 2008 წელს კონტრაქტს მოაწერა ხელი. ყველა ვუშლიდით, მაგრამ მას გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. სენაკის საინჟინრო ბატალიონში მოხვდა. კონტრაქტის გაფორმებიდან კი 4 თვეში ეს უბედურება დაგვატყდა თავს.
1997 წელს დავოჯახდით სიყვარულით, სამი შვილი გვყავს. ძალიან თბილი და მოსიყვარულე მეუღლე და მამა იყო. “
ობლად დარჩენილ შვილებს, მამის გარეშე ცხოვრება უჭირთ, დედა ამხნევებს შვილებს, ხშირად ახსენებს მათ, რომ გმირი მამის შვილების საპატიო წოდება აქვთ.

რეზერვისტი შალვა გაბუნია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.
მტერმა სენაკის ბაზის დაბომბვა რომ დაიწყო, ის არც დაჭრილა, არც დაღუპულა. დაჭრილები გამოჰყავდა, მესამე შესვლისას მოხვდა ანასხლეტი. მოხვდა არტერიაში და… გათავდა ერთი

ქართველი ბიჭის სიცოცხლე, ის არ იყო გამობრძმედილი მეომარი, ის იყო 19 წლის სტუდენტი ბიჭი, დღე-დღეზე ქუვეითში რომ უნდა წასულიყო არაბული ენის შესასწავლად და ქუვეითის ნაცვლად საკუთარი ფეხით რომ ჩავიდა სენაკის ბაზაზე – როგორც შეშვენოდა, მისი აზრით, რეზერვისტს. დღეს შალვა გაბუნია უკვე მამულისთვის დაღუპულ გმირთა დასშია.
თავის დროზე, დედამისს რომ ეუბნებოდნენ, გამორჩეული შვილი გყავსო, არ იმჩნევდა. დედას საყვედურობდნენ. დედაც თავს იმართლებდა: რა იყო, ერთი ჩვეულებრივი ბიჭიაო. ახლაღა ხვდება, რომ ჩვეულებრივი კი არა, გმირი გაუზრდია.
შალვა გაბუნია ფოთში დაიბადა 1989 წელს. ოჯახში პირველი შვილი იყო.

სერგო (ემზარი) ათმურზას ძე გუჯეჯიანი

დაიბადა 1951 წლის 20 დეკემბერს, გულრიფშის რაიონში. 1968 წელს წარჩინებით დაამთავრა აჭარის საშუალო სკოლა. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1980 წელს ასევე წარმატებით დაამთავრა ზემოთხსენებული უმაღლესი სასწავლებელი. 1982 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ქ. სოხუმში, სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტულ ქარხანაში მთავარ ინჟინრად.1993 წლის 3 იანვარს გმირულად დაიღუპა ოჩამჩირის რაიონში, სოფელ კვიტოულთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ხელჩართულ ბრძოლაში. დარჩა მეუღლე და ორი შვილი.
საბრძოლო მოკლე ისტორია კი ასეთია: ოჩამჩირის რაიონში მიმავალ საბრძოლო ჯგუფის მეთაურობა სერგო გუჯეჯიანს დაევალა. საბრძოლო ჯგუფი ძირითადად ბატალიონ „მშვიდობის ლეგიონის" მებრძოლებისგან შედგებოდა. 1993 წლის 3 იანვარი თენდებოდა, როცა მტერმა დიდი ძალებით შემოუტიათ. პირველად ***გუგა ჯოხაძე*** დაიღუპა, შემდეგი ***შუქრი მარგიანი*** იყო. ბიჭების დაღუპვით გამწარებულმა სერგომ სიცოცხლე არ დაიშურა და მტერს მთელი ძალით შეუტია. მსგავსი რამ მხოლოდ კინოფილმებში გვენახაო -იხსენებდნენ შემდეგ მისი თანამებრძოლები, ჟერლო ფირცხელიანი, პალიკო

ახალაია და სხვები. სერგო ამ ბრძოლის დროს ორი ჭრილობა მიიღო, დაჭრილი იყო ხელში და ფეხში. ბატალიონი მაშველს ელოდა, მაგრამ მაშველი იგვიანებდა. სერგომ გადაწყვიტა იქვე ჩამავალი ღელით მტერს უკნიდან მიპარვოდა. მიუხედავად იმისა, რომ თანამებრძოლებმა ეს გადაწყვეტილება არ მოუწონეს, სერგომ არავის დაუჯერა და მოკლე ხანში მტრის ზურგში აღმოჩნდა. ცეცხლი გაუხსნა და ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს მაშველი მოვიდა. მტერმა უკან დაიხია, ბატალიონის დარჩენილი წევრები გადარჩნენ, თუმცა საბედისწერო წუთმაც არ დააყოვნა, "სნაიპერის" მიერ ნასროლი მესამე ტყვია სასიკვდილო აღმოჩნდა მისთვის.1993 წლის 14 იანვრის "აფხაზეთის ხმა" იუწყებოდა "მშვიდობის ლეგიონის" ბიჭების, დაღუპვის ამბავს, სერგო გუჯეჯიანზე კი წერდა: "ბოლო წუთამდე ბიჭებზე ფიქრობდი და ამხნევებდი, შენმა ნასროლმა ტყვიამ არაერთ დაქირავებულ მკვლელს დაუბნელა თვალები, მაგრამ შენც იმ ბრძოლამ შეგიწირა"!

აი ასეთია მოკლე ისტორია კარგი ქართველისა და ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანის – სერგო ათმურზას ძე გუჯეჯიანის.

ერმინე აქსენტის ძე გუჯეჯიანი

1955-1993

ბორია დავითას ძე გერლიანი

1960-1992

დაიღუპა 1992 წლის 3 ნოემბერს სოფელ კამანთან, ჩეჩენთა ბატალიონის შემოტევის დროს.

ოთარ გერლიანი

დაიბადა 1963 წლის 30 სექტემბერს გულრიფშის რ.ნი სოფ. გვანდრაში. ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის მე_2 ბატალიონის მე_2 ასეულში.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდის მე_3 ბრიგადის, მე_2 ბატალიონში მსროლელ ყუმბარმტყორცნად. მიღებული აქვს მონაწილეობა ბატალიონის მიერ ჩატარებული საბრძოლო ოპერაციებში.

1994 წლის სექტემბერში აფხაზ-სეპარატისტთა შემოტევის დროს ნაღმსარტყორციდან ნასროლი ჭურვის აფეთქების შედეგად მისი ნამსხვრევებით მიღებული მძიმე ჭრილობებისგან დაეცა ბრძოლის ველზე.

სამშობლოს დაცვისა და მთლიანობისთვის ბრძოლაში გმირობის, მამაცობისა და თავდადებისთვის დაჯილდოვებულია სიკვდილის შემდეგ მედლით ,,მხედრული მამაცობისთვის".

გოგრიჭიანი კობა

ჩემი ტკივილი საქრთველო....

დღეს მათ ვიგონებთ,

როგორც ცოტნეს, როგორც დემეტრეს,
როგორც თევდორეს,
და გულჩათხრობილ მეფე ერეკლეს!

საამაყო და სასიხარულოა, აღზარდო შვილი, რომელიც ათასობით მის თანატოლებთან ერთად ერთგულად დგას სამშობლოს სადარაჯოზე. დიახაც!
ამიტომ აცილებდნენ ჭაბუკებს არმიაში სამსახურისთვის....
ასე გააცილეს 1984 წელს 19 წლის სოხუმელი ჭაბუკი, კობა გოგრიჭიანი. იგი სანიმუშოდ იხდის მოვალეობას დედა სამშობლოს წინაშე.
კობა დაიბადა 1965 წლის 2 დეკემბერს ქ. სოხუმში. ამავე ქალაქის ა.მ. ჭოჭუას სახელობის მე-17 საშუალო სკოლაში სწავლობდა. 8 კლასი რომ დაასრულა ჩაირიცხა ინდუსტრიულ ტექნიკუმში,

რომელიც 1984 წელს დაამთავრა.
"სეკუნდისათვის ბრძოლაში"----ასე ჰქვია ჩანახატს, რომელიც 1984 წლის 9 ოქტომბერს დაიბეჭდა იმ სამხედრო გაზეთში, სადაც კობა გოგრეჭიანი მსახურობდა.
კობა მუშაობდა სააქციო საზოგადოება "ორგტექნიკ-ის" ამწყობ მექანიკურ საამქროში. იყო მე-6 თანრიგის ხარატი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი. საამქროს ყველა თანამშრომლისთვის მაგალითის მიმცემი, მეგობრული და მოსიყვარულე, უღალატო ადამიანი.
კობა ჯიბის ძე გოგრიჭიანი ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის, ბატალიონ "ცხუმში".1992 წლის ოქტომბრის თვიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ცატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. პირნათლად ასრულებდა მეთაურის ყველა დავალებებს. 1993 წლის 17 სექტემბერს მდინარე გულისთის მიდამოებში /უჩხოზი/, მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს კობა უგზო-უკვლოდ დაიკარგა.
ომის გმირებს არ უხდებათ დარდი, გოდება,
მათ ხსენებაზე თითქოს თვალში შუქი ბინდდება,
ერთადერთი ხმამაღალი რიხიანი თქმა,

მათ სახელს და გვარს
უკვდავება, ვაშა, დიდება!

გოდერძი გუჯეჯიანი

დაიბადა 1975 წლის 7 სექტემბერს, გულრიფშის რაიონი სოფელ გვანდრაში. სკოლა დაამთავრა 1991 წელს და მალე აფხაზეთის კომფლიქტი დაიწყო. პირველი მსხვერპლი დედამისი გახდა მათ ოჯახში. ხუთი შვილის დედა დაბომბვის შედეგად დაიღუპა. ყველაზე უფროსი 18 წლის გოდერძი გახლდათ, რომელმაც იარაღი აისხა და მებრძოლთა ჯგუფის ,,მონადირეს" წევრი გახდა.

ვაჟკაცურად იბრძოდა და სოხუმის დაცემის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა. კოდორის ხეობას იცავდა, მაგრამ 1993 წლის 24 ნოემბერს სოფ. ბაგადასთან მტრის ძლიერი შემოტევის დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ მოხერხდა მისი ნეშტის გადმოსვენება სოფ. გვანდრაში.

გოდერძი გუჯეჯიანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის" ორდენით.

ადამ ვარლამის ძე გვიჩიანი

მე-8 ბატალიონის III ასეული

დაიბადა 1964 წელს ქ. სოხუმში. 1981 წელს დაამთავრა ს. შრომის საშუალო სკოლა. პარალელურად ეწეოდა სპორტს, იყო ძიუდოს კლუბის აქტიური წევრი. 1982-1985 წლებში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური ქ. სევოსტოპოლის საზღვაო ფლოტში. 1986 წელს ჩაირიცხა ქ. ლვოვის სატყეო-ტექნიკური სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1988 წელს შექმნა ოჯახი.
1992 წელს, როცა დაიწყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, ადამ გვიჩიანმა მიატოვა უკრაინა და შეუერთდა მისი თანასოფლელების ასეულს, სადაც დაინიშნა ოცმეთაურად. ომის დაწყებიდან რამოდენიმე დღეში ადამ გვიჩიანმა ორ თანამებრძოლთან ერთად, ორი აფხაზი მებძოლი განაიარაღა და ტყვედ აიყვანა. შემდგომ ეს ბოევიკები ცენტრალურ შტაბში იყვნენ გადაყვანილი.

1993 წლის 5 ივლისს, ადამ გვიჩიანი #2 საგუშაგოზე მორიგეობდა მისი ოცეულის 7 კაციან ჯგუფთან ერთად. ეს საგუშაგო კამანი-ამზარის ხიდთან იყო განლაგებული. მცირერიცხოვანმა ჯგუფმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, მაგრამ იცოდნენ, რომ დიდხანს ვერ გაძლებდნენ. ადამ გვიჩიანმა თანამებრძოლებს უბრძანა ეცადათ საგუშაგოს დატოვება და სხვა უახლოეს საგუშაგოზე გადასვლა. რამოდენიმემ მოახერხა, ორი მებრძოლი დაიჭრა და შემდეგ ტყვეობაში აღმოჩნდნენ. ადამი დაეხმარა თანამებრძოლებს საგუშაგოდან გასვლაში, თვითონ კი ადგილი არ მიუტოვებია, მხოლოდ ღმერთია მოწმე, თუ რამდენ ხანს უმკლავდებოდა მტერს, ცხადია ის, რომ გმირულად დაიღუპა ამავე საგუშაგოზე მტერთან ბრძოლაში.ადამ გვიჩიანს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი"

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გამსახურდია
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი.

მე-8 ბატალიონის III ასეული

დაიბადა 1947 წლის 30 აგვისტოს, სოფელ კამანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური საბჭოთა არმიაში, რომელიც დაამთავრა 1968 წელს. ჯარის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კამანში არსებულ მარმარილოს კარიერში. 1992 წელს, მასაც მოუწია იარაღის აღება, როგორც ყველა ქართველს. დაიკავა ადგილი თანასოფლელებთან ერთად სამშობლოს სადარაჯოზე. 1993 წლის 5 ივლისს ალექსანდრე პირველ საგუშაგოზე იდგა. სხვა თანამებრძოლებთან ერთად ამ საგუშაგოზე იყო მისი მეუღლე მერი პაკელიანიც, რომელმაც წინა დღეებში მცირე წლოვანი შვილები იქაურობას გაარიდა და წინა დღეს უკან დაბრუნდა, მეუღლეს გვერდში დაუდგა. მათი საგუშაგო (საერთო საცხოვრებლის პირველი სართული) სოფლის ბოლოში, ოდნავ ამაღლებულ ადგილას, ეკლესიასთან ახლოს იყო, საიდანაც იგერიებდნენ

მდინარეზე გადმოსულ მტერს. მათი თავშესაფარი მტრის ჭურვებისგან უკვე იწვოდა და კამანელები ეძებდნენ გამოსავალს. მათ შორის კიდევ ერთი მანდილოსანი იბრძოდა და გადაწყვიტეს ქალები მაინც გაცლოდათ იქაურობას, გადარჩენის მიზნით და ეკლესიისთვის შეეფარათ თავი. პირველი მერი გაეშურა, სხვები მტრის მიმართულებით ისვროდნენ, რათა მერის მოესწრო უსაფრთხოდ მისვლა დანიშნულების ადგილამდე. თუმცა მტერს ამ დროისთვის უკვე სამ მხრიდან ალყაში მოექციათ მათი საგუშაგო. მერიმ ეკლესიის ეზოს კარებამდე მიაღწია მხოლოდ და დაიჭრა, ის ეზოს შესასვლელშივე დაეცა. ეს მძიმე სურათი მისი მეუღლის თვალს არ გამოპარვია და ალექსანდრეს სიცოცხლე უკვე სულიერად აქ დასრულდა!

ბრძოლა ისევ გრძელდებოდა და ამ საგუშაგოზე ისედაც მცირერიცხოვანი მებრძოლი სულ შეთხელდა. არავის არ უნახია ალექსანდრეს ბოლო წუთები, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მეუღლეს სიკვდილის მერე თვითონაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე იბრძოლა და გმირულად შესწირა თავი მეუღლის, კამანის და სამშობლოს სიყვარულს!

გუნტერ (მიზდონ) გულედანი

მე-8 ბატალიონის III ასეული

დაიბადა მესტიაში 1942 წლის 5 იანვარს. სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური მოლდავეთში. ჯარის შემდეგ მუშაობდა მესტიის სამგზავრო ავტობუსის მძღოლად. 80-იან წლებში ოჯახით გადავიდა საცხოვრებლად სოხუმის რ/ნ სოფ. კამანში. გუნტერ გულედანი იყო ტექნიკის მოყვარული და თითქმის ნებისმიერი ტრანსპორტის კონსტრუქციაში საკმაოდ განვითარებული. აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე, როგორც ყველა კამანელი, ისიც ჩაება ამ ბრძოლებში და გვერდში ამოუდგა მის თანასოფლელებს. მისი პრაქტიკა და ტოქნიკის ცოდნა კამანელებს ომის პერიოდშიც გამოადგათ, მან და ჯ. გადრანმა ააწყვეს და მოძრაობაში მოიყვანეს მიგდებული ძველი სატვირთო ა/მანქანა და მის ძარაზე დაამონტაჟეს მხედრიონის მიერ მოტანილი და გზაზე უპატრონოდ მიგდებული „ნურსი"-ის ჭურვსასროლი დანადგარი, რომელიც ვერტმფრენებზე არი ხოლმე დამონტაჟებული. ამ საბრძოლო მანქანით

კამანელები ახდენდნენ ზემო ეშერაში განლაგებულ მტრის სანგრების დაბომბვას. 1993 წლის 5 ივლისს გუნტერ გულედანი I საგუშაგოზე იმყოფებოდა. სროლების და შემოტევების დროს მას და ჯ. გადრანს უნდა დაეკავათ ადგილი ძველი კორპუსის III სართულზე, სადაც ჰქონდათ დამონტაჟებული საბრძოლო იარაღი, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი ე.წ. „дшк" სწორედ ამ დღეს დილის 5 საათზე დაიწყო ფართემასშტაბიანი შემოტევა კამანზე. ჯ. გადრანმა და გ. გულედანმა გადაწყვიტეს დაეკავებინათ მათზე მინდობილი ადგილი, საითაც სროლა-სროლით იკვალავდნენ გზას. სმწუხაროდ გუნტერ გულედანმა დანიშნულ ადგილამდე ვერ მიაღწია. გუნტერ გულედანი სხვა დაღუპულ თანამებრძოლებთან ერთად, ერთი თვის შემდეგ გადასვენებულ იქნა სოხუმის ძმათა სასაფლაოზე.

ელგუჯა მინას ძე გვიჩიანი

მე-8 ბატალიონის III ასეული

დაიბადა 1932 წლის 7 ივლისს, მესტიის რ/ნ სოფ ლატალში. 1953 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამავე წლიდან იწყებს მუშაობას სოხუმის რ/ნ სოფელ ამზარის დაწყებით სკოლაში. 1954-1956 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური ქ. მოსკოვში. 1956 წელს გააგრძელა მუშაობა იგივე სკოლაში დირექტორის თანამდებობით. 1988-1990 წლებში მუშაობდა აფხაზეთის დემოგრაფიული საბჭოს თავმჯდომარედ. იყო „ლემი"-ს ნაფიცთა საბჭოს ერთერთი დამაარსებელი. 1990-1993 წლებში იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. 1992-93 წლებში აფხაზეთის ომის პერიოდში ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის III ასეულის ოცმეთაურად. 1992 წლის შემოდგომაზე ჩვენი მოწინააღმდეგე ცდილობდა სოხუმზე იერიში სხვა

მიმართულებიდან განეხორციელებინათ, რისი მზადებაც კამანელმა მზვერავებმა შეამჩნიეს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, წლების უკან სატყეო მეურნეობის მიერ სოხუმჰესიდან გუდაუთის მიმართულებით გზა იყო გაყვანილი, ამ დროისთვის კი გამოუყენებელი და ყველასგან მივიწყებული. თუმცა აფხაზებს და რუსებს ახსოვდათ და სწორედ მათ გამოიყენეს ეს გზა მძიმე ტექნიკის შემოსაყვანად. ელგუჯა გვიჩიანმა აცნობა ცენტრალურ შტაბს მოსალოდნელი შემოტევის შესახებ, მაგრამ მას არავინ დაუჯერა, რადგან ამის წარმოდგენა ბევრისთვის ძნელი იყო. დაუჯერებლობის შედეგი კი 3 ნოემბერს დაგვატყდა თავს, რომელიც 400 მებრძოლისგან შემდგარი, ჩეჩენთა ბატალიონმა განახორციელა.

1993 წლის 5 ივლისს სოფ. კამანში მიმდინარე ბრძოლის დროს ელგუჯა გვიჩიანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ელგუჯა გვიჩიანს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი (ბრძ.# 00102 4.12.1994 წ.)

ზურა გურჩიანი



,,მამა, მე მჯერა, შენ რომ ჩემხელა იქნებოდი, შენც ჩემსავით მოიქცეოდი... ისე მოიქეცი, ომში კი არა, სადმე ლხინში გეგულებოდე -მე თუ მკითხავ, ყველაზე მთავარი საქმე ქართველი კაცისთვის არის აქ დგომა და ამ უტეხი ხალხის დაცვა. მე ამას ყველა ქართველი კაცის ვალად ვთვლი. ისტორიკოსი ხარ და გეცოდინება, რომ ხალხი, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა სამშობლოსათვის, გმირებად იქცნენ...

ეს ფრაგმენტები 1993 წლის 5 ივლისს კამანში დაღუპული 22 წლის ზურა გურჩიანის მიერ აფხაზეთის ომიდან გამოგზავნილი, ნაჩქარევად დაწერილი წერილიდანაა, რომელსაც იგი მესტიის რაიონის სოფელ ეცერში მცხოვრებ მამას უგზავნის. დედისერთა შვილისგან მხოლოდ ეს წერილი და ფოტო დარჩათ მშობლებს. სოხუმის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, უყოყმანოდ დადგა აფხაზეთის დამცველთა გვერდით. "წერილს უყვარს ლამაზი სიტყვებიო"... ხანდახან ცხოვრებასაც ტრაგიკული, მაგრამ იმდენი ლამაზი დასასრული აქვს, ასეთ სიკვდილზე იტყვიან ხოლმე "სიცოცხლე შვენობს შენითაო'" - ოცდაორი წლის ზურა კამანელთა მხარდამხარ ვაჟკაცურად იბრძოდა, დაიჭრა კიდეც, ნამსხვრევებმა ფეხი გადაუმტვრიეს, სანამ შეეძლო, მაინც იბრძოდა, და ბოლოს, როცა ბრძოლის ველზე ოცი კამანელი უკვე დაეცა, აფხაზები კი სოფელში იყვნენ შემოსულები, მტრის ხელში ცოცხლად ჩავარდნას სიკვდილი არჩია... ხელყუმბარით აიფეთქა თავი.

ასე ფიქრობდნენ სხვებიც... ასე სჯეროდათ, ასე სწამდათ სხვა კამანელ გმირებსაც... ასე ლამაზად ვაჟკაცურად დაიღუპნენ ისინი... "წერილს უყვარს ლამაზი სიტყვები", ვაჟკაცებს გმირობა უხდებათ, გმირებს დავიწყება არც არასდროს არ უწერიათ...

გერასიმენკო სერგეი პეტრეს ძე.

დაბადებულია 1958 წლის 27 სექტემბერს. საქართველოს მხედრიონის წევრი.
ცოლშვილიანი. იბრძოდა თავდადებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

1993 26 სექტემბერს გმირის სიკვდილით დაიღუპა სოხუმის დაცვის დროს. უკვე დაჭრილმა გადაიხვია თავი და როდესაც გაისმა ბრძანება სიმაღლის აღების შესახებ სადაც მტერი შევიდა ანძასთან მაინც გადაეშვა ბრძოლაში.დაკრძალულია თბილისში პეტრე პავლეს სასაფლაოზე. დაჯილდოებული იყო სიცოცხლეშივე ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.გერასიმენკო სერგეი პეტრეს ძე. დაბადებული 1958 27 სექტემბერს. საქართველოს მხედრიონის წევრი. ცოლშვილიანი. იბრძოდა თავდადებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. 1993 26 სექტემბერს გმირის სიკვდილით დაიღუპა სოხუმის დაცვის დროს. უკვე დაჭრილმა გადაიხვია თავი და როდესაც გაისმა ბრძანება სიმაღლის აღების შესახებ სადაც მტერი შევიდა ანძასთან მაინც გადაეშვა ბრძოლაში.დაკრძალულია თბილისში პეტრე პავლეს სასაფლაოზე. დაჯილდოებული იყო სიცოცხლეშივე ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

გაბროშვილი გიორგი

დაიბადა ქ. თბილისში 1970 წლის 7 ნოემბერს.1977-1987 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 182-ე საშუალო სკოლაში.1987 წელს მუშაობა დაიწყო ,,ამიერკავკასიის ტრანსმშენის“ ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატში მუშად.1988-1990 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩეხოსლოვაკიაში.1991-1993 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური კოლეჯის საამშენებლო ფაკულტეტზე.გიორგი გულაზის ძე გაბროშვილი 1993 წლის 6 ივლისიდან იბრძოდა

საქართველოს ტერიტპორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში. იბრძოდა სამხედრო ნაწილ ის 10143-ის პრად შემადგენლობასტან ერთად მოხალისედ.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს,1993 წლის 24 სექტემბერს ქ. სოხუმში დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

გოგრეჭიანი იოსებ

დაიბადა ქ. თბილისში 1971 წლის 21 ნოემბერს.1988 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 173-ე საშ. სკოლა.1991 წელს ჩაირიცხა საქართველოს საინჟინრო-ეკონომიურ ინსტიტუტში.1992 წლიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.აფახეთში შეიარაღებული კონფლიქტის

დროს, 1993 წლის 20 სეტემბერს სოფელ იაშტუღასთან დაიღუპა გმირულად. სავარაუდოდ დაკრძალულია სოფელ იაშტუღაში.დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით

გაბესკირია გურამი

დაიბადა 1947 წლის 2 მარტს ქ. სოხუმში. 1954–1965 წლებში სწავლობდა სოხუმის მე–14 საშუალო სკოლაში. 7 წლიდან გატაცებული იყო ფეხბურთით.1966–1971 წლებში სწავლობდა სოხუმის მ. გორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. 1965 წელს საფეხბურთო კარიერა დაიწყო სოხუმის გუნდ ,,დინამო"–ში და იყო ერთ–ერთი წამყვანი ფეხბურთელი.1972 წლიდან იყო რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ხოლო 1980 წლიდან დაინიშნა საკავშირო კატეგორიის მსაჯად.1987 წლიდან მუშაობდა ქ. სოხუმში თევზკომბინატის დირექტორად. 1989 წელს პირველმა ქართულ–აფხაზურმა კონფლიქტმა გამოიწვია სოხუმის საფეხბურთო გუნდ ,,დინამო"–ს დაშლა. ამის შემდეგ გურამ გაბესკირიას ინიციატივით ჩამოყალიბდა ახალი გუნდი ქ. სოხუმის ,,ცხუმი", რომლის პირველი პრეზიდენტი თავად გახლდათ.1990 წლიდან არჩეული იქნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად.1992 წელს საომარი მოქმედებების პერიოდში დაინიშნა ქ. სოხუმის მერად. იყო აფაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრი და მიენიჭა სამხედრო წოდება – პოლკოვნიკი.

აფხაზეთის ომმა გმირობის მრავალი ფაქტი დეააფიქსირა. სამშობლოსათვის თავგანწირული ბევრი მებრძოლი დიდების შარავანდით შეიმოსა.

გურამ გაბესკირია! - კაცი ინდივიდი და კაცი პიროვნება1 ჩვეულებრივი იყო მისი ბიოგრაფია, ვიდრე 1993 წლის 27 სექტემბერი დადგებოდა.

27 სექტემბერი ეს არის არა მხოლოდ ისტორია, არამედ თღითოეულუ ჩვენგანის ცხოვრების ნაწილი, ჩვენი მებრძოლების დღე ვინც გმირულად იცავდა აფხაზეთში სამშობლოს.

27 სექტემბერი . . . ცეცხლის ალში გახვეული სოხუმი და ასეთ უმძიუმეს დროს ქალაქის მერად არჩეული გურამი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვაკლეობას. ადვილი არ იყო, ომის, არეულობის, განიკუთხაობის ჟამს ქალაქის მერობა, იმ ქალაქისა, რომელშიც ქართველების გვერდით სხვა ეროვნების ადამიანებიც ცხოვრობენ.

დაეცა სოხუმი, მინისტრთა საბჭოს შენობის აღებისას გადამთიელებმა გურამიც დაატყვევეს, მტრის ხროვას ერთი კაციმკვლელი გამოეყო, გურამს წინ დაუდგა და უბრძანა: **დაიჩოქე**!, მან უპასუხა – **„Никогда в жизни.!"**

მოკლე პასუხი მისი სასიკვდილო განაჩენი ოყო . . .

ქალაქი დაეცა! დაეცა ქალაქის მერი.

სიკვდილის შემდეგ გურამ გაბესკირია დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა

მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია

სანამ გმირმა შენთვის სული გალია

სთქვა “სამშობლო უპირველეს ყოვლისა“.

გ. ტაბიძე

გვასალია რუსლან

დაიბადა ქ. სოხუმში 1976 წლის 8 ნოემბერს.1982-1991 წლებში სწავლობდა ქ. სოხუმის მე-15 საშუალო სკოლაში.1991 წელს სწავლა გააგრძელა სოხუმის პროფ-ტექნიკუმში და დამთავრების შემდეგ მუშაობდა ავტომანქანების პროფილაქტიკაში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 26 სექტემბერს ქ. სოხუმში დაიკარგა უგზო-უკვლოდ.მეგობრები ,,მალიშა"-ს ეძახდნენ.

გრიგალაშვილი მალხაზ

დაიბადა 1972 წლის 15 ივნისს ბორჯომში.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 27 ნოემბერს დაიკარგა უგზო-უკვლოდ სოფელ ქეთევანასთან.

გოგოხია ოთარ

დაიბადა 1957 წლის 23 აპრილს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშში.1973 წელს დაამთავრა ტამიშის რუსული საშუალო სკოლა. 1973-1975 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ვაზიანში.1976-1979 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალში.1979 წელს დაოჯახდა (მეუღლე - ლიანა მარგანჯია) და შეეძინა სამი შვილი. ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ქ. სოხუმში. მუშაობდა სოხუმის საკონსერვო ქარხანაში .აფხაზეთში შეიარაღებული კონფიქტის დროს, 1993 წლის 19 სექტემბერს, სოფელ გუმისთასთან დაიღუპა გმირულად. საფლავი დღემდე უცნობია.დაჯილდოვებულია ვ. გორგასლის სახელობის II ხარისხის ორდენით.

ბორის გორონოვი

ბორის გორონოვი წარმოშობით ოდესელი იყო.

დაიბადა 1966 წლის 1 ოქტომბერს ქალაქ ოდესაში.

11 წლის ასაკში დაეღუპა მშობლები (მამა კაპიტანი იყო. სიმსივით გარდაიცვალა, დედა ავარიით).

სოხუმელმა მამიდამ გაზარდა ძმისშვილი. ქ. სოხუმში მიიღო სწავლა-განათლება, ოჯახიც შექმნა. ის გახლდათ უბრალო, ალამართალი, უღალატო, სამშობლოზე შყვარებული ადამიანი, რომელსაც აფხაზეთთან მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობები აკავშირებდა. უამრავი ქართველი და აფხაზი მეგობარი ყავდა. განსაკუთრებით კი ქართველ მეგობრებთან - ბესიკ აბულაძესთან და მამუკა ციკოლიასთან იყო შეხმატკბილებული.

როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო, გვერდით ამოუდგა ქართველ ბიჭებს.

1993 წლის 16 სექტემბერის დილა. სოხუმში ეშბას ქუჩაზე, მკვდრისებული სიჩუმეა, ჭიშკარში ბესიკ აბულაძე შემორბის აქოშინებული და მამუკა ციკოლიას, თავის მამიდაშვილს შორიდან ეძახის:

- ჩქარა მოემზადე, შტაბში გვიბარებენ!

ბიჭები ჭიშკარს გასცდნენ და სადგურისკენ გარბიან . . .

დაღმართში მოსხვევთან ბორის გორონოვი შემოხვდათ.

- მეც თქვენთან ერთად მოვდივარ! - გაუღიმა აჩქარებულ მეგობრებს.

- ბორის, შენ ნუ წამოხვალ, არ გაპატიებენ. . . შენ ხომ რუსი ხარ“ - უთხრა ბესიკმა.
- მეც ხომ აქაური ვარ . . . მევალება. . . .

- არა ბორის, აქმდე ჩვენს გვერდით იბრძოდი . . . მაგრამ ახლა არ წამოხვიდე . . . არ გვინდა თავი დაიღუპო. . . უთხრა ბესიკმა.
- ბიჭებო, თქვენს მხარეზე სიმართლეა. . . თქვენ არც რუსები გძულთ და არც თქვენი სისხლის აფხაზები. . . თქვენ საბჭოურ ძალებს ებრძვით საქართველოს თავისუფლებისათვის . . . ეს ვიცი მე. . . ამიტომ ვარ თქვენს გვერდით . . .

- არ გაპატიებენ, ბორის!. . . მათ ყველაფერი იციან . . .
- ვიცი! აქვე. ქალაქში, რამოდენიმე ადგილასაა განლაგებული მათი ნაწილები. ვითომ გუდაუთიდან მოდიან? ეს ხომ სიცრუეა! ეს ხომ სიცრუეა! - აღშფოთდა ბორისი.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ისინი ჯარსკაცებით სავსე ავტომანქანის ძარაძე ისხდნენ და მტრის დასახვედრად მიემართებოდნენ შტაბიდან გამოტანილი ავტომატებით ხელში.

იმავე დღეს ბესიკ აბულაძე შეეწირა მტრის ტყვიას . . .

მოგვიანებვით ბორიოს გორონინი იპოვეს ქუჩაში განგმირული . . .

ცხოვრება გრძელდება. ბორის გოროხოვის მეუღლე ქ-ნი ვალია თავის ქალ-ვაჟს იურა და ლიუდას ზრდის რუსეთში და საქართველოს სიყვარულს ასწავ;ლის. მათი ოცნებაა ოდესმე ყვავილებით მოფინონ მამის საფლავი აფხაზეთში.

მუდამ ჟამს იყოს მისი ხსენება! მისი საფლავი აფხაზეთშია, მისი სახელი უკვდავია.

გია გვილავა

დაიბადა 1967 წლის 27 აპრილს გულრიფშის რაიონის სოფ. დრანდაში. დაამთავრა ა. თოდუას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. მუშაობდა დრანდის კავშირგაბმულობაში. სავალდებულო სამხედრო სამსახური მადლობებითა და ჯილდოებით მოიხადა. ლიმიტიც ჩამოიტანა უმაღლესში ჩასაბარებლად. მამა ადრე გარდაეცვალა და მთელი სიმძიმე თვითონ იკისრა თავის თავზე.

გია ბავშვობიდანვე განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენდა მეგობრებისა და ახლობლების მიმართ, უყვარდა სპორტი. თამაშობდა კალათბურთს. ოჯახში იყო ზრდილობიანი და მშობლების პატივცემული. უყვარდა თავის ეზოს და სახლ-კარის კეთილმოწყობა, ოჯახში ტოლ ამხანაგების მოწვევა და პატივისცემა.

ომის დაწყების პირველივე დღიდანვე იქ დადგა, სადაც საქართველოს ვაჟკაცებს ეკუთვნოდათ. გია გვილავა მსახურობდა სოხუმის ცალკეულ ბატალიონის ს/ნ 2061-ს რიგებში1992 წლის 15 დეკემბრიდან. გია მებრძოლებში გამოირჩეოდა, როგორც უდიდესი პასუხისმგებლის მქონე პიროვნება. საქმისადმი პრინციპული, გულისხმიერი, სამშობლოს

უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი. 26 წლის გმირმა ვერ მოასწრო დაქორწინება, სამაგიეროთ მოასწრო კაცური კვალის დატოვება და სამშობლოსათვის სიყვარული.

შინაგანი ჯარების სოხუმის ცალკე ბატალიონის მებრძოლებს 1993 წლის 25 ივლისს ტამიშთან მოულოდნელად სისხლისმღვრელი ბრძოლაში მოუხდათ ჩაბმა. მტრის ხუთგზის ჭარბმა ძალებმა 25 კაციან ჯგუფს ყოველი მხრიდა მოუჭრა გზა. სროლების შედეგად დაიღუპა 25 მებრძოლი, მათ შორის გია გვილავა, რომელიც არ დანებდა სეპარატისტებს, გახსნილი ყუმბარით აიფეთქა თავი.

გიამ და მისმა ბიჭებმა მოიხადეს წმინდათაწმინდა ვალი დედაშვილობისა და ხალხის საკუთარი მშობლების წინაშე და უკვდავების ბინადარი გახდნენ.

მათი მარადიული ხსოვნა დღეს უქრობ სანთლებად ანთია, სისხლით მოპოვებულ გმირობას მღერიან: “მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია . . .

მათ არაგველთა გმირობა გამოიჩინეს:

სამშობლოს ღირსებას გმირულად იცავდნენ: ზემდეგი ბიჭიკო ბედიკოს ძე ახალაია, რიგითი გურამ ბედიკოს ძე ახალაია, ზემდეგი დავით ნოდარის ძე ბებია, ზემდეგი ნოდარ კლიმენტის ძე ბეჭვაია, ზემდეგი მურთაზ ნოდარის ძე გაბიძაშვილი, რიგითი ვასო ვლადიმერის ძე გახარია, ზემდეგი გია იურის ძე გვილავა, ზემდეგი ლევან ილიას ძე გულჩიანი, ზემდეგი რევაზ აკაკის ძე დარსანია, რიგითი ბადრი გურამის ზე თორდინავა, რიგითი ედემ ვარლამის ძე კარტოზია, ზემდეგი ოლიგ დავითის ძე ლოლაზე, ზემდეგი მერაბ ანგის ძე მაჩაიძე, ზემდეგი რევაზ ანგის ძე მაჩაიძე, ზემდეგი გურამ ელიზბარის ძე ნაროუშვილი, ზემდეგი ზურაბ ალექსანდრეს ძე სხულუხია, რიგითი თენგიზ არველოდის ძე ტყებუჩავა, ზემდეგი ნუგზარ ალექსანდრეს ძე ქობალავა, ზემდეგი კობა ვლადიმერის ძე ქრისტესაშვილი, ზემდეგი სოსო ვალიკოს ძე ყაჩალავა, რიგითი აბელ ვასილის ძე ყურაშვილი, ზემდეგი რომან მიხეილის ძე შოგირაძე, რიგითი მამუკა მიხეილის ძე შონია, ზემდეგი ლერი გიორგის ძე წივილაშვილი, ზემდეგი ზურაბ სოსოს ძე წიქარიძე.

ტყვედ დანებება აზრადაც არავის მისვლია. 25 მებრძოლი მამაცურად სისხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ. სამასი არაგველის მსგავსად იმ დღეს ბრძოლის ველიდან ცოცხალი არცერთი აღარ დაბრუნებულა.

სამშობლოს ღირსებას გმირულად იცავდა 25 მებრძოლი, ვაჟკაცები, პატრიოტული სულისკვეთებით განწირული მეომრები.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი პირადი მამაცობისა და მხედრული ვალის შესრულებისათვის, გაბედული მოქმედებებისა და თავდადებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოთი: მედლით “მხედრული მამაცობისათვის“.

ვერც ერთი მედალი თუ სამხედრო წოდება, ვერ მოაშუშებს იარას სახელად - გია გვილავა.

მის მაგალითზე პატრიოტულ სულისკვეთებით უნდა აღიზარდოს ალგეთის ლეკვები. გიას ხომ შვილები არ დარჩენია . . . მისი დანატოვარი ამ ქვეყნად მხოლოდ სამშობლოს მოყვარე , კაი ყმის სახელია.

გიორგელიძე ზურაბი.

დაიბადა 1967 წლის 14 აგვისტოს სოხუმის რაიონის სოფ. კამანში.

აფხაზეთში ომის მიმდინარეობის პერიოდში მან თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს ეროვნებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ასეულის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. პირნათლად ასრულებდა მეთაურის მიერ დავალებულ საბრძოლო დავალებებს.

ზურაბიმ თავი გამოიჩინა 1992 წლის 3 ნოემბერს, როცა მტერმა გაარღვია ახალშენის მისადგომენი და შემოუტია უკვე შრომის მისადგომებს. ამ ბრძოლაში გიორბელიძემ თავის ასეულის თანამებრძოლებთან ერთად არა ერთი მტრის მებრძოლი გაანადგურა. აგრეთვე მისი და მისი თანამებრძოლების მამცობით იყო მოგერიებული არა მარტო ერთი შემოტევა სოფ. კამანზე.

ბარიერთან,მ ბარიერთან

დგას წარსული ფერგამკრთალი . . .

რომ ამბობენ, დრო კურნავსო,

არ ყოფილა ის მართალი.

ბარიერთან დგას სიცოცხლე,

ამაყი და დაუმცხრალი. . .

იქ სიკვდილი მობრძანდება

უფერული, ნირწამხდარი.

(დიეტა აბშილავა).

1993 წლის 05 ივლისს დიდი ძალით შემოუტია მტერმა სოფ. კამანსაც. ამ უთანასწორო ბრძოლაში 9 საათიან ბრძოლის შემდეგ გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე სოფ. კამანში.

ერთი თვის შემდეგ იყო გადმოსვენება ბრძოლის ველიდან და დასაფლავებულია ქ. სოხუმში ჩანბას სასაფლაოზე.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით “მხედრული მამაცობისათვის“.

დიდი წარსულით, დიდი მომავლით

ქართველი შენი, შენი მკვდარია. . .

ჩვენი წარსულით, ჩვენი მომავ;ლით

ჩვენ თავი სხვისთვის არ შეგვიდრია

გთხოვ, მომიტევი, ღმერთო უფალო!

ქართველი ისე, ისე დიდია! . . .

(დიეტა აბშილავა).

ზურაბ გიორგაძე

გოგუაძე ზვიადი

დაიბადა ქ963 წლის 30 მარტს ქ. სოხუმში. ზვიადი პატარაობიოდანვე ნიჭიერი ბავშვი იყო. ბევრს კითხულობდა, ანმიტომაც სასიამოვნო მოსაუბრე იყო. სპეტაკი, პატრიოსანი, ერთგული - ასე ახასიათებენ მას ნაცნობ - მეგობრები. დაამთავრა ქ. სოხუმის მე-11 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების სემდეგ ჩაირიცხა ქ. თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუtში, მანქანამშენებლობის ფაკულტეტზე.

მას უყვარდა სიცოცხლე და მამული . . . როდესაც აფხაზეთი, საქრთველოს ეს ძირძველი მიწა, ცეცხლის ალში გაეხვია, ზვიადმა გადაწყვიტა დამდგარიყო იქ, სადაც სამშობლოს ბედი წყდებოდა. ამ მიზნით ის ჩაირიცხა 23-ე ბრიგადის ბატალიონ “ცხუმის“ პირად შემადგენლობაში რიგით მებრძოლად. (ბრძანება N6 255, რიგ.5. 04.07.1993 წ.).

ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, მეთაურთა ბრძანებებს ასრულებდა პირნათლად, თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

ყოველთვის წინა ხაზისკენ მიიწევდა, სადაც კი მისი ბატალიონი იბრძოდა - აჩადარასტან, ფუნიკულიორთან . . .

ერთ-ერთი ბრძოლის დროს, 1993 წლის 26 სექტემბნერს დაიჭრა ფუნიკულიორის მისადგომებთან. ჭუბერის გზით თანამებრძოლებმა გადმოიყვანეს ზუგდიდის საავადმყოფოში, რის შედეგადაც მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1994 წლის 06 სექტემბერს გარდაიცვალა თავის ტვინის დაჟეჟილობის გამო.

მთელი ავადმყოფობის პერიოდში მას არ გაუხდია სამხედრო ფორმა, და სწორედ ამ სამხედრო ფორმაში ის გადავიდა ყუკვდავებში. . . მეტად კეთილი, სათნო და ამავე დროს ვაჟკაცური ბუნების გახლდათ.

დაიღუპა ისე, რომ გვარის გამამგრძელწბელიც არ დარჩენია.

საკუთარი მიწის დაცვას ვაჟკაცურად შეეწირა.

ავთანდილ გოგინავა

დაიბადა გულრიფშის რაიონის სოფ. ფშაფში.

მამულზე უსაზღვროდ შეყვარებული, ჭეშმარიტი რაინდი, პრინციპული, უშიშარი. ავთანდილს იმედი ჰქონდა მის პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს, ლამაზად დაწყებულ ცხოვრებას ლამაზი დასასრული ექნებოდა. და ამ რწმენით - 1992 წელს როცა აფხაზეთის კონფლიქტი დაიწყო , ძალიან შეშფოთებული იყო.

იგი ჩაერიცხა 23-ე ბრიგადის მე--5 მოტომსროლელ ბატალიონში, სადაც სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით მეთაურისგან, მებრძოლებისგან. თავისი თვალით ხედავდა აფხაზეთის ტრაგედიას. მას გული ტკიოდა თავისი კუთხის, რადგან ის იბრძოდა ყველა ერის ხალხთან. მას არასდროს გაურჩევია ეროვნება. მაგრამ მის ერს და კუთხეს შეეხეს, არ პატიობს და იცავს საქართველოს მთლიან კუთხეს. თანაც დააყოლებდა: “გავა დრო, შემდეგ სულ გაირკვევა, ვის ჭირდებოდა გათიშვა ერის. ვის ჭირდებოდა ძმათა სისხლისღვრა, ძმა რომ გაგვიხდა ძმისავე მტერი“

ხიფათით აღსავსე საბრძოლო გზა განვლეს ვაჟკაცებმა. მათ შორის ავთანდილ გოგინავამ. 1993 წელს ერთ-ერთ სოხუმის მისადგომებთან ვაჟკაცურად დაეცა ბრძოლის ველზე. წავიდა ვაჟკაცი სიცოცხლემოწყურებული, სამშობლოსათვის თავდადებული.

თითქოს აქ დამთავრდა მათი სიცოცხლე. . . არა და არა! “ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!“

სამშობლო არ დაკარგავს თავდადებული ბიჭების ხსოვნას.

“დედა უძღოდა იმ ცხრა ძმას ომში,
ხელში ხმლით და ქართული დროშით,
გემუდარები, ღმერთო მიმრავლე,
ცხრა ძმის დედები დღევანდელ დროშიც“!

პოეტი ეთერ აფაქიძე.

გოლეთიანი თენგიზი

დაიბადა1972 წლის 3 დეკემბერს, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალი კინდღში.
 აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, გოლეთიანი თენგიზი ჟორას ძე ირიცხება 23-ე ბრიგადის მე--5 ბატალიონში, რიგითად.
ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლიო ოპერაციებში, მეთაურთა ბრძანებებს ასრულებდა პირნათლად, თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. ის იყო უაღრესად კეთილი, პატიოსანი, ენერგიული მუშაკი. სიყვარული, პატივისცემა და აღიარება არ მოკლებია მეგობრებისგან. თავადაც სიკეთისა და ღიმილს აფრქვევდა. რამდენი სითბო შეეძლო მიეცა გარშემომყოფთათვის, რაოდენ დასანანია, რომ ასეთი პიროვნება დღეს, ცოცხალთა რიგებში აღარ არის და რომ მას ასეთი მწარე სიკვდილი ერგო.
1993 წლის 3 დეკემბერს ათარა აფხაზსკაიასთან ერთ-ერთი შეტაკების დროს მტრის მიერ გასროლილი ტყვიით იქნა მოკლული, გოლეთიანი თენგიზი ჟორას ძე - თანამებრძოლების მიერ იქნა გამოტანილი ბრძოლის ველიდან და დასაფლავებულია მის სოფელ ახალ კინდღში.

ნათელი ყოფილიყოს მისი სული.

ვაჟკაცს უხდების აბჯარი,
სამკაულები ესლასა!
მართლაც ლომგული ვაჟკაცი,
არ დაიმარხვისა ჭალასა!. . .
ჭიუხებს შემოაკვდების,
ღრუბლებს დაუწყებს თამაშსა!. . .
მტერთან სიკვდილი ასჯერა
უჯობს სიკვდილი ჭამასა!...
(ბეტა აბშილავა)

გვასალია ინგა იურის ასული

დაიბადა 1967 წლის 17 იანვარს გულრიფშის რაიონის სოფ. დრანდაში.

1973 წელს შევიდა სოფ. დარანდის ა.ე. თოდუას სახელობის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1983 წელს.

1984 წელს ჩაირიცხა თბილისის სავაჭრო ტექნიკუმში საქონელმცოდნეს ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1988 წელს. დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა მშობლიურ რაიონში და მუშაობა დაიწყო მაღაზიაში გამგე-გამყიდველად.

ინგა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა გამბედაობითა და სიმამაცით. იყო ძალზე კეთილი და თავმდაბალი, ვერ იტანდა უსამართლობას. მთელი მისი ახალგაზრდობა სიკეთისა და გულისხმიერების სიმბოლო იყო.

ქართველი ერის ბევრი საამაყო შვილი, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, აფხაზეთის ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას შეეწირა, როგორც ჭაბუკები, ასევე ახალგაზრდა მანდილოსნები და სწორედ მათ შორის იყო ინგა იურის ასული გვასალია, რომელიც აფხაზეთში მინდინარე საომარი მოქმედებების დროს ჩარიცხული იყო 23-ე საარმიო კორპუსის საინჟინრო მესანგრეთა ასეულში მედდად.

მან თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს ერთიანობისათვის და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც აწარმოებდა საინჟინრო მესანგრეთა ასეული. ინგა ყოველთვის ცხელ ხაზზე იდგა მებრძოლებთან ერთად, თავისი შეძლებისდაგვარად არც ერთ დაჭრილს არ ტოვებდა ბრძოლის ველზე. უშიშრად და მედგრად ემსახურებოდა მათ.

მას ქალაქი არ დაუტოვებია, იბრძოდა სიცოცხლის ბოლო წუთამდე და 1993 წლის 29 სექტემბერს იგი გმირულად დაიღუპა სოფ. დრანდაში.

დედებო, ჩვენი გჯეროდეთ,
გვესხა სიმართლის ფრთები,
ცუდად არ ჩაიმეწყრება
ბრძოლით გავლილი გზები.
სამშობლოც ფრთებად მიისხამს
სისხლით ჩათესილ ყვავილს
და დაგხურავენ ღირსელს
გმირის გამზრდელ მანდილს.

ნუცა აბულაძე

გუგეშაშვილი მირიანი

კაცი კაცობით ფასდება,
მამულიშვილი კი მაულიშვილობით. . .

დაიბადა ქ. ონში 1967 წლის 12 დეკემბერს. 1968 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა გაგრაში, სოფ კოლხიდაში.

1974-1984 წლებში სწავლობდა გაგრის N1 საშუალო სკოლაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური ბელორისის ქალაქ ბაბრუისკში.

სამხედრო სამსახური მოხდის შემდეგ სწავლობდა ქ. ორჯონიკიძის სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში გეოლოგიის ფაკულტეტზე.

მოძმეთა ღალატი ჯერ კიდევ სტუდენტობის დასაწყისში გამოსცადა მირიანმა. ორჯონიკიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი იძულებული გახდა თბილისის ანალოგიურ ინსტიტუტის სტუდენტი გამხდარიყო.

1992 წლის 14 აგვისტო. . .

1992 წლის 18 აგვისტოდან მირიან გუგესაშვილი ირიცხება ქ. გაგრის ბატალიონში.

გადამთიელიელნი გაგრას უტევენ.

საქართველოში ომია . . .

იღვრება ვაჟკაცთა სისხლი, ძაძებით იმოსება ოჯახები. ვაი, რა ძნელია ამ ქვეყნიდან უდროვოოდ წასულ ახალგაზრდებზე წერა. . .

მებრძოლთა ერთ-ერთი ჯგუფი გაგრის ცენტრალურ ქუჩაზე დინჯად, ბრძოლით იხევდა უკან და მშვიდობიან თანაქალაქელებს გაქცევის საშუალებას აძლევდა. ეს მირიან გუგეშაშვილის ჯგუფია.

1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრელები სტადიონისკენ დაიძრნენ, სადაც ადრე ჩვენი შვეულმფრენები სხდებოდნენ. იქ ელოდნენ შველას, მაგრამ ჩასაფრებული გადამთიელები სწორედ იქ ახლიდნენ ტყვიას. მირიანმა ხელისგულივით იცოდა სტადიონის შემოგარენი. ქალაქის ახალგაზრდული ნაკრების წევრ ს ამ სტადიონზე გატანილი გოლის შემდეგ არაერთხელ მისევიან მოსახვევნად ქართველი, აფხაზი, რუსი, სომეხი თანაგუნდელნი. აქ გამოსტაცა მირიანმა ორი დაჭრილი მეომარი ჯოჯოხეთურ ხოცვა-ჟლეტას, უკან დაბრუნდა და მტრის ტყვიამ უწია.

არ დაინდეს ქალი, კაცი,
ცრემლები მდის მწარე,.
ღმერთო!
მალე ჩამახუტე,
კვლავ, აფხაზი და-ძმა.

ასეთი იყო მირიან გუგეშაშვილი . . . მას უყვარდა თავისი ქალაქის ყველა ერი-ბერი.

არ გვიჭამია მტრის ჯავრი,
არ დავმალვულვარ სანგარში.
დედულ-მამულზე ფიქრებით,
ველარ ვისვენებთ საფლავში.

თანამმებრძოლები სიამაყით ყვებიან მირიანის ვაჟკაცობაზე. 25 წლის გმირმა ვერ მოასწრო დაქორწინება, სამაგიეროდ მოასწრო კაცური კვალის დატოვება და სამშობლოსათვის სიკვდილი.

თუ ბრძოლა გქონდა,
მეც გახლდი,
თავს არ ვზოგავდი შენთვის,
სამშობლოვ!
ბრძოლა თუ გქონდა,
სადაც არ მოვკვდი შენთვის?!~
სიკვდილს ყოვეთვის შეიძლებს
კოლხი მხედარი შენთვის!

ერთი კეთილშობილი აფხაზის დახმარებით წამოიღო დედამ, ქალბატონმა ლიანამ მისი გვამი პროზექტურიდან და კოლხიდაში, საკუთარ ეზოში, უკვე გადაბუგული სახლის გვერდით დამარხა.

ამ დროს, მირიანის მამა, გურამი, “თეთრი არწივის“ მებრძოლთა ჯგუფთან ერთად ალყაში მოქცეული, გაფრთებით ებრძოდა მტერს იმ საქართველოსთვის, რომელსაც მისი ერთად ერთი ვაჟი მირიანი ცოცხალი ეგულებოდა. შვილის დაღუპვის ამბავი, თბილისში გაიგო ტყვეობიდან სასწაულებრივ თავდაღწეული მეუღლისგან.

ქალბატონ ლიანას შვილის სიკვდილის შემდეგ, მეუღლეც არ დაჩა, მაგრამ დარჩა გმირი ქმარ-შვილის სახელი, სახელი რომელსაც საქართველო არ ივიწყებს . . . დარჩა სამშობლო . . . რისთვისაც გასწირეს თავისი ლამაზი სიცოცხლე.

ასე გმირულად შესწირა მამა-შვილმა თავისი მშობლიური ქალაქისა და საქართველოს მთლიანობის დაცვას.

საქართველოს დიდებისათვის თავდადებულ მამულიშვილებს ჩვენ მუდამ ცოცხლად მოვიგონებთ! მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულებზე დაყრილი ქართული მიწა.

პოეტი ბიეტა აბშილავა.

გასვიანი ზურაბი

დაიბადა 1967 წლის 20 ოქტომბერს გულრიფშის რაიონში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პირნათლად ,ოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსხური, სადაც დაეუფლა ბრძოლის პროფესიას. მუშაობდა მშობლიურ სოფელ წებელდის მეურნეობაში მძღოლად.

დაოჯახდა, ბედნიერ მომავალზე ოცნებობდა, მაგრამ აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ ხელში იარაღი ააღებინა და მოხალისედ ჩაეწერა 23-ე ბრიგადის მე-7 ბატალიონის მესამე ასეულის მეორე ოცეულში, სადაც დაინიშნა ოცეულის მეთაურის მოადგილედ. მას უშიშარ, თავდადებულ მებრძოლად მოიხსენიებენ თანამებრძოლები.

ზურაბს მეორე ქალიშვილი ამ პერიოდში შეეძინა, გახარებული ომის დამთავრებაზე ოცნებობდა, რომ მესამე ვაჟიშვილი ყოლოდა, მაგრამ ვაი მასეთ ოცნედას, რომ არ დასცალდა. მტრის ულმობელმა ტყვიამ 1993 წლის 19 თებერვალს სიცოცხლე მოუსწრაფა.
.
ერთი კი დაუყვირია: “ვაიმე, დედა, მომკლესო!“ . . .

ამ უაზრო ომმა რამდენ აფხაზ და ქართველ ვაჟკაცებს ააღრიალებინა “ვაი, დედა“!

ეჰ, უკუღმართია, მოულოდნელობებითაა სავსე ომის გზები.

მას ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ამ წლების განმავლობაში ზურაბის დედა - ნანი გასვიანი მიჯაჭვულია უფალთან და შესთხოვს უფალს შვილის საფლავს;

“ღმერთო! გააშექე, გადახედე, დაუკვირდი აფხაზეთს,
ხომ გრძნობ კარგად, მას აკლდა ქართველი სითბო,
ღმერთო, ღმერთო შენ გვიშველე, ჩვენ მიწა გვიხმობს“.

რამდენი ტკივილი, ცრემლი და დარდი მოუტანა ამ ომმა აფხაზებსა და ქართველებს.

გიგანი აზრეთი

აზრეთ გიგანი დაბად[illegible]ული გულრიფშის რაი[illegible]ში 19[illegible]
ბრძოლისას 1993 წელს

დაიბად 1944 წელს გულრიფშის რაიონში

აზრეთ გიგანს ახასიათებენ მე-5 ბატალიონის მებრძოლები - ძალიან თბილი, მომთმენი, ალერსიანი, ხანდახან ჩაფიქრებული. თავის მებრძოლებში სარგებლობდა დადებითი ავტორიტეტით.

აფხაზეთის ომის დაწყების დღიდანვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

მონაწილეობდა ყველა მნიშვნელოვან ბრძოლებში, რომლებიც გაიმართა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

მე-5 ბატალიაონის თავგანწირული ბრძოლა ომის მიმდინარეობის პერიოდში, ჭეშმარული მაგალითია ქართველი კაცის შენაგანი, გაუტეხელი ბუნებისა, რომლის დამარცხება შეიძლება მოხდეს მხოლოდ არაორდინარულ პირობებში.

ერთ-ერთ დაჯგუფება, რომელიც ჩამოყალიბდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. აძიუბჟაში, მდ. კოდორის მარცხენა მხარეს მდებარეობდა. აძიუბჟას უშუალოდ ემეზობლება სოფელი ვარჩე, რომელიც კოდორის მარჯვენა სანაპიროს მიუყვება და შავ ზღვამდე გრძელდება.

კოდორის ხიდზე ბრძოლისას თავი გამოიჩინა აზრეთ გიგანმა. მას ბრძოლა ერთი წუთირაც არ მიუტოვებია თუნდაც იმ რთულ ბრძოლაში, 1993 წლის ოპერაციის დროს აზრეთ გიგავი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მან პირნათლად მოიხადა ვალი მამულის წინაშე, რისთვისაც თავისი მეგობარ-ნათესავებში უკვდავი სახელი დატოვა. მამა-შვილი იბრძოდნენ ერთად. ერთად დატოვეს სული მშობლიურ ქვეყანაში.

მსუბუქი იყოს შენს ვაჟკაცურ გულზე დაყრილი მშობლიური მიწა, გწამდეს, მის ერთ გოჯსაც არ დავანებებთ გადამთიელებს.

ახლა მოწყენილს გიმზერ შორიდან.
ვიცი, უჩვენოდ გული გიტირის,
ჩვენ კი ერთი გზა დაგვრჩა ორიდან
ან შენთან ყოფნა, ანდა - სიკვდილი

სიმონ ზაქარაია.

ზაქრო გიგანი

დაიბადა 1971 წელს გულრიფშის რაიონის სოფ. ვარჩეში.

ზაქრო გიგანი იყო აზრეთ გიგანის ვაჟიშვილი. მამა-შვილი ომის დაწყების დღიდანვე ერთად უმშვენებდნენ მხარს, ამოუდგა გვერდში და შიშის ზარს სცემდა მტერს.

ზაქრო გიგანი, მიუხედავად პატარა წლოვანებისა, იყო თავისი საქმის მცოდნე, გაბედული და უშიშარი მებრძოლი. სიცოცხლით სავსე, მუდამ მხიარული. ზაქარია - ასე ეზახდნენ ნაცნობ - მეგობრები, სიკეთიდა და ვაჟკაცობით გამოიჩეოდა თანატოლებში.

1992 წელს ზაქრო გიგანი დაიღუპა სოფ. აფხაზურ ათარაში. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია მედლით “მხედრული მამაცობისათვის“.

მარად ჭაბუკად დარჩენილი ვაჯკაცებო, გჯეროდეთ თქვენი სამშობლოს ცას ტყვიისფერი ღრუბელი მოსცილდება და ამაში თქვენი ლომის წილიც იქნება.

გალუაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე



დაიბადა 1967 წლის 10 იქნვარს1. თბილისში.

საქართვრლოს შსს შინაგანი ჯარების სამხედერო ნაწილ 2054-ში ჩაირიცხა 1993 წლის 3 მარტს, ბრძანება N 21.

1993 წლის 2 ივნისს საქართელოს შსს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს სარდლის ბრძანებისა და ს/ნ მეთაურის ბრძანების N 8-ს საფუძველზე იგი მივლინებულ იქნა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

1993 წლის 2 ივლისს ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინდღში მოწინააღმდეგემ ტექნიკისა და ცოცხალი ძალის წყალობით ალყაში მოაქცია სოფ. კინდღი. ალექსანდრე გალუაშვილი ვაჟკაცურად იგერიებდა მტრის შემოტევას ცხრა საათის განმავლობაში. მოწინაარმდეგის ბრძანებაზე, რომ დაეყარათ იარაღი, მან და მისმა ჯარისკაცებმა სროლით უპასუხეს. მან ტყვეობას ვაჟკაცური სიკვდილი ამჯობინა. ალყის გარღვევის დროს ალექსანდრე გალუაშვილი გმირულად დაიღუპა სოფ. კინდღში 2 ივლისს საქართელოს ერთიანობის შესანარჩუნებლად.

ალექსანდრე გალუაშვილი საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 22 დეკემბრის N 1657 განკარგულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით.

დათო გრიგოლია

დაიბადა 1971 წლის 15 იანვარს ქ. თბილისში.

მე-2 ბრიგადის 114-ე ბატალიონის “ავაზას“ მებრძოლი დავით გრიგოლია ბატალიონთან ერთად 1992 წლის 1 დეკემბრიდან იბრძოდა აფხაზეთის რეგიონში. მონაწილეობას რებულობდა სოფ. ლაბრისა და ტამიშის განთავისუფლებაში.

საბედისწერო აღმოჩნდა დათო გრიგოლიასთვის 22 სექტემბრის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლველად წასვლა.

სოხუმის ალმოდებულ თვითმფრინავში ჩაიფერფლა დედისერთა ვაჟის სიცოცხლე.

იგი დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ)

დიდება იმათ, ვინც ამ ბრძოლაში
მომხდურის ტანი ცეცხლად დაფერფლა,
უძვიფასესი სიცოცხლე თვისი
სამშობლოს დაცვას გადააფარა.

ახლა, როდესაც ვერაგი მტერი
ქართველი ერის, დაპყრობას ცდილობს,
გავერთიანდეთ! კვლავ ერთად ვიყოთ,
რათა სამშობლო გადავადჩინოთ.

უკვდავდება მათი სახელი,
ვიდრე ამ ქვეყნად ქართველი ცოცხლობს,
ქართველი ხალხი მათზე მლოცველი
იმათ გმირობას, მომავალს ამცნობს.

ქართველი ერი, მშვიდობის მომხრე,
არ ვის სამშობლოს არ ეცილება,
მუდამ საკუთარ სამშობლოს დაცვას
გმირული შრომით შეეწირება.

დიდება მათ! ძვირფასს მშობლებს
გმირთა შვილების დიად აღმზრდელებს
ქართველი ერი ვიდრე იცოცხლებს,
ასეთ მშობლებზე მუდამ იღოცებს.

ნარგიზა (ნაზი) მარტიაშვილი
გმირი გია მარტიაშვილის დედა.

გიორგაძე გენადი

დაიბადა 1963 წლის 8 მაისს ქ. სოხუმში.

1973 წელს დაამთავრა გულრიფშის საშუალო სკოლა.

1981 წელს გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რომელიც პირნათლად მოიხადა 1983 წელს.

გიორგაძე გენადი გერასიმეს ძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის პირველი მოტომსროლელთა ბატალიონის რიგებში ირიცხებოდა 1982 წლის 25 სექტემბრიდან. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს მან თავი გამოიჩინა, როგორცსაქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ერთგულმა და მამაცმა მებრძოლმა. იგი მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბძოლო ოპერაციებში სადაც, მისი გმირული მოქმედებები იქნა აღნიშნული. სახელმწიფოს მეთაურის მიერ დაჯილდოებული იყო მედლით მხედრული მამაცობისათვის.

1993 წლის 24 სექტემბერს მტრის მიერ განხორციელებული შემოტევის დროს სოფელ იაშტუხაში მტრის მიერ გასროლილი ჭურვების შედეგად იგი მძიმედ იქნა დაჭრილი.

საბრძოლო ველიდან იგი გადაყვანილ იქნა გულრიფშის რაიონში სადაც მძიმე ჭრილობების შედეგად იგი გარდაიცვალა და დაკრძალულია გულრიფშის რაიონის სოფ. მიასნიკოვში.

ღირსეული კვალი დატოვა ამ ქვეყანაზე გმირული, მათელიუ თავისი გვარის საკადრისი.

ნოდარ გიგლემიანი

დაიბადა 1958 წლის 23 მარტს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეიში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1989 წელს შეირთო აფხაზი ეროვნების ქალბატონი. ჰყავს ორი შვილი.

992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის კონფლიქტის დროს ჩაირიცხა 24-ე ბრიგადის 240-ე ბატალიონში და ომის პირველივე დღიდანვე ჩაება ომში. ის იყო პატიოსანი და კეთილსინდისიერი მეომარი. უყვარდა მასზე დავალებული დავალების პირნათლად შესრულება, რითაც დაიმსახურა, როგორც ბატალიონის მეთაურთა ასევე თანამებრძოლთა სიყვარული. მონაწილეობას ღებულობდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშთან, მერკულასთან და ბესლახუბაში გამართულ საბრძოლო ოპერაციებში. იყო მამაცი და უშიშარი მებრძოლი.

1992 წლის 30 სექტემბერს, როდესაც გიგლემიანი ნოდარი დიმიდტრის ძე- ასრულებდა ბრძანებას, მოხვდა ჩასაფრებული მტრის ალყაში, სადაც იგი მხედრულად იქნა დაცხრილული ავტომატური იარაღის ჯერით. მოწინააღმდეგემ მისი ცხედრის გატაცება ვერ მოასწრო, ხოლო თანამებრძოლებმა, რომლებიც მის დასახმარებლად მოვიდნენ შემთხვევის ადგილზე, ბრძოლის ადგილიდან გამოასვენეს მისი ცხედარი და დაასაფლავეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეიში.

ვასილ (თემურ) გაბუნია

დაიბადა 1953 წლის 8 მარტს ქ. სოხუმში, ეროვნებით ქართველი, ცოლშვილიანი, მუშაობდა ავტოგასამართ სახელოსნოში.

საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ჩადგა ქვეყნის დამცველთა რიგებში. თავის მშობლიურ ქალაქს იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს ერთიანობისათვის.

ვასილ გაბუნია მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზირებული ბრიგადის 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მატერიალური უზრუნველყოფის ასეულს, საავტომობილო ოცეულის მე-3 ათეულის მძღოლად 1993 წლის 3 თებერვლიდან 1993 წლის 28 სექტემბრამდე.

ვასილ გაბუნია უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მიერ წარმოებულ ყველა ძირითად საბრძოლო ოპერაციებში. საბრძოლო დავალებების შესრულების დროს გამოირჩეოდა მამაცობითა და პატრიოტიზმით.

1993 წლის 16 სექტემბრიდან გააფრთრებულ ბრძოლებში მოწინააღმდეგის მხრიდან ქ. სოხუმისათვის. მე-2 ბატალიონის მებრძოლთა დაჯგუფებას, სადაც იმყოფებოდა რიგითი ვასილ გაბუნია, ბრძანებით პოზიციები ეკავათ ქ. სოხუმის ახალი რაიონიდან სოფ. აჩადარას ჩასასვლელთან, ხოლო მას შემდეგ როცა შემდგომ დღეებში მტრის ჭარბი ძალების შემოტევის

შედეგად შეიქმნა საშიშროება მათი ალყაში მოქცევისა მათ ახალი რაიონისკენ გადმოწიეს, რამდენიმე დღიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ 28 სექტემბერს თანამებრძოლებთან ერთად ვასილ გაბუნია მდინარე მაჭარკის საგუშაგოსთან გამოვიდა, როდესაც მათ მოულოდნელად ცეცხლი გაუხსნეს ჩასაფრებულმა სეპარატისტებმა, ორმხრივი ცეცხლის გახსნის შედეგად ვ. გაბუნია სასიკვდილოდ დაიჭრა და ადგილზე გარდაიცვალა.

ბატალიონის მებრძოლებმა შეღამებისას მოახერხეს მისი გვამის გამოტანა და დაასაფლავეს მდ. მაჭარკის გასწვრივ სოფ. მერხეულთან მიმავალი გზის ახლოს.

ბორის გოჩავა

დაიბადა 17.12.1952 წელს გალის რაიონის სოფ. კოხორაში.

დაამთავრა ქ. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი.

პატიოსანი, კეთილსინდისიერი და ზრდილობაინი არასოდეს არაფერი ეშლებოდა ოჯახში თუ გარეთ.

გაუჭირდა საქართველოს, მშობლიურ ქალაქს და უყოყმანოდ ჩაეწერა 24-ე ბრიგადის რიგებში, სამედიცინო ასეულის სანიტრად.

გოჩავა ბორისი იაშას ძე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ჩაება ომის დაწყებისთანავე. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში. სამედიცინო დახმარებას უწევდა მებრძოლებს ფრონტის წინა ხაზზე. იყო გაბედული, მამაცი და უშიშარი მეომარი.

 2 ივლისს, ტამიშის დესანტის დროს მორიგეობა არ ეკუთვნოდა მაინც მიაშურა წინა ხაზს, თანამებრძოლებთან ერთად შეძლო რამდენიმე დაჭრილის გამოყვანა, ამის შემდეგ ისევ დაუბრუნდა ომის წინა ხაზს, სადც მტერმა წინა ხაზზე განგმირა.

1993 წლის 5 ივლისი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მორიგი დახმარების აღმოსაჩენად ფრონტის წინა ხაზზე მიმავალ სამედიცინო ბრიგადასთან ერთად- ჰოსპიტალის ექიმი ვ. ჯაფარიძე, სანიტარი-ვ. ჯანჯულია, გოგუა, პროვიზორი-თედოშვილი აფეთქებულ იქნენ სოფ. ტამიშთან. ყველა ზემოხსენებული მებრძოლები ადგილზე დაიღუპნენ.

გოჩავა ბორის ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტამგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

დაკრძალულია ქ. ოჩამჩირეში.

გურჩიანი ჯოტო (ჯოყოლა) ფრიდონის ძე

დაიბადა 1960 წლის 26 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეიში.

ჯოტოს ზედმეტსახელად ჯოყილს ეძახდნენ. მას სოფელი ერთი დღითაც არ მიუტოვებია. მუშაობდა მშობლიურ სოფელში. ბედნიერი ოჯახი ჰქონდა. უშიშარი, შედრეკელი, მხიარული და სტუმართმოყვარე იყო.

სამშობლოს გაჭირვების ჟამს გურჩიანი ჯოტო თავდაუზოგადავ ჩაება ეროვნულ მოძრაობას.

რიგითი გურჩიანი ჯოტო ფრიდონის ძე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა რიგებში ჩადგა 1992 წლის სექტემბრიდან. ის მშობლიურ სოფელში ხელმძღვანელობდა ახალგაზრდულ პატრიოტთა რაზმს.

1992 წლის ოქტომბერში ჯ. ფ. გურჩიანი თავისი რაზმით შემოვიდა 23-ე ბრიგადის მე-4 ბატალიონის შემადგენლობაში. ასრულებდა ოცმეთაურის მოვალეობას. იგი მამცი მებრძოლი, თანამებრძოლთა შორის სარგებლობდა ავტორიტეტით, იყო ყურადღებიანი და გააჩნდა შექნილი ვითარებასი სწრაფი რეაგირების უნარი. თავისი ოცეულით იცავდა სოფელ ოხურეის მისადგომებს.

1992 წლის 26 დეკემბერს მოწინააღმეგეთა ჯარების ძალის მოგერიოების დროს ის მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოს მიყვანამდე გარდაიცვალა.

ბადრი ვლადიმერის ძე გურჩიანი

დაიბადა 1966 წლის 28 ივნისს გულრიფშის რაიონის სოფ. აჟარაში.

საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ქ. ტამბოვში.

ბადრი იყო ალალ-მართალი, ბეჯითი, შრომისმოყვარე, სიმართლისმოყვარული, არ უყვარდა ადამიანის დამცირება. თუ ვინმე გაუჭირდებოდა იყო პირველი დამხმარე შემწე და მეოხი. სიყვარულსა და სიკეთეს დაუნანებლად უნაწილებდა.

მობილიზაციის შემდეგ ბადრი გურჩიანი მუშაობას იწყებს აფხაზეთის შსს გულრიფშის რაიონის დრანდის განყოფილების რიგით პოლიციელად. შსს ორგანოში მუშაობის დაწყებისთანავე თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისიერი და მაღალპროფესიონალური კადრი. მან მასზე დაკისრებული დავალება შეასრულა მაღალ დონეზე. უმოკლეს დროში დაიმსახურა ავტორიტეტი ხელმძღვანელ პირებს შორის. დაჯილდოებული იყო ფასიანი საჩუქრებით.

ახალგაზრდა პოლიციელი სწავლასა და მუშაობას უთავსებდა. იგი პარალელურად სწავლობდა ქ. ლენინგრადის მილიციის სკოლაში.

როცა ქვეყანას გაუჭირდა ბ. გურჩიანი უყოყმანოდ დადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად.

1992 წლის 14 აგვისტოს პოლიციის სერჟანტი ბ. გურჩიანი მორიგეობდა აგუძერის დასახლების ცენტრალიზებული დაცვის პულტში, იმავე დასახლებაში აგუძერის საშუალო სკოლისა და მშენებარე სახლის შენობაში დისლოცირებული იყო ე.წ. „აფხაზეთის შინაგანი ჯარი“, „აფხაზური გვარდია“.

„აფხაზური გვარდის“ მებრძოლებმა ცეცხლი გაუხსნეს საქართველოს პოლიციისა და გვარდიის ნაწილებს, რის შედეგადაც ერთ-ერთი საბრძოლო მანქანა ააფეთქეს და ცეცხლი წაეკიდა. პოლიციის რიგითი ბადრი ვლადიმერის ძე გურჩიანმა, აფეთქებულ საბრძოლო მანქანაში დარჩენილი პოლიციელებისწ გადარჩენის მცდელობისას მიიღო სასიკვდილო ჭრილობა თავის არეში, რის შედეგადაც ადგილზევე გარდაიცვალა.

ბადრი ვლადიმერის ძე გურჩუიანი დაკრძალულია გულრიფშის რ-ში, სოფ. ქვემო ფშაფში.

ლეონიდე ვალიკოს ძე გვალია

დაიბადა 1961 წლის 14 მაისს გალის რაიონი სოფ. წარჩეში.

დაამთავრა წარჩის საშუალო სკოლა.

მუშაობდა მეურნეობაში მუშად.

მან შექმნა ლამაზი და მოკრძალებული ოჯახი. უყვარდა და აფასებდა ოჯახს, მეგობრებს, იყო უზომოდ შეყვარებული სამშობლოზე. თავისი საქმის ცოდნითა და კეთილი განწყობით იმსახურებდა მეგობრების სიყვარულს. მისი ხვედრი თითქოს არაფრით იყო გამორჩეული.

ლეონიდ გვალია ირიცხებოდა ყოფილი 24-ე ბრიგადის 245-ე ბატალიონის პირად შემადგენლობაში 1993 წლის 1 მარტიდან. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, რომლელსაც ასრულებდა 245-ე ბატალიონი.

1993 წლის 5 ივლისს საბრძოლო მოქმედებების დროს გმირულად დაიღუპა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ბედიაში.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

დავით გოჩიაშვილი

დაიბადა 1970 წლის 4 ივლისს ქ. თბილისში.

დაამთავრა თბილისის 142-ე საშუალო სკოლა.

სავალდებულო სამხედრო სამსახურო მოიხადა ქ. პერმში.

1992 წლიდან მსახურობდა თბილისის სამხედრო კომენდატურაში სპეცდანიშნულების ჯგუფის ოპერატიული მუშაკის თანამდებობაზე. ამავე წელს სექტემბრიდან ჩაირიცხა „ავღანელთა“ ბატალიონში. 1993 წლიდან გადავიდა უშიშროების სამსახურში, საიდანაც სხვა მეომრებთან ერთად გააგზავნეს აფხაზეთში. ის იყო ერთჰული, უშიშარი თანამებრძოლი. იგი სოხუმის დაცემის ბოლო წუთამდე ვაჟკაცურად იცავდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ჟიული შარტავას დაცვაში. მისი ფართო და ლამაზი თვალები აღბეჭდილია 27 სეტქემბრის დაცემის ფირზე. მიუხედავად მძიმე ტრაგიკული დღისა, დათოს თვალებში შიში არ იგრძნობოდა, ის ურყევად იდგა ბატონი ჟიულის მსგავსად, წარბშეუხრელად , შესცქერდა სიკვდილს...

დღეს დათო გოჩიაშვილი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

გურამ გრამიტონის ძე გოგოხია

დაიბადა 1960 წლის 7 მარტს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალ კინდღში

ქართველი, უცოლ-შვილო;

გურამ გოგოხია იყო ზრდილობიანი , ალალმართალი და სამშობლოზე უსაზრროდ შეყვარებული.

აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის დროს უყოყმანოდ ჩადგა ქ. სოხუმის პოლიციის ბატალიონში მებრძოლად.

1992 წლის ოქტომბრიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში:

- 1993 წლის 15- 20 მარტი- მდ. გუმისთა;

- 1993 წლის 21- 26 სექტემბერი ქ. სოხუმი.

პირნათლად ასრულებდა მეთაურის ყველა ბძანებას.

გურამ გოგოხია საბრძოლო დავალების შესრულებისას 1993 წლის 26 სექტემბერს ქ. სოხუმის დაცვისას დაიღუპა ნაღმტყორცნის ნამსხვრევებისაგან. თანამებრძოლების მიერ დასაფლავებულ იქნა ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ახალ კინდღში.

ავთანდილ გამახარია

დაიბადა 1956 წლის 15 ოქტომბერს, გალის რ-ნ სოფ ოტობაიაში.

1973 წელს დაამთავრა ოტობაიის #1 საშ. სკოლა.

1974-1977 წლებში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

1979 წელს ჩაირიცხა ქ. პენზის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტიუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1984 წელს, სპეციალობით ზოოინჟინერი.

1985 წლიდან მუშაობდა გალის რ-ნის სოფ. განახლების მეცხოველეობის კომპლექსში ზოოინჟინრად, 1986 წლიდან - ამ კომპლექსის გამგედ.

აფხაზეთის ომის დროს, ჯერ გალის რ-ნის სამხედრო ლაშქარში მოხალისედ გაწევრიანდა. აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ არალეგალურად დარჩა სოფელში, მონაწილეობდა პარტიზანულ მოძრაობაში.

დაიღუპა 1994 წლის 23 იანვარს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი ძალოვნების მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის დროს.

დარჩა მეუღლე და მცირეწლოვანი 3 შვილი.

ოთარ (ომარ) გამახარია

დაიბადა 1961 წლის 01 იანვარს, გალის რ-ნ სოფ. ოტობაიაში. საშუალო განათლება მიიღო სოფ. თაგილონში.

1968-1976 წლებში სწავლობდა გალის რ-ნ სოფ. გაგიდის 8 წლიან სკოლაში, შემდგომ სწავლა გააგრძელა სოფ. თაგილონის საშუალო სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1978 წელს.

1979-1980 წლებში იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში, აქედან 1,5 წელი ომობდა ავღანეთის ტერიტორიაზე.

სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, 1981 წლიდან ცხოვრობდა და მუშაობდა ქ. სოხუმში.

1983-1985 წლებში იყო სოხუმის #45 პროფტექსასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

1982 წლიდან გახდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის სტუდენტი, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1987 წელს, სპეციალობით მანქანათმშენებლობის ინჟინერ-ტექნოლოგი.

1986 წლიდან მუშაობდა სოხუმის საწარმოო გაერთიანება “ორგტექნიკა”-ში პოლიგრაფიული ხელსაწყოების გამწყობად. 1988 წლიდან ხელმძღვანელობდა პოლიგრაფიული ხელსაწყოების სერვისმომსახურების განყოფილებას, რომელიც შემდგომ მცირე საწარმოდ გარდაიქმნა და გახდა მისი დირექტორი.

1992 წლის ოქტომბრიდან, გაგრის ტრაგიკული მოვლენების მომენტიდან, სოხუმის “ორგტექნიკის” ბაზაზე საგანგებოდ შექმნილ 200 კაციან მოხალისეთა რაზმს ჩაუდგა სათავეში, რომელიც ამავე შემადგენლობით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 21-ე ბრიგადის მე-3 ბატალიონის პირველ ასეულად დაამტკიცეს.

დაიღუპა 1993 წლის 21 სექტემბერს, განახლებული საომარი მოქმედებების მეხუთე დღეს გუმისთაზე შეტაკებისას, 21-ე ბრიგადის III ბატალიონის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის რანგში.

1998 წლის 16 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის #304 განკარგულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

განისვენებს აფხაზეთში, გულრიფშის რ-ნ სოფ. მერხეულში.

გოგალაძე გიორგი (გოგა)

დაიბადა ქ. თბილისში.
გიორგი გოგალაძე 1993 წლის 12 იანვრიდან 1993 წლის 26 სექტემბრამდე ირიცხებოდა ეროვნული გვარდიის პირველი ბრიგადის მეოთხე სპეც. დანიშნულების ბატალიონის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში აფხაზეთის რეგიონში. კეძოდ .. ათარა აფხაზურის, ათარა სომხურის, ლაბრის, ტამიშის, ახალდაბისა და სოხუმისათვის წარმოებულ ბრძოლებში.
გოგოლაძე გიორგი 1993 წლის 22 სექტემბერს უგზო-უკვლოდ დაიკარგა სოფ.ოდიშთან მოწინააღმდეგის შემოტევის დროს.

გახარია კონსტანტინე ლუის ძე



"დედავ! ისმინე ქართლის ვედრება!"...
ამ სიტყვებით აღზარდა ქალბატონმა ცისანამ თავისი 21 წლის კოტე, რომელმაც ჩვენი ერის ზნელბედობის დროს ჟამს ვაჟკაცურად შესწირა სიცოცხლე საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში.
დაიბადა 1992 წლის 28 მარტს ქ. სოხუმში
რიგითი გახარია კონსტანტინე ლუის ძე აფხაზეთის პოლიციის რიგებში მსახურობდა 1992 წლის სექტემბრის თვიდან . აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო ოპერაციებშ 1993 წლის 15-16 მარტის საბრძოლო მოქმედებებში მდ. გუმისთის მიდამოებში, სოფელ შრომის მიმდინარე ტერიტორიაზე.
1993 წლის 20 სექტემბერს სასიკვდილოდ დაიჭრა მტრის მიერ ნატყორცნი ნაღმზე ტურბაზის მიმდინარე ტერიტორიაზე. თანამებრძოლეების სოსელიას და კამკიას მიერ ცხედარი გადაყვანილ იქნა და დაკრძალეს 23 სექტემბერს საკუთარ ეზოში.

გახარია ლუი

დაიბადა 1937 წლის 1 აგვისტოს ქ. სოხუმში.
როგორც კი მშობლიურ მიწაზე ცეცხლის ალი ავარდა, ლუის ვაჟიშვილი გახარია კონსტანტინე უყოყმანოდ ჩადგა მამულის დამცველთა რიგებში. მამის გული ვერ ისვენებდა, ვერ ჩერდებოდა სახლსი, მუდამ ჭიშკართან იდგა და ელოდებოდა შვილს. ბოლოს კი გადაწყვიტა თვიტონ ჩაბმულიყო ამ ომში. 1993 წლის მარტის თვიდან გახარია ლუი ჩაირიცხა მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-8 ბატალიონში რიგით მებრძოლად. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში.
1993 წლის 17 სექტემბერს სოხუმის რაიონის სოფელ იაშთხვაში მიმდინარე ბრძოლისას მძიმედ დაიჭრა.დაძაბული მდგომარეობის გამო ექიმები დახმარებას საკუთარ სახლში უწევდნენ. შვილის დაღუპვის, ერთი კვირის შემდეგ 27 სექტემბერს აფხაზმა სეპარატისტებმა ძლიერ აწამეს და ცოცხლად დაწვეს საკუთარ სახლში. 28 სექტემბერს მეზობლების დახმარებით მისი ფერფლი საკუთარ ეზოში შვილის გვერდით მიაბარეს.
საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა სულთა რიგებს მამა-შვილი გახარიები შეუერთდა.

გერგია რომანი

დაიბადა 1964 წელს გალის რაიონის სოფელ წარჩეში.
თუ სანუგეშო სიტყვა არსებობს, ეს არის ალბათ ის, რომ მურუჟანი გეგიების ოჯახი საქართველოს იმ წმინდა და გმირულ ოჯახთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც საკუთარი შვილების სიცოცხლის ფასად იცავენ ერს და მამულს, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მკვდარი არ ითქმის იმასა, ვინც სამშობლოსათვის მოკვდა.
როცა სამშობლოს გაუჭირდა გერგის რომანი დადგა იქ, რასაც საქართველოს სიყვარული ჰქვია.
1993 წლის მაისიდან გერგია რომანი ირიცხებოდა 24-ე ბრიგადის 246-ე ბატალიონში მსროლელად.
1993 წლის 15 ივლისს რომანი გერგიას ოცეული გაგზავნილი იყო ბედია-ტყვარჩელის შორის გამავალ საბრძოლო ხაზზე, სადაც მტერმა მოიტანა მათზე იერიში და მოკლეს, ჭრილობა მიიღო გულის არეში.
დასაფლავებულია თავის მშობლიურ სამშოლბო სოფელ წარჩეში.

გაბუნია მურთაზ

სამშობლო არ დაივიწყებს მის სახელს...

დაიბადა 1969 წლის 27 ნოემბერს ქ. სოხუმში.
დაამთავრა ქ. სოხუმის მე-15 საშუალო სკოლა. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში გერმანიაში.
დედისერთა სოხუმელი ბიჭი 21 წლის გაბუნია მურთაზი სული და გული იყო, მეგობრობაში უღალატო, მუდამ იქ იყო, სადაც მამულს სჭირდებოდა.
21 წლის მურთაზიმ ლამაზად იცხოვრა და როცა ქვეყნას დასჭირდა, გმირულად მიიტანა ჭაბუკისათვის ყველაზე სანუკვარი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე.
აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, რიგითი გაბუნია მურთაზი ჩარიცხული იყო მე-3 ბრიგადის საარტილერიო დივიზიონში .
ხალხის დახმარება, სხვისი ტკივილის გაზიარება და გაიგივება იყო მისი ცხოცრების მიზანი.
შეუპოვარი და იშიშარი, ყოველ დავალებაზე ხალისითა და შემარებით მიდიოდა.
გაბუნია მურთაზ ზურაბის ძე საბრძოლო მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ოჩამჩირის რაიონში ათარა- აფხაზსკაიაში 1992 წლის 29 სექტემბერს. დედას ვერაგულად გაუსწორდნენ და დახვრიტეს.
გაბუნია მურთაზის ხანმოკლე, მაგრამ ღირსეულად გატარებული ცხოვრებითა და კაცური სახელით ამაყობს მისი მარტოხელა დარჩენილი მამა---ზურაბ გაბუნია.
დაე, გვტკიოდეს, გვტკიოდეს სანამ
ძარღვებში გიდუღს ქართული სისხლი
გთხოვ , ღმერთო!
ქართველს ქართველის ტკივილს
ნუღარ მოუშლი და ამით გვიხსნი."

გახოკიძეები-- ძმები მურმან და დიმიტრი

"მე ვიცი, ვიცი ადრე თუ გვიან,
სიკვდილი მოვა, ღვთის ნაბოძები,
ამ საუკუნის ჩრდილში მიკარგულს,
მოვა და ჩუმად, ჩუმად მომძებნის."

გახიკოძე მურმანი დაიბადა 1957 წლის 11 ოქტომბერს.
უფროსი ლეიტენანტი მურმანი გახოკიძე აფხაზეთის სამხედრო პოლიციის რიგებში ცაირიცხა 1992 წლის 15 აგვისტოს. 1992 წლის 11 ოქტომბერს ოჩამჩირის, დაბა ტამიშში საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს დაიღუპა.საბრძოლო ველიდან ცხედარი გამოასვენეს კობა ლეთოდიანმა და პაატა ვეკუამ. დაკრძალულია ქ. სოხუმის რაიონის ზემო კელასურის სასაფლაოზე.
რიგითი გახოკიძე დიმიტრი დაიბადა 1966 წლის 22 ივლისს. ჩაირიცხა აფხაზეთისსამხედრო პოლიციის რიგებში 1992 წლის 15 აგვისტოს. 1992 წლის 17 ოქტომბერს ოჩამჩირის რაიონის ტამიშში საბრძოლო მოქმედებების დროს დიმიტრი გახოკიძე დაიღუპა. დაკრძალულია ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცაგერაში.

გურგენიძეები--ძმები სოსო და კობა

თქვენ დავიწყება არ გიწერიათ სოსო და კობა გურგენიძეებო...

ასურეთის ბიჭებმა აფხაზეთში დატოვეს თავიანთი წმინდა, სიყვარულით გაჟღენთილი სულები. თეთრი წყაროს რაიონის ასურეთში დაიბადნენ სოსო და კობა.აქვე დაამთავრეს საშ. სკოლა. პროფესიასაც დაეუფლნენ, სავალდებულო სამხედრო სამსახურიც პირნათლად მოიხადეს. სოსომ სწავლა განაგრძო ნოვოჩერკასკის ჰიდრომელიორაციის ინსტიტუტში. 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და დაუწრებელზე განაგრძო სწავლა თავისი პროფესიით. მუშაობდა მშობლიურ სოფელში, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოშ ინჟინერ-ტექნიკოსად.

კობა მუშაობდა სეტყვის საწინააღმდეგო ორგანიზაციაში მეზარბაზნედ. როცა გაგრის ტრაგედია დატრიალდა, ბიჭებს გული არ მოუთმინათ და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩაეწერნენ.ზმები მონაწილეობას ღებულობდნენ სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში შემდგარი "ასურეთის ოცეულში." იბრძოდნენ ოჩამჩირეში, ბესლახუბაში, არადუში, ლაბრაში, ცაგერაში, მერკულასი, ტამიშზე.

სოსოს და კობას უფროსი ძმის იმედი უმშვენებდა გვერდს. სამი ვაჟკაცის მამასაც აღარ მოუთმინა გულმა და ბატონი რამიკოც წავიდა საბრძოლველად.

დიდი და კეთილი გული ჯქონდათ ბიჭებს. ოჩამჩირეში ერთ აფხაზ ოჯახს ლუკმას უყოფდნენ. დაღლილი, ნაომარი ბიჭები სულის მოსათქმელად დაბრუნდნენ შინ, მაგრამ მალევე დაბრუნდნენ უკან, რადგან სოხუმი საფრთხეში იყო.სოსო და კობა შეიკრიბნენ პარლამენტის შენობის წინ. გაიგეს , რომ გაფრენა შესაზლებელი იყო, მაგრამ დაფრენის შანსი არ არსებობდა. მაინც გარისკეს და 22 სექტემბერს ბაბუშერის აეროპორტში აფეთქებული თვითმრინავი დაიწვა... იმ ავბედით სოხუმის თავზე აფეთქებულვ თვითმფრინავში აღმოჩნდნენ, მათი სულები ზეცაში ამაღლდა.

სოსო და კობა დაჯილდოვდნენ ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

გოცირიძე ჯუმბერ

დაიბადა 1968 წლის 22 მარტს თეთრიწყაროს რ-ნი სოფელ ასურეთში.

1985 წელს დაამთავრა ასურეთის საშუალო სკოლა.

1986 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

1992 წელს 11 ოქტომბერს ოჯახიდან გაიპარა აფხაზეთში საბრძოლველად. ჯუმბერს გვერდით იდგნენ მისი მეგობრები: ბესარიონ მურუსიძე, ხვიჩა კაციტაძე, ძმები კობა და სოსო გუეგენიძეები, როსტომ გურგენიძე, დათო ავალიანი, კობა ლაღიძე.

ჯუმბერ გოცირიძე ღებულობდა მონაწილეობას სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში მოხალისეებისგან შემდგარი "ასურეთის ოცეულში." იბრძოდა ოჩამჩირეში, ბესლახუბაში, არადუში, ლაბრაში, ცაგერაში. დაიჭრა სოფელ მერკულაში გულისა და ფილტვის არეში 1993 წლის 27 თებერვალს.

ჰოსპიტალიზაციის შემდეგ განაგრძობდა ბრძოლას.

1992 წლის 22 სექტემბერს ასურეთის ბიჭებთან ერთად იმ თვითმფრინავში იყო, რომელიც სოხუმში ააფეთქეს. მისი საფლავი უცნობია.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

გოგოლაძე ბახვა

დაიბადა 1961 წლის 25 ივლისს ჭიათურის სოფ. მანდაეთში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა ქ, თბილისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მე-11 ბრიგადის 114-ე ბატალიონის გაგაზავნილი იქნა აფხაზეთის რეგიონის ოჩამჩირის რაიონში 1992 წლის 7 დეკემბერს.

114 ბატალიონის კაპიტანი გოგოლაძე ბახვა დაიღუპა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრაში 1992 წლის 26 დეკემბერს საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს. ჩამოსვენებულ იქნა 1992 წლის 27 დეკემბერს.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

გერგედავა ვალერი ერასტის ძე

დაიბადა 1934 წელს. გერგედავების ტკბილი და მოსიყვარულე ოჯახი სოხუმში, ტურბაზის რაიონში ცხოვრობდა.

ნაირა და ვალერი ორ შვილს - ქალ ვაჟს ზრდიდნენ. შრომობდნენ, ცხოვრობდნენ, ნათელი მომავლისა და შვილების ბედნიერი მომავლის სჯეროდათ.

საბედისწერო შეიქმნა აფხაზეთის ომი მათთვის. 1993 წლის 5 მარტიდან ოჯახის უფროსი ვალერი გერგედავა ჩაირიცხა აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმში. ვაჟიშვილი - ნუკრი ჯერაც სკოლის მოსწავალე იყო, მიუხედავად ამისა, აკითხავდა მებრძოლებს, ხშირად საკვები მიჰქონდა მათთვის.

სოხუმის დაცემის შემდეგ ოჯახი თავს სოფ. ვარჩეს აფარებდა. ფეხდაფეხ გამორბოდნენ გერგედავები აფხაზეთიდან. გზაში მტერი დაესხა თავს. 17 წლის ნუკრი გერგედავა სიცოცხლე დედის თვალწინ გამოასალმეს. მისი მშობლები კი საშინლად აწამეს. დევნილობაში გაგრძელდა შვილმკვდარი გერგედავების სიცოცხლე. თუ მაგას სიცოცხლე ჰქვია. რა გასაკვირია, რომ ნატანჯმა ვალერი გერგედავამ დიდხანს ვერ გაუძლო და სრულად ახალგაზრდა მიიცვალა ფიზიკურ იარებისა და სულიერი ჭრილობების გამო.

ამ სურათზე კარგად ჩანს ამ ლომივით ვაჟკაცის სულიერი კვება. თითქოს მის სახეში, ყველა დაღუპული ვაჟკაცის მამის ტკივილია გაერთიანებული.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

საქართველოსთვის, სამშობლოსთვის წამებით სიკვდილი....წამებული სოხუმელი გერგედავა ნუკრი...

გოცირიძე ჯუმბერ (ელგუჯა)

დაიბადა 1968 წლის 22 მარტს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში. 1974 წელს შევიდა ასურეთის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1985 წელს. ქ. თბილისში დაეუფლა საბრძოლო ხელოვნებას. 1986 წელსგაიწვიეს სავალდებულო სამხედროში. 1988 წელს სამხედროდან დაბრუნების შემდეგ დაოჯახდა.
1992 წელს ასურეთის მეგობრებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში აფხაზეთში.
1993 წლის 22 სექტემბერს ასურეთის ბიჭებთან ერთად იმ თვითმფრინავში იყო, რომელიც სოხუმის აეროპორტში ააფეთქეს. მისი საფლავი უცნობია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

იმ ასოცდაათს საუოფლოსი გაერღო კარი...

თქვენი დაღუპვა და ამაღლება
მოხდა წუთებში,
ასოცდაათი დედა ატირდა
ერთად წამებში,
ასოცდაათი სული ავიდა
მაღლა, ზეცაში' ასოცდაათი შეიმოსა
დედა შავებში...

gelaSvili gela Tengizis Ze

daibada 1956 wlis 19 ivliss, gagris r_nis sof. alaxaZeSi.

daamTavra alaxaZis # 1 saSualo skola.

daamTavra kemerovis kvebis mrewvelobis institutis rZisa da xorcis fakulteti. institutis damTavrebis Semdeg muSaoba daiwyo gagris rZis qarxanaSi inJiner_teqnologad.

aqedan daiwyo gela gelaSvilis bednieri cxovreba, Seqmna ojaxi. es bedniereba

xanmokle aRmoCnda misTvis da q. gagris mosaxleobisaTvis.

1992 wlis 18 agvistos Cairicxa da dainiSna gagris batalionSi ocmeTauris Tanamdebobaze saqarTvelos respublikis Tavdacvis ministris brZanebiT. monawileobda yvela sabrZolo operaciebSi.

gelaSvili gela, jan_RoniT aRsavse vaJkaci darwmunebuli iyo samarTlianobis sabolood gamarjvebaSi. gela gelaSvili gamoirCeoda, rogorc keTilSobilobiT,

patiosnebiTa da didi vaJkacobiT.

1992 wlis 2 oqtombers mowinaaRmdegis Semotevis dros gmirulad daeca., kerZod

samxedro_sabrZolo manqana (bmp), romelsac marTavda gela gelaSvili afeTqebul iqna.

momavlis imedi im wuTs Seuwyda gelas, magram mainc kacuri kvalis datoveba da

samSoblosaTvis sikvdili arCia.

msubuqi iyos is miwa, romlis siyvarulsac sicocxle aCuqe, qarTvelo vaJkaco.

~Cveno gela _ Sen samSoblosaTvis msxverplad gaiRe yvelaze Zvrfasi sicocxle,

magram SenisTanebi ukvalod ar qrebian. gvwams! _ sanam dedamiwaze Tundac erTi ivlis, Seni saxeli arasodes miecema moviwyebas, gagrelo

Seni lamazi suli ifrens zecaSi.

dae, RmerTma inebos Seni ojaxzisTvis, Senma Svilebis momavalma sul icocxlos Seni da SenisTana vaJkacebis sulis salxenad. dideba SenisTana Rimilis biWebs, saqarTvelos Rirseul Svilebs.

qarTveli vaJkacis simRera ki sul gaismis maradJams da ukunisamde _ ~Cven SeiZleba

brZolaSi movkvdeT, magram arc maSin vtovebT sicocxles~. . .

. . . misi cxovreba – wynari, idumali galoba iyo RvTisadmi _ galoba savse naTliTa.

gulordava sergo aronis Ze

daibada q. gagraSi 1931 wlis 26 seqtembers.

daamTavra gagris # 1 saSualo skola.

damTavrebuli aqvs kazanis samxedr_saaltilerio saswavlebeli.

sxvadasxva dros msaxurobda kazanSi, germaniaSi, somxeTSi. pensiaSi gasvlamde msaxurobda soxumSi, iyo samoqalaqo Tavdacvis swavlebis kursebis ufrosi.

bolo dros muSaobda gagraSi, mcire tevadobis xomaldebisa da Tevzis rewvis inspeqtorad.

sergo gulordava 1992 wlis 14 agvistodan pirvelive dRidanve afxazeTSi saomaro moqmedebebis dawyebidan Cadga saqarTvelos teritoriuli mTlianobis danmcvelTa rigebSi. 1992 wlis 25 agvistos Seiqmna gagris batalioni da mis meTaurad dainiSna sergo gulordava, rogorc samxedro gamocdilebis mcoden piri (polkovniki),

is didi avtoritetiT sargeblobda mebrZolebs Soris. mis mier ganxorcielebuli erT_erTi warmatebuli Setevis Sedegad (brZanebis gareSe aRebuli iqna mefrinveleobis fabrikis me_2 ganyofilebis teritoria), ganTavisuflebul iqna batalionis meTauris Tanamdebobidan. magram, miuxedavad amisa, is rigiT mebrZolad gadioda batalionTan erTad poziciebze saomar moqmedebebze.

1992 wlis 1 oqtombers, dilidan adgilobrivma qarTvelobam bavSvebi skolaSi gauSva. es imas niSnavda, rom 1992 wlis 3 seqtemberis soWis xelSekrulebis safuZvelze qalaqs araferi emuqreboda. magram naSuadRevs mowinaaRmdegem jer qalaqis gareubnebs dauSina alaznis Wurvebi.

2 oqtombers movida informacia, rom diliT adre batalioni unda gadasuliyo Setevaze. batalionis gankargulebSi myof 2 ~bmp~_Si 15 biWebi Casxdnen, maT Soris sergo gulordavac.

orive manqana cecxlis alSi gaexvia. iqidan gamosuli aravin gvinaxavs. ase daiferfla sergo gulordava, gagris batalionios pirveli meTauri da masTan erTad 15 vaJkaci.

sabWoTa jarSi msaxurobis periodSi dajildovebulia sabWoTa kavSiris sxvadasxva saxis medlebiTa da ordenebiT.

gagris batalionis yofili mebrZoli murman Cxotua

გოცირიძე ჯუმბერ (ელგუჯა)

დაიბადა 1968 წლის 22 მარტს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში. 1974 წელს შევიდა ასურეთის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1985 წელს. ქ. თბილისში დაეუფლა საბრძოლო ხელოვნებას. 1986 წელსგაიწვიეს სავალდებულო სამხედროში. 1988 წელს სამხედროდან დაბრუნების შემდეგ დაოჯახდა.
1992 წელს ასურეთის მეგობრებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში აფხაზეთში.
1993 წლის 22 სექტემბერს ასურეთის ბიჭებთან ერთად იმ თვითმფრინავში იყო, რომელიც სოხუმის აეროპორტში ააფეთქეს. მისი საფლავი უცნობია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

იმ ასოცდაათს საუოფლოსი გაერღო კარი...

თქვენი დაღუპვა და ამაღლება
მოხდა წუთებში,
ასოცდაათი დედა ატირდა
ერთად წამებში,
ასოცდაათი სული ავიდა
მაღლა, ზეცაში' ასოცდაათი შეიმოსა
დედა შავებში...

უმცროსი სერჟანტი ვალერი გოგნაძე

ვახტანგ გორგასლის ჰIII ხარისხის ორდენოსანი

სამშობლოსთვის იბრძოდა და მისთვის სიცოცხლე დათმო, ისევე, როგორც აგვისტოს ომში დაღუპულმა უკვდავყოფილმა გმირებმა. დღეს ვალერი გოგნაძე მათ რიგებშია. „იქ ვარ, სადაც საჭიროაო“ – ეს იყო პასუხი კითხვაზე „სად ხარ“? – ოჯახი დარდობდა, დედა შვილისთვის ლოცულობდა, მაშინ ვერ გაიგო სად იყო, ახლა კი იცის. ვალერი ძმათა სასაფლაოზე, მუხათგვერდში განისვენებს.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოს
დეპუტატის მოწმობა

გვარი
გაგესკირია

ქ. სოხუმის მცხოვრები

1993

გაბუნია გენადი (გენო)

დაიბადა გულრიფშის რაიონის სოფ. ესტონკაში. შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა სოხუმში.

დაამთავრა სოხუმის მე-6 საშუალო სკოლა, შემდეგ - სავაჭრო ტექნიკუმი. მურმანსკში წყალქვეშა გემზე 3 წელი იხდიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს. იქიდან დაბრუნებულს აფხაზეთის კონფლიქტი დახვდა. დედისერთა იყო, შეეძლო არ ეომა, მაგრამ დედას ამაყად უთხრა: “საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან ჩემი მიწის დასაცავად და მე სახლში ვიჯდე?. . . ზურგში მოხვედრლ ტყვიას გულში მოხვედრილი მირჩევნიაო“.

1993 წლის 24 აპრილს სოხუმის რაიონის სოფ აჩადარაში ერთ-ერთი ობიექტის დაცვის დროს, გენო და მისი სამი თანამებრძოლი ჭურვის ნამსხვრევებმა ნაფლეთებად აქცია.

დასაფლავებულია მშობლიურ სოფელში.

როდესაც მეომარი სახლში ჩამოასვენეს, დედამ - ქალბატონმა სულიკომ შვილს მოეფერა და ხელში შერჩა ფული და წერილი, სადაც ეწერა: “დედი, ეს ფული ჩემი ომის პერიოდში შენს მიერ მოცემულ ფულს ვაგროვებდი, და შეიძლება მე რამე დამემართოს, ამ ფულით რამე შეიძინე ჩემს სამახსოვროდ“.

დედის პასუხი: “ წლების გასვლის შემდეგ, ჩემი შვილისგან სამახსოვრო ფული ჩავაბარე აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტის აქრქივს, სადაც სხვა გმირ ბიჭებთან ერთად ჩემი გენადის ბიოგრაფიაც ინახება.

kaprali

sergei gorozia

vaxtang gorgaslis II xarisxis ordeni

1988 _ 2008

is cxinvalSi wasvlis Tavis soxumSi dabrunda. cxinvalis 9 sofeli cxare cremlebiT tiroda, Seuwyvetlad. misi megobari jariskacebi ixsenebdnen, rom maT aravis unaxavT sergeize mxiaruli cxinvalSi im saRamos. aravin icoda, Tu saidan mohqonda am patara biWs amxela energia. misi guli dadumda, rogorc misi iaraRi.

daibada soxumSi da gaizarda galSi. is Sevida qarTul armiaSi da daiRupa, rogorc gmiri. man, mamis saflavTan, romelic somxebma mokles imisaTvis, rom qarTul armiaSi Caewera Sehfica, rom is dabrundeboda soxumSi. magram SesZlo mxolod is, rom gaxda istoriuli gmiri.

is mxolod 20 wlis iyo.

sergeis mSoblebs Svili 4 weli ar hyoliaT. sergeis deda mzia kvirkvelia da mama konstantine gorozia iyvnen naxevrad rusebi, sergeis orive bebia rusi iyo. ojaxSi rusulad saubrobdnen, magram rogorc sergeis deda ambobs, upirvelesad iyvnen qarTvelebi da uyvardaT samSoblo.

yovel SemTxvevaSi, maTi ojaxi rusulad molaparake qarTuli ojaxi iyo. ojaxSi moipoveboda, rogorc qarTuli, aseve rusuli istoriis wignebi.

roca sergei daibada, misi babua, romelic meore msoflio omSi msaxurobda, rogorc leitenanti, cocxali aRar iyo. magram uamravi jildo da orderi inaxeboda saxlSi. patara sergei maT xSirad iparavda, raTa eTamaSa. deda ixsenebs, rom sergeis yovelTvis moswonda samxedro nivTebi.

sergei iyo 2 wlis, roca misi da daibada. es iyo 90_ian wlebi, roca qveyanaSi areuloba daiwyo. 9 aprilis Semdeg misi mSoblebi mixvdnen, rom soxumSi cxovreba male damTavrdeboda. maTTvis omi ufro adre daiwyo, rodesac sazogadoebaSi gaCnda termini “ruseTidan Camosaxlebulebi”, Tumca sergeis mama amas yurs ar ugdebda da ambobda, rom mas undoda soxumSi darCena da iq sikvdili.

man gaimarjva. ojaxi soxumSi darCa. Semdeg daiwyo omi. sergeis mSoblebi Cadiodnen galSi, enguris dasaxlebaSi, yovelTvis cdilobda gaqcevas.

mzia kvirkvelia: “Cvenc gadavedeT agreTve, Cems mSoblebs surdaT Cveni zugdidSi gagzavna da Tavad ki galSi darCeniliyvnen. Cemi surviliT daviJine darCena .is ar iyo bavSuri gulupyvriloba; es iyo

mozrdili adamianis gadawyvetileba. Cven davrCiT. Cven viyaviT erTad_erTi ojaxi saberioSi, ”enguris xididan 12 km. moSorebiT. Cven davyaviT 16 weli saberioSi da am periodSi arsad wacsulvarT. Cven gadavlaxeT udidesi siZneleebi. radganac Cemi qmari ar msaxurobda omSi, Cven neba darTuli gvqonda CavculiyaviT soxumSi da CavdiodiT. roca Cemi dedamTili dauZlurda, me ver vtovebdi Cem brma dedas, amitomac Cemi qmari wavida dedamisis mosavlelad, roca dedamTili gardaicvala, Cemi qmari saxls ver tovebda, amitom dro da dro soxumSi CavdiodiT. Canda, TiTqos mas ufro metad moswonda rusebi, vidre qarTvelebi, magram sinamdvileSi is iZulebuli iyo ase moqceuliyo, radgan eSinoda, rom mas moklavdnen.

omis sami wlis Tavze dedam 14 wlis sergei soxumSi waiyvana, rodesac isini ezos miuaxlovdnen saSoSroeba igrZnes. dedam Svils uTxra, rom SesaZloa mamamisi cocxali aRar yofiliyo.

ezoSi maT SexvdaT mezobeli somexi, romelic konstantinesTan erTad gaizarda da mTeli sicocxle erTad gaatara.

mzia kvirkvelia; “me ar gamkvirvebia maTi ezoSi naxva, radgan isini Cveni wina mezoblebi iyvnen, rodesac vkiTxe kostik sadaa_Tqo, maT civad mipasuxes, “kostia mokvda”. aRmoCnda, romis 3 Tvis win gardaicvala. me vkiTxe, Tu ratom ar macnobes ufro adre an mand ras akeTebdnen. Cven aq vcxovrobT iyo pasuxi. maT daisakuTres saxli da mand cxovrobdnen.

Cveni saxli daisakuTres Cvenma mezobelma somxebma, maT ipoves Cemi qmari aivanze mkvdari da sisxlSi amosvrili. SesaZloa is daeca da gardaicvala, magram naTelia maT is moikles, raTa saxli mieTvisebinaT. maT ar gvacnobes Cven da arc soxumis policias. mezobeli TviTon iyo policiis maiori. maT is Camarxes Cemi Svili bRaoda, yviroda, me vkiTxe, ratom gaakeTe ase, Cveni Svilebi, xom gverdi-gverd izrdebodnen? am dros ki mipasuxes “ar dagaviwydes, rom Tqven qarTvelebi xarT”.

“biWo, Sen ar ici vin iyo mamaSeni hgonia mas aravin mouklavs?”

is ar ibrZoda, magram mas vZuldiT Cven.

maT miiTvises Cveni 2 sarTuliani saxli uzarmazari baRiT da dagvtoves quCaSi.

me vecade saqmis viTarebaSi gavrkveuliyavi soxumis prozeqturaSi. adamianebi yvelgan arian. me arasodes daviviwyeb am adamians. is iyo afxazi gudauTidan, man bevri damexmara, rom saxli Cven gvekuTvnoda, magram is ar gvirCevda soxumSi darCenas, Tu axlo naTesavebi afxazebi ar myavda, SesaZloa maT movekaliT. is dagvpirda, rom iSovida puris fuls. am kacma samwuxarod Seagrova 50 rusi mebrZoli am somxebis nacnobebi da Cven wavediT.

somxebis mier mokluli mama, warTmeuli saxli, es iyo Cveulebrivi ambavi yvelasaTvis. biWi izrdeboda da sicocxle TandaTan gausaZlisi gaxda misTvis.

mzia kvirkvelia, erTxel man mkiTxa: “deda rodemde unda gavuZlo aseT cxovrebas? Cven TiTqmis tyveebi varT. is marTali iyo. ramdenime xanSi is jarSi gamoiZaxes. biWebs iZaxebdnen jarSi, magram zogierTi mSobeli 200 dolars ixdida, raTa daetovebinaT saxlSi. me iZulebuli gavxdi 2_jer gadamexada. is Zalian gaRizianebuli iyo, me vcdilobdi damemSvidfebina is. mas ar undoda darCena mand. me davpirdi, rom saxls gavyiddi da davtovebdi iqaurobas”, Tumca is amis winaaRmdegi iyo. man gadawyvita, rom jarSi wasasvlelad emzadeboda, erTxel miTxra: “deda, vfiqrob ramdenime Tvis SWemdeg me SevZleb giTxra Cemi gadawyvetileba, magram me verafers vxvdebodi... da man miTxra deda me qarTul armiaSi vapireb vimsaxuro”.

aman me gamagiJa.. misi biZaSvili 21 wlis gardaicvala soxumSi dabombvis dros, is muxlSi daiWra. me vuTxari, rom misi ambavi sakmarisi iyo CvenTvis. Cven amaze vkamaTobdiT, me vcdilobdi misTTvis samsaxuri menaxa engurhesSi. misi xelfasi iyo asi lari, Tumca xelfasis gazrdas hpirdebodnen. man miTxra me, rom Tu undoda, rom namdvili mamakaci viyo unda gamiSva. erTxel me vkiTxe mas, ratom undoda mas qarTul armiaSi samsaxurSi?

man mipasuxa: “saakaSvils kargi armia yavs, es armia Cemi ocnebaa. me yvelafers vizam, rom gavxde oficeri. es erTaderTi mizezia. Tu Cveni armia afxazeTSi Seva ra unda vuTxra qarTvel mebrZolebs, sad vimalebodi amden xans? ra vuTxra, rom aq vijeqi da velodebodi, rodis dadgeboda mSvidoba? Tu afxazeTs ar daibruneben me Sen saqarTveloSi wagiyvan”

me mas daveTanxme. is meubneboda Tu afxazebi TavianT armiaSi wamiyvanen me gamoviqcevi, isini ki momklavdnen amisaTvis. man me damiTanxma.

is 19 wlis iyo, rodesac qarTul armiaSi Cairicxa. 20 wlis is armiaSi iyo. is bednieri iyo miRweuli patara warmatebebiT. misi meTaurebi eubnebodnen mas is iyo namdvili jariskaci. is yvelas eubneboda, rom afxazeTidan iyo da misi mTavari mizani afxazeTSi dabruneba iyo.

is eraySi wasasvlelad emzadeboda da 43_e batalionidan 42_e beta batalionSi gadavida. misi gadasvlidan erTi Tvis Semdeg daiwyo, misi gardacvalebamde 42 dRiT adre galSi Cavida, mas ardadegebi hqonda erayamde. omi daiwyo 7 agvistos. 7 agvistos is ukanasknelad esaubra dedamiss. mas dedamisisTvis yvelaferi ar uTqvams.

mzia kvirkvelia: “man me mTxova sanTeli amenTo misTvis da meloca. me misi xma ukanasknelad gavige im dRes, rodesac vesaubre mas, isini cxinvals uaxlovdebodnen.

iciT ratom var cocxali? im saRamos man igema gamarjvebis gemo.

misi TanamebrZolebi aRweren mis mdgomareobas, is iyo aRelvebuli, emociebisgan daclili.

biWi iyo cxinvalSi, deda galSi. man araferi icoda. is Tavis 18 wlis gogosTan erTad vazianSi Cavida 10 agvistos, magram vazianSi aravin araferi icoda. dedam naxa batalionis meTauri kikabiZe, Tumca man ar uTxra dedas Svilis sikvdilis Sesaxeb. man uTxra, rom sergei daiWra da hospitalSia mas umZimda imis Tqma, rom Svili moukvda. 2 dRis Semdeg miTxra misi gardacvalebis Sesaxeb.

deda Cavida galSi, mas tkivili gaumZafrda, rodesac misi ubedureba veravin gaigo. man Svili dakrZala galSi.

გაბუნია მიხეილი



დაიბადა 1945 წლის 4 იანვარს, ქ. სოხუმში.

ჩარიცხული იყო მეორე საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-3 ბატალიონის მე-3 ასეულის მე-2 ოცეულში მსროლელად 1993 წლის იანვრიდან.

ეს ის მიხეილ გაბუნიაა, მკერდზე რომ ოთხ სურათს დაატარებდა: ზაზა გაბუნიას, ლევან შურღაიას, ილია ლიპარტელიანის და მოგელი კვიტატიასი.

ეს ის მინა გაბუნიაა, რომელიც ფიქრობდა და ხმამახლა ამბობდა: “მე დისშვილები აფხაზები მყავს, რა ვქნა ახლა, მათ ვესროლო?.. არა ვერ ვესვრი...“ ჰოდა ვერც ესროლა, იგი კი მწარედ გაიმეტეს...

27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეს ტყვედ აიყვანეს ჩანბას ქუჩაზე აფხაზმა სეპარატისტებმა და ეშბას ქუჩის პირველ შესახვევში დახვრიტეს.

თავდადებული ვაჟკაცები იქვე დაასაფლავეს.

გიქორაშვილი კახა

დაიბადა 1973 წლის 2 ოქტომბერს საგარეჯოს რაიონის სოფ. ბადიაურში.

1979-1990 წლებში სწავლობდა ბადიაურის საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საგარეჯოს სასწავლებელში, სადაც დაეუფლა მძღოლის სპეციალობას.

1992 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მსახურობდა ქ. თბილისის შინაგანი ჯარის საპატრულო პოლკში (სამხედრო წოდება - სერჟანტი).

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 2 ივლისს დაიკარგა უგზო-უკვლოდ სოფელ კინდღთან.

გვასალია ზურაბი

დაიბადა ქ. სოხუმში 1976 წლის 8 ნოემბერს.

1982-1991 წლებში სწავლობდა ქ. სოხუმის მე-15 საშუალო სკოლაში.

1991 წელს სწავლა გააგრძელა სოხუმის პროფ-ტექნიკუმში და დამთავრების შემდეგ მუშაობდა ავტომანქანების პროფილაქტიკაში.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 26 სექტენბერს ქ. სოხუმში დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

მეგობრები “მალიშას“ ეძახდნენ.

ცრემლით სავსე ბალიში

ბოლომდე არ შრება.

გული არ მთელდება,

ტკივილი არ რჩება.

ფიცს იცავდი მტკიცედ,

ქალაქს ედექ მცველად.

იქ ჩნდებოდი სადაც

სჭირდებოდა შველა.

ზაზა დამენია

(დ. 22 ოქტომბერი 1972 — გ. 16 აგვისტო, 2004, თლიაყანის მისადგომები) — საქართველოს არმიის კაპრალი, ეროვნული გმირი. აფხაზეთის და ცხინვალის ომების მონაწილე. 2002 წელს ჩაირიცხა ვაზიანის მე-11 მექანიზებული მსუბუქი ქვეითი კომანდოს მესამე ასეულში. 2004 წლის აგვისტოში იბრძოდა ცხინვალის მისადგომებთან. 16 აგვისტოს იმ სანგარზე, სადაც ზაზა დამენია იმყოფებოდა, განხორციელდა მძლავრი შეტევა. მოწინააღმდეგემ სანგარში ხელყუმბარის ჩაგდება მოახერხა, მას ზაზა გადაეფარა და საკუთარი სიც...

უმცროსი სერჟანტი გოჩა დანელია

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.
9 აგვისტოს, ცხინვალში, დაჭრილი მეომრების გამოყვანისას დაიღუპა. გოჩა დანელია მეთაურს ეძებდა, როცა მტერმა შენიშნა და იერიში მიიტანა. ოჯახის წევრებმა, მის შესახებ სხვა არაფერი იციან. ნუგეშად მხოლოდ გმირი შვილის სახელი დარჩათ.
გოჩა დანელია, 1982 წლის 16 აგვისტოს, ქუთაისში დაიბადა. 2007 წელს ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ვაზიანის მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონში მსახურობდა. გადაწყვეტილება მიიღო და ბოლომდე ერთგულად ემსახურა სამშობლოს.
თეა დანელია, ძმის მეუღლე: “2008 წლის 5 აგვისტოს სახლში იყო, მეგობრებთან ერთად. სწორედ, იმ დღეს დაურეკა მეთაურმა. 7 აგვისტოს კი დედამისისთვის მიუწერია. ,,ქეთევან, აბა ჰე და აბა ჰოო”. (დედას ქეთევანი ჰქვია). მას მერე არაფერი ვიცოდით. 8 აგვისტოს ჩავედით გორში. დაბომბვაში მოვყევით, თუმცა გადავრჩით. გოჩა ვერ ვნახეთ. 9 აგვისტოს გოჩას ტელეფონიდან ვიღაც ოსმა დამირეკა, დამტვრეული ქართულით, რომ ვკითხე ცოცხალია-მეთქი? მიპასუხა, რომ გოჩას თავს მოაჭრიან. მე გაშეშებული ვუსმენდი, ის კი იქედან შეურაცხყოფას მაყენებდა. თან ისიც მითხრა, მალე საქართველოს გავთელავთო. ილანძღებოდა, სანამ ტელეფონი არ გაეთიშა. მხოლოდ მოგვიანებით, 8 თვის შემდეგ, დნმ-ის ანალიზის შედეგად გავარკვიეთ მისი დაღუპვა. გაგებისთანავე გადმოვასვენეთ და მეორე დღესვე დავასაფლავეთ ჩვენი სოფლის სასაფლაოზე.

დაჩიბერიძე ავთანდილ

დაიბადა 1973 წლის 14 აგვისტოს ამბროლაურის რ-ნი, სოფ. გოგოლეთში.

1990 წელს დაამთავრა ქუთაისის 36-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.1993 წლის 22 სექტემბერს დაიღუპა ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის კატასტროფის დროს.დაკრძალულია სოფ. ბაბუშერას სასაფლაოზე 84-ე ნომრად.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდებით.

დოლიაშვილი გია

დაიბადა ქ. თბილისში 1967 წლის 28 ივნისს.1974-1985 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 85-ე საშუალო სკოლაში.1985-1987 წლებში იხდიდა სამხედრო სავალდებულო სამსახურს.დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის პურ-პროდუქტების სარეალოზაციო ბაზაში. 1989 წელს მუშაობა დაიწყო ნავთლუღის წიქვილკომბინატში. 1991 წლიდან ისნის რ-ნის პრეფექტურაში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის მინისტრთა საბჭოს დაცვისას დაიკარგა უგზო–უკვლოდ.2005 წლის 25 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ზემდეგი გია დოლიაშვილი დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

დემეტრაშვილი ზაზა

დაიბადა ქ. თბილისში 1966 წლის 14 ოქტომბერს.1972-1982 წლებში სწავლობდა თბილისის 43-ე საშუალო სკოლაში.1982-1987 წლებში სწავლობდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ენერგეტიკის ფაკულტეტზაფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 26 სეტქემბერს, ქალაქ სოხუმთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

დევაძე გოჩა

დაიბადა 1962 წლის 16 ოქტომბერს ხაშურის რ–ნის დაბა სურამში.1969–1979 წლებში სწავლობდა სურამის №1 საშუალო სკოლაში.1980–1982 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქ. ჩიტაში.1983 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1988 წელს.1988 წლიდან მუშაობდა ქ. ხაშურის ქალაქ–ვაჭრობაში გაერთიანების გამგედ.გოჩა იყო სათადარიგო ოფიცერი. 1982 წლის მაისში, ხაშურის სამხედრო კომისარიატის მიერ მივლინებულ იქნა 4 თვით ქ. ახალციხეში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 2 ოქტომბერს, ქალაქ გაგრასთან დაიკარგა უგზო–უკვლოდ.

დათებაშვილი ალექსანდრე

დაიბადა 1969 წლის 22 თებერვალს ქ. ქუთაისში. აქვე დაამთავრა მე-15 საშუალო სკოლა. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა ნიჭიერებით, დისციპლინითა და პატიოსნებით. იყო პირველ თანრიგოსანი წყალბურთში, თამაშობდა ქალაქის ნაკრებში. ზემდეგის ჩინით დაბრუნდა სავალდებულო სამხედრო სამსხურიდან. მუშაობდა ქუთაისის შს სამმართველოში. იყო სპეცდანიშნულების რაზმის "ომონის" წევრი. ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი კაცურ-კაცობით. ოცნებობდა შსს-ს აკადემიაში ჩაებარებინა გამოცდები და პროფესიონალი გამხდარიყო. აისრულა კიდეც ოცნება, მაგრამ სწორედ ამ დროს მოუსწრო ტრაგედიამ . . . ვაჟკაცურად იბრძოდა, სამხედრო სატანკო ნაწილში იყო და ტანკზე შეყვარებული ტანკმავე შეიწირა 1992 წლის 2 ოქტომბერს. სხვისთვის თავგანწირვა, სხვისმა მაშველმა, საკუთარი სიცოცხლე მიიტანა სამსხვერპლოზე. ალექსანდრე ქ. გაგრის "მხედრიონის" ავტომანქანა "ნივაში" მოათავსეს, რის შემდეგაც დაიწყება ქალაქის დატოვება. დაახლოებით 200 მეტრში მოწინაარმდეგის მხრიდან გასროლილი ჭურვი მოხვდა "ნივას", რომელიც მთლიანად დაიწვა მგზავრებთან ერთად.

ამ დღეს (2 ოქტომბერს) კიდევ ერთი სიცოცხლე შეეწირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ალექსანდრე დათებაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენით. მას მიენიჭა ლეიტენანტის წოდება. ერთ-ერთი ოცეული მის სახელს ატარებს.

დგებუაძე დავითი ვანოს ძე

დედას . . .
მე ხომ შენგან გავიგონე პირველადნ: “ნელა შვილო,
მტკივა, ვაი, დედა“ . . .
სახეს შენს მკერდს მივანდობდი ნებივრად,
დაბალი ხმით მიმღერდი, დედა.
მერე შენით შევიცანი პიტველად
საქაღთველოს ლაჟვარდები, ნეტა
შენ მასწავლე: უპიველეს ყოვლისა,
სამშობლოა ჩვენი - ყველას დედა.

დაღუპილი გმირის ლექსი -მ ნუკრი (სიმონ) ცისკაცე.

დაიბადა 1975 წლის 09 თებერვალს გაგრის რაიონის დაბა განთიადში. 1988 წლიდან ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად გულრიფშის რაიონის სოფ. ესტონკაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. სწავლას დაწაფებულ დავითს, სულით ხორცამდე შესძრა საქართველოს მტრების ვერაგი საქციელი და უმალვე ხელში აიღო იარაღი. სამშობლოს სიყვარულით, თავდაუზოგავად, ვაჟკაცურად იბრძოდა. მისი ძლიერება მხოლოდ გარეგნობით არ გამოიხატებოდა, იყო კეთილი, თავმდაბალი, მოსიყვარულე. ერთი წუთიდაც არ უცდია ქალაქის დატოვება17 წლის ახლად ულვაშაკოკრილ ჭაბუკს. ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მშობლიურ მიწას ეცილებოდა ის აფხაზიც, რომელიც მასთან ერთად გაიზარდა.

დავით ვანოს ძე დგებუაზე 11 საარმიო კორპუსის მატერიალური უზრუნველყოფის ბატალიონის რიგითად 1992 წლის დეკემბრიდან ჩაირიცხა. ქ. სოხუმზე ბოლო შემოტევის დროს ბატალიონი, რომელსაც დავალებული ჰქონდა დრანდა-აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბაზების დაცვა მოექცა ალყაში: გარკვეული ბრძოლის შემდეგ ბატალიონი დაიშალა ჯგუფებად, ჯგუფმა, რომელშიც იბროდა დავით დგებუაზე მიაღწია სოფ. განახლებისაკენ მიმავალ გზას, სადაც ისევ მოექცა ალყაში და 1993 წლის 29 სექტემბერს

დავით დგებუაძე ბრძოლის დროს დაიღუპა - დახვრეტილია აფხაზ სეპარატისტების მიერ სოფ. დრანდაში. მხოლოდ 35 -ე დღეს შეძლეს მისი ცხედრის მიწასთან მიბარება.

სოხუმისთვის საბედისწერო დღე მოახლოებული იყო. 25 სექტემბერს ქალაქის შემოგარენს უტევდა მტერი . . . სხვებთან ერთად იცავდა მკერდით, ახალგაზრდული სიცოცხლით და ალბათ გული ისევ სამშობლოზე ღიღინებდა სიმღერას . . . სნაიპერის ტყვიას ბრმას ვერ უწოდებ, ვერც მოულოდნელობას დაარქმევ, რადგან ომში მოულოდნელობას სწორედ ნაკლებ მოსალოდნელია.

იმ დღეს სწორედ ტყვია დათოსთვის იყო დამიზნული, დაუნდობელის ხელით გასროლილი ტყვიამ მისი სიცოცხლე შეაჩერა.

შენს საფლავზე ანთებული სანთლები გზას გაუნათებს ზეცაში დავანებულ და უკვდავებაში გადასულ შენს სულს.

შენ მუდამ ვაჟკაცურად მეომრად დარჩები ჩვენს გულებში.

დგებუაძე ონერი ამბაკოს ძე

დაიბადა 1961 წლის 04 ივლისს გალის რაიონის სოფ. მუხურში.
იყო უაღრესად პატრიოტი და მებრძოლი სულით გამსჭვალული ჯარისკაცი. მეთაურების ბრძანებებს ასრულებდა დროულად და ხარისხიანად, თანამებრძოლებში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით. ბრძოლებში იყო გაბედული და საზრიანი.

თადარიგის რიგითი ონერ ამბაკოს ძე დგებუაძე 1993 წლის 25 იანვარს ჩაირიცხა 24-ე ბრიგადის 241-ე ბატალიონის პირად შემდეგენლობაში ოპერატორ-დამმიზნებელის თანამდებობაზე.

1993 წლის 25 თებერვალს 24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონის მეთაურმა მოითხოვა დამხმარე ძალა, მის დასახმარებლად ბრიგადის შტაბმა 241-ე ბატალიონს დაავალა ქვედანაყოფის გამოყოფა. ბატალიონის მეთაურის მიერ გამოყოფილი იქნა ორი ასეული, მათ შორის იყო ონერ დგებუაძე. 26 თებერვალის ღამეს ერთი ოცეული მტერმა ალყაში მოაქცია, ონერ დგებუაძემ, ორ თანამებრძოლთან ერთად 27 დილას ღია ცეცხლით შეუტია მოწინააღმდეგეს და თანამებრძოლებს ალყიდან გასვლის საშუალება შეუქმნა. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა ყოველ სახლისა და ქუჩისთვის, ამ დროს ბიჭები ტანკებს იცავდნენ, რომ მტერს არ ჩაეგდო ხელში. ბიჭებმა ბოლო სანგრამდე მიაღწიეს და იქვე, ღობის გადაღმა, დაინახეს ტყვიით დაცხრილული ონერ დგებუაძის გვამი. ონერს, თურმე, ადრე შეუნიშნავს, რომ მისი თანამებრძოლები ალყაში ყოფილან მოქცეულები, თვითონ ოცი მეტრის მანძილზე , სანგრიდან ხოხვით გამოსულა, დამჯდარა ევკალიპტების ძირას, რათა მტრის ყურადღება მიექცია და ბიჭებისათვის მიეცა ალყიდან გამოსვლის საშუალება. ონერმა უდუდესი თავგანწირულობის შედეგად დაღუპვისგან იხსნა ხუთი ახალგაზრდა ჭაბუკის სიცოცხლე.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, თავდადებისა და თავგანწირულისათვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 241-ე ბატალიონის მებრძოლი ონერ დგებუაძე დაჯილდოვდა 111 ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

ონერ დებუაძე და მისი ორი თანამებრძოლი 27 თებერვალის დილას გმირულად დაიღუპნენ. მათი გმირობა და ხსოვნა უკვდავი, მარადიულია ბატალიონის მეომრებისათვის.

“სიკვდილს სიკვდილით
ვერავინ ვერ მოშლის,
მაგრამ მე მაინც მინდა აღვნიშნო,
გმირის სიკვდილი საქართველოში,
ბოლოს და ბოლოს,
სიკვდილს არ ნიშნავს!

მორის ფოცხიშვილი.

დემური ნუგზარი

დაიბადა 1966 წლის 10 მაისს გულრიფშის რაიონის სოფ. ბაბუშერაში.

საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში.

იგი იზრდებოდა წმინდა მოწამეთა, სამშობლოსათვის თავდადებულთა მაგალითზე. ფიზიკურად ახოვანი ზღაპრიდან მოსულ გმირს ჰგავდა, სულითაც რაინდი იყო. სამყაროს კეთილ თვალებით უმზერდა.

სამშობლოს ერთგული ეროვნული მოძრაობის დაწყებისთანავე ეროვნული გვარდიის რიგებში ჩადგა. თანატოლებში ბევრჯერ უთქვამს, “გულით მინდა ყოველთვის სამშობლოს გვერდით ვიდგე, ვიდგე იქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირს ჩემს ქვეყანას, ერსა და ბერს, რადგან სამშობლოში ჩემს დედ-მამას ვხედავო“. . .

ჩარიცხული იყო მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონში. აქტიურ მონაწილეობას ღერებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც მისი ბატალიონი ახორციელებდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მე-6 ცალკეული სატანკო ბატალიონის რიგითი დემურია ნუგზარი დავითის ძე დაიღუპა 1993 წლის 5 მაისს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში. ჭურვის ნამსხვრევმა იგი იმსხვერპლა.

დასაფლავებულია გულრიფშის რაიონის სოფ. ბაბუშერაში.

ბატონი დავით დემურია, ნუგზარის მამა ევედრება შვილს, რომელიც გადასულია უკვდავებაში.

გნატრობ . . . სიზმარში მაინც მეჩვენე,
სანთლებს ვანთებ და
ხატებს ქედს ვუხრი . . .
რაც შენ წახვედი, თვალცრემლიანია
სასთუმლად მიდევს
მას შემდეგ მწუხრი.

სამშობლოსათვის ანთებული ნუგზარ დემურიას გული სამუდამოდ დადუმდა.

დოლიძე მალხაზი

დაიბადა 1962 წლის 10 მარტს.

1978 წელს დაამთავრა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა. 1983 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. მუშაობდა უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-მუშაკად.

1990 წელს დაიცვა საკანდატო დისერტაცია. კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში. იყო სპორტსმენი.

1992 წლის 11 ოქტომბერს მოხალისედ წავიად ქ. სოხუმში საქრთველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ჩარიცხულ იქნა მე-3 ბრიგადის 101 -ე ბატალიონის მე-2 ასეულში მეკავშირედ. მდინარე გუმისთის ხეობაში, სოფ. ახალშენთან დაიკავეს პოზიციები.

ომი საოცარი მოვლენაა. არც აფხაზეთის ომია გამონაკლისი. აქ ამაღლებული და მაღალია სიყვარული, მეგობრობა, თავდადება, პატიოსნება. საშინელებაა, როცა შენს თვალწინ კვდებიან, აფეთქებენ, კლავენ . . . მოულოდნელი არ ყოფილა მტრის შემოტევა, მაგრამ გაუჭირდათ სულმოკლე თანამოძმის მიერ გაცემულ მეომრებს. დაახლოებითნ ერთი საათის განმავლობაში უსასტიკეს ბრძოლაში, ორმოცდაათი ჩვენი მებრძოლი მედგრად უმკლავდება მათზე ათჯერ მრავალრიცხოვან მტერს ტანკითა და ხუთი ქვეითთა საბრძოლო მანქანით შეიარაღებულებს. 1992 წლის 3 დეკემბერის დილას, იმ საბედისწერო შეტევებზე მათმა მონდომებამ, თავგანწირვამ დამხმარე ძალის მოსვლამდე შეაჩერა მტრის გააფრთებული შეტევა სოფელ შრომაზე, მომხდურებს გეგმა ჩაეშალა და რამოდენიმე თანამებრძოლს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

და შეიწირა სამშობლოს სიყვარულმა მალხაზის სიცოცხლე. სიცოცხლეში განუყოფელი მეგობრები მალხაზი და არჩილი სიკვდილმაც ვერ დააშორა, მაგრამ დაინდო უფალმა - ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ ერთმანეთის დაღუპვა არ შეუტყვიათ.

ცხოვრება გამოცდაა და ბედნიერია ის , ვინც მას ღირსეულად ჩააბარებს.

მალხაზი და არჩილი კაცები იყვნენ, კაცურად იცხოვრეს და ვაჟკაცურად ბრძოლაში დაიღუპნენ.

მალხაზ დოლიძე - რიგითი, 101-ე ბატალიონის მეორე ასეულის რადისტი-მეკავშირე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი ლამაზი სულები. მათი სახელების უკვდავყოფა ხომ თითოეული ჩვენთაგანის ვალია.

დედი!

დედი!
ტკივილი მიშინაურებს,
დრო იარაზე საფენს ვერ მაფენს .. .
დამისნეულდა ოცნება, ოხრავს,
და ფრთებს ვისწორებ
ზეცისკენ საფრენს.
ძვირფასო დედი!
კვლავ შენებურად
დამაურვინე ტკივილი დიდი. . .
ჩემო ლამაზო, ჩემო ჭკვიანო,
წარსულ - აწმყოსთან
გამიდე ხიდი.

დადვანი ჭიჭიკო

დაიბადა 1939 წელს ქ. ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. კოჩარაში დადვანების ოჯახს ყველა იცნობდა და პატივს სცემდა. ჭიჭიკო ფიზიკურად ზლიერი, კეთილი. მეგობრული, საუკეთესო თვისებებით გამოირცეოდა.

ომის დაწყებისთანავე კოცარელმა მამკცებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი. მათ შორის დადავანი ჭიჭიკო იყო. კოჩარელთა უმრავლესობა ბატალიონში სევიდა, რომელსც ბუთხუზ თოხაძე მეთაურობდა.

ოდითგან სევდით ცხოვრების წესად
არ ანსხვავებდნენ აფხაზებს და ქართველებს
არ ღალატობდნენ წინაპრის ადათს
მოძმის ღალატი არ ედოთ გულში
არც მოელოდნენ მტრობას და ღალარს.

კოჩარაში შეიქმნა ბრიგადა, ერთ-ერთი ბატალიონის უფროსად აირჩიეს დადვანი ჭიჭიკო.

1992 წლის 26 ნოემბერს დაიწყო მოწინააღმდეგის შემოტევა კოჩარაზე.29 ნოემბერს კვირას ღამით კოჩარა მტერმა აიღო. ჭიჭიკო დადვანიმ თავისი 29 მებრძოლიტ აფხაზურ სოფელ კვიტოულის მხრიდან იგერიებდა მოწინააღმდეგის შეტევას, მათთან ერთად იბრძოდნენ სოფლის ექიმები. ღამის 2 საათზე მტერმა კოჩარის ცენტრში შეაღწია, აფხაზებთან ერთად იყვნენ კაზაკები, ჩეჩნები, რუსები. მათ კოჩარის გზაზე ჩაუსაფრდა ჭიჭიკო დადვანი შვიდკაციანი რაზმით და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ჭიჭიკო დადვანის მცირე ჯგუფმა 28 "ბოევიკი" გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ თვიტონაც გმირულად დაეცა. დღესაც კოჩარის მიწაზე განისვენებს.

მხოლოდ კოჩარის აღმშენებელთა

დავითულიანი კობა

დაიბადა 1970 წლის 24 დეკემბერს ქ.სოხუმში.

დაამთავრა ქ. სოხუმის მე-7 საშუალო სკოლა.

სოხუმელი ღიმილის ბიჭი დავითულიანი კობა შეყვარებული იყო თავისი მშობლიური კუთხით.

თანამებრძოლეები ახასიათებენ, როგორცუტყუარ, ერთგულ, უშიშარ თანამებრძოლს. მან აიღო

იარაღი საკუთარი ქალაქისა და ხალხის დასცავად. ის ყველგან იღებდა მონაწილეობას საბრძოლო

ოპერაციებში, სადაც კი ბატალიონი იბრძოდა.

1993 წლის 8 მარტს უწონასწორო ბრძოლის დროს გმირულად დაეცა გუმისთის მისადგომებთან.

დაკრძალულია ახალ დაბაში. მან სამშობლოსათვის გასწირა თავი, უყოყმანოდ მიიტანა საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობის სამსხვერპლოზე...

უკვდავებაში გადასული ვაჟკაცი...

დარცმელია ბადრი

დაიბადა 1970 წლის 11 ოქტომბერს ქ. სოხუმში.

1987 წელს დაამთავრა მშობლიურ ქალაქში მე-13 საშუალო სკოლა. იმავა წელს ჩაირიცხა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში ,მექანიზაციის ფაკულტეტზე.

აფხაზეთში საომარი ,ოქმედებების დაწყების დღიდან დარცმელია ბადრი ზაურის ძე ჩარიცხულ იქნა "ბესლეთის სახალხო ლაშქარში" 1920 წლის 20 ოქტომბერს მსროლელად. მას მიღებული აქვს მონაწილეობა ყველა საბრძოლო ოპერაციებში დაშქართან ერთად.

1993 წლის მარტის თვეში აფხაზეთში მიმდინარე ომის პერიოდში, მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვაჟკაცობა 1993 წლის 15 მარტის შემოტევის დროს.

1993 წლის 15 მარტს ქ. სოხუმზე მოწინააღმდეგის მიერ განხორციელებული შემოტევის საბრძოლო დავალების შესრულებისას ბადრი დარცმელია გმირულად დაიღუპა მდ. გუმისთათან .

დანელია გიზო

დაიბადა 1956 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღში. ბედნიერად გრძნობდა თავს დანელია გიზო სამშობლოსა და ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული, მაგრამ ვაი...რომ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. გიზო იყო სათნო, პატიოსანა ადამიანი. იგი გაიზარდა წმინდა მოწამეთა, სამშობლოსათვის თავდადებულთა მაგალითზე. ფიზიკურად ახოვანი, ზღაპრიდან მოსულ გმირს ჰგავდა, სულითაც რაინდი იყო.

ომის დაწყების პირველი დღიდანვე ჩაირიცხა 23-ე ბრიგადის მეხუთე ასეულის მსროლელად.

ამ ჭაბუკმა საქართველოს მთლიანობის სამსხვრეპლოზე დადო თავი. როცა მამულს გაუჭირდა, გვერდზე გადგომა არ გაუვლია, იარაღით ხელში დადგა მის დასაცავად.გიზო და მურთაზ შონია მეგობრები იყვნენ, კარის მეზობლები ერთად იბრძოდნენ და ერთად დაიღუპნენ. ჩასაფრებული მტრის ტყვიამ 1993 წლის 15 მაისს, სოფელ კინდღთან, ერთად გამოასალმეს.

დარბაიძე გოჩა

დაიბადა 1070 წლის 3 ოქტომბერს ქ. თბილისში.

მისი სამომავლო გეგმები და ოცნებები აუხდენელი დარჩა, რადგან მის საყვარელ სამშობლოს საფრთხე დაემუქრა და გოჩას შინ რა დასვამდა ან რა გული მოუთმენდა შორიდან ეცქერა ქვეყნის გასაჭირისათვის.

1992 წლის 4 დეკემბრიდან გოჩა ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში.ყველა საქმე გადადო და ავტომატით ხელში წავიდა აფხაზეთში. იცოდა, გრძნობდა, სიკვდილის გზით მიდიოდა, მაგრამ ასე ახლოს თუ იყო სიკვდილი ჩასაფრებული, ვინ მოიფიქრებდა!

1992 21 დეკემბერს ის გმირულად დაიღუპა ოჩამჩირის რეგიონის სოფელ ტამიშში.

გაივლის წლები და სასიქადულო მამულიშვილების თაბდადება კვლავაც სამშობლოს დაცვის ჟინით აღანთებს ქართველთა თაობებს.

დანელია გოჩა რაულის ძე

დაიბადა 1966 წლის 10 თებერვალს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალ კინდღში.1984 წელს გოჩამ დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების სემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამსახურში, რომელიც გაიარა ქ. ლენინგრადში, დემობილიზაციის შემდეგ დაოჯახდა.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე გოჩა დანელია 17 აგვისტოს მოხალისედ ჩაეწერა სოხუმის 23-ე ბრიგადის პირველ ბატალიონში. გოჩა დანელია მუშაობდა აფხაზეთის შინაგან სპეცდანიშნულების ასეულში.1998 წლის 25 მაისს მშვიდობიანი ევაკუაციის დროს 32 წლის ასაკში გმირულად დაიღუპა. 1998 წლის 25 სექტემბერს დაჯილდოებულ იქნა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

დანელია გოჩა ზაურის ძე

მტერთათვის ჩემი ქვეყანა
კვლავ სათავეში რომ გახდა
ომში მიმავალ ვაჟკაცებს,
დედების ლოცვა თან გაჰყვა.

დაიბადა 1970 წლის 21 ოქტომბერს გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდაში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო უკრაინის სამოქალაქო ავიაციის ინსტიტუტში, რომლის დასრულებასაც ვერ მოესწრო. სავალდებულო სამსახური სამხედრო სამსახურს გადიოდა წყნარი ოკეანის ფლოტში, კამჩატკაზე.

აფხაზეთის კონფლიქტის დროს გოჩა ჩარიცხული იყო მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-6 ცალკეული სატანკო ბატალიონის მე-4 ასეულის პირად შემადგენლობაში.

1993 წლის 16 სექტემბერს , როცა აფხაზმა სეპარატისტებმა დაარღვიეს ხელშეკრულება და გადმოვიდნენ შემოტევაზე, მე-6 ბატალიონის სხვადასხვა ასეული შენაერთებმა გაუწიეს მტერს მედგარი წინააღმდეგობა მდ. გუმისთის მისადგომებთან, სადაც რიგითი დანელია გოჩა მძიმედ დაიჭრა და ადგილზე გარდაიცვალა.

გოჩას გმირობის ამბავი
ლეგენდად გადაეცემა,
გაიგონ, სისხლი ქართველთა,
რომ არავის არ შერჩება.

vaxtang (lesik) WiWikos Ze danelia

daibada 1950 wels, q. gagris, sof. kolxidaSi.

daamTavra kolxidis saSualo skola.

vaxtangi qarTul tradiciul ojaxSi izrdeboda, sadac sufevda patriotizmi, siyvaruli, samarTliani iyo, vinmes daCagvras ver itanda da arc aravis apatiebda usamarTlobas, mas uyvarda sicocxle, surda mTeli energia daexarja saqarTvelosTvis, raTa is xom momavali iyo saqarTvelosi. yoveli misi sityva, sicili sicocxliT iyo savse, dauviwyari.

mas yvela uyvarda, uyvarda TviT ufalsac da ufali mas mouxmobs TavisTan.

gagris dacemis Semdeg vaxtang daneliam 17 wlis Tavisi vaJkaci, amoiyena gverdSi da SiSis zars scemda mters. brZolaSi uSiSari da Seudrekeli iyo, sul wina xazze garboda.

1993 wlis TebervalSi misi uSualo xelmZRvanelobiT mteri ukuagdo kvitoulis meurneobis SesasvlelTan. 2 ivliss, ki desantis gadmosxmis dros gaafTxebul vefxvs hgavda, man xom bevri axalgazrdis sicocxle ixsna. TviTon orive fexSi daiWra da biWebs sTxova: ~iaraRi damotoveT da wadiT!~ ZaliT gayara biWebi. am dros mas eqvsi mowinaaRmdego miuaxlovda. mowinaaRmdegebma icnes vaxtang danelia da sixaruliT SesZaxes: ~Cagvivardi xelSi?!~ amis Tqma iyo da wamSi Tvalis daxaxamebac ki ver moaswres, rom vaxtangma orive yumbara gaxsna da eqvsive saiqios gaimZRvara.

aseTi iyo gmiri vaxtangi danelia. mis namoqmedarze legendebi dadioda.

bolomde Segnebulma pasuxismgeblobam mamaci mebrZoli ukvdavebas aziara. gmirebad ar ibadebian, gmirebs brZola Sobs.

TiTqos aq damTavrda misi sicocxle. . . ara da ara! ~Cven SeiZleba brZolaSi movkvdeT, magram arc maSin vtovebT sicocxles!~.

vaxtang danelia dakrZalulia q. soxumSi, kurCenkos saxelobis parkSi.

samSoblosaTvis Tavdadebuli vaJkaci sikvdilis Semdeg dajildovda vaxtang gorgaslis 111 xarisxis ordeniT.

Tavisi qveynis RviZli Svili iyo da, rogorc vaJkacs Seefereba, ise Seewira Tavis qveyanas. saqarTvelo gadarCeba, aRdgeba, gamTliandeba, aRorZindeba _ ase sjeroda vaxtang danelias.

sikvdili sicocxlis tolfasi

vuZRvni Cemi Zmis _ lesikas xsovnas

es iyo tamiSTan, samiod wlis winaT,

samSoblos gvarTmevdnen, eSmaks ar eZina,

mamulis saxeliT mimqrali biWebi

natyviars, daqanculs Tvis mkerdze ewvina.

iyo arCevani: samSoblo_sikvdili! _

arvis SeSurdeba sicocxle monasi,

iyo damarcxebis uzomod tkivili

da iyo sikvdili sicocxlis tolfasi.

~cxra laxvarma~ cxrajer guli gaapo _

~mtris jinaze~ cas axedes biWebma,

saqarTvelos cisqveSeTSi dauRamdaT erTi fiqriT

_ afxazeTi mainc Cveni iqneba!

_ saqarTvelo erTiani iqneba!

da iyo gumisTa, iyo damarcxeba da

iyo gamarjvebac _ sikvdili gmirobis tolfasi.

mimoza danelia_Serozia

მამუკა და ირაკლი დანელიები(ძმები)

მამუკა დაიბადა 1965 წლის 15 ივნისს ქ. თბილისში.1971 წელს სწავლა დაიწყო ქ. თბილისის 102-ე საშუალო სკოლაში. 1981 წლიდან არის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. გაწვეული იყო სსრკ სამხედრო სავალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ, სწავლასთან ერთად მუშაობა დაიწყო საქართველოს ავღანეთის ვეტერანთა კავშირთან აესებულ დეტექტურ საზოგადოება "დეტა"-ში, ინსპექტორად. აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე, მამუკა დანელია ჩაირიცხა ავღანეთის სპეცდანიშნულების ასეულში, რომელიც 1992 წლის 28 აგვისტოს ჩაება საბრძოლო მოქმედებებში. შემდგომ მამუკა ირიცხება ს/ნ 55060-ში და იბრძოდა აფხაზეთში.
1993 წლის 15 ივლისს დაიღუპა მიშველის მთაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს. თბილისში გადმოსვენებული იქნა 1993 წლის 20 აგვისტოს! დაკრძალულია ქ. თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

ირაკლი ანზორის ძე დანელია
დაიბადა 1971 წელს 12 სექტემბერს ქ, თბილისში. 1977 წელს შევიდა ქ. თბილისის 102-ე საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში. სწავლის პარალელურად აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. მონაწილეობდა თითქმის ყველა აქციაში, რომელიც მიძღვნილი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისადმი. ჩართული იყო სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესებში.
აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე ჩაება საბრძოლო მოქმედებებში. 1992 წლის 22 ოქტომბერს, სოფელ აჩადარაში საომარი მოქმედებების დროს დაიჭრა და გადმოყვანილი იქნა ქ. თბილისში. გარდაიცვალა 1992 წლის 23 ოქტომბერს. დაკრძალულია ქ. თბილისში , საბურთალოს სასაფლაოზე.

დობორჯგინიძე ზურაბი

დაიბადა ოზურგეთში 1969 წლის 21 აგვისტოს
1986 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 52-ე საშუალო სკოლა.
1987-1992 წლებში სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.
1989 წელს გაიწვიეს ერთწლიან სამხედრო სამსახურში.
ჰყავდა მეუღლე და ერთი შვილი.
1993 წლის აგვისტოდან მუშაობა დაიწყო საქართველოს უშიშროების სამინისტროში.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმში დაიკარგა უგზო–უკვლოდ.
დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენით.. იგი იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელტექნიკისა და ელექტრომექანიკის ფაკულტეტის სტუდენტი. 1992 წ. ზურამ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ემზადებოდა სტაჟირებისათვის მოსკოვში გასამგზავრებლად. ამასობაში ზურამ სამხედრო სავალდებულო სამსახურიც მოიხადა.
. იგი ერთ-ერთი იმ 25 ვაჟკაცთაგანია, ვინც მინისტრთა საბჭოს შენობაში ბატონ ჟიული შარტავას დასაცავად შეიყვანეს. მას შემდეგ მისი კვალი იკარგება.
ზურაბს ათასი ოცნება და ჩანაფიქრი განუხორციელებლი დარჩა, ოჯახს კი უსაზღვრო სიყვარული და მონატრება დაუტოვა.
ზურაბის მამა, ბატონი ვლადიმერ დობორჯგინიძე საზოგადოება „მოლოდინის“ დამაარსებელია. ის აქტიურად ეძებს, თავის თანამშრომლებთან ერთად, ყველა დაკარგულს. ღმერთმა ქნას, რომ უმრავლესობა ცოცხალი აღმოჩნდეს.



კაპრალი ონისე დოიჯაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.
გიორგი დოიჯაშვილი: „ჩემი ძმა რომ დაიღუპა, ჩემმა უფროსმა ძმამ ჯარში წასვლა გადაწყვიტა, დღეს ის იგივე ბატალიონში, იგივე ასეულში მსახურობს, სადაც ჩემი ძმა მსახურობდა…“

დემეტრაშვილი ზაზა

დაიბადა ქ. თბილისში 1966 წლის 14 ოქტომბერს.
1972-1982 წლებში სწავლობდა თბილისის 43-ე საშუალო სკოლაში.
1982-1987 წლებში სწავლობდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ენერგეტიკის ფაკულტეტზე,
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 26 სეტქემბერს, ქალაქ სოხუმთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

დავით ეგნატაშვილი

დაიბადა ქ. თბილისში 1965 წლის 19 მარტს.
1971-1980 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 160-ე საშუალო სკოლაში.
1980-1985 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში (სპეციალობით-სამრეწველო წარმოება).
1985-1987 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს, ქალაქ სოხუმში დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ექიზაშვილი ივანე

დაიბადა 1951 წლის 5 მარტს დმანისის რაიონის სოფელ გომარეთში1958-1967 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 129-ე საშუალო სკოლაში.1967-1968 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის მე-11 პროფესიულ ტექნიკუმში მზარეულის სპეციალობაზე.მუშაობდა თავისი პროფესიით სხვადასხვა ადგილებზე.1993 წლიდან მუშაობდა საქართველოს უმიშროების სამინისტროში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმში დაიკარგა უგზო-უკვლოდ.საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 ნოემბრის განკარგულებით დაჯილდოვებულია ვ. გორგასლის I ხარისხის ორდენით.

რაულ ეშბა



ადამიანი ორი თარიღით თარიღდება...

1931--1993 წ. წ.
ეროვნებით აფხაზი, 1993 წლის 26 სექტემბერი... მრეწველობის მინისტრი, 26 სექტემბერს ღამეს მის კაბინეტში გვიამბო, თუ როგორი ცხოვრების გზა განვლო, სად და როგორ უქეიფია და ასე შემდეგ...ასე რომ, მე ჩემი გზა კარგად გავიარე და რომ მოვკვდე, ქვეყანა არ დაიქცევა, აი, თქვენი სიკვდილი კი ცოდვაა. რაულ ეშბა აფხაზი კაცი გულით უფრო ქართველად თვლიდა თავს, ვიდრე ზოგიერთი ქართველი.

ამავე დროს ღამის 12 საათზე, რაულ ეშბას ურეკავს სოხუმში ერთი ცნობილი პიროვნება და სიცილით ეუბნება.."თქვენ, რა, სულელები ხართ, ყვალა წასულია და მანდ რას უზიხართ?!

" რაულ ეშბამ საკადრისი პასუხი გასცა და ყურმილი დაუგდო...

27 სექტემბერს, სოხუმის აღების დროს აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის რანგში იმყოფებოდა აფხაზეთის მინისტრი, ჟიული შარტავას გვერდით.

სეპარატისტებმა ჟიული შარტავასთან ერთად ტყვედ იაყვანეს და დახვრიტეს.

ექიზაშვილი ბესიკ

რა არის თბილისელობა? რა არის საქართველოს სიყვარული?

თბილისელი ბიჭი ბესიკ ვლადიმერის ძე ექიზაშვილი დაიბადა 1971 წლის 19 ივნისს ქ. თბილისში. ცხოვრობდა და ბავშვობა გაატარა ლოტკინზე.სწავლობდა 129-ე საშუალო სკოლაში. მე-4 კლასიდან დადიოდა კარატეზე.

სკოლის დამთავრების შემდეგ დაიმსახურა შავი ქამარი. იმ წელსვე მოეწყო ბარნაულში უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ავია გამანადგურებლების ინჟინრის სპეციალობაზე.
1989 წლის 9 აპრილის ამბებმა მასზე ძალიან იმოქმედა და სულ გვწერდა, მე საქართველოს ვჭირდებიო.
1991-1992 წლებში მუშაობდა შსს დაზვერვის დეპარტამენტში. წოდება ჰქონდა ლეიტენანტი. 1993 წლის მარტში გადავიდა თავდაცვის სამინისტროში და გაუშვეს მანგლისის ბატალიონში ოცმეთაურად. 1993 წლის 6 ივლისს აფხაზეთში ახალციხისა და დუშეთის ბატალიონი შეიყვანეს. ამ ომში ყველაზე დიდი დანაკარგი ამ ბატალიონმა განიცადა,
ვიღაცამ დარეკა...ოჯახს უთხრეს-- " თქვენი შვილი აგუძერაში საავადმყოფოში წევს დაჭრილიო."
ბესიკის მამა სოხუმში გადაფრინდა.
ომი გრძელდებოდა, სოხუმი ჯერ კიდევ ისევ იდგა.
შრომა, სტარუშკინა- ცუგოროვკასთან ახალციხელი ექიმი გელა ჯანაშვილი და ბესიკი მუხლში დაჭრილი ნახეს 16 ივლისს.
ბესიკის დედამ ვერ გაუძლო მამა-შვილის მოლოდინს და თვითონაც გადაწყვიტა აფხაზეთში ჩასვლა. დადიოდა გადამწვარ დაბომბილ სოფლებში, სადაც ქვეყანაზე არავინ იცნობდა, არც გზაკვალი იცოდა.. ეუბნებოდნენ--"დეიდა აქედან ყველა გარბის, შენ აქ რა გინდაო."
სოხუმი დაეცა...
1993 წლის 16 ივლისის შემდეგ ბესიკი არავის უნახავს...
ბესიკ ექიზაშვილი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

დაუსრულებელი მოლოდინი გრძელდება...
მტრებმა იცოდნენ..
თავს არასდროს არ დაისაწყლებს,
ყველამ იცოდეს ..ქართლი ქართველობს,
მარად იქართლებს.

ეგოროვი ვალერი

გულში იბრძოდა ორგვარი გრძნობა
ორგვარი ვალი ბიჭს მხრებზე აწვა,
დედულისა და მამულის განცდა
იბრძოდა მასში და სულსა სწვავდა.
დაიბადა 1969 წლის 9 აპრილს ქ. გაგრაში. ეროვნებით --რუსი. სწავლობდა ქ . გაგრის შ რუსთაველის სახელობის N 1 საშუალო სკოლაში. სწავლის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სკოლის საზოგადოებრივ ღონისძიებებსი, ფრიადოსანი. ქ. გაგრის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებული ფარიკაობის წრის წევრი.
ვალერი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიმართლის სიყვარულით, იყო ალალმართალი, კეთილი და შრომის მოყვარე, ადვილად ამყარებდა კონტაქტს სრულიად უცხო ადამიანებთან, ჰყავდა სხადასხვა ეროვნების მეგობრები.
საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ ვალერიმ სწავლა გააგრძელა ქ. ზუგდიდის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში. 1987 წელს გაიწვიეს სამხედრო სვალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ მშობლიურ ქალაქს სერჟანტის წოდებით დაუბრუნდა და კვლავ სწავლა გააგრძელა. ამავე პერიოდში შექმნა ოჯახი. სიყვარულით შექმნილი ოჯახი მალე პატარა ქალიშვილის, თამარის დაბადებამ კიდევ უფრო გაალამაზა.
1991 წლის 28 თებერვალს ვალერიმ დაამთავრა ტექნიკური სასწავლებელი და მიიღო ტექნიკის-მექანიკოსის სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების ექსპლატაციის ოსტატის სპეციალობა, იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქ. გაგრის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში.
1992 წლის 2 ოქტომბრიდან- გაგრის დაცემის დღიდან მის შესახებ არაფერია ცნობილი, დაიკარგა უგზო უკვლოდ.
საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ქ. გაგრის შს საქალაქო განყოპილების თანაშრომელი, პოლიციის სერჟანტი ვალერი ეგოროვი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის დაჯილდოებულია მედლით ''მხედრული მამაცობისათვის''.

"სიყვარული გზად და ხიდად!..."
აფხაზ ქართველებს, ქართველ აფხაზებს!".

ერთი მიწა გზრდის, ერთი ცა გვხურავს,
ერთი დედა გვყავს აფხაზ-ქართველებს,
ქართველ-აფხაზმა კარგად იცოდეს
ჩვენ სიყვარული კვლავ გაგვამრთელებს.

სხვა გზა არა გვაქვს..სხვა გზა დაგვღუპავს,
ეს ერთი გზაა, გადამრჩენელი,
ჭკუით აფხაზო, ჭკუით ქართველო,
სიყვარულია ჩვენი მრჩეველი.

კვლავ გველოდება "მორდუ"ორთავეს,
ორივეს გვიხმობს ადათ-წესებით...
უფლის ნაბოძი,-სინდის-ნამუსი,
სულ იქნებიან ჩვენი მწყემსები.

კავკასიელებს თუ გადაგვარჩენს
ჭკუა-გონება და სიყვარული,
ჭირსა და ლხინში ერთად დავდგეთ და
გზა გავაგრძელოთ, ძმებო! მხარულით.

ბიეტა აბშილავა

ვაჩეიშვილი მალხაზი დავითის ძე.

დაბადებული 1953 19 სექტემბერს. მთასვლელი. ქართველთა სამხედრო-სადაზვერვო ფორმირება "მთიელთა ფარი" -ედელვეისი". მეთაური. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის თავდადებით. უცოლშვილო. დაიღუპა 1992 წლის 28 ნოემბერს ოჩამჩირეში სოფ. ქეთევანაზე მტრის მასირებული შემოტევის დროს უთანასწორო ბრძოლაში ემზარ ონიანთან ერთად. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს საძმო სასაფლაოზე.

ვიბლიანი თამაზი

დაიბადა 1962 წლის 25 სექტემბერს მესტიის რაიონის სოფ. კიჩხულდაში.

საშალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, დემობილიზაციის შემდეგ დაიწყო მუშაობა მესტიის შსს საქალაქო განყოფილებაში. იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა პოლიციის თანამშრომლებთან. 1989 წელს თავისი ბედი დაუკავშირა თავის გულისწორს ლელა ქოჩქიანს, იმავე წელს გადადის სამუშაოდ გაგრის შს საქალაქო განყოფიკლებაში. პარალელუტად სწავლობდა კალინინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაუსწრებლად. ახალგაზრდა მამა ქალიშვილების მომავალაზე ოცნებობდა, მაგრამ ამ უთანასწორო ომის გამო არ დასცალდა.

აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე უყოყმანოდ ჩაება სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. გაგრის დაცემის დღეს, 2 ოქტომბერს მძიმედ დაიჭრა, განკურნების შემდეგ ქ. სოხუმში დაბრუნდა თავისი ბატალიონის შემადგენლობაში.

1993 წლის 5 ივლისს სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს ჭურვის აფეთქების შედეგად მიიღო სასიკვდილი ჭრილობა, რის შედეგადაც გარდაიცვალა. . .

მეგობრები სიყვარულით იგონებენ თამაზს, ის იყო ვაჟკაცობით დაჯილდოვებული ადამიანი, მარტო მისი ფიზიკური მონაცემები რად ღირდ, ძლიერი, სპორტული აღნაგობის ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი იუმორის გრძნობას არ კარგავდა. მას ბოლო წუთამდე სჯეროდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგებოდა, რომ ეს მისი მეგობრებისა და თანატოლების ვალი იყო.

თამაზ ვიბლიანი დაკრძალულია სოფელ კიჩხულდაში, მამისეულ საგვარეულო სასაფლაოზე.

იგი დაჯილდოვებულია სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, ვაჟკაცობისა და სიმამაცისათვის სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით.

მსუბუქი იყოს შენს მკერდზე ქართული მიწა, ვალმოხდილი მამულიშვილო.

ვეკუა სევერიანე კაპიტონის ძე

დაიბადა 1930 წლის 15 თებერვალს ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარაში. იყო ექვსი შვილის მამა. პროფესიით მძღოლი. მუშაობდა კოჩარის ჩაის ფაბრიკაში.

1992 წლიდან იგი აფხაზეთის ომში ირიცხება თავდაცვის სამინისტროს 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში, თავის ორ ვაჟკაც ბიჭებთან ერთად - ედიკ და გენადისთან.

კოჩარლებს, ღიმილის ბიჭებს, რომლებმაც სანამ პირში სული ედგათ, არ მიუტოვებით თავიანთი ლამაზი სოფელი, ღირსეულად მოიხადეს ვალი ქვეყნისა და ღმერთის წინაშე.

კოჩარელ ვაჟკაცებს გვერდში დედებიც ედგნენ, რომლებიც შვილებს ამხნევებდნენ, მშობლიურ კუთხის ბარბაროსთაგან დაცვისკენ მოუწოდებდნენ.

კოჩარელთა მიზანი ერთი იყო - სიკვდილი ან გამარჯვება.

გაგრის დაცემის შემდეგ 1992 წლის 26-30 ნოემბერს აფხაზთა და კონფედერანტთა ფორმირებები ჩეჩენ შამილ ბასაევის მეთაურობით ბრძოლით იღებენ ოჩამჩირის რაიონის ყველაზე დიდ ქართულ სოფელს კოჩარას და მთლიანად ანადგურებენ მას.

სწორედ ამ საშინელ დროს 1993 წლის 5 მაისს ვეკუა სევერიანე კაპიტონის ძე მოკლულ იქნა მტრის მიერ ნასროლი ტყვიით.

მუდამ ემახსოვრება ხალხს ქვეყნისათვის თავდადებული გმირი ვეკუა სევერიანე, რომელმა 62 წლის ასაკში თავი შესწირა სამშობლოსათვიუს თავის გმირ ვაჟკაცებთან ერთად. მათმა ვაჟკაცურმა მარჯვენამ, გონმა და ზნეობამ კიდევ ერთხელ საქვეყნოდ გამოაჩინაჩვენი ხალხი სულის სიდიადე, შემართება, შეუპოვრბლობა და დაუმორჩილებლობა.

კოჩარლებო! - თქვენ აანთეთ მარადიული სანთლები! მერე ამ სანთლების გადარჩენისათვის სიცოცხლე გასწირეთ . . . სამივე ერთად მამა - შვილები კოჩარელ მიწაზე განისვენებენ . . . ისინი არ კვდებიან, ისინი ღმერთდან პოულობენ წმინდა სულის მარადიულ სიმშვიდეს.

ვეკუა გენადი სევერიანის ძე

დაიბადა 1966 წლის 15 აგვისტოს ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარაში. კოჩარის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ჯარში. სამხედრო მოვალეობა პირნათლად მოიხადა ქ. ჩელიაბინსკში.

1992 წლის აფხაზეთში კონფლიქტის დროს ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში რიგით მსროლელად. მონაწილეობდა აღნიშნული ბრიგადის სარდლობის დაგეგმილ ოპერაციებში, კოჩარასთან, ლაბრასთან, ცაგერასთან.

გული ცუდს უგრძნობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთელი სოფლის ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და დამუნჯებულებივით იყვნენ. ის იყო მინდობილი დავალების კეთილსინდისიერად და პატიოსნად შემსრულებელი. ეამაყება სოფელს, რომ იგი პირნათლად შეეწირა ქართული ენისა და ერის სიყვარულს.

1993 წლის 5 მაისს, ცაგერასთან მიმდინარე ბრძოლისას ცაგერის საზღვართან , გენადი სევერიანის ძე ვეკუა დაიღუპა მტრის ნასროლი ტყვიით, თავის ძმასთან ვეკუა ედიკ სევერიანეს ძესთან და მამასთან ვეკუა სევერიანე კაპიტონის ძესთან ერთად. იგი დასაფლავებულია სოფ. კოჩარაში.

ამ ცხოვრებაში მოდგმიდან მოდგმამდე გადადის ლეგენდები მამულიშვილისთავის თავდადებული ვაჟკაცებზე, იმ გაუხუნარ ქართღულ სადღეგრძელოებზე, რომელშიც ვამბობთ: “ეს გაუმარჯოს იმ ბიჭებს, ვინც საქართველოსთღვის დაიღუპნენ“.

ვეკუა ედიკი სევერიანის ძე

დაიბადა 1961 წლის 11 ივლისს ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში ქ. ლებედიანსში. დამთავრა ქ. სოხუმის სასოფლო სამეურნეო სუბტროპიკული ინსტიტუტი.

1992 წლიდან ირიცხება საქართველოს თავდაცვის სანმინისტროს 24-ე ბრიგადის 242 -ე ბატალიონში რიგით მსროლელად. რიგითი ვეკუა ედიკი სევერიანის ძე მონაწილეობდა აღნიშნული ბრიგადის ყველა დაგეგმილ ოპერაციებში სოფ. კოჩარაში, ლაბრაში, ცაგერის მისადგომებთან.

დიდი გული ჰქონდა, მტრის ტყვიაც კი გულით დაიჭირა. ბედისწერამ ქრისტეს ასაკში არგუნა სიკვდილი, ალბათ ესეც რჩეულთა ხვედრია. ვინ იცის, რას ფიქრობდა ის იმ წუთებში, თუმცა რა საკითხავია - მას ხომ არაფრად მიაჩნდა სამშობლოსათვის საკუთარი სიცოცხლის დათმობა, ჰოდა ალბათ იმას ხარობდა, რომ მამულისათვის კვდებოდა.

1993 წლის 5 მაისს, რიგითი ვეკუა ედიკი საბრძოლო მოქმედებების დროს მოკლული იქნა მტრის ნასროლი ტყვიით სოფ. კოჩარასთან. დაკრძალულია სოფ. კოჩარაში. მასთან ერთად დაღუპნენ მისი ძმა - გენადი სევერიანის ძე ვეკუა და მამა - სევერიანი კაპიტონის ძე ვეკუა.

გაზაფხულს სილამაზე მოაქვს . . . კვირტები და მშვენიერება მოაქვს . . . მაგრამ მწარეა ის სილამაზე, რომელსაც სიკვდილი ახლავს, რომელიც სისხლის ფერია და ცრემლებით ირწყვება.

გულში ჩაიკრა . . . სამუდამოდ დაუდო ბინა ქართულმა მიწამ ვაჯკაცობიუსა და სიყვარულში განთქმულ ვეკუების ოჯახს . . . მიეფერა მიწამ მათ ნატყვიარებს, მალამოდ დაედო ჭრილობებს და ვაი . . . ვაი, რომ იგი პირველი არც უკანასკნელი არ ყოფილა.

სანთლებით გზა გაუნათეთ! მათთვის ვეკუების ოჯახისათვის ვილოცოთ!,.

ვეკუა თენგიზი იპოლიტეს ძე

დაიბადა 1962 წლის 12 მარტს გულრიფშის რაიონის სოფ. ბაღმარანში.

1978 წელს დაამთავრა ბაღმარანის საშუალო სკოლა.
1978-79 წლებში მსახურობდა უკრაინაში.

ვეკუა თენგიზ იპოლიტეს ძე აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის პირველი მოტომსროლელი ბატალიონის შემადგენლობაში ოც მეთაურად (ბრძანება # 31 07.11.1992 წ).

იგი მონაწილეობას იღებდა ბატალიონის მიერ განხორციელებულ საბრძოლო მოქმედებებში. მეთაურის ბრძანებებს ასრულებდა პირნათლად, თანამშრომლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1993 წლის 27 აპრილს დაიღუპა გუმისთაში საბრძოლო მოქმედებების დროს. დაიღუპა სამშობლოსათვის თავდადებული ჭაბუკი. მასზე გამოეხმაურა „სამშობლოსათვის თავდადება და თავგანწირვა არ განისაზღვრება არც დიდი ჩინით, არც რაიმე მნიშვნელოვანი ტიტულით, ამ ყველაზე საპატიო და უმძიმესი ტვირთის შემამსუბუქებელი გრძნობა მხოლოდ და მხოლოდ „ერთი უბრალო“ რამ არის - სამშობლოსადმი დიდი სიყვარული და ამ სიყვარულის უმაღლესი ჯილდო: გმირული სიკვდილი!!!

ქართული ფუძე, ქართული ძირი ისევ ყვავილობს...
ჭეშმარიტად - გმირები არ კვდებიან!

ვერძეული ვახტანგ

დაიბადა 1958 წლის 2 მარტს დუშეთში.
სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში.

მუშაობდა დუშეთის რაიონის სოფ. ბაგიჭალის სამშენებლო კომბინატში.
საქართველოს ძნელბედობის დროს ვახტანგმა ვაზიანის ბატალიონში დაიწყო მუშაობა.
1993 წლის იანვრიდან დუშეთის ბატალიონში გადმოვიდა - ტანკისტად.

ვახტოლა, ასე ეძახდნენ ნაცნობ-მეგობრები, სიკეთითა და ვაჟკაცობით გამოირჩეოდა თანატოლებში. უბანში ყველას, დიდსა და პატარას უყვარდა და პატივს სცემდა. მისი გატაცება ნადირობა იყო.

1993 წლის 2 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის სარდლის ბრძანებით დანიშნული იყო ნაღმტყორცნი ბატალიონის ზემდეგად 55070 ს/ნაწილში.

1993 წლის 2 ივლისს, ტამიშში დესანტის ჩამოსხმის დროს, მტერთან უთანასწორო ბრიგადაში ტყვედ ჩავარდა და მას შემდეგ მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის, გაქრა.
თანამებრძოლები, ოჯახი და მთელი დუშეთი განსაკუთერებით გლოვობს მის დაკარგვას.

ცხოვრება მიდის, გრძელდება. ყველაფერი თავის კალაპოტში დგება. . . რჩება გატეხილი გულები და აცრემლებული თვალები...

დავით მიხეილის ძე ზურაბაშვილი

დაიბადა 1962 წლის 7 დეკემბერს ქ.დუშეთში. 1991 წლიდან იბრძოდა სამაჩაბლოში. იყო „ავღანელთა კავშირის“ ბატალიონის შემადგენლობაში. 1992-93 წლებში იბრძოდა აფხაზეთში. 1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას წარმოებულ ბრძოლისას უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ზარანდია თენგიზ

დაიბადა 1957 წლის 7 დეკემბერს გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფში.1964 წელს შევიდა დრანდის საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1974 წელს.
იმავე წელს მოეწყო თბილისის ცეკავშირის ტექნიკუმში დაუსწრებელ განყოფილებაზე.
1975 წელს გაიწვიეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო სამსახურში, რომელიც დაასრულა 1977 წელს.შემდგომ განაგრძო სწავლა და სამსახური.
როგორც კი დაიწყო აფხაზეთის ომი, იგი მაშინვე ჩაება საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში და ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის პირველი ბრიგადის სოხუმის "თეთრი არწივის" ბატალიონში.
აფხაზეთის დაცემის შემდეგ პატრიოტულმა სულისკვეთებამ არ მოასვენა. ამიტომაც განაგრძობდა პარტიზანულ ბრზოლებს.
აფხაზეთის ომში თენგიზ ზარანდიას ბევრი გმირობა ჩაუდენია. ბოლოს, 2003 წლის 5 ოქტომბერს, ტყვარჩელის რაიონში დამთავრებული საიდუმლო ოპერაციის შემდეგ, ქართველ პარტიზანთა ხუთკაციანი ჯგუფი უკან ბრუნდებოდა. გალის მისადგომებთან ინფორმატორებმა პარტიზანებს აცნობეს, რომ აფხაზეთსა და საქართველოს პირობით საზღვართან ახლოს მდებარე ერთ-ერთი სოფლისკენ ავტომანქანა "ვოლგით" მიემართებოდნენ სეპარატისტების ბოევიკები სადამსჯელო ოპერაციის განსახორციელებლად. პარტიზანებმა გეზი სასწრაფოდ შეცვალეს, სასწრაფოდ დანაღმეს მანქანის სავალი ნაწილი და იქვე ახლოს ჩასაფრდნენ.რამდენიმე საათის შემდეგ არემარე საშინელი აფეთქების ხმამ გააყრუა. პარტიზანებმა იფიქრეს, ყველა დაიხოცაო, მაგრამ ერთი მათგანი მხოლოდ დაჭრილი ყოფილა. მან მოასწრო და ქართველ მებრძოლებს ხელყუმბარა ესროლა, რომელმაც ბახვა კოპალიანს ფეხი მოწყვიტა. ჯგუფია მეთაურმა თენგიზ ზარანდიამ დანარჩენებს უბრძანა; "სოფლიდან ცხენი მოგვაშველეთ, დაჭრილ ცხენზე შევსვათ და აქაურობას გავეცალოთ, ყოველი წუთი ძვირფასია, მე დაჭრილთან დავრჩები..."
აფხაზებს ზარანდია და კოპალიანი ალყაში მოექცათ.აფხაზებმა დანებება უბრძანეს და მოსაფიქრებლად ორი წუთი მისცეს. ორმა წუთმა ორი წამით გაიარა და მოულოდნელად ორი გასროლის ხმა გაისმა. ტყვედ ჩავარდნას, თენგომ და ბახვამ, თვითმკვლელობა ამჯობინეს. აფხაზებმა თენგო ზარანდიას "ანარხუ" შეარქვეს.
გმირულად დაღუპული თენგიზ ზარანდია დაკრძალულია ქ . თბილისის საბურთალოს სასაფლაოზე და გმირთა მოედანზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული გმირების სიაში ირიცხება.

ზარანდია გერონტი (გენადი)

დაიბადა 1961 წლის 7 აგვისტოს, გულრიფშის რაიონის სოფ. ზემო ფშაფში. მას ყველა იცნობდა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ის იცნობდა ყველა ჯარისკაცს. მას აფასებდნენ, უყვარდათ, აღმერთებდნენ, ღირსეული მოკეთე და მზრუნველი, მოსიყვარულე, შემნდობი და ამავე დროს პრინციპული.

ბუნებით ნიჭიერი, დიდი ორგანიზატორი, რაც არ იცოდა ხმამახლა აღიარება და ამის არ რცხვენოდა.

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ჩარიცხული იყო 23-ე ბროგადის მე-5-ე ბატალიონში (ბრძანება N25 11.02.1993) რიგით მებრძოლად. 1992 წლიდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. გათანაბრებული არის დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან. ულმობელია წუთისოფელი, სიკვდილი რჩეულებზე ნადირობსო, ამბობენ. ის მართალია ომში არ დაღუპულა, მაგრამ ამ ომმა სამუდამო ნიშანი დაუტოვა. ის დასვა ეტლში. ომის შემდგომ მონაწილეობდა კლიპში “გამარჯობა აფხაზეთო შენი“. კლიპის დროს ზის ეტლში. მას სიცოცხლის ბოლო წუთებში უჭირდა გადაადგილება ბრძოლის ველზე მიღებული ჭრილობების შედეგად. დაიღუპა 2007 წლის 30 ოქტომბერს. დასაფლავებულია ქ. რუსთავში.

საქართველოს ნათელი მერმისისთვის შეწირული ზვარაკად, არასდროს დაგივიწყებს შენი ხალხი და ქვეყანა.

დიდება, საუკუნო ხსოვნა მათ! საქართველოს მებრძოლის გენი, არ დაკნინდება, ის კიდევ იტყვის თავის სათქმელს!

ზარანდია დავითი ზურაბისნ ძე

დაიბადა 1962 წლის 13 ოქტომბერს გულრიფშის რაიონის სოფ. ვარჩეში.

სამშობლოს პირველსავე დაძახებაზე უყოყმანოდ ჩადგა საომარ მოქმედებებში.

რიგითი ზარანდია დავითი ზურაბის ძე, 1992 წლის 20 სექტემბერს გაწვეული იყო გულრიფშის სამხედრო კომისარიატის მიერ და ჩარიცხული იქნა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონის რიგებში. მეთაურების ყველა დავალებებს ასრულებდა პირნათლად. კერძოდ, მიიღო მონაწილეობა კინდღი-ტამიშის გზის გახსნაში, აძიუბჟას გაწმენდაში, აფხაზურ-ათარაში შეტევითი ბრძოლის დროს, იცავდა კოდორის ხიდს.

1993 წლის 16 სექტემბერს, ომის გაგრძელების დროს იდგა კოდორის მარჯვენა სანაპიროზე, რამოდენიმეჯერ გადავიდა სოფ. აძიუბჟაში.

. . . ჩვეულებრივი აფხაზეთის შვილი, გამორჩეული, გაზაფხულის მზესავით ნათელი ღიმილი ჰქონდა. გადამდები, მხიარული განწყობილება, ყველასათვის მიჰქონდა მისი წილი ღიმილი და ხალისიანი სიტყვა. სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ყველას თავს ამახსოვრებდა.

სოხუმის დაცემის შემდეგ ბოლო წუთამდე იყო სოფ. ვარჩეში. 1993 წლის 30 სექტემბერს, ერთ-ერთი საომარი მოქმედებების დროს გმირულად დაიღუპა ქ. სოხუმში.

დაკრძალულია სოფ. ვარჩეში, საკუთარ ეზოში.

დიახ! თქვენ გმირები ხართ! გმირები კი არასდროს კვდებიან, მომავალ თაობების ამაყად, ლაღად მხრებგაშლილი ივლიან თქვენი გმირობით გაკვალულ გზებზე შთაგონებულები.

მსუბუქი იყო შენთვის, შენი მშობლიური, ქართული მიწა.

ზურაბაშვილი მამუკა

დაიბადა 1972 წლის 15 მაისს ასპინძის რაიონში, მოსამსახურის ოჯახში

1989 წელს დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა.

დაამთავრა თბილისის ტექნიკუმი, ბუღალტრის სპეციალობით.

1990 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში.

მამუკა შოთას ძე ზურაბაშვილი ირიცხებოდა ასეულში 1992 წლის 1 მარტიდან. მონაწილეობდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის რეგიონში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში.

1992 წელს შეუერთდა თერჯოლოს ბატალიონს.

20 წლის ასაკში ჭაბუკი მამუკა ზურაბიშვილი დადგა სამშობლოს დასაცავად. იყო მეტად კეთილი, სათნო და ამავე დროს ვაჟკაცური ბუნების, უყვარდა სამშობლო და მეგობრები.

1992 წლის 24 აგვისტოს დაიღუპა ტელეანძის თავდასხმის დროს. დაკრძალულია ასპინძის რაიონში.

ზედგენიძე მალხაზი ნუგზარის ძე

დაიბადა 1971 წლის პირველ თებერვალს ასპინძის რაიონის სოფ. ჭობერეთში.

აფხაზეთის კონფლიქტის დროს 1992 წლის 21 დეკემბერს ჩაირიცხა 22-ე მოტომსროლელი ბრიგადის 222-ე ბატალიონში. პირნათლად ასრულებდა მეთაურის მითითებებს.

1993 წლის 4 ივლისიდან გაგზავნეს გუმისთის წინა ხაზზე საბრძოლო დავალების შესასრულებლად. საბრძოლო დავალებიდა უკან არ დაბრუნებულა.

4 ივლისის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

ზაქარაია ზაური

დაიბადა 1954 წლის 2 ივნისს გალის რ-ნის სოფელ ლიდავაში.
1971 წელს ჩაირიცხა საქართველოს პილოტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე.
ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გულრიფშის სამშენებლო კომბინატში ცვლის უფროსად. პარალელურად, შეთავსებით მუშაობდა ,,პეპსი-კოლა"-ს ქარხანაში ვცლის უფროსად.
1980 წელს საცხოვრებლად გადავიდა ქ. სოსოხუმში.
1987 წელს დაოჯახდა
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 24 სექტემბერს, ბაბუშერას აეროპორტთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ზალდასტანიშვილი თეიმურაზი
ზალდასტანიშვილი ზურაბი
წიკლაური ნიკოლოზი (ნუკრი)
წიკლაური ვასილია

(ერთი ოჯახიდან)

1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერაში რუსული არტილერიის მიერ ჩამოგდებულ ქართულ თვითმფრინავში 95 მებრძოლი დაიღუპა. მათ შორის იყვნენ ზურაბ და თემურ ზალდასტანიშვილები, ნუკრი და ვასილი წიკლაურები.

ზალდასტანიშვილების ოჯახში ორი ვაჟი იბრძოდა: თემური დინჯი და ფიქრიანია, სურიკო - ხამაუერიანი და მხიარული. საერთო მეგობრები ჰყავთ უბანშიც, სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში. დედა - ბელა ზიკლაური _____, მამა, ლევან ზალდასტანიშვიკლი ინჟინერი. ქართული ტარდიციების ერთგულება, ურთიერპატივისცემა, მოყვარის და სიყვარული ამ ოჯახისათვის ბუნებრივია. დედის ტყუპი ძმა - ვასილი და ნუკრი უყვარდა. მცირე ასაკობრივი სხვაობის გამო უფროს ძმებად თვლიან.

სამხედრო სამსახურს კენისბერგის ოლქში ძმები ერთად იხდიან. ჯარიდან ერთად დაბრუნდნენ. მალევე დაქორწინდნენ.

ზურაბი აგრარულ უნივერსიტეტს ამთავრებდა . . . თემური სამხატვრო აკადემიის მე-6 კურსის სტუდენტი იყო, რაც აფხაზეთში ომი დაიწყო.

გაგრა ცეცხლის ალში იყო გახვეული, ბიჭები რომ საომრად წავიდნენ. როცა თემურს და ზურიკოს ომში წასვკლა ვასიკომ და ნუკრიმ გაიგეს, ისინიც გაგრისკენ გაეშურნენ - თბილისში რა გაგვაჩერებსო.

ასე დაწყვილდნენ ფრონტისნ ხაზზე.

2 ოქტომბერს გაგრა დაეცა და ოთხივენი თბილისში ჩამოვიდნენ. ომი გრძელდებოდა და ბიჭები შინ ვერ ჩერდებოდნენ, არ შეეძლოთ მშვიდი ცხოვრება.

1993 წლის მარტში ოთხივენი საქართველოს საინფორმაციო სადზვერვო ცამსახურში ჩაირიცხნენ და ისევ აფხაზეთს მიაშურეს.

1993 წლის 22 სექტემბერს საინფორმაციო სადზვერვო სამსახურის 102-ე ბატალიუონის ჯგუფი სოხუმისკენ გაეშურა. თვითმფრინავი ბაბუშერას არეოპორტში უნდა დაშვებულიყო. უკვე მეოთხედ მიემართებოდნენ ბიჭები აფხაზეთისაკენ. . .

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლასი გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ:

თეიმურაზ ზალდასტანიშვილი - ზემდეგი;
ზურაბ ზალდასტანიშვილი - ზემდეგი;
ვასილ წიკლაური - ზემდეგი;
ნიკოლოზ წიკლაური.

ბელა წიკლაური: “20 სექტემბერს ჩემთვის სამყარომ სუნთქვა შეწყვიტა. 27 სექტემბერს სოხუმი რომ დაეცა, ასე მეგონა, ასე მეგონა, ცა ერთხელ კიდევ დამემხო. ჩემი ბიჭები სოხუმის დაცემას ვერ მოესწრნენ და მიხარია, რომ ქართველების დიდი ტკივილი და ტრაგედია ვერ შეიტყვეს. ვიცი, მათთვის ეს სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. . .

ზაალიშვილი ალექსანდრე გაიოზის ძე

დაიბადა ქ. რუსთავში 1959 წლის 19 იანვარს.

1966-1976 წლებში სწავლობდა ქ. რუსთავის 16-ე საშუალო სკოლაში.

1978-1980 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. მსახურობდა კომის ასსრ-ში, შინაგანი ჯარის რიგებში. პარალელურად წარჩინებით დაამთავრა სასერჟანტო 6 - თვიანი სასწავლებელი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დანიშნეს უფროს სერჟანტად.

1978 წელს დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. 1983 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო თავისი პროფესიით ამიერკავკასიის საქტრანსმშენში.

1992 წლის 14 აგვისტოდან გაწვეულ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში აფხაზეთში და ირიცხებოდა სამხედერო ნაწილი 10143-ში რიგითად. მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო ოპერაციებში. ერთ-ერთი ოპერაციის დროს მიიღო ტრამვა და გადიოდა მკურნალობას. მკურნალობის შემდეგ ისევ წავიდა აფხაზეთში და 1993 წლის 22 სექტემბერს დაიღუპა ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის კატასტროფის დროს.

დაჯილდოვებულია ვ. გორგასლის III ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ. .

ვახტანგ გორგასლის
III ხარისხის ორდენი

მოწმობა № 01408

ალუმინისფერი ზაალუმოვილი
საქართველოს პრეზიდენტის
2008 წლის 10 იანვრის

№ 13

განკარგულებით დაჯილდოვდა

ვახტანგ გორგასლის
III ხარისხის ორდენით

№ 01264

საქართველოს პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

ნ. ბურჯანაძე

თოდუა ლევანი

დაიბადა 1966 წლის 27 იანვარს,ქალაქ სოხუმში,მოსამსახურის ოჯახში. 1982 წელს დაამთავრა ქ.სოხუმის1 საშუალო სკოლა.1988 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.ლევანი გამოირჩეოდა მაღალი ინტელექტით,დიდი შინაგანი კულტურით,იუმორის გრძნობით,თავისი ქალაქისა და სამშობლოს დიდი სიყვარულით.დაიღუპა 1993 წლის 16 მარტს,სოხუმზე დიდი შემოტევის დროს.ის ტანკისტი იყო და აფეთქდა,ლევანი ნამდვილი გმირი იყო,თავგანწირული პატრიოტი და ამაღლებული სულის ადამიანი.

გიორგი ნოდარის ძე თარხნიშვილი

დაიბადა 1973 წლის 30 ივნისს თბილისში.

მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების სამმართველოში ზემდეგად.

იბრძოდა აფხაზეთში ქ.ოჩამჩირეში. დაიღუპა 1993 წლის 23 აპრილს.

დაჯილდოებულია "ღირსების ორდენით"

თანიაშვილი იოსებ

დაიბადა 1970 წლის 27 მაისს ქ. დუშეთში.1976-1987 წლებში სწავლობდა ქ. დუშეთის I საშუალო სკოლაში. 1987-1989 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქ. მოსკოვში.1991 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სამშენებლო ფაკულტეტზე.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 4 ოქტომბერს გაგრის ტერიტორიაზე დაიკარგა უგზო-უკვლოდ. დაჯილდოვებულია ვახტანგ გორეგასლის I ხარისხის ორდენით.

ლილი თაკვარელია

დაიბადა ქ. თბილისში 12 ოქტომბერს.
ამ გოგონამ თავისი ხალმო ცხოვრების მანძილზე ბევრი რამ მოასწრო: მისდევდა საცხენოსნო სპორტს, ეუფლებოდა კარატეს ილეთებს, "ბავშვობიდან უყვარდა ცხოველები.იგი მუშაობდა შინაგან ჯარებში პრაპორშჩიკ- კინოლოგად, საუკეთესოდ წვრთნიდა ძაღლებს, უყვარდა მოყვასი და მთლად იხარჯრბოდა მათთვის.
ლილი კარგად ფლობდა იარაღს, როცა ქვეყანას დასჭირდა სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, სამჯერ იყო აფხაზეთში და მეოთხე გამგზავრება საბედისწერო აღმოჩნდა: იგი 1993 წლის 22 სექტემბერს თვითმფრინავის აფეთქებისას დაიფერფლა.მისი ცხედარი განისვენებს დიღმის ძმათა სასაფლაოზე.
მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

თათრიშვილი გოჩა

დაიბადა 1962 წლის 20 ოქტომბერს ქ. თბილისში. 1969 წელს შევიდა კასპის მესამე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1979 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო კასპის "ელექტროაპარატის" ქარხანაში მუშად, საიდანაც გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. 1982 წელს, დემობილიზაციის შემდეგ, დაბრუნდა ძემოთ აღნიშნულ საწარმოში.

1992 წლის ოქტომბრიდან ირიცხება ავღანელთა კავშირის სამხედრო შენაერთებში, საიდანაც გადავიდა საქართველოს უშიშროების სამინისტროში. მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში წარმოებულ ბრძოლებში.იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა 1993 წლის 27 სექტემბერს.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში საბრძოლო ოპერაციების დროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას გამოჩენილი მამაცობის, მხედრული ვალის მოხდისა და თავდადებისათვის დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. (სიკვდილის შემდეგ).

თვალთვაძე გიორგი



დაიბადა 1962 წლის 7 იანვარს ქ. სოხუმში.

სწავლობდა ქ. სოხუმის მე -17 საშუალო სკოლაში. იყო წარჩინებული მოსწავლე. სწავლის პერიოდში მისი სურათი არ ჩამოხსნილა საპატიო დაფიდან. აქტიური იყო ყოველგვარი ღონისძიებების ჩატარებისას. განსაკუთრებით აინტერესებდა სპორტი.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1982 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სრული კურსი, წითელი დიპლომით, იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. სამხედრო ვალდებულება მან მოიხადა რუსეთის ფედერაციის ქ. რუზაში.

საომარი მოქმედებების დროს ირიცხებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე ბრიგადის მექანიზირებული ბატალიონის ოცმეთაურად. მისი რაზმი "მიმინო.. იბრძოდა სოფ. აჩადარაში.

1993 წლის 16 მარტს გიორგი დაიღუპა გმირულად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში.

დაჯილდოებულია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრზანებით მედლით მხედრული მამაცობისათვის.

თოდუა გრიგოლ (გენადი)

მე მაგონდებაზღვის პირას სახლი,
მწვან წლკოტში ჩაფლული ეზო,
სანუკვარი მზე სხივებს უგზავნის
ევკალიპტები მწკრივად დამდგარან.

სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული გრიგოლ დაიბადა 1954 წლის 10 ნოემბერს გულრიფშის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ბაბუშერაში.ბავშვობიდან შეყვარებული აეროპორტზე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ ლენინგრადის საავიაციო სასწავლებელი დაამთავრა და მშობლიურ ბაბურის აეროპორტს დაუბრუნდა.

თოდუა გრიგოლ ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში 1992 წლის 16 აგვისტოდან.ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში.

ომის დაწყებისთნავე შექმნა ასეული, რომლის უფოსად თვითონ იყო. იბრძოდნენ გუმთასთან, ტამიშთან, კინდღთან და სხვაგან.

1993 წლის 9 დეკემბერს გრიგოლ გმირულად დაიღუპა.დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

თაკალანძე გიული

დაიბადა 1952 წლის 11 თებერვალს ქ. გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში.

სწავლობდა ქ. სოხუმში. 1962 წელს ჩაირიცხა სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში-სამშენებლო ფაკულტეტის განყოფილებაზე. პარალელურად მუშაობდა სოხუმის საბჭოს სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციაში.

პირნათლად მოიხადა სამხედრო სამსახური, დამთავრების შემდეგ მსახურობდა N133 -ე სამშენებლო სამმართველოში.

1978 წელს აქვე დაჯილდოვდა საპატიო ჯილდოთ. აქედან გაიგზავნა სასწავლებლად დნეპროპეტროვსკაიას რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტში და წარჩინებით დაამთავრა 1984 წელს.

კაპიტანი თაკალანძე გიული რაფიელის ზე 23- ბრიგადის საინჟინერო მესანგრეთა ასეულის სამსახურში 1992 წლის ოქტომბრიდან ირიცხებოდა. აღსანიშნავია, როგორც თავდადებული, შრომიანი და საბრძოლო საქმიანობებში 23-ე ბრიგადის საინჟინერო მესანგრეთა სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე. მისი ხელმძღვანელობით აღდგენილ იქნა ბრიგადის დაქვემდებარებაში არსებული ყველა ტექნიკური საშუალებები.

1993 წლის 13 მარტს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავიდან ქ სოხუმის მიდამოებში ჩამოყრილ იქნა 500 კგ. საავიაციო ბომბები, რომელთა უმრავლესობა აფეთქდა.

1993 წლის 24 მარტს საქართველოს მიწამ მიაბარა 12-ე დაღუპული კურჩენკოს პარკში ძმათა სასაფლაოზე.

"სიყვარული გზად და ხიდად!..."
აფხაზ ქართველებს, ქართველ აფხაზებს!".

ერთი მიწა გზრდის, ერთი ცა გვხურავს,
ერთი დედა გვყავს აფხაზ-ქართველებს,
ქართველ-აფხაზმა კარგად იცოდეს
ჩვენ სიყვარული კვლავ გაგვამრთელებს.

სხვა გზა არა გვაქვს..სხვა გზა დაგვღუპავს,
ეს ერთი გზაა, გადამრჩენელი,
ჭკუით აფხაზო, ჭკუით ქართველო,
სიყვარულია ჩვენი მრჩეველი.

კვლავ გველოდება "მორდუ"ორთავეს,
ორივეს გვიხმობს ადათ-წესებით...
უფლის ნაბოძი,-სინდის-ნამუსი,
სულ იქნებიან ჩვენი მწყემსები.

კავკასიელებს თუ გადაგვარჩენს
ჭკუა-გონება და სიყვარული,
ჭირსა და ლხინში ერთად დავდგეთ და
გზა გავაგრძელოთ, ძმებო! მხარულით.

ბიეტა აბშილავა

თუშიშვილი მამუკა

დაიბადა 1962 წლის 19 ივლისს ქ. თბილისში.

სწავლობდა 134-ე საშუალო სკოლაში.

1984-88 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმისს რიგებში. სწავლობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. იყო სპორტის ოსტატი კლასიკუ ჭიდაობაში.

ლეინტენანტი თუშიშვილი მამუკა ნოდარის ძე მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონში ფიზიკური მომზადების სამსახურის ინსტრუქტორად 1992 წლის 1 ივნისიდან. ამავე წლის 14 ივლისიდან 15 სექტემბრამდე მონაწილეობდა ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში.

1992 წლის 19 სექტემბრიდან მონაწილეობდა აფხაზეთში, გაგრაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში.

მტრის ერთ-ერთი შემოტევის დროს საბრძოლო დავალების შესრულებისას 1992 წლის 2 ოქტომბერს ლეონტენანტი თუშიშვილი მამუკა გმირულად დაიღუპა ქ. გაგრის დაცემისას.

დაკრძალულია ქ. გაგრაში.

თუშიშვილუი მამუკა 1993 წლის 10 აპრილის # 37 ბრძანებულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

თორდინავა ბადრი გურამის ძე

დაიბადა 1972 წლის 21 ივლისს გულრიფში, დრანდაში.

1992 წლის, ომის დაწყებიდან ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ქალაქ სოხუმში. ყველა საბრძოლო მოქმედებებში ღებულობდა მონაწილეობას. ომში უფრო და უფრო მოსიყვარულე და პატრიოტული გახდა. ბევრი ძლიერი შემოტევები გადაიტანა, მისი მიზანი იყო ბოლომდე მისულიყო, ქართული დროშა ენახა აფრიალებული მთავრობის თავზე და მერე თუნდაც მეორე დღესვე დაღუპულიყო.

1993 წლის ივლისის თვეებში დიდი ბრძოლებში იყო სოფელ შრომაში. მან ჩათვალა, რომ იქ უნდა მდგარიყო, რომ ეს ბრძოლები გადაელახა. გააფრთრებულ ბრძოლებში გმირულად დაეცა 21 წლის ასაკში.

 ბადრი თორდინავა დაკრძალულია გულრიფშის რაიონის, სოფ. ქვემი ფშაფის სასაფლაოზე.

ბადრი თორდინავა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

თოფურია მალხაზ იროდის ძე

დაიბადა 1971 წლის 7 ივლისს ქალაქ სოხუმში.

სოხუმელი ბიჭი 22 წლის. მას განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა. იყო ალალ-მართალი, კეთილი, დინჯი და დიდი სიყვარულით სარგებლობდა მეგობრებსა და ნათესავებში. მას უპირველესად მიაჩნდა სამშობლოს დაცვა- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

1992 წლის 1 ნოემბერს ჩაირიცხა 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონის მე-3 ასეულში .

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს მან თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმაქ მებრძოლმა. პირნათლად ასრულებდა მეთაურის მიერ გაცემულ ბრძანებებს. თანამებრძოლებს შოირის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

მალხაზ თოფურია 1993 წლის 28 სექტემბერს ქ. სოხუმში მდ. კელასურთან შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა, ვერ მოხერხდა მისი გამოყვანა, დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

კაპრალი ვიტალი თაყაძე



ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.
ის ომამდე ემსხვერპლა ომს – კეფით შეეგება მტრის ჭურვის ანასხლეტს… გმირულად დაეცა ავნევთან… მის მშობლიურ სოფელში უკვე რუსი იდგა, როცა რამდენიმე კაცი მიასვენებდა მის ცხედარს… ვიტალი თაყაძე გორის რაიონში, სოფელ ხელთუბანში დაიბადა 1978 წლის 28 ივნისს. როგორც დედა იხსენებს, ვიტო სკოლაში კარგად სწავლობდა, მასწავლებლებიც აქებდნენ – ნიჭიერი ბიჭიაო. მერე ჯარში გაიწვიეს, სავალდებულო სამსახური ახალციხეში გაიარა.

თევდორაშვილი კახა (ხვიჩა)

დაიბადა 1973 წლის 8 ნოემბერს ქ. სოხუმი სოფელ კელასურში.
1991 წელს დაამთავრა კელასურის ბიქტორ შელიას სახელობის საშუალო სკოლა. ბავშვობიდან გამოირჩეოდა , როგორც სპეტაკი, სამშობლოს მოსიყვარულე და ჭეშმარიტი ქართველი. ბრძოლაში კი ეს პატარა ღიმილის ბიჭი იყო ნამდვილი ვაჟკაცი, თავდაუზოგავი მებრძოლი.
როცა სამშობლოს გაუჭირდა, დადგა სამშობლოს სადარაჯოზე.
1992- 93 წლებში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-5 ბატალიონის ყუმბარმტყორცნელთა მე-3 ათეულში ირიცხებოდა. 19 წლის კახა (ხვიჩა) ღირსეულად იხდიდა მხედრულ ვალს სანამ პირში სული ედგა და იცავდა სოფლებს; ათარა აფხაზია, ახალდაბა, ტამიში, ლაბრა...
1993 წელს 2 თებერვალს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.
ქალბატონი ნანული ჩაკვეტაძე კახას დედა იგონებს---"ტირილის გარდა საქმე არ დამიტოვა ჩემმა შვილმა, ისე გამომეცალა ხელიდან. სასაფლაოს ცივი ქვაც კი სანატრელი გამხადა."
არასოდეს წაეშლება მეხსიერებიდან გულმკვდარ დედას თავისი ვაჟკაცი, რისთვისაც ამაყობს.

რეზერვისტი მიხეილ იოსავა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.
ის სულ რაღაც 22 წლის ბიჭი იყო. უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა. დიდი ცხოვრებისთვის ემზადებოდა, ჰქონდა ოცნებები და მიზნები…
მაგრამ მის სამშობლოს რუსი მოადგა და რეზერვში გამოიძახეს. სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოსულმა უფროსმა მეგობარმა თბილისში წაყოლა ურჩია. უარით გაუსტუმრებია: ასეთ დროს გაქცევა არ ივარგებსო.
ვერც მამას დაუყოლიებია შინ დარჩენაზე. „ამბობდა, ყველა ჩემი მეგობარი იქ არის და მე როგორ გამოვაკლდეო. მრცხვენოდა, დარჩენას რომ ვთხოვდი. სამშობლო მეძახისო, იმეორებდა“, – იტყვის მამა. მამა, რომელმაც თავად მიიყვანა შვილი სენაკის ბაზაზე…
ოჯახი ბოლოს 11 საათზე ელაპარაკა ბაზაზე მყოფ შვილს. პირველი დაბომბვის ხმა რომ გაიგეს, ურეკავდნენ. ზარს რომ არ უპასუხა, მშობლები ბაზაზე გაცვივდნენ. გარდაცვლილი შვილი საავადმყოფოში იპოვეს… რამდენიმე ნასხლეტი ჰქონდა თავში მოხვედრილი…
მიხეილ იოსავა 1986 წელს დაიბადა ხობში. ხობშივე დაამთავრა სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და დაამთავრა.

ელდარ ოთარის ძე ივეჩიანი

დაიბადა 1969 წლის 14 დეკემბერს, გულრიფშის რ-ნი სოფელ ჩხალთაში. დაამთავრა ჩხალთის საშუალო სკოლა.
ელდარი ივეჩიანი იყო ზემსახური, რადგანა სავალდებულო სამსახური გაიარა

ყოფილ საბჭოთა არმიაში 1988-1990 წლებში ქ.მურმანსკში.

1992 წლის 24 სექტემბერს ელდარ ივეჩიანი ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის 23 ბრიგადის მე-2 მოტო მსროლელ ბატალიონში.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში გუმისთის მისადგომებთან.

1993 წლის 17 მარტს მტერთან ერთ-ერთ შეტაკების დროს ხელჩართულ ბრძოლაში რამდენიმე ბოევიკი გაანადგურა და თვითონაც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში. გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით", სიკვდილის შემდეგ.

ზურაბ იარაჯული

- Эй, грузин, сдавайся, в плен возьмем, не убьем, не бойся- ჩეჩნური აქცენტით დაიძახა ვიღაცამ, რომელსაც პასუხად პისტოლეტის ტყვიების წივილი მოჰყვა...პილოტი ზურა იარაჯული გახლდათ. ზურამ თიანეთის სოფელ იარაჯულების სკოლის დამთავრების შემდეგ რუსეთში, კაჩას უმაღლეს სამხედრო-საფრენოსნო სასწავლებელში გააგრძელა სწავლა.აქ ჩეხოსლოვაკიური წარმოების სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავები – L-29 "დელფინი" და L-39 "ალბატროსი" შეისწავლა. 1992 წელს ახალგაზრდა ლეიტენანტს მფრინავ-ინჟინრის სპეციალობა მიანიჭეს და მისცეს თავისუფალი დიპლომი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზურა, ისევე როგორც ათობით მისნაირი ახალგამომცხვარი პილოტი, რამდენიმე თვის წინ დაშლილ საბჭოთა კავშირის სამხედრო ავიაციას აღარ სჭირდებოდა.საქართველოში ომი იწყებოდა და ზურამ და რამდენიმე ქართველმა პილოტმა სამშობლოს მოაშურეს...- Грузин, не стреляй, плен поменяем, живой останешся!..- ყოველ შეთავაზებას პისტოლეტის ხმა მოსდევს...1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ზურა იარაჯულმა, რამდენიმე პილოტთან ერთად, თბილისის საავიაციო ქარხნის აეროდრომზე მოიერიშე Су-25-ზე გადამზადების დაჩქარებული პროგრამა გაიარა და უკვე ნოემბერში კოპიტნარის აეროდრომიდან საბრძოლო გაფრენები დაიწყო აფხაზეთის ომში.1993 წლის 13 ივლისი. ორშაბათი. მფრინავები ცრუმორწმუნე ხალხია, ამიტომაც ორშაბათი და თანაც 13 რიცხვი თარსად მიაჩნიათ, მაგრამ ვერაფერს გააწყობენ...აფხაზეთში გააფთრებული ბრძოლებია. 2 ივლისს მოწინააღმდეგემ ტამიშთან

საზღვაო დესანტი გადმოსხა. 9 ივლისს, დიდი ბრძოლების შემდეგ, ოჩამჩირე-სოხუმის შემაერთებელი გზა გაიხსნა. თუმცა მტერმა, საზღვაო-სადესანტო ოპერაციის გარდა, სოხუმს სოფელ შრომის მხრიდანაც შეუტია. ეს კი ძალიან სახიფათოა, რადგან შრომიდან სოხუმისკენ გზა იხსნება და აფხაზეთის დედაქალაქი შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

კოპიტნარის აეროდრომზე ბრძანება მოდის – შრომის მიმართულებით სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს საავიაციო დარტყმა. აეროდრომიდან ოთხი Cy-25 მოიერიშე აიჭრა ცაში, ერთ-ერთს ზურა იარაჯული მართავს...ამ მომენტამდე კაპიტან ზურა იარაჯულის ანგარიშზე უკვე 50-მდე საბრძოლო გაფრენა იყო. შრომის თავზე მისმა მოიერიშემ ორი 250 კგ-იანი ფუგასური საავიაციო ბომბით მოწინააღმდეგის ტანკი და ბლინდაჟი ააფეთქა, მანამდე კი საავიაციო ქვემეხიდან გაშვებული ჭურვებით მტრის საზენიტო დანადგარი დააზიანა სოფელ კინდღთან. დაბომბა სანგრები ტყვარჩელთან და ეშერის ლაბორატორიასთან, ხოლო ახალ ათონთან, "სიდედრის ენად" წოდებულ დაკლაკნილ გზაზე, ზურამ და მისმა მეწყვილემ აფხაზების ოთხი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა "გრადიც" გაანადგურეს...იმ საბედისწერო 13 ივლისს, დილის 10 საათზე, კოპიტნარიდან აფრენილმა ქართულმა მოიერიშეებმა რამდენიმე წუთში გუმისთას მიაღწიეს. ამზარა-შრომის გზის მონაკვეთზე პილოტებმა შენიშნეს ქართულ სოფელზე დაწყებული შეტევის გასაძლიერებლად მიმავალი მოწინააღმდეგის კოლონა.შრომისკენ ერთი ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП და ოთხი სატვირთო ГАЗ-66 მიემართება. ერთ-ერთი "გაზიკის" ძარაზე საზენიტო დანადგარი მოჩანს, ავტომატიანი ხალხი მანქანებს გვერდით მიჰყვება...მოიერიშეების წყვილი 1800 მ-იდან პიკეში გადადის. პირველ თვითმფრინავს ორი 500 კგ-იანი ერთჯერადი ბომბური კასეტა სწყდება, ჰაერში იშლება და მტრის კოლონის სათავეს ეცემა. მეორე Cy-25, რომელსაც ზურა იარაჯული მართავს, ამთავრებს მეგობრის დაწყებულ საქმეს და კოლონის ბოლოს ზუსტად ახვედრებს ორ-ნახევარტონიან მსხვრევად-ფუგასურ ავიაბომბს.შეტევიდან გამოსულმა ქართველმა პილოტებმა დაინახეს, როგორ გაეხვია მოწინააღმდეგის კოლონა ცეცხლსა და კვამლში.მტერს შეიძლება საზენიტო რაკეტებიც ჰქონდეს, ამიტომაც მოიერიშეები სწრაფად ადიან მაღლა და კოპიტნარისკენ მიეშურებიან.საბრძოლო დავალება წარმატებით შესრულდა, ახლა ცოტა ხნით დასვენებაზეც შეიძლება ფიქრი – სამხედრო პილოტების ყოველ გაფრენას ხომ უდიდესი ფიზიკური და ემოციური დატვირთვა ახლავს.ჩამუხვლას ვერ ასწრებ... მოდის მორიგი ბრძანება და ორი ქართული მოიერიშე კვლავ ჰაერშია. ჩვენმა დაზვერვამ აღმოაჩინა, რომ განადგურებული კოლონის სანაცვლოდ აფხაზები ახალ ძალებს გზავნიან შრომის ასაღებად. ქართველმა პილოტებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ შრომისა და, შესაბამისად, სოხუმის გადასარჩენად.ორივე მოიერიშე კვლავ ზუსტად აყრის მტრის მორიგ კოლონას ბომბებს და მაღლა, ცაში იჭრება. დაახლოებით 3 კმ-ის სიმაღლეზე წამყვანი მოიერიშის პილოტი ამჩნევს, რომ მის მიმყოლ Cy-25-ს, რომელსაც კაპიტანი ზურა იარაჯული მართავს, ცეცხლი უკიდია. წამიც და თვითმფრინავს შავი წერტილი სცილდება, მალევე იხსნება თეთრი პარაშუტი. შველაზე ლაპარაკი ზედმეტია. წამყვანი

მოიერიშე ანტისაზენიტო მანევრს აკეთებს რაკეტის ასარიდებლად და გეზს კოპიტნარისკენ იღებს.

კოპიტნარში განგაშია. ჰაერში ადის კაპიტან იარაჯულის მეგობრების შვეულმფრენი. ისინი გუმისთასთან ეძებენ კატაპულტირებულ პილოტს, მაგრამ უშედეგოდ.წინა ხაზზე მებრძოლებმა სანგრიდან დაინახეს, თუ როგორ მოხვდა საზენიტო რაკეტა ქართულ მოიერიშეს, თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა, იქიდან გადმომხტარ პილოტს, მართალია, გაეხსნა პარაშუტი, მაგრამ ქარმა იგი ჩრდილო-დასავლეთისკენ, მოწინააღმდეგის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გააქანა...გადის დღეები. კაპიტან ზურა იარაჯულზე არაფერი ისმის. ყველა კატაპულტირებულ სამხედრო პილოტს თან აქვს "კომარის" ტიპის საავარიო რადიოგადამცემი, რომლის რადიოსიგნალებს ორბიტული კოსმოსური სისტემა აფიქსირებს. მაგრამ იმის გამო, რომ აფხაზეთის ომში რეალურად რუსეთი გვებრძოდა, "კომარის" რადიოსიგნალებს ისევ რუსი სამხედროები აფიქსირებდნენ და აფხაზებს გადასცემდნენ ჩამოგდებული ქართველი პილოტის აღმოსაჩენად...ეს ჩვენი ვერსიაა, შეიძლება ზურა იარაჯულმა საერთოდ გამორთო "კომარი". იგი თავად ცდილობდა მდ. გუმისთაზე ფრონტის ხაზის გადმოლახვას....თუმცა ეს ყველაფერი ერთი თვის შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც 27 ივლისის ხელშეკრულებით ცეცხლი დროებით შეწყდა.მოწინააღმდეგე კონტაქტზე გამოდის და ამხელს, თუ სად არის დასაფლავებული 13 ივლისს ჩამოგდებული ქართველი პილოტი. გუმისთის მეორე მხარეს მხოლოდ ზურას მამა, ბესო გადაჰყავთ. 2 აფხაზთან და 4 ჩეჩენთან ერთად 3 კმ ფეხით იარეს და ტყეში საფლავს მიადგნენ... ცელოფანსა და შინელში გახვეული შვილის ცხედარი ერთი თვალის შევლებითაც იცნო ბესო იარაჯულმა...- Он настоящим героем был, – უყვება ბესოს შვილის სიცოცხლის ბოლო წუთებზე ერთ-ერთი ჩეჩენი, – ჩვენი საპატრულო ჯგუფი კატაპულტირებულ პილოტს სამი დღე ეძებდა. 16 ივლისს მას ამ ადგილას მოულოდნელად წავაწყდით. რამდენჯერმე შევთავაზეთ დანებება, სიცოცხლესაც შევპირდით და ჩვენს ტყვეებზე გაცვლაც გვინდოდა, მაგრამ ყველა შეთავაზებაზე სროლას გვიტეხდა. მერე მოულოდნელად გადმოგვიხტა, ორი თანამებრძოლი მოგვიკლა, მესამე კი დაგვიჭრა. სწორედ იმ დაჭრილმა წაქცევის მომენტში ავტომატის ჯერი დააყარა თქვენს შვილს... ნამდვილი გმირი იყო, ტყვედ ჩაბარებას სიკვდილი არჩია. ამ აფხაზებს მაგის ნეშტის შეურაცხყოფა სურდათ, მაგრამ ჩეჩნებმა არ დავანებეთ. ვაჟკაცი ყოველთვის ვაჟკაცია, გინდ მტერი იყოს, – დაასრულა შეიარაღებულმა ჩეჩენმა.ზურა იარაჯული თიანეთში, მშობლიურ სოფელში დაასაფლავეს.უბედურებას უბედურება დაემატა. ზურას დედამ, ქალბატონმა გულომ, შვილის დაღუპვა ვერ აიტანა და თავადაც გამოესალმა წუთისოფელს. დედა-შვილი ერთად დაკრძალეს...სამიოდ წელში ზურა იარაჯულის მამაც გარდაიცვალა, მოგვიანებით ზურას ძმა, ვანოც დაიღუპა, რომელიც ასევე აფხაზეთის ომის მონაწილე იყო...- მე მტერს ცოცხალი არ ჩავბარდები! – ეს სიტყვები თავისი მეგობრებისთვის არაერთხელ უთქვამს კაპიტან ზურა იარაჯულს.

ირემაძე ვარდენ ვასილის ძე

დაიბადა 1951 წლის 9 ივნისს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ცაგერაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ პირნათლად გაიარა სავალდებულო სამსახური. მუშაობდა ოჩამჩირის რაიონის არადუს საბჭოთა მეურნეობაში მექანიზაციის განხრით.

ვარდენ ირემაძე ჩაირიცხა 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონის რიგებში.

ვარდენი მამაცი და უშიშარი მებრძოლი, თავი გამოიჩინა, როგორც სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებყულმა და თავმდაბალმა.

1993 წლის 3 იანვარს სოფ. ცხენისწყალთან გამართულ შეტაკებებში გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. დაკრძალულია სოფ. ცაგერაში.

თემურ კვარაცხელია

იყო ერთი სოხუმელი ბიჭი..
თემურ კვარაცხელია სოხუმში, კუიბიშევის 14 ნომერში ცხოვრობდა, ერთი წუთითაც არ უცდია ქალაქის დატოვება 15 წლის ჭაბუკს. ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მშობლიურ მიწას ეცილებოდა ის აფხაზიც, რომელიც მასთან ერთად ერთ სკოლის მერხს უჯდა.
თემური სიკეთის განსახიერება იყო, ყველას ეხმარებოდა....ომმა მე-15 გაზაფხულზე მოუსწრო...მიუხედავად ბებიის ცრემლებისა და ხვეწნა მუდარისა, მოხალისედ ჩაიწერა ერთ-ერთ ბატალიონში.
25 სექტემბერს ქალაქის შემოგარენს უტევდა მტერი...სხვებთან ერთად თემურიც იცავდა , იცავდა მკერდით...
27 სექტემბერი, ავბედითი დღე, სისხლგამშრალი მოხუცები ბებია და ბაბუა ეძებდნენ შვილიშვილს, ვერ პოულობდნენ.
არ იცოდნენ მოხუცებმა, რომ ბედსა და განგებას ერთიც განწირული ჰყავდა და მეორეც...მინისტრთა საბჭოს შენობა დაეცა...დაცვის ექვსი ბიჭი ვალტერ კვარაცხელიას სახლის ეზოში შეცვივდა, მოხუცებმა ისინი სახლის ეზოში შეიყვანეს, მათ ფეხდაფეხ აფხაზები მიჰყვნენ...ბიჭები ფანჯრიდან გადახტნენ, ისინი იმ წუთს გადარჩნენ, მერე კი მათი კვალი იკარგება. ვალტერი თემურის ბაბუა კი იქვე დახვრიტეს. თემური კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა....

ზურაბ კარანაძე

დაიბადა ქ. თბილისში 1971 წლის 30 ივნისს.
1977-1988 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლაში.
1988-1992 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის ფიზ-კულტურის ინსტიტუტში და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 22 სექტემბერს, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ტრაგიკულკად დაიღუპა ავიაკატასტროფის დროს ბაბუშერას აეროპორტში.
დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

მამუკა კალანდაძე

დაიბადა 1960 წლის 13 მარტს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაბეღლავში. 1977 წელს დაამთავრა ჩოხატაურის მე-2 საშუალო სკოლა შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.
1986 წელს დაამთავრა სოფ. კულაშის ზოოვეტერინალური ტექნიკუმი.
აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს ჩაირიცხა ჩოხატაურის რაიონის ცალკე ასეულში მეთაურის მოადგოლედ. იგი ჩაირიცხა ჩოხატაურის რაიონის ცალკე ასეულში მეთაურის მოადგილედ. იგი ვაჟკაცურად იბრძოდა. 1992 წლის 3 დეკემბერს სოფ. აჩადარაში საარტილერიო დაბომბვის დროს დაიღუპა.

ვლადიმერ კერდიკოვი

დაიბადა 1958 წლის 3 სექტემბერს ქ. თბილისში.
1964-1975 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 25-ე საშუალო სკოლაში.
1976-1979 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ლაგოდეხის რაიონში.
1979-1982 წლებში სწავლობდა უკრაინის რესპუბლიკის ქ. კრიმინჩუკის საავიაციო სასწავლებელში.
1982 წლიდან მუშაობდა ქ. თბილისის აეროპორტში შვეულმფრენის პილოტად.
1993 წლიდან გაუჩინარებამდე მუშაობდა საქართველოს ეროვნული გვარდიის № 55069 საავიაციო ნაწილში ვერტმფრენის მეორე პილოტის თანამდებობაზე.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 7 ივნისს დაიკარგა უგზო-უკვლოდ სოფელ ტამიშთან.

დავით რომანის ძე კობახიძე

დაიბადა 1973 წლის 19 მარტს თბილისში.

იბრძოდა აფხაზეთში. დაიღუპა 1993 3 ივლისს სოფელ ტამიშთან.

დაჯილდოებულია მხედრული მამაცობის ორდენით

ტარიელ კოპალიანი

კოპალიანი ტარიელი დაიბადა 1949 წლის 17 იანვარს ქ. სოხუმში.
პოლიციის ზემდეგი ტარიელ კოპალიანი, აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებების დროს (1992-93 წ.წ.) ქ. სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს საბადრაგო ქვეგანაყოფში მსახურობდა. იგი პირნათლად ასრულებდა საბრძოლო დავალებებს გუმისთა-შრომა-თავისუფლების მიმართულებით. მან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1993 წლის სექტემბრის ბოლო შემოტევის დროს.
ზემდეგი ტარიელ კოპალიანი, ცუგუროვკის ასეულის მებრძოლებთან ერთად მამაცურად დახვდა მტრის ჭარბ ძალებს სოფელ თავისუფლების მისადგომებთან, მან თავისი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა არაერთი სოფლის მშვიდობიანი მაცხოვრებელი.
1993 წლის 16 სექტემბერს ტარიელ კოპალიანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.
დასაფლავებულია დაბა გულირიფში. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

მალხაზ ვლადიმერის ძე კახიანი

მე-8 ბატალიონის III ასეულის ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი
დაიბადა 1963 წლის 9 აპრილს აფხაზეთში, კოდორის (დალის) ხეობაში. 1970 წელს ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად სოხუმის რ/ნ სოფელ კამანში. სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა ყოფილ საბჭოთა არმიაში (1981-1983). 1983 წლიდან მუშაობდა სოხუმის #2654 ავტოკოლონაში და ქალაქის სამგზავრო ავტოპარკში.
ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებისთანავე დაიკავა ადგილი იქ, სადაც სამშობლოს და მის თანამემამულეებს სჭირდებოდა მისი ჭკუა, ძალა და გამბედაობა. მალხაზი დაოჯახებული არ იყო, მან თანამებრძოლებიდან შექმნა მზვერავ-დივერსიული ჯგუფი, სადაც გააწევრიანა მხოლოდ უცოლო ბიჭები, ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებადა. ეს ჯგუფი განსაკუთრებულ დავალებებს ასრულებდა და ატარებდა წარმოუდგენელ ოპერაციებს. ზამთარშიც კი ჩადიოდნენ გუდაუთაში, შუბარის მთების გავლით და საჭირო ამოცანების შესრულების შემდეგ შინ უვნებელი ბრუნდებოდნენ. ხშირად ნადავლი იარაღით ავსებდნენ ასეულის არსენალს.
გაზაფხულზე, როცა ტყე მწვანე ფოთლით შეიმოსა, მტრის სნაიპერები სოფელში გადაადგილების საშუალებას არ გვაძლევდნენ. ერთ მშვენიერ დღეს, მალხაზ კახიანმა რამოდენიმე თანამებრძოლთან ერთად შეიმუშავა სნაიპერთა განადგურების გეგმა და ბრწყინვალედაც განახორციელეს.
მოწინააღმდეგეს ზურგიდან ისე მოექცნენ, სანამ მტერი აზრზე მოვიდოდა, ორი ბოევიკი მაყუჩიანი ავტომატით ადგილზე მოთელა, მესამე (რუსი ოფიცერი, მაიორის წოდებით, СВД-ს ტიპის შაშხანით, ღამის ოპტიკური სამიზნით აღჭურვილი) სწორედ იმ მომენტში მისი იარაღით კამანის ეკლესიას უმიზნებდა და ესროდა. გონს მაშინ მოეგო, როცა საფეთქელზე მიდებული, მალხაზის ავტომატის ლულა იგრძნო. ის ცოცხლად აიყვანეს.
საბრძოლო მოკვლევიდან ამონაწერი: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, აფხაზეთში ბრძოლის დროს, ლეიტენანტი მალხაზ ვლადიმერის ძე კახიანმა ერთ-ერთი ოპერაციის შესრულებისას ზემო ეშერის მიდამოებში გაანადგურა მტრის დივერსიული ჯგუფი და ტყვედ აიყვანა აფხაზთა მიერ დაქირავებული სნაიპერი, ეროვნებით რუსი ოფიცერი, რომელიც ჩააბარა ბრიგადის შტაბს. ამ ოპერაციის ბრწყინვალედ შესრულებისათვის მ. კახიანი დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“

ვლადიმერ ელიზბარის ძე კახიანი

მე-8 ბატალიონის III ასეული
დაიბადა 1931 წლის 12 მაისს. ვალოდია (ვლადიმერ) კახიანს მშრომელ და პატიოსან ადამიანად იცნობდა ყველა. მრავალშვილიანი (სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი) ოჯახის პატრონს, ცოტა არ ჰქონდა საშრომი და საზრუნავი. ვალოდიას აზრს მთელი სოფელი იზიარებდა და პატივს სცემდა.
გათენდა ყველასათვის უბედური დღე, 14 აგვისტო. ამ გაჭირვების ჟამს, 60 წლის კაცს არ შეეძლო მშვიდად მჯდარიყო, როდესაც ბრძოლის ველზე სამი ვაჟი ეგულებოდა. და არა მარტო შვილები; მისი ორი ძმა, ძმისშვილები და ყველა მებრძოლი მისთვის ახლობელი იყო. პატარა სოფელი ხომ, ერთი დიდი სანათესაოსაგან შედგებოდა. აქ ჭირი და ლხინი ერთნაირად იზიარებოდა. მანაც აიღო იარაღი ხელში და სხვებთან ერთად დაიკავა ადგილი სამშობლოს სადარაჯოზე. ის ამბობდა -ახალგაზრდები ჩქარები არიან, ზოგჯერ ჭკუის დარიგება საჭიროა და მირჩევნია მათ გვერდში ვიყო, მით უმეტეს მებრძოლი ძალა ისედაც ცოტაა. ბოლო პერიოდში ფეხის ტკივილს ჩიოდა და ახალგაზრდების გასამხნევებლად იტყოდა ხოლმე: -მე სირბილი არ შემიძლია, თუ მტერმა შემოგვიტია, ერთ ადგილას ჩაუსაფრდები და სანამ ბოლოს მომიღებენ არანაკლებ ორს მაინც ვისისხლებო!
1993 წლის 5 ივლისს ს. კამანს მტრის დიდი ძალა დაესხა თავს. მრავალი თავდასხმის მოგერიების შემდეგ, ეს დღე კამანელი გმირებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ამ დღეს ვ. კახიანი დაიჭრა, მისგან ასიოდე მეტრში, მისი შვილი მალხაზი ავტომატის ბოლო მჭიდს ცლიდა სადაც, ვაზნებთან ერთად მისი სიცოცხლის წუთებიც დაიცალა. მამამ შვილის სიკვდილიც იხილა. დაჭრილი ტყვედ აიყვანეს, რამოდენიმე დღეში კი მისი ვინაობის დადგენის შემდეგ -11 ივლისს დახვრიტეს.
დაუმარხავი ცხედარი, სხვა დაღუპულ თანამებრძოლებთან ერთად გადმოსვენებულიქნა ერთი თვის შემდეგ.
ვლადიმერ ელიზბარის ძე კახიანს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ (ბრძ. N 00968 4.12.1994წ)

ავთანდილ გიორგის ძე კვარაცხელია

მე-8 ბატალიონის III ასეულის უფროსი მსროლელი

დაიბადა 1940 წლის 24 აგვისტოს. ავთო კახიანი სოხუმში, ძიძარიას ქუჩაზე #5-ში ცხოვრობდა. როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, რა თქმა უნდა კამანისაკენ გაეშურა. მისი ახალგაზრდობა იქ გაატარა და მისთვის ყველაზე ძვირფასი ხალხი იქ ეგულებოდა. როგორც ქართველთა უმეტესობამ, სულით მებრძოლმა ადამიანმა, მანაც იარაღი აიღო ხელში და ძმებს გვერდში დაუდგა, რათა დაეცვა მისი მიწა, მისი ქვეყანა და ღირსება. ავთო კამანის #-1 საგუშაგოზე იდგა, სადაც ყოველ მეორე დღე უწევდა მორიგეობა. თუ სიტუაცია დაიძაბებოდა, საგუშაგოებზე ორივე ცვლა დარაჯობდა, თუმცა ორივე ცვლა არ ითვლიდა იმდენს, რასაც თითები ორივე ხელზე! კამანში იყო მოხუცებულთა და ინვალიდთა პასიონატი, (იმ დროისთვის ცარიელი) სადაც ასეულის შტაბიც იყო, საწყობიც და ყაზარმაც. როდესაც ასეულს შემოაკლდებოდა საბრძოლო მასალა ან საკვები პროდუქტი, საჭირო იყო ბრიგადის შტაბიდან ყოველივეს ამოტანა, რაც გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. კამანიდან სოფელ შრომამდე 4 კმ-იან გზაზე მიმავალი, ისე ჩანს ზემო ეშერიდან, როგორც ხელის გულზე და მტერი არა მარტო საბრძოლო ტექნიკას ესროდა, არამედ ა/მანქანებს და ფეხით მიმავალ ჯგუფისთვისაც იმეტებდნენ მსხვილ კალიბრიან ჭურვებს.

1993 წლის 8 მაისს შტაბიდან მოსატანი იყო სურსათი. ავთომ გადაწყვიტა თვითონ წასულიყო, -ბინასაც მივაკითხავ, უპატრონოდ მიტოვებული მაქვს, ხომ არ გატეხა ვინმემო. (სამწუხაროდ ასეთი შემთხვევებც ხშირი იყო). გზად, შრომის აღმართებზე მიმავალს, მიუხედავად იმისა, რომ ფრთხილობდა და ჩქარობდა, პირველივე გასროლით დააწია მტერმა „ПТУРС"-ი (ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული სამართავი ჭურვი) და ავთოს ავტომქნქანა აფეთქდა. კამანიდან ფეხით დადევნებულ თანამებრძოლებს ცეცხლში გახვეული ავტომანქანა ცარიელი დახვდათ. სოფელ შრომის მებრძოლებს გადარჩენის მიზნით, ქალაქისკენ გაუქანებიათ. კამანელების იმედი იმისა, რომ ავთოს ცოცხალს მიუსწრებდნენ, სოხუმის (ზარათაშვილის) N-1 საავადმყოფოში მისვლისთანავე ამოიწურათ!

მურმან ივანეს ძე კვარაცხელია



საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძლთა რიგებში ჩადგა 1992 წლის 11 დეკემბრიდან ჩაირიცხა მეორე საარმიო კორპუსის 24 -ბრიგადის 242-ე ბატალიონის მე-3ე ასეულის მეტყვიამფრქვეველად.

ის მონაწილეობას ღებულობდა 242-ე ბატალიონის მიერ ჩატარაებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. სოფელ კოჩარის, ცაგერის, და ლაბრის ტერიტორიაზე. იყო მამაცი მებრძოლი. პატივცემით სარგელობდა თანამებრძოლთა შორის. დაიღუპა 1993 წლის 2 ივლისს სოფ. ტამიშთან მტრის დესდანტის წინააღმდეგ ორმხრივი შეტაკების დროს. გამოსვვებულ იქნა 1993 წლის 11 ივლისს ტერიტორიის მტრისგან გაწმენდის შემდეგ.

დასაფლავებულია ქალაქ ოჩამჩირეში.

კონსტანტინე (უჩა) რომანოზის ძე კვიციანი

დაიბადა 1941 წლის 19 დეკემბერს გულრიფშის რაიონ სოფელ საკენში.საშუალო განათლება მიიღო სოფელ ჩხალთის საშუალო სკოლაში.მსახურობდა, ცალკეული სამთო – მსროლელი ბატალიონ "მონადირე" – ში. დაიღუპა 1993 წლისი 27 ნოემბერს ბაგადის მისადგომებთან საომარი მოქმედების დროს. დაღუპვის შემდეგ დაჯილდოვებულია მედლით "მხედრული მამაცობისათვის"

ემზარი ქიშვარის ძე კვანჭიანი

დაიბადა 1955 წლის 25 დეკემბერს. სკოლის დამთავრების შემდეგ გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში 73-იან წლებში. ვალდებულების მოხდის შემდეგ შექმნა ოჯახი. 1992 წლის 1 დეკემბრიდან 1993 წლის 6 ოქტომბრამდე მონაწილეობდა და დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის.

კახიშვილი დავით

დაიბადა ქ. თბილისში 1965 წლის 19 აპრილს.1971-1982 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 106-ე საშუალო სკოლაში.1982 წლიდან მუშაობდა ქ. თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში.1986-1988 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქ. ჩელიაბინსკში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა გააგრძელა ქ. თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში.1989 წლიდან სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 2 ოქტომბერს დაიკარგა უგზო-უკვლოდ ქალაქ გაგრაში.

კვანტრიშვილი ზურაბ

დაიბადა 1961 წლის 15 მარტს ზესტაფონის რაიონის სოფელ თვრინში, მრავალშვილიან ოჯახში.1978 წელს დაამთავრა ზესტაფონის საშუალო სკოლა.1980 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრისტერიტორიაზე დაიკარგა უგზო-უკვლოდ.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

კოჭლამაზაშვილი არსენა (ალიკა)

დაიბადა 1972 წლის 22 იანვარს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში.1978-1987 წლებში სწავლობდა სიღნაღის საშუალო სკოლაში.1987-1990 წლებში სწავლობდა ქ. რუსთავის 262-ე პორფტექნიკურ სასწავლებელში, პროფესია - ხის დამუშავების მოდელიორი.1991 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.1992 წელს მსახურობდა საპატრულო პოლკში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 2 ივლისს დაიკარგა უგზო-უკვლოდ სოფელ კინღთან.

კოპალიანი ზაზა ვაჟას ძე

ოჩამჩირეში რაიონის სოფელ არადუს მცხოვრები ზაზა ვაჟას ძე კოპალიანი დაიბადა 1975 წლის 3 იანვარს. სწავლობდა სოფელ არადუს საშუალო სკოლაში. 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებასთან დაკავშირებით სკოლამ ფუნქციონირება შესწყვიტა. ზაზამ სამშობლოს დამცველთა გნერდით ცხოვრების გზა აირჩია.

1992 წლის დეკემბრიდან 24 -ე ბრიგადის 243 ბატალიონის დაარსებისთანავე ის მოხალისეთა რიგებში ჩაირიცხა. ის იყო უშიშარი და გონიერი, ადვილად შეეძლო ექსტრემალურ მდგომარეობიდან გამოსვლა. სამხედრო საქმეს მალევე დაეუფლა და ნდობა დაიმსახურა ჯავშან ტექნიკასთან საბრძოლო ოპერაციებში მიეღო მონაწილეობა.

1993 წლის 30 აპრილს მოწინააღმდეგის საარტილერიო ჭურვი მის ტანკს მოხვდა, ტექნიკა მწყობრიდან გამოვიდა, ზაზა კი აფეთქებამ ნაკუწებად აქცია. კიდევ ერთი მცირე წლოვანი სამშობლოს დამცველის სიცოცხლე შეწყდა.

ზაზა კოპალიანი დაკრძალულია სოფელ არადუს სასაფლაოზე.

კვეზერელი დავით



დაიბადა ქ. თბილისში 1969 წლის 26 თებერვალს.

სწავლობდა (1976-1986) კაკაბეთის საშუალი სკოლაში. მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1989 წელს ჩაირიცხა ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში.

ბუნებით დათო იყო მებრძოლი სულისა და დაუდეგარი. როცა საქართველოს გაუჭირდა დათომ აირჩია მამულის დამცველის წმინდათაწმინდა გზა. მსახურობდა გვარდიის სატანკო ბატალიონში მზღოლად 1993 წლის მაისიდან 1993 წლის ოქტომბრამდე.მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრზოლებში აფხაზეთის რეგიონში. მესამე კურსიდან ტოვებს სახლს და შედის აფხაზეთში ამ სიტყვებით..."დედა , რატომ მეწინააღმდეგები , ბავშვობიდან შენგან მესმოდა ...რომ ქართველი ვარ და ჩემი ლამაზი სამშობლო უნდა მიყვარდეს , დავიცვა მისი ტრადიციები და პატივს ვცემდე მის ისტორიულ წარსულს, მეამაყებოდეს რომ ქართველი ვარ."

დაიღუპა 1993 წლის პირველ ოქტომბერს აფხაზეთში საბრძოლო მოქმედების დროს.

აფხაზეთში დაღუპულმა ცხრამეტი წლის ჭაბუკმა შავად დათალხა დედა, სამუდამოდ მოუსპო ღიმილი სახეზე, მაგრამ ამას თავისი გამართლება აქვს, რაზედაც ამაყად მიგვანიშნებს მისი სიტყვები.."სამშობლოსათვის დავთხიე სისხლ-ცვარი სიჭაბუკური."

დაკრძალულია კაკაბეთში საგვარეულო სასაფლაოზე.

კუბლაშვილი ვალერი ლეოს ძე

დაიბადა 1967 წლის 3 მარტს ქ. ტყვარჩელში.
ვალერი ოჯახში იზრდებოდა პატრიოტული სულით, ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა გამბედაობითა და სიმამაცით. იყო ძალზე კეთილი და თავმდაბალი, ვერ იტანდა უსამართლობას, რის გამოც არაერთხელ გადაეყარა ფათერაკს, მაგრამ საკუთარი პრინციპულობისათვის არასდროს უღალატია, მისი სულისკვეთება , სიყვარული სამშობლოსადმი ნამდვილ საბრძოლო იარაღად იქცა.
მთელი მისი ცხოვრება სიკეთისა და გულისხმიერების სიმბოლო იყო, რასაც დღესაც სიამაყით იხსენებენ მისი მეგობრები.
კუბლაშვილი ვალერი ლეოს ძე ჩარიცხული იყო 11 საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 241-ე ბატალიონში რიგითად 1993 წლის 21 მაისიდან. ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, კერძოდ - ბესლახუბაში.
საქართველოს ერთიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში, იგი გმირულად დაიღუპა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათის ბრძოლაში 1993 წლის 27 ივნისს.
სულით ხორცამდე ქართველს, ჭეშმარიტ ქართველს, აფხაზეთის ღვიძლ შვილს, უმწიკველ ადამიანს, ჯერ კიდევ მხოლოდ 26 წლისას მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა . . . მტრის ტყვიამ შეწყვიტა მისი სიცოცხლე, ისე, რომ ოჯახის შექნაც ვერ მოასწრო. ვინც კი მას ივნობდა, მძიმედ განიცდის კუბლაშვილი ვალერის ტრაგიკულ დაღუპვას.
დაილოცოს, ქალბატონო სულიკო, თქვენი ქართველობა, ვალერს მამულისათვის თავდადება რომ ასწავლეთ!
სწორედ თქვენისთანებზეა ნათქვამი ვაჟას სიტყვები: “ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცნია ღნერთადა“.
კუბლაშვილი ვალერი დაკრძალულია ქ. თბილისში, თბილისის ზღვაზე.
იძინე მშვიდად, საქართველოსთვის თავგანწირულო, ერის ტკივილო ვალერ!
ნათელში ყოფილიყოს, გმირო ვაჟკაცო, საკუთარ მიწისთვის წამებული შენი სული.

კვანჭიანი შოთა

დაიბადა 1947 წლის 24 დეკემბერს ქ. მესტიაში. სოფ. შრომის საშუალო სკოლის დამტავრების შემდეგ მუშაობდა ფოსტაში.

ომის დაწყების პირველ დღიდანვე თავი გამოიჩინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. 1992 წლის 22 სექტემბერს ჩარიცხული იყო 11 საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-8 ბატალიონის 111 ასეულში. რიგითი შოთა პირნათლად ასრულებდა და მონაწილეობდა ასეულის ყველა საბრძოლო მოქმედებებში.

“რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვალე?!. . .

თავისი ქვეყნის ღვიძლი შვილი იყო და როგორც ვაჟკაცს შეეფერება, აფხაზეთის ტრაგედიაში უხმოდ ჩაება. მთელი ღამეები არ ეძინა, მას მებრძოლები იხსენებენ: როგორც ვაჟკაცების, , მეგობრობის გამტანი. ბევრია შოთასავით ვაჟკაცები, რომელთაც მაღლა სამშობლოს სიყვარული დააყენეს. იყო ძალიან კეთილი და უთქმელი, თუ ვინმე რამეს აწყენინებდა, მის მეტი ვერავინ გაიგებდა, არასდროს ვინმეს არ დააბეზღებდა, იყო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული, გააჩნდა იუმორის საოცარი გრძნობა, შეეძლო მიებაძა ყველა ადამიანისათვის.

1993 წლის 5 ივლისს, როცა მტერმა დიდი ძალით შემოუტია შრომას, კამანს, ახალშენის მისადგომებს მტრის ტყვიით სოფ. კამანში გმირულად დაიღუპა. ბრძოლის ველიდან გამოასვენეს თავის თანამებრძოლებმა: ოცმეთაურმა პაკელიან ვახტანგმა და რიგით კახიანი ირაკლიმ.

სიკვდილის შემდეგ იყო დაჯილდოვებული მხედრული მამაცობისაბისათვის.

“დიდება გმირებს, ქართველ მეომრებს,

თავის გაწირვის მათს ნიჭსა და უნარს,

ვინც წინაპრების გზას იმეორებს,

კვდება და სიკვდილს სიკვდილით თრგუნავს“!

გრიგორ აბაშიძე.

კვანტალიანი გოჩა

დაიბადა 1971 წლის 31 აგვ ისტოს 1. სოხუმში.

დაამთავრა ქ. სოხუმის მე-7 საშუალო სკოლა. სწავლობდა ქ. სოხუმის უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე (გადმოყვანილია მოსკოვის ოლქის, კალომნას იურიდიულ ფაკულტეტიდან- რუსულ სექტორიდან).

გოჩა 21 წლის ვაჟკაცი ომის პირველ დღეებიდან უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში 1992 წლის 01 ნოემბრიდან. მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-2 ბატალიონში, შემდეგ მე-8 ბატალიონის პირველ ასეულში რიგით მეომრად.

გოჩამ თავიდანვე შეაყვარა თავი, როგორც მეთაურებს, ასევე თანამებრძოლებვს არა მარტო ფიზიკურად უზადო შეხედულების ვაჟკაცს, არამედ როგორც სულიერად და ზნეობრივად სპეტაკმა პიროვნებამ, თავისი განსაკუთრებული თვისებებით მან პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. იცოდა უფროს-უმცროსობა. იგი იყო მეტად მოკრძალებული და თავმდაბალი, ყველას მიმართ მიმტევებელნი, მაგრამ ამავე დროს ვერ იტანდა უსამართლობას, უზნეობას და მათ მიმართ ვინც ზნეობის პრინციპებს ვერ ასრულებდა, იყო სასტიკად დაუნდობელი.

გოჩა კვანტალიანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ასეულის მიერ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში შრომა - ცუგუროვკის მიმართულებით, პირნათლად ასრულებდა მეთაურის ყველა საბრძოლო დავალებებს.

1993 წლის სექტემბერში, როცა უკვე სოხუმში მოჩვენებებით მშვიდობა დამყარდა, ქალებით და ბავშვებით აივსო ქალაქი და ახალგაზრდებს ამზადებდნენ სასწავლო წლის დაწყებისათვის, იმ დროსაც გოჩას ფორმა არ გაუხდია. იყო მოუსვენრად, გრძნობდა რომ რაღაც საშინელება ელოდებოდა ქალაქს.

1993 წლის 16 სექტემბერს გამთენიისას იგი შტაბში მორიგეობდა, როდესაც მტერმა კვლავ დაარღვია ხელშეკრულება და ვერაგულად დაესხა თავს მშვიდობიან უიარაღო მოსახლეობას. გოჩა თავისი განუშორებელი ტყვიამფქვრევით ერთ-ერთი პირველი ეკვეთა მომხდურთ და თავისი თავგანწირვით სოფლების თავისუფლების, იაშტუხის, ბირცხის ასეულობით უმწეოდ დარჩენილ ქალის, ბავშვისა და მოხუცის სიცოცხლე იხსნა.

17 სექტემბერს, როდესაც ვერაგმა მტერმა მთელი ძალებით (არტილერიით, ტანკებით, ზღვიდან, ჰაერიდან) შემოუტია ჩვენს პოციციებს გოჩა ბოლო ტყვიამდე გმირულად იბრძოდა. ალყაში მოხვედრის შემდეგ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

გოჩას დედა ქ-ნი ნათელა იხსენებს შვილის ბოლო სიტყვას - “დედი, იცოდე სოხუმი თუ დაეცემა, არ გეგონოს, რომ მე ცოცხალი გავალ აქედან“!

ორი დედა მყავს,

მზით დადაფნული:

დედა - სამშობლო!

დედა მშობელი!

მებრძოლებს სწამთ, რომ გოჩას საქმეს ბოლომდე მიიყვანებენ, აფხაზეთს დაიბრუნებენ, საქართველო გაერთიანდება, რითაც ისინი პატივს მიაგებენ გოჩას და ყველა ღირსეულ მამულიშვილებს, რომელთა წმინდა სახელები სამშობლოს არასდროს დაივიწყებენ.

მარად ჭაბუკად დარჩენილი ვაჟკაცებო, უშვილძოროდ გადასულო ქართველებო, გჯეროდეთ, მტერს თქვენი სისხლი არ შერჩება, თქვენი სამშობლოს ცას ტყვიისფერი ღირსებული ღრუბელი მოსცილდება და ამსი თქვენი ლონმის წილიც იქნება.

კუკულდავა ალექსანდრე (ალეკო(ჯემალის ძე

დაიბადა 1968 წლის 3 თებერვალს ქ. თბილისში. 1975 წელს შევიდა ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლაში. ჯერ კიდევ მე-8 კლასის მოსწავლე იყო ალეკო, როცა მაშინდელი რეგბის მესვეურებმა შეამჩნიეს მასში გარეგნული და ფიზიკური მონაცემები. რის გამოც მიიწვიეს სავარჯიშოდ. მან მოკლე ხანში აითვისა ამ ვაჟკაცური სპორტის ელემენტები და ჩარიცხულ იქნა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში. ამ პერიოდში თანაგუნდელებთან ერად მიღებული აქვს სიგელი და დიპლომენი. რესპუბლიკური და საქალაქო პირველობაზე მიღწეული წარმატებების გამო მე-10 კლასის მოსწავლე არაოფიციალურად მიწვეულ იქნა სასოფლო- სამეურნეო ინსტიტუტის ნაკრებ გუნდში.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის სამშენებლო ფაკულტეტზე.

1986-1988 წლებში მსახურობდა ყოფილ საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ გააგრძელა სწავლა და დაამთავრა პოლიტექნიკური ტექნიკუმი, მიენიჭა მშენებლის პროფესია.

1988 წლიდან მუშაობდა ტრესტ “თბილბინრემმშენის“ ისნის რაიონის სარემონტო საამშენებლო სამმართველოში ათისთავად.

1992 წლის მაისის თვეში მოხალისედ შევიდა ეროვნული გვარდიის რიგებში. 27-ე ბატალიონ “იმედის“ შემადგენლობაში. იბრძოდა სამაჩაბლოს რეგიონში ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ.

სამაჩაბლოს რეგიონში სამხედრო მოქმედებების დამთავრების შემდეგ თავდაცვის სამინისტროსთან შეიქმნა რჩეული მებრძოლებით დაკომპლექტებული განსაკუთრებული სამხედრო შენაერთი - სამხედრო პოლიცია. ალეკო სამხედრო პოლიციის შექმნისთანავე

მსახურობდა სამხედრო პოლიციის საპატრულო ბატალიონის (ავტომობილებზე) ასეულის მეთაურის მოადგილედ.

1992 წლის 1 ოქტომბრიდან მივლინებული იქნა აფხაზეთში. ქ. გაგრის დაცემის შემდეგ სხვა სამხედრო შენაერთებთან ერთად დესანტის შემადგენლობაში გადაყვანილ იქნა განთიადი-ლესელძის ზონაში, სადაც მონაწილეობდა მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში. განთიადის დაცემის შემდეგ სარდლობის ბრძანებით მეომრებმა თავდაცვის მიზნით ტყეს შეაფარეს თავი. ამის შემდეგ ალეკო ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

ბალადა გაგრის დაცემაზე

ორ ღვინობისთვეს გაგრაზე
ცა რისხვით მოიგრაგნა,
ვაი, ჩვენ, როგორ დავმარცხდით,
როგორ დავკარგეთ გაგრა!
ვაი, ქართულო ქალაქო,
მტრობის, ღალატის ზღვარო! . . .
ნუ დარდობთ დავრჩით ცოცხლებიც,
შევუტევთ ფიცხლად დავკრავთ,
- ბიჭებო, ისევ აღდგება,
ჩვენი იქნება გაგრა!

საზარელია ომის გახსენება - დაკარგული ჭაბუკების სახეები გაიელვებენ შენს თვალწინ და უღრმესი სინანულით, მწუხარებით აგავსებენ. აფხაზეთი ყველა პატრიოტი ქართველის ტკივილია, ტკივილი გაუნელებელი. ამ ტკივილს დიდი იმედიც ახლავს: დაბრუნდება ჩვენი ჯიში და ჯილაგი ძირძველ ქართულ მიწაზე, რომელიც მერამდენედ არის ქართველთა სისხლით მორწყული. დაბრუნდება გამოდევნილი მოსახლეობა. მანამდე კი ლოდინი გვმართებს ჩვენი ვაჟკაცების, ოჯახებს მონატრებული ჭაბუკებისა. ბევრი გვყავს, ისინი, ღმერთო ძალიან ბევრი . . . .

სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით (ქ. თბილისი, 1993 წ. 10 აპრილი) ალექსანდრე ჯემალის ძე კუკულდავა დაჯილდოვებულია მედლით “მხედრული მამამცობისათვის“.

კორახაშვილი დიმიტრი ილიას ძე

დაიბადა 1970 წლის 14 იანვარს ქ. თბილისში.

ხშირად გაგვიგია, დრო ყველაფრის მკურნალიაო. მაგრამ ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული და დაღუპული შვილების დედებისთვის ეს დრო ძლერი მონატრებისაა.
1992 – 1993 წ. ავბედითი წლები ცეცხლის ალსა და ტყვიის წვიმაში გაეხვია საქართველოს ულამაზესი კუთხე - აფხაზეთი.
ოდითგანვე ღრღნიდა საქართველოს სხეულს გარეშე თუ შიდა მტერი. ოდიდგანვე ეჭირა ქართველს ერთ ხელში იარაღი და მეორეში გუთანი.
ერთ-ერთი მათგანი, საქართველოს შვილი, პატრიოტი, თავისი მშობლების მოსიყვარულე იყო დიმიტრი კორახაშვილი, რომელიც ირიცხებოდა “საქართველოს მხედრიონის “ წევრად 1992 წლის იანვრიდან, იღებდა მონაწილეობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში.
ქ-ნი ლიანა, დიმიტრის დედა ამბობს: “თურმე რა შვილი ჰყოლია არ იცოდა, რამდენჯერმე აფხაზეთში მიმავალ შვილის დაბრუნებას ცდილობდა, მაგრამ მან მაინც თავისი გაიტანა, როგორ ჰყვარებია სამშობლო. ახლაც კი ჩაესმის დიმიტრის დედას თავისი შვილის სიტყვები ყურებში, თითქოს არცხვენდა მშობელ დედას და ღალატში ბრალს დებდა: “მე არ წავიდე, დედა, სხვა არ წავიდეს, აბა ვინ უნდა დაიცვას საქართველო, იქნებ ხვალ თბილისშიც შემოვიდნენ და ეს ბავშვებიც (დისშვილებს გულისხმობდა) დაგვიხოცონ, მერე რა თვალით შევხედო ქვეყანას, ხალხს. სირცხვილიან სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი მირჩევნიაო“.
დიმიტრი იყო ძალზე კეთილი, ოჯახის, მეგობრებისა და მშობლების მოსიყვარულე. ჰქონდა იუმორის გრძნობა, მეგობრისთვის თავის განწირვა შეეძლო, მასზე სუსტს არ დაჩაგრავდა, მშიერს დააპურებდა, შიშველს თავისი სამოსელით შემოსავდა, სხვისთვის არაფერი ენანებოდა.
დაიკარგა უგზო-უკვლოდ ქ. სოხუმში 1993 წლის 22 სექტემბერს.
თითქოს აქ დამთავრდა მისი სიცოცხლე . . . არ და არა! “ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!“
მრავალი ჭაბუკის ბედი უცნობია და მათ შორის დიმიტრის ადგილ-სამყოფელიც, მაგრამ იმედი არის, რომ საქართველო მიაღწევს ნამდვილ სუვერენიტეტს. აი, სწორედ ამის შემდეგ დაფასდება დაკარგული შვილების თავგანწირვა. ოჯახის წევრებსა და მეგობრებს თავიანთ გულებში დიმიტრის დაბრუნების იმედი არასოდეს ჩაქრება.

კოპალიანი ოთარ პლატონის ძე

დაიბადა 1930 წლის 2 იანვარს ქ. ცაგერში.

საშუალო სკოლის სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მან მიიღო ოფიცრის წოდება. სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის ტექნიკურ სასწავლებელში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ოჩამჩირის რაიონში მერძევეობა-მებოსტნეულობის მეურნეობაში მთავარ აგრონომად, დაოჯახდა სოფ. არადუში და ჰყავს 4 შვილი.

აფხაზეთში ეთნო კონფლიქტის საწყებისთანავე 1992 წლის 14 აგვისტოდან ჩაება საქართველოს რესპუუბლიკის მთლიანობის დაცვისათვის საბრძოლო მოქმედებაში.

სოფ. არადუში ჩამოყალიბებული სახალხო რაზმის ერთ-ერთ ბატალიონს ხელმძღვანელობდა და იცავდა სოფლის მისადგომებს. 24-ე ბრიგადის ბატალიონის ჩამოყალიბებისთანავე ოთარ კოპალიანი აგრძელებს 24-ე ბატალიონის ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო მოქმედებებში სოფ. არადუს დაცვის მოწინააღმდეგის შემოტევის დროს.

993 წლის 29 სექტემბერს საბრძოლო მოქმედებების შესრულებისას გმირულად დაიღუპა არადუს მისადგომებთან.

კოვზირიძე ილია

დაიბად 1972 წლის 5 სექტემბერს ქალაქ თბილისში.

1989 წელს დაამთავრა თბილისის 24-ე საშუალო სკოლა.

1992 წელს დაამთავრა ლანჩუთის ინდუსტრიული კოლეჯი.

ილია კოვზორიძე პირველი გვარდიელთაგანია, რომელიც „ქ. ჩოლოყაშვილის“ სახელობის პოლკში მსახურობდა, ილია არტილერისტი იყო და იბრძოდა სამჩაბლოში, შემდეგ აფხაზეთში.

1993 წლის 2 ივლისს სწორედ მისმა ნაწილმა მიიღო ტამიშთან გადმოსხმული დესანტის პირველი მოულოდნელი დარტყმა, ლაბრასთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცნენ ილია და მისი თანამებრძოლები.

ილია კოვზირიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

კვიციანი ნიკოლოზი ბიქტორის ძე



დაიბადა 1952 წელს, განათლება - საშუალო ტექნიკური.
კვიციანი ნიკოლოზი იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი, მშფოთვარე და მოუსვენარი, როგორც მთის მდინარე, არასოდეს და არფერში არ დაუხევია უკან მეგობრისა და ამხანადების გულისათვის, სამშობლოზე კი ზედმეტია ლაპარაკი. პატიოსანი კაცის სახელით დადიოდა, უსაზღვროდ უყვარდა ოჯახი და საქართველო.
როცა სამშობლოს, საქართველოს გაუჭირდა, ოჯახზე წინ დააყენა სამშობლოს სიყვარული.
აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოვლენების დროსკვიციანი ნიკოლოზი ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის მე-7 ბატალიონის პირად შემადგენლობაში მართვის ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე. 1992 წლის ნოენბრიდან მონაწილეობდა სოფ. ეშერასა და სოფ. ტამიშში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში.

კვიციანი ნიკოლოზი 1992 წლის 2 დეკემბერს ქ. სოხუმში ნაღმის აფეთქების შედეგად მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა საავადმყოფოში. დასაფლავებულია სოფ. ლათაში.
კვიციანი ნიკოლოზი ამ წუთისუფლიდან ღრმა რწმენით წავიდა, რომ მისი საფიცარი საქართველო ძლიერი და ბედნიერი იქნებოდა.

კინწურაშვილი თეიმურაზი შოთას ძე

დაიბადა 1958 წლის 2 აპრილს, ქ. წყალტუბოში.

1975 წელს დაამთავრა წყალტუბოს ნმე-2 საშუალო სკოლა, ასევე მისიკის შვიდწლიანი.

1982 წელს ქ. თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დამტავრების შემდეგ, მუშაობას იწყებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფურცელ საგნილავ საამქროში: ოსტატად, სმენის უფროსად,.

1985 წლიდან მუშაობდა ქუტაისის საავტამობილო ქარხნის სამჭედლო საამქროში. საამქროს უფროსის მოადგილედ.

იყო ყველას მიმართ თბილი და ყურადღებიანი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული. იგი უყვარდათ და პატიუვს სცემდნენ მის მართალ სიტყვას, ვაჟკაცობას, სიმამაცეს, შეუპოვრობას.

1992 წლის 2 ოქტომბერს რეზერვის უფროსი ლეიტენანტი კინწურაშვილი თეიმურაზი გაგზავნილ იქნა აფხაზეთის რეგიონში გაგრა-კლესელიძის მიდამოებში, საბრძოლო დავალების შსასრულებლად.

გაგრა - ლესელიძის ბრძოლების დროს, როდესაც საქართველოს შეიარაღებული ძალები ალყას შემორტყმული იქბნა და მებრძოლები დამოუკიდებლად ცდილობდნენ გამოეღწიათ ალყიდან რეზერვის უფროსი ლეიტენანტი კინწურაშვილი თეიმურაზი ალყიდან არ გამოსულა. იგი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

კინწურაშვილი თეიმურაზი შოთას ძეს სახით საქართველოს შეიარაღეწბულ ძალებს გამოაკლდა ერთგული ჯარისკაცი, სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტი, ოჯახს კი ღირსეული მამა და მეუღლე.

კეღუა თამაზი ძალიაკს ძე

დაიბადა 1960 წლის 20 მაისს გალის რაიონის სოფ. წარჩეში.

დაამთავრა წარჩეს საშუალო სკოლა. მუშაობდა მეურნეობაში. დაოჯახებული, მშრომელი, მოსიყვარულე სამშობლოსადმი, უღალატო აი ასე ახასიათებენ მას . აფხაზეთის კონფლიქტის დროს თამაზი, თავისი სამშობლოს დასაცავად დადგა იქ, სადაც ყველა უნდა იყოს ამ დროს. ის ირიცხება 24-ე ბრიგადის 246-ე ბატალიონის შემადგენლობაში - მსროლელად და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც აწარმოებდა ბატალიონი.

მას სწამდა, რომ სიკვდილი ერთხელ მოდის და სამშობლოსათვის თუ გავიწირებით ღვთის წინაშე დიდი მადლია.

1993 წლის 1 ივნისსნ ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციის ჩატარების დროს იგი დაიღუპა. დასაფლავებულია გალის რაიონის სოფ. წარჩეში.

კეღუა თამაზი სამშობლოს ერთიანობას, მის მომავალ კეთილდღეობას შეეწირა.

შეეძლო, ჩვეულებრივად მშვიდად ეშრომა და ეცხოვრა, საყვარელ ცოლ-შვილთან ალერსში გაევლო წუთისოფელი, მაგრამ პირველსავე დაძახებაზე ფეხზე დაუდა დედა სამშობლოს, შემდეგ ცრემლად დაიღვარა მთლიანი სოფელი.

კაჭარავა რომანი შალვას ძე

დაიბადა 1949 წლის 15 იანვარს, აბაშის რაიონში. საცხოვრებლად გადავიდა ქ. გაგრაში, შექმნა ოჯახი.

რომანი იყო ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებული, საოცრად უშიშარი და გაუტეხელი, ყველაფერში პირველობა სურდა. განსაკუთრებით სახიფათო საქმებში არ გაუშვებდა წინ არავის. ჰქონდა დიდი იუმორის გრძნობა, ძლიერ უყვარდა შვილები.

სძულდა ორპირობა და სიცრუე. სამშობლოს სიყვარულისათვის ყოველგვარი პირველი გასწირა და უყოყმანოდ ჩაეწერა მოხალისეთა რიგებში.

“აფხაზს მე პირველი არ ვესვრი, უცხო გადამთიელს კი არ დავინდობ“, - ამბობდა ომში წასვლის წინ.

რომან კაჭარავა, 1992 წლის 18 აგვისტოდან #1687 ბრძანებით ჩაირიცხა თავდაცვის სამინისტროს გაგრის მე-2 ბატალიონში რიგით მებრძოლად.

ბატალიონთან ერთად მონაწილეობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში. იყო დისციპლინირებული და შემსრულებელი ჯარისკაცი, მეთაურის ბრძანებებს და დავალებებს ასრულებდა დროულად და პირნათლად.

თავგამეტებით იბრძოდა კოლხიდასთან, ვიდრე უცხოტომლებმა ზურგიდან არ შემოუარეს დიდი ძალებით. 1992 წლის 2 ოქტომბერს ქ. გაგრაში გმირულად უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

წინ ცხოვრების დიდი და ლამაზი გზა ესახებოდა. ისიც იცოდა, სიკვდილის გზით მიდიოდა, მაგრამ ასე ახლოს თუ იყო სიკვდილი ჩასაფრებული, ვინ მოიფიქრებდა!

ვაჟკაცებად არ იბადებიან, ვაჟკაცებად კვდებიან. მათ სახელს სამშობლო სანთლებად აინთებს. მან დიდი სახელი დატოვა, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის სახელი.

კაჭარავა ზურაბი

დაიბადა 1953 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო ქ. გაგრის შინაგან საქმეთა განყოფილებაში. მუშაობის დაწყებისთანავე პირველ დღიდანვე ზურამბა თავი გამოიჩინა მინდობილი საქმის მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებით, რის გამოც დამსახურებული სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა თანამშრომლებსა და განყოფილების ხელმძღვანელებს შორის.

შს ორგანიოებში მუშაობს 1973 წლიდან და დიდი გზა განვლო პოლიციის კაპიტნის საპატიო წოდებამდე.

აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე ზურაბ კაჭარავა უყოყმანოდ დადგა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა გვერდით. გაგრაში ყოველდღე იძაბებოდა სიტუაცია, აფხაზი ექსტრემისტები და გადამთიელი ბოევიკები გააფრთხებით უტევდნენ ქლაქს. 2 ოქტომბერს გაგრაზე მტრის შეწმოტევის დროს გაგრის შს განყოფილების უფროსის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც სანატორიუმ “გრუზიასთან“ სტრატეგიული პოზიციის დაცვა დაევალა. სისხლისმღვრელი შეტაკებაში სიკვდილით დაეცა მამაცი კაპიტანი.

საქართველოს სახელმწიფოს პრეზიდენტის განკარგულებით სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, ვაჟკაცობისა და თავგანწირვისათვის გაგრის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების თანამშრომელი, პოლიციის კაპიტანი ზურაბ ვაჟას ძე კაჭარავა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით.

მას დარჩა ლამაზი ოჯახი, რომლის სახელს ატარებენ ამაყად. განსაკუთრებით მისი ვაჟიშვილი გიგა კაჭარავა აგრძელებს მამის ტრადიციას. მან მეუღლესა და შვილებს დაუტოვა კეთილი, გულუსხმიერი, კაცმოყვარე, ერთგული სახელი. ამ ტკივილთან ერთად ოჯახს სიამაყის გრძნობა გააჩნიათ, ზურაბმა ხომ ვაჟკაცურად იცხოვრა, მან დაუყვედრებლად, დაუნანებლად შესწირა თავი საქართველოს სიყვარულს.

სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდო, სიცოცხლე გრძელდება და შენი ოჯახი უფრთხილდებიან შენს ხსოვანას და პატრიოტულ სახელს. ღმერთმა სასუფეველში დაკიმკვიდროს, ვალმოხდილო მამულიშვილო.

კიკვაზე ვახტანგი

დაიბადა 1968 წლის 26 სექტემბერს ქ. სოხუმში.

ჰქონდა უმაღლესი განათლება.

სოხუმელი ჭაბუკი 24 წლის ვახტანგი ხასიათდება მეგობრების მიერ, როგორც პატიოსანი, კეთლსინდისიერი, ზრდილობიანი ადამიანი. ფრონტის ხაზზე კი - დაუზოგავი. ტყვიების წვიმაში შედიოდა დაჭრილების გამოსაყვანად.

აფხაზეთსი ომის პირველ დღიდანვე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ჩაირიცხა მე-2 საარმიო კორპუსის დაცვისა და უზრუნველყოფის ასეულის შემადგენლობაში. ამტან, გონიერ, მამაც მეომარს ყველა ბრძოლის ველზე პატივს სცემდა.

1993 წლის 18 მარტს მტრის შემოტევის მოგერიების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა მსროლელი თამაზ ბასილია, რომლის გამოყვანისას ვახტანგ კიკვაძეს მტრის ტყვია მოხდა თავში და ადგილზე დაიღუპა.

ვახტანგ გიორგის ძე კიკვაძე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით და მედლით მხედრული მამაცობისათვის.

მცირე ხანს იცხოვრა ამ ქვეყნად, მაგრამ მაინც მოასწრო სიკეთისა და სათნოების დათესვა ახლობლებში, მეგობრებში.

მიწისქვეშეთში არაფერი იკარგება!

არც კიკვაძე ვახტანგის სახელი დაეკარგება ხვალის საქართველოს.

იგი კი, მართალი ღვთისა და ერის წინაშე, თავაწეული მიუვა სახელოვან წინაპართ იქ . . . ზეცურ საქართველოში.

კოპალიანი ნუგზარ იაშას ძე

დაიბადა 1953 წლის 14 იანვარს, სოხუმის რაიონის სოფელ ზემო კელასურში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მუშაობდა ქ. სოხუმში ტურისტულ ბაზაში. დირექტორის მოადგილედ.
ეროვნული მოზრაობის ტალღამ მასაც გადაუარა, ააფორიაქა და ერის სამსახურში ჩააყენა. მუდამ იქ იდგა, სადაც მამულს უჭირდა. ცაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა და სოხუმის დამცველთა რიგებში ჩადგა, თავის ძმასთან ზურაბისთან ერთად.კოპალიანი ნუგზარი ოცნებობდა ეკეთებინა ისეთი საქმე, რომელიც მის ქვეყანასა და ხალხს გამოადგებოდა. ხშირად იტყოდა ხოლმე, თუ სიკვდილი მიწერია, გმირულად მინდა მოვკვდე.
1993 წლის 14 მაისს ნუგზარი გადაიყვანეს კორპუსის დაცვისა და უზრუნველყოფის ასეულიდან 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის თავდაცვის რაიონის გამაგრების მიზით. " ტყვია ჯერ არ ჩამოსხმულა, მე რომ მომკლავს, მე ბოლომდე, სანამ ჩემი ქვეყანა არ დაწყნარდება, ვიქნები ბრზოლის ველზეო"- ასე ამშვიდებდა იგი თავის მშობლებს. და, მართლაც სანამ სოხუმი არ დაეცა, არ დაეცა თვითონაც.
1993 წლის 27 სექტემბერი... და აქ დაიკარგა ნუგზარ კოპალიანის სიცოცხლე ქალაქთან ერთად. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით" საბრძოლო დამსახურებისათვის."

კოპალიანი ავთანდილ გრიშას ძე

დაიბადა 1962 წლის 31 ივნისს ქ. სოხუმის რაიონის სოფელ კელასურში. დაამთავრა კელასურის საშუალო სკოლა. მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებაში.
კოპალიანი ავთანდილი გრიშას ძე ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის საინჟინრო -მესანგრეთა ასეულში მენაღმედ.
1993 წლის 14 მარტს მესანგრეთა ნაწილში საგანგაშო ცნობა მიიღეს წინა ღამით, რუსეთს ავიაციის სოფელ გუმისთაში ჩამოგდებულ ბობბათაგან ერთ-ერთი არ აფეთქდა, მორიგი უბედურების თავიდან ასაცილებლად და ბომბის გასაუვნებელ ყოფად შემთხვევის ადგილზე გაემართა მესანგრეთა დიდი ჯგუფი.
ძნელი იყო სიტყვებით გადმოცემა იმ ნგრევითა და უბედურებისა, რაც იმ ღამეს თავს დასტყდომოდა სოფელს.
თითქოს თავის მორიგ მსხვრეპლს ელოდა ურჩხული, როგორც კი 12 ადამიანს თავს წაადგა ორმოს, სადაც ბომბი ჯერ კიდევ უვნებლად იდო.. კიდევ ერთხელ შეძრა მიდამო გამაყრუებელმა აფეთქებამ და მას მოყოლილმა უბედურებამ. 12 სიცოცხლე თვალის დახამხამებაში გაიფანტა ჰაერში.
1993 წლის 24 მარტს საქართველოს მიწამ მიაბარა 12-ვე დაღუპული.სწორედ მათ შორის იყო კოპალიანი ავთანდილ გრიშას ძე.სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით "მხედრული მამაცობისათვის".

კოპალიანი ჯიბილო შალვას ძე

დაიბადა 1954 წლის აგვისტოს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში. სწავლა -განათლების სრული კურსი დაამთავრა სოფელ არადუს საშუალო სკოლაში.
რიგითი კოპალიანი ჯიბილო საბრძოლო მოქმედებების დროს ჩარიცხული იყო ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მე-4 მოტომსროლელი ბატალიონის შემადგენლობაში მსროლელად, 1992 წლის 23 სექტემბრიდან.
კოპალიანი ჯიბილო არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სხვადასხვა საბრზოლო მოქმედებებში. გამოირჩეოდა მამაცობით, რისთვისაც ბევრჯერ დაუმსახურებია მადლობის სიტყვები მეთაურისაგან. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნისათვის ეს ახალგაზრდები უყოყმანოდ ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში და მხედრული შემართებიტ იბრძოდნენ საქართველოს მტრების წინააღმდეგ.
1993 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ჯარების უკან დახევისას, სოფელ არადუში კოპალიანი ჯიბილო მძიმედ დაიჭრა, რის შედეგადაც რამოდენიმე საათში გარდაიცვალა. გადმოსვენებულბ იქნა აფხაზეთიდან და დაკრძალულია წყალტუბოს სასაფლაოზე.
მისი დიდი და თბილი გული ვეება სიყვარულს იტევდა-"კვალი დატოვა, ამ ქვეყანაზე--გმირული, ნათელი თავისი გვარის საკადრისი."

კოპალიანი შოთა იორამის ძე

დაიბადა 1963 წლის 10 ოქტომბერს- ქ. სოხუმის რაიონის ზემო კელასურში.
როცა სამშობლოს გაუჭირდა... თავდადებული, ენერგიული, სამშობლოს მოსიყვარულე კოპალიანი შოთა ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე ბრიგადის რიგებში და დაინიშნა პირველი მექანიზირებული ბატალიონის ყუმბარმტყორცნელი ათეულის მძღოლ-მექანიკოსად 1993 წლის იანვრიდან.
მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისათვის და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა.
აქტიურობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში. 1993 წლის 15-16 მარტის მოვლენების დროს, სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარაში მდინარე გუმისთაზე მტრის ინტენსიური შემოტევის დროს უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.
ბრძოლის ველიდან ცხედარი გადმოასვენეს თამაზ უგრეხელიძემ, ემზარ ბერულავამ და ვალერი ვარდანიძემ.
დაკრძალულია სოხუმის რაიონის სოფელ კელასურში, შოთა კოპალიანი დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისათვის" სიკვდილის შემდეგ.

კოპალიანი გურჯი ნოდარის ძე

დაიბადა 1963 წლის 16 ივნისს სოხუმის რაიონის სოფელ ზემო კელასურში.
1992 წლის 14 აგვისტოდან გურჯი ნოდარის ძე კოპალიანი, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის პირველ მოტომსროლელთა ბატალიონის რიგებში ჩაირიცხა.
მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, მეთაურის დავალებებს დროულად და პირნათლად ასრულებდა. მედგრად იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს. ერთ-ერთ შემოტევის დროს კერძოდ აცადარაში, გურჯი კოპალიანმა თავის მებრძოლეებთან ერთად მტრის ჯგუფს დიდი ზარალი მიაყენა.
გურჯი კოპალიანს საომარი მოქმედებების დიდი გამოცდილება ჰქონდა, რადგანაც სამხედრო სავალდებულო სამსახურს იხდიდა ავღანისტანში.
1993 წლის 17 მარტის უთანასწორო ბრძოლის ქ. სოხუმის რაიონი, სოფელ აჩადარაში (კერძოდ გუმისთის მიდამოებში) მტერთან ბრძოლის დროს წინა ხაზზე გმირულად დაიღუპა. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

უმცროსი სერჟანტი პაატა კოპალიანი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

ცხელი წერტილიდან დაჭრილი მეომრების გამოსაყვანად მიიწევდა, როცა მისი სამხედრო კოლონა საავიაციო დაბომბვაში მოყვა. პაატა კოპალიანმა მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა მოასწრო, ექიმს ხელი მოუჭირა და აღმოხდა: „ლევან“.

ლევანი მის ბიჭს ჰქვია. დღეს ის გმირის შვილია.

პაატა კოპალიანი სოხუმში დაიბადა, 1978 წელს. მის ბედისწერას ომმა ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დაასვა დაღი.

12 წლის ბიჭუნა იყო, ჭუბერის გზით რომ გადმოვიდა სამშვიდობოს, ოჯახთან ერთად. ფეხით გამოვლილმა ამ უმძიმესმა გზამ ჯანმრთელობა შეურყია სამი შვილის დედას.

მზია ჭილაია, მეუღლე: „აფხაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ, მარტვილის რაიონში, სერგიეთში, ჩვენს სოფელში ცხოვრობდნენ. მერვე კლასიდან ერთად ვსწავლობდით. ძალიან ნიჭიერი მოსწავლე იყო. თავიდანვე ვგრძნობდი, რომ ვუყვარდი. სკოლის შემდეგ 4 წელი გვიყვარდა ერთმანეთი, 1999 წლის ოქტომბერში დავქორწინდით. მალე პატარაც შეგვეძინა. უბედნიერესი ადამიანი იყო, მამა რომ გახდა. ამბობდა, ხელს არაფერში შევუშლი, თვითონ რასაც აირჩევს, ის გამოვიდეს, აუცილებლად შევუწყობ ხელსო. ბავშვს ხშირად უყვებოდა აფხაზეთზე, იქ გატარებულ წლებზე… 9 წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად. სანამ დავქორწინდებოდით, პაატამ სავალდებულო ჯარი მოიარა, ორი წელი მსახურობდა გომბორში, შემდეგ სოხუმის უნივერსიტეტის ფილიალში ჩააბარა, იურიდიულ ფაკულტეტზე. დაამთავრა, მაგრამ ამ განხრით მუშაობის სურვილი არც ჰქონია. უნდოდა, ჯარში ემსახურა და სამშობლოსთვის რაღაც გაეკეთებინა. კონტრაქტის გაფორმება რომ გადაწყვიტა, არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია. თავიდან სენაკში, მეორე ქვეით ბრიგადაში მსახურობდა, თვეში ერთხელ ახერხებდა შინ მოსვლას, შემდეგ ქუთაისში გადმოვიდა მესამე ქვეით ბრიგადაში, ასეულის უფროსი სერჟანტი გახდა. ორჯერ იყო ერაყში,

კოპალიანი ბახვა ტარიელის ძე

ბახვა კოპალიანი
დაიბადა 1965 წლის 19 დეკემბერს გულირიფშის რაიონის სოფელ წებელდაში.
როგორც კი დაიწყო აფხაზეთის ომი, იგი მაშინვე ჩაება საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში და ჩაირიცხა მეორე საარმიო კორპუსის 23 ბრიგადის მეშვიდე ბატალიონში.
აფხაზეთის დაცემის შემდეგ პატრიოტულმა სულისკვეთებამ არ მოასვენა. ამიტომაც განაგრძობდა პარტიზანულ ბრძოლებს.
აფხაზეთის ომში ბახვა კოპალიანს ბევრი გმირობა ჩაუდენია. ბოლოს, 2003 წლის 5 ოქტომბერს, ტყვარჩელის რაიონში დამთავრებული საიდუმლო ოპერაციის შემდეგ, ქართველ პარტიზანთა ხუთკაციანი ჯგუფი უკან ბრუნდებოდა. გალის მისადგომებთან ინფორმატორებმა პარტიზანებს აცნობეს, რომ აფხაზეთსა და საქართველოს პირობით საზღვართან ახლოს მდებარე ერთ-ერთი სოფლისკენ ავტომანქანა "ვოლგით" მიემართებოდნენ სეპარატისტების ბოევიკები სადამსჯელო ოპერაციის განსახორციელებლად. პარტიზანებმა გეზი სასწრაფოდ შეცვალეს, სასწრაფოდ დანაღმეს მანქანის სავალი ნაწილი და იქვე ახლოს ჩასაფრდნენ.რამდენიმე საათის შემდეგ არემარე საშინელი აფეთქების ხმამ გააყრუა. პარტიზანებმა იფიქრეს, ყველა დაიხოცაო, მაგრამ ერთი მათგანი მხოლოდ დაჭრილი ყოფილა. მან მოასწრო და ქართველ მებრძოლებს ხელყუმბარა ესროლა, რომელმაც ბახვა კოპალიანს ფეხი მოწყვიტა. ჯგუფია მეთაურმა თენგიზ ზარანდიამ დანარჩენებს უბრძანა; "სოფლიდან ცხენი მოგვაშველეთ, დაჭრილ ცხენზე შევსვათ და აქაურობას გავეცალოთ, ყოველი წუთი ძვირფასია, მე დაჭრილთან დავრჩები..."
აფხაზებს ზარანდია და კოპალიანი ალყაში მოექცათ.აფხაზებმა დანებება უბრძანეს და მოსაფიქრებლად ორი წუთი მისცეს. ორმა წუთმა ორი წამით გაიარა და მოულოდნელად ორი გასროლის ხმა გაისმა. ტყვედ ჩავარდნას, თენგომ და ბახვამ, თვითმკვლელობა ამჯობინეს.
დაიღუპა 2003 წლის 5 ოქტომბერს.

kaprali

zviad kalაZe

TavisuflebisTvis mebrZoli gmiris wodeba.

1980 _ 2008

11 agvistos sindisTan brzolaSi, roca exmareboda daWril megobars, mtris tyviam gangmira is, man uTxra mis megobars “me vici, ver gadavrCebi am ukanasknel brZolaSi, gadaeciT Cemebs, rom yvela zalian miyvars”. misi ukanaskneli mesiji mis cols gaugzavna _ “miyvarxar, Zalian, magram vgrZnob, rom verasdros gnaxav”.

iamze kacaZe da: “zviadis yovelTvis uyvarda tavisi samSoblo, es siyvaruli ufro gaZlierda misi jarsi msaxurobis dros. SesaZloa es iyo mizezi misi komandoSi msaxurobisa. mas omis gamocdileba balSvobaSi qonda. misi piradi misia iyo daecva qveyana, mas uyvarda saqarTvelo, is ambobda: Tu rames mouZRvnida Tavs es iyo saqarTvelo, Tuarada is ar iqneboda qarTveli”. 2006 wels man xeli moawera 4 wlian kontraqts. is msaxurobda eweris me_2 brigadasi.

ukanasknelad 11 agvistos vesaubre mas, roca is iyo SindisSi, sadac gardaicvala. sanam mas moklavdnen is exmareboda Tavis daWril megobrebs. is fexSi daiWra, man uTxra Tavis megobars, rom imdeni sisxli dakarga, rom misi Svela SeuZlebeli iyo. es iyo misi ukanaskneli sityvei.

mRvdelma Camoasvena misi cxedari TbilisSi. man mobilurSi Caricxa 3 lari, saidanac mxolod mesiji gaagzavna Tavis colTan.an miswera Tavis cols Sua brZolaSi da ukanasknelad miiRo misma colma qmris mesiji.

ase gmirulad datova es samyaro 28 wlis biWma, romelsac uzomod Tbiliguli hqonda. romlis axalgazrdobam mis saxsovrad misi saxeli Caweres memorialur dafaze, romelic mdebareobs soflis centrSi. is agreTve dajildovda TavisuflebisTvis mebrZolis ordeniT.

zviad kacaZe daibada soxumis axlos mdebare sofel eSeraSi 1980 wlis 25 ianvars. zviadis 5 7777777 hqonda. mas surda daecva samSoblo, is swored am ideas Seewira.

iamze kacaZe: “Cven bevri tanjva gamoviareT afxazeTis omis dros, rodesac zviadi 12 wlis iyo, vimalebodiT tyeSi ramodenime kvira saswaulebrivad gadavrCiT. devnilobisas Cven CavediT foTSi gemiT,

Cvens naTesavebTan ureksi mivediT. mogvianebit Cven avaseneT patara saxli. davdiodiT skolaSi, zviadim axali megobrebi gaiCina. yvelas uyvarda is. mas bevri megobari hyavda. institutis damTavrebis Semdeg samxedro samsaxurSi Cairicxa.

mas uyvarda xatva. Tavisufal dros is mudam xatavda. is aseve akeTebda xatebs. is iyo religiuri day vela Cvengani Zalian uyvarda, magram deda gansakuTrebulad. mas zalian enatreboda tavisi Zma, romelic ruseTSi cxovrobda da grZnobda, rom mas ver naxavda.

rodesac omi daiwyo Cven zalian SevSindiT. maxsovs 11 agvistos dila. me davukavSirdi mas Setakebis semdeg. ar momewona misi xma, ucnauri meCvena, is zalian iyo Secvlili. mas mowyenili xma hqonda. me vkiTxe, ra xdeba zviadi, kargad xar saWmeli Tu gaqvT? _ ki, Cven kargaT varT, Cven axal wvrTnebs gavdivarT. me vicodi, rom is matyuebda, man Tavisi nebiT gamorTo telefoni. mivxvdi, rom mas ar ecala. me ar micdia misTvis isev damereka. mogvianebiT mezobeli biWebi movidnen da gvacnes, rom is daiWra, dedam igrZno sxva rame rom xdeboda. 14 agvistos is mis mosaZebnad wavida, sanam moZebnida, adgilobrivma mTavrobam gaecnoba misi gardacvalebis Sesaxeb. Cven dedas davurekeT da movatyueTT, TiTqos zviadi dabrunda daWrili. deda mixvda yvelafers. 19 agvistos davkrZaleT qristianuli wesiT, dedam Tqva, rom me amayi var, rom Cemi Svili samSoblosTvis gardaicvala.

კალანდარიშვილი-ამირან და ტარიელ (ძმები)

გმირები არ კვდებიან, მათი სახელები შთამომავლობას გადაეცემა.

კალანდარიშვილი ამირან დაიბადა 1969 წელს
. კალანდარიშვილი ტარიელ დაიბადა 1973 წელს.
ორივე ძმები 1993 წლის აპრილის თვიდან 23-ე ბრიგადის "ბაგრატიონის" სახელობის ბატალიონიდან გადმოვიდნენ იმავე ბრიგადის მე-5 ბატალიონში, რიგითის თანამდებობაზე.
ორივემ თავი გამოიჩინა, როგორც გაბედულებმა, დისციპლინირებული მებრძოლებმა. ღებულობდნენ მონაწილეობას მე-5 ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ყველა ოპერაციებშ, ოჩამჩირის რაიონის სხვადასხვა სოფლებში.
1993 წლის 18 სექტემბერს ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციის ჩატარების დროს, "კოდორის " ხიდთან აფხაზ სეპარატისტებთან შეიარაღებული შეტაკებისას მოწინააღმდეგის აყვანით დაიღუპა ამირან ნიკოლოზის ძე კალანდარიშვილი. საბრზოლო ვითარებიდან მისი ცხედარი იქნა გადმოტანილი მისივე თანამებრძოლების მიერ. დამარხულია გულრიფშის რაიონის, სოფელ აჯარაში.
1993 წლის 23 სექტემბერს აფხაზ სეპარატისტებთან შეიარაღებული შეტაკების დროს ის იქნა მოწინააღმდეგის ტყვიით მძიმედ დაჭრილი და დაღუპული სოფელ ახალდაბის მისადგომებთან.
იმ მონაკვეთში, სადაც ტარიელ კალანდარიშვილი დაიღუპა, ბრძოლისგამო მისი ცხედრის გამოტანა, შეუძლებელი იყო.
მათი სახელები თაობებს გადაეცემა სიმამაცის, ვაჟკაცობის, გაუტეხელობის სიმბოლოდ და მაგალითად.
ორივე ძმებმა ვაჟკაცურად შეასრულეს სამშობლოს განაწესი--"წესია მამულისადა, მოკვდით და დაიხარჯენით". საკუთარი სისხლით დაიცვეს აფხაზეთის ქართული მიწა-წყალი გარეწარ გადამთიელთაგან, მათი შეუდრეკელი სიკვდილი მაგალითია ყველასათვის.

კაციტაძე ხვიჩა

რა ლამაზია ჩვენი სამშობლო,
კალმით ნაქარგი მისი მთა-ველი
იბრძოლეთ ძმებო, არვის დაუთმოთ,
ქართული მიწის თითო მტკაველი!!!

დაიბადა 1966 წლის 23 ივლისს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში. 1983 წელს დაამთავრა ასურეთის საშუალო სკოლა, ხოლო 1984-90 წლებში-თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითმფრინავ-მშენებლობის ფაკულტეტი.ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საავიაციო ქარხანაში ინჟინრად.
1992 წლის 12 ოქტომბრიდან "ასურეთის საძმოსთან"ერთად იბრძოდა აფხაზეთში,კერძოდ ოჩამჩირის შემოგარენში-ტამიშში, ლაბრა, ბესლახუბა, მერკულა. 1993 წლის თებერვალში მერკულასთან ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციის დროს დაიჭრა ფეხში, ბარძაყის არეში. მასთან ერთად დაიჭრა მისი მეგობარი, რომელსაც სასწრაფოდ პირველი ჯგუფის სისხლი სჭირდებოდა., თავად დაჭრილი ხვიჩა დაჟინებით ითხოვდა ჩემი სისხლი გადაუსხითო. ექიმმა უარი უთხრა, მაგრამ ხვიჩა თავისას არ იშლიდა "ოღონდ მეგობარი გადამირჩინეთ და ერთ ფეხსაც გავწირავო."
გამოჯანმრთელობას არც დაელოდა, ისევ ფრონტის ხაზს დაუბრუნდა--"ბიჭებს ვერ მივატოვებო."
1993 წლის 22 სექტემბერს, როცა სოხუმს გაუჭირდა, ხვიჩა მეგობრებთან ერთად კვლავ გაფრინდა. სამწუხაროდ უმტყუნათ ბედმა, აფხაზი სეპარატისტების ტყვიამ მათი საბრძოლო თვითმფრინავი ბაბუშერის აეროპორტთან იმსხვერპლა და საბოლოოდ გადაწყვიტა ხვიჩას და მისი მეგობრების ბედი.
ხვიჩა კაციტაძე დაკრძალულია დიღმის ძმათა სასაფლაოზე. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

კვესიტაძე ვახტანგ

დაიბადა 1957 წელს 13 მაისს.
საქართველოს უშიშროების უმაღლესი სკოლის კურსის უფროსის პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ვახტანგ ოთარის ზე კვესიტაზე შს ორგანოებში მუშაობდა 1984 წლიდან. მუშაობის პერიოდში თავი გამოიჩინა შრომისმოყვარეობით, რის გამოც სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა კოლექტივის წევრებს შორის. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა შს განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტილებაში, იბრძოდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში.
1992 წლის აგვისტოს თვეებში, აფხაზეთში შექმნილ ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებიტ, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების უმაღლესი სკოლის ოფიცერთა და მსმენელთა ერთი ჯგუფი მივლინებულ იქნა ქ. გაგრის დასაცავად, სამინისტროს სხვა დანაყოფებთან ერთად ძირითადად განლაგებული იყო ქ. გაგრის მისადგომებთან, კერზოდ სოფელ კოლხიდასთან.
1992 წლის 26 აგვისტოს აფხაზი სეპარატისტების და ჩრდილი კავკასიელ გადამთიელთა კბილებამდე შეიარაღებული შენაერთები, ცეცხლის შეწყვეტაზე მიღებული შეთანხმების მიუხედავად, თავს დაესხდნენ ჩვენს ნაწილებს. უთანასწორო ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ უმაღლესი სკოლის მასწავლებელი მეთოდისტი პოლიციის მაიორი მირიან ივანეს ძე თეთრაზე და კურსის უფროსი პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ვახტანგ ოთარის ზე კვესიტაძე.
კაპიტანი, კურსის უფროსი ოთარ კვესიტაძე დაჯილდოებულია საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთ ღირსების მედლით. სიკვდილის შემდეგ საქართველოს შსს აკადემიის რექტორის ბრზანებით დაჯილდოებულია შსს აკადემიის მედლით "შსს აკადემია

კვირიკაშვილი ჯემალ

დაიბადა 1951 წლის 15 დეკემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელი ახალი კინდღი. უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა, დაეცვა სამშობლოს ხვალინდელი დღე, ის დღე მშვიდობიანი და ბედნიერი ყოპილიყო მისი ხალხისთვის.
აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს კვირიკაშვილი ჯემალი ალექსანდრეს ძე ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში. 42 წლის ვაჟკაცს უნდა ევხოვრა და რამდენ სიკეთეს გააკეთებდა თავისი ოჯახის თუ ქვეყნისათვის, მაგრამ პირველსავე დაძახილზე დაუდგა დედა საქართველოს.
1992 წლის 23 დეკემბერს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს დაიღუპა კვირიკაშვილი ჯემალი. დასაფლავებულია სოფელ კინდღის სასაფლაოზე.
დადიოდა ვაჟკაცურად, სახელიანად. თავისი ცხოვრება მაგალითად, მისაბაძად დაუტოვა თაობებს.

კვაშილავა ზაურ

დაიბადა 1941 წლის 24 დეკემბერს გულირიფშის რაიონის სოფელ განახლებაში. მუშაობდა სოფელ დრანდაში ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოში.
აფხაზეთის კონფლიქტის დროს გულმა ვერ მოუთმინა 51 წლის კვაშილავს ზაურს და ფრონტის ხაზისაკენ გაუწია. მას სამხედრო სამსახურში მიღებული ჰქონდა სათანადო ცოდნა.. როდესაც საქართველოს უჭირს, ყველა ქართველი ვაჟკაცი ვალდებულია დაიცვას თავისი საქართველოს ყოველივე კუთხე--ამას ამბობდა ზაური. და მართლაც 1992 წლის სექტემბრიდან ზაურ კვაშილავა ჩარიცხული იყო მეორე საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზებული დრიგადის მე-5 ბატალიონის მესამე ასეულის მეთაურად.
1992 წლის 3 დეკემბერს ოჩამჩირის რაიონის აფხაზეთის ათარაში ერთ-ერტ საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს, გმირულად დაეცა ბრზოლის ველზე. დასაფლავებულია სოფელ განახლებაში.

კვარაცხელია რევაზ

დაიბადა 1958 წლის 11 მარტს სოხუმის რაიონის უჩხოზ-ეშერაში.
იყო ერთი სოხუმელი ბიჭი.
რევაზი ყველაზე მეტად მეგობრობას, ადამიანების ურთიერთობის ძვირფას თვისებას აფასებდა.აფხაზეთის კონფლიქტის დროს ჩარიცხული იყო მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-6 ცალკეული სატანკობატალიონის პირველი ასეული რიგით მებრძოლად. 1992 წლის სექტემბრიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მდინარე გუმისთასთან გამართულ ბრძოლებში. მოწინააღმდეგის ერთ-ერთ შემოტევის დროს 1992 წლის 9 დეკემბერის საღამოს, მდინარე გუმისთის პირას, საავტომობილო ხიდის მახლობლად მტრის მიერ გამოსრილი ტყვიით სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი და ადგილზე გარდაიცვალა.
თანამებრძოლეებმა (კვარაცხელია ანზორ, ჯიშკარიანი იური, ჯიშკარიანი ვახო) მოახერხეს დაღუპულის ტყვიის წვიმიდან გამოყვანა. ქ. ზუგდიდში განისვენებს სოხუმელი ბიჭი.
სმშობლო არ დაკარგავს თავდადებული ბიჭის ხსოვნას.

კვატანია თამაზ

დაიბადა 1955 წლის 25 ნოემბერს ქ. ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში. საშუალო სკოლა მშობლიურ სოფელში დაამთავრა, შემდეგ ქ. სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში სწავლობდა. სამი წელი მოიხადა სავალდებულო-სამხედრო ჯარი. ამის შემდეგ ბრუნდება მშობლიურ სოფელში, შექმნა ლამაზი ოჯახი და მუშაობდა ჩაის ფაბრიკაში.
კვატანია თამაზ გიორგის ძე აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის დროს მსახურობდა სქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონის შემადგენლობაში რიგირთ მებრძოლად 1992 წლის დეკემბრიდან.
1993 წლის 2 იანვარს სოფელ კოჩარაში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს დაიღუპა სამშობლოზე შეყვარებული ვაჟკაცი, რითაც მარადიულობაში დაიმკვიდრა მართალი სულის სიმშვიდე.დაკრძალულია ქ. ოჩამჩირეში.

კვარაცხელია ნიკოლოზ (ნიკა)

დაიბადა 1956 წლის 17 ოქტომბერს, გულირიფშის რაიონის სოფელ განახლებაში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. ბოლო წლებში ოყო ქარხანა "სოხუმხელსაწყოს"გენერალური დირექტორის მოადგილე.
იყო საოცრად გულისხმიერი, მოსიყვარულე, გამტანი, სამართლიანი.
აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, რიგითი კვარაცხელია ნიკოლოზ ილარიონის ძე ჩარიცხული იყო ბატალიონ "ცხუმის" პირველი ასეულის მეთაურად 1992 წლის 3 ოქტომბრიდან. ვაჟკაცურად იბრძოდა, ხიფათით აღსავსე საბღძოლო გზა გაიარა. 1993 წლის 16 სექტემბერს შეწყდა ნიკოლოზის სიცოცხლე...

კოპალიანი ვენორ

დაიბადა 1964 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში.
29 წელი ბედნიერად გაატარა იმ მშვიდობიან და ლამაზ მხარეში, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია.
1992 წლის აგვისტოში, როცა აფსუებსა და ქართველებს შორის უცნაური ომი დაიწყო, მშვიდობიანი ცხოვრება მოეშალა ვენორისაც. პირველი დღიდან იარაღით საქართველოს მთლიანობას, იცავდა იმ მხარეს, სადაც პირველად დაირწა მისი აკვანი, სადაც უმღეროდნენ ნანას.
ვენორი დევნილად იქცა. მაგრამ ომის შემდეგ ვერ შეეგუა თბილისის მშვიდობიან ცხოვრებას და ისევ იქ დაბრუნდა, სადაც მამის ღია საფლავი ეგულებოდა.....ის ველარ დაუბრუნდა ოჯახს.
ვენორ კოპალიანი განისვენებს ძმათა სასაფლაოზე იმ ვაჟკაცების გვერდით, რომლებმაც სიცოცხლე არ დაზოგეს მისი მშობლიური კუთხის--აფხაზეთის შენარჩულენისთვის.
მათი თავდადება მოზარდი თაობისათვის პატრიოტიზმის გაკვეთილია, საქართველოს მომავალი გამთლიანების საწინდარია.

კოპალიანი თენგიზ

"თუ ცოცხალი დავბრუნდი, ხო კარგი, თუ არადა, იმას მაინც იტყვიან, გმირულად მოკვდაო..."'

დაიბადა 1964 წლის 28 ივნისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში.
ადამიანი ალალ-მართალი ცხოვრებითა და სასიკეთო საქმეებით ამახსოვრებს ხალხს თავს...მწუხარებამ და სევდამ დაისადგურა კოპალიენების ოჯახში, დარჩნენ ერთადერთი შვილის მონატრებით.
თენგიზი აფხაზეთის კონფლიქტის დროს ირიცხებოდა მე-2 საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის ს/ ნ 05242. დაიღუპა 1993 წლის 29 სექტემბერს სოფელ არადუში საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს.
დედას უბარებდა ყოველ ფრონტზე გასვლისას---"თუ ცოცხალი დავბრუნდი, ხო კარგი, თუ არადა, იმას მაინც იტყვიან, გმირულად მოკვდაო..."'

უმცროსი სერჟანტი ლევან კოხრეიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

შინდისში კბილებამდე შეიარაღებულმა რუსებმა ქართველი მეომრები რომ ალყაში მოაქციეს, ის თანამებრძოლებთან ერთად გამოეშურა… 9 მანქანა მოდიოდა, ტყვია-წამლითა და დაჭრილებით, მოდიოდა და… ყელქცეულში დააწია მტერმა ბომბები… აფეთქებამ მანქანიდან გადმოაგდო… ლევან კოხრეიძე 1975 წელს დაიბადა სამტრედიაში.

რეზერვისტი ოთარ კიკალეიშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

მტერი რომ სენაკის ბაზას ბომბავდა, ის ფეხზე იდგა და ბიჭებს დასძახოდა, ამხნევებდა: „ნუ გეშინიათ, ბიჭებო!!!“ სწორედ იმ დროს გაუყენა მტრის ბომბმა ის უკვდავების გზას…

კაპრალი ივანე კვალიაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.
გორში, ვერხვების დასახლებაში, 1986 წლის 18 დეკემბერს, კვალიაშვილების ოჯახს გვარის გამგრძელებელი შეეძინა.
ვანიკო დაარქვეს… დეკემბერში 23 წლის გახდებოდა.
სკოლის დამთავრების შემდეგ, გორის ინსტიტუტში ჩაირიცხა. ინფორმატიკის ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა პროფესიით არასდროს უმუშავია.

კილაძე ვასილი

დაიბადა 1969 წლის 25 ოქტომბერს ქ. გორში.

1975 წელს სწავლა დაიწყო მე-4 საშუალო სკოლაში.

მესამე კლასში დაწერა , თავისუფალი თემა თუ ვინ უნდა გამოსულიყო. ''მე მინდა გამოვიდე ჯარისკაცი, რადგან ჯარისკაცი მამაცია და თავგანწირვით იცავს თავის სამშობლოს''.

მე-9 კლასში იყო, როცა ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტთან არსებულ ''მცირე აკადემიაში, ''სადაც ფიზიკა-მათემატიკას ასწავლიდნენ. ყველა ოლიმპიადის თუ ტურის გამარჯვებული იყო. ამასთან სპორტიც მისი გატაცება იყო, ჭიდაობა, მრავალი ჯილდო და მედალიც ამშვენებდა მის მკერდს.

1988 წელს ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე.

პარალელურად მუშაობდა თბილისის პირველ სასწრაფო სამედიცინო სამსახურში.

დადგა **1993** წელი. ვასიკო მე-4 კურსის სტუდენტი მოხალისედ წავიდა აფხაზეთში. ირიცხებოდა ბატალიონ ''ორბში''.

1993 წლის **2** ივლისს დესანტი გადმოსხეს აფხაზეთში და ვასიკო დაიკარგა უგზო-უკვლოდ...

კობახიძე რამინ



ტრაგედია კობახიძეების ოჯახში...
მარადიული ცრემლი...

"ყველაზე ადვილი სიკვდილი ყოფილა,
სიცოცხლე ყველაზე ძნელი"...(დუდუ)
კობახიძე რამინი ქრისტეფორეს ძე დაიბადა ქ. სოხუმში 1932 წლის 4 მაისს.
ხარობდა თავისი ოჯახით და ქალაქით. არ ეგულებოდა სხვა ადგილი საცხოვრებლად აფხაზეთის გარდა. და, როცა მის ქალაქს გაუჭირდა...რამინი და მისი მეუღლე ქალბატონი ზაირა კობახიძე ემსახურებოდნენ ქართველ ჯარს. რამინი 1993 წლის 1 აპრილიდან აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის მე-7 ბატალიონის რიგებში. იყო მამაცი მეომარი. რამინის მეუღლე ქალბატონი ზაირა კობახიძე მუშაობდა 24 საათის განმავლობაში პურისქარხანაში "კოლოსი". ამარაგებდა პურით ყველა ბატალიონებს.
1993 წლის 26 სექტემბერს ბატალიონის მიერ საბრძოლო მოქმედებების დროს რამინი ქრისტეფორე კობახიძე დაიღუპა.
რამინის ცოლ-შვილი გაეშურა სვანეთის გზისკენ...ომმა და სვანეთის მთებმა ბევრი რამ დაანახა ოჯახს, არნახული გაჭირვება და სიყვარული..."სვანეთის გზას"---სიკვდილ-სიცოცხლის გზა უწოდა რამინის ქალიშვილმა-- მარინა კობახიძემ (დუდუ). სვანეთის გზას შეეწირა რამინის ქალიშვილი მარინა (დუდუ) კობახიძე...
....მამა-შვილი კობახიძეები...განწირული სიცოცხლე....

კორინთელი ოთარ

დაიბადა ქ. თბილისში, იყო მთაწმინდელი. დაამთავრა 41-ე საშუალო სკოლა. ქ. ლენინაკანში, კავშირგაბმულობის ბატალიონში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო- სავალდებულო სამსახური გაიარა.

იყო სიკეთისა და სამშობლოს სიყვარულის მატარებელი. უანგაროდ, ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს. ახალგაზრდა თაობას ასწავლიდა სახელმწიფო დროშისა და ჰიმნის ფასს.

როცა აფხაზეთს არეულობა დაეტყო , პატრიოტულმა სულისკვეთებამ აიძულა იგი 1992 წლის 29 აგვისტოს მოხალისედ წასულიყო აფხაზეთში და ჩარიცხულიყო 101-ე ბატალიონში გაგრაში.

ბატალიონი სოფელ კოლხიდაში მოხდა. ოთარი თავის თანამებრძოლეებს ამხნევებდა, თავს ევლებოდა მეომრებს. ტყვიას არ უშინდებოდა. ამის საბრძოლო მაგალითია...მოგვითხრობს თანამებრძოლი ავთანდილ ჩიქოვანი: პირველ ოქტომბერს, იმ საბედისწერო დღეს მტერი შემოტევაზე გადმოვიდა. სარდლობას შექმნილი მდგომარეობა სასწრაფოდ შევატყობინეთ და თავიდან საარტილერიო სანგრებში გავმაგრდით, ის მაშინაც ახალგაზრდა ბიჭებზე ფიქრობდა. ყოველთვის ამბობდა გაწვრთნილ და გამოცდილ მტერს ჩემისთანები უნდა შეებნენ, საკადრის პასუხსაც ჩვენ გავცემთ , და არა 17-19 წლისანიო. მე თუ არ ვიბრძოლო, აბა, მარტო სადღეგრძელოები ვსვაო?!

1992 წლის 2 ოქტომბერს ძლიერი შემოტევის დროს იგი დაიჭრა. ათი წუთიც არ გასულა და სისხლისგან დაიცალა.

თანამებრძოლეებმა ოთარ კორინთელი ვერ გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან...

კარიაული უშანგი

მათ საკუთარი სიცოცხლე დათმეს,
რადგან სამშობლოს სიცოცხლე სურდათ....
"განათლებულ ხალხთა ჭეშმარიტი სიმამაცე მდგომარეობს თავგანწირვისათვის მზადყოფნაში სამშობლოს გულისათვის."
თავდადებული ქართველი ვაჟკაცების უკვდავებით ახანგრძლივებენ მათი გამზრდელი დედები--- თავიანთი მოუშუშებელი ჭრილობებითა და ცრემლიანი თვალებით.

კვირიკაშვილი რევაზ ვარლამის ძე

დაიბადა 1967 წელს ბოლნისის რაიონში.
მონაწილეობდა აფხაზეთის რეგიონში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის მიმდინარე ბრძოლებში იგი ბოლნისის ბატალიონის მებრძოლი იყო. გაგრის მოვლენებიდან იგი დაბრუნდა მშვიდობით. 1993 წელს ხელახლა წაიყვანეს სოხუმში საბრძოლველად.
1993 წლის სოხუმში ერთ-ერთ ოპერაციის დროს დაიღუპა.
როცა ბოლნისელი ბიჭები სოხუმში ჩავიდნენ. სოხუმი მასიურად იბომბებოდა, მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპებოდა, იმ დღეებში საშინელება ტრიალებდა სოხუმის ქუჩებში...ბიჭების ნაწილი სოხუმის ანძის ფუნიკულიორის დასაცავად გააგზავნეს, მათგან რამოდენიმე აღარ დაბრუნებულა. ვინც დაბრუნდა მინისტრთა საბჭოს შენობისაკენ გადაადგილეს. რევაზ კვირიკაშვილი ანძიდან აღარ დაბრუნებულა, ამ დღიდან იგი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.
რავაზი ბრძოლებში სიმამაცით და გამბედაობით გამოირჩეოდა. მისი საქციელი ყოველთვის მისაბაძი იყო თანამებრძოლებისათვის. მანთავი შესწირა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას, ბოლომდე მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მამულისათვის თავდადებულ მებრძოლთა შორის.

კვირიკაშვილი ტარიელ ზურაბის ძე

დაიბადა 1972 წლის 16 თებერვალს ბაღდადის რაიონის სოფელ წითელხევში.
1979 წელს შევიდა წითელხევის პირველ საშუალო სკოლაში. 1989 წელს საშუალო სკოლის წარმარებით დამთავრებისთანავე ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დაუსწრებელ ფაკულტეტზე. იმავე წელს ჩაება შრომით საქმიანობაში.ორი წელი წარმატებით სწავლობდა სოხუმში, მესამე კურსზე სწავლის გაგრძელებას კი ვეღარ მოესწრო, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მე-3 ბრიგადის პირველი ბატალიონის სოხუმის სამხედრო პოლიციაში იბრძოდა, ამის შესახებ მისმა მშობლებმა და ახლობლებმა მხოლოდ ოქტომბრის 20 რიცხვისათვის გაიგეს, როცა ტარიელი სამი დღის შვებულებით ჩამოვიდა ომიდან, როგორც საქართველოს ერთიანობისათვის ჩამოყალიბებული მებრძოლი და არა როგორც მე-3 კურსის სტუდენტი.
ქართველური შემართებით, ვაჟკაცურად ორ თვეზე მეტხანს იბრძოლა ტარიელმა თავისი საყვარელი ქალაქის--სოხუმის დსაცავად, რომელშიც იგი მთლიანად საქართველოს გულისხმობდა, მაგრამ 2 ნოემბერს ზურგიდან მოაყენეს მტერი და მთლიანად გაანადგურა ქალაქი. ამ ბრძოლას შეეწირა ტატიელიც.
ასე დასრულდა 20 წლის ვაჟკაცის ხანმოკლე სიცოცხლე, მისი მჩქეფარე სისხლიც შეუერთდა იმ მრავალი ქართველი ვაჟკაცის სისხლს, რომლებმაც საქართველოს ერთიანობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის გმირულად გასწირეს თავი.

ზაზა კიკნაძე. ირაკლი დვალიძე, ლევან მაჭავარიანი, სწორედ აფხაზეთში დამთავრდა სამი ვაჟკაცის სიცოცხლე. ხვედრი ერთი იყო სამივესთვის-- წამებული საქართველოსთვის წამებით სიკვდილი.სამივენი დასაფლავებულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანტეონში.

ეს ჩვენი გზაა მეგობრებო!...
თუ რამე დაგვემართა, იცოდეთ!, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას შევწირეთ თავი...
ტამიშის მისადგომებთან....
პირველი საარმიო კორპუსის მეთერთმეტე ბრიგადის სამედიცინო სამსახურის ექიმები, უფროსი ლეიტენანტები ირაკლი ლევანის ძე დვალიძე და ლევან ილიას ძე მაჭავარიანი, მშენებელი (მძღოლი სამედიცინო მანქანის) ზაზა შოთას ძე კიკნაძე გმირულად დაიღუპნენ აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე ბრძოლების დროს, ტამიშის მისადგომებთან 1993 წლის 3 ივლისი

კიკნაძე ზაზა

თავის მეგობრებთან ერტად ტამიშთან, უთანასწორო დესანტთან ბრზოლისას დაჭრილთა საშველად მიეშურებოდა სამედიცინო მანქანით თავის კოლეგებთან ერთად. მტერმა არად ჩააგდო სამედიცინო მანქანის დახმარების ნიშანი და სროლა აუტეხა. სამივენი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ და გმირულად დაიღუპნენ.
სამივე გმირმა უყოყმანოდ მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე. მათ უყვარდათ სამშობლო.. და სიტყვით რომ ვერ გაუმხილეს გრძნობები, გული ვერ გადაუშალეს, საქმით დაუმტკიცეს ერთგულება და სიყვარული.
სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქრთველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი (სიკვდილის შემდეგ).
ირაკლი დვალიძე, ლევან მაჭავარიანი, ზაზა კიკნაძე.
სწორედ აფხაზეთში დამთავრდა სამი ვაჟკაცის სიცოცხლე. ხვედრი ერთი იყო სამივესთვის--წამებული საქართველოსთვის წამებით სიკვდილი.სამივენი დასაფლავებულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანტეონში.

მაჭავარიანი ლევან

ახალგაზრდა ექიმი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის იბრძოდა, დაჭრილები გამოჰყავდა ფრონტის ხაზიდან.
ლევან მაჭავარიანი სამსახურეობრივი დავალების დროს ბრძოლის ველზე გმირულად დაიღუპა.

დვალიძე ირაკლი

დაიბადა 1965 წლის 28 თებერვალს ქ. თბილისში. 1971-1982 წლებში სწავლობდა ქ. თბილისიდ 52-ე საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ 1982-1983 წლებში მუშაობდა ორჯონიკიძის რაიონის სანეპიდსადგურში სანიტრად.
1983 წელს ცაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში მუშაობდა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს თირკმლის განყოფილებაში, მორიგე ექთნად. 1989 წელს დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი.
1989-1990 წლებში გაიარა ინტერნატურა სპეციალობით-ანესთეზიალოგია-რეანიმაცია. მუშაობდა შოკის ბრიგადის ექიმ-რეანიმატოლოგად ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრალურ ფილიალში. 1991 წელს სექტემბრიდან 1993 წლის თებერვლამდე იყო აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის რკინიგზის პირველ საავადმყოფოში ანასტეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის განყოფილებაში ექიმად.
1993 წლის 4 თებერვლიდან იყო სქართველოს შეიარაღებული ძალების მე-11 მექანიზირებული ბრიგადის სამედიცინო ასეულში ექიმ ანასტეზიოლოგიის თანამდებობაზე უფროს ლეიტენანტის წოდებით. 1993 წელს 28 თებერვალს ირაკლის ოჩამჩირეში შეუსრულდა 28 წელი, სიკვდილის შემდეგ არცეული იყო საქართველოს სამხედრო სამედიცინო აკადემიის საპატიო წევრად.

კონსტანტინე (კახა) ლაფერაშვილი.

კახა ლაფერაშვილი, რომელიც წარმოშობით სოფელ ბარნაბიანთკარიდან იყო, 1992 წლის სექტემბერში მოხალისედ წავიდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში.

19 წლის ჭაბუკი სტუდენტი იყო, მან მიატოვა სწავლა, ოჯახი და ეროვნული გვარდიის „შავნაბადა“-ს ბატალიონთან ერთად იბრძოდა საქართველოსთვის.

კახა ლაფერაშვილი 1992 წლის 2 ოქტომბერს გაგარაში, სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

მის ოჯახს და მოხუც მშობლებს შვილის საფლავიც არ გააჩნიათ, მაგრამ ამაყობენ, რომ გაზარდეს გმირი და სამშობლოსთვის თავდადებული შვილი. გორგასალის პირველი ხარისხის ორდენი მათ, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პირადად გადასცა.

სამარადისო დიდება სამშობლოსათვის დაღუპულ მეომართა ხსოვნას.

დანიელ აფრასიონის ძე ლომთათიძე

დაიბადა 1945 წლის 7 იანვარს ზემო სერებში, ცხოვრობდა სოფ. ზემო მამათში. ჰყავდა მეუღლე და 4 შვილი.დაიღუპა ოჩამჩირეში, სოფ ტამიშში 1992 წლის 5 ნოემბერს. იყო თადარიგის ოფიცერი, 21-ე ბრიგადის ასეულის მეთაურის მოადგილე.

ლოგუა ლევან

დაიბადა ქ. ზუგდიდში 1954 წლის 9 იანვარს.1970 წელს დაამთავრა ქ. ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლა.1970-1975 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. ამავე დროს მუშაობდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში.1975-1976 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. იყო პოლკის კომკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა გააგრძელა ქ. სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატულ თეტრში მსახიობად. იყო გამორჩეული დეკლამატორი. მისი ფირი შეტანილი იყო აფხაზეთის რადიოს ოქროს ფონდში.გადაღებულია ფილმებში: ,,კრაზანა"; მტვერი მზის ქვეშ" და დ. რონდელის ფილმში ,,საჰაერო ხიდი". გატაცებული იყო ფოტო-ხელოვნებით.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმში დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ლაცაბიძე მალხაზ

დაიბადა 1972 წლის 14 ივლისს ხარაგაულის რ–ნის, სოფელ დუისში.1978–1989 წლებში სწავლობდა ქ. ხაშურის რკინიგზის მე–4 საშუალო სკოლაში.სკოლაში სწავლის პერიოდში თამაშობდა ფეხბერთს ხაშურის ,,ივერია" –ს გუნდში და სურამის გუნდში.1989 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. ხაშურის მექანიკურ ქარხანაში.1992 წლის 19 მაისს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, საქართველოს შს შინაგანი ჯარის ს/ნ №205012.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 28 ოქტომბერს, ოჩამჩირის რ–ნის, სოფელ ქეთევანასთან დაიკარგა უგზო–უკვლოდ.

ლემონჯავა ვალერი

დაიბადა 1960 წლის 18 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეიშში.1978 წელს დაამთავრა ოხურეის საშუალო სკოლა. ამავე წელს გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო შს სამინისტროში სპეცდანიშნულების ასეულის პოლიციის სერჟანტად, სადაც მსახურობდა სიკვდილის ბოლო დღემდე.
როგორც კი აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, ვალერი ერთ-ერთ პირველთაგანი იყო, რომელიც უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა რიგებში, იბრძოდა გმირულად.
1998 წლის 25 მაისს გალის რაიონის სოფელ საბერიოში აფხაზმა სეპარატისტებმა ადგილობრივი მოსახლეობის აწიოკება. ამ დროისთვის ლემონჯავა ვალერი გაგზავნილი იქნა სპეცდანიშნულების ასეულის ათკაციანი ჯგუფი, რომ სოფლის მცხოვრებლებს დახმარებოდნენ ევაკუაციაში. მოსახლეობის ენგურს გამოღმა გამოყვანის დროს აფხაზმა სეპარატისტებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და ყუმბარტყორცნიდან გახსნეს ცეცხლი...
საბედისწერო გამოდგა ი დღე პოლიციის სერჟანტ ვალერი კოსტას ძე ლემონჯავასთვის. გალის რაიონის სოფელ დიხარზუგში მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცა,გმირი ვაჟკაცი.
გამოჩენილი გმირობის, ვაჟკაცობისა და თავგანწირვისთვის ლემონჯავა ვალერი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.
დაკრძალულია ქ. ზუგდიდში რკინიგზის დიდ სასაფლაოზე. ქ. ზუგდიდის მერიამ ტოლსტოის ქუჩის მეხუთე შესახვევს, სადაც ვალერის მეუღლე და შვილები ცხოვრობენ, ვალერი ლემონჯავას სახელი მიანიჭეს.

ლემონჯავა ხუხუტი

დაიბადა 1947 წელს სოფელ ახალდაბაში.

23-ე ბრიგადის მეხუთე ბატალიონში 787 ჯარისკაცი ირიცხებოდა, აქედა 106-მა მებრძოლმა თავი დასდო სამშობლოს სამსხვრეპლოზე.
დიდი პატივიაცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ლემონჯავა ხუხუტი. თანამებრძოლებთან ერთად ერკინებოდნენ კბილებამდე შეიარაღებულ მტერს უთანასწორო ბრძოლაში.
1993 წლის 22 თებერვალს სოფელ აძიუბჟასთან, თანამებრძოლებთან ერთად, , ტანკით ნაღმზე აფეთქდა, რის შედეგადაც დაიღუპა. დაკრძალულია სოფელ ახალდაბის სასაფლაოზე.

ლომიძე ზაზა

დაიბადა 1964 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისში.
6 წლისაც არ იყო, მშობლებმა სკოლაში რომ შეიყვანეს. პატარაობიდანვე ნიჭითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. არაერთი ქების სიგელი დაუმსახურებია საქალაქო თუ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში.
სასწავლების დამთავრების შემდეგ ჩარხმშენებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა მღარავად. პარალელურად ჩაირიცხა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. კეთილსინდისიერად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას როცა საფრთხე დაემუქრა, იგი უყოყმანოდ ჩადგა დამცველთა რიგებში და ჩაეწერა ბატალიონში "ორბი", შემდეგ გადაიყვანეს უშიშროების სამმართველოს შტაბის უფროსის მოადგილედ, თავდაცვის სამინისტროში კაპიტნის წოდებით. ზაზამ მაღალ პროფესიულ დონეზე ჩაატარა არაერთი სამხედრო ოპერაცია.
თავისი ქვეყნის ღვიძლი შვილი იყო და როგორც ვაჟკაცს სეეფერება აფხაზეთის ტრაგედიაში უხმოდ ჩაება. 1993 წლის 3 აპრილს სოხუმის ჰესის აფხაზებისგან გათავისუფლების საბრძოლო ოპერაციის დროს დაიღუპნენ მისი თანამებრძოლები. 4 აპრილს ჩამოასვენეს თავისი უახლოესი მეგობრები- ზურა ჯაჭვაძე და გია ჩიხრაძე, რომლებიც საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ. ზაზამ საოცარი ერთგულება და სიყვარული იცოდა. ძალიან განიცადა მეგობრების დაკარგვა. ზაზა და ზურა ერთ დღეს, 3 დეკემბერს იყვნენ დაბადებულები და ზურას დედას დაჰპირდა; "ყოველ დაბადების დღეს მის საფლავზე გადავიხდიო" და აკი აუხდა კიდეც---ისიც მის გვერდით განისვენებს.
1993 წლის 16 მაისს 28 წლის ასაკში ბრძოლია ველზე დაიჭრა, ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა.

ლაშხია ემზარი

დაიბადა 1962 წლის 31 იანვარს ქ. სოხუმში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა უმაღლეს სასწავლებელში და წარჩინებით დაეუფლა იურისტის პროფესიას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო აფხაზეთის შს სამინისტროს ქ. სოხუმის შს სამმართველოში გამომძიებლად. მუშაობის დაწყების პირველივე დღიდანვე ემზარმა თავი გამოიჩინა მინდობილი საქმის პირნათლად შესრულებით, რის გამოც მალე დაიმსახურა სიყვარული და ავტორიტეტი თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის. არაერთხელ იქნა წახალისებული და დაჯილდოებული, გახლდათ პოლიციის ლეიტენანტი.

ომი რომ საშინელებაა, ეს აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. 1993 წლის 10 ივნისს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ქ . სოხუმში აფხაზი ექსტრემისტების მიერ საარტილერიო დაბომბვის დროს ემზარი მძიმედ დაიჭრა, რის გამოც მარცხენა ფეხი დაკარგა. ქ. სოხუმის დაცემის შემდეგ ემზარ ლაშხიამ ალყაშემორტყმული სოხუმიდან ევაკუაცის ვერ მოახერხა, აფხაზებმა ოჯახის წევრებთან ერთად იგი დაუნდობლად დახვრიტეს. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

ლაშხია შალვა



დაიბადა 1935 წლის 21 დეკემბერს გულირიფშის რაიონის სოფელ წებელდაში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. პირნათლად მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური.. მუშაობდა აფხაზეთის შს ორგანოებში, კერძოდ აფხაზეთის შს სამინისტროს დროებითი დაკავების იზილატორში.
აფხაზეთის საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე მობილიზებული იქნა აფხაზეთის შს სამინისტროს თიღქმის მთელი პირადი შემადგენლობა.მთელი ომის მანძილზე იგი იყო ერთ-ერთი ძირითადი დამრტყმელი ძალა, რომელიც გამორჩეული გახლდათ თავისი გამოცდილებით და ბეძოლის უნარიანობით.
უფროსი სერჟანტს ლაშხია შალვას ერთი დღითაც არ დაუტოვებია სოხუმი და ბოლოს... როცა ქ. სოხუმი ეცემოდა და ორივე მხრიდან აფხაზეთის მცხოვრებლები იღუპებოდა 1993 წლის 27 სექტემბერს, ქალაქში შემოიჭრილმა მტერმა ხელში ჩაიგდო და დაუნდობლად მოუსწრაფა სიცოცხლე. მეზობელ ბერძნებს დაუკრძალავთ ლაშხია შალვა.

ძმები ლომიძეები

...დედანო, გმირის გამზრდელნო,
რა დიდი მადლი გქონიათ,
სამშობლოსათვის მხნეობა
თქვენს კალთას თან დაყოლია!

ბესლეთის ცაზე აინთო
მათი ლამაზი სახელი,

თენგიზი და კახაბერი-
ლომიძეების ნათელი...
ვაჰმე თქვენს დედას ბიჭებო,
რა ვუთხრა მიწას, თქვენს ფუძეს,
თქვენს საქმეს ვერ იპკურებენ...
დაღონდებიან ხევები,
წყალნიც კი ატირდებიან,
ხეები და ყვავილები
სულ თქვენზე აცრემლდებიან;
ლომიძეების გულისთქმა
სამშობლო მიწა ყოფილა,
არ დაინანეს სიცოცხლე,
იომეს გულით ლომურად.

აბულაძე-ციკოლია ნინო (ნუცა)

ლომიძე ნუგზარ



დაიბადა 1966 წლის 27 სექტემბერს ქ. რუსთავში.
დაამთავრა ქ. რუსთავის N 15 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ტექნიკურ სასწავლებელში. სამხედრო სამსახური გაიარა გერმანიაში.
1992 წლის 20 აგვისტოს 25-ე სადესანტო მოიერიშეთა ბატალიონის "ქართველ შევარდენთა ლეგიონის" მეთაურის ბრძანებით პირველ ასეულთან ერთად იგი დესანტირებული იქნა ქ. გაგრაში და მონაწილეობდა ასეულის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. ერთ-ერთი დავალების შესრულების დროს 1992 წლის 30აგვისტოს იგი დაიკარგა უგზო-უკვლოდ ქ. გაგრაში.

იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.
დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

ლორთქიფანიძე რამაზი

დაიბადა 1955 წლის 18 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონი სოფელ კოჩარაში.საშუალო სკოლა კოჩარაში დაამთავრა. შემდეგ სწავლობდა ქუთაისში გზების და ხიდეების მშენებლობა ექსპლეტაციაზე.
1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი დაიწყო...
ლორთქიფანიძე რამაზ კაპიტონის ძე იბრძოდა 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში "მოხალისედ".
ფიზიკურად უზადოს, გონიერსა და ზნეკეთილს არც უღალატია არჩეული გზისთვის.
უშიშრად შეეგება სამშობლოსათვის სიკვდილს. 1992 წლის 30 ნოემბერს ტყვედ აიყვანეს 10 თანამებრძოლებთან ერთად. შეტაკების დროს 30 ნოემბერს გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე...

ლეთოდიანი მურმან და ბადრი (ძმები)

ლეთოდიანი მურმან დაიბადა 1963 წლის 26 აგვისტოს გულირიშის რაიონი სოფელი ოქტომბერი.

ლეთოდიანი მურმან დაიბადა 1963 წლის 26 აგვისტოს გულირიფშის რაიონი სოფელი ოქტომბერი. იყო მობილიზებული გულირიფშის სამხედრო კომისარიატის მიერ და ჩარიცხული იქნა მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის პირველი ბატალიონის პირად შემადგენლობაში1992 წლის ნოემბრის თვიდან. მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში.
ლეთოდიანი მურმან დაიღუპა 1993 წლის 20 სექტემბერს სოფელ აჩადარაში.
ლეთოდიანი ბადრი დაიბადა 1973 წლის 8 სექტემბერს გულირიფშის რაიონის სოფელი ოქტომბერი. ომის დაწყების დღიდან ეროვნული გვარდიის რიგებში იბრძოდა.
1993 წლის 19 სექტემბერს სოხუმში მიმდინარე გუმისთის მისადგომებთან მტრის მიერ შემოტევის დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.. მეგობრებმა ვერ შეძლეს ბადრის ცხედრის გამოტანა. მტერი კი წინ მოიწევდა. როდესაც ქართველებმა აჩადარა დატოვეს, მურმანი გამოექცა მეგობრებს ძმის ცხედრის გამოსატანად. ამ დღის შემდეგ არავინ იცის მურმანის ამბავი.

ლეთოდიანი ბადრი დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისათვის."
ძმებს უყვარდა სამშობლო.

კოტე ლეთოდიანი

დაიბადა ქ. სოხუმში 1971 წელს.
აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის დროს, 1992 წლის სექტემბრიდან ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის საკომენდატურო ასეულში, ბრიგადის მეთაურის პირადი დაცვის უფროსად.
საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა მდინარე გუმისთისა და შრომა-ახალშენის მიმართულებით.
ყოველთვის მეთაურის გვერდით იმყოფებოდა, შტაბშიც და საბრძოლო მოზიციებში მონაწილეობის დროსაც.
1993 წლის 27 სექტემბერს, მოწინააღმდეგის "ბოევიკებთან" შეტაკების დროს, მდინარე კელასურთან, გმირულად დაიღუპა მეთაურთან ერთად.დასაფლავებულია სოფელ ბაღმარანის სასაფლაოზე.

ლემონჯავა თემური

სკოლის მერხიდან...სამშობლოს სადარაჯოზე...

დაიბადა 1975 წლის 14 ოქტომბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში.
სკოლის დამთავრება და აფხაზეთის კონფლიქტში ჩაბმა ერთდროულად მოუწია. 17 წლის ვაჟკაცი თავის მიწა-წყალს იცავდა.
1993 წლის თებერვალში ჩაირიცხა მეორე საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონის მებრძოლად.
1993 წლის 16 სექტემბერს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. დასაფლავებულია სოფელ მერკულაში.

ადამიანის ცხოვრება ორი თარიღით აღინიშნება. . .

ლაშხია ლაშა

ლაშხია ლ. ვ.

2014 წლის 2 სექტემბრის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 66 განკარგულებით ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში ე.წ. დიღომი 7-ში მდებარე ერთ-ერთ უსახელო ქუჩას მიენიჭა გმირი ლაშა ლაშხიას სახელი.

ესაა ერთად-ერთი ნუგეში შვილდაკარგული დედის, დედისა, რომლისთვისაც საფლავიც კი საოცნებოდაა ქცეული. მას სიხარულად რჩება ქუჩა, რომელსაც ლაშას სახელი ერქმევა და ის ამ ქუჩის მოვლა-პატრონობაზე სიცოცხლის ბოლომდე იზრუნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთად-ერთი შვილის დამკარგავი დედა ქ-ნ მზევინარ (მზია) ჯოჯუა ნათელი მაგალითია გმირობისა. მიუხედავად, ლაშას დაკარგვით გამოწვეული ტკივილისა, რომელსაც უკვე ათეული წლებია დაატარებს გულში, სანიმუშო მაგალითია ამტანობისა, პატიების და ოპტიმიზმისა. მას მოწყენილს იშვიათად, თუ ნახავს ადამიანი. იბრძვის და ლოცულობს საქართველოს გამთლიანობისათვის. ხელს უწვდის ყველა შვილდაკარგულ აფხაზ დედას, რათა ერთად გაიზიარონ საერთო ტკივილი.

ლაშა!

ზაფხულის მოკაშკაშე ცა უცებ მოიქუფა. ხალისი სევდამ შეცვალა, თითქოს ცა ჩამოენგრაო აფხაზეთს თავზე. ტყვია გავარდა. ის ავადსახსენებელი ტყვია, რომელსაც ომი, ძმათა შორის ომი მოჰყვა კვალდაკვალ. წამითაც არ დაფიქრებულხარ ლაშა! და დადექი იქ, სადაც საჭიროდ ჩათვალე შენი თავი. ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭმა იარაღით ხელში მიაშურე ბრძოლის ველს. თავის განწირვა არჩიე ჩრდილში დგომას. ბავშვი, რომელსაც ტირის თოფის გარდა არც ერთი საომარი იარაღი ხელში არ გჭერია, უცებ 23-ე ბრიგადის საჰაერო თავდაცვის მეომარი გახდი. 19 წელი სამხედრო ნაწილში შეგისრულდა, როდესაც ფორმა ჩაიცვი, თითქოს უცებ დავაჟკაცდი შვილო. N 801 შილკის მაეთაური ტასო ნაჭყებია და სხვა წევრები კიკუ და ოთარი ასაკით ყველაზე პატარას ყველანაირად გიფრთხილდებოდნენ. ტასოს სიტყვებმა ჩვენამდეც მოაღწია: “ეს ბავშვი ვერ მოვიშორე გვერდიდან“. გულანთებული, ვაჟკაცური შემართებით, გმირულად იდექი მათ გვერდით. არადა, შენი ნიჭისა და შრომის მოყვარეობის პატრონს, როგორ მომავალს გიქადდით შენი მშობლები და აღმზრდელ მასწავლებლები. შენ, ხომ ყველაფრით გამორჩეული იყავი ყველგან და ყოველთვის. ამ პატარა ცხოვრების მონაკვეთში ძალიან აზრიანი ცხოვრებით იარე. ყველაფერს შენი ცოდნით მიაღწია, არაფერში პროტექცია არ დაგჭირვებია, თუ არ ჩავთვლით ბაგა-ბაღში მოწყობას, სადაც ქ-ნი ნინა გვაზავას შუამდგომლობით მიგიღეს. შენი ნიჭიერებით აღფრთოვანებულმა აწ განსვენებყულმა ქართლოს რევიშვილმა (მიმღები კომისიის თავმჯდომარე) ასეთი სიტყვებით შეგამკო “ღმერთმა საქართველოს უმრავლოს ჩვენი ოქროს მედალოსნები აბიტურიენტისთანაირი ბიჭებიო“. 16 წლისა უკვე სტუდენტი იყავი. შენი პირობის თანახმად 25 წლის ასაკში უკვე ხარისხს დაცული უნდა ყოფილიყავი, საუბედუროდ პირველად მოგიწია სიტყვის გატეხა.

დედისერთა იყავი და არც არავინ დაგზრახავდა, გარიდებოდი ამ გაუგებარ ომს. შეურაცყოფილად იგრძენი თავი, მაშინ როცა შეგახსენე შენი დედისერთობა (ჯარში ხომ დედისერთები არ მიჰყავთ). პასუხი მოკლე იყო: “ერთი ვარ და ერთმა უნდა დავიცვა ჩემი ქვეყანა. სხვის დაცულ სოხუმში მერე მე ვერ დავბრუნდებიო“. ეს რა ვაჟკაცი გამიზრდიხარ ბიჭო! ვამაყოფ შენით!

22 სექტემბერს დავიჭერით მე და მამაშენი ვახტანგ ლაშხია, მე ბოლო თვითმფრინავით გადმომაფრინეს თბილისში, ამ დროს შენი საყვარელი ბებო და-ძმა და რძალთან ერთად დახვრიტეს სეპარტისტებმა. აფხაზეთში დარჩენილი ვახტანგი 4 წელი გეძებდა ნაცნობების დახმარებით, მაგრამ ამაოდ. მას შენს მოლოდინში თბილისში ამოხდა სული. მე უფრო ძლიერი აღმოვჩნდი ვიდრე მამაშენი, ალბათ იმიტომ, რომ სულ შენს მოლოდინში ვარ, მას კი იმედი დაკარგული ჰქონდა. მოძღვარი მირჩევს: გულს უსმინეო, შემი გული კი შენს დაბრუნებას ელოდება.

შენს მიერ განვლილი ცხოვრების წლები სულაც თითზე ჩამოსათვლელია (19) თურმე მოკლე დროშიც შეიძლება დიდი ასოებით დაიმკვიდრო სიტყვები: “პატარა საქართველოს დიდო ვაჟკაცო“. რომელმა ფურცელმა დაიტიოს, სიტყვები, რომელსაც შენ იმსახურებ ლაშა!, “დედისერთავ და დიდო ქართველო ლაშავ- ლაშიკო!“ ეს რამოდენა გული გქონია ბიჭო!

შენ! ღირსეული მაგალითი ხარ ახალი თაობისა.

დღესაც სამაგალითი ხარ ლაშა! შენი ნათესავ-მეგობრები მოწიწებით წარმოთქვამენ შენს სახელს. ისინი უსასრულოდ საუბრობენ შენს ღირსებებზე. დღესაც ერიდებათ შენი. ჩემო ლაშავ! იყავი სულით პატიოსანი, სამშობლოსათის თავდადებული, ჭკვიანი, ზრდილობიანი, ზედმეტად პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, პუნქტუალური, ყურადღებიანი, მოსიყვარულე, საუკეთესო შვილი, მეგობარი, ახლობელი, ნათესავი, თუ ნაცნობი.

იცი ლაშა! მე დღესაც გელოდები. ჩუმად გელოდები ჩემთვის. თითქოს მრცხვენია ამის გამხელის. დაგელოდები აბა რა! მე ხომ ქვეყანაზე მეტი არავინ მყავს ბიჭო! ლაშა მე დღემდე გმირულად ვიტან შენი დაკარგვით გამოწვეულ სევდას, მაგრამ . . .

გარეშეს შემი ცრემლები არვის უნახავს, პირიქით, მუდამ დამთამაშებს სახეზე ღიმი, სევდა მორეული ღიმი. მე შენზე ლოცვაში ვათენ - ვაღამებ ლაშა. გელოდები, უსასრულოდ გელოდები! ცალი თვალი ჭიშკრისკენ მიჭირავს მუდამ. მე იმ ბაღში ვცხოვრობ და გელოდები, რომელშიც გატარებდა ბავშვობისას შენი დეიდა ზაირა. ბაღი, რომელიც შენს ბავშვობას მაგონებს, ჩემთვის ბევრის მთქმელია. იქნებ მოხდეს სასწაული და ერთ მშვენიერ დღეს შემოაღო შენთვის ნაცნობი ბაღის კარები.

არ ვიცი, რომელი დედაა უფრო დამშვიდებული, დედა, რომელმაც იცის შვილის საფლავი, თუ დედა, რომელიც იმედითაა, რომ შვილი დაუბრუნდება. ესეც, ხომ უფლის ნებაა.

ღმერთმა ინებოს დავბრუნდეთ აფხაზეთის მიწა-წყალზე, ჩვენს სოხუმში, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ და იქ ჩარჩენილ აფხაზ ხალხთან ერთად გავიზიაროთ სინანულიც და მწუხარებაც.

ჩემი ოცნება ერთად - ერთია: შენი ცხოვრების თარიღი 1974 1993 -ით არ დასრულდეს! მიყვარხარ, მენატრები, გელოდები.

დედა! მზევინარ (მზია) ჯოჯუა.

კაპრალი

ავედიკ ვახტანგის ძე ლომიძე

ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენი. 2008 წელი.

1959 - 2008

ის იძულებული იყო დაეტოვებინა აფხაზეთი. იბრძოდა პირველი ომის დროს. გმირულად დაიღუპა 2008 წელს. ტყვიამ განგმირა ის რუისში. ომი არ იყო უცხო მისთვის.

დევნილობის პერიოდში, სურვილი ებრძოლა თავისი ქვეყნის დასაცავად უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მან ყველაფერი გააკეთა და შესწირა საკუთარი სიცოცხლეც კი. დღეს ავედიკ ლომიძე არის გმირი.

ავედიკი აფხაზეთის ომის ვეტერანია. ის იბრძოდა აფხაზეთში, შემდგომ იყო უიმედო საშინელი წლები.

“ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მას მიეცა საშუალება კვლავ ემსახურა თავისი ქვეყნისათვის. 2004 წელს მან დაიწყო თავისი სამხედრო კარიერა შინაგან ჯარებში. 2005 წელს მოაწერა ხელი 5 წლიან კონტრაქტს. ის იყო კაპრალი, ვაზიანის მეოთხე ბაზაზე.

იყო ძალიან ყურადღებიანი მამა და მეუღლე. მისი ოცნება და სურვილი იყო აფხაზეთში დაბრუნება და იქ მშვიდობიანი ცხოვრება. ძალიან უყვარდა თავისი შვილიშვილი და სურდა მეტი ყოლოდა.

მის მეუღლეს ძალიან უჭირს იმ დღეების გახსენება: “ავედიკი რეკავდა ყოველდღე, რომ ჩვენ არ გვენერვიულა. თავდაპირველად ის იყო ცხინვალში, ფრონტის ხაზზე. 11 აგვისტოს დილით მან დარეკა და თქვა, რომ იმყოფებიან ქარელში და ხელმძღვანელობენ ფრონტის ხაზს. მე შეიძლება ვერ დავბრუნდე, თავს გაუფრთხილდით. ვცდილობდი დამერეკა მოგვიანებვით, საღამოს 5 საათზე დავუკავშირდი, მითხრა, რომ გამოდიან. მესმოდა ფეხის ნაბიჯების ხმა, ვიღაც ძალიან ჩქარა გარბოდა. ვფიქრობდი, რომ 50 წლის კაცი ვერ ირბენდა ისე სწრაფად როგორც ახალგაზრდა. კავშირი გაწყდა. მეორე დღეს დავურეკე მის ამხანაგებს შტაბში. მათ მიპასუხეს, რომ ჯარი არის შტაბს გარეთ და ჩემი მეუღლე მალე დაბრუნდება სახლში. ის აღარ დაბრუნებულა. . . ჩვენ მას ყველგან ვეძებდით, ჩვენი ყველა მცდელობა ამაო იყო.

17 ოქტომბერს, დნმ-ის ტესტნმა აჩვენა, რომ ჯარისკაცი დაღუპული რუისში იყო ჩემი მეუღლე. მე მართალი ვიყავი, მას არ შეეძლი ჩქარა სირბილი, ის ჩამორჩა და ის მოკლეს. სენაკის ბიჭებმა ის ნახეს და გადაიყვანეს ქარელის ჰოსპიტალში. მათ დაასაფლავეს ის მეორე დღეს. 30 სექტემბერს მათ გადმოასვენეს თბილისში.

შოკირებული ვიყავი, როცა შემატყობინე ს მისი გარდაცვალების შესახებ.

მე მქონდა იმედი, რომ ის სადღაც იყო, და ერთ დღესაც დაბრუნდებოდა უკან. ის დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით, ძალიან ძნელია ჩემთვის მის გარეშე ცხოვრება, მაგრამ მე უნდა გადავლახო ეს კოშმარი. ამ ყველაფრის მერე მე გმირის ცოლი ვარ.

ავედიკ ლომიძე დაიბადა 1959 წლის 6 იანვარს, ქალაქ გაგრაში, აფხაზეთში. მან დაამთავრა 1-ლი საშუალო სკოლა, ლესელიძეში. აფხაზეთის პირველ ომსა და სამაჩაბლოს მეორე ომს შორის, იყო ოცნების წლები. ის ოცნებობდა თავის მშობლიურ მიწაზე დაბრუნებას, მაგრამ ეს ოცნება არ ახდა. მან შეასრულა თავისი მოვალეობა, და დღეს ის არის გმირი, ვისი სახელიც ჩაბეჭდილია ოქროსფერი ასოებით საქართველოს ისტორიაში.

შუქრი ირაკლის ძე მარგიანი

1962-1993

სერგო ვახტანგის ძე მილდიანი

დაიბადა 1972 წლის 23 ივლისს გულრიფშის რაიონის სოფელ აჟარაში.

1989 წელს დაამთავრა სოფელ აჟარის საშუალო სკოლა წარჩინებით და იმავე წელს ჩაირიცხა სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. სწავლასთან ერთად ეწეოდა აქტიურ სპორტულ ცხოვრებას, გატაცებული იყო თავისუფალი ჭიდაობით და ჰქონდა წარმატებები სპორტულ შეჯიბრებებში.

1992 წელს, როდესაც დაიწყო აფხაზეთში ომი მას ჰქონდა დიდი სურვილი მიეღო მონაწილეობა საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში და 1992 წლის 01 ნოემბერს ჩაირიცხა 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-2 ბატალიონის მეორე ასეულში, მესამე ოცეულის სნაიპერად.

მას მიღებული აქვს მონაწილეობა ყველა საბრძოლო ოპერაციებში მდინარე გუმისთის მისადგომებთან. იყო აქტიური მებრძოლი, პირნათლად ასრულებდა ხელმძღვანელობის ყველა დავალებას.

1993 წლის 30 იანვარს მტრის მცირე ჯგუფმა შემოუტია 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-2 ბატალიონის მეორე ასეულს, პარალელურად მტერმა განახორციელა არტილერიული დაბომბვები. ერთ-ერთი დაბომბვის დროს სერგო მილდიანი მძიმედ დაიჭრა თავის არეში, მისმა თანამებრძოლებმა საბრძოლო პოზიციებიდან გადაიყვანეს სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც იმავე დღეს გარდაიცვალა.

დასაფლავებულია გულრიფშის რ/ნ სოფელ აჟარაში.

მირაქიშვილი ზურაბი

დაიბადა 1972 წელს ქ. თბილისში. 1989 წელს დაამთავრა 69-ე საშუალო სკოლა.
1991 წლიდან ზურაბი თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.
1992 წლის ოქტომბრის თვეში ზურაბ მირაქიშვილი მოხალისედ ჩაეწერა თავდაცვის 114-ე ბატალიონ "ავაზაში". იმავე წლის 18 დეკემბრიდან იგი აფხაზეთშია და აქტიურ მონაწილეობას იღებს საბრძოლო ოპერაციებში. დაიღუპა 1993 წლის 2 ივლისს სოფელ ტამიშთან, დესანტის გადმოსხმის დროს.

ზურაბ მელიშიანი



დაიბადა 1977 წლის 12 თებერვალს ქ. გორში.
1983 წელს შევიდა მცხეთის №2 საშუალო სკოლაში.
1991 წელს გადავიდა გორის რაიონის სოფ. კარალეთის I საშუალო სკოლაში და დაამთავრა რვა კლასი.
1992 წელს სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის №81 რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის კატასტროფის დროს დაიღუპა გმირულად.
დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

მიქელაძე მინდია (ბაჩუკი)

მინდია (ბაჩუკი) მიქელაძე
დაიბადა 1974 წლის 16 ივლისს ქ. სოხუმში. 1992 წელს სკოლა დაამთავრა. სოუმის უნივერსიტეტში ცააბარა და ომიც დაიწყო. აქტიურად ჩაება ეროვნულ- მოძრაობაში.
1992 წელი 14 აგვისტო...
სამშობლო გასაჭირში რომ ნახა, უყოყმანოდ ჩადგა 23-ე ბრიგადის მე-8 ბატალიონში რიგით მებრძოლად. წუთით არ ივიწყებდა, რომ სამშობლო უმთავრესია.ის საქართველოს თავისუფლებასა და ბედნიერებაზე ოცნებობდა.
ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა გამბედაობითა და სიმამაცით. იყო ძალიან კეთილი და თავმდაბალი, ვერ იტანდა უსამართლობას. მთელი მისი მოკლე ცხოვრება სიკეთისა და გულისხმიერების სიმბოლო იყო, რასაც დღესაც იხსენებს ბაჩუკის დედა ქალბატონი კლარა. 1993 წლის 18 სექტემბერს გმირულად დაიღუპა
სამშობლოს სიყვარულისთვის...დაკრძალულია მშობლიურ სასაფლაოზე.
ქალბატონი კლარა იხსენებს---..ბაჩუკი (ასე ვეძახდით მინდიას) ღამით, ჩუმად დავასაფლავეთ საგვარეულო სასაფლაოზე, სანთელიც კი ვერ დავუნთე საფლავზე, გორაკიდან აფხაზები გვითვალთვალებდნენ...მას შემდეგ შვილის საფლავიც არ მინახავს.
,,ჩვენ შეიძლება ბრზოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს"-- თამამად შეიძლება ამის თქმა მინდია (ბაჩუკი) მიქილაძეზე.
მკვდარი არ ეთქმის იმას ვინც სამშობლოსათვის მოკვდა.

ვლადიმერ მურადოვი

დაიბადა 1959 წლის 29 აპრილს ქალაქ თბილისში.
1966-1976 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 38-ე საშუალო სკოლაში.
1977-1979 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.
1979-1982 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში.
1983-1987 წლებში სწავლობდა მოსკოვის მილიციის უმაღლეს სკოლაში.
1987 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ოქტომბრის რაიონის მილიციის განყოფილებაში.
1992 წლიდან მუშაობა გააგრძელა საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში, პარლამენტისა და მთავრობის დაცვის საკომენდატო სამსახურის უფროს ოფიცრად.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტიდ დროს, 1992 წლის 22 სექტემბერს, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფაში.
დაჯილდოვებულია ვ. გორგასლის III ხარისხის ორდენით.

მალხაზ მინდიკაური

დაიბადა 1968 წლის 8 აპრილს დუშეთის რაიონის სოფელ შატილში.
1974–1984 წლებში სწავლობდა ბარისახოს საშუალო სკოლაში.
1984 წელს სწავლა გააგრძელა სატყეო–სამეურნეო ტექნიკუმში.
ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო შატილის ტურბაზაში.
შესანიშნავი აღნაგობის გამო ხშირად იღებდნენ ეპიზოდურ როლებში. 1977 წელს რეჟისორმა ნოდარ მანაგაძემ 9 წლის მალხაზი გადაიღო ფილმში ,,ამაღლება" ეპიზოდურ როლში. ხოლო 1992 წელს რეჟისორმა გია მატარაძემ გადაიღო ვაჟა–ფშაველას პოემა ,,მოკვრთილი"–ს მიხედვით ამავე სახელწოდების ფილმში.
1991 წელს დაოჯახდა (მეუღლე – მაია ზულიაშვილი) და საცხოვრებლად გადავიდა ქ. თბილისში. შეეძინა ვაჟი – გიორგი.
1992–93 წლებში მუშაობდა სამხედრო პოლიციაში.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 25 სექტემბერს დაიკარგა უგზო–უკვლოდ ქ. სოხუმში ანძასთან.

ომარ დავითის ძე მეგრელიშვილი

დაიბადა 1947 წლის 24 მარტს ქ.გორში. მსახურობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილში მათშორის საქართველოს შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული სპეცდანიშნულების ბატალიონში. იბრძოდა აფხაზეთში. დაიღუპა 1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრაში. დაკრძალვის ადგილი უცნობია. გარდაცვალების შემდგომ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით

მეტრეველები მამა-შვილი
დავით და ალექსანდრე

უსამართლო ომმა ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ბევრი დააობლა, დააქვრია, შავი ძაძებით შემოსა ოჯახი....

აფხაზეთის ომში და საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ მშობლიურ მხარეს...მამა-შვილი მეტრეველები...

მეტრევალი დავით კარლოს ძე დაიბადა 1950 წელს გუდაუთის რაიონი სოფელ ახალსოფელში.იყო თავისი სოფლის მოწინავე მექანიზატორი და შესანიშნავი პიროვნება. შვილისგან გამწარებულმა მამამ აიღო იარაღი. ის ირიცხებოდა მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონის მე-2 ასეულის ოცეულის მეთაურის მოადგილედ.

მეტრეველი ალექსნდრე დავითის ძე დაიბადა 1974 წლის 12 ივნისს. სწავლობდა გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლაში.

სმშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ალიკას წინ ვინ დაუდგებოდა, იარაღი რომ არ აეღო ხელში. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, "შავნაბადის" დაზვერვის ბატალიონში ჩაირიცხა და შეუპოვრად იბრძოდა., ბედკრულს საქართველოს წმინდა მიწის დასაცავად. როგორც მისი თანამებრძოლეები იგონებენ, ალიკა გამოირჩეოდა მეგობრების სიყვარულით, უსაზღვრო მეოცნებე იყო, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში ქართველები გაიმარჯვებდნენ.

1993 წლის 19 თებერვალს სოფ. კინდღთან ბრძოლისას იმსხვრეპლა მტრის ტყვიამ.

დავითმა თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა თავდადებულმა მებრძოლმა, იგი დაიღუპა საბრძოლო მოქმედების დროს მდინარე გუმისთასთან 1993 წლის 17 სექტემბერს.

დავით მეტრეველი სოხუმში დაკრძალეს ცანბას ქუჩაზე, შვილი ალიკა კი სოფ ოდისში.

გელა მინდიკაური

დაიბადა 1969 წლის 6 მარტს ქ.თბილისში. მუშაობდა თბილისის მე-8 საავადმყოფოში. 1989 წლიდან იყო ავღანელთა კავშირის წევრი, საზოგადოება “თბილისელის” წევრი მისი შექმნისთანავე, საიდანაც იქნა გაწვეული აფხაზეთის ომში. იბრძოდა ოჩამჩირესთან სადაც დაიღუპა 1992 წლის 7 დეკემბერს. გარდაცვალების შემდგომ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ზურა მირაქიშვილი

ზურა ბორისის ძე მირაქიშვილი დაიბადა 1972 წლის 20 ივნისს მოსამსახურისა და პედაგოგის ოჯახში (დედა, იზოლდა გომიაშვილი, ფიზიკოსი, დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას).
1978 წელს სწავლა დაიწყო ქ. თბილისის 113-ე საშუალო სკოლაში, მალევე სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის 69-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1989 წელს.
1991 წელს ჩააბარა თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.
ზურა მირაქიშვილი, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, 1988 წელს აქტიურად და უანგაროდ მუშაობდა ახალქალაქში აჭარელი ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოებში; თავისი მცირეხნიანი სტუდენტობის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ნარიყალას აღდგენით სამუშაოებში;
1992 წლის ოქტომბერში ზურა მირაქიშვილი მოხალისედ ჩაეწერა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 114-ე ბატალიონ „ავაზა“-ს რიგებში და 1992 წლის 8 დეკემბრიდან აქტიურ და ინტენსიურ მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობისთვის მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში.
გმირულად დაიღუპა 21 წლის ასაკში, 1993 წლის 2 ივლისს, აფხაზეთში, სოფელ ტამიშთან მტრის დესანტის გადმოსხმისა და შემოტევის დროს განხორციელებულ ბრძოლაში.
2001 წელს თბილისის 69-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა და პედკოლექტივის ინიციატივით, საქართველოს განათლების სამინისტროს, ქალაქ თბილისის საკრებულოსა და თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილება-ორგანიზებით 69-ე საშუალო სკოლას ოფიციალურად მიენიჭა ზურა მირაქიშვილის სახელი. სამწუხაროდ 2006 წელს, საქართველოს სკოლების სსიპ-ებად ჩამოყალიბების პროცესში, ხელისუფლების გადაწყვეტილებით სხვა სკოლებთან ერთად 69-ე სკოლასაც მოეხსნა სახელი.
თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, გლდანში, ქუჩას რომელზეც მდებარეობს 69-ე სკოლა და ზურას სახლი (კორპუსი) მიენიჭება ზურა მირაქიშვილის სახელი (გადაწყვეტილება მიღებულია)

მერაბიშვილი როინი გაიოზის ძე.

დაბადებული 1966 20 დეკემბერს თბილისში. სტუდენტი. დედისერთა. უცოლშვილო. საქართველოს მხედრიონის ასურეთის რაზმის წევრი. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ბოლოს 1993 27 თებერვალს ოჩამჩირის რაიონის სოფელ მერკულას დაცვის დროს მოწინააღმდეგემ რამდენიმე ქართველი ხელთ იგდო და მათ შორის როინი საშინელი წამებით აწამეს. დათხარეს თვალები. დაუმტვრიეს თავის ქალა და სასაფლაოზე დააკლეს. მას არ შეურაცყვია თავისი სამშობლო და მოწამის გვირგვინი დაიდგა თავზე. გადაცვლილ იქნა აფხაზ ტყვეზე და დაკრძალულია თბილისის ზღვის სამოქალაქო სასაფლაოზე.

მიშველაძე არჩილ რევაზის ძე.

მიშველაძე არჩილი

დაბადებული 1973 26 აგვისტოს თბილისში. სტუდენტი. ცოლშვილიანი. მონაწილეობდა საქარელოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მოხალისე. დაიღუპა სოხუმში უკრაინელი მეომრის გამოყვანის დროს 1993 27 სექტემბერს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს სამმო სასაფლაოზე.

მურადოვი ალბერტ

დაიბადა 1965 წლის 27 აგვისტოს ქალაქ თბილისში.1971-1980 წლიბში სწავლობდა ქ. თბილისის 145-ე საშუალო სკოლაში.1983 წელს მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ჟურნალ-გაზეთებისექსპედიტორად.1984-1986 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში გერმანიაში.1986 წლიდან მუშაობა გააგრძელა სახელმწიფო ჟურნალ-გაზეთების ექსპედიტორად.1990 წლიდან მუშაოდა საწარმოო გაერთიანება ,,ინსტრუმენტმშენში".1992 წლიდან მუშაობა დაიწყო თავდაცვის სამინისტროს რადიო-სალოკაციო სადგურში ტექნიკოსად.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 22 სექტემბერს დაიღუპა ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასროფის დროს.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

მარჩილაშვილი მიხეილი (მიხო)

გურჯაანის რაიონი. სოფელი ვაჩნაძიანი. იბრძოდა აფხაზეთში. შავნაბადას ბატალიონში.
1993 წლის 2 ივლისს დესანტის გადმოსხმის დღეს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

მაცაბერიძე ოქროპირი

დაიბადა 1971 წლის 25 ნოემბერს გუდაუთის რაიონის სოფ. ახალ სოფელში.

1988 წელს დაამთავრა ახალი სოფლის საშუალო სკოლა. პირნათლად მოიხადა სამხედრო სამსახური.

მაცაბერიძე ოქროპირი ყოველთვის სანიმუშო და მისაბაზი პიროვნება იყო. მისი გული ყველას სიყვარულს იტევდა. დედ-მამას საოცარი სითბოთი ეპყრობოდა. დასანანია, რომ დაოჯახება ვერ მოასწრო, თანამემამულეებში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, სიყვარულითა და პატივისცემით.

ო, მაცაბერიძე ჩაირიცხა 23-ე ბრიგადის მე-2 მოტომსროლელი ბატალიონის მე-3 ასეულში 1993 წლის პირველ თებერვალს. მიღებული აქვს მონაწილეობა ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 15-17 მარტს თავდაცვით ოპერაციებში.

1993 წლის 16 მარტს მდ. გუმისტის მისადგომებთან რუსეთის დაქირავებულმა ბოევიკებმა და აფხაზმა სეპრატისტებმა განახორციელეს იერიში მე-2 ბატალიონის პოზიციებზე. ერთ-ერთ შეტაკების დროს ხელჩართულ ბრძოლაში მთელი ტანის

ნატყვიარი ჭრილობებსგან დაიღუპა ოქროპირი მაცაცბერიძე. როგორც მამაცი და თავდადებული მებრძოლი, დაჯილდოვებულ იქნა სიკვდილის შემდეგ მედალით “მხედრული მაკმაცობისათვის“.

დასაფლავებულია სოხუმის რაიონის სოფ. ოდიშში.

დღეს მის მოგონებას სინანული და წუხული ცვლის. წუხილი დაჰყვება მის ახლო ნათესავებს. ის თავგანწირვა, რომელიც აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპულმა ოქროპირი მაცაცბერიძემ ჩაიდინა, შემთხვევით არ ხდება, მას ძირები მამა-პაპის გენებში აქვს გადგმული და, როგორც კი მამულს დასჭირდა, ერთი ლამაზი სიცოცხლე უყოყმანოდ იქნა მიტანილი მის სამსხვერპლოზე.

ვაი, ჩენს მოსწრებას, ბიჭებო, თქვენს საფლავებთან მოსვლის საშუალება მაინც გვქონდეს, უსაშველოდ მონატრებულმა ცივი სამარის მოფერებით რომ ვიჯეროთ გული.

იძინეთ მშვიდათ, მამულისათვის თავდადებულო ვაჟკაცებო.

უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები.

მამადაშვილი მიხეილი (მიშიკო)

დაიბადა 1963 წლის 30 ოქტომბერს თიანეთის რაიონის სოფ. მამ დაანებში. დაამთავრა თიანეთის საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო თელავის სამშენებლო ტექნიკუმში. 1986 წელს მუშაობდა ექსპედიტორად, 1991 წელს კი - თბილისის გაზის აპარატების ქარხანაში გადავიდა.

1992 წლის 27 აგვისტოს ჩუღურეთის რაიონის სამხედრო განყოფილებამ გაიწვია სამსახურში და ჩაირიცხა 101-ე ბატალიონში. 27 აგვისტოდან იმყოფებოდა გაგრაში, 2 ოქტომბერს მოხდა თავდასხმა, მიხეილი დაიჭრა თავში, მიიყვანეს გაგრის საავადმყოფოში, სადაც გაუწიეს სამედიცინო დახმარება. ამის შემდეგ ბრუნდება თბილისში.

მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქვეყანა და ხალხი. ყოველთვის იდგა იქ, სადაც გრძნობდა, რომ მისი თავი მამულს სჭირდებოდა. ბუნებით უშიშარი კიდევ უფრო რწმუნდებოდა შინაგანად, რომ მტრის ტყვია ვერ მოერეოდა. ყველაფრის მიუხედავად ისევ დაბრუნდა სოხუმს, სოხუმში მას 29 წელი შეუსრულდა. 3 ნოენბერს ღამის 3 საათისთვის სოფ. შრომასთან მოხდა შეტაკება, სადაც დამხმარე ძალა გამოიძახეს. და მანქანიდან პირველი გადასულა, რომელსაც მარჯვენა მუხლის არეში მოხდა მტრის ტყვია - მაინს ამდგარა ზეზე, ითხოვდა ტანკის გამანადგურებელ იარაღს, მაგრამ დაცხრილეს.

მიხეილი ჩვენი საზოფადოების სული და გული იყო, კაცობნაში მადლი, მეგობრობაში უღალატო, მას სჯეროდა თავისი თავის და ფიქრობდა , რომ სამშობლოსათვის უფრო მეტი გაეკეთებინა, იგი ცხოვრობდა ამ ქვეყნად მხოლოდ და მხოლოდ პატრიოტული რწმენით. მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ მიუტოვებია განსაცდელში ჩავარდნილი თავისი მებრძოლები. ბევრის სიცოცხლე იხსნა.

ოცნებობდა ეკეთებინა ისეთი სქმე, რომელიც მის ქვეყანასა და ხალხს გამოადგებოდა. ხშირად იტყოდა ხოლმე, თუ სიკვდილი მიწერია, გმირულად მინდა მოვკვდეო.

წავიდა ჩვენგან ქართული ეროვნული, ღირსეული ახალგაზრდა, მისი ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

მარად ნათელი ყოფილიყოს მიხეულ (მიშიკო) მამადაშვილის რაინდული სული. . .

მაჩაიძე გოჩა

ჩემი სამრეკლო საქართველოა,
მეხამრიდებად დავდგეთ, ქართველნო!
უფალო ღმერთო, კალთა გვაფარე,
იესო ქრისტევ, ჩვენო მფარველო!

დაიბადა 1966 წლის 30 ოქტომბერს ქ. თბილისში. სწავლობდა ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლაში.

1987 წელს დაამთავრა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი. სამხედრო მოვალეობა მოიხადა გერმანიაში.

გ. მაჩაიძე 1992 წლის სექტემბრიდან ირიცხებოდა “ავღანელღთა“ ბატალიონში. მონაწილეობას ღებულობდა ყველა იმ საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც შეასრულა დანაყოფმა.

1992 წლის ტამიშის მძიმე ბრძოლების დროს, როდესაც მტრის ჯარებმა საგზაო ინსპექციის პუნქტთან გაარღვია ფრონტის ხაზი და დაეუფლა სტრატეგიულ სიმაღლეს გოჩა მაჩაიძემ მიიღო დავალება მერაბ ნიქაბაძის ათეულთან ერთად შემოვლითი გზით

დაებრუნებინათ აღნიშნული სტრატეგიული სიმაღლე და გამაგრებულიყვნენ ძირითადი ძალების მოსვლამდე. დავალება საკმაოდ ერთული და შესასრულებლად ძნელი აღმოჩნდა, მძიმედ დაიჭრა გოჩა მაჩაიძის ორი თანამებრძოლი, რომელთა გამოყვანაც თვითონ ითავა. ამის შემდეგ პირადად წარუძღვა ათეულს - პირადი მაგალითიდ და აღაფრთოვანა თანამებრძოლები. გ. მაჩაიძისა და მ.ნიქაბაძის ათეულებმა შეძლეს მასირებული ცეცხლის ქვეშ შეენარჩუნებინათ სიმაღლე.

1993 წლის აპრილის თვეში, სოფ. შრომაში ალყაში მოექცა ბატალიონი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლიპარტელიანი. “ავღანელთა“ ბატალიონი კინდღის ბრძოლებიდან იყო დაბრუნებული, როდესაც მიიღო ბრძანება აღნიშნული ბატალიონის გამოხსნის შესახებ. რჩეულ ათეულს, რომელთა შორის იყო გოჩა მაჩაიძე, პირადად აღმოაჩინა ერთ-ერთი მძიმედ დაჭრილი და ტყვიის წვიმაში გამოიყვანა სამშვოდობოს, რითაც თავისი თანამმებრძოლის სიცოცხლე იხსნა.

1993 წლის 25 სექტემბრიდან მტრის გაერთიანებულმა ძალებმა განახორციელეს სოხუმზე ძლიერი შემოტევა, რაც ამავე წლის 27 სექტემბნერს ცნობი;ლი შედეგით დასრულდა.

26 სექტემბრიდან სარდლობის ბრძანებით “ავღანელთა“ ბატალიონი იცავდა მინისტრთა საბჭოს შენობას, სადაც იმყოფებოდა აფხაზეთის მაშიმდელი მთავრობა ჟ. შარტავას ხელმძღვანელობით.

“ავღანელთა“ ბატალიონის 25 მებრძოლი მოჰყვა ალყაში ჟ. შარტავას და მის გარემომცველ პირებთან ერთად, ბრძოლები გაძლიერა, მინისტრთა საბჭოს შენობა აღებულ იქნა აფხაზებისა და დაქირავებული ბანდების მიერ. ამ დღიდან უგზო-უკვლოდ ითვლება დაკარგულად გ. მაჩაიძე.

დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენით.

შეწყვეტილი სიმღერასავით შეწყდა მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლე.

ცხოვრება მიდის, გრძელდება. ყველაფერი თავის კალაპოტში დგება . . . რჩება გატეხილი გულები და აცრემლებული თვალები . . .

საქართველო გადარჩება, აღდგება, გამთლიანდება, აღორძინდება - ასე სჯეროდა გოჩა მაჩაიძეს. ასე სჯეროდა მის მეუღლეს ქ-ნ ნატოს და ორ ქალიშვილს თეონა და მარიამს.

ამ რწმენით უნდა გაიზარდოს მომავალმა თაობამ . . .

მგალობლიშვილი ბიძინა

დაიბადა აბაშის რაიონის სოფ. მარანში.

1946 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. თბილისის მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში აკადემიკოს ავ. ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით.

1951 წლიდან გაგზავნილი იყო ქ. სოხუმში ფსიქიატრიული სამსხურის ჩამოსაყალიბებლად.

1968-1970 წლებში მუშაობდა მოსკოვში ფსიქიატრიის ინსტიტუტში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ბიძინა მგალობლიშვილი არის 40-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით აფხაზეთის მოსახლეობაში. იგი აქტიურად იღწვოდა ქართველთა და აფხაზთა შორის ინსპირირებული კონფლიქტის ჩასახშობად. თავის გამოსვლაში მოუწოდებდა მიმტევებლობისაკენ, კონსტრუქციული დიალოგისაკენ.

აფხაზეთში ომის დაწყების დღიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის სამსახურის მუშაობაში. მას ერთი დღითაც არ დაუტოვებია თავისი სამუშაო ადგილი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა სულით ავადმყოფთა ევაკუაცია. ბატონი ბიძინა თავისი ვაჟკაცური, პატრიოტული და მაღალმოქალაქეობრივი ქმედებით მაგალითს აძლევდა სოხუმის დამცველებს.

სოხუმის დაცემის დღეს, 27 სექტემბერს, იგი ვერაგულად იქნა დახვრეტილი გადამთიელი ბოევიკების მიერ, როგორც წინააღმდეგობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი.

დიდი გულისა და ფაქიზი სულის კაცი იყო ბიძინა, დიდი სიყვარული დარჩა გასაცემი, დიდი სიკეთე - გაუნაწილებელი. ჭარმაგმა მამამ, ერთ-ერთი თავის ლექსში ასე მიმართა შვილებს:

“კვლავ იგიზგიზებს ბუხარი ჩემი,

უძილო თვალთა დანთებულ ცეცხლით,

სიკეთისა და სიცოცხლის წვეთი -

იმედი ახლად მოფრენილ მტრედის“.

ბიზინა მგალობლიშვილმა საქართველოს აღუზარდა შვიდი შვილი. შვიდივე ჩააყენა სამედიცინო სამსახურში.

საქართველოს საზოგადოება გამოხატავს თავის მოწიწებას ამ დიდი ქართველი პატრიოტის ხსოვნის მიმართ.

მჭედლიშვილი ზაური მიხეილის ძე

დაიბადა 1951 წლის 10 თებერვალს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალ კინდღში. საშუალო სკოლა დაამთავრა ამავე სოფელში. სკოლის დამთავრების შემდეგ გააგრძელა სწავლა სოხუმის ქორეოგრაფიულ ტექნიკუმში. დამთავრების შემდეგ მუშაობდა ახალი კინდღის საშუალო სკოლაში.

სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი ეროვნული მოძრაობის დაწყებისთანავე ეროვნულ გვარდიის რიგებში ჩადგა. თანატოლებში ბევრჯერ უთქვამს; “გულით მინდა ყოველთვის სამშობლოს გვერდით ვიდგე, ვიდგე იქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირს ჩემს ქვეყანას, ერსა და ბერს, რადგან სამშობლოში ჩემს დედ-მამას ვხედავო“. . . ვაჟკაცი, დინჯი, სიტყვაძუნწი, ჭკვიანი 42 წლის ზაური ანუგეშებდა თავის ოჯახს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა. - ვინ აგებს პასუხს ბედნიერი, ჯანსაღი, მშრომელი, ინტელეგექტუალური, ერის ბერბიჭს - ლამაზი ქართული ოჯახის გაუბედურებისათვის.

1992 წლის 20 ნოემბრიდან მიწვეულ იქნა ოჩამჩირის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ და ჩარიცხული იყო მექანიზირებული ბრიგადის მე-5 ბატალიონში.

1993 წლის 2 ივლისს ზაური მჭედლიშვილი გმირულად დაიღუპა სოფ. ტამიშის მისადგომებთან.

ადგილობრივი მოსახლეობა დიდ პატივს სცემდაზაურს, რომელიც საზოგადოებრივი საქმეების ნამდვილი სულისჩამდგმელი იყო და ადამიანიებისათვის მხოლოდ სიკეთე სურდა.

გვინდა ვანუგეშოთ ზაურის ოჯახი, შვილები, რომლებმაც თავიანთ თავზე იწვნიეს ტრაგედია და ლტოლვილობის უბედურება. ისინი კერას დაუბრუნდებიან, იქ დამკვიდრდებიან საუკუნოდ, სადაც ზაური იღწვოდა და ოცნებობდა.

“საქართველო თქვენით არის, იქნება, საქართველო თქვენი ხსოვნით იცოცხლებს“

მურუსიძე ბესარიონი (ბესიკი)

დაიბადა 1966 წლის 13 აგვისტოს. ასურეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პროფსასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაასრულა. . . სავალდებულო სამხედრო სამსახური მადლობის წერილით მოიხადა. შემდეგ დაამთავრა თბილისის მეოთხე სამედიცინო სასწავლებელი, ექიმობაზე ოცნებობდა . . . დაოჯახდა სიყვარულით, შეეძინა ორი ქალიშვილი.

ბესიკს ტყუილი არ სჩვეოდა, სიმართლის მოყვარულს, უამრავი მეგობარი ჰყავდა.

სამშობლოს გაუჭირდა და ბესიკი ჯარისკაცად იქცა. პირველსავე დაძახებაზე დადგა იქ, სადაც სჭირდებოდა მამულს. 1992 წლის 11 ოქტომბერს ბესიკი არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად წავიდა. ხმის მიცემის შემდეგ ათ მეგობართან ერთად გაიპარა აფხაზეთში.

უმცროსი სერჟანტი - ბესარიონ მურუსიძე ღებოლობდა მონაწილეობას სამშობლოს დაცვასა და ერთიანობისათვის ბრძოლაში მოხალისეებისგან შემდგარი “ასურეთის ოცეულში“. იბრძოდა ოჩამჩირეში, ბესლახუბაში, არადუში, ცხენის წყალზე, ლაბრაში, ცაგერაში, ტამიშზე.

ომი ომია, მას თავისი მკაცრი კანონები აქვს და არ ემორჩილება არავის გულის თქმას.

1993 წლის 22 სექტემბერს სოხუმში თვითმფრინავის აფეთქებისას დაიღუპა.

დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის 11 ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

აუნაზღაურებელი დანაკლისია ბესიკის წასვლა საქართველოსათვის. ასეთი ადამიანი მარტო ოჯახს არ უკვდება, ის სამშობლოს მოუკვდა და ამიტომ ჩვენ ყველანი მისი ჭირისუფლები ვართ.

ერთად ერთი ნუგეში ის არის, რომ ბესიკ მურუსიძე თავის დიდ წინაპრებს სახელიანი მიუვა.

მდინარაძე ზალიკო



" დე, არ ინერვიულო, ოჩამჩირიდან დაგირეკავ".--ეს იყო ამაყი ქართველი ბიჭის უკანასკნელი წერილი დედისადმი.

თბილისიდან გაიპარა აფხაზეთში საომრად; ოჩამჩირეში ლაჩხუნთელი მებრძოლები მოძებნა და გამოუცხადა თქვენთან უნდა ვიბრძოლოო. მეთაურს მოეწონა ეს სითამამე. მეთაურმა ის მიიღო. გამთენიისას გავიდნენ პოზიციებზე ლანჩხუთის მებრძოლები, ზალიკო დატოვეს, მაგრამ ორიოდე საათში მან გაიგო, რომ ბიჭებთან რაცია იყო წასაღები და თავისთავზე აიღო ეს მისია. უიარაღოდ, უშიშრად გააღწია ცეცხლის წინა ხაზამდე, სწორედ იქ მოუსწრო სნაიპერის ტყვიამ და აუხდენელი ოცნებები დაუტოვა გმირულ ბრძოლებზე.
ზალიკო მდინარაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

მგელაშვილი გიორგი

დუშელი ბიჭი. 1992 წლიდან ირიცხებოდა საპატრულო პოლკის სერჟანტად. მან დაიმსახურა თანამებრძოლებთან დიდი ნდობა და სიყვარული.
ბრძოლაში ჩაება ოჩამჩირის რაიონში. ერთ-ერთი შეტაკების დროს სოფელ კინდღში მძიმედ დაიჭრა. თანამებრძოლეებს მგელაშვილი გიორგი გამოყვანისას ხელში დაეღუპათ.
სამშობლო არ დაივიწყებს მისი ღირსეული შვილის სახელს.

მოსეშვილი მაია

გმირი ქალი მაია...

26 წლის მაია გურამის ასული მოსეშვილი ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარიდან იყო. დაამთავრა ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატი, შემდეგ სწავლა გააგრძელა 88-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში.
როცა საქართველოს გაუჭირდა, ის მოხალისედ შევიდა ბატალიონ "ავაზაში" და იარაღით ხელში წავიდა აფხაზეთში. ის იყო პრინციპული. მტკიცე ნებისყოფის, უშიშარი, ვაჟკაცური შემართებით. 1993 წლის 1 მარტს სოფელ ლაბრასთან ერთ-ერთ შეტაკების დროს მაიას სნაიპერის ტყვია მოხდა, სამწუხაროდ ის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მარტიაშვილი გიორგი

102-ე რიგებში მიიღო მონაწილეობა 20. 08. 1992 წლიდან--22. 10. 1992 წლამდე აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებებში კერძოდ; ქ.სოხუმში და ქ. გაგრაში.
ტელეფონის გაბმულმა ზარმა გამოაღვიძა;-სოხუმიდან ნახევარ საათში გამოვფრინდები, რა დროს შემოვივლი არ ვიცი, ბავშვი ბაღში არ გაუშვა, მის უნახავად ნუ გამიშვებ, კიდევ როდის მექნება ჩამოსვლის საშუალება, არ ვიცი--მოისმინა ხაზის მეორე ბოლოდან მძიმე, მკაცრი ხმა.----გია, შვილო, შენ ხარ ?-- იკითხა, თუ იკივლა და სმენად იქცა, იცნო როგორ არ იცნო შვილის ხმა, მაგრამ მისი ხმის სიმკაცრემ დააბნია წამით, თითქოს ტელეფონმა იგრძნოო ქალის გასაჭირი, ერთ მძლავრად ამოიოხრა და დადუმდა.
სომხეთის მიწისძვრასთან დაკავშირებით დატრიალებული უბრდურების ამბავი რომ გაიგო, მაშინვე საძიებო ჯგუფში ცაეწერა და სპიტაკში მთელი ორი კვირა თავდაუზოგავად მუშაობდა მიწისძვრის დაზარალებულთა მოსაძიებლად და გადასარჩენათ. "სიკვდილს იმდენჯერ ჩავხედე თვალებში, ყოფნა- არყოფნის ზღვარს იმდენჯერ გადავაბიჯე, ასე მგონია სიცოცხლის გაჩენის დღიდან დავაბიჯებ მიწაზეო.დაბრძენებულივით უთხრა დედას სპიტაკიდან დაბრუნებულმა.
ჩერნობილში თავისი ნებით კარასტროფის აღსაკვეთი სამუშაოების ჩასატარებლად ჩავიდა. მერე მოხალისედ შევიდა ქ. სლავუტიჩში, მონაწილეობდა ქალაქის აღმასენებლობაში.
დადგა 1992 წელი...რასაც აფხაზეთის ომი მოჰყვა, სამშობლომ თავის შვილებს ქვეყნის, ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მოუწოდა. წინააღმდეგის გაწევას აზრი არ ჰქონდა...ერთადერთიეს იყო, მწარედ ამოიოხრა დედამ და თითქოს გული თან ამოატანაო და უთხრა...შენს მეტი ხმის გამცემი არავინ მყავს, თავს გაუფრთხილდი, შენ ქართველი ხარ და საქართველოს შვილი, უჩუმრად ჯიბეში ფული ჩაუდო..."'ასე გააცილა დედამ შვილი ქვეყნია დასაცავად.
1992 წლის 22 ოქტომბერს სოხუმის აეროპორტში გია დაჭრილი ნახეს და მას შემდეგ დედას არაფერი სმენია....
ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 26 აგვისტოს N106 დადგენილების თანახმად ისნის რაიონში, ვაზისუბანში, უსახელო სკვერს მიენიჭა გიორგი მარტიაშვილის სახელი.

მოსიძე ფირუზ

დაიბადა 1951 წლის 4 ივნისს ქ. სოხუმში. დაამთავრა მე-16 საშუალო სკოლა. პარალელურად ვარჯიშობდა სოხუმის სპორტსკოლაში თავისუფალ ჭიდაობაში. 1974 წელს ჩაირიცხა და 1980 წელს დაამთავრა კრასნოდარის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. 1970-72 წლებში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური ქ. ვოლგოგრადში, სადაც მონაწილეობდა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში, მიღებული აქვს მრავალი მადლობა და სიგელი, დაჯილდოებულია პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებით, იყო პირველი თანრიგია სპორტსმენი.

როცა საქართველოში მძიმე ჟამმა ჩამოკრა და აფხაზეთში ძმათამკვლელი ომი გაჩაღდა 1992 წლის აგვისტოში, სამშობლოსადმი სიყვარულით გულანთებული 50-ზე მეტი ქართველი ვაჟკაცი წავიდა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტიდან ბრძოლის წინა ხაზზე. მათ შორის ოთხი მეგობარი, რომელთაც ძმობა შეფიცეს ერთმანეთს, ჩაირიცხნენ 23-ე მექანიზებული ბრიგადის გულრიფშის 6-ე სატანკო ბატალიონში და დადგნენ იქ, სადაც უნდა მდგარიყვნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები. კოტე სიჭინავა, როზმან ლოლაძე, ფირუზ მოსიძე — აი, ისინი, ვინც მკერდით იცავდნენ მშობლიური ქალაქის — სოხუმის კარიბჭეს მდ. გუმისთასთან. უთანასწორო ბრძოლაში მათ არაერთხელ მოიგერიეს ძლიერი მტრის შემოტევები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 16-18 მარტი (1993 წ.), როცა მტერმა ფრონტის ხაზი გაარღვია და ღრმად შემოიჭრა, მაგრამ 6-ე სატანკო ბატალიონის ბიჭებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ და დიდი დანაკლისით უკან დაახევინეს კიდეც, რადგანაც ქართველი ბიჭები ბრძოლაში თავს არ ზოგავდნენ.ხოლო ივლისის შემოტევამ კი სამუდამო კვალი დატოვა მებრძოლებში. მძიმედ დაიჭრნენ, მაგრამ ღვთის წყალობით სასწაულებრივად გადარჩნენ კოტე სიჭინავა, როზმან ლოლაძე, ავთო ქარაია; ხოლო ფირუზ მოსიძისათვის საბედისწერო აღმოჩნდა ეს დღე... შეწყდა მისი ლამაზი სიცოცხლე... უზომოდ მამაცმა, უღალატომ და სულით ძლიერმა იმ საბედისწერო წამსაც, თანამებრძოლთა გადმოცემით, თამამად გაუსწორა სიკვდილს თვალები, რადგან მაშინ საკუთარ თავზე კი არა, საქართველოზე, მის მომავალზე ფიქრობდა... ის მუდამ მომღიმარი იყო, თბილი და ალერსიანი, ოჯახზე უზომოდ შეყვარებული, მაგრამ უყოყმანოდ დატოვა ოჯახური სითბო ბედნიერი საქართველოს ოცნებაში და დადგა იქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა სამშობლოს; აბა, უკეთ სხვა ვინ დაიცავდა სოხუმს, თუ არა მკვიდრი შვილი ამ ქალაქისა! — ასე ესმოდა, ასე სჯეროდა მას და ამ გრძნობით წავიდა ზეციურ სამყაროში...

ფირუზის ქვრივი იხსენებს: ,,სასაფლაოზე ჯარისკაცებმა წაასვენეს, ახლობლები არ გაგვიყოლიეს რადგანაც საშინლად იბომბებოდა ის ადგილები, სადაც ხალხმრავლობა იყო. როგორც კი

მიცვალებული ეზოდან გაასვენეს, მომიახლოვდა სფტი-ს დირექტორის მოადგილე სოსო კაკულია და მითხრა: ჩვენ არ გვაქვს უფლება არ მოვუფრთხილდეთ ფირუზის ერთადერთ ქალიშვილს — მადინას, იგი არ დაგვთანხმდება შენ თუ არ გაყვები, სასწრაფოდ თბილისში უნდა გადაგაფრინოთო... როცა გონს მოვედი, მძიმედ დაჭრილ ძმას ვადექი თავზე თბილისში. გული შემეკუმშა — ერთი საათის წინ ფირუზის ვეთხოვებოდი სოხუმში, ჯარისკაცები ჯერ კიდევ მის საფლავზე იქნებიან, გულზე უკანასკნელ მიწას აყრიან ალბათ, მე კი, მე... შვილის გადარჩენისათვის გადავდგი ეს ნაბიჯი... მართლაცდა შვილი კი გადავარჩინე, მაგრამ რა ბედი ეწიათ იქ დარჩენილებს? — ვერაგმა მტერმა საკუთარ სახლში შეუბრალებლად დახოცა ფირუზის და — ლუიზა მოსიძე და დედა — მარიამ აბულაძე. საფლავებიც არა გვაქვს მათი... მიჭირს, ძალიან მიჭირს ქვრივის მძიმე ტვირთის ტარება, მაგრამ ფირუზის ლამაზი ცხოვრებით დათესილი მადლის ნაყოფი მხვდება ყოველ ნაბიჯზე. მის კაცურ კაცობაზე, მის სიკეთეზე ყვება ყველა მისი ნაცნობი და ასეთ დროს მაინც ამაყად დავდივარ ამ ქვეყანაზე—მე ფირუზ მოსიძის ქვრივი მქვია, კაცური კაცის ქვრივი მქვია... სამსალანარევია ეს სიამაყე, მაგრამ საპატიო... მე ვამაყობ იმით, რომ სამშობლოს შეწირული ფირუზის ლამაზი სიცოცხლე ლამპრად ენთება
მის შვილს ცხოვრების გზაზე.“
ფირუზ მოსიძე დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით და მედლით ,,მხედრული მამაცობისათვის“.

მიროტაძე გიორგი

იყო ნათელი და იმ მათელით

მარადიული აინთო სული,

სიკეთე იყო მისი სახელი

და სიყვარული კაცობრიული.

ის სიყვარული ათბობდა კერას

იბერიული სხივით სხივობდა,

ქართველ-აფხაზთა ძმობის, ერთობის

სითბო ყოველზე გადმოდიოდა.

... და იყო კერა არშბასი,

მართალი სულის მატარებელი,

იყო ნათელი სამშობლო ქვეყნის,

მარადიულით გამნათებელი...

დიდი მკურნალი და დასტაქარი

მართალი გულით ერს მსახურობდა,

გული თბილი და გული ალალი

მიჰქონდა ხალხთან და აპკურებდა.

და ის ნათელი, რაც მამას ჰქონდა,

იმავე ნათლით შვილით გადაეცა,

ბრძენი ბაბუის გულის სიმართლე

შვილებს, შვილიშვილთ სანთლად მიეცა...

და მაშინ... როცა ბოროტმა ძალამ

ძმობა, ერთობა ქარს გაატანა,

მუხანათობა იფარა ფარად

და აპარპაშა ბნელი სატანა,

დედით აფხაზი, მამით ქართველი

ბიჭი წავიდა სანიტრად ომში,

გადაარჩინა ბევრი დაჭრილი

ჭურვებისა და ტყვიების ცეცხლში.

გულში იბრძოდა ორგვარი გრძნობა,

ორგვარი ვალი ბიჭს მხრებზე აწვა,

დედულისა და მამულის განცდა

იბრძოდა მასში და სულსა სწვავდა.

დეკემბრის ბოლოს ბრმა ტყვია მოხვდა,

წაიქცა ბიჭი გულგანგმირული,

შავი ამბავი გავარდა მეხად,

ერთად ატირდა მამულ-დედული.

. . .

ახალწლის ღამეს, როცა თბილისი

აინთება და აზეიმდება,

გაიხსენებენ გმირ მიტოტაძეს,

ვარსკლავი მისი ცაზე ინთება...

ნინო (ნუცა) აბულაძე-ციკოლია

მოსიაშვილი დავითი

დაიბადა ქ. საჩხერეში 1966 წლის 19 ნოემბერს.

სკოლაში სწავლების წლებში გ ანსაკუთრებულ ინტერესებს იჩენდა ისტორიისა და ლიტერატურისადმი. უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით კრივი, რაშიც ჰქონდა მიღწევები; იყო ჩემპიონი ახალგაზრდა შორის. სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ბამბეულის ქარხნის მშენებლობაზე. შემდეგ იყო სავალდებულო-სამხედრო სამსახურში. მერე ისევ სპორტსკოლა. იყო კვრივის სექციაში მწვრთნელად. ეუფლებოდა ახმეტის სახალხო უნივერსიტეტში ისტორია-სამართალმცოდნეობის სპეციალობას. პირველი კურსი ფრიადზე დახურა.

როცა საქართველოს დამოუკიდებლობას და ერთიანობას საფრთხე შეექმნა, იგი პირველი შევიდა საჩხერის გვარდიის ბატალიონში და მონაწილეობა მიიღო სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ბრძოლებში.

დაჯილდოვებული იყო სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

1993 წლის მარტში დაიჭრა ოჩამჩირის რაიონში წარმოებულ ბრძოლაში, მაშინ სასწაულად გადარჩა სიკვდილს, მიუხედავად მძიმე ჭრილობებისა არ შედრკა და როცა კვლავ საშიშროება შეექმნა აფხაზეთს, დესანტის გადმოსხმასთან დაკავშირებით, დათო უყოყმანოდ წავიდა სოხუმში მის დასაცავად.

9 ივლისს ტამიშთან შეტაკებისას დაიღუპა.

მეტრეველი კობა

დაიბადა 1970 წლის 15 მაისს ქ. გაგრაში. ბავშვობიდანვე ძალიან ლაღი, ხალისიანი და ზრდილობიანი იყო. პიანინოზე და გიტარაზე დაკვრა თვითონ ისწავლა, დაკავებული იყო სპორტის ფარიკაობის სახეობით. ხშირად დაჰყავდათ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში შეჯიბრებებზე. ბევრი საპრიზე ადგილის მფლობელი გამხდარა.

სვალდებულო-სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო აფხაზეთის შს სამინისტროში.

1992 წლის 2 ოქტომბერს ქ. გაგრის შეტევისას ქ. გაგრის შ.ს. განყოფილების თანამშრომლებმა, მოხალისეებმა და ჯარის ნაწილებთან ერთად დაიკავეს თავდაცვითი ზღუდე სანატორიუმ „საქართველოსა“ და „მე-17 პარტყრილობის“ სანატორიუმის მიდამოებში, რათა უზრუნველეყოთ ქალაქიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია და შეტევის შესუსტება. დღის 11 საათზე საბრძოლო „მე-17 პარტყრილობის“ სანატორიუმის მიდამოებში მოქმედებებისას პოლიციის ზემდეგმა კობა რეზის ძე მეტრეველმა მიიღო სასიკვდილო ცეცხნასროლი ჭრილობა, რის შედეგადაც დაიღუპა.

კობა მეტრეველი საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 27 ივლისის #435 განკარგულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გოერგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

მიქაძე უშანგი

დაიბადა 1962 წლის 4 ოქტომბერს დაბა განთიადში.

სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო-სამხედრო სამსახური.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისდღიდანვე აქტიურად ჩაება სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაცვის საქმეში, იბრძოდა გმირულად, ვაჟკაცურად.

1992 წელს ჩაირიცხა ლესელიძის ბატალიონის შემადგენლობაში. ათმეთაური უ. მიქაძე თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით ჩაირიცხა საარემიო კორპუსის # 321-ე სადაზვერვო ბატალიონის მე-2 ასეულში. მტრის მიერ გაგრის აღების შემდეგ უშანგის მის მეგობრებს წინააღმდეგობა არ შეუწყვეტიათ. მონაწილეობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ სადზვერვო ოპერაციებში სოფ. „შრომის“ დაცვაში.

1993 წლის 18 სექტემბერს გუმისთასთან მიმდინარე ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. თანამებრძოლების გადმოასვენეს ქ. წყალტუბოში.

უშანგი მიქაძე დასაფლავებულია ქ. წყალტუბოში.

მიქავა მამუკა

დაიბადა 1964 წლის 11 მაისს ქ. სოხუმში.

აფხაზეთში კონფლიქტის დროს ირიცხებოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1992 წლის 10 ოქტომბრიდან.

მამუკა მიქავა პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ყველა დავალებას და მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო მოქმებებში. თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. განსაკუთრებული სიმამაცე გამოაჩინა 1993 წლის 15-16 მარტის ბრძოლებში. ეს ის დრო იყო, როცა სოხუმი განსაცდელში იყო და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.

მამუკა მიქავა 1993 წლის 16 მარტს მდ. გუმისთასთან დაიღუპა გმირულად.

მამუკა მიქავა დაკრძალულია ქ. სოხუმში.

მ. მიქავა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

მეშველიანი ელგუჯა

დაიბადა 1952 წლის 8 მარტს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ცაგერაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამსახური დაამთავრა. ქ. სამტრედიის რკინიგზის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოხუმის სალოკომოტივო დეპოში.

1993 წლის იანვრიდან იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში აფხაზეთში 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ტამიშში ჩამოსხმული დესანტთა ჯგუფის გასანადგურებლად. იბრძოდა კოჩარის ბრძოლებში. იგი ბრძოლებში გამოირჩეოდა სიმამაცითა და გამბედაობით. მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა პირნათლად.

1993 წლის 16 სექტემბრის მტრის შემოტევის დროს სოფ. ცაგერაზე მიიღო ჭრილობები ბრაძაყისა და მუცლის არეში. მკურნალობდა ოჩამჩირის საავადმყოფოში, ხოლო შემდეგ გააგრძელა მკუნალობის კურსი თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში. ჭრილობებს დიდხანს მკურნალობდა მაგრამ შედეგების გარეშე, ამაოდ...

მაისურაძე ზურაბი ევგენის ძე

დაიბადა 1951 წლის 1 აპრილს გუდაუთის რაიონის სოფ. ახალსოფელში. მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის სწრაფ რეაგირების სატანკო ბატალიონის ერთ-ერთი ქვედანაყოფის შემადგენლობაში. 1993 წლის 28-29 სექტემბერს ჭუბერში ეხმარებოდა იქ ჩაფრენით სამოქალაქო ავიაციის პილოტებს საჭრილი სამხედრო პირებს. იმ დღის შემდეგ ზურაბ ევგენის ძე მაისურაძე არავის უნახავს. ის უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.

მაისურაძე დავით

დაიბადა 1931 წელს ქ. სოხუმში.საშუალო განათლება მიიღო ოდიშის სკოლაში.მუშაობდა სხვადასხვა სფეროში.
ზემდეგი მაისურაძე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის პირველი მოტომსროლელი ბრიგადის რიგებში ცაირიცხა 1993 წლის 25 ნოემბერს. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს მან თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის თავდადებულმა მებრზოლმა. მიუხედავად წლოვანებისა იგი არ მოშორებია ბატალიონის რიგებს, სადაც ბატალიონი იმყოფებოდა იქ იყო.
როცა სამშობლოს გაუჭირდა, იქ დადგა, სადაც მისი ყოფნა იყო საჭირო. 1993 წლის 28 სექტემბერს 56 წლის დავით ქ. სოხუმის დაცემის შემდეგ, ავტომანქანა მოჰყვა დაბომბვის დროს სოფ . მაჭარკაში და ჭურვის ნამსხვრევი მოხდა, რის შედეგად იგი დაიღუპა. დაკრძალულია სოფელ ოქტომბრის სასაფლაოზე.

მეშველიანი მურმან

როგორც მეგობრები ახასიათებენ იყო უშიშარი, კეთილშობილი, განათლებული ადამიანი.
მეშველიანი მურმან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის იბრძოდა აფხაზეთში.
იბრზოდა 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონის რიგებში 1992 წლის 12 ნოემბრიდან მეტყვიამფრქვევად.
განსაკუთრებით უფრთხილდებოდა ახალგაზრდა თანამებრზოლთა სიცოცხლეს და ისიც იცოდა, რომ მტერს ცხოვრების ქარცეცხლში ნაწრთობი ვაჟკაცები უნდა დადგომოდნენ გადაულახავ ზღუდედ, იტყოდა ხოლმე-- გამოცდილ მტერს ჩემისთანები უნდა შეებან და არა 17-18 წლისანიო.
1993 წლის 5 იანვარს სოფელ ცხენისწყალთან საბრძოლო ოპერაციის დროს, ოცეული, რომელიც დასახმარებლად შედიოდა ბრზოლის ველზე აფეთქდა ნაღმზე, სადაც დაიღუპა 12 მებრძოლი, დაიჭრა 5 მებრძოლი.
დასაფლავებულია სოფელ ცაგერაში.

მაღულარია ჯორჯი

"საქართველოვ , შენთვის დავბადებულვარ!
შენთვის მინდა სიცოცხლეც და სიკვდილიც."

დაიბადა 1961 წლის 22 ნოემბერს ქ. თბილისში. იყო ნიჭიერი, გონიერი, უყვარდა მეგობრები. მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ მიუტოვებია განსაცდელში ჩავარდნილი თავისი მებრძოლეები. ბევრის სიცოცხლეც იხსნა.
მსახურობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში 1993 წლის ივნისის თვეში. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანო ბისათვის ბრძოლებში აფხაზეთის რეგიონში.
ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურად ებრძოდა მტერს. 1993 წლის 1 ივლისამდე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში.
მაღულარია ჯორჯი უგზო-უკვლოდ ითვლება...

მეშველიანი ომარი(ჯოკია)

დაიბადა სვანეთში სოფელ ნაღომარში 1950 წლის 14 აგვისტოს. სკოლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა ქ. თბილისში, სადაც ამთავრებს თსუ იურიდიულ ფაკულტეტს. მუშაობდა ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა ქვეგანყოფილების უფროსად, პოლიციის მაიორი. "ჯოკია"--ეს იყო მისი ზედმეტი სახელი.

ქ თბილისის ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი პოლიციის მაიორი ომარ მიშველიანი 1993 წლის 24 თებერვალს სხვა პოლიციელებთან ერთად გაგზავნილ იქნა აფხაზეთში, კერძოდ ქ. ოჩამჩირეში. 3 მარტს მეშველიანმა სხვა პოლიციის თანამშრომლებთან ერთად მიიღო მონაწილეობა საომარ მოქმედებებში სოფელ ლაბრასთან.

იგი გარდაიცვალა სამსახურეობრივი მოვალეობის დროს საქართველოს მთლიანობისათვის ლაბრის მიდამოებში მიმდინარე ბრძოლებში 1993 წლის მარტის თვეში.

ქალაქის გარნიზონის 140 თანამშრომელი ლაბრას იცავდა, გარდუვალი იყო პოზიციების შენარჩუნება, როცა ჯგუფმა უკან დაიხია, ომარიმ როგორც უფროსსმა, ორი თანამშრომელი ვერ ნახა, მიხვდა ისინი იქ დარჩენილიყვნენ. მაშინვე მოსაზებნად დაბრუნდა, მისთვის საბედისწერო აღმოცნდა ის დაბრუნება.

დაჯილდოებულია საქართველოს შს მინისტრის ბრზანებით-ბაფთიანი სამკერდე ნიშნით და მედლით " მხედრული მამაცობისათვის"--სიკვდილის შემდეგ.

მესხია ბესიკ

დაიბადა 1955 წლის 1 იანვარს, გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში. სამხედრო -სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ 1977-78 წლებში მუშაობდა ქ სოხუმის შს საქალაქო განყოფილებაში მილიციელად. 1978-80 წლებში იყო ქ. სოხუმის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ინსპექტორი. 1980-82 წლებში იყო გალის შს რაიგანყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორი. 1990-91 წლებში ქ სოხუმის შს სმმართველოს სსს განყოფილების ქონებრივ დანაშაულთა წინააღმდეგ მებრზოლი ქვეგანყოფილების ინსპექტორი, სამოქალაქო იურიდიული განათლება მიიღო თსუ სოხუმის ფილიალში.
აფხაზეთში საომარი მოქმედების დღიდანვე უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში.
1997 წლის შემოდგომაზე მძიმე ოპერატიული მდგომარეობა შეიქმნა კოდორის ხეობაში , გართულდა კრიმინოგენური ვითარება. ბესიკ მესხია შსს სხვა თანამშრომელებთან ერთად უმძიმეს პერიოდში იცავდა კოდორის ხეობის მოსახლეობას, კრიმინალური ელემენტებისაგან. სწორედ ადგილობრივ შეიარაღებულ დამნაშავეებთან შეტაკებისას 1997 წლის 17 ნოემბერს სამსხურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გმირულად დაიღუპა თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი და მამულიშვილი, პოლიციის მაიორი ბესიკ ამირანის ძე მესხია.
გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავგანწირვისთვის, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით "მხედრული მამაცობისათვის."
დაკრძალულია ქ. ზუგდიდში, მაცხოვრის კარის სასაფლაოზე.

მაისურაძე მერაბ

დაიბადა 1962 წლის 28 მაისს ქ. ონში. ოჯახი გადმოვიდა ქ. თბილისში. 132-ე სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში. იყო მოცეკავე, მოპოვებული ჰქონდა ლაურეატის წოდება.
აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე მერაბი იბრძოდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, იბრზოდა საკუთარ მიწა-წყლის, საკუთარი შვილის მომავლისთვის.
1992 წლის 8 ოქტომბერს ჩაირიცხა ეროვნული გვარდიის "შავნაბადას" ბატალიონში. 1993 წლის 15 სექტემბერს უკანასკნელად გავიდა სახლიდან, ეზოში პირჯვარი გადაიწერა, შვილს დაუბარა --დედა არ გააბრაზოო. ეს ის პერიოდი იყო, როცა სოხუმის ბედი ბეწვზე ეკიდა. ეცემოდა სოხუმი... 1993 წლის 21 სექტემბერს, 31 წლის ასაკში, სამშობლოსათვის საცემულ ქართველ ვაჟკაცთა რიგებს კიდევ ერთი კაი ყმის სიცოცხლე მიემატა. დაკრძალულია თბილისის ზღვის ძმათა სასაფლაოზე.
გამოჩენილ ვაჟკაცობისა და სამხედრო საქმის საბრზოლო პერიოდში პირნათლად შესრულებისათვის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისათვის.

მაღრაძე გოჩა

დაიბადა 1971 წლის 26 მარტს. 1977 წელს მაღრაძეების ოჯახი გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად. სწავლობდა N124 საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში.
მაღრაძე გოჩა თავდაცვის სამინისტროს სადესანტო მოიერიშეთა ბატალიონ "ქართველშევარდენთა ლეგიონის ჩამოყალიბებისთანავე ჩაირიცხა ამ ბატალიონის რიგებში. 1992 წლის 24 ოქტომბერს ბატალიონის შემადგენლობაში იგი დესანტირებული იქნა ოჩამჩირის ფრონტზე. მონაწილეობას ღებულობდა ყველა ბრძოლაში, სადაც კი ბატალიონ "ქართველ შევარდენთა ლეგიონი " იბრძოდა. (.ქ. ოჩამჩირე, ტამიში, ლაბრა...). იგი გამოირჩეოდა საზრიანობისა და გამჭრიახი გონებით. რის გამოც იგი დანიშნული იქნა ოცეულის მეთაურად. მისი ვაჟკაცური საქციელი სამაგალითო იყო თანამებრძოლთათვის.
1993 წლის 5 მაისს სოფელ ლაბრაში მოწინააღმდეგის შემოტევის დროს ბრძოლაში ჩაბმული გოჩა მაღრაძე ტყვიამ იმსხვრეპლა.
მისი თავდადება სამაგალითოდ დარჩა მეგობრებსა და თანამებრძოლებს.
საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 33 18.12.1995 წელს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის ოცეულის მეთაური გოჩა ჯემალის ძე მაღრაძე დაჯილდოებული მესამე ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით. (სიკვდილის შემდეგ).
22 წლის უცოლშვილო ვაჟკაცი ჩამოასვენეს ქალაქ თბილისში, დასაფლავებულია საბურთალოს საძმო სასაფლაოზე.

ლარისა და თამაზ მირცხულავები



ლარისა დაიბადა 1963 წელს, თამაზი კი 1966 წელს ქ სოხუმში.
აფხაზეთის კონფლიქტის დროს ორივენი ჩაირიცხნენ მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-3 ბატალიონის პირად შემადგენლობაში 1992 წლის ნოემბრიდან.აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში.
ლარისა მედდა გახლდათ, თამაზი კი- რიგითი მებრძოლი.
1993 წლის 21 სექტემბერს სოფელ აჩადარაში ნაღმსატყორცნი ჭურვის აფეთქებისას დაიღუპა ლარისა, ასევე ნაღმსატყორცნი ჭურვის აფეთქების შედეგად დაიღუპა თამაზიც.
და-ძმა არც დაოჯახება და არც ერთად დამარხვა ეღირსათ.
სამშობლოსათვის შეწირული და- ძმის სულები....

ლარისა მირცხულავას სურათი ვერ მოიძია.

ufrosi leitenenti

sergo melia

sergo Tamazis Ze melia daibada 1978 wels q. soxumSi, 1984 wlidan _ 1992 wlamde warCinebiT swavlobda q. gagris, sof. alaxaZis me_3 saSualo skolaSi, 1992 wels afxazeTSi dawyebuli omis dros, misi ojaxi aRmoCnda separatistebis mier kontrolirebad teritoriaze, 1992 wlis 27 seqtembers sergos ojaxi biZam gamoixsna tyveobidan da gaagzavna abaSaSi, mama_papiseul saxlSi.

1993 w. daamTavra abaSis raionis sof. wyemis arasruli saSualo skola, swavla ganagrZo sof. gejeTis saSualo skolaSi, romelic warCinebiT daamTavra 1995 w.

1995 w. Cairicxa saqarTvelos Tavdacvis akademiaSi, romelic daamTavra 1999 wels, samive saxelmwifo Teoriul gamocdaze miiRo umaRlesi Sefaseba. akademiaSi swavlis periodSi ramodenimejer gamoTqva afxazeTSi partiznad wasvlis survili, magram ojaxis Carevis Sedegad survilis axdena ver moaxerxa.

1999 wlidan msaxurobda senakis samxedro nawilSi, im periodSi saqarTveloSi da gansakuTrebiT jarSi arsebuli mZime mdgomareobis gamo iZulebuli gaxda mietovebina samxedro samsaxuri (2003 wels), Zalian ganicdida imas, rom saTanadod ver patronobda mis daqvemdebarebaSi myof jariskacebs. misi sityvebiT, "ver mosTxov jariskacs Seasrulos movaleoba, daicvas saxelmwifo, roca mas fexze acvia Custi da Wams mxolod purs". man dakarga afxazeTSi dabrunebis imedi, ramac sabolood moukla guli. amas emateboda ojaxis ekonomiuri siduxWire, ris gamoc iZulebuli gaxda moskovSi wasuliyo samuSaod (2003 w.).

2005 w. sergo dabrunda saqarTveloSi da samxedro samsaxurSi aRidgina Tavi.

2006 wels warmatebiT daamTavra mezenite_msrolelTa saswavlo kursi, mieniWa mezenite specialistis kvalifikacia. Tavdapirvelad msaxurobda baTumSi, Semdeg gadavida muxrovanSi, bolos ki dainiSna vazianis me_4 qveiTi brigadis 42_e batalionis II qveiTi aseulis meTaurad, romlis daarsebaSic miuZRvis wvlili.

man karg Sedegebs miaRwia. man Tavis das uTxra: ~Cemi biWebi lomebs hgavan~_o.

nana melia; ~roca is gaxda komandos batalionis meTauri Cven mas salaparakodac ver vnaxulobdiT. me mas vuTxari, rom is iyo oficeri da mas SeeZlo saxlSi xSirad mosuliyo, rogorc amas sxvebi Svrebodnen. ~me ra vqna, Tu romelime biWs rame mouva? rogor Cavxedo maT dedebs TvalebSi. me maSin Tavi unda movikla~. ase mpasuxobda is. is ZiZasaviT uvlida biWebs. faqtiurad saxlSi ar modioda, erTxelac vuTxari coli unda moiyvano_Tqo, magram mipasuxa, rogor moviyvano, roca faqtiurad saxlSi ar var, Tu isic samxedro bazaSi waviyvano?

ori TviT adre, sanam misi gmiri pirovneba gardaicvleboda man ukanasknelad gadaixada Tavisi 30 wlis iubile. 2008 wlis 4 agvistos babua gardaicvala da is Cavida abaSaSi. 7 agvistos jarSi gamoiZaxes. is wavida TbilisSi, raTa aeRo forma. biZaSvilma hkiTxa: ~Tu daeswreboda babuas dakrZalvas, sergom mas Tavisi pasporti misca da uTxra: ~me viqnebi aq, Tu cocxali davrCebi~.

7 agvistos, Ramis 12 saaTze me_4 brigada Sevida oseTSi xeTagurovos mxridan, 8_Si diliT isini ukve cxinvalSi iyvnen. sergo omis msvlelobisas gadayvanil iqna StabSi, magram mis aseuls me_4 brigadidan, pirvels mouwia Sesvla cxinvalSi da sergo maT SeuerTda, StabSi ar gaCerda...

is ar pasuxobda Tavisi das da dedas zarebs, magram rogorc ki dros gamonaxavda urekavda maT. ar undoda maT enerviulaT. 7_Si dedas daureka da uTxra, rom is gorSi iyo, ar enerviula, daeZina da mec damasveneo. nu geSinia_uTxra man. 8_Si diliT das elaparaka da uTxra, rom es_esa rom gaiRviZa, hkiTxa televizoriT ras gadmoscemso da maT dawvrilebiT mouyva, radgan fiqrobda sergom kargad ar icoda ra xdeboda, Tumca sergom yvelaferi yvelaze kargad icoda.

8 agvistos, qarTuli samxedro Zalebis ukan daxevisas, meoTxe brigadis 42_e batalionis meore qveiTi aseulis meTauri sergo melia Stabs miamagres, misi aseuli ki oficer natroSvils Caabares. gagrel biWs StabSi ra daayenebda da megobarTan, soxumel murad torCinavasTan erTad gahyolia Tavis "braos" aseuls. brZolis dros aseulis erTi nawili avtogasamarTi sadguris axlos moxvda. mterma cecxli gaxsna da sawvaviT savse avzebi afeTqda. natroSvili cocxlad daiwva. win wasuli sergo mobrunda da daufiqreblad gaeqana daWrilebis gadasarCenad.

"erTi rom amoiyvana, Jileti gaixada, xels miSliso. meorec amoiyvana (orive daWrili gadarCa). amasobaSi manqanac movida maT gadasayvanad. sanam meddebi daWrilebs mixedavdnen, daRlili biWebi miwaze Camosxdnen sulis mosaTqmelad. uceb aviaciis mier masobrivi dabombva daiwyo da maT ukan bombi afeTqda. murad torCinava 7 metrze gaisrola.

fexSi daiWra, magram moZraoba SeeZlo. zviad memaniSvils Cafxuti gaxeTqoda da tvini gadmosdioda (gadarCa, kvlav jarSia), sergos miwa eyara, muradma gadaferTxa, Tvalebi da piri darCenoda odnav Ria. Tvalebi rom dauxuWa, sveli hqonda, etyoba, simwrisa da ausrulebeli ocnebis bolo cremli gadmougorda", _ ixseneben megobrebi. cxinvalSi Sesvlisas rusulenovani trafareti rom wauqceviaT, sergos uTqvams, ase SevalT gagraSico. ar dagaviwydes, sergo, gagramde soxumiao, Seuxsenebia RimiliT murad torCinavas. mas sjera, rom sergos ocneba asruldeba...

8 agvistos cxinvalSi, e. w. "dubovaia roSCaSi" manqana daWrilebiT datvirTes. sergo datoves, radgan sicocxlis niSanwyali ar etyoboda. fexSi daWrilma torCinavam ver gaimeta megobari da tyidan trasamde zurgiT atara. mere manqanac naxes. sergo Zaraze aiyvanes, magram Zrava Caqra.

ukan daxevisas manqanac da sergoc datoves. is Jileti rom ar gaexada, iqneb gadarCeniliyo, amboben jariskacebi da mis mowodebas ixseneben: "nu geSiniaT, meomrebo! Tu davecemiT, icodeT, arasodes movkvdebiT! Cven mudam cocxlebi viqnebiT!" _ uTxra sergom brZolaSi Cabmis win aseuls, romlis TiToeul jariskacsac TvalisCiniviT ufrTxildeboda. axla misi omaxiani mowodeba saflavis qvaze weria.

dResdReobiT me_4 bridagis 42_e batalionis II qveiT aseuls SemorCa mxolod sergos sityvebi, romlisac TviTon sergos swamda da mis jariskacebs unergavda:

„nu geSiniaT meomrebo, Tu davecemiT, icodeT arasodes movkvdebiT!

Cven mudam cocxlebi viqnebiT!”

ufrosi leitenanti: s. melia.

daRupuli biWebis gvamebis gadmosveneba mxolod 26 agvistos moxerxda, magram maTi amocnoba etapobrivad moxda. sergos gardacvalebis ambavi misma ojaxma mxolos 29 dekembers gaigo, dnm analizebis pasuxis Semdeg, manamde imediT iyvnen....

sergo ganisvenebs muxaTgverdis ZmaTa sasaflaoze. sxva 22 gmiris gverdiT!..

masze garkveviT ikiTxeboda misi gvar_saxeli _ sergo melia. Jetoni rusebis videofirSi kargad Cans.

sergos brZolis win vinaobis damadasturebeli firfita ar mouxsnia. Turme yovelTvis ambobda, Tu rame moxdeba, amiT mipoviTo. miuxedavad amisa, misi gvamis moZieba ramdenime Tve gagrZelda?!

sergos Zalian uyvarda kiTxva. gansakuTrebiT kargad icoda saqarTvelos da msoflios istoria, uyvarda klasikuri literatura. dRis sxvadasxva dros SeeZlo waekiTxa gansxvavebuli Janris literatura. sayvareli poeti iyo galaqtioni, zepirad icoda misi uamravi leqsi, gansakuTrebiT ukvarda „mesaflave". usmenda roks, klasikas roca dasasveneblad Tavisufal dros gamonaxavda. Zalian uyvarda cxenebi da zRva, tkbileuli....

sergos ocneba iyo gagraSi dabruneba, akadmiaSi Cabarebisas swored es mizani amoZravebda. misi megobari ixsebens, roca cxinvalis SesasvlelSi waqceul cxinvalis trafaretze Camomjdaran, sergos uTqvums "ase davibrunebT gagrasac"_o, misi ocneba auxdenel ocnebad darCa...

dResdReobiT me-4 bridagis 42_e batalionis II qveiT aseuls SemorCa mxolod sergos sityvebi, sityvebi romlisac TviTon sergos swamda da mis jariskacebs unergavda:

„nu geSiniaT meomrebo, Tu davecemiT, icodeT arasodes movkvdebiT!

Cven mudam cocxlebi viqnebiT!"

ufrosi leitenanti: s. melia.

zaira melia _ sergos dedɔ: "zogma miTxra, jarSi rogor gauSvio. me Svils vaJkacad vzrdidi, rogor Sevkadrebdi, jarSi ar waxvide_meTqi. yovelTvis ganicdida, dedebi rom Svilebs jars aridebdnen. maxsovs, meTerTmete klasSi Tavisufali Tema dawera "me da saqarTvelo". werda, sad arian is dedebi, vinc samSoblos damcvelad zrdidnen Svilebs da gzas ulocavdnen SegonebiT, mters zurgi ar aCvenoTo?!

"samSoblo, dedis ZuZui, ar gaicvlebis sxvazedao", ambobda da rodesac arCevani samSoblosa da dedas Soris daudga, uyoymanod gamcvala saqarTveloze. is xelfasisTvis ki ar iyo jarSi, aramed saqarTvelos gasamTlianeblad. aseTi jariskacis dedam Svilis gayinuli xelfasi rom moviTxove, mipasuxes, Cvens dros ar gayinula eg fuli, maSin ministri vinc iyo, imas mosTxoveTo.

ki magram, saqarTvelo xom yovelTvis erTi saxelmwifo iyo, wina ministris drosac da axlac?"

brZolis win iaraRs rom arigebda, sergos jariskacebisTvis RimiliT uTqvams, dRes me lamaz sikvdils gaCvenebTo.

gmirebi marTlac lamazad kvdebian!

da aseve suraTi, romelzec aRbeWdilia gagris dacemis dRe, romelic masve gaudidebia da saTuTad CarCoSi Causvams. aqac datova misi kvali. suraTis zeda mxares warweraa "Cven davbrundebiT!" xolo qveS misive pasuxi _ „abizatelno" afxazur enaze.

mas ase sjeroda da ase surda. es iyo erTi gagreli biWis survili da ocneba, romelic mxolod mis ocnebad darCa!

saaqaos sergo melias darCa mSoblebi, da, Zma da rZali, megobrebi da axloblebi, romelTac igive survili da ocneba aqvT. misi "biWebi" (ase mimarTavda da ixseniebda misi aseulis wevrebs), romlebic masaviT ibrZodnen imisTvis, risic sjerodaT.

sergos saxeli arasdros waiSleba maTi mexsierebidan!!!

2013 weli. 8 avistos muxaTgverdis ZmaTa sasaflaoze xuTi wlis Tavze sergos sasaflaoze Seikribnen mSoblebi, naTesavebi, axloblebi da megobrebi. movida sergos ZmiSvili, wlinaxevris patara sergo, romelmac Tavis fexiT mivida biZa sergos sasaflaosTan da moefera suraTs.. .

მაისურაძე ჯიმშერ (ჯიმი)

დიდება ცაში აფრენილ გმირების სულებს.
კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა.
დაიბადა 1949 წლის 25 მარტს ლაგოდეხის რაიონის სოფელ გაორგეთში. საშუალო სკოლის დამ ტავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ეგოროვსკის სასწრაფო საავიაციო დოსააფის ცენტრში, შემდეგ ჩაირიცხა კრემენჩუგის სამოქალაქო ავიაციის სასწავლებელში.
1973 წლის 25 მარტს მუშაობა დაიწყო ტიუმინის ოლქის ბერეზოვის ავიაციის ჯგუფში, "მი"-4 ტიპის მარკის ვერტმფრენის მეორე პილოტად, დაქორწინდა და სამშობლოს სამი ვაჟკაცი დაუტოვა.
პოლკოვნიკი ჯიმი დიმიტრის ძე მაისურაძე მსახურობდა გვარდიის მთავარ სამმართველოში ავიაციის ფრთის უფროსის თანამდებობაზე 1992 წლიდან. მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში სამაჩაბლოსქა და აფხაზეთის რეგიონში.
1992 წლის 26 დეკემბერს დაიღუპა ოჩამჩირეში სხეულის მრავლობითი ტრავმული დაზიანებით (აფეთქების შედეგად). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით (სიკვილის შემდეგ) ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისათვის.
ჟიული შარტავას ფონდის გამგეობის გადაწყვეტილებით სპეციალური პრემია მიენიჭა სამხედრო მფრინავს ჯიმშერ მაისურაძეს, სამშობლოს დაცვის საქმეში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის.
ჯილდო და ლაურეატის დიპლომი 1996 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში გადაეცა მის ვაჟკაცებს.
მართლა საამაყო და დიდი პატრიოტული სახელი დაუტოვა ოჯახს და საქართველოს.

ზურაბ სულიკოს ძე ნამორაძე

დაიბადა 1971 წლის 10 თებერვალს. მსახურობდა შავნაბადას ბატალიონში. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

დაიღუპა აფხაზეთში, სოფ. კინდღში 1993 წლის 20 თებერვალს.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით

უფროსი სერჟანტი ზურაბ ნაჭყებია



"ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება"...
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.
ცხინვალში, დაჭრილების გამოყვანისას სასიკვდილოდ დაიჭრა რუსული კასეტური მომბით. ზურაბ ნაჭყებიას ბოლო კონტაქტი ოჯახთან 8 აგვისტოს ჰქონდა, ამის მერე მისი ხმა არავის გაუგონია. მეუღლე ამაოდ ელოდა, რომ დაურეკავდა და ისევ დაამშვიდებდა, “ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო.” ზურაბ ნაჭყებიას იმ დღეებში შვილიშვილი შეეძინა, რამდენჯერმე ნახა, მერე ომიც დაიწყო, ახალგაზრდა ბაბუა გმირულად დაეცა ცხინვალში.
მზევინარ შეყილაშვილი, მეუღლე: “ბოლოს რომ დამირეკა, მითხრა: “ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო.” თავს მიხედე-მეთქი. ბოლოს 8 აგვისტოს დილით ველაპარაკე, მას მერე სულ ვრეკავდი, გადიოდა, მაგრამ არ მპასუხობდა. მეორე დღეს გავიგე, სამხედრო კომისარიატს რომ ვეძებდი, მითხრეს, რომ დაჭრილები გამოჰყავდაო, ამბობდა: “აქ ხომ არ დავტოვებთო” და შესულა. ცხინვალში, ნაძვნართან, დაჭრილების გამოყვანისას დაიღუპა ჩემი მეუღლე. კასეტური ბომბი ჩამოვარდა და იქვე გარდაიცვალა ზურა.

გიორგი ნადირაშვილი და ლევან აბაშიძე მეგობრები იყვნენ წავიდნენ სამშობლოს დასაცავად აფხაზეთში. დაიღუპნენ გმირის სიკვდილით 1992 7 სექტემბერს ეშერის ბრძოლაში. ნათელში იყვნენ მათი უკვდავი სულები.

ნაჭყებია გელა

დაიბადა 1968 წლის 6 მარტს მარტვილის რაიონის სოფელ კურძუში.

1985 წელს დაამთავრა კურძუს საშუალო სკოლა. 1985-86 წლებში სწავლობდა ქ. ფოთის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. 1988 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახური პირნათლად მოიხადა. აქვე მიანიჭეს სერჟანტის წოდება.

ცხოვრებას და მოღვაწეობას განაგრძობდა ლესელიძეში.

სამშობლოს ერთგული, ნაღდი პატრიოტი-- ამ გვარს ხომ თან დასდევს სამშობლოს თავდადება.

1992 წლის აგვისტოდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში ლესელიძის ბატალიონის შემადგენლობაში.

1992 წლის 1 ოქტომბერტს გაგრაზე შემოტევის დროს აფხაზი სეპარატისტების მიერ უთანასწორო ბრძოლაში გაგრის რკინიგზის სადგურის მისადგომებთან ტყვედ იქნა აყვანილი და დახვრეტილი.

შენი რაინდული სული მამულის გადასარჩენად გვიხმობს!.

ნემსიწვერიძე ბიკენტი

დაიბადა 1929 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბაში.

აფხაზეთის კონფლიქტის დროს ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონის, ახალდაბის 11-ე ასეულთან შექმნილ მოხალისე წვევამდელთა ჯგუფის მებრძოლად. აფხაზეთში ომის დაწყებიდან აქტიურად მონაწილეობდა სოფ. ახალდაბასა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაცვაში. ას მეთაურის ყველა დავალებას პირნათლად ასრულებდა.

ადგილობრივი მოსახლეობა დიდ პატივს სცემდა ბიკენტის, რომელიც საზოგადოებრივი საქმეების ნამდვილი სულისჩამდგმელი იყო და ადამიანისათვის მხოლოდ სიკეთე სურდა. ვერ ეგუებოდა ძალადობას და უხამსობას. უაღრესად სიმართლის მოყვარე იყო. ახალგაზრდებთან ერთად თავს არ ჩაგრავდა. თავის ახალგაზრდა მეომრებს მაგივრობას უწევდა, თუ სადმე წასასვლელი იყო საშიშ ადგილებში, თვითონ მიდიოდა პირველი.

ნემსიწვერიძე ბიკენტი დაიღუპა 1993 წლის 19 სექტემბერს, სოფ, ახალდაბის დაცემის დღეს. საბედისწეროდ ჩასაფრებულმა მტრის ტყვიამ თითქოს საგანგებოდ ამოიღო მიზანში გამორჩეული მეომარი, ბოლომდე არ დააცალა მიწა-წყლის დაცვა. არ გასულა დიდი დრო, დაეცა სოხუმი, სოფელი მტრის ხელში აღმოჩნდა. იქ დარჩა ნემსიწვერიძე ბიკენტის საფლავიც. მისი დაკრძალვისასაც კი ბომბავდა მტერი, თითქოს მკვდრისაც ეშინოდა. . .

დაკრძალულია სოფ. ახალდაბაში.

თქვენ, ღირსეულო მამულიშვილნო, გმირის სიკვდილით დაეცით და ციურ, მარადიულ სამყოფელს მიაშურეთ. . .

ნემსიწვერიძე ენვერი

ადამიანი გონიერი არსებაა, იგი კეთილშობილია, უთავოდ იპივის ხსნის გზას და ჩვენი ქვეყანა, ქართველი ერი არ დაიღუპება. . .

დაიბადა 1954 წლის 17 მაისს. დაამთავრა ცაგერას საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ პირნათლად მოიხადა სამხედრო სამსახური ყაზახეთის რესპუბლიკაში.

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში აფხაზეთში იბრძოდა 24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონში მსროლელად. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლებში მოქვის, მერკულას მისადგომებთან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის არაერთხელ დაუმსახურებია მეთაურთა მადლობა. საუმრად უშიშარსა და გაუტეხელს ყველაფერში პირველობა სურდა. განსაკუთრებით სახიფათო საქმეში არ გაუშვებდა წინ არავის. სძულდა ორპირობა და სიცრუე. ვერ ეგუებოდა სპეციალური დანიშნულების ფორმის ტანსაცმელს, განსაკუთრებით კი სამხედრო ფორმას, მაგრამ სამშობლოს სიყვარულისათვის ყოველგვარი პირადული გასწირა და უყოყმანოდ ჩაეწერა მოხალისეთა რიგებში, მხედრულ ფორმასაც შეეგუა. უშიშრად შეეგება სამშობლოსათვის სიკვდილს.

1993 წლის 27 სექტემბერს, როდესაც მტერი გააფრთებით უტევდა ქართველთა პოზიციებს, აღებული ჰქონდა ქ. სოხუმი, იერიშით გადმოდიოდა ოჩამჩირის მიმართულებით, მდინარე მოქვზე მტერთან შეტაკების დროს დაიღუპა.

დასაფლავების ადგილი უცნობია.

ასე დასრულდა მისი ცხოვრება ერთგული თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე. ვერ მოესწრო თავისუფალ საქაღთველოში ცხოვრებას. წავიდა და თან წაიღო სამშობლოსა და ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული, რომელთა მომავალს შესწირა თავისი ლამაზი სული და სხეული.

ნემსიწვერიძე სოკრატი უჩას ძე

სამშობლოსათვის დაღუპული გმირები არ კვდებიან!

რაც მთავარია, საქართველო ერთი გოჯი მიწის დათმობას არ აპირებს!

გვწამს ჭეშმარიტად, რომ საქართველო გაიმარჯვებს!

დაიბადა 1946 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბაში. დაამთავრა ახალდაბის საშუალო სკოლა. შემდეგ ირიცხება ტექნიკურ სასწავლებელში. სამხედრო სამსახური გაიარა ყაზახეთის რესპუბლიკაში. იყო ცოლშვილიანი.

ნემსიწვერიძე სოკრატი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში აფხაზეთში იბრძოდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში (ბრძ. N29.10.01.1993წ. რიგითი N57). აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც აწარმოებდა ბატალიონი. კერძოდ, ბრძოლები ათარა არმიანსკაიასა და ათარა აფხაზსკაიას მიმართულებით. ბრძოლებში გამოირჩეოდა გამბედაობითა და სიმამაცით, მეთაურთა ბრძანებებსა და მითითებებს ასრულებდა პირნათლად. მებრძოლთა შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

ომის დროს ის იცავდა სოფელს ვაჟკაცურად. ახალდაბიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციას ახდენდა. ახალდაბა - სამუდამოდ ჩარჩება ყოველი ქართველის მეხსიერებაში ამ სოფლის სახელი. სოგრატ ნემსიწვერიძეს ქვეყნიური სიცოცხლეც ახალდაბაში დასრულდა.

1993 წლის 9 მარტს საბრძოლო ოპერაციის დროს სოფ. ათარა აფხაზსკაიასთან გმირულად დაიღუპა.

დასაფლავებულია სოფელ ახალდაბაში.

უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა საქართველოსთვის და მისი მთლიანობისათვის.

ნათელში გამყოფოთ ღმერთმა, ჩვენი საამაყო ვაჟკაცებო! თქვენს სამარადჟამო საფლავში უთავოდ მიაღწევს ამბავი ჩვენი გამარჯვებისა, რასაც თქვენ უყოყმანოდ შესწირეთ სიცოცხლე.

მის სახელს მუდამ მადლიერებით მოიხსენიებს ჩვენი ხალხი.

ნაჭყებია აქვსენტი (ტასო)

გვჯეროდეს, ჩვენ დავბრუნდებით!
ჩვენ ვამაყობთ შენით ტასო!
ვამაყობთ, რომ ტასო ნაჭყებიას დები გვქვია...

ჩვენო საფიცარო, სამ დათა შორის საფიცარო ძმაო ტასო!
31 წლის ინჟინერმა, უცოლშვილომ, მშობლიურ სოხუმზე შეყვარებულმა ძიძარიასა და გელოვანის ქუჩების მისადგომებთან გმირულად დაეცი...
ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს (იქნებ ამის გამხელა დანაშაულად ჩაგთვლოდა) ტანკი არ ჩააბარე. შენ ის დაშალე და შენს ეზოში ჩამარხე, რადგან გული გიგრძნობდა ხელახლა ომის გაჩაღებას.
მართლაც ასე მოხდა...1993 წლის 16 სექტემბერი...
მეომრებს დაგიდგათ ავად სახსენებელი დღე...შენ, შენს უბედურ დედას, შენს დებს და შენს აფხაზეთს...
შემართებით იგერიებდი მტრის ტყვიას. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდი, რათა შენი სოხუმი ისევ ისეთივე მხიარული და ბედნიერი გენახა.
ვაი....რომ, არ ეღირსა შენს ოცნებას ფრთების შესხმა. შენს თანამებრძოლებთან ერთად ალყაში მოხდი და გმირულად შეეწირე შენს ქალაქს. აქ ვერც დედის ლოცვამ გიშველა...
იცი ტასო. შენზე მარტო საქართველოში კი არ ტირიან, აფხაზეთშიც კი გახსენებენ, ენატრები შენ აფხაზ ბიძაშვილს... შენი სახელი დღემდე ინტერესს იწვევს საზოგადოებაში. თითქოს 31 წელი არაა ბევრი, მაგრამ შენ შენი თვისებებით ის აავსე.

დრომ ვერაფერი წაშალა, არ ყოფილა სიმართლე---"გავა დრო და ყველაფერი დავიწყებას მიეცემაო". პირიქით, დრომ უფრო მოგვანატრა შენი თავი, დრომ უფრო გაგვაცნო შენი თავი. დიდი მწუხარება--დიდ მონატრებაში გადაიყვანა. შენ, შენს საკუთარ ეზოში ჰპოვე სამუდამო სასუფეველი. უცნაურია ეს ცხოვრება...ვინ იფიქრებდა, რომ ის ადგილი, სადაც აიდგი ფეხი...შენი სამუდამო სასუფეველიც იქნებოდა.
შენ ისევ და ისევ დედაქალაქში დადიხარ...ანუ მოხვედი ქუჩის დასახელებით.
საბურთალოს რაიონში, ზემო ვეძისის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩას ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილებით N 93 2014 წლის 24 აპრილს აქვსენტი ნაჭყებიას სახელი მიენიჭა.

შენი და მარინა ნაჭყებია

"ნანა სკუა"--დედა-შვილო!

აქვსენტი (ტასო) ნაჭყებიას ხსოვნას...

"ნანა სკუა"! ვეფხვი გზრდიდა,
ვეფხვის ძუძუ გიწოვია...
ვაჟკაცურად შენი ტანკით
საარაკოდ გიომია.

ზღვა ქშინავდა, ბობოქრობდა,
მტერი სოხუმს რომ იპყრობდა...
ტანკი მტრისკენ გააფრინა,
ვეფხვი ტასო, რას იქმნოდა...?!

1. ამოჟლიტა...
   შეეწირა,
   აატირა ბევრის დედა!...
   ვალმოხდილი ვაჟკაცი კი
   პირველი წარსდგა ღმერთთან.

ნადარეიშვილი გიორგი

დაიბადა ქ სოხუმში 1972 წლის 5 ივლისს. 1989 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის მეშვიდე საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა აფხაზეთის ხალხური ცეკვისა და სიმღერის კულტურულ სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა, პარალელურად ცეკვავდა აფხაზეთის სახელმწიფო ანსაბლში.
იყო ერთი სოხუმელი---სიმართლე და პატიოსნება მისი ხანმოკლე, მაგრამ კაცური ცხოვრების მეგზური იყო. 21 წლის გიორგი იმდენად ჭკვიანი და სათუთი იყო, უფროსებიც კი ეკითხებოდნენ ომის შესახებ.
როცა აფხაზეთში ომმა იფეთქა, 21 წლის ჭაბუკმა ვერც მუდარამ და ვერც მუქარამ ვერ შეაჩერა. ის დადგა იქ, სადაც ქართველი ვაჟკაცები პოულობენ ადგილს--სამშობლოს დასაცავად.
1993 წლის 15 მისიდან ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის სამედიცინო ასეული "კობრა"-ს საევაკუაციო განყოფილების სანიტრად. დანიშვნის პირველი დღიდანვე მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილების გამოყვანასა და მათი შემდგომ სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანაში.
ამას ყველაფერს აკეთებდა შიშის გარეშე, ტყვია-წამალი, ყუმბარები, ზეციდან თუ ხმელეთიდან მიმდინარეობდა სროლები.
1993 წლის 27 სექტემბერს მას ერთი წუთითაც არ მიუტოვებია დაჭრილების გამოყვანა, მიუხედავად იმისა მშვენივრად იცოდა, რომ ქ სოხუმი დაეცა... აფხაზ-სეპარატისთა მიერ მოქცეულ იქნა ალყაში, სადაც ის დახვრიტეს. მან დაოჯახებაც ვერ მოასწრო.

ნორაკიძე ამირან ამირანის ძე

დაიბადა 1960 წლის 29 ივლისს ქ. სოხუმში.
დაამთავრა ქ. სოხუმის მე-5 საშუალო სკოლა. მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური და მედლით მკერდ დამშვენებული დაბრუნდა მშობლიურ ქლაქში. სამსახური დაიწყო აფხაზეთში შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში. გაგზავნილი იყო სასწავლებლად ქ. თბილისში მილიციის უმაღლეს სკოლაში. ამირანს შესთავაზეს აქვე აკადემიაში პედაგოგად ემუშავა. ამ შესთავაზებაზე მან უარი განაცხადა, რადგან სოხუმელ ბიჭს დაბრუნება ჰქონდა გადაწყვეტილი თავის მშობლიურ კუთხეში.
სამშობლოს რომ გაუჭირდა, თავი არ დაუზოგავს. სმაჩაბლოში დაიჭრა კიდეც, მაგრამ სულიერად გაუტეხელი ახალგაზრდა იყო, თავის პროფესიაზე შეყვარებული.
როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, ამირანი იქაურ შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატში სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების გამომძიებლად მსახურობდა, უკვე ოფიცრის ჩინით. პოლკოვნიკი რაფავას მეთაურობით ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში "უჩხოზის" წინა ხაზზე და 32 წლის ვაჟკაცმა გმირულად შესწირა თავი საკუთარ მიწა-წყალს... მას ხომ აფხაზებიც უყვარდა. მისთვის 1993 წლის 27 სექტემბერი საბედისწერო აღმოჩნდა. ის წავიდა თავისი მშობლიური კუთხიდან ქართველებისა და აფხაზების სიყვარულით.

ნოზაძე გიორგი (გია) ავთანდილის ძე

დაიბადა 1971 წლის 12 მაისს ქ. ხაშურში.

1977 წელს სასწავლებლად შევიდა ქ. თბილისის 124-ე საშუალო სკოლაში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ 1986 წელს სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის # 71 -ე საშუალო პროფესიულ სასწავლებელშიმ სადაც დაეუფლა „მხატვრული ავეჯის“ დურგლის სპეციალობას. 1990 წელს მუშაობა დაიწყო თსსგ „განთიადში“.

1991 წლის 14 ივლისს გაიწვიეს ეროვნული გვარდიის რიგებში სამგორის რაიონის კომისარიატში, საიდანაც გაანაწილეს ქ.ქუთაისის გარნიზონის მე-8 ბატალიონის მე-9 ასეულის პირველ ოცეულში.

იბრძოდა სამაჩაბლოს კონფლიქტში სოფ. ნიქოზში.

აფხაზეთის კონფლიქტის პირველივე დღიდანვე მონაწილეობდა სოხუმში, ოჩამჩირის რაიონის სოფლებში (ბესლახუბა, მერკულა, ლაბრა) გამართულ ბრძოლებში.

1993 წლის 13 თებერვლიდან მსახურობდა დასავლეთ საქართველოს სამხედრო პოლიციის სამმართველოში, ზემდეგის წოდებით, სამმართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმის სამხედრო პოლიციელად.

გიორგი ვაჟკაცურად დახვდა 1993 წლის 2 ივლისს დესანტის გადმოსხმას სოფ. ტამიშში. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა კბილებამდე შეიარაღებული ბოევიკების წინააღმდეგ, ექვსი დღის განმრავლობაშიდღედაღამე, ერთი წუთითაც არ მოუსვენებია. გმირულად დაეცა ფრონტის წინა ხაზზე სოფ. შრომასთან. იქვე გაუთხარეს საძმო სასაფლაო, მაგრამ 14 აგვისტოს მოხერხდა მისი გადმოსვენება და დაკრძალულია ძმათა სასაფლაოზე.

გიორგი ნოზაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

გიას მამას- ავთანდილმა ვერ გადაიტანა უბედურება და 1995 წელს გარდაიცვალა.

ნარიმანიძე გოჩა ნიკოლოზის ძე

დაიბადა 1964 წლის 19 ოქტომბერს ქ. თბილისში.

დაამთავრა 164-ე საშუალო სკოლა 1981 წელს. იყო ჭკვიანი. სკოლის მერხიდან დაიწყო ცეკვა რაშიც მიაღწია წარმატებებს. ცეკვავდა ფრიდონ სულაბერაძის ანსამბლში, მან დაიმსახურა სიგელები, დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

1982 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში ქ. ოდესაში. მან გამოიჩინა თავდადება და ისახელა თავი. მშობლებმა მიიღეს მადლობები შვილის აღზრდისათვის.

სამხედროდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო კიროვის სახელობის ქარხანაში.

1990 წლიდან დაიწყო მუშაობა უშუშროების სამსახურში დაცვის თანამშრომლად.

გოჩა ნარიმანიძე „ავღანელთა“ ბატალიონის შემადგენლობაში ჩაირიცხა 1992 წლის სექტემბერში და მონაწილეობა მიიღო ყველა საბრძოლო მოქმედებებში, იბრძოდა სოფ. ლაბრაში, სოფ. ცაგერაში, სოფ. კინდღში, გორლოვლაში, ტამიშშსა და სოხუმის დაცვისას.

გოჩა ნარიმანიძე 1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმის მინისტრთა საბჭოს დაცვისას წარმოებულ ბრძოლისათვის უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

გოჩა ნარიმანიძე სიკვდილის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 ნოემბრის # 877 განკარგულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ორდენით - 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში საბრძოლო ოპერაციების დროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას გამოჩენილი მამაცობის, მხედრული ვალის მოხდისა და თავდადებისათვის.

ნადარეიშვილი ზაზა

დაიბადა 1967 წლის 11 თებერვალს ქ. სოხუმში. ცხოვრობდა ბარათაშვილის ქუჩის N 6-ში. დაამთავრა ქ. სოხუმის პირველი საშუალო სკოლა. პირნათლად მოიხადა სამხედრო სამსახური.

"როგორია ზაზა ნადარეიშვილი ?"---დედის ნაამბობი, ქალბატონი თინა ბერაია-ნადარეიშვილის...
აფხაზეთის კონფლიქტის დროს დაწყებისას ჩემი ზაზა უკვე ჯარგამოვლილი, ჩამოყალიბებული ვაჟკაცი იყო, დაუსწრებლად სწავლობდა მექანიზაციის ფაკულტეტზე და ქალაქის მერიასთან ბატონ გურამ გაბესკირიასთან მუშაობდა.
იმ დაწყევლილ დღეს , 27 სექტემბერს ჟიული შარტავას დაცვასთან ერთად უშიშრად იბრძოდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს წინააღმდეგ მოძალებული შეტევის მოსაგერიებლად.
ბუნებრივია, სოხუმელი ბიჭი სოხუმს იცავდა. ნეტავი გენახათ, როგორი თავდადებით, უშიშრად, მთელი შეგნებული პასუხისმგებლობით იბრძოდა მშობლიური კუთხე -კუნჭულის შესანარჩუნებლად.
სოხუმის მინისტრთა საბჭოს კადრებს შეშფოთებით ვადევნებდი თვალს.
ჩემი ბიჭი, ჩემი ზაზა--ქვეყნის თავდადებული დამცველი.
ქალაქს ტოვებდა დიდი და პატარა, მე მირჩია სვანეთის გზით გამოვსულიყავი, გამორბოდნენ სამხედრო უწყებათა მეთაურებიც კი...
ჩემი ვაჟკაცი კი დაბეჯითებით მიმეორებდა; აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, სირცხვილი არაა 26 წლის კაცმა მშობლიური ქალაქი ხელაღებით მივატოვო? არც მიატოვა. ჩემი შვილი გმირია. გმირი, როგორც ჟიული შარტავა.

დედა---თინა ბერაია- ნადარეიშვილი

"ნანა სკუა"--დედა-შვილო!
აქვსენტი (ტასო) ნაჭყებიას ხსოვნას...

"ნანა სკუა"! ვეფხვი გზრდიდა,
ვეფხვის ძუძუ გიწოვია...
ვაჟკაცურად შენი ტანკით
საარაკოდ გიომია.

ზღვა ქშინავდა, ბობოქრობდა,
მტერი სოხუმს რომ იპყრობდა...
ტანკი მტრისკენ გააფრინა,
ვეფხვი ტასო, რას იქმნოდა...?!

ამოჟლიტა...
შეეწირა,
აატირა ბევრის დედა!...
ვალმოხდილი ვაჟკაცი კი
პირველი წარსდგა ღმერთთან.

ნატმელაძე ელგუჯა ჯანგულის ძე

დაიბადა 1961 წლის 1 მარტს, ქ. სოხუმში.

ჩარიცხული იყო აფხაზეთის სამხედრო პოლიციის შემადგენლობაში 1992 წლის 25 აგვისტოდან.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა საბრძოლო მოქმედებებში.

ნატმელაზე ე.ჯ. ბრიგადის მეთაურის ბრძანებით გაიგზავნა ოჩამჩირეში საბრძოლო დავალების შესასრულებლად ვერტმფრენით.

ვერტმფრენის აფეთქებვის შედეგად 1992 წლის 11 ოქტომბერს თავის მეგობარ გახოკიძე მურთაზისთან ერთად დაიღუპნენ. 10 დღის შემდეგ თანამებრძოლებმა ვახტანგ ლომიძემ და დიმა ცაგურიამ იპოვეს მისი ნეშტი და დასაფლავებულია სოფ. ვარჩეში.

ოქრუაშვილი პაატა

დაიბადა ქ.თბილისში 1963 წლის 30 ივნისს.1969 -1977 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლაში1978-1981 წლებში სწავლობდა პროფსასწავლებელში (სპეციალობა- ზეინკალ-სანტექნიკოსი). 1979–1981 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში გერმანიაში.1982 წლიდან მუშაობდა ქ.თბილისის ისნის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის თბოსადგურში ტექნიკოსად.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1994 წლის 7 ივლისს დაიკარგა უგზო–უკვლოდ კოდორის ხეობაში.

ობოლაძე ბესიკ

დაიბადა 1971 წლის 28 აპრილს ქ. ხაშურში.1977-1986 წლებში სწავლობდა ასალციხის რ-ნის, სოფ. აწყურის სკოლაში. 1986 წელს სწავლა გააგრძელა ახალციხის შ. რუსთაველის სახელობის 1-ლ სასუალო სკოლაში. 1987 წელს სწავლა დაიწყო ახალციხის 101-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში.1989-1991 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.1993 წელს 22 იანვარს ჩაირიცხა ახალციხის სწრაფი რეაგირების კორპუსში რიგითად.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 2 ივლისს ოჩამჩირის რ-ნის სოფელ ტამიშთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ოძელაშვილი ოთარ

დაიბადა 1958 წლის 2 მარტს დაბა წყნეთში.1965-1975 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 147-ე საშუალო სკოლაში.სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ქ. ლენინგრადის სამხედრო სასწავლებელი.1976-1981 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში გერმანიაში.1979 წელს დაოჯახდა და შეეძინა ქალიშვილი-ხატია ოძელაშვილი.1982 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის სამშენებლო ტრესტში უბნის უფროსად.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 5 ოქტომბერს ქ. გაგრასთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ოჩიგავა თამაზ გიორგის ძე

დაიბადა 1971 წლის 27 დეკემბერს ქ. ტყვარჩელში.

ოჩიგავა თამაზი შვილიშვილია--- საბჭოთა კავშირის გმირი (8 მაისი, 1946), საბჭოთა არმიის ქართველი სერჟანტი, რომელმაც ოფიციალური ცნობებით გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე 1945 წლის 30 აპრილს, 21.50 საათზე

აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს 1992-1993 წ.წ. მოხალისე ოჩიგავა თამაზ იყო ჩარიცხული მე-2 საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 241 ბატალიონში, რიგით მებრძოლად 1993 წლის 11 იანვრიდან(ბრზ. N 44 08.03.93წ).

რიგითი თამაზ ოჩიგავა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო ოპერაციებში სოფ. ბესლახუბაში ქ. ტყვარჩელის მიმართულებით.

ერთ-ერთ საბრძოლო ოპერციის შესრულებია დროს 1993 წლის 21 თებერვალს ბრძოლის ველზე დაღუპა.

მელიტონ ქანთარია

ომანაძე იური ომარის ძე

დაიბადა 1957 წლის 16 მარტს, სოხუმის რაიონის სოფ. ზემო კელასური. უცოლშვილო.
იური ომანაძე ომის დაწყების პირველი დღიდან ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში 1992 წ. სექტემბრიდან. ის იყო 23-ე ბრიგადის პირველი მოტომსროლელი ბატალიონის მეთაურის 1 მოადგილე.
იური ომანაძე იყო ნამდვილი ლიდერი და მეომარი, რომელიც აძლევდა მაგალითს ყველა მებრზოლს. 1993 წ. 5 იანვრის შემოტევის დროს პირადად ხელმძღვანელობდა პირველ ასეულს. მისი უნარიანი მოქმედების შედეგად მოწინააღმდეგემ განიცადა დიდი დანაკლისი და ხოლო პირველ ასეულს მსხვერპლი არ განუცდია.
1993 წლის 16 მარტს, როდესაც მოწინააღმდეგემ წამოიწყო ფართო მასშტაბიანი შეტევა ი. ომანაძე რამოდენიმე მებრძოლთან ერთად გავიდნენ საველეშტაბიდან მე-2 ასეულის მიმართებით რომელთანაც კავშირი იყო გამწყდარი, როგორც შემდეგ გაირკვა მოწინააღმდეგემ გაარღვია მეორე ასეულის დაცვა1 ასეულისაგან გზა გადაკეტილი იყო და იყო საშიშროება მისი ალყაში მოქცევისა.
1993 წლის 16 მარტს გათენების შემდეგ როდეცას ბატალიონის ყველა წევრები პოზიციებზე მოვიდნენ ი. ომანაძემ ექვს მებრძოლთან ერთად გადაწყვიტა იერიში მიეტანა სახლზე, სადაც განლაგებული იყო მოწინააღმდეგე. იერიშს წინ მიუძღუდა ი. ომანაძე მაგრამ ძალთა თანაფარდობა აშკარად მოწინააღმდეგეს მხარეს იყო. როგორც შემდგომში გაირკვა სახლში იყო 60-მდე კარგად შეიარაღებული მტერი. ამ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.
მისი ცხედრის გამოტანა მოხდა 18 მარტს მტრის განადგურების შემდეგ და დასაფლავებული იქნა სოფ. ზემო კელასურში.
ი. ომანაძე გამოჩენილი გმირობისათვის დაჯილდოებულ იქნა ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ.

ომანაძე ლეო

დაიბადა 1947 წელს 10 აპრილს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში. იყო მამაცი და მედგარი მეომარი. იბრძოდა სოფელ არადუსა და სოფელ მერკულაში. ჩარიცხული იყო , საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონში.
1993 წლის 16 სექტემბერს იგი თავის ოცეულთან ერთად იმყოფებოდა საბრძოლო პოზიციაზე--- კეძოდ მეოთხე საგუშაგოზე. სნაიპერის მიერ ნასროლმა ტყვიამ ლეო ომანაძე სიცოცხლეს გამოასალმა. დაკრძალულია ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში.

ომანაძე რომან
დაიბადა 1968 წლის 19 ივლისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადულში.
არადულს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაქანათმშენებლობა-ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.
1992 წლის 14 აგვისტოს, თავის თანასოფლელთან ერთად, იარაღით ხელში ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. 21 ოქტომბერს რომანი მუხლის არეში დაიჭრა. სამკურნალოდ თბილისში გააგზავნეს, მაგრამ გამოჯანმრთელობას არ დაელოდა და ისევ სოფლის დამცველთა რიგებში ჩადგა.
1993 წლის 9 მარტს, ერთ-ერთი შეტევის დროს, ჭურვის ნამსხვრევმა იმახვერპლა.

ოდიშარია ლორენ

დაიბადა 1951 წლის 28 აგვისტოს.1968 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის # 11 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა მ. გორკის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე. პინნათლად მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური. მუშაობა დაიწყო აფხაზეთის შს ორგანოში. ჰქონდა კაპიტნის წოდება.

ლორენი ყველას მიმართსაოცარი თავაზიანობით გამოირჩეოდა. სწორედ ამის დამსახურება იყო მისადმი გამოჩენილი სიყვარული და პატივისცემა. მას აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ადამიანზე გული შესტკიოდა და სწორედ ადამიანთა და მოქალაქეთა გადარჩენის საქმეს შესწირა თავი.

ლორენი ოდიშარია იყო უშიშარი. ერთ-ერთი დაბომბვის დროს ლორენის კაბინეტს ნასროლი ჭურვი დაეცა. ყველა თანამშრომელი ინსტიქტურად მიწაზე დაეცნენ მიწაზე შიშით, ლორენი კი ფეხმოუცვლელად იდგა, როგორც ბერმუხა, უყურებდა რომელი კუთხიდან ისროდნენ.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეს, როდესაც ქალაქს ყოველი მხრიდან უტევდნენ, მილიციის თანამშრომლებს მიეცათ მითითება გადასულიყვნენ მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად და მოსახლეობის ევაკუაცია.

ლორენ ოდიშარია გმირულად დაეცა საბრძოლო მოვალეობის შესრულების დროს სოხუმის რკინიგზის რაიონში. დაასაფლავეს იქვე, დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად.

ოსიშვილი ვლადიმერი



დაიბადა 1971 წლის 26 მაისს მცხეთის რაიონის სოფ. წიკლანში.

სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 1991 წლის 17 სექტემბრიდან დაიწყო სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სპეციალური დანიშნულების ბატალიონში ზემდეგის წოდებით.

1992 წლის 11 აგვისტოდან ლეინტენანტი ვ.ო. ოსიშვილი ბატალიონის პირად შემადგენლობასთან ერთად იმყოფებოდა ქ. სოხუმში. მან თავის უპირველეს მოვალეობად მამულის დაცვა ჩათვალა. ყველას სიყვარული დაიმსახურა. მუდამ იქ იდგა, სადაცსაქვეყნო საქმე მოითხოვდა - აფხაზეთი, უძველეს ქართულ მიწაზე.

იგი 1992 წლის 15 აგვისტოს ერთ-ერთ საპასუხისმგებლო საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს დაეცა ბრძოლის ველზე, თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე უყოყმანოდ შესწირა სამშობლოს დაცვის წმინდა საქმეს.

ვლადიმერ ოსიშვილი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

ოჩიგავა რაჟდენი (შუქური) ტულუკის ძე

დაიბადა 1956 წლის 13 აგვისტოს ქ. გაგრაში

დაამთავრა კოლხიდის საშუალო სკოლა. დაამთავრა ქ. თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმი და ბოლოს სწავლობდა ქ. მოსკოვის ფინანსებისა და კრედიტის ფაკულტეტზე. იყო მესამე კურსის სტუდენტი. მუშაობდა ქ. გაგრის „ჯოეკვარაში“ მთავარ ეკონომისტად. სამხედრო ვალდებულება მოიხადა ქ. ვლადივასტოკში.

როცა საქართველოს დამოუკიდებლობას და ერთიანობას საფრთხე შეექმნა, იგი 1992 წლის 18 აგვისტოს ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „გაგარის“ ბატალიონში, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით. პირველივე დღიდანვე 5 ოქტომბრამდე კაპიტანი რაჟდენ ოჩიგავა იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. იგი პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ დავალებებს. თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

მამაცმა და საზრიანმა, უშიშარმა ერთგულმა არაერთი საუკეთესო მაგალითი უჩვენა იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოდეს ქართველი ვაჟკაცი მამულისათვის.

კაპიტანი რაჟდენ ოჩიგავა თავის საქართველოს უწოდებდა დიდი ვაჟას სიტყვებით დაჭრილ არწივს, მაგრამ მას იმედი ჰქონდა გამარჯვების, საქართველო დადგებოდა ფეხზე.

იყო ლიდერობის თვისებებით.

1993 წლის 5 ოქტომბერს „ხოლოდნაია რეჩკასთან“ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

რაჟდენ ოჩიგავა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტაგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

წოწონავა ოთარ



დაიბადა 1956 წლის 5 იანვარს ქალაქ სოხუმში.
სამშობლოს სიყვარულით გულანთებული სოხუმელი ვაჟკაცი საომარი მოქმედებების დროს დაწყებისთანავე ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრზოლთა რიგებში.
რიგითი წოწონავა ოთარი გუგუს ძე საქრთველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მესამე ბრიგადაში გაწვეული იყო 1992 წლის 29 სექტემბერს და ჩარიცხულ იქნა ამავე ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის პირად შემადგენლობაში.
პირველი დღიდანვე აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას სხვადასხვა პოზიციურ ბრძპლებში.
ერთ-ერთ საბრძოლო დავალების შესრულების დროს კერძოდ 1992 წლის 9 ოქტომბერს ბრიგადის ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული საბრძოლო ოპერაციისში მონაწილეობისას გმირულად დაიღუპა სოფელ წაასთან, ნაღმზე აფეთქდა , საბრძოლო მანქანას ცეცხლი წაეკიდა და დაიწვა პირად შემადგენლობასთან ერთად (ლეონიდე მელაძე, ვახტანგ ელერდაშვილი).
რამდენი აუხდენელი ოცნება და გაუკეთებელი საქმე დარჩა ამქვეყნად...მან ერის მომავლისთვის დათმო ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია--სიცოცხლე.
მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქვეყანა და ხალხი. ყოველთვის იდგა იქ, სადაც გრზნობდა, რომ მისი თავი მამულს სჭირდებოდა.
სამშობლო არ დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილს---წოწონავა ოთარს.
წოწონავა ნეშთი გადმოსვენებულია და დასაფლავებულია მარტვილის რაიონ სოფელ აბედათში.

გივი პაპუაშვილი

დაიბადა 1945 წლის 4 სექტემბერს ქ. თბილისში.
1952 წელს სწავლა დაიწყო ზაჰესის საშუალო სკოლაში. მეცხრე კლასიდან სწავლა გააგრძელა თბილისის 112–ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1962 წელს.
1969 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1974 წელს, კვალიფიკაციით ინჟინერ–მშენებელი.
მუშაობდა მშენებლობის სამინისტროსა და სხვადასხვა სამშენებლო ტრესტებში ინჟინრად.
1993 წლიდან ირიცხებოდა თავდაცვის სამინისტროს სადესანტო–მოიერიშე ბატალიონში მეთაურის მოადგილედ.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 26 სექტემბერს, ქ სოხუმთან დაიკარგა უგზო–უკვლოდ.

მერი ლაზარეს ასული პაკელიანი



მე-8 ბატალიონის III ასეული
დაიბადა 1954 წლის 12 ივნისს, ქალაქ სოხუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. სოხუმის სამედიცინო ტექნიკუმში. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კამანში არსებულ მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატში მედდად.
აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე მერი გვერდით დაუდგა თანასოფლელებს. ასეულის მებრძოლებს ეხმარებოდა და საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას უწევდა.
მერი პაკელიანს ორი პატარა შვილი, დავითი და დიმიტრი ნათესავებთან ჰყავდა დატოვებული, რომლებსაც აკითხავდა, მოინახულებდა და ისევ კამანში ბრუნდებოდა. მის ასეულში სხვა თანასოფლელებთან ერთად მისი მეუღლე ალექსანდრე გამსახურდიაც იბრძოდა.
1993 წლის 5 ივლისს, საწინააღმდეგო მხრიდან კამანზე განხორციელებულ იქნა ფართომასშტაბიანი შემოტევა, გენერალ ლებედის საშტურმო-სადესანტო ბატალიონის მეშვეობით, რომელსაც ასეულის 40 კაციანი ჯგუფი უწევდა წინააღმდეგობას. ამ დროს მერი პაკელიანი თავის თანამებრძოლებთან პირველ საგუშაგოზე იმყოფებოდა, აქვე იყო მისი მეუღლეც. მერი თანამებრძოლებს მჭიდებს უტენიდა და ამარაგებდა. როდესაც მტერი უკვე ძალიან ახლოს მოვიდა, მერის უბრძანეს იქაურობას გაცლოდა და იქვე ახლოს ეკლესიისთვის შეეფარებინა თავი. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლის დატოვება უჭირდა, იძულებული იყო დაეტოვებინა საგუშაგო. გასვლის წინ კიდევ ერთხელ შეამოწმა იარაღი, ბიჭებს შესძახა -აბა თქვენ იცით! და სროლასროლით გასწია ეკლეესიისაკენ. მეუღლემ თვალი გააყოლა და დაინახა, თუ ეკლესიის ეზოს შესასვლელში როგორ წაბორძიკდა, შემდეგი მისი მოქმედება მეუღლეს არ უნახია, რადგან ამ ყველაფერს ეკლესიის კედელი ფარავდა. თუმცა სროლების და აფეთქების ხმები არავის გამოპარვია…

ერთი თვის შემდეგ კამანელი გმირების გამოსვენების დროს, იქ მყოფ აფხაზებისგან იქნა ცნობილი, რომ ამ დაჭრილ ქალმა სიკვდილის წინ ხელყუმბარა გახსნა და მტერთაგან ოთხი ბოევიკი შეიწირა!

მერი პაკელიანს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა „ვ. გორგასალის I ხარისხის ორდენი“

ტარიელ ანთუყის ძე პაკელიანი



დაიბადა 1928 წელს. ნადირობაში განთქმული და კარგი მსროლელი ტარილ პაკელიანი, ახალგაზრდების გვერდში იბრძოდა და პოზიციებს იცავდა.

1993 წლის 23 ნოემბერს (გიორგობის ღამეს) სოფ. ლათასთან მტრის მიერ განხორციელებული შემოტევის დროს, ბრძოლაში დაიღუპა.

პავლიაშვილი გონერი

დაიბადა 1966 წლის 4 აგვისტოს დუშეთის რაიონის სოფ. ობისში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში სამედიცინო აპარატურის განყოფილებისა და ექსპლუატაციის სპეციალობაზე. სამხედრო ვალი მოიხადა პოლონეთში.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის დაწყებისთანავე ჩაება და მკერდით იცავდა სამშობლოს თავისუფლებას სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ჩაირიცხა თავდაცვის სამინისტროს საგანგებო დანუშნულების ბატალიონში.

1992 წლიდან სამაჩაბლოში იმყოფებოდა სამშვიდობო ბატალიონში. სოფ. ვანათში მან და მისმა მეგობარმა თანამებრძოლებმა სოფლის ეკლესია აღადგინეს. მან დაიმსახურა მოსახლეობისგან დიდი სიყვარული და პატივისცემა.

1992 წლის ოქტომბერში იბრძოდა გაგრაში, რომლის დაცემის შემდეგ, 47 დღის განმავლობაში ტყვეობაში იმყოფებოდა.

1993 წლის თებერვლიდან გონერი ჩაირიცხა ბატალიონ “გორდაში“ ოცმეთაურად. სექტემბერში იგი სოხუმის დამცველთა რიგებში ოყო.

23 სექტემბერს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

გონერი პავლიაშვილი სიცოცხლეში დაჯილდოვდა მედლით “საბრძოლო დამსახურებისათის“, ხოლო სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენით,.

პაპიაშვილი თამაზი

დაიბადა ქ. თბილისში 1964 წლის 4 აპრილს მოსამსახურეების ოჯახში.

1981 წელს დაამთავრა 1. თბილისის 89-ე საშუალო სკოლა. 1982-84 წლებში მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1985 წელს წარჩინებით ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში “სამაცივრო და საკომპრესო მანქანების დანადგარების სპეციალობით.

ინსტიტუცის დამთავრებიდს შემდეგ მას მიენიჭა “ინჟინერ მექანიკოსის“ კვალიფიკაცია.

პაპიაშვილი თამაზი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათის ბრძოლაში მონაწილეობა გადაწყვიტა გაგრის ტრაგედიის შემდეგ, იმ დროს სამშობლოს უჭირდა.მან თავისი გადაწყვეტილება ოჯახს გამოუცხადა, როდესაც უკვე მოხალისედ იყო ჩაწერილი ავღანელთა ბატალიონში. დედას თვალები ცრემლით აევსო, ბუნებრივია დედას არ მოეწონა შვილის გადაწყვეტილება. თამაზიმ კი დედას აუხსნა: “დედა, გაგრაში სტადიონზე სეპარატისტებმა და გადამთიელებმა ქართველების თავებით ფეხბურთი ითამაშეს, მე მრცხვენია, თბილისის ქუჩებში დავდივარ. ყველა ქართველი პატრიოტის ვალია, წინ აღუდგეს ამ ვანდალიზმს, ყველა დედამ თავის შვილს კალთა, რომ გადააფაროს, ვინ უნდა დაიცვას სამშობლო“? თამაზის სიტყვების შემდეგ დედას არაფერი უთქვამს, პირიქით, შვილის წინაშე ამაყად იდგა და თითქოს თავს იწონებდა შვილის ფრიად გაზრდისათვის. მაგრამ დედა მაინც ყოველთვის თამაზის გზას გაჰყურებდა.

მან მონაწილეობა მიიღო ყველა იმ ბრძოლებში, რომელსაც აწარმოებდა ავღანელთა ბატალიონი.

1993 წელს აფხაზურმა მხარემ დაარღვია შეთანხმება და ფართომასშტაბიანი შემოტევა დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ.

1993 წლის სექტემბერში ავღანელთა ბატალიონი და უშიშროების სამინისტრომ შეარჩია მებრძოლი ბიჭები. მათ შორის იყო პაპიაშვილი თამაზი შოთას ძე.

1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას წარმოებულ ბრძოლისას უგზო-უკვლოდ დაიკარგა პაპიაშვილი თამაზი.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენით.

პაპიაშვილის მშობლები ამაყობენ თავიანთი ვაჟკაცით, გმირით. და, მართლაც მან პატრიოტული, ვაჟკაცური ვალი მოიხადა სამშობლოს წინაშე.

გმირები არ კვდებიან, მათი სულები გადაინაცვლებიან უკვდავებში.

პირველი ლერი

დაიბადა 1964 წლის 10 აგვისტოს გულრიფშის რაიონის სოფ. გენწვისში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ინდუსტრიულ ტექნიკუმში. მუშაობდა საქენერგოს დაწესებულებაში - ეკლექტრიკოსად. 20 წლისას დაოჯახდა.

იყო ერთი ჩვეულებრიუვი ბიჭი, საშობლოსა და ოჯახზე უზომოდ შეწყვარებული.

მე ბედნიერი ვიყავი, - ამბობს თვალცრემლიანი მეუღლე ქ-ნი ქეთევან ლეთოდიანი, - მაგრამ ვაი, რომ ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი ბედნიერება. უჭირს გარდასულ დღეთა უტკივილოდ მოგონება.

ბატალიონში ჩარიცხული იყო ომის დაწყების პირველ დღიდანვე. მერხეულის მე-7 ბატალიონის მეორე ათეულის სნაიპერად. აფხაზეთში მიმდინარე ომის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობის, დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში.

ლერი პირველი გაიზარდა წმინდა მოწამეთა, სამშობლოსათვის თავდადებულთა მაგალითზე. ფიზიკურად ახოვანი ზღაპრიდან მოსულ გმირს ჰგავდა, სულითაც რაინდი იყო. სიმართლე და პატიოსნება მისი ხანმოკლე, მაგრამ კაცური ცხოვრების მეგზური იყო.

1993 წლის 14 აგვისტოს მტრის მიერ განხორციელებული შეტევის დროს დაიუღუპა სოფ. ლაბრაში, გვერდით მყოფმა ბატალიონის წევრებმა გ. ხუბუამ და ვ,. ლეთოდიანმა იქვე მიაბარეს მიწას.

ლერი პირველი სამშობლოს ერთიანობას, მის მომავალ კეთილდღეობას შეეწირა.

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო . . შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ის იარა, ტკივილი, რომლის გახსენებაც სულის ხორცამდე შეგრძავს, ჯერ კიდევ შეუხორცებელია.

პირველი ლერი მუდამ ჩვენთან იქნება, სამშობლოსათვის დაცემულ გმირთა სიაში დარჩება მარად . . .

დავით ჟორჟოლიანი

ჟორჟოლიანი დავით პლატონის ძე ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში (ბრძ. N2815 1993 წ. 16.09.) აქტიურ მონაწილეობას იღებდა საომარ მოქმედებებში, რომელსაც აწარმოებდა ბატალიონი. თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. 1993 წლის 22 სექტემბერს დაიღუპა საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს.

ჟვანია ბადრი ნოდარის ძე

დაიბადა გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფში 1963 წლის 25 სექტემბერს .

1979 წელს დაამთავრა ფშაფის სკოლა და სწავლა განაგრძო ფოთის მე-12 პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში.

1982 წელს სწავლა განაგრძო თბილისის ინდუსტრიულ პედაგოგიურ ტექნიკუმში. საიდანაც გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. მსახურობდა ავღანეთში, დაბრუნდა მესამე ჯგუფის ინვალიდი. 1986 წელს დაამთავრა ტექნიკუმის სრული კურსი. 1987 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირში. აფხაზეთში საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით ავღანელთა კავშირში შეიქმნა სპეც. დანიშნულების ასეული. პოლიგონზე ბადრი იყო ავღანელთა სპეც. დანიშნულების ასეულში ოცმეთაური. ყველა საბრზოლო იარაღში და სამხედრო

ტექნიკაში ერკვეოდა. ისროდა შესანიშნავად. თვალის ჭრილობა ხელს არ უშლიდა, რომ ყოფილიყო პირველი კლასის სნაიპერი. კონტრშეტევაზე გადასვლის დროს სნაიპერი შეცვალა ავტომატით.
უშიშრად შეეგება სამშობლოსათვის სიკვდილს. 1992 წლის 3 ნოემბერს სოფელ შრომასთან უმძიმეს ბრძოლაში დაეცა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ.

დავით რამიშვილი

– დაიბადა 1964 წლის 6 იანვარს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ღრმაღელეში (წყალწმინდა). დარჩა მეუღლე და ორი შვილი.24–ე ბრიგადის მებრძოლი. 1992 წლის ნოემბერში ოჩამჩირის რაიონის სოფ. ქეთევანაში საბრძოლო მოქმედებების დროს ჩავარდა ტყვედ. რამდენიმე დღის შემდეგ დახვრიტეს. დაჯილდოვებულია გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.ზურა იარაჯული ნამდვილი გმირი იყო, რომლის ვაჟკაცობა მტერმაც კი აღიარა!

როსტიაშვილი რამაზი ავთანდილის ძე.

დაბადებული 1969 21 მაისს თბილისში. საქართველოს მოხალისეთა რაზმი "გლდანის საძომოს" წევრი. უცოლშვილო იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. დაიღუპა 1992 7 დეკემბერს ლაბრასთან საბრძოლო ოპერაციის დროს მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიებისას. დაკრძალულია მუხათგვერდის სამოქალაქო სასაფლაოზე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით

სამოქალაქო პირი ამირან რაზმაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

ამირან რაზმაძე მეომარი არ ყოფილა, არც იარაღით ხელში იბრძოდა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. ის გორის ჯავშან-სატანკო ბაზაზე სამშენებლო მასალების აღრიცხვის ინსპექტორი იყო და რუსებმა მას მერე მოკლეს, რაც ფხვენისში ქართველ მეომრებს წყალი მიუტანა და შინ შეიარა, ცოლი რომ სამშვიდობოს გამოეყვანა… და სწორედ აქ იწყება თავზარდამცემი ისტორია.

რუხაძე რამაზ

დაიბადა 1956 წლის 31 მარტს ქ. სოხუმში.
რამაზი უაღრესად განათლებული პიროვნება გახლდათ. ფლობდა ჩინური და იაპონური საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა სახეობას. სამხედრო პოლიციის რიგებში დანიშნული იყო აფხაზეთის ბატალიონის მეთაურის მოადგილედ. მის საბრძოლო მოკვლევაში ვკითხულობთ; "რამაზ რუხაძემ თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და უშიშარმა მებრძოლმა, მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთში განხორციელებულ საბრძოლო ოპერაციაში. თანამებრძოლეებს ყოველთვის წინ მიუძღოდა. დამარცხებული არასოდეს დაბრუნებულა."
1992 წლის 19 ნოემბერს ერთ-ერთ საბრძოლო დავალებას ასრულებდა...მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა. დღემდე უგზო~უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ნუგზარ სილაგაძე

დაიბადა 1963 წლის 24 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშში.
1969-1980 წლებში სწავლობდა ტამიშის საშუალო სკოლაში.
1980 წელს ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში ეკონომიურ ფაკულტეტზე და საცხოვრებლად გადავიდა ქ. სოხუმში.
1981-1982 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში კამჩატკაზე.
უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ერთერთ სამშენებლო ტრესტში.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 22 დეკემბერს დაიკარგა უგზო-უკვლოდ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ძველ კინდღთან.

თემური მიხეილის ძე სალთხუციშვილი

დაიბადა 1963 წლის 2 მაისს ქ.თბილისში. მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-8 ბატალიონში.
იბრძოდა აფხაზეთში. სოხუმში სოფელ ცუგუროვკასთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ოლეგი ასლანის ძე სალავატოვი

დაიბადა ქ.თილისში. ცხოვრობდა ლილოს დასახლებაში და დაამთავრა ლილოს 168-ე საშ. სკოლა. მსახურობდა შავნაბადას ბატალიონში, იბრძოდა და დაიღუპა აფხაზეთში, სოფ.ტამიშთან ბრძოლაში 1993 წლის 2 ივლისს, დესანტის გადმოსხმის დროს.

გარდაცვალების შემდგომ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ის აფხაზეთიდანაა....წამითაც არ დაფიქრებულა...

კაპიტანი კობა სერგია

უმწიკვლო სამსახურისთვის III ხარისხის მედალი, 2008 წ.
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.
ის გმირულად დაეცა ცხინვალში. ამქვეყნად დარჩა ორი მცირეწლოვანი ვაჟი, ახალგაზრდა ქვრივი და… გმირის სახელი.
აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, სკოლაახალდამთავრებულ, 17 წლის ჭაბუკში მეომარმა გაიღვიძა – წამითაც არ დაფიქრებულა, ისე ჩაება ბრძოლაში. დაჭრილი გამოარიდეს წინა ხაზს. ამ ომმა განსაზღვრა მთელი მისი მომავალი. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოვლის შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტის ნაცვლად, სამხედრო აკადემიაში ჩააბარა.
20 წლის იყო, მომავალი მეუღლე – თამარ ჩიკორია რომ გაიცნო.
თამარ ჩიკორიაც აფხაზეთიდანაა. ომი მათი ცხოვრების თანამდევი იყო მუდამ…
თამარ ჩიკორია, მეუღლე: „რვა წელი ვიცნობდით ერთმანეთს, სანამ დავქორწინდებოდით. წლების მანძილზე კრწანისის 113-ე ბატალიონში მსახურობდა. შემდეგ ერაყში წავიდა. სულ ვეჭვიანობდი ჯარზე, ოჯახისთვის არასდროს ეცალა, ახალი წელი მისთვის არ იყო და აღდგომა. სულ ჩქარობდა, სულ მოსწრებაზე იყო. სულ ვეუბნებოდი, რატომ ხარ ასეთი სულსწრაფი, წყნარად ჭამე, წყნარად ილაპარაკე-მეთქი, სულ მეშინოდა… ბოლოს ძალიან შეიცვალა, ძალიან თბილი და მოსიყვარულე გახდა, სულ თვალებში შემომყურებდა, სულ მეფერებოდა. ბოლოს ერთი მეგრული სიმღერა ჰქონდა ამოჩემებული – „ჩემი გულის ვარდი ხარ და რომ მოვკვდები, კარგად მიტირეო“. ასეთი სიტყვებია ამ სიმღერაში… მე მიმღეროდა, ეს ძალიან მაღიზიანებდა და შიშს მგვრიდა, ახლა ვხვდები, რისიც მეშინოდა….“
კაპიტანი კობა სერგია ბოლოს ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა შტაბის უფროსად.
სკოლაახალდამთავრებულ, 17 წლის ჭაბუკში მეომარმა გაიღვიძა – წამითაც არ დაფიქრებულა, ისე ჩაება ბრძოლაში. დაჭრილი გამოარიდეს წინა ხაზს. ამ ომმა განსაზღვრა მთელი მისი მომავალი. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოვლის შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტის ნაცვლად, სამხედრო აკადემიაში ჩააბარა.
20 წლის იყო, მომავალი მეუღლე – თამარ ჩიკორია რომ გაიცნო.
თამარ ჩიკორიაც აფხაზეთიდანაა. ომი მათი ცხოვრების თანამდევი იყო მუდამ…

ინდერ ჯანდარის ძე სუბელიანი

დაიბადა 1945 წელს კოდორის ხეობაში, სოფ. აჟარაში.

ირიცხებოდა მე-5-ე ბატალიონში.

1992 წლის 3 დეკემბერს ოჩამჩირეში, სოფელ ატარას მისადგომებთან საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა .

ტარიელ სტეფლიანი

დაიბადა 1953 წლის 25 ივნისს. 1981 წლიდან 1993 წლამდე მუშაობდა სოხუმის ტრანს.სააგენტოში მძღოლად.რესპუბლიკის ეროვნული გვარდიიდს მე-3 ბრიგადის მეთაურის 1992 წლის 25 სექტემბრის ბრძანება #3-ის და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23_ე მექანიზირებული ბრიგადის მეთაურის 4 დეკემბრის #71 ბრძანების საფუძველზე იგი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23 მექნიზირებული ბრიგადის მე-2 მოტომსროლელ ბატალიონის მე-2 ასეულის, მე-2 ოცმეთაურის მოადგილე.აფხაზეთში მიმდინარე ომის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის ყველა საბრძოლო ოპერაციაში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1993 წლის 16 მარტს გუმისტის მისადგომებთან შემოტევის დროს, სადაც დაიღუპა გმირულად.სიკვდილის შემდეგ ტარიელ სტეფლიანი დაჯილდოვდა მედლით ,,მხედრული მამაცობისთვის".

ავთანდილ მაქსიმეს ძე სტეფლიანი

დაბადებული 1965 წლის 20 აგვისტოს სოფ. ბუმუგურში აჭარის სოფსაბჭო, გულრიფშის რაიონი.

განათლება-უმაღლესი, ყოფილი სარაკეტო – სატანკო პოლკის სერჟანტმა ავთანდილმა მეგობრებთან ერთად ფიცი დადო სამშობლოს ერთგულებაზე და ჩაირიცხა სასაზღვრო რაზმი ,,სოხუმი"-ს კომენდატურა ,,აჭარა"-ს საგუშაგო ,,აძგარა"-ს ასეულის მეთაურად. ავთო თავისი ჯგუფით მედგრად იცავდა ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელ უღელტეხილებს, ,,მარუხი"-ს ,,აგესი"-ს და ,,ნაური"-ს.

1992 წლის 23 დეკემბერს ავთანდილი ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის მეორე ბატალიონის მეორე ასეულში, თავზე ხელაღებული ,,სნაიპერი" სეპარატისტთა ,,ბოევიკებს" რისხვად ევლინებოდა იქ სადაც არ ელოდნენ.

სოხუმის დაცემის შემდეგ ისევ ჩადგა, დალის ხეობის დამცველთა რიგებში. ბატალიონ ,,მონადირი"-ს მეთაურმა ემზარ კვიციანმა, ავთოს ჩააბარა ბაგადის გვირაბების დაცვა. მან პირნათლად შეასრულა დავალება 3 დღე-ღამე უმკლავდებოდა შვიდი მებრძოლით 2000 მომხდურს მტრის ტანკით, რომელიც ჩაიგდო ხელში.

მაშველი ძალის მოსვლის შემდეგ უკუ-აგდეს მტერი 19 ნოემბერს, ტანკი რემონტზე წაიყვანეს ჩხალთაში, 24 ნოემბერს მტერმა გვირაბები ხელში ჩაიგდო. ისევ გაჩაღდა სისხლის მღვრელი ბრძოლა. მტერი ბაგადის მისადგომებთან შეჩერებული იქნა 27 ნოემბერს. ამ ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა ავთანდილ სტეფლიანი სხვა მებრძოლებთან ერთად. თავდადებულმა თანამებრძოლებმა მტრის მასიური ცეცხლის ქვეშ მოახერხეს დაღუპულ მებრძოლთა გადმოსვენება.

ვთანდილ მაქსიმეს -ძე სტეფლიანი დაჯილდოვებულია სიკვდილის შემდეგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენით. დაასაფლავეს სოფ. ბუძუგურში.

სამთელაძე ანდრეი

დაიბადა ქ. თბილისში 1976 წლის 3 აპრილს.1982-1991 წლებში სწავლობდა თბილისის 109-ე საშუალო სკოლაში.1991 წლიდან მუშაობა დაიწყო ქარხანა აგრეგატში, პარალელურად სწავლობდა საღამოს სკოლაში.1992 წლის აპრილში 16 წლის ანდრეი ჩაირიცხა სატანკო-მექანიზებულ პოლკში მძღოლ-მექანიკოსის თანამდებობაზე .აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს, ანდრეი სამთელაძე დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ალი სამხედრო გმირობისათვის, 2008 წელი

1986 - 2008

22 წლის ჯარისკაცი მოკლულ იქნა რუსული ბომბით, როცა ის მოყვებოდა სენაკის ბაზის დაჭრილ ჯარისკაცებს ჰოსპიტალში.

მამუკა სამაყაშვილი 5 წლის იყო როცა მან დატოვა მშობლიური გაგრა. ის გაიზარდა წყალტუბოში. მათი ოჯახი ცხოვრობდა სანატორიუმ "საქართველო"-ში.

მისი უფროსი და იხსვენებს, რომ მამუკა იყო ცელქი და ძალიან ნოჭიერი ბავშვი. მან დაამთავრა წყალტუბოში მეორე საშალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთ კვირაში ჩაეწერა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, მსახურობდა ქუთაისში, 6 თვეში კონტრაქტორი იყო. თავიდან მსახურობდა ვაზიანის ბაზაზე, და შემდეგ სენაკის მეორე ბრიგადაში. იყო კაპრალის თანამდებობაზე. თვეები იყო დარჩენილი, კონტრაქტის ამოწურვამდე, მას ქონდა შემოთავაზება კარგ სამსახურში, მაგრამ მან არ დატოვა ჯარი, თქვა, რომ არ უღალატებს თავის ქვეყანას, თავის მეგობრებს.

ოჯახის წევრებმა ნახეს ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

იმ ღამეს, როცა მოკლული იქნა, დედამ ნახა სიზმარში მისი მეგობარი ჯარისკაცები - ზოგი დაჭრილი იყო, ზოგი ცოცხალი.მამუკას კი ვერ ხედავდა ვერსად, მაგ დროს ის აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ ჩვენ ეს არ ვიცოდით. ჩვენმა მეზობელმა შეგვატყობინა დილით 9 აგვისტოს, რომ მამუკა გარდაიცვალა. იმავე დღეს გადმოასვენეს მისი სხეული.

ის მოყვებოდა დაჭრილ რეზევისტებს სენაკიდან. მოკლულ იქნა საჰაერო დაბომბვის დროს, ის იჯდა მძღოლის გვერდით. როგორც ვიცით, ის ადგილზევე გარდაიცვალა. ხალხი ამბობს, დრო კურნავს ყველაფერსო, მაგრამ ტკივილი მაინც რჩება.

მოკლულ იქნა 22 წლის ასაკში, ამ ხნის განმავლობაში მან დაგვიტოვა იმდენი სითბო და სიყვარული, რასაც სხვა ადამიანი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ვერ დატოვებდა.

ოჯახი სათუთად ინახავს ვალმოხდილი ვაჟკაცის სახელს და უფალს ევედრებიან იმ ქვეყნიური გზა ნათელი მისცეს საყვარელი ადამიანის ლამაზ სულს.

სულაბერიძე მამუკა

დაიბადა 1972 წლის 8 თებერვალს ქ. ხაშურში.1978–1989 წლებში სწავლობდა ხაშურის მე–3 საშუალო სკოლაში.1989–1990 წლებში სწავლობდა ავტოსკოლაში, მძღოლის კვალიფიკაციაზე.1990 წელს მუშაობა დაიწყო ხაშურის რკინიგზის სავაგონო დეპოში დურგლად.1992 წლის 19 მაისს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში საქართველოს შს შინაგან ჯარში.აფხაზეთში შეარაღებული კონფლიქტრის დროს, 1992 წლის 27 ნოემბერს, ოჩამჩირის რ–ნის სოფელ ქეთევანასთან დაიკარგა უგზო–უკვლოდ.

სვანიძე დემური გრამიტონის ძე

დაიბადა 1949 წელს ცაგერის რაიონის სოფ. ცხუკუშერში.

1950 წელს ცაგერის რაიონიდან ოჯახი გადასახლდა გაგრის რაიონის დაბა განთიადში. 1956 წელს შევიდა ხეივანის N 1 საშუალო სკოლაში. 1966 წელს დაამთავრა მძღოლის კურსები და მუშაობა ხეივანის კოლმეურნეობაში მძღოლად.

წლის 16 აგვისტოდან ირიცხება ლესელიძის ბატალიონის 1-ლი ასეულის შემადგენლობაში მსროლელად და მონაწილეიობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში.

უზომოდ უყვარდა საქართველო. იყო კაცთ მოყვარე, ყველასათვის თავდადებული, ენერგიული. სიყვარული, პატრივისცემა და აღიარება ასე მოიხსენება თეგობრებისგან, თავადაც სიკეთესა და ღიმილს აფრქვევდა.

სვანიძე დემური, 1992 წლის 9 ოქტომბერს სოფ. წალკოტთან მტერთან შეტაკებისას, გაგრის აღების შემდეგ მებრძოლებთან ერთად დახვრიტეს რ. ახვლედიანის ეზოში.

დემურ სვანიძეს დარჩა მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი.

რამდენი სითბო შეეძლო მიეცა გარშემომყოფთათვის, რაოდენ დასანანია, რომ ასეთი პიროვნება დღეს ცოცხალთა რიგებში არ არის და რომ მას ასეთი მწარე სიკვდილი ერგო,

სამაგიეროდ უფლის წინაშე ჭეშმარიტად შეაბიჯა, მოასწრო კაცური კვალის დატოვება და სამშობლოსათვის სიკვდილი.

სვანიძე ბეჟან

დაიბადა 1963 წელს. იბრძოდა 24-ბრიგადის 242-ე ბატალიონის რიგებში.
1993 წლის 3 იანვარს, საბრძოლო ოპერაციის დროს, სოფელ ცხენისწყალზე აფხაზი სეპარატისტების შემოტევისას მედგრად, მამაცურად დახვდა მტერს, მაგრამ მომხდურის გამოსროლილმა ყუმბარმტყორცნმა, რომელიც მოხვდა იმ შენობას, რომელშიც ეკავა პოზიცია, სიცოცხლეს გამოასალმა.
დასაფლავებულია სოფელ ცაგერაში.

სირბილაზე ზაზა

დაიბადა 1972 წლის 23 სექტემბერს ქ. თბილისში. იყო თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის “იბერიის“ 11 კურსის სტუდენტი. ამავე დროს სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის სვანიძის ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე გახლდათ.

ტანწერწელი, გულხალვათი, ჯან-ღონით სავსე წავიდა სამშობლოს დასაცავად. იბრძოდა “თეთრი არწივის“ ბიჭებთან, თუმცა წლოვანებით ყველაზე პატარა იყო. გაგრაში 29 სექტემბერს 20 წელი შეუსრულდა. იბრძოდა სამშობლოს დაცვისა და ტერიტორიული ერთიანობისათვის. თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და თავდადებულმა მებრძოლმა.

1992 წლის სექტემბრის თვიდან გაგრის ტრაგედიის შემდეგ რიგითი ზაზა გივის ძე სირბილაძე ირიცხება უგზო-უკვლოდ დაკარგულების სიაში.

სვანიძე კოხრა

დაიბადა 1968 წლის 19 აპრილს გულრიფშის რაიონის სოფ. ოქტომბერში. უცოლშვილი.

სვანიძე კოხტა (ჯამბული) იყო ქართული ტრადიციებზე აღზრდილი ვაჟკაცი. მისთვის ბედნიერება მხოლოდ თავისუფალი, ეკონომიკურად ძლიერ საქართველოში იქნებოდა სრულყოფილი, რაშიც დაგვარწმუნა მისმა ხანმოკლე, მაგრამ არავისათვის მნელად შესაფერმა განვლილმა გზამ. ფიზიკურად უზადოს, გონიერმა და ზნეკეთილს არც უღალატია არჩეულ გზისათვის.

კოხტა საქართველოს რესპუბლიკის გვარდიის მე-3 ბრიგადის პირველ მოტომსროლელი ბატალიონის რიგებში ირიცხება 1992 წლის 7 ნოემბრიდან რიგით ჯარისკაცად.

საბრძოლო მოქმედებების დროს თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. იყო დისციპლინირებული და შემსრულებელი ჯარისკაცი. მეთაურის დავალებებს ასრულებდა დროულად და პირნათლად. მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში ბატალიონთან ერთად. ავტორიტეტით სარგებლობდა თანამებრძოლებს შორის. თავისი მამაცობით თავი გამოიჩინა 1993 წლის 5 იანვარს, რისთვისაც გამოცხადებული ჰქონდა მთავარსარდლის მადლობა.

“აფხაზს მე პირველი ვერ ვესვრი, უცხო გადამთიელს კი არ დავინდობ“, - ასე ამბობს ის. და სწორედ უცხოტომელთა შეკავება და მათი თარეშეს აღკვეთა იყო უპირველესი საბაბიც და მიზეზიც კოხტას იარაღის აღება, თორემ აქაური ქართველები და აფხაზები გადამთიელთა ჩარევის გარეშეც შერიგდებოდნენ.

1993 წლის 16-17 მარტს მოწინააღმდეგის მიერ განხორციელებული შემოტევის დროს არტილერიის დაბომბვის შედეგად მძიმედ იქნა დაჭრილი თავის არეში და ბრძოლის ველიდან გადაყვანილ იქნა სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში თანამებრძოლების მიერ.

1993 წლის 29 მარტს კოხტა (ჯამბული) მიხეილის ძე სვანიძე გარდაიცვალა, დასაფლავებულია ქ. სოხუმში.

მხოლოდ 25 წელი იცოცხლა, ოჯახის შექმნას აპირებდა, ოცნებობდა ლამაზ, ქართულ ოჯახზე, მაგრამ ეს ჩვეულებრივი სოხუმელი ბიჭი წავიდა ჩვენგან, წავიდა როგორც გმირი. ყველა, ვინც კოხტას იცნობდა, ყოველთვის თვალცრემლიანი, მაგრამ ღიმილით მოიგონებს მას.

მისი ნათელი ხსოვნა ყოვეთვის დარჩება იმათ გულში, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდა.

გაივლის წლები და საქართველო მამულიშვილების თავდადება კვლავაც სამშობლოს დაცვის ჟინით აღანთებს ქართველთა ხსოვნას.

სარქისიანი გარსო

დაიბადა 1953 წლის 23 ივლისს ბოლნისის რაიონში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ქ. თბილისის ტექნიკუმში რკინიგზის ფაკულტეტზე. იყო რკინიგზის თანამშრომელი, დაოჯახებული. გარსის მეუღლე ქ-ნი ევგენია ზრდის ოთხ შვილს. სარქისიანი გარსო გამოირჩეოდა თავისი თბილი სახიათით. მას მეგობრები ახასიათებენ, როგორც მისთვის სომხური ენა იყო მშობლიური, ასევე ,~მშობლიური იყო ქართული ენა და სულისკვეთება.

საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდლის ბრძანებით N228 რიგითი სარქისიანი გარსო გიორგის ძე ინიშნება 1993 წლის 20 სექტემბრიდან ეროვნული გვარდიის ბოლნისის ბატალიონის მებრძოლად.

გარსო სარქისიანი მონაწილეობდა აფხაზეთის რეგიონში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის მიმდინარე ბრძოლებში.

ბოლნისის ბატალიონის მებრძოლი, ბრძოლაში სიმამაცით და გამბედაობით გამოირჩეოდა. მისი საქციელი ყოველთვის მისაბაძი იყო თანამებრძოლებისათვის. გამოირჩეოდა თავმდაბლობისა და თავდაჯერილობის მაგალითით.

1993 წლის 27 სექტემბერს დაეცა ქ. სოხუმში.

იღუპებიან მშვიდობიანი მოქაკლაქეები. ამავე დღეს სოხუმში ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციის დროს დაიღუპა გარსი საქრქისიანი. მან თავი შესწირა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას, ბოლომდე მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მამულისათვის თავდადებულ მებრძოლთა შორის.

სარქისიანი გარსო თვლიდა თუ საქართველოში ცხოვრობ და ხარ საქართველოს მოქალაქე - ბოლომდე უნდა დაუდგე ქართველ მეგობრებს ჭირში და ლხინში და მან ეს ჭეშმარიტად შეასრულა ცხოვრების ბოლო ჭუთამდე.

სოხაძე თენგიზი

დაიბადა 1967 წელს ქ. სოხუმში, სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, დემობილიზაციის შემდეგ, 1988 წელს სწავლა გააგრძელა მოსკოვის მილიციის უმღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1991 წელს და იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო აფხაზეთის შს სამინისტროს ქ. სოხუმის სს სამმართველოში სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილებისნ ინსპექტორად.

მუშაობის დაწყების პირველ დღიდანვე თენგიზმა თავი გამოიჩინა მინდობილი საქმისადმი მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებით, რის გამოც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის. ახალგაზრდა ჭაბუკის მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენია ხელმძღვანელობას, 1992 წელს დაინიშნა ამავე განყოფილების უფროს ინსპექტორად, არაერთხელ იყო წახალისებული და დაჯილდოვებული, მიენიჭა პოლიციის კაპიტანის საპატიო წოდება. თენგიზი თავის თანამშრომლებთან ერთად უყოყმანოდ დადგა სამშობლოს ტერიტორიული მთლანობის დამცველთა გვერდით, ვაჟკაცურად იცავდა თავის სამშობლოს, ოჯახის ხირსებას. მძიმე პირობებში უხდებოდათ პოლიციელებს ბრძოლა. პოლიცია ძალ-ღონეს არ იშურებდა სამშობლოს დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის განხორციელებისათვის ბრძოლაში, მრავალი მამაცი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა მას, ერთ-ერთი მათგანი პოლიციის კაპიტანი თენგის სოხაძეა, რომელიც სასიკვდილოდ გაიმეტა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებმა.

დაკრძალულია ოჩამჩირის რაიონის სოფ. აძიუბჟაში.

თენგიზ სოხაძემ ვერ დატოვა თავისი მემკვიდრე, მაგრამ დატოვა კაცური ვაჟკაცის სახელი.

მამა-შვილი კარლო და ვეფხვია სანაიები

წმინდა სამარე, ჩემი ტვითონ ვარ,
შიგ ვილოცები, აფრქვევს კანდელი,
მკაცრმა ცხოვრებამ ეს დამიტოვა
ქართველი ერის გულის ნადებით.
ამრიდონ ჩეგიანი

უზენაესია მამაშვილობის მადლი. ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარაში 48 წლის ვაჟკაცის კარლო სანაიას ოჯახს ყველა შენატროდა, ტკბილი კერა გქონდა, 3 ქალიშვილს და ერთ ვაჟიშვილს უზრდიდა სამშობლოს.

ვეფხვია სანაია დაიბადა 1969 წლის 1 მაისს ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარაში. თავის მშობლიურ სოფელში დაამთავრა საშუალო სკოლა. სამხედრო სამსახურს იხდიდა შორეულ აღმოსავლეთში, 1989 წელს. ამ დროს საქართველოში ეროვნული მოძრაობა მძვინვარებდა. 9 აპრილის ტრაგედია ჯარში შეიტყო და პროტესტის ნიშნად, მისი მეთაურობით ქართველმა ბიჭებმა გაფიცვა მოაწყვეს, რისთვისაც იქაურმა ხელმძღვანელობამ ვეფხვიას სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

ვეფხვია სწავლის გაგრძელებას აპირებდა მილიციის აკადემიაში, მაგრამ სწორედ ამ დროს გახდა საჭირო საკუთარო მიწა-წყლის დაცვა.

სანაია ვეფხვია კარლოს ძე 1992 წლის 15 სექტემბერს ჩაირიცხა საქართველოს ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მე-4 ბატალიონში, რომელიც შემდგომში იწოდებოდა მე-2 საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 240-ე ბატალიონში. მან მონაწილეობა მიიღო 24-ე ბრიგადის სარდლობის მიერ დაგეგმილ ოპერაციების განხორციელებაში, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 11 ნოენბერს სოფ. ბესლახუბასთან საბრძოლო ოპერაციის დროს. 1992 წლის 15 ოქტომბერს სოფ. ტამიშთან, 1992 წლის 27 ოქტომბერს სოფ. მერკულასთან იგი გამოირჩეოდა თავდადებულებებითა და გამბედაობით, რითაც როგორც მეთაურთა ისე თანამებრძოლების სიყვარული დაიმსახურა.

ვეფხვიას გმირობაზე ლეგენდები დადიოდა. აფხაზთა ექვსკაციანმა ჯგუფმა მისი მანდარინის პლანტაციებში ტყვიებით სავსე ტომარა აღმოაჩინეს, რომელიც ვეფხვიამ მამამისისა და პარტიზანულად მებრძოლ თანასოფლელებს შემოუგზავნა. ნამდვილ ვეფხვს დაემსგავსა, როცა მამამისის ტყვედ აყვანა შეიტყო.

1992 წლის 29 ნოემბერსნ კოჩარა აიღეს. ბრიგადის სარდლობის მიერ განხორციელებულ ოპერაციაში, რომელიც ითვალისწინებდა სოფ. კოჩარასთან საბრძოლო პოზიციების დაბრუნებას, ვეფხვია როგორც ამ სოფლის მცხოვრები თავის თანამებრძოლებთან ერთად ჩაერთო ბრძოლაში, სადაც მიიღო მძიმე ჭრილობა გულის არეში. იგი გამოიყვანეს საბრძოლო პოზიციებიდან. გადაიყვანეს ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში. 3 საათი იცოცხლა ქუთაისის ჰოსპიტალში, სიკვდილსაც ვაჟკაცურად შეხვდა.

“მომეფერე დედა, მაკოცე, მაგრად მაკოცე, ჩამეხუტე, გამათბე, ნუ ტირი, დედა, რკინად იქეც, იცოცხლე, შვილებს მიხედე. არ გაბედო და არ თქვა, აფხაზეთში არ ვიცხოვრებო. იქ უნდა იცხოვრო, იქ ჩემი სისხლია ჩაქცეული, ჩვენს ნაფუძარზე სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს, ნუ ტირი დედა, შენი შვილი ლაჩრულად არ კვდება, ერთგულად და პატიოსნად ემსახურებოდა საქართველოს ერთიანობას, შენს შვილს მოღალატის და გამყიდველის სახელით არ უცხოვრია, დედა, მე მჭერა, საქართველო გამთლიანდება“. . .

დედა შვილთან უძლური არმოჩნდა. . .

1992 წლის 6 დეკემბერს, 23 წლის სანაია ვეფხვია გარდაიცვალა, დასაფლავებულია ქ. ქუტაისში.

მართალია 23 წელს იცხოვრა ვეფხვიამ, მაგრამ თავისი სიტყვა თქვა სამშობლოსა და ერის წინაშე, ეს სიტყვა მისი ზვრაკად შეწირული სიცოცხლეა.

გმირებად არ იბადებიან, გმირებად კვდებიან.

ვეფხვიათი არ დამთავრებულა სანაიების ოჯახში ტრაგედია.

19 დეკემბერს კოჩარაში ტყვედ ჩარჩენილი ვეფხვიას მამა აფხაზებმა საშინელი წამებით მოკლეს, კარლო (ბახუტი) სანაია. სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ იცოდა შვილის დაღუპვის ამბავი. კარლო სანაია ქართველთა ჩვეული სიამაყით შეეგება სიკვდილს.

მაღალი ღმერთი და საქართველო,
სხვა სალოცავი არა მყოლია. . .
სხვაგვარად ფიქრი, სხვაგვარად ყოფნა
ღალატისა და მტრობის ტოლია
ბიეტა აბშილავა.

მამა-შვილები შალერი, ელგუჯა და თემურ სიხარულიები

აფხაზეთის ტრაგედია მუდმივი თემაა მასიბრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, რომელიც აფხაზეთში ქართველების მიმართ განახორციელეს აფხაზმა სეპარატისტებმა ჩრდილოელი მეზობლების - გადამთიელების დახმარებებითა და ხელშეწყობით.

სოფ. გუდავა უძველესი წარსულის მქონე ზღვისპირა სოფელია გალის რაიონში, რომელიც ისტორიულ წყაროებში ანტიკური ხანიდან იხსენიება, ახლო წარსულსი კიუ სილამაზითა და სომდიდრით გამოირჩეოდა, დღეს კი თითქმის არ არსებობს.

გუდავაში სამჯერ - 1993 წლის 3 ოქტომბერს, 24 ნოემბერს, 1994 წლის 8-9 თებერვალს შემოიჭრნენ ავტომატებიანი ბიოევიკები, ყოველი მათ შემოჭრა სოფელსი მთავრდებოდა ადამიანთა დახოცვით, სახელბისნ გადაწვით, წარმოდგენილი იყო ,მათი სისასტიკე.

გუდაველი ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი თავდადებითა და ვაჟკაცობით იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისატის და აქტიურად მინაწილეობდა პარტიზანულ მოძრაობაში. მათ დაამტკიცეს რომ შეუძლიათ სამსობლოს სადარაჯოზე მედგრად დგომა და საჭიროების შემთხვევაში სიცოცვხლის გაწირვა. ამის ნატელი მაგალითია შალერი სიხარილიას ოჯახი.

1994 წლის 25 ოქტომბერს ელგუჯა შალერის ძე სიხარულია მოკლეს აფხაზმა ბოევიკებმა სოფ. გუდავაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ძალოვან სტრუქტურებში სამხედრო საბრძოლო სწავლებასა და მომხდურებში მიღწეული წარმატებებისატის, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაში გამოჩენილი ოპერატიულობისა და ტავდადებისატვის თემურ შალერის ძე სიხარულიანდაჯილდოვდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ულღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. იგი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის 111ნ ხარისხის ორდენით.

მამა - შალერი სიხარულია გარდსაიცვალა 2000 წელს. 2002 წელს საქართველოს პრეზიდენტის N 1014 განკარგულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გოტგასლის 11 ხარისხის ორდენით.

თემურ სიხარულია - ლეიტენანტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოპერატიულ-საბრძოლონ სამმართველოს 2 ასეულის ჯმე-4 მოიერიშე ჯგუფის მებრძოლი.

ბიჭები ფიზიკურად და სულიერად ლამაზები იყვნენ. სავალდებულო სამხედრო სამსხური მოხდილი ჰქონდათ. სისხლის უკანასკნელ წუტამდე ვაჟკაცურად იბრძოდნენ მამ და შვილები. სიხარულიების ოჯახმა - საკუთარი და შვილების სიცოცხლე უძღვნა დედა სამშობლოს.

ღმერთმა ნათელი სასუფეველი დაუმკვდროს ჩვენს გმირებს.

სააკიანი სუმბატ აგასარის ძე

დაიბადა 1928 წლის 15 მაისს, გლეხის ოჯახში, მიიღო სპეციალური ბუღალტრის განათლება. 1962 წელს დაამთავრა სსრკ ცკ-სთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა.

მუშაობა დაიწყო 194 წელს ოჩამჩირიოს რაიონის სოფ. ატარა არმიანსკაიას სოფლის კლუბის გამგედ, სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელად. 1949 წლიდან მუშაობდა ოჩამჩირის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბუღალტრის მოადგილედ, შემდეგ გადაყვანილ იქნა სოფ. არაკიჩის კოლმეურნეობაში ბუღალტრად.

1954 წლიდან გადაყვანილია პარტიულ საპასუხისმგებელო თანამდებობაზე. დაინიშნა სოფ. ათარა არმიანსკაიას კამოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1968 წელს გადაყვანილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ. 1973 წელს გადაყვანილ იქნა საქართველო ცკ-ს აფხაზეთის ოლქის პარტიის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1976 წელს დაინიშნა აფხაზეთოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

1978 წელს გადაყვანილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1985 წელს დაინიშნა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აგრო-სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სუმბატ სააკიანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, არაერთხელ იქნა არჩეული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების, უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

მუშაობაში და აფხაზეთის საზოგადოებრივი-პოლიტიკური საქმიანობაში მიღწევებისათვის დაჯილდოვებულა:

- შრომის წითელი დროშის ორდენით;
- ხალხთა მეგობრობის ორდენით;
- ორი ღირსების ნიშნის ორდენით;
- ორი საერთაშორისო გამოფენების ვერცხლის ორდენით;
- 1995 წლის 25 მარტსნ სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია საქართველოს რესპუბლიკის ვახტანგ გორგასლის 11 ხარისხის ორდენით.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის თავზე ისროდნენ ჭურვებს, ქალაქი სისხლის ტბორებად და ცრემლებად იქცა, ქალაქს ტოვებს ქართველო მოსახლეობა, მხოლოდ მთავრობის სასახლეში დარჩნენ გმირები, არ დატოვეს მთავრობის შენობა როგორც უშიშროების თანამშრომლებმა, ასევე მინისტრთა საბჭოს თანამშრომლებმა: ალასანიამ, ჩხენკელმა და გაბისკირიამ, “პაპად“ ცმობილმა ქავთარაძემ, გეგელაშვილმა, ბეთაშვილმა, სააკიანმა და კვინიკაძემ, დოლიაშვილმა, ბაღათურიამ, აბსანძემ და დობორჯგინიძემ, კოკაიამ და ნიქაბიძემ, პაპიაშვილმა, მირზაშვილმა და ბერულავამ, დეკანოიძემ . . . ბევრნი იყვნენ და დაიხოცნენ.

სიკვდილის წინ სააკიანს ჰკითხეს; “ჩვენი ხალხი ხომ საბჭოეთის მხარეზე იდგა, რად უღალატე ჩვენიანებს, რატომ და რისთვის? პასუხი კი ასეთი იყო: “აქ გავიზარდე. . . თავისუფლება და სამშობლო სწყურია ამ ხალხს, თავს იცავენ და დასარბევად სხვას არ ესხმიან. მე სომეხი ვარ, მაგრამ მათი ქვეყნის გაზრდილი და მათი ჭირის მოზიარე ვიქნები მუდამ. ვიცი, ქართველებს უანგარო გულით ვუყვარვარ, და ორგულობით ვერ მივუზღვავ სამაგიეროს“.

ეს სიტყვები არ აპატიეს სააკიანს და ოჩამჩირის რაიონის სოფ. ლაბრას სომხებმა, არდაშ ავედიანის ხელმძღვანელობით დახვრეტილ იქნა.

სამუშია ვიგლემი (კოტე)

დაიბადა 1940 წლის 3 მაისს, წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიაში. დაამთავრა ლიას საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტში აგრონომის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. იყო დაოჯახებული. მუშაობდა ქ. სოხუმში გალანტერიის ქარხანაში საამქროს უფროსად.

როცა საქართველოს, თავის მშობლიურ აფხაზეთს გაუჭირდა სამუშიების ოჯახიდან მამა-შვილი დადგა მის გვერდით, ომის დაწყების დღიდან იყვნენ ომის მონაწილეები. სამუშია ვიგლემი (კოტე) იყო 23-ე ბრიგადის 1 ბატალიონის მებრძოლი, ხოლო მისი შვილი - ხვიჩა სამუშია მე-2 საარმიო კორპუსის კავშირგაბმულობის ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილე - მაიორი.

ძალიან ძნელია ვიგლემ (კოტე) შენზე რაიმის დაწერა, იმდენად კარგი და დიდებული იყავი, სიტყვების პოვნა ჭირს ამის გამოსახატავად. ყველასათვის უდიდესი სითბოს და სიყვარულის მინიჭება შეგეძლო. უსაზღვროდ თესავდი სიკეთეს, ყველასთავის ყველაფერში დახმარებას ახერხებდი, გაჭირვებვაში ჩავარდნილი უცხო ადამიანისათვის კი დაუფიქრებლად შეგეძლო თავის გაწირვა. ისე ადვილად უახლოვდებოდი ადამიანებს, ახლად გაცნობილთად დიდი ხნის ნაცნობად და მეგობრად მიიჩნიდი. შენ იმდენად

კაცმოყვარე ვაჟკაცი იყავი, რომლისთვისაც მეგობარს კი არა, უბრალოდ უცნობი ადამიანის ღალატიც უცხო იყო, არც სიტყვის გატეხვა და უკან დახევა გჩვეოდა. ყოველთვის პირნათლად იხდიდი შენს ადამიანურ ვალს და როცა საქმე პატრიოტული ვალის მოხდაზე მიდგა, უკან არც აქ დაიხიე.

1993 წლის 25 სექტემბერს სოხუმის დაცემისას აფზხაზმა სეპარატისტებმა ორ მეზობელთან ერთად დაგხვრიტეს სასტიკი წამებით და იქვე მეზობლად მიტოვებულ ეზოში სამიე ერთად ორმოში ჩაგყარეს.

უნებართვოდ და ჯიუტად სულ ბრძოლის წინა ხაზისკენ მიიწევდი, იმიტომ კი არა, რომ სისხლი გწყუროდა, არა, შენ ქრისტიანი იყავი, უბრალოდ სხვაგვარად არ შეგეძლო.

დიდი სიყვარულით იხსენებენ ნაცნობ-მეგობრები, გლოვობს შენი დამწუხრებული ოჯახი, ახლობლები, ყველას ვისაც ერთხელ მაინც უხილავს შენი მოკრძალებული ღიმილი, საქმეში - შენი შემართება და -პრინციპულობა.

მეგობრები განსაცდელში არ მიატოვე და უყოყმანოდ შესწირე ღმერთისგან ბოძებული სიცოცხლე სამშობლოს, თუმცა შენი ცხოვრება გრძელდება შენს ლამაზ შთამომავლაბაში გენსა და სისხლში იმათში, ვინც თავზე მეტად გიყვარდა, ვისთვისაც ცოცხლობდი და იბრძოდი. შენი ვაჟიშვილი, ხვიჩა, რომელიც შენს გვერდით იცავდა სამშობლოს, დღეს თავის შვილებს უნერგავს ბაბუის დიდ პატრიოტულ სიყვარულს.

სულითა და სიყვარულით სავსე გულით, რაინდულად იცხოვრე და პირნათლად, ვალმოხდილი წახვედი ამ ქვეყნიდან. ალალი იყოს მშობლიური მიწა, რომელსაც შეეწირე!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, მარადიული სასუფეველი დაიმკვიდროს ზეციურ საქართველოში.

ნათელი დაადგეს შენს წმინდა სახელს .

სირბილაშვილი არჩილი

„დიდგორის ბატალიონი“ გაგრაში ყველაზე ცხელ წერტილში იბრძოდა. გაგრის აღების დღეს „დიდგორის ბატალიონი“ უკან იხევდა. ცენტრალურ გზაზე არჩილი ბიჭებს ზურგს უმაგრებდა. უკანდახევის დროს ღობეზე ვერ გადახდა. მტრის ტყვია ზურგში მოხვდა და დაიჭრა. ჯერ კიდევ ცოცხალს ვერავინ მიეშველა - უკან იხევდნენ. ამის მერე მისი ბედ-იღბალი უცნობია.

გაგრიდან მიცვალებულთა ჩამოსვენებას ოჯახი ესწრებოდა. მათთან ერთად „დიდგორის ბატალიონის“ უფროსის - გივი ქენქაძის მეუღლე. მოგვიანებით გაირკვა, რომ არჩილი ტყვეობაში იყო და დაიხსენეს. მიცვალებულთა შორის აჩიკო არ აღმოჩნდა. აეროპორტში თემურ ვარდიაშვილი შეხვდა ჟურნალისტ ლულუ ჩხენკელს, რომელსაც გაგრაში ენახა აჩიკო. ბიძამ გადაწყვიტა აფხაზეთში გამგზავრება აჩიკოს საძებნელად „ავღანელთა კავშირთან“ ერთად. სოხუმის აეროპორტში შეხვდა „დიდგორის ბატალიონის“ მეომრებს: ხოსიტაშვიულებს, არაბულს, თემური დარჩა ბატალიონის ბიჭებთან, რომელიც ზღვის მხარეს იდგნენ მოწინავეზე. ღამის 2-3 საათზე ატყდა სროლა. მტერი ზღვიდან აპირებდა დესანტის გადმოსხმას. ჩვენებმა მტერი შეაჩერეს. ბიძა ეძებდა ყველგან, სადაც კი დაჭრილები შეიძლება ყოფილიყვნენ. ყველგან მაგრამ უშედეგოდ... უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

არჩილ სირბილაშვილი სიკვდილის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 30 აპრილის # 30/04/01 განკარგულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

სანაია გოგი (გოგა) გურამის ძე

დაიბადა 1969 წლის 18 აპრილს მარტვილის რაიონის სოფ. ლეხაინდრავოში.

დაამთავრა ლეხაინრაოს საშუალო სკოლის 8 კლასი. მან პატარაობისთანავე ხელოვნებისადმი ნიჭი გამოავლინა. 10 წლისა საბავშვო სამხატვრო სკოლაში სწავლობდა, მერე მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ტყვიების ზუზუნი გაიარა ავღანეთის ცხელ მიწაზე.

1990 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე, ფერწერის სპეციალობით.

გოგას მეგობრები იხსენებენ, როგორც გულწრფელ და სიკეთით სავსე პიროვნებას.

1992 წლის ნოემბრის თვიდან მოხალისედ ირიხცხებოდა პირველი საარმიო კორპუსის მე-11 ბრიგადის 116-ე ბატალიონ „თეთრი არწივის“სადაღვეო ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე.

გოგა მონაწილეობდა ბატალიონის მიერ წარმოებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში, გამოირჩეოდა მამაცობითა და თავდადებით.

1993 წლის 13 ივნისს მესამე კურსის სტუდენტი შეეწირა თავის მშობლიურ მიწას. მტრის ტყვიამ იმსხვერპლა უსაზღვროდ შეყვარებული ჭაბუკი.

გოგა სანაია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

სტეფლიანი ვაჟა

დაიბად 1963 წლის 3 მაისს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეიში.

წარჩინებით დაამთავრა სოფ. ოხურეის საშუალო სკოლა წარჩინებით. სამხედრო-სავალდებულო სამსახური მოიხადა ქ. ხაბაროვსკში. 1983 წლიდან მუშაობა დაიწყო შს სამინისტროში, პოლიციელად. ქ. თბილისის შს სამინსტროში კვალიფიკაციის ასამაღლებელი 6 თვიანი კურსი გაიარა, რომლის შემდეგ მას მიენიჭა უმცროსი სერჟანტის წოდება. მაღალფროფესიონალურ დონეზე ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. თანამშრომლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე იგი უყოყმანოდ დადგა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის მებრძოლთა რიგებში. თავდაუზოგავად იცავდა თავის სამშობლოს.

1993 წლის 25 თებერვალს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს ვაჟა სტეფლიანი სოფ. მერკულასთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, მას პირველად დახმარება აღმოუჩინეს ოჩამჩირის საავადმყოფოში, შემდეგ ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპოტალში. ჰოსპიტალში მკურნალობისას ერთი სული ჰქონდა დაბრუნებულიყო ბრძოლის ველზე, გულიანი და მამცი იყო. ჰოსპიტალში დამუმძიმდა მდგომარეობა და იქვე დაიღუპა.

დაკრძალულია ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეიში.

კობა სხირტლაძე

დაიბად ქ. თბილისში 1971 წლის 21 დეკემბერს.

1977 წელს შევიდა ქ. თბილისის 85-ე საშუალო სკოლაში. არასრული სკოლა 1986 წელს დაამთავრა წარჩინებით.

19866 წელს სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის კ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ სპეციალურ სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1989 წელს წარჩინებით. მიღებული აქვს ქების სიგელი და მადლობის წერილი.

1989 წლის 1 აგვისტოს ჩაირიცხა საჰაერო თავდაცვის ლენინგრადის უმაღლეს სამხედრო პოლიტიკურ სასწავლებელში.

1991 წელს საკუთარი სურვილით დაწერა პატაკი სასწავლებლიდან წამოსვლის თაობაზე და მან საბუთები გადმოიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაუსწრებელი სწავლების მე-3 კურსზე. პარალელურად დაიწყო სამსახური საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის შემადგენლობაში, პირველი სამთომსროლელი ასეულის მეთაურის თანამდებობაზე.

1992 წელს იბრძოდა ჯერ სამაჩაბლოში, ხოლო 14 აგვისტოდან იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში. ამავე წლის 2 ოქტომბერს ქ. გაგრაში დატრიალებული ტრაგედიის გამო.

კობა სხირტლაძე გაემართა სოხუმიდან გაგრაში თავისი ძმის დავით სხირტლაძის და იქ დარჩენილი მებრძოლების მისახმარებლად. მას შემდეგ, ორივე ძმის კობა და დავით სხირტლაძეების ბედი გაურკვეველია. შვილების ტრაგედიას შეეწირნენ მშობლები, ჟუჟუნა და ბიჭიკო სხირტლაძეები. მათ აღარავინ აღარ დარჩათ.

ჯამბულ სოფრომაძე

დაიბადა 1972 წლის 8 ივნისს ქ. ტყიბულში.

1992 წელს გაიწვიეს სამხედრო სამხედრო სავალდებულო სამსახურში აფხაზეთის რეგიონში.

1993 წლის 2 ივლისის შემდეგ დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

სხირტლაძე დავითი ბიჭიკოს ძე

დაიბადა 1973 წლის 5 ივლისს ქალაქ თბილისში.

1979 წელს შევიდა ქ. თბილისის 85-ე საშუალო სკოლაში და წარჩინებით დაამთავრა 1988 წელს 8 კლასი.

1988 წელს ჩაირიცხა თბილისის 95-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1991 წლის 26 ივნისს. გამოირჩეოდა კარგი ყოფაქცევით. 1991 წლის 26 ივნისის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით, მიენიჭა ზეინკალ-შემკეთებლის მეოთხე თანრიგის კვალიფიკაცია.

ჰქონდა ქართული ცეკვისადმი მისწრაფება, 6 წლის ასაკიდან ცეკვავდა. 1987 წელს შევიდა სუხიშვილების სტუდიაში, რომელიც დაამთავრა 1990 წელს.

1991 წლის 1 მაისს, თავისი სურვილით მივიდა კომისარიატში და ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის პირველი საარმიო კორპუსის # 28 ბატალიონის პირად შემადგენლობაში, მზვერავ-რიგითად.

1992 წლის 14 აგვისტოდან იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში.

1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრაში მიმდინარე ბრძოლების დროს დაიკარგა უგზო-უკვლოდ. მასთან ერთად დაიკარგა მისი ძმა-კობა სხირტლაძე.

სოზიაშვილი თეიმურაზ

დაიბადა 1954 წლის 6 ოქტომბერს ქ. თბილისში.დაამთავრა 101-ე საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლისას სწავლობდა აგრეთვე რკინიგზის სახლთან არსებულ მუსიკალურ სკოლაში. აქვე დაეუფლა ფორტეპიანოს და აკორდეონს. დადიოდა "არტოს კლუბში" ქართული სიმღერისა და ცეკვის გუნდში, საიდანაც მოიარა მრავალი ქალაქი. ასევე იტაცებდა სპორტი, ვარჯიშობდა ძიუდოში. შემდეგ დაამთავრა 24-ე ტექნიკური სასწავლებელი წითელი დიპლომით. შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში ქ. ლენინგრადში. 1975 წელს დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან მადლობებითა და ჯილდოებით. 1976 წელს ჩაირიცხა ქ. ნოვოსიბირსკის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტზე, სადაც გამოაქვეყნა რამოდენიმე სტატია ალკოჰოლერი სასმელების და ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარებაზე. მეოთხე კურსის დახურვის შემდეგ თემური გადაიყვანეს ქ. ლენინგრადის სამხედრო აკადემიის ფილიალში.
1982 წელს 24 ივნისს გაანაწილეს ქ. კაზახისტანში სამხედრო ექიმად.
ქ. თბილისში თემური დაბრუნდა 1986 წელს. მუშაობა დაიწყო ცენტრალურ სასწრაფო დახმარებაში ქირურგად.
1992 წლის სექტემბერში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში სამაჩაბლოს სამშვიდობო ჯარში, სადაც მუშაობდა სამხედრო ექიმად. ის არ არჩევდა ოსს თუ ქართველს. მისთვის ყველა ავადმყოფი ერთი და იგივე იყო.
1992 წლის 29 ოქტომბერს დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

გივი საბანაძე

დაბადებული 1968 წლის 21 მარტს, ქართველი, განათლება – თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმი, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 1992 წლიდან. გარდაიცვალა აფხაზეთში სოფ. ქვემო კინდღთან მიმდინარე საბრძოლო მოქმედების დროს. დაკრძალულია ქ. თბილისში.

ანზორ სუბელიანი

მე-8 ბატალიონის III ასეული

დაიბადა 1940 წლის 8 მარტს, მესტიის რ/ნ სოფელ ეცერში. 1949 წელს ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად სოფ. კამანში. ანზორის მამა მშენებელი კაცი იყო და მის შვილებს ცალ-ცალკე სახლები აუშენა. აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებიდან სულ მალე ანზორს მამა დაეღუპა და ამ მძიმე პერიოდში მოუწია მისი დასაფლავება. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებისთანავე ანზორ სუბელიანი, როგორც ყველა კამანელი ვალდებული იყო ხელში იარაღი აეღო და დაეცვა მისი ეზო-კარი, სოფელი, ქალაქი თუ ქვეყანა. კამანში თითქმის ყველას ჰქონდა სანადირო იარაღი და ასევე ანზორსაც მშვენიერი ორლულიანი 16 კალიბრიანი თოფი. პირველ ხანებში ამ სანადირო თოფებისგან შედგებოდა კამანელების შეიარაღება. ანზორ სუბელიანი პირველ საგუშაგოზე მორიგეობდა, იმ დღეს (1993 წლის 5 ივლისი) ქალაქში აპირებდა წასვლას და საგუშაგოდან სულ ახალი წასული იყო, როცა მტერი კამანს დაესხა. ანზორი ამ დროს მისი ძმის სახლში იმყოფებოდა (სოფლის ბოლოდან მეორე სახლი, მდინარის პირას) და ალბათ ქალაქში წასასვლელად ემზადებოდა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ანზორ სუბელიანს მარტოს მოუწია იმ ადგილიდან მტერთან შებრძოლება და მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო გასულიყო და ასიოდე მეტრში მდებარე შტაბში მყოფ თანამებრძოლებს შეერთებოდა, ადგილმდებარეობა არ შეუცვლია და სანამ ტყვიაწამალი ეყო, სროლა არ შეუჩერებია.ანზორ სუბელიანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით "მხედრული მამაცობისათვის"

ტრაპაიძე გია შაქროს ძე

დაიბადა 1970 წლის 21 ივნისს . უცოლშვილო. მსახურობდა 53-ე ბატალიონში , სერჟანტი. დაიღუპა 1993 წლის 19 ივნისს ოჩამჩირეში. დაჯილდოებულია მხედრული მამაცობისათვის.

ტყეშელაშვილი ლაშა მეთოდეს ძე.

დაბადებული 1968 20 ოქტომბერს თბილისში. უცოლშვილო. სტუდენტი. საქართველოს მხედრიონის მოხალისე. დაიღუპა პირველივე ბრძოლაში ნუგზარ ჯაფარიძესთან ერთად სოხუმის დაცვისას 1993 22 სექტემბერს სოფელ ბირცხაში დაზვერვაზე წასულ რაზმთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. დაკრძალულია ვაკის სამოქალაქო სასაფლაოზე.

ტეფანია მერაბი

დაიბადა 1962 წლის 25 მარტს გაგრაში. იქვე დაამთავრა გაგრის რუსული საშუალო სკოლა. სავალდებულო სამსახური გაიარა გორის სატანკო ბატალიონში. მიიღო ტანკისტის კვალიფიკაცია. დაამთავრა თბილისის ავტო-ტექნიკუმი. მუშაობდა გაგრის მილიციაში. გამოირჩეოდა დისციპლინით, საოცრად უყვარდა მუსიკა და პოეზია.

30 წელი დიდი დრო არაა, მაგრამ “კარგად დახარჯული სიცოცხლე ხანგრძლივი სიცოცხლეა“ (ლეონარდო და ვინჩი). ის არ წასულა ამ ქვეყნიდან ისე, როგორც მიდიან მრავალნი, იგი შემთხვევითი ადამიანი არ ყოფილა, განგება ტყუილად არავის გამოარჩევს. გამოირჩეოდა გულკეთილობით, ხელგაშლილობით, გამჭრიახობით. მას არავითარი სხვა რეგალიები არ ამკობდა, გარდა კარგი და მართალი კაცისა.

გაგრის შს საქალაქო განყოფილების პოლიციის ზემდეგი მერაბ ალექსანდრეს ძე ტეფანია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც პროფესიონალი ტანკისტი. იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. კოლხიდის მდებარე ტერიტორიაზე 1992 წლის 2 ოქტომბერს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იქნა სეპარატისტების მიერ და ამავე წლის 5 ოქტომბერს დაკრძალულ იქნა სოფ. კოლხიდის სასაფლაოზე.

მრავალი ქართველი ღიმილის ბიჭების სიცოცხლე შეიწირა ძმათა შორის დაპირისპირებამ, მათ შორის აფხაზეთში მცხოვრებ ვაჟკაცთა სიცოცხლეც, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოდნენ აფხაზ სეპარატისტებს და მათ მიერ დამქაშ ჩრდილოეთ კავკასიელ ბოევიკებს.

30 წლის ასაკში სოფ. კოლხიდასთან ჩაქრა მისი ლამაზი სიცოცხლე. მან ვერ მოასწრო დაეტოვებინა ამ ქვეყანაზე მისი გამგრძელებელი. მაგრამ ვინც მას ივნობდა, მათ გულში სამუდამოდ დარჩება რაინდი სულით ხორცამდე და რაინდად შეაბიჯა მარადისობაში.

სწორედ თქვენისთანებზე ნათქვამი ვაჟას სიტყვები: “ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცნია ღმერთადა“.

ტყებუჩავა თენგიზი არველოდის ძე

დაიბადა 1974 წლის 7 მაისს გულრიფშის რაიონის სოფ. ვარჩეში.

ახალგაზრდაჭაბუკი, რომელსაც 1993 წლის 07 მაისს შეუსრულდა 19 წელი.

სოხუმში გამორჩეული ვაჟკაცი, სულით ხორცამდე საქართველოსათვის დაბადებული, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ურთიერთობაში უბრალო, ადამიანური, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა.

1992 წლის 4 დეკემბერიდან თენგიზი მსახურობდა სოხუმის 1-ლი მოტომსროლელი ბატალიონის სამხედრო ნაწილის N 2061 -ის რიგებში ზემდეგად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქ. სოხუმის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში. ის სხვა ზემდეგებთან და ოფიცრებთან ერთად კორპუსის ბრძანების თანახმად 25-30 სამხედრო პირებმა აგუძერიდან გაემართა სოფ. შრომაში, სადაც აფხაზთა სეპარატისტები უტევდნენ სოფ. შრომას და მის ახლომდებარე ტერიტორიებს. ზეგანიდან ჩამოსულმა რუსმა ბოევიკებმა და აფხაზთა სეპარატისტებმა გაერთიანებული ძალებით შეუტიეს სოფ. შრომას ჯავშანტექნიკითა და პირადი შემადგენლობით. 1993 წლის 25 ივნისს სოფ. შრომაში აღმოჩნდნენ ალყაში, სადაც შეტაკების დროს დაიღუპა ს/ნ 2061-ის ზემდეგი, თენგის არველოდის ძე ტყებუჩავა, რომელიც შემდეგში ბრძოლის ველიდან გამოყვანილ იქნა.

19 წლის თენგიზმა გმირულად შესწირა თავი საკუთარ მიწა-წყალს. არადა, მას ხომ აფხაზებიც უყვარდა, როგორც ქართველები, მისი ბავშვობის მეგობრები ქართველებიც იყვნენ და აფხაზებიც.

მისი ცხოვრება სიზმარივით გაქრა. საქართველოზე და თავის ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული, სულიც კი სამშობლოს მტრებთან ჭიდილშია. დაღვრილი სისხლი უკვალოდ არ ჩაივლის და შთამომავლობას კეთილი სიტყვებით გადაეცემა. რამდენი აუხდენელი ოცნება და გაუკეთებელი საქმე დარჩა ამ ქვეყნად. . . მან ერის მომავლისათვის დათმო ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია - სიცოცხლე.

დასანანია, რომ ტყებუჩავა თენგის არველოდის ძემ ვერ მოასწრო თავისი სანაცვლო სიცოცხლე დაეტოვებინა სამშობლოსათვის.

აუხდენელი ოცნებით სავსე წავიდა ზეციურ საქართველოში.

სერჟანტი ზურაბ ტურაშვილი

ითვლება უგზო–უკვლოდ დაკარგულად
ზურა ტურაშვილი 1983 წელს დაიბადა ყვარლის რაიონში, სოფელ ალმატში. „6 აგვისტოს უნდა მოსულიყო სახლში, მაგრამ შუაღამისას მომწერა, კარგად ვარ, არ ინერვიულო და მოვალო… თურმე იმ ღამით გაუყვანიათ ნაწილიდან და მე არაფერს მეუბნებოდა. იმ დღესაც რომ არ მოვიდა, მწერდა, სამთვიან კარანტინში ვართ და არ ინერვიულო, ტელეფონიც არ გვექნება და არ გაგიჟდეო. მატყუებდა… ტელევიზორს რომ ვუყურებდი, უკვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე და მივწერე. ახლა კარანტინში არავინ წაგიყვანს, რა ხდება, სად ხარ-მეთქი. მითხრა, ცხინვალში ვარო. 9 აგვისტომდე მირეკავდა, ბოლოს 4-ის 15 წუთზე დამირეკა და გამოგვემშვიდობა. ყველანი მიყვარხართ და გიო დიდი კაცი გამიზარდეო. თან ვითომ მამშვიდებდა, ტელეფონი მიჯდება და ყველაფერი კარგად იქნებაო… 9 აგვისტოს შემდეგ ვერაფრით ვეღარ ვუკავშირდებოდით. ძალიან ბევრი ვეძებეთ, მაგრამ დღემდე არავინ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მასთან ერთად ვინც იბრძოდა, იმან გვითხრა, ცხინვალში სკოლის ეზოში რომ გამოვედით, მაშინ მოხვდა ტყვია, მხარში დაიჭრაო. მაშინ უთქვამს, ცოლ-შვილს მიმიხედეთო. როგორც გვითხრეს, სნაიპერმა, კაზაკმა ქალმა ესროლა…

კაპრალი ზურაბ ურიგაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

7 აგვისტოს ცხინვალში შედიოდნენ… „ბეემპე“ გაუფუჭდათ და სოფელ სვენეთთან შეჩერდნენ. მანქანას ელოდებოდნენ, ნაწილში უნდა დაბრუნებულიყვნენ. ბოლოს დას ელაპარაკა, წყალი მომიტანეთ და ბავშვებიც მანახვეთო… ზურა ურიგაშვილი „ბეემპეზე“ მემიზნე ოპერატორი იყო.

იმ ღამეს ტანკი გორის ნაწილში ჩამოიყვანეს. 9 აგვისტოს, როცა გორის ინტენსიური დაბომბვა დაიწყო, ხმაურზე ზურა, დანარჩენ ჯარისკაცებთან ერთად, ნაწილის ეზოში გამოსულა…

საზარელი აფეთქების ხმა…

ერთ წამში ყველაფერი მიწასთან გასწორდა… ზურა 25 წლის იყო

უგრეხელიძეები--გრიგოლ, ზვიად, გიორგი

შვილებს ზრდიდა სიყვარულით
სამშობლოს და მოყვასის,
იტოვებდით იმედს მუდამ
მათი კარგი მომავლის.

სოხუმის რაიონის სოფელ ლინდავაში ცხოვრობდა 60 წლის გრიგოლ უგრეხელიძე, რომელსაც თავისი ცხოვრება პატიოსან შრომაში, ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულში გაატარა. ძლიერი ვაჟკაცები გაუზარდა საქართველოს, ასწავლა მშობლიური მიწის ყადრი და სიყვარული.

სამშობლოს პირველსავე დაძახებაზე, აფხაზეთში დატრიალებული უბედურების დროს გრიგოლ უგრეხელიძემ თავისი შვილები-27 წლის გიორგი და 25 წლის ზვიადი გვერდით ამოიყენა და 1992 წლის სექტემბერში რიგითებედ ჩაიწერნენ მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის პირველ მოტომსროლელ ბატალიონში.

ბიჭები ფიზიკურადაც და სულიერადაც ლამაზები იყვნენ, სავალდებულო სამხედრო სამსახური პირნათლად მოიხადეს.

სამშობლოს სიყვარულმა წაიყვანა სამივე ომში. მამა -შვილები იბრძოდნენ საქართველოს ერტიანობისა და დამოუკიდებლობისათვის. თავდადებულმა მებრძოლეებმა მონაწილეობა მიიღეს ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში.

1993 წლის 23 თებერვალს სოფელ აჩადარაში ზვიადი ერთ-ერთ პირველი ჩაება ბრძოლაში და მტრის ულმობელმა ტყვიამ გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

1993 წლის 16 სექტემბერს მტრის მასიური შემოტევის დროს მცირე ჯგუფით გადაეღობა მტერს და ისიც ვაჟკაცური სიკვდილით დაიღუპა. მეორე დღეს 17 სექტემბერს, გააფრთებული მამა თავდაუზოგავად ებრზოდა მტერს და ჭურვის აფეთქების შედეგად დაიღუპა. სბრძოლი მოქმედებების დროს გართულების გამო, თანამებრძოლეებმა ვერ შესძლეს დაღუპულის გამოყვანა ბრზოლის ველიდან და მისი ნეშტი დაუსაფლავებელი დარჩა.

სწყურიათ თავისუფლება,
გულით სამშობლო შიოდათ,
მხნეობა მამა-პაპაპური
მკერდს გზნებად გადმოსდიოდათ.
გრიგოლ უგრეხელიძემ ყველაზე ძვირფასი განძი-საკუთარი და შვილების სიცოცხლე უძღვნა დედა საქართველოს.
ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის უპირველესი და უწმინდესი ხატი სამშობლო, მისი ერთიანობა და თავისუფლება გახლავთ

kaprali

roman ugrexeliZe

vaqxtang gorgaslis 1 xarisxis ordeni, 2008

1963 _ 2008

9 agvistos, sabrZolo Setakebisas tanki, romelsac is marTavda nawilebad daiSala. misi 2 megobari gadarCa. is ukanaskneli iyo vinc CarCa tankSi.

roman ugrexeliZe daibada 1963 wels soxumis maxloblad, sof. lindavaSi.

is mesame Svili iyo _ Zalian sayvareli da kargad aRzrdili. skolis Semdeg gaemgzavra armiaSi 3 wliT vladivostokSi. roca dabrunda coli SeirTo. maleve daiwyo soxumis portSi muSaoba. mas 3 Svili eyola.

nani cqitiCvili: ~pirveli biWi undoda, Semdeg roca gogo eyola, Zalian uxaroda. meorec gogo da mesame biWi gveyola.

misTvis agvistos omi meore omi iyo. is afxazeTSiac ibrZoda. Semdeg datova afxazeTi da cxovrobda ojaxTan erTad kopitnarSi.

man kontraqti gaaforma 2003 wels da msaxurobda vazianSi, rogorc tankisti.

nani cqitiSvili: ~2 kviriT adre sikvdilamde diliT adre Camovida sofelSi. is Zalian mowyenili iyo, cotas saubrobda. mas ar surda CvenTan saubari. bolos, ivlisis bolos vnaxeT. man 7 agvistos dagvireka. is ukve cxinvalSi iyo. 9 agvistos man ukanasknelad damireka, cotas saubrobda. . . man naTias uTxra, Tavis Svils, ~Sen Cemi ufrosi Svili xar, ici Tu rogor miyvarxar. . . mas Semdeg ar daurekavs.

is 9 agvistos daiRupa SuadRes. Cven SevityveT meore dRes. Znelia mis gareSe cxovreba. is xSirad modis sizmrad. ubralod modis, arafers meubneba da isev qreba.

ურიდია ვახტანგ

დაიბადა 1967 წლის 29 მარტს ქ. სოხუმში. იყო ნიჭიერი. მას ჰქონდა მათემატიკური ნიჭი. წარჩინებით დაამთავრა ბესლეთის #1 საშუალო სკოლის 8 კლასი. ჩაირიცხა სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. სავალდებულო-სამხედრო სამსახური გაიარა ესტონეთში, საიდანაც უფროსი სერჟანტის წოდებით დაბრუნდა. სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნებისთანავე 1988 წელს ჩაირიცხა თბილისის ტექნიკურ ი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალში. მან გამოცდებში მიიღო მაღალი შეფასება. პარალელურად მუშაობდა სოხუმის რაიონულ კომიტეტში სამეურნეო სამსახურის უფროსად.

აფხაზეთში ომის დაწყების დროს ვახტანგი უკრაინაში იმყოფებოდა. მეორე დღესვე გუდაუთის გავლით ჩამოვიდა სოხუმში და მოხალისედ ჩაირიცხა 23-ე ბრიგადის პირველ ბატალიონში.

მონაწილეობას იღებდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში. 1995 წლის 1-5 იანვარს გუმისთასთან ბრძოლის დროს გამოჩენილი სივაჟკაცე უფროსი ლეინტენანტის წოდებით დაფასდა. იგი პირველი ბატალიონის დაზვერვის ოცეულის მეთაურად დანიშნეს.

1993 წლის 16-17 მარტს, მდ. გუმისთასთან შემოტევითი ბრძოლის დროს დაჯილდოვდა მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“. მის სიმამაცეზე საუბრობდნენ თანამებრძოლები.

1993 წლის 21 სექტემბერს, როცა მტერი შტურმით უტევდა სოხუმს, გმირულად დაიღუპა სოფ. ბირცხასთან. მოწინააღმდეგემ ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი მიზანდასახულად მოარტყა ტანკს, სდაც ვახტანგი იმყოფებოდა.

ვახტანგ ურიდია დასაფლავებულია სოფ. ბესლეთში.

ვახტანგ ურიდია- საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 28 თებერვლის ბრძანებულებით დაჯილდოვდა მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ვახტანგ ურიდია- საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 09.09.# 497 ბრძანებულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

ურუშაძე ავთანდილი

დაიბადა1956 წლის 20 თებერვალს. 1970 წელს დაამთავრა ლანჩხუთის მე-2 საშუალო სკოლა.

1975 წელს დაამთავრა საქარღველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებელო ფაკულტეტი.

1976-77 წლებში მსახურობდა სავალდებულო სამსახურში ქ. ტოლიატში, საიდანაც კაპიტნის წოდებით დაბრუნდა.

1981 წლიდან მუშაობდა ლანჩხუთში კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში ინჟინერ-მშენებლის თანამდებობაზე. 1986 წლიდან გადაყვანილ იქნა ლანჩხუთის აგროსამრეწველო გაერთიანების კაპიტალურ მშენებლობისა და საბინაო კომუნალური მეურნეობის უფროსად.

მაღალი, მხარბეჭიანი, ახოვანი ვაჟკაცი ყველგან სითბოს თესავდა. მეგობრისათვის გზა და ხიდი იყო. მუდამ მომღიმარი, ხალისიანი, იუმორითა და სიცოხლით სავსე ვერ იტანდა უსამართლობას, სხვისი შემსუბუქებას, გაქარწყლობას ცდილობდა, ყველას თანამდგომი და იმედის მომცემი იყო.

მამულს მძიმე, ავბედითი დრო რომ დაედგა, მის დასაცავად გაემართა ეროვნული გვარდიის კაპიტანი, ურუშაძე ავთანდილ გიორგის ძე.

1992 წლის აპრილში სამაჩაბლოში საქართველოს ეროვნული გვარდიის სამმართვე;ლოს საინჟინრო სამსახურის იფიცერი იყო. ბოროტებასთან მორკინალი ომის ქარცეცხლში სიკვდილ-სიცოცხლის წინაშე პირისპირ წარსდგა.

აფსუა სეპარატისტების მიერ საქართველოს ერთიანობისათის ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა მამულისათვის თავდადებული 18 აგვისტოს ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე საბრძოლო დავალების შსრულებვისას,

იგი მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთის რეგიონშინ 1992 წლის 14 აგვისტოდან 1992 წლის 18 აგვისტომდე.

სამშობლოსათვის თავდადებული, სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

გმირები არასდროს კვდებიან- ავთოს სახელიც მარად უკვდავი და დაუვიწყარია.

დარ ჩა მეუღლე და ორი ქალიშვილი.

ბექა უშარაული

დაიბადა1971 წლის 21 მაისს ქალაქ ახმეტაში.დაამთავრა ახმეტის პირველი საშუალო სკოლა.
1989 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.იმავდროულად ჩაირიცხა ქალაქ როსტოვის უმაღლეს სამხედრო საზღვაო სასწავლებელში.
1991 წელს სამშობლოში დაბრუნდა და სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (დაუსწრებლად).პარალელურად მსახურობდა ქართულ ჯარში ე.წ. თელავის ლეგიონში.სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა აფხაზეთის ომიც და ბექა ერთერთი პირველთაგანი ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში.
მან ღირსეულად მოიხადა ვალი მამულის წინაშე.
1993 წლის 9 ივლისს ტამიშის მისადგომებთან გმირულად დაეცა.

ვალერ ისაკის ძე ფანგანი

ადამიანის სიცოცხლე სამყაროსავით წამიერი გაელვებაა მხოლოდ, მაგრამ ეს წამი ცხოვრებაა, ბრძოლის და ჭიდილის. სიცოცხლეც და სიკვდილიც სამაგალითო შვენის ჭაბუკს, რამე თუ " ათას ცოცხალსა ბევრჯერა, ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია", სწორედ ერთ ერთ ასეთ ვაჟკაცზე და მის ცხოვრებაზე მინდათ გიამბოთ. ვალერ ისაკის ძე ფანგანი გულრიფშის რაიონ სოფელ ლათაში დაიბადა 1945 წლის 16 თებერვალს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო ტექნიკური განათლება, პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრ სამსახური და მუშაობა დაიწყო შს სამინისტროს ორგანოში. 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან ვალერ ფანგანი უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს ერთიანობისთვის მებრძოლთა რიგში, ბრძოლის პერიოდში თავი გამოიჩინა მამაცობით და გამბედაობით, იმ სისხლიანი დღეების გახსენებისას ვალერი ფანგანის მეუღლე ნანი ბოკუჩავა ცრემლს ვერ იკავებს, დღემდე ტკივილი გაუსაძლიასია. დრო მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ ტკივილი ტკივილად რჩება, გახსნილ ჭრილობად.იმ სისხლიან ტრაგედიის ერთ მონაკვეთს იხსენებს ქბ. ნანი. ვალერი ახალი მოსული იყო საბრძოლო პოზიციიდან, რამდენიმე წუთის შემდეგ ატყდა სროლა, ჩვენი სახლი ზღვის ნაპირას იდგა, ვალერი თვალის დახამხამებაში გარეთ გავარდა და დაინახა, რომ ჩვენი გემები ნაპირს უახლოვდებოდნენ, ვალერი დაიძაბა და იყვირა რომ გემებს არასწორი კოორდინათები აქვთ მიცემული, დასასვენებელ სახლ "განთიადთან" აფხაზები არიან ჩასაფრებული, და გემისკენ გაიქცა. მან ნაპირზე გადმოსული მებრძოლები და ჯავშანტექნიკა სახიფათო ხაზის იქეთ გაიყვანა მოწინააღმდეგის შეუნელებელი ცეცხლის ქვეშ. იმ სისხლისმღვრელი ბრძოლის დღიდან ვალერი სახლში მხოლოდ ერთხელ მოვიდა რამდენიმე წუთით. მხოლო მისი თანამებრძოლების მონაყოლიდან ვიცით რომ გმირულად იბრძოდა, ყველაზე სახიფათო ოპერაციებზე თვითონ მიდიოდა თურმე, პირტიტველა ბიჭებს ცეცხლის ხაზზე მარტო არ უშვებდა ასე ეუბნებოდა: "შვილებო, მე უკან ოჯახი მრჩება, შვილები, თქვენ კი აწი უნდა ამრავლოთ ქართველი ერი. "საუბედუროდ

აუხდა წინასწარმეტყველება, მან მართლაც უკან დატოვა ოჯახი შვილები, თვითონ კი სამუდამო განსასვენებელი გაგრის რაიონის სოფელ კოლხიდასთან ჰპოვა. დაკრძალვის დღეს ხმამაღლა ტიროდნენ და არ რცხვენოდათ ახალგაზრდა მებრძოლებს "მამა მოგვიკლეს" იმდუღრებოდნენ, თურმე, მაშინ გავიგეთ ახალგაზრდა მებრძოლებს მამა შეურქმევიათ მზრუნველობისა და მამაშვილური ურთერთობების გამო, კიდევ მრავალი რამ შეგვიძლია მოვიგონოთ მაგრამ...

ვალერი ფანგანი დაკრძალულია დაბა განთიადთან, სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა მამაცი მებრძოლი. სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, ვაჟკაცობისთვის და მამაცობისთვის იგი დაჯილდოვებულია ***ვახტანგ გორგასლის მე-2 და მე-3 ხარისხის ორდენებით.***

ზაალ დიმიტრის ძე ფირცხალაიშვილი

დაიბადა 1955 წლის 7 ნოემბერს სოფ. ჭყონაგორაში.იბრძოდა გაგრის ბატალიონში , დაიჭრა სოფ.შრომაში 1993 წლის 9 ივლისს შევარდნაძის დაცვის დროს. მიღებული ჭრილობიდან გარდაიცვალა 11 ივლისს. დაკრძალულია სოფ. ჭყონაგორაში. მიღებული აქვს მე-3 ხარისხის ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენი. იყო დაოჯახებული (მეუღლე გარდაიცვალა), ჰყავს დაოჯახებული ქალ-ვაჟი.

ფირგასიმოვი ტელმანი (დავით)

დაიბადა 1964 წლის 15 ივნისს, ეროვნებით აზებაიჯანელი. დაამთავრა თბილისის #12 საშუალო სკოლა. სამხედრო-სავალდებულო სამსახური მოიხადა 1982 -1984 წლებში. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

ტელმან ფირგასიმოვი 1 სექტემბერს გაიწვიეს 103-ე ბატალიონში. იბრძოდა გაგრა-ლესელიძეში. თანამებრძოლებთან დაიმსახურა კარგი ავტორიტეტი.

ჩასვლის მესამე დღეს დაიჭრა რამდონიმე მებრძოლი. ტელმანი უშუალოდ მონაწილეობდა დაჭრლი მეომრების გამოყვანას.

გაგრა-ლესელიძის ტრაგედიის შემდეგ იგი ჩაირიცხა თავდაცვის სამინისტროს „ავაზაში“, 19 ოქტომბერს მოხალისედ ჩაირიცხა 101-ე ბატალიონში, საიდანაც განაწილებით მოხდა სოხუმის რაიონის სოფ. შრომასა და ახალშენში.

თავდაცვის სამინისტროს 101-ე ბატალიონის შემადგენლობაში, პირველი ასეულის, მეორე ოცეულის მსროლელი რიგითი ტელმან ფირგასიმოვი გაგზავნილ იქნა 1992 წლის 20 ოქტომბერს ქ. სოხუმში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მოსაღებად.

აღნიშნული ბატალიონი დისლოცირებული იყო სოფ. შრომაში. 1992 წლის 3 ნოემბერს მტრის მიერ ახალშენი-შრომის მიმართულებით შემოტევის დროს ბევრ მის თანამებრძოლებთან ერთად იგი 28 წლის ასაკში მამაცურად დაეცა მტერთან ბრძოლაში.

ფანცულაია გერმანე

დაიბადა 1929 წლის 17 იანვარს ოჩამჩირის რაიონი სოფ. კოჩარაში. დაამთავრა სოხუმის მ. გორკის სახელობის ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტი. წლების განმრავლობაში მუშაობდა სოფლის საჭოს მდივნად, შემდეგ კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარედ.

გერმანე ფანცულაია ვაჟ-კაცური და რაინდული შემართების, იყო პატიოსანი ალალ-მართალი და მოყვასისადმი სიყვარულითაც გამოიღცეოდა.

1992 წლის 29 სექტემბრს ჩაირიცხა ოჩამჩირის სამხედრო კომენდატურის ასეულის მსროლელის თანამდებობაზე. სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ვაჟკაცებს გვერდში ედგა. გერმანე ფანცულაია ეხმარებოდა პარტიზანებსა და სოფელში დარჩენილ მეზობლებს. ყოველ ნაბიჯზე სიცივე და სიკვდილი იყო ჩასაფრებული. ის მისტიროდა თავის ლამაზ სოფელს, რომელიც მგლოვიარედ გამოიყურებოდა, დასტიროდა რომ კოჩარელებს დიდი მსხვერპლის გაწევა მოუწევდათ.

ომის დაწყებიდან სოფელში იყო ჩამოყალიბებული თავდაცვის საბჭოს წევრი. სოფლის აღების დროს უბანი „სავეკუო“ ჩაიკეტა და იქ მცხოვრებლები მძევლად აიყვანეს. მათ შორის იყო გერმანე ფანცულაია შვილთან და დასთან ერთად. გერმანე ფანცულაიას შვილი 5 თვის შემდეგ გამოიყვანეს ტყვეთა გაცვლის გზით.

1994 წლის 16 სექტემბერს ჯალათი ვოუბა დაბრუნდა ოჯახის ამოსახოცად. ჯალათებმა გერმანე ფანცულაია და მისი და აწამეს, წამების შემდეგ ცოცხლად დაწვეს ორივე და-ძმა.

ფარფალია გოჩა

დაიბადა 1967 წლის 24 ნოემბერს, გალის რაიონი სოფ. ოქუმში. დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა. გოჩა ფარფალია მოიწვიეს გალის საფეხბურთო კლუბ „მზიურში“, ხოლო 1981 წელს სასწრაფოდ მივლინებულ იქნა თბილისის „დინამოში“. 1981-82 წწ. ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა. 1982 წელს გაზეთ „ლელოში“ სტატია გამოქვეყნდა „სტუდენტი ვარ მომილოცეთ“, გოჩა ფარფალიამ წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის დაბრუნდა თავის მშობლიურ სოფელს და იქ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა.

როცა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე დაემუქრა, გ. ფარფალია ჩაირიცხა ს/ნ 7177-ის ასეულის მეთაურად 1992 წლის 11 დეკემბრიდან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში.

გოჩა ფარფალია 1993 წლის 11 ნოემბერს გმირულად დაიღუპა აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლებში სოფ. სამისკურაში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

ფარულავა აკაკი ლავრენტის ძე

დაიბადა 1935 წლის 15 მაისს სოხუმის რაიონის სოფ. შრომაში. ერთი დღე არ უცხოვრია თავისი სოფლის იქით, უყვარდა და აფასებდა ქართული მიწის ყოველ ნაწილს. იქვე მუშაობდა შრომის მეურნეობის მეურნეობასი ბრიგადირად. ყველას უყვარდა აკაკი იყო დინჯი, პატიოსანი და შრომისმოყვარე.

აკაკი ფარულავა ჩაირიცხა სამხედრო პოლიციის ბატალიონში 1992 წლის 10 ოქტომბრიდან. პირნათლად ასრულებდა მეთაურის დავალებებს. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში. თანამებრძოლებში გამოირჩეოდა სამხედრო საქმის ცოდნით. იყო დაუზარელი, გამბედავი და კარგი მებრძოლი. მეთაური მას აგზავნიდნენ დაზვერვაზე, მისგან შეგროვილი დაზვერვის მასალები იყო მართალი და ზუსტი.

აკაკი ფარულავა დაიღუპა 1993 წლის 4 ივლისს ნაღმტყორცნი ჭურვის აფეთქების შედეგად სოფ. შრომაში.

ფაცაცია გაიოზ

დაიბადა 1951 წლის 3 თებერვალს ქ. სოხუმში. სოფ. შრომისწ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო-სამხედრო სამსახური. მუშაობდა დრანდის სახლთსამშენებლო კომბინატში.

აფხაზეთში კონფლიქტის დროს ჩაირიცხა 23-ე ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონის პირველი ასეულის მე-3 სატანკო ოცეულის მეთაურად.

გაიოზ ფაცაცია აქტიურად მონაწილეობდა ბატალიონის მიერ ჩატარებული ყველა საბრძოლო ოპერაციებში.

1993 წლის 16 მარტს ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიჭრა. მკურნალობის დამთავრებამდე ისევ დაუბრუნდა თავის ბატალიონს.

1993 წლის 3 ივლისს, მტრის მიერ დესანტის გადმოსხმისას, თავდაცვით ბრძოლებში მონაწილეობდა, მაგრამ კბილებამდე შეიარაღებული დაქირავებული ბოევიკების ნასროლმა ტყვიამმოულოდნელად დასცა ბრძოლის ველზე.

გაიოზ ფაცაცია დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

გაიოზ ფაცაცია დასაფლავებულია გულრიფშის რაიონის სოფ. ვარჩეში.

ფარცვანია ლევთერი პავლეს ძე

დაიბად 1926 წლის წელს მარტვილის რაიონის სოფ. თამაკონში.

განათლება - საშუალო; ცოლშვილიანი;

ცხოვრობდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალ კინდღში.

ფარცვანია ლევთერი აფხაზეთში ომის დაწყების პირველი დღიდან ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიაონობისათვის მებრძოლთა რიგებში. იგი მსახურობდა 1992 წლის 10 ოქტომბრიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექამიზებული ბრიგადის მე-5 ბატალიონში მსროლელად.

ლევთერი ფარცვამიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ბატალიონის მიერ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში კინდღი-ტამიშის მიმართულებით. არაერთხელ გამოიჩინა თავი, როგორც სამშობლოს ერთგულმა თავდადებულმა მამულიშვილამ.

ლევთერი ფარცვანია გმირულად დაიღუპა 1992 წლის 2 ნოემბერს მორიგი საბრძოლო ოპერეაციის შესრულებისას სოფ. კინდღის მისადგომებთან.

ლევთერ ფარცვანია დასაფლავებულია ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალ კინდში.

ფაცაცია თენგიზი

დაიბადა 1973 წლის 29 ივლისს გულრიფშის რაიონის სოფ. მერხეულში. უცილშვილო; დაამთავრა ლაკერბაიას სახელობის საშუალო სკოლა.

უყვარდა თავისი სოფელი, თავისი ქვეყანა. იყო ნამდვილი პატრიოტი. როცა გაუჭირდა საქართველოს მებრძოლთა რიგებში ჩადგა. აქტიურად მონაწილეობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. გამოირჩეოდა კეთილშობილებით, სიდინჯით, პატიოსნებითა და ვაჟკაცობით.

1992 წლის 30 ივნისს ჩაირიცხა მე-2 ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონში, მე 2 ასეულის პირველი ათეულის ყუმბარმტყორცნის თანაშემწედ. პირნათლად ასრულებდა მეთაურის ყველა ბრძანებას. აფხაზეთის ომის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. მისი სამშობლოსადმი თავდადება არაერთხელ აღინიშნა ბრიგადის მეთაურების მხრიდან.

თენგიზ ფაცაცია 1992 წლის 17 დეკემბერს მდინარე გუმისთასთან ვაჟკაცურად დაეცა ბრძოლის ველზე.

ფაჩუაშვილი შოთა კონსტანტინეს ძე

დაიბადა 1949 წლის 9 აგვისტოს ქ. სოხუმში.

დაამთავრა სოხუმის N 4 საშუალო სკოლა. მოსკოვის მიწათმოწყობის ინსტიტუტი.

მუშაობდა ქ. გაგრის პარტიის ქალაქკომში ინსტრუქტორად.

1992 წლის ოქტომბრიდან, გაგრის დაცემის დღიდან მუშაობდა აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტში, სადაც მინისტრთა საბჭოს თანამშრომლებთან ერთად, სოხუმის დაცემის დღემდე, 27 სექტემბრის ჩათვლით იმყოფებოდა იქ.

1993 წლის 27 სექტემბრს მინისტრთა საბჭოში მყოფ თანამშრომლებთან ერთად აყვანილ იქნა ტყვედ და სხვებთან ერთად იქნა დახვრეტილი.

ფირცხელიანი ლევან ადილარის ძე.

დაბადებული 1973 14 იანვარს. უცოლშვილო. საქართველოს ძიუდოს ნაკრების წევრი. თვდადებით იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და ბოლომდე იცავდა მშობლიურ ქალაქ გაგრას. ვერ მიატოვა დაწიოკებული მოსახლეობა და უთანასწორო ბრძოლის შემდეგ შვიდ მეგობართან ერთად დაიკარგა უგზო-უკვლოდ. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ფანჩვიძე ვლადიმერი

დაიბადა 1962 წლის 10 სექტემბერს დაბა გულრიფში. 1979 წელს დაამთავრა გულრიფშის საშუალო სკოლა და იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის რადიო-ტელევიზიის ტექნიკოსის სპეციალობაზე და 1991 წელს დაამთავრა. გავლილი აქვს სავალდებულო სამხედრო სამსახური. სამი წელის იმსახურა საზღვაო ფლოტში, სადაც მან მადლობები და ჯილდოები მიიღი.

ვლადიმერი იყო კომუნიკაბელური, კეთილი და თავმდაბალი. მუშაობდა სოხუმში თავისი სპეციალობით.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ჩაირიცხა შინაგან საქმეთა ჯარში, მას. გმირულად იბრძოდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

1998 წლის 24 მაისს გმირულად დაიღუპა გალის რაიონში სოფ. ნაბაკევთან ახლოს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს.

ვლადიმერ ფანჩვიძე დაკრძალულია წყალტუბის რაიონში, სოფ. გვიშტიბში.

უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძე

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

ეს მისი მეორე ომი იყო, აფხაზეთის უსამართლობას მის გულში სამუდამო იარა დაეტოვებინა… ცხინვალიდან ორჯერ ცოცხალი გამოვიდა და მის განკარგულებაში მყოფი ბიჭებიც გამოუყვანია ალმოდებული ქალაქიდან. თავად მხარში იყო დაჭრილი, თუმცა მესამედაც შებრუნდა ქალაქში განსაცდელში მყოფი თანამებრძოლების დასახმარებლად. ბიჭებს უთქვამთ, სახლში ცოლ-შვილი გელოდება, სადღა შერბიხარო… რაზეც ზაზას უპასუხია, ვინც იქიდან უნდა გამოვიყვანო, მათ ჯერ არც ცოლები ჰყავთ და არც შვილებიო.

ვახტანგ კონსტანტინეს ძე ფარცვანია



დაიბადა 1953 წლის 8 მაისს ქალაქ ბათუმში, სამხედრო მოსამსახურე პოლკოვნიკ-კონსტანტინე ფარცვანიას ოჯახში.
ამავე წელს, მამა- კონსტანტინე ფარცვანია ოჯახთან ერთად მიავლინეს უკრაინის ქალაქ ბელაია ცერკოვში.1963 წელს ოჯახი ბრუნდება თბილისში. და-ძმა ფარცვანიები ეთერი და ვახო, სკოლის არდადეგებს სოხუმში- ვიემი ბარათაშვილის ქუჩის 43 ნომერში მდებარე მშობლიურ სახლში ატარებდნენ.
თბილისში დაბრუნების თანავე, ვახტანგი სწავლას 27-ე საშუალო სკოლაში განაგრძობს. სკოლაში სწავლის დროს ვახო გაიტაცა სპორტმა, ჯერ ცურვამ, შემდეგ კი წყალბურთმა. სულ მალე წყალბურთში წარმატებასაც მიაღწია, გახლდათ ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი. ნიჭიერი და მუსიკალური ადამიანი იყო, სკოლის ასაკში მე-2 მუსიკალურ სკოლაში ვიოლინოზე დაკვრასაც დაეუფლა, უკრავდა ფორტეპიანოსა და გიტარაზე, ფლობდა ინგლისურ ენას.სკოლის დამთავრებისას სწავლა გააგრძელა ინდუსტიალურ პედაგოგიურ ტექნიკუმში, ტექნიკუმის დამთავრებისას ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მუშაობდა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში.
1987 წელს დაოჯახდა, ყავს 2 ქალიშვილი.
1992 წელს აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებიების დაწყებისთანავე ვახტანგი ბიძაშვილებთან ერთად ომის ქარცეცხლში გაეხვია.
თავიდან ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ლორიკ მარშანიასთან მუშაობდა, სადაც არა ერთი ქართველი, აფხაზი თუ სხვა ეროვნების ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა.
ვახტანგი ბიძაშვილებთან - საშა და გიორგი ფარცვანიებთან ერთად, რაულ ეშბას და მინისტრთა საბჭოს დაცვას უზრუნველყოფდა. ყველაფერთან ერთად სამივე ბიძაშვილი უშუალო მონაწილეობას სოფელ შრომასთან გაჩაღებულ არაერთ საბრძოლო მოქმედებებშიც ღებულობდა. უკანასკნელი კავშირი ვახტანგთან 27 სექტემბერს დილის 10 საათზე სამთავრობო სატელეფონო ხაზით განხორციელდა., მიუხედავად ოჯახის ხვეწნა- მუდარისა ვახტანმა კარეგორიული უარი განაცხადა

შინ წამოსვლაზე. სოხუმის დაცემის მიუხედავად არცერთმა მათგანმა კუთვნილი პოზიცია (აფხაზეთის მინისტრთა შენობა) სავარაუდო დახმარების იმედით თუმცა, როგორც ყველასათვის უკვე ცნობილია ტყუილად ელოდნენ. ვახტანგი და ალექსანდრე (საშა) ფარცვანია მინისტრთა საბჭოს ეზოში გამოიყვანეს დაჩოქებაზე,....დაჩოქებაზე უარის თქმის გამო ორივე სიცოცხლე ავტომატის ჯერმა გამოასალმა.
მარადიული ხსოვნა გმირებს....

ფილფანი გივი

დაიბადა 1957 წლის 5 მარტს, 1964 წელს შევიდა სოხუმის რაიონის სოფელ ლინდავის რვაწლიან სკოლაში, შემდეგ სწავლა განაგრძო ბესლეთის საშუალო სკოლაში და დაამთავრა 1974 წელს.
1976 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რომელიც ქალაქ პენზაში მოიხადა.
აფხაზეთის ომის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის პირველ მოტომსროლელ ბატალიონში. მონაწილეობა მიიღო ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1992 წლის დეკემბრისა და 1993 წლის 4-5 იანვრის ბრძოლებში სოფელ აჩადარაში.
ორჯერ მიიღო ჭრილობა. 1993 წლის 3 აგვისტოს საბრძოლო ოპერაციის ჩატარებისას გივი ფილფანი მტრის მიერ ნასროლმა ტყვიამ იმსხვრეპლა

ფიფია ტარასი

დაიბადა 1955 წლის 6 ივნისს სოფელ კოჩარაში.
იგი ჩარიცხული იყო 24-ე ბრიგადის რიგით მსროლელად. იბრძოდა კოჩარასთან, ლაბრა-ტამიშის გზაზე.
1993 წლის 2 ივლისს მტრის დესანტთან უთანასწორო ბრძოლის დროს, ტამიშის გზაზე, მტრის ნასროლი ტყვიით დაიღუპა. ტრასის განთავისუფლების დროს ტარასის გვამი იპოვეს გზისპირა თხრილში, მიწის ზემოთ. ტარას ფიფიას ცხედარი გამოასვენეს და დაკრძალეს ოჩამჩირეში 7 ივლისს.

ქაჯაია ომარ

დაიბადა 1943 წლის 27 მარტს ქ. სოხუმში.1950-60 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის სოხუმის პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. 1960-65 წლებში სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტზე. მუშაობდა თავისი სპეციალობით სხვადასხვა დაწესებულებაში.
ომის დაწყების პირველი დღიდან ჩაირიცხა მოხალისედ ბატალიონ "ცხუმში", იყო ბატალიონის კადრების სამსახურის უფროსი. ომის დამთავრების ბოლო დღემდე პირნათლად ასრულებდა ბატალიონის ხელმძღვანელობის ყველა დავალევას.
მთელი ომის პერიოდში ომართან ერთად სოხუმში იბრძოდა მისი უმცროსი ვაჟი, 21 წლის ბაგრატი. მათ ქალაქის დათმობა ვერ წარმოედგინათ.1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზმა სეპარატისტებმა შეიპყრეს და დახვრიტეს. ომარი მტერს ტყვედ არ ჩაბარდა და ხელყუმბარით თავი აიფეთქა.
შემზარავია ქაჯაია მამა-შვილის ომის ისტორია....

(ხულიგანა) მიხეილ გიორგის ძე ქორიძე

მიხეილ ქორიძეს, ხულიგანას 1992 წლის 14 აგვისტოს 21 წელი შეუსრულდა. 27 აგვისტოს ომში წავიდა და სამ დღეში, პირველსავე ბრძოლაში დაიღუპა.
მიშიკოს ხულიგანათი იცნობდა მთელი თბილისი.
თბილისის 53-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა. სკოლის დროინდელი მეტსახელია ხულიგანა, ალბათ, მოუსვენარი და ცელქი რომ იყო, იმიტომ…
„ძალიან კარგი მეგობარი ჰყავდა – რატი კიკაჩეიშვილი, ომში წასვლის იდეა მას მოსვლია, არადა, ორივე ბიჭი საკმაოდ რომანტიკული ხასიათის იყო. მიშიკომაც გამომიცხადა, კაცი ხომ ვარ, სამშობლოს დაცვა ჩემი მოვალეობაც არისო,“ – იხსენებს მიშიკოს დედა“.
ბზიფის ხეობაში, სოფელ კოლხიდასთან მაშველ ძალას დაუგვიანია. ამბობდნენ, ღალატიც იყოო…
„როგორი მწარე იქნებოდა მიშიკოსთვის მის თვალწინ მოკლული რატი კიკაჩეიშვილის დანახვა და როგორი ადვილი იქნებოდა მისთვის რატის შემდეგ, რატის გამო სიკვდილი.“

ნოდარი ქალდანი

დაიბადა 1966 წელს მრავალშვილიან ოჯახში გულრიფშის რ.ნი სოფ. ომარიშარში. საშუალო დამთავრა ქ.სოხუმში. მოიხადა სამხედრო მოვალეობა.
ეროვნული მოძრაობის დროს იღებდა მონაწილეობას ყველა ღონისძიებებში. 1992 წლის სექტემბრიდან 23-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონის მეომართა რიგებში ჩაეწერა და წარმატებით ასრულებდა ყველა დავალებას.
1993 წლის 16 მარტს გმირულად დაიღუპა გუმისტის მისადგომებთან.
დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ)
დაკრძალულიაკოდორის ხეობაში სოფ. ომარიშარში.

ქათამაძე გიორგი

დაიბადა ქ. თბილისში 1969 წლის 27 ოქტომბერს.1975-1985 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 64-ე საშუალო სკოლაში. პარალელურად სწავლობდა მუსიკალურ სასწავლებელში.1987-1991 წელს ჩააბარა ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში.1993 წლის აგვისტოს თვიდან მსახურობდა უშიშროების სისტემაში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემისას დაიკარგა უგზო-უკვლოდ.საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 ნოემბრის განკარგულებით, ზემდეგი გიორგი ქათამაძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ქართლელიშვილი ლევანი

დაიბადა ქ. თბილისში 1968 წლის 2 თებერვალს.1974-1983 სწავლობდა ქ თბილისის მე-7 საშუალო სკოლაში.1983-1987 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის უ. ჩხეიძის სახელობის საამშენებლო ტექნიკუმის საამშენებლო ფაკულტეტზე.1987-1989 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ყაზახეთის ოლქში, ქალაქ ჯამბულში (სამხედრო წოდება - ზემდეგი).ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა თავისი სპეციალობით სხვადასხვა სამშენებლო ობიექტებზე.1991 წელს მონაწილეოდა სამაჩაბლოში წარმოებულ შეიარაღებულ კონფლიქტში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 23 სექტემბერს ქ. სოხუმთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ. სავარაუდოდ დაკრძალულია სოფ. მაჭარკის ძმათა სასაფლაოზე.1994 წლის 2 დეკემბრის, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძალებულებით დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლი I ხარისხის ორდენით.

ქორთიაშვილი ალექსი

დაიბადა 1973 წლის 21 ოქტომბერს ქ. ხაშურში.1981–1989 წლებში სწავლობდა ხაშურის 4–ე საშუალო სკოლაში.1989–1991 წლებში სწავლობდა ხაშურის პროფესიულ სასწავლებელში მექანიზაციის სპეციალობაზე.1992 წლის 20 ივნისს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში საქართველოს შს შინაგან ჯარში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 2 ივლისს, ოჩამჩირის რ–ნის, სოფ. კინდღთან დაიკარგა უგზო–უკვლოდ.

ქიტიაშვილი ვაჟა

20 წლის ვაჟა ქიტიაშვილი (კახელო), მშობლიური სოფელ მანავიდან აფხაზეთის ომში მოხალისედ გაიპარა. "თეთრი არწივის" სპეცრაზმში ჩაირიცხა და ბრძოლებში აქტიურად ჩაერთო. 1992 წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ იგი აღარავის უნახავს. გაგრის ბრძოლების დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. 23 წელია, ახლობლები და ოჯახის წევრები ვაჟას საფლავის გარეშე დასტირიან... ისტორიისთვის ვაჟა ქიტიაშვილი შინმოუსვლელ ჭაბუკად დარჩა.



ქარდავა ლერი

დაიბადა 1960 წლის 26 მაისს სოხუმის რაიონის სოფელ შრომაში. წითელ დიპლომზე დაამთავრა სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი. შემდეგ სწავლა განაგრძო როსტოვის საინჟინრო სამშენებლო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1992 წელს.
პირველივე დღიდანვე ჩაება საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში, იყო ასმეთაური, ლეიტენანტის წოდებით.
აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის დროს ჩარიცხული იყო ქ. სოხუმის სამხედრო პოლიციის ბატალიონის შემადგენლობაში ასეულის მეთაურად 1992 წლის 15 სექტემბრიდან. მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში. კერძოდ; ტამისი-ლაბრა, კინდღი-ანუარხუ, შრომა-ზეგანი, მდ. გუმისთის მისადგომები. პირნათლად ასრულებდა მეთაურის ბრძანებებსა და დავალებებს. 1992 წლის დეკემბერში მკლავში დაიჭრა, ჭრილობა ფეხზე დგომით მოიშუშა და ერთი დღითაც არ მიუტოვებია თავისი ბიჭები და შტაბი. განსაკუთრებით მან თავი გამოიჩინა 1993 წლის 15-16 მარტის შემოტევის დროს თავის ასეულთან ერთად, არ მისცა მოწინააღმდეგეს ქალაქში შესვლის საშუალება.
ლერი ქარდავა უშიშარი მებრძოლი იყო, არასოდეს დამალულა სხვის ზურგს უკან და იარაღით ხელში სამშობლოს დამცველთა წინა რიგებში იდგა მუდამ .
მტერს გადმოლახული ჰქონდა მდინარე გუმისთა, ლერი ასაფეთქებლად წინ გაიწია და ბიჭებს მოაძახა; "აქ არ დამტოვოთო. იმისათვის რომ ეხსნა თანამებრძოლები, ყუმბარმტყორცნელი ესროლა მტრის მეტყვიამფრქვევებს და ჩააჩუმა. მეორემ კი ცეცხლი ლერიზე გადაიტანა. დაიღუპა 1993 წლის 16 მარტს მდ. გუმისთის მისადგომებთან.
მებრძოლებმა ლერი ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს. მას ავტომატი მარჯვენა ხელით გულზე მიხუტებული ჰქონდა, ის იარაღით ხელში მოკვდა. დასაფლავებულია სოხუმის რაიონის სოფ . შრომაში.
სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ქარჩავა ველოდი

დაიბადა 1932 წელს 5 თებერვალს ქ. ოჩამჩირის რაიონში სოფელ მერკულაში.
ქარჩავა ველოდი- ცოლშვილიანი. პროფესიონალი სამხედრო არ ყოფილა, არც ერთი აკადემია დაუმთავრებია, მაგრამ მან იცოდა სამშობლოს გაჭირვების დროს როგორ ამოუდგებოდა გვერდით. ჰყავდა უამრავი მეგობრები სხვადასხვა ეროვნების.
როცა თავის ქვეყანას გაუჭირდა, უყოყმანოდ ჩადგა 24-ე ბრიგადის244-ე ბატალიონის შემადგენლობაში რიგით მებრძოლად.
ქარჩავა ველოდს, რომელიც იყო 61 წლის უჭირდა ოჯახიდან განშორება, მან იცოდა ან სიცოცხლე ან სიკვდილით დამთავრდებოდა მისი მოღვაწეობა.მგრამთავის ოჯახზე წინ სამშობლოს სიყვარული დააყენა წინ და ამ დიდი სიყვარულით შეწყდა მისი სიცოცხლე. 1993 წლის 24 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ მერკულასთან დაიღუპა საქართველოს თავდადებული ვაჟკაცი. დაკრძალულია ქ . ზუგდიდში.

ქარდავა ემზარ

დაიბადა 1970 წლის 30 აგვისტოს გულრიფშის რაიონის ქვემო ფშაფში.
საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.
დაამთავრა ქ. სოხუმის 45-ე პროფტექნიკური სასწავლებელი. ქარდავა ემზარ ომის დაწყების პირველივე დღიდანვე თავის ძმასთან მურთაზისთან ერთად იბრძოდა საკუთარი მიწის დასაცავად, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მეორე ბატალიონის მეოთხე ათეულიში ირიცხებოდა.
აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მიერ წარმოებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში. ყველა საბრძოლო ბრძანებას ასრულებდა სწრაფად და მამაცურად. მისი მამაცური სა საზრიანი მოქმედებით მოწინააღმდეგისარაერთი საცეცხლე წერტილი იქნა ჩაქრობილი და განადგურებული.
1993 წლის 16 სექტემბერს, როცა მოწინააღმდეგე მუხანათურად შემოიჭრა ქ. სოხუმის შემოსასვლელში, ის როგორც ყოველთვის ფრონტის წინა ხაზზე აღმოცნდა.
1993 წლის 21 სექტემბერს, გააფრთებული ბრძოლების დროს, გელოვანის ქუჩის მახლობლად იგი მოწინააღმდეგის სნაიპერის მიერ გასროლილმა ტყვიამ იმსხვრეპლა.
დაკრძალულია გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო ფშაფში.
სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.
მან გმირული სიკვდილით დაამტკიცა; "ქართველი არ დაიჩოქებს, უმალ მოკვდება." ის თავის თანამებრძოლთა ხსოვნაში დარჩება, როგორც სპეტაკი და უშიშარი ვაჟკაცი.

ქარდავა რევანტი

ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო , შვილო!
სიცოცხლე მივეც, რომ შეძლოს შენთვის სიკვდილი..."

დაიბადა 1970 წლის 4 ნოემბერს ქ. სოხუმის სოფელ შრომაში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ განაგრძო სწავლა ინდუსტრიულ ტექნიკუმში.
ბოლომდე შეგნებულმა პასუხისმგებლობამ მამაცი მებრძოლი უკვდავებას აზიარა. გმირებად არ იბადებიან, გმირს ბრძოლა შობს, ყველაზე ძვირფასი, რაც კი ადამიანს აქვს, ეს არის სიცოცხლე. იგი ერთხელ ეზლევა და ისიც ისე უნდა გაიღოს...
ქართული ფუძე, ქართული ძირი ისევ ყვავილობს...
ქართული ხალხი თქვენი ოცნების ასასრულებლად, თავს არ დაზოგავს.
1993 წლის 23 ივლისს შრომასთან სამშობლოს ერთიანობას, მის მომავალ კეთილდღეობას შეეწირა 22 წლის ყმაწვილი ქარდავა რევანტი.
იბრძოდა -მამულის ერთიანობისათვის,
იბრძოდა-საქართველოსთვის!

ქარაია ბარდღა

დაიბადა 1934 წელს 4 ივნისს წალენჯიხის რაიონის სოფელ მედანში.1946 წელს გადასახლდა სოფელ ახალდაბაში. მუშაობდა სოფლის მეცხოველეობის ფერმაში. 1959 წელს დაოჯახდა. 1967 წელს სამუშაოს შესრულების დროს მიიღო ტრამვა, რის შედეგადაც დაკარგა მარცხენა (კიდური) ხელი. იყო პირველი ჯგუფია ინვალიდი. მიუხედავად თავისი წლოვანებისა, 61 წლის ქარაია ბარდღა, როცა სამშობლოს გაუჭირდა, ულამაზეს კუთხეს, შემართებით დადგა ექსტრემისტების წინააღმდეგ საბრზოლველად. ის თავის ხალხს იცავდა.
1993 წლის 26 სექტემბერს დაიღუპა საბრძოლო დავალების შესრულების დროს სოფელ ახალდაბაში. ასე დაიღუპა სმშობლოს და ოჯახის მოყვარული ვაჟკაცი, რომელმაც კაცური კაცის სახელი დატოვა.

ქაჯაია აველი

დაიბადა 1938 წლის 23 დეკემბერს ქ. სოხუმში, ცოლ-შვილიანი.
1945-1959 წლებში სწავლობდა სოფელ აბედათის საშუალო სკოლაშ, გაიარა სამხედრო სვალდებულო სამსახური. 1966 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის მე-7 რუსულ სკოლასთან არსებული კულინარიული სასწავლებელი. მუშაობდა მზარეულად სოხუმის მე-2 სსაშუალო სკოლაში1992 წლის 26 დეკემბერს, ბრძანების ნომერ 20 საფუძველზე ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის პირველი მოტომსროლელ ბატალიონში მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო ოპერაციებში ბატალიონთან ერთად. 1992 წლის 26 დეკემბერს სბრძოლო პოზიციების დაბომბვის დროს, ჭურვის აფეთქების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.
დაკრძალულია გულრიფშის რაიონში.
ომს არ გააჩნია დრო, საათი და წუთი, მთავარია შენ რარიგად გულით იბრძოლებ სამშობლოს დასაცავად.

ქალდანი ელვარდი

დაიბადა 1957 წლის 7 ივნისს გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩეში. დაამთავრა კოდორის საშუალო სკოლა. ადამიანი იბადება, იზრდება და მერე ჩამოყალიბდება ისე როგორც აღზრდის დედა. და, სწორედ ქალდანი ელვარდი იყო ვაჟკაცი, რომელმაც სამშობლოს სიყვარულისთვის ყველაფერი დათმო.. ყველაფერი რასაც ჰქვია სიცოცხლე...

ქალდანი ელვარდი ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში. დალის ხეობა აფხაზეთის ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონია. იგი მდინარე სანაპიროზეა გადაჭიმული. ცრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან კავკასიონის მაღალი მთები ღობავს, ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი და ზემო სვანეთში ასასვლელი უღელტეხილებით. სამხრეთიდან ესაზღვრება ტყვარჩელი და უფრო ქვემო--ოცამცირის სოფლები ღვადა და კვიტოლი, დასავლეთიდან სოხუმი. ამიტომ ამ ხეობის დაცვა აუცილებელი იყო, რომ სოხუმს ზურგიდან საფრთხე არ შექმნოდა.

ამ ბრძოლას სათავეში ცაუდგა, თავისი ავანური ვაჟკაცობით ქალდანი ელვარდი.

დრო გადიოდა, ომი არ ცხრებოდა, მოდიოდა ცნობები იმის თაობაზე, რომ მტერი ემზადებოდა ახალი შემოტევისათვის.

28 სექტემბერს, საღამოს მთელი აფხაზეთის ტერიტორია დაიცალა ქართველი მოსახლეობისაგან. ბოლო წუთამდე მიმდენარეობდა ბრძოლები. დარცენილი ბიჭები აღარ თმობდნენ ტერიტორიას. და ამ დროს სოფელ მაჭარკაში 1993 წლის 28 სექტემბერს მტრის მიერ ერთ-ერთ შემოტევისას მოკლული იქნა ქალდანი ელვარდი.

აქ დამთავრდა მისი სიცოცხლე... არა და არა ! ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ , მაგრამ მაშინაც არ ვტოვებთ სიცოცხლეს!

ქებურია რაინდი

დაიბადა 1970 წლის 1 მაისს გულირიფშის რაიონი სოფელი პირველი ვარჩე.
საშუალო სკოლა დაამთავრა თავისივე სოფელშ 1987წელს.სწავლა გააგრძელა პრპოფტექნიკუმ სასწავლებელი. მუშაობდა ზეინკალად სოფელ ვარჩეში.1988 წლია მაისში გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურშიბ ქ. ტომსკში. სამსახურის წარმატებით დამთავრების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ სოფელს და განაგრძობს მუშაობას სპეციალობით.
როგორც კი სამშობლოს გაუჭირდა, აქტიურად ჩაება სამშობლოს დამცველთა რიგებში, მან ბრძოლაში თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისათვის და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრზოლო ოპერაციებში.
საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23-ე მექანიზირებული ბრიგადის გულირიფშის მე-6 ცალკეული სატანკო ბატალიონის მე-4 ასეულის მებრძოლი რაინდი მამიას ძე ქებურია 1993 წლის 5 მაისს ქვემო ეშერის მტრის მიერ ნასროლი ჭურვის აფეთქების შედეგად საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.
22 წლის მარად დარჩენილი ვაჟკაცი, უშვილძიროდ გადასულო ქართველი, გვჯეროდეს, შენი და შენისთანა გმირების სისხლი არ შერჩება მტერს.

ქოჩქიანი რევაზი და მიხეილ

ქოჩქიანი რევაზი დაიბადა 1948 წელს 23 ივლისს, მესტიის რაიონი სოფელ მულახში. საშუალო სკოლა დაამთავრა გაგრის რაიონი დაბა ბზიფში. სწავლობდა ქ. ბორჯომში სამშენებლო ტექნიკუმში, გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური.
1992 წლის 5 აგვისტოდან რევაზ ქოჩქიანი ჩარიცხული იყო საქართველოს სამინისტროს სწრაფრეაგირების კორპუსის (გვარდია) მეოთხე სპეცდანიშნულების ბატალიონის "თეთრი არწივის" ზევადიანი სამსახურის რიგით მსროლელად.
ქოჩქიანი მიხეილ დაიბადა 1958 წლის 21 აპრილს ქ. გაგრაში დაბა ბზიფში. სამხედრო მოვალეობა გაიარა გერმანიაში. სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ ჩააბარა და დაამთავრა ქ. თბილისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მუშაობდა ქ. გაგრაში გეოლოგად, მშენებელ-ინჟინრად.
1992 წლის 20 აგვისტოდან ჩარიცხული იყო 114-ე მექანიზირებულ ბატალიონ "ავაზას" შემადგენლობაში, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში.
მათ დედა გაგრაში გარდაეცვალათ, მამა და და წითელმა ჯვარმა იხსნა აფხაზეთის ტყვეობიდან, გამოყვანილი იყვნენ ნაცემები და ნაწამები, რის შედეგადაც ორ წელიწადში ორივე გარდაიცვალნენ.
1993 წლის 8 იანვარს ორივე ძმები რევაზი და მიხეილი ქ. გაგრაში საბრძოლო მოქმედების დროს იყვნენ დახვრეტილი (გრებეშოკში, რკინიგზის ლიანდაგზე) საფლავი უცნობია.
და, შეიწირა სამშობლოს სიყვარულმა ძმები ქოჩქიანები რევაზისა და მიხეილის სიცოცხლე. განუყრელ ძმებს სიკვდილმაც ვერ დააშორა.

კაპრალი გიორგი ქათამაძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.
ერთ-ერთი პირველი, ვინც ცხინვალის დაბომბვისას დაიღუპა, კაპრალი გიორგი ქათამაძეა. ის მედიკოსი იყო და დაჭრილი სამხედროებსა თუ მოსახლეობას ეხმარებოდა.
გიორგი ქათამაძე 1985 წლის 12 მარტს, ქობულეთის რაიონის სოფელ ოჩხამურში დაიბადა.

კაპრალი ოთარ ქარელი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.
მას მტერმა სამშობლოსთვის სამსახური არ დააცალა.
სულ სამი თვე მოუწია ჯარში ყოფნა და… მტრის ბომბმა სიცოცხლეს გამოასალმა…
მხოლოდ დედ-მამა მიასვენებდა დაბომბილი ქალაქიდან დედულეთში…
ოთარ ქარელი გორში დაიბადა, 1985 წლის 17 სექტემბერს. მშობლებისთვის პირველი შვილი იყო.

ქვილითაია მერაბ

ქ. თბილისში , სამგორის რაიონში, გიორგი გვაზავას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული სან-ინსტრუქტორი მერაბ ქვილითაიას სახელი მიენიჭა.

ქვილითაია მერაბი შოთას ძე , დაიბადა ქ სოხუმში 1960 წლის 26 ნოემბერს. 1967 -1977 წლებში სწავლობდა ქ. სოხუმის მე-11 საშუალო სკოლაში.1978-1979 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.1981-1986 წლებში სწავლობდა ქ. სოხუმში "საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობია ინსტიტუტში" მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.1987 წლიდან მუშაობდა მეექვსე სამშენებლო ტრესტში--ინჟინრად.
იყო უცოლშვილო.
1992 წლის აგვისტოში სოხუმში დაწყებული საომარი მოქმედებების დროს ქვილითაია მერაბი პირველად სამედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილებს ბრძოლის ველზე., ინსტრუქტაჟს უტარებდა მეომრებს სამხედროქვედანაყოფში.სამხედრო ასეული "კობრა"-ს ჩამოყალიბების პირველივე დღიდან მსახურობდა და მონაწილეობდა ასეულის მიერ განხორციელებულ ყველა ოპერაციებში.
1993 წლის 21 სექტემბერს სოხუმზე მტრის მიერ განხორციელებული შემოტევისას ძიძარიის ქუჩის მიმდებარე სომხური სკოლის ტერიტორიიდან სამედიცინო ასეულ "კობრა"-ში მიღებულ იქნა რადიო შეტყობინება დაჭრილების დახმარების შესახებ.
მასირებული სროლების გამო მანქანით გამოძახების ადგილამდე მისვლა შეუძლებელი იყო.
ქვილითაია მერაბი გადაწყვიტა ფეხით განეგრძო გზა....იმის შემდეგ ის არავის უნახავს....

ქირია მაცი

სიკვდილო! არ დაგეჩოქები არა,
არ დაგითმობ საქართველოს!...

დაიბადა 1974 წლის 16 ოქტომბერს სოხუმის რაიონის იაშთხვაში. 1976 წლის 15 აგვისტოს მამა გარდაეცვალა. ის იზრდებოდა დედისა და ბებიას ხელში. ექვსი წლის შეიყვანეს იაშთხვის პირველ საშუალო სკოლაში. ხასიათდება როგორც ზრდილობიანი, გაწონასწორებული. გატაცებული იყო ხელოვნებით, ცეკვავდა გივი ჩახავას სტუდიაში. საბედისწეროდ დაიწყო ომი...1992 წელს 14 აგვისტოს...რიგითი ქირია მაცი სოსოს ძე ჩარიცხული იყო 23-ე მოტომსროლელი ბრიგადიდ სამთომსროლელი ასეულის საბრძოლო მასალების მიმტანად. მეთაურის ბრძანებებსა და დავალებებპირნათლად ასრულებდა.ქირია მაცის დედის სიტყვები; ''მე ცისანა შელია დედისერთა ქირია მაცის დედას მეამაყება, ვარ ქართველი, კეთილ-სინდისიერი ქრისტიანი, სამშობლოსა და მამულის სიყვარულში გამწარებული და დაღუპული დედა.''მაციმ გადაწყვიტა ყოფილიყო იქ, სადაცმისი მეგობრები და სამშობლო ეძახოდა. 1993 წლის 22 მაისს, მტრის მიერ ასეულის საბრძოლო პოზიციების დაბომბვისას, ნაღმის აფეთქების შედეგად, სასიკვდილოდ დაიჭრა. დასაფლავებულია სოფელ იაშტუხაში.
''ოცნებაა ჩემი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზების და აფხაზეთის დაბრუნება მშვიდობიანი გზით, კმარა ვინც დაგვაკლდა, სიცოცხლე მშვიდობიანი, ბედნიერი უნდა გაგრძელდეს...''--ასე წარმოთქვამს ქალბატონი ცისანა შელია ერთადერთი 18 წლის მაცი ქირიას დედა.

მაცი ქირიას დედის წერილი

პატრიოტული სიყვრულით ყვებოდა.. იხსენებდა შვილს....დედა, რომელმაც 18 წლის ერთადერთი შვილი შესწირა სამშობლოს, დედა რომელიც ამაყად და ცრემლით ჰყვება...
დავიბრუნოთ აფხაზეთი ---ეს მინდა სიკვდილამდე!

ახალგაზრდებო! თქვენ დაბრუნდებით. მე კი არ ვიცი, თუ ჯანმრთელობა შემიწყობს ხელს, პირველი, დროშით ხელში მე წავალ, სოხუმში. მაშინ ვიქნები ალბათ დაბადებული, როცა აფხაზები და აფხაზეთი დაგვიბრუნდება და ტყუილ უბრალოდ არ იქნებიან საქართველოს შვილები დაღუპული. გულით მინდა მშვიდობა დამყარდეს ჩვენსა და აფხაზებს შორის. აფხაზებს და ქართველებს არაფერი ჰქონდათ გასაყოფი, ერთნი ვიყავით. მაგრამ მესამე ძალამ დაგვიპყრო, რომლისგანაც უნდა განვთავისუფლდეთ. ყველამ თავის ქვეყანას მოუაროს, ჩვენ როგორმე შევსძლებთ ერთად ისევ ვიცხოვროთ., იმათი ხელით დანგრეულ აფხაზეთში.
მესამე ძალის ჯინაზე ისევ აყვავდება გაგრა--სოხუმი.

ქავთარაძე ზაზა

პოლიციის ლეიტენანტი ზაზა სულიკოს ძე ქავთარაძე დაიბადა 1963 წლის 14 ივლისს ქ. თბილისში. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. დაამთავრა ეკონომიური ინსტიტუტი. სიმართლე და პატიოსნება მისი ხანმოკლე, მაგრამ კაცური ცხოვრების მეგზური იყო. უყვარდა საქართველოს ყოველი მიწა, ოცნებობდა მომავალზე... მუშაობდა შ.ს. მე-6 სამმართველოში მე-5 განყოფილების ინსპექტორად.
1993 წლის 1 სექტემბერს მას მიენიჭა პირველადი წოდება პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი.
1993 წლის 18 სექტემბერს ზაზა ქავთარაზე წასული იყო სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ საბრზოლველად, რომელიც 24 სექტემბერს მოწინავე ხაზზე მყოფი ნაღმტყორცნის ჭურვით მძიმედ დაიჭრა გულმკერდის მარცხენა ნახევარში და ფეხებში.
უმცროსი ლეიტენანტ ქავთარაზეს იმავე დღეს გაუკეთდა ქირურგიული ოპერაცია ქ. სოხუმში და მეორე დღეს გადმოყვანილი იქნა ქ. თბილისში შ.ს.ს. ჰოსპიტალში სამკურნალოდ. მტკივნეული იყო მისთვის სოხუმის დატოვება, მაგრამ არ დაეცა ბოლომდე და იმედით იყო, რომ უკან დაბრუნდებოდა თავის თანამებრძოლეებთან.
ოპტიმისტურად განწყობილ ქავთაეაზე ზაზას ეგონა სიკვდილს არასოდეს დაუჩოქებდა, მუხლებზე დაიმტვრევდა და დაამარცხებდა, მაგრამ უთქმელად დაანება, რისთვის და რატომ ვერავინ გაიგო, მისი სიკვდილით მიყენებული ჭრილობა არასოდეს შეხორცებოდა.
1993 წლის 13 ოქტომბერს უმცროსი ლეიტენანტი ქავთარაძე ზაზა კი სამუდამოდ დაეცა...
საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით 1994 წლის 10 ნოემბერს ქავთარაძე ზაზა დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

ქობალია ვალერიან

დაიბადა 1944 წლის 25 თებერვალს, ჩხოროწყუს რაიონში. 1952 წელს, ოჯახთან ერთად გადასახლდა აფხაზეთში. 1961 წელს ვალერიმ დაამთავრა ოჩამჩირის პირველი საშუალო სკოლა, სამხედრო სამსახური ქ. ჩელიაბინსკში მოიხადა, შემდეგ ჩაირიცხა ქ. ვლადიმირის მილიციის სკოლაში, სადაც წარმატებით დაამთავრა და მიიღო უმცროსი ლეიტენანტის წოდება.
საქართველოში დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტი მუშაობას იწყებს გალის რაიონის სოფელ სიდის ტერიტორიაზე განლაგებულ შრომა- გასწორების კოლონიაში, მისი მონდომება და საქმის სიყვარული მალე შეამჩნიეს და დააწინაურეს კოლონიის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, კოლონიის დახურვის შემდეგ იგი ღირსეულად ატარებდა კაპიტნის წოდებას.
ოჯახური მდგომარეობის გამო იგი დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და მუშაობა დაიწყო ოჩამცირის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში. მან თავისი პროფესიული ცოდნა კიდევ უფრო სრულყო თბილისის აკადემიის დამთავრების შემდეგ.
ვალერიან ქობალია მონაწილეობას ღებულობდა ლიტერატორთა და ხელოვნების მოღვაწეთა წრეში, სიჭაბუკეშივე ოჩამცირის სახალხო თეატრის სპექტაკლშიც იღებდა მონაწილეობას. მის ბიბლიოთეკაში ინახებოდა ძველ სლავიანურ ენაზე თარგმნილი სახარების 1903 წლით დათარიღებული გამოცემა., მას ეს უსახსოვრა რუსმა სულიერმა პირმა კოლონიიდან განთავისუფლების შემდეგ.
ვალერი ქობალია სასიკვდილოდ დაიჭრა 1992 წლის 29 ნოემბერს, ოცამცირის რაიონში, სოფელ მერკულასთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში, ორი დღე ებრძოდა სიცოცხლემოწყურებული ვაჟკაცი, მაგრამ უთანასწორო ჭიდილში დამარცხდა და სამხედრო ჰოსპიტალში, დის ხელში დალია სული.
საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 27 ივლისის 435 ბრძანებით, ვალერიან ქობალია დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. დარჩა მეუღლე და სამი შვილი.

ქობალია შერმადინ

დაიბადა 1971 წლის 4 იანვარს ჩხოროწყუს რაიონში სოფელ ხაბუმეში. მშრომელი ადამიანების ტერენტი ქობალიას და ლუდმილა ვეკუას ოჯახში. 1978 წლიდან შერმადინ ქობალიას ოჯახი საცხოვრებლად აფხაზეთში გადავიდნენ. 1988 წელს დაამთავრა ბაბუშერის საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რომელიც გაიარა პოლონეთში. დემობილიზაციის შემდეგ შრომით საქმიანობას შეუდგა..
1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე შერმადინ ქობალია 16 აგვისტოს მოხალისედ ჩაიწერა სოხუმის 23-ე ბრიგადის პირველ ბატალიონში.
1992 წლის 29 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ნაასთან ბრძოლისას შერმადინმა მიიღო ჭრილობა თავის არეში. იმავე დღეს გარდაიცვალა დრანდის საავადმყოფოში.
შერმადინ ქობალია სიკვდილის შემდეგ 1994 წლის 4 დეკემბერს დაჯილდოვდა მედლით "მხედრული მამსცობისათვის". იყო უპატიოსნესი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, უყვარდა სამშობლო რომლის თავისუფლებას თავისი საუკეთესო სიცოცხლე შესწირა. დასაფლავებულია ბაბუშერაში. შერმადინ ქობალიას დარჩა დედა, და-ძმა. რაც დრო გადის მით უფრო მტკივნეულია სიცოცხლით სავსე ვაჟკაცის დაკარგვა.

ქვარაია თენგიზ

დაიბადა 1963 წლის 14 მაისს ქ. ოჩამჩირეში. დაამთავრა რკინიგზის რვა წლიანი სკოლა- შემდეგ განაგრძო აჩიგვარის სასოფლო- სამეურნეო ტექნიკუმი. მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური ქ. ლენინგრადში. იმავე წელს ჩაირიცხა ლენინგრადის ხე-ტყის ინსტიტუტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე.
როცა საქართველოს გაუჭირდა, აფხაზეთში ხელში იცავდა სამშობლოს ერთიანობას. მეხუთე კურსის სტუდენტმა მიატოვა სასწავლებელი და თავის სამშობლოს დასაცავად ჩამოვიდა. დედა ემუდარებოდა შვილს--"არ ჩამოხვიდე"- მაგრამ პასუხი ასეთი იყო---"სხვის დაცულ სამშობლოში ვერ დავბრუნდები."
თენგიზ ქვარაია მსახურობდა 24-ე ბრიგადის 247-ე საარტელირიო დივიზიონში თავდაცვის მინისტრის 1993 წლის 27 თებერვალს 149-რ ბრძანების საფუძველზე, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრზოლო მოქმედებებში.
1993 წლის 24 სექტემბერს მტრის მიერ შემოტევის დროს სოფელ მერკულასთან თავდაცვითი ოპერაციის დროს დაიღუპა. დასაფლავრბულია ქ. ოცამცირეში. ძთერნგიზ ქვარაია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისათვის".

იცავდი ქალაქს, მისი მიწის ყველა მტკაველი
სიხარულის და სიყვარულის გრძნობით გავსებდა,
მაშინ იგრზენი იბერიის უშრეტი მადლი,
არ დაგიზოგავს თავი სხვების გადასარცენად.

ქუმსიაშვილი გელა



დაიბადა 1960 წლის 14 თებერვალს ქ. თბილისში. თბილისის N 10 საშუალო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პროფსასწავლებელში, სადაც ელექტროაირ შემდუღებლის პროფესია აითვისა.
მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური, მუშაობდა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში მძღოლად, შემდეგ გავიდა საქართველოს უშიშროების კომიტეტში.- "-წერია მამულისადა, მოკვდით და დაიხარჯენით". ასეთი დივიზიით ცხოვრობდა ქუმსიაშვილი გელა. ახალგაზრდა მებრძოლი 33 წლის -სპეტაკი, პატიოსანი, ერთგული, გულანთებული ვაჟკაცი უღალატო თანამებრძოლად იქცა.
აფხაზეთის კონფლიქტის დროს მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების გაერთიანებული სამმართველოს განსაკუთრებული დანიშნულების სამსახურის საბრძოლო განყოფილების საბრძოლო მომზადების ქვეგანყოფილების ინსტრუქტორად.
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების გაერთიანებული სამმართველოსც განსაკუთრებული დანიშნულებისც სამსახურის საბრზოლო განყოფილების საბრძოლო მომზადების ქვეგანყოფილების ინსტრუქტორი ლეიტენანტი გელა ოთარის ძე ქუმსიაშვილი გარდაიცვალა საბრძოლო დავალების შესრულებისას ქ. სოხუმში 1993 წლის 11 ივლისს მუცლის ღრუს ცეცხლსასროლი ჭრილობის გამო. მან ჭეშმარიტად საკუთარი სისხლის დაცვა აფხაზეთის ქართული მიწა-წყალი. მისი შეუდრეკელი მაგალითია ყველასათვის, თუ რა გაუტეხელია ქართველი კაცი.
ლეიტენანტი გელა ქუმსიაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით და "ღირსების ორდენით."

ქოჩქიანი ბიქტორი

დაიბადა 1946 წლის 10 ოქტომბერს ლენტეხის რაიონის სოფელ ცანაში მრავალშვილიან ოჯახში. გაიზარდა სოფელ ცანაში, სადაც დაამთავრა რვა წლიანი სკოლა და შემდგომ ორი წელი სწავლობდა ლენტეხის რაიონის სოფელ ჩიხარეშის საშუალო სკოლაში.გაიარა ჯარი მოლდოვეთის ქ. კაგულში არტილერიაში. ჯარის პერიოდის ბოლო 6 თვე გაატარა ჩეხოსლავაკიაში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ სწავლა განაგრძო ლენტეხის რაიონის სოფელ ჯიხაიშის სასოფლო-სმეურნეო საყრდენ საჩვენებელ ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც დაასრულაორწლიანი კურსი ღვინის ტექნოლოგიის სპეციალობით. მუშაობდა ქ. ქუთაისის ღვინის ქარხანაში.
1983 წელს დაოჯახდა და საცხოვრებლად გადავიდა ქ. გაგრაში. გაგრაში ცხოვრების პერიოდში მუშაობდა მშენებლობაზე.
1992 წლის 20 აგვისტოს ჩაირიცხა გაგრის ბატალიონში. მონაწილეობდა ქ. გაგრის დაცვის პოზიციურ ბრძოლებში. პირველ ასეულთან ერთად იბრძოდა (კრასნი კრესტზე), მიიღო საბრძოლო ჭრილობა. დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. 5 ოქტომბერს 1992 წლის ბიქტორ ქოჩქიანი დახვრეტილ იქნა მტრის მიერ. კოლხიდაში მიწას მიაბარა თავისივე მეზობელმა გ. მირზიანმა.
გმირები საქართველოს მარადიული ჯარისკაცები არიან.

გოჩა ქვარცხავა, ელგუჯა რუხაია, თემურ ბერია, გოგი დარსალია და მურთაზ დარჯანია

საქართველოს ჩაუქრობელი ვარსკლავები...

ჩამავალი მზის სხივები ზღვის ნაპირას შორიდან ემშვიდობებოდნენ და სარბიელს მთვარეს უთმობდნენ. თითქოსდა მზისა და მთვარის შორეულმა შეხვედრამ ცა და დედამიწა ორ ნაწილად გაყო. მთვარის შუქს ცაზე ნელ-ნელა ვარსკლავების სიკაშკაშეც ემატებოდა და სანახაობას უფრო მიმზიდველს ხდიდა.
---ნეტავ სად ხდებოდა ეს ყოველივე საოცრება?
---გამოიცანით?---ეს, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში-აფხაზეთში, კერძოდ გულრიფში ხდებოდა გარემოს გათავისებული არც კი ჰქონდა ეს სილამაზე, რომ მოულოდნელად განთიადისას მოკრიალებული ცა და გარემოს სიმშვიდე, მუხის გავარდნამ შეცვალა. მეხი გავარდა და ბებრი მუხის-აფხაზეთის ძლიერმა ტოტებმა ლაწა-ლუწი დაიწყეს და თითქოს ომობენო, ისე აიხლართნენ

ერთმანეთში. კოკისპირულად წვიმდა. ცაზე მოკაშკაშე ვარსკლავებიც ნელ-ნელა უკუნ სიბნელეში იფანტებოდნენ და ისე ქრებოდნენ, თითქოსდა საომრად ემზადებიანო.
მართლაც ასე მოხდა.
ეს ვარსკლავები გულრიფშის ვარსკლავბიჭუნები იყვნენ, რომელთაც თავდაპირველად მუხის ტოტები ერქვათ.
დღეს ღამე მოჰყვა, ღამეს ისევ დღე და ასე გავიდა 22 წელი.
22 წელი დგას ბებერი მუხა თავის ადგილზე და ამაყობს იმ ხალასი ტოტებით, რომლებიც ოდესღაც ცხელ ამინდში ადამიანებს უჩრდილავდნენ, მწყურვალე კაცს წყაროს წყალით გულდაჯერებულს თავისი ფოთლებით მიესალბუნებობდნენ, გზიდან მომავალ მგზავრს ჩრდილში მიიპატიჟებდნენ და საგზალს შეარგებდნენ.
და ვინ იყვნენ ეს კეთილი ადამიანები, ძლიერი ტოტები?
ეს ის ვაჟკაცები იყვნენ, რომელთაც სიცოცხლე უხაროდათ, სამშობლო და ოჯახები ძლიერ უყვარდათ, ყველასათვის სათნოები იყვნენ და გმირებიც გახდნენ.
როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო გოჩა ქვარცხავა, ელგუჯა რუხაია, თემურ ბერია, გოგი დარსალია და მურთაზ დარჯანია არც კი დაფიქრებულან ისე გავიდნენ ოჯახებიდან. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც მათი მომავალი ცხოვრება გაცისკროვნებას იწყებდა, მაგრამ წყვდიადში ჩაეშვნენ, რადგან გაენათებინათ უკუნი და მტერი დაემარცხებინათ.
გოჩა ქვარცხავა ძალიან ჩქარობდა, ცქარობდა რადგან მშვიდობის დამყარება უნდოდა სამშობლოში, რადგან მისი მეუღლე მალე პატარას ელოდებოდა.... მაგრამ არ დასცალდა, აჩქარებულმა გოჩამ გადაკოცნა ცოლ-შვილი, ოჯახის წევრებს ჩაეხუტა, დედას ეამბორა, წავიდა და...(აღარ დაბრუნებულა).
10 დღის პატარა გიგამ ვერც კი მოასწრო თვალის გახელვა, რომ დედის- დალი მალაზონიას კალთაში უსუსური ბარტყივით ჩაძინებულს მამამ გოგიმ დარსალიამ აკოცა, ნაღვლინი თვალებით მეუღლეს შეხედა, ოჯახს დაემშვიდობა, წავიდა და .....(აღარ დაბრუნებულა).
იმის მაგივრად რომ 20 წლის თემურ ბერიას სიყვარულით გული ეჯერა და თავის სატრფოსთან ენავარდა , ხელში იარაღი აიღო, გამოემშვიდობა ოჯახს, დედას, დალოცვა სთხოვა, ფეხაკრეფით გავიდა, წავიდა და....(აღარ დაბრუნებულა).
ელგუჯა რუხაიაც სიყვარულით გაუმაძღარიბ წავიდა, იმ სიყვარულით, საიდანაც გამოფხიზლებულიც არ იყო. ჩუმად დედას ეტყოდა გულისნადებს, მაგრამ რა? მანაც ყოველი მიატოვა , დაემშვიდობა საყვარელ დას, ზვირფას მშობლებს. დედამ პირჯვარი გადასახა შვილს, გააცილა ვაჟი. წავიდა ელგუჯაც და.....(არ დაბრუნებულა).
დარჯანია მურთაზი, ერთი მორცხვი ყმაწვილი ისე დაიარებოდა, ჭიანჭვალასაც არ აწუხებდა. ყველას უყვარდა თავისი სიჭკვიანის მიუხედავად მოიკრიბა, გამბედაობა, დედის ლოცვა-კურთხევა მიიღო და ისიც ომში წავიდა და....(აღარ დაბრუნებულა).
მიდიოდნენ ბიჭები და ფარულად ყველა დედებს ესაუბრებოდნენ, იმას ეუბნებოდნენ, რაც პირისპირ ვერ უთხრეს.
გოჩა და გოგი დედებს ახალგაზრდა ცოლ-შვილის პატრონობას სთხოვდნენ.
ელგუჯას და მურთაზის მშობლები ერთადერთიმედად იტოვებენ, რომ იქნებ ეხლა მაინც მოხდეს აფხაზეთში დაბრუნება, რათა შვილე4ბის საფლავებს მიეფერონ და ის დიდი ტკივილი რაც გულებში აქვთ შვილებს გაუმხილონ.
მაგრამ რა ქნას თემურის დედამ? მას ხომ შვილის საფლავიც არ აქვს, ის ხომ ყოველ საღამოს ცას შეჯყურებს და შვილის ვარსკლავს ცაზე ეძებს.
ომში მიმავალ ბიჭებს ფეხდაფეხ მშობლების აჩრდილი მიჰყვებათ და დედების ცრემლნარევი ხმები ესმოდათ;-ღმერთო ძლიერო, დედავ ღვთისმშობელო! თქვენ გაუნათეთ ჩვენს შვილებს გზა. არ მოაკლოთ მფარველობა, შინ მშვიდობით დაგბიბრუნეთ, ჩვენი გააყოლეთ და გამარჯვება დააბადეთ.
მიაბიჯებდნენ ვაჟკაცები და რა იცოდნენ, რომ ისინი უკანასკნელად დააბიჯებდნენ მშობლიურ მიწაზე, იმ მიწაზე, სადაც ფეხი აიდგეს და ბავშვობა უზრუნველად გაატარეს, რომელიც ლამაზ სიზმრად გაიყოლიეს. თვითონ წავიდნენ და....

...და ისევ მაგრად რა?
რა და...
იმედგაცრუებული დედები, ატირებული დედები, უკვე ასაკში, თმაჭაღარა, ფარული სევდით ისევ მოელიან დღსე უკვე ჭაბუკ კაცობაში რომ იქნებოდნენ იმ შვილებს, რომლებიც 22 შემოდგომაა ხიდან ჩამოვარდნილი ფოთლებივით დაიკარგნენ....
დედები კი დღესაც, ისევ ღმერთს ავედრებენ და აბარებენ მათ სულებს, რათა ნათელი სანთელი არ მოაკლდეთ, სულების სიმშვიდე ჰქონდეთ და მუდამ ანთებულ, ჩაუქრობელ ვარსკლავებად იყვნენ საქართველოს ცაზე, რათა განათებული და გამარჯვებული ცხოვრება იყოს საქართველოში, რომ ბებერი მუხის ფესვები არ გახმეს და აფხაზეთში მათ ახლობლებმა ძველებურად ცხოვრება დაიწყონ. დიდება არ მოგკლებოდეთ საქართველოს ჩაუქრობელო ვარსკლავებო!

აფხაზეთიდან----მაია თიხისელი

ღვედაშვილი გოჩა

დაიბადა 1966 წლის 18 ოქტომბერს ქ. რუსთავში.1973-83 წლებში სწავლობდა ქ. რუსთავის №13 საშუალო სკოლაში.1985-87 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ნახჩევანში.1990 წელს მუშაობა დაიწყო ქ. რუსთავის ქიმიურ ქარხანაში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 3 ოქტომბერს ქ. გაგრასთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ძმები ღვინჯილიები

ღვინჯილია ვალტერი- დაიბადა 1973 წლის 15 იანვარს ქ. სოხუმში.

ღვინჯილია ვიტალი- დაიბადა 1975 წლის 6 ნოემბერს ქ. სოხუმში.

ძმებმა, ვალტერი და ვიტალი ღვინჯილიებმა დაამთავრეს მე-13 საშუალო სკოლა. ბატონი გიგლა ღვინჯილია თავის 2 ვაჟკაცს ზრდიდა პატრიოტული სულისკვეთებით. დაოჯახება ვერ მოასწრეს.

ვალტერი და ვიტალი ღვინჯილიები ჩაირიცხნენ 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის სამთო-მსროლელთა რიგებში.

1993 წლის 29 აგვისტოს მდინარე გუმისთასთან გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე ვალტერი და ვიტალი ღვინჯილიები.

ყარსიმაშვილი გრიგოლი

უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ თენგიზის ძე ყარსიმაშვილი მსახურობდა ეროვნული გვარდიის სატანკო-მექანიზირებულ პოლკში ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე 1992 წლის ნოემბრიდან. მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში აფხაზეთის რეგიონში.

დაიღუპა 1993 წლის 26 თებერვალს. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ბესლახუბაში საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს.

ყუფენია სოსო ჯოგოს ძე

დაიბადა 1952 წლის 8 აპრილს გალის რაიონ სოფ. ნაბაკევში. 1969 წელს დაამთავრა სოფ. ნაბაკევის საშუალო სკოლა. ქ. სანკტ-პეტერბურგში მოიხადა სავალდებულო-სამხედრო სამხედრო სამსახური. სამხედრო სამსახურის შემდეგ საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. სოხუმის რაიონის სოფ. შრომაში.

სოსო ყუფენია ყველგან სითბოსა და სიკეთეს თესავდა. ის იყო უშიშარი და მებრძოლი.

აფხაზეთის კონფლიქტის მთელი პერიოდის მანძილზე მედგრად იბრძოდა მოწინააღმდეგის ყოველი საშიში შემოტევისას ქ. სოხუმისა და მის შემოგარენში, საბრძოლო მოქმედებების სხვადასხვა მონაკვეთსა და ზონაში. აქტიურად მოქმედებდა ქალაქის დაბომბვის დროს ნგრევის, ხანძრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაებში, დაღუპულებისა და დაჭრილების ევაკუაციაში.

1993 წლის 4 ივლისს დაიღუპა საბრძოლო მოქმედებების დროს ქ. სოხუმში. დაკრძალულია მარტვილის რაიონის სოფ. ბანძაში.

სოსო ყუფენიამ მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების შემოტევის მოსაგერიებლად გამოავლინა პირადი თავდადება და მებრძოლი სულისკვეთება, სამშობლოსა და დაკისრებულუი საქმისადმი ერთგულება.

ყურაშვილი იური

დაიბადა 1959 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადულში. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასაწყებისას ჩაირიცხა 24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონის რიგებში.
1992 წლის 25 სექტემბერს, სოფელ მერკულაში საბრძოლი შეტაკების დროს , ტყვედ ჩავარდა, სასტიკად აწამეს., შეურაცხყვეს. თავადაც სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. წამებით ამოხადეს სული და შემდეგ ცხედარიც დაასახიჩრეს. 7 ოქტომბერს ნაწამებ-- დასახიჩრებული ცხედარი მტერმა ქართულ მხარეს გადმოსცა. დასაფლავებულია სოფელ არადულში.

ყურაშვილი გელა

დაიბადა 1956 წლის 29 იანვარს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლობდა ქუთაისის სამშენებლო ტექნიკუმში.
აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებისთანავე ჩაირიცხა 24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონში. აფხაზმა სეპარატისტებმა წამებით მოუკლეს ძმა, ექვსი თვის სემდეგ კი მამამისსაც ამოხადეს სული.
1993 წლის 29 სექტემბერს გელა ცოცხლად ჩაიგდეს ხელში, აწამწს და ცოცხლად აწამეს.

მამუკა შავკანი

დაიბადა ქ. გორში 1973 წლის 17 ოქტომბერს.
1979-1988 წლებში სწავლობდა ქ. გორის მე-4 საშუალო სკოლაში.
1988-1993 წლებში სწავლობდა ქ. გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.
1993 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 21 სექტემბერს, ოჩამჩირის რაიონის სოფ. გვარდასთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.
ჰყავს მშობლები-ალექსანდრე შავკანი და ელისო სურამელი.
დაჯილდოვებულია მედლით ,,მხედრული მამაცობისათვის"

შონია მურთაზ

დაიბადა 1965 წლის 26 მაისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალ კინდღში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.
აფხაზეთის კონფლიქტის დროს ჩარიცხული იყო მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მე-5 ბატალიონის მე-2 ასეულის რიგითად.
1993 წლის 15 მაისს ათარის მისადგომებთან გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.
სიკვდილი შემდეგ დაჯილდოვდა მედლით "მხედრული მამაცობისათვის."

პაატა შუხოშვილი

პაატა ალექსის ძე შუხოშვილი, დაიბადა 1971 წლის 21 სექტემბერს თელავში,

1992 წლის 5 ნოემრებს ისნის რაიონის კომისარიატმა გაიწვია სამხედრო სამსახურში. საბრძოლო წრვთნას გადიოდა შინაგანი ჯარის ნაწილებში. ამავე წლის 7 დეკემბერს მოხალისედ შევიდა მე-11 მექანიზებული ბრიგადის 114-ე ბატალიონ „ავაზა"-ში. იყო ოცმეთაური, ზემდეგის წოდებით.

1993 წლის 25 იანვრიდან დაინიშნა 100 მეთაურად.
1993 წლის 13 თებერვალს სოფელ ლაბრასთან შეტაკების დოს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.
დაკრძალულია ყვარლის რაიონის სოფელ ალმატში.

შალიკაშვილი ბადრი

დაიბადა 1961 წლის 3 აპრილს ქ. თბილისში.1978 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 85-ე საშუალო სკოლა.1979-1987 წლებში სწავლობდა ვ.ი.ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.1980-1982 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში გერმანიაში.1992 წლიდან მსახურობდა შსს შინაგანი ჯარის საპატრულო პოლკში უფროს ლეიტენანტად.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 2 ივლისს ოჩამჩირის რ-ნის, სოფ. კინდღთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

შინჯიკაშვილი გოჩა

დაიბადა 1966 წლის 10 ივლისს ქალაქ რუსთავში.
1972-1981 წლებში სწავლობდა ქ. რუსთავის მე-16 საშუალო სკოლაში. ვარჯიშობდა ძიუდოში.
თამაშობდა ჭადრაკს და მიღებული ქონდა სიგელები.
1984-1986 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში გერმანიაში.
დემობილიზაციის შემდეგ მსახურობდა ისნის რაიონის მილიციის განყოფილებაში.
1991 წელს მონაწილეობას ღებულობდა სამაჩაბლოს შეიარაღებულ კონფლიქტში.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 24 სექტემბერს დაიღუპა ქ. სოხუმში

შამათავა მერაბი ინდიკოს ძე

დაიბადა 1860 წლის 1 მარტს, გალის რაიონის სოფ. გუდავაში.

განათლება საშუალო ტექნიკური, ცოლშვილიანი.

მერაბი იყო წყნარი, მშვიდი, არ უყვარდა შექება, ყველას თავისებურ პატივს სცემდა. ყველა სულიერი ეცოდებოდა. უყვარდა თავისი კუთხე სამშობლო. ულმობელია წუთისოფელი, სიკვდილი რჩეულებზე ნადირობსო, ამბობენ, და ის რჩეულთა შორის

იყო. მისი უპირველესი მოვალეობა იყო დაეცვა სამშობლოს ხვალინდელი დღე და ის დღე მშვიდობიანი და ბედნიერი ყოფილიყო მისი ხალხისათვის.

შამათავა მერაბი ინდიკოს ძე ჩაირიცხა მეორე საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის “სამურზაყანოს“ ბატალიონში ყუმბარმტყორცნელად 1992 წლის დეკემბრის თვიდან. ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში. იყო მამაცი და დისციპლინირებული მეომარი, თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1993 წლის 22 სექტემბერს სოფ. ბედიაში შამათავა მერაბი მტრის მიერ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობის შედეგად ადგილზევე დაიღუპა. მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, დაჭრილი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოდა დაქირავებულ ბოევიკებს. გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე.

ოჯახი მართლაც რომ დიდებული დარჩა მერაბს. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ პატივს სცემდა მერაბს, რომელიც საზოგადოებრივი საქმეების ნამდვილი სულისჩამდგმელი იყო და ადამიანებისათვის მხოლოდ სიკეთე სურდა.

გვჯერა, მალე მოღალატეები საკადრის პასუხს მიიღებენ და ეს იქნება იმ ოცნების აღსრულება, რასაც მერაბი ნატრობდა. ის სამშობლოსათვის დაიღუპა, საუკუნოდ მისი ხსენება იყოს.

ეჰ, უკუღმართია, მოულოდნელობითაა სავსე ომის გზები.

ნათელში ყოფილიყოს, მერაბ შენი შეუდრეკელი სული.

შალვაშვილი ხვიჩა

დაიბადა 1969 წლის 30 სექტემბერს ქ,. თბილისში. სწავლობდა 155 საშუალო სკოლაში. 1990 წელს მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. თავისი აქტიურობით გამოირჩეოდა ყველგან და ყოველთვის. უპირველეს მოვალეობად მას მიაჩნდა დაეცვა სამშობლოს ხვალინდელი დღე. ხვიჩა იზრდებოდა წმინდა მოწამეთა, სამშობლოსათვის თავდადებულთა მაგალითზე. ფიზიკურად ახოვანი ზღაპრიდან მოსულ გმირს ჰგავდა, სულითაც რაინდი იყო.

სიმართლე და პატიოსნება მისი ხანმოკლე, მაგრამ კაცური ცხოვრების მეგზური იყო.

ხვიჩა იოსების ძე შავლაშვილი “ავღანელთა“ ბატალიონის შემადგენლობაში ჩაირიცხა 1992 წლის სექტემბერში. მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში ტამიშში, გუმისთაზე, შრომაში, კინდღში.

1993 წლის 25 სექტემბერს, სოხუმის ანძაზე განხორციელებული საბრძოლო ოპერაციის დროს გამოიჩინა თავი. ბრძოლის ჟინით შეპყრობილი ახალგაზრდას ბევრი თანამებრძოლი ცეცხლიდან გამოუყვანია.

1993 წლის 27 სექტემბერი – 6.00 საათი.

თენდება, ქალაქი ეცემა; ქალაქი მტრის ხელშია.

განიარაღებულ ქალაქში განიარაღბული მთავრობის სახლს მტერი ადვილად არგებს გასაღებს; და ასე იწყება უიმედო დასასრული . . .

ავღანელთა 40 კაციანი ჯგუფი შენობაში შევიდა.

“ავრანელები“ თვლიან, რომ შენობა არ უნდა მიატოვონ.

თანდათან უმართავი ხდება სიტუაცია.

ყველა მხრიდან მტერი უტევს, ნაღმტყორცნის ჭურვისგან რამდენიმე სართულს ცეცხლი უჩნდება.

სამშობლოს მანამ უნდა ეფერო, სანამ მომხდური არ შეგახსენებს, რომ შენს სამშობლოს შენი სიცოცხლე ასევე სჭირდება.

თბილისელ “ავღანელებს“, ამ მამაც მეომრებს, ნაბიჯიც არ დაუხევიათ უკან. სოხუმის უკანასკნელ დღეებს ახსოვთ მათი ერთგულებაც და თავგანწირვაც (40 მეომრიდან 13 გადარჩა).

და. . . სწორედ ამ დღეს, 1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმის მინისტრთა საბჭოს დაცვის დროს დაიკარგა უგზო-უკვლოდ ხვიჩა იოსების ძე შავლაშვილი.

სამი დის ერთად-ერთი საფიცარი ძმა - ხვიჩა იოსების ძე შავლაშვილი დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენით.

22 წლის გმირმა ვერ მოასწრო ოჯახის შექმნა, მაგრამ მან დიდი სახელი დატოვა ქვეყნის, სამშობლოს, ოჯახის, მეგობრების წინაშე.

“ერთი ვაჟკაცი და ისიც სამშობლოს“.

ქართული ფუძე, ქართული ძირი ისევ ყვავილობს . . .

ემირ შონია

დაიბადა 1950 წლის 26 აგვისტოს ქ. გალში. მშობლიურ ქალაქში დაამთავრა N3 საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო ქ. სარატოვის სასაფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, პარალელურად სწავლობდა ქ. სარატოვის მილიციის უმაღლეს სკოლაში. უმაღლესის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს გულრიფშის შს რაიონულ განყოფილებაში, უბნის ინსპექტორად. ერთი წლის შემდეგ გადადის ქ. გალში შს რაიგანყოფილებაში, საკუთრების დაცვის წინაარმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსს ინსპექტორად. 1975 წლიდან კი ქ. სოხუმის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროს ინსპექტორად.

1985 წლიდან მუშაობას იწყებს ქ. სოხუმის სადგურის მილიციის სახაზო განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებროს უფროს ინსპექტორის თანამდებობაზე.

რთულ და საპასუხისმგებლო მუშაობის წლები კეთილსინდისიერად განვლო ემირ შონიამ. ამ წლების მანძილზე ჩამოყალიბდა საქმის მცოდნე პროფესიონალურ მუშაკად. დაჯილდოვებული და წახალისებული იყო შს სამინისტროს და დეპარტამენტის ხელმძღვანელობების მიერ. დაჯილდოვებული იყო მილიციის წარჩინებულის სანმკედრო ნიშნით და სამართალდამცავ ორგანოებში თხუთმეტი წლის უმწიკვლო სამსახურისათის.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების დღიდანვე, ემირ შონია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათის ბრძოლაში.

საბრძოლო ოპერაციის დროს დაიჭრა, მაგრამ გამოჯამრთელობის შემდეგ კვლავ თავისი თანამებრძოლების გვერდით დადგა.

1993 წლის 27 სექტემბერს, აფხაზი ექსტრემისტების მიერ სოხუმზე გააფთრებული იერიშის დროს ალყაში მოჰყვა. მომხდურებმა არ აპატიეს ქართველი ვაჯკაცისათვის დამახასიათებელი სამშობლოს სიყვარული, სიამაყე და ვერაგულად დახვრიტეს. დაკრძალულია ქ. გალის მზიურის ციტრუსების მერნეობასთან არსებულ სასაფლაოზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 17 დეკემბრის განკარგულებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და

თავგანწირვისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სატრანსპორტო პოლიციის სოხუმის სახაზინო განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-მაიორი ემირ შონია დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის 11 ხარისხის ორდენით (სიკვდილ8ს შემდეგ).

დიახ, ემირ შონია ის პიროვნება გახლდათ, რომელსაც ვერ წარმოედგინა მტრისათვის როგორ უნდა დაეტოვებინა საკუთარი მიწა-წყალი. მართალია დაიღუპა, მაგრამ არასოდეს წაიშლება საქართველოს გმირების სიიდან.

მას დარჩა სასახელო ოჯახი, რომლებიც აგძელებენ ემირ შონიას სახელს.

შენი ხსოვნის პატივსაცემად ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში ემირ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შეროზია თამაზი

დაიბადა 1961 წლის 05 სექტემბერს ქ. სოხუმში. 1979 წელს დაამთავრა მე-4 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. სოხუმის რესპუბლიკურ საავდამყოფოში ქირურგიული განყოფილების სანიტრად.

1984 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1980 წელს. იმავე წლიდან განაწილებით მუშაობდა ზუგდიდის რაიონის ზედაეწერის საავადმყოფოში ექიმ-თერაპევტად.

1992 წლის სექტემბერში მივლინებული იყო თბილისის სახელმწიფო დახელოვნების ინსტიტუტში კვალიფაკაციის ასამაღლებლად, მაგრამ გაგრის მოვლენების შემდეგ აფხაზეთის და სოხუმის დაცვა მისი ცხოვრების ერთად-ერთი მიზანი გახდა.

1992 წლის 03 ოქტომბრიდან ირიცხებოდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სწრაფი რეაგირების კორპუსის 1 ბრიგადის მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონის ოცეულის მეთაურად. 1993 წლის 01 აპრილიდან დანიშნულ იქნა თ/ს სადესანტო - მოიერიშე ბატალიონის მეთაურის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში.

მაიორი თამაზ ალექსანდრეს ძე შეროზია 1992 წლის 03 ოქტომბრიდან მონაწილეობას იღებდა ბატალიონის მიერ აფხაზეთში წარმოებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. კერძოდ, ტამიშის, კინდღის, ათარა აფხაზსკაიას მიმართულებებით. იგი ხასიათდებოდა როგორც გულისხმიერი, თავდადებული, სამშობლოს და თანამებრძოლების მიმართ ერთგულ და მათზე უსაზღვროდ შეყვარებული. დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა პირნათლად. ნაყოფიერად უძღვებოდა ოცეულისა და შემდეგ ბატალიონის პირადი შემადგენლობის საბრძოლო და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზებას.

1993 წლის 29 ივნისს მაიორი თამაზ შეროზია გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდაში ერთ-ერთი ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა მუცლის არეში. გარდაიცვალა დაბა აგუძერის სამხედრო ჰოსპიტალში 1993 წლის 04 ივლისს,.

გვაკმარე, ღმერთო, გევედრები, გვაკმარე! შეგვინდე ცოდვანი ჩვენნი და მიეც მათ სასუფეველი მარადიული. . .

სანთლებით გზა გაუნათეთ! შთამომავლობამ მათთზე ვილოცოთ.

შენგელია ბადრი შალიკოს ძე

დაიბადა 1970 წლის 24 მარტს. გალის რაიონის სოფ. რეფში.

რეფელი ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი თავდადებითა და ვაჟკაცურად იბრძოდნენ სხვადასხვა ფრონტზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და აქტიურად მონაწილეობდა პარტიზანულ მოძრაობაში. მათ დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ სამშობლოს სადარაჯოზე მედგრად დგომა და საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლის გაწირვა. ამის ნათელი მაგალითია შენგელია ბადრი შალიკოს ძის თავდადება მამულისათვის.

ბადრი შალიკოს ძე შენგელია ჩარიცხული იყო და მსახურობდა თიანეთის ასეულში რიგით გვარდიელად 1992 წლის 01 მარტიდან.

მონაწილეა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების აფხაზეთის რეგიონში, კერძოდ, 1992 წლის აგვისტო - სექტემბერი, ოქტრომბერი - გაგრა, სოხუმი.

ბადრი იყო სიკეთითა და ვაჟკაცობით გამორჩეული, უთქმელი, თუ ვინმე რამეს აწყენინებდა, მის მეტი ვერავინ გაიგებდა, არასოდეს ვინმეს არ დააბეზღებდა. დიდი მოყვარული მოყვარე, პატრიოტული და კეთილი სულისკვეთების. მიუხედავად ამისა სამშობლოს სიყვარულს ვერ დაუთმობდა ვერავის, ასე თვლიდა სამშობლო ქვეყანაზე ერთ, როგორც დედა მშობელი. სამშობლოს რომ გაუჭირდა, დადგა იქ, სადაც იხმობდა- პატრიოტული სიყვარული.

ბადრი შალიკოს ძე შენგელია დაიღუპა საბრძოლო მოქმედებების დროს აფხაზეთის რეგიონში სოფ. ზემო კინდღში 1993 წლის 10 ივლისს.

ცხოვრება მიდის, გრძელდება. ყველაფერი თავის კალაპოტში დგება. . . რჩება გატეხილი გულები და აცრემლებული თვალები . . .

იქნებ, შენ უფრო ბედნიერიც ხარ ახლა, ბადრი, სამშობლოს სიცოცხლე, რომ ანაცვალე. შენ გმირი ხარ. უკვდავი. შენ ძეგლად დგახარ ჩვენს შორის!

ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს“. . . თამამად შეიძლება ეს სიტყვები წარმოვთქვათ ბადრი შენგელიაზე.

და მართლაც, ადამიანი ხომ მანამდე ცოცხლობს, ვიდრე მის სახელს იხსენებენ. . .

და ეს სახელები უკვდავია გმირების სიაში.

შონია ფრიდონი

დაიბადა 1968 წელს გალის რაიონის სოფ. აჩიგვარაში.

ფრიდონი იყო ქართველი, აფხაზეთის შვილი, პატრიოტი, სამშობლოს დიდი მოყვარული. მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოს სიყვარულით იცხოვრა. ზრდილობიანი, გონიერი, ვაჟკაცობითა და სილამაზით გამოირჩეოდა.

1992 წლის 11 დეკემბერიდან ირიცხება 24-ე ბრიგადის სამურზაყანოს მექანიზირებული ბატალიონის მე-3 ასეულის მხროლელი - ყუმბარმტყორცნელი. იგი აქტიურ მონაწილობას ღებულპობდა ბატალიონის მიერ წარმოებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში ტყვარჩელი-ბედიის მიმართულებით გამავალ ბრძოლის ხაზზე. ბრძოლებში თავი გამოიჩინა, როგორც დისციპლინირებულმა, შემსრულებელმა, მამაცმა და უშიშარმა ჯარისკაცმა, მებრძოლთა კოლექტივსა და მეთაურთა შემადგენლობაში სარგებლობდა სათანადო ავტორიტეტით.

ერთ-ერთ ოპერაციის დროს, 1993 წლის 10 ივნისს იგი გმირულად დაიღუპა.

ვაჟკაცურად იცავდნენ საქართველოს მთლიანობას სამურზაყანოს ბატალიონის წევრები. იბრძოდნენ, რათა მათ შვილებს არ ენახათ ომი, ხოლო სამშობლო ყოფილიყო თავისუფალი და მთლიანი. შთამომავლობას კი მათსავით ეამაყა სიტყვა “ქართველით“.

ამ ომმა მრავალი სიცოცხლე შეიწირა, ბევრის სახელი და გვარი უკვდავყო მამულისათის თავადებულის შარვანდედით გამორჩეული საქართველოს ვაჟკაცები, სულით ხორცამდე საქართველოსთვის დაბადებული, ყოველთვის იქ იყო, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა დედა-სამშობლოს. 24 წლის ვაჟკაცს შონია ფრიდონს მტერმა არ აპატია სამშობლოს სიყვარული.

შენი მადლიანი მიწა ალალი და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის.

შიხიაშვილი გია

დაიბადა 1968 წლის 7 მაისს ქ. თბილისში. დაამთავრა ქ. თბილისის 85-ე საშუალო სკოლა, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტზე, დამთავრების შემდეგ ჩააბარა თბილისის საბაზრო-ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე. ამავე პერიოდში მუშაობდა რკინიგზის გასამხედროებულ დაცვის სამსახურში.

უფროსი ლეიტენანტი შიხიაშვილი გია ნიკოლოზის ძე იბრძოდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 1 საარმიო კორპუსის 1 ბრიგადის 11 ბატალიონ "თეთრი არწივის" შემადგენლობაში.

უძრავად თესავდა სიკეთეს, ყველასათვის ყველაფერში დახმარებას ახერხებდა, გაჭირვებაში ჩავარდნილი უცხო ადამიანისათვის კი დაუფიქრებლად შეეძლო თავის გაწირვა. პირნათლად იხდიდა ადამიანურ ვალს და როცა საქმე პატრიოტული ვალის მოხდაზე მიდგა, უკან არც კი დაიხია.

უნებართვოდ და ჯიუტად სულ ბრძოლის წინა ხაზისკენ მიიწევდა, იმიტომ კი არა, რომ სისხლი წყუროდა, არა, ის ქრისტიანი იყო, სხვაგვარად მას არ შეეძლო. 1993 წლის 10 იანვარს ვაჟკაცურად დაეცა ბრძოლის ველზე ზეციურად ამაღლებული.

ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო.

საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობისათის აფხაზეთში გმირულად დაღუპულ მებრძოლს, საფეხბურთო კლუბ “კავკასიონი“-სა და კრწანისის სპორტ-სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელს გია შიხიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილია მე-8 ტრადიციული საქალაქო ტურნირი, მინი-ფეხბურთში 1988-89 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკების შორის.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით.

შუბითიძე ანზორი

დაიბადა 1952 წლის 11 მაისს საჩხერის რაიონში.

1952 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადასახლდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაოჯახდა.

მან პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. მუშაობდა კოლმეურნეობაში. იყო კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის კონფლიქტის დაწყების დღიდან, ჩაეწერა ოჩამჩირის ს/ნ N15643-ში. იმ დღიდან იარაღი არ გაუგდია ხელიდან. საუკეთესო მებრძოლი იყო კოჩარელი ვაჟკაცი შუბითიძე ანზორი, რომელიც აღზარდა მშობლიურმა ქართულმა მიწამ. მიანიჭა სულიერი კულტურა, ჩამოაყალიბა გამორჩეულ პიროვნებად. კოჩარელმაჭაბუკმა იცოდა რა იყო "კოჩაროობა"- კაცური კაცის სახელის ტარება. მაღალკვალიფიციური რადიომექანიკოსი, რითაც დიდ დახმარებას უწევდა ბატალიონს კავშირგაბმულობის სისტემების ამოქმედებასა და სრულყოფაში. მისი მოწადინებითა და უშუალო მონაწილეობით, შესაძლებელი შეიქმნა ბატალიონის დანაყოფებს შორის ნორმალური კავშირების დამყარება.

1993 წლის 2 თებერვლიდან დაინიშნა მე-2 საცეხლე ასეულის დამმიზნებლად.

ბრძოლის ალში გაეხვია ლამაზი აფხაზეთი, საქართველოს მთლიანობას საფრთხე დაემუქრა. მან მეგობრებთან ერთად ფიცი დადო, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბროლებდა საქართველოსთვის, არასოდეს არ უღალატებდა მას, და. მართლაც, ის სიტყვის კაცი იყო, კაცურად გაატარა თავისი ცხოვრება ლხინში თუ ჭირში.

1993 წლის 13 თებერვალს, ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულების დროს, დაიღუპა სოფ ილორთან. მეთაურის ბრძანებით, ის ამონტაჟებდა რადიოლოკაციურ ანტენას, რომელსაც უნდა გაეკონტროლირებინა ზღვის აკვატორია. ერთგულად ემსახურა თავის კუთხეს. თავდადებული დამცველი მშობელმა მიწამ გულში ჩაიხუტა დარწმუნებული იმაში, რომ ყველა გაჭირვებაში ერთგულად ემსახურა თავის ქვეყანას.

ანზორის სახელს მუდამ მადლიერებით მოიხსენიებენ, დადგება დრო და პატივით შეამკობენ მის საფლავს.

1993 წლის 30 მარტს მეთაურის N13-ის ბრძანებით, საპატიო წევრად ჩარიცხული იყო 240-ე ბატალიონის შემადგენლობაში სიკვდილის შემდეგ.

შენგელია გივი ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1949 წლის 5 მაისს გალის რაიონის სოფ. ბარღებში.

გივი შენგელია ჩაირიცხა მოხალისედ მე-2 საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 245-ე ბატალიონში, ბატალიონის მეთაურის ბრძანებულებით მე-3 ასეულის მე-4 ოცეულის მსროლელად, 1993 წლის 5 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით # 368.

გ. შენგელია იყო სამხედრო საქმის მცოდნე. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ გატარებულ ყველა თავდაცვით და შეტევით ოპერაციებში.

1993 წლის 20 სექტემბრს გივი შენგელია თანამებრძოლებთან ერთად იბრძოდა სოფ. კინდღთან სოხუმის გზატკეცილის გათავისუფლების მიზნით.

გივი შენგელია გმირულად დაიღუპა 1993 წლის 25 სექტემბერს, საბრძოლო ოპერაციის ჩატარების დროს სოფ. აძიუბჟასთან, ცეცხლსასროლი იარაღით მიღებული ჭრილობის შედეგად.

შაყულაშვილი რამაზი

დაიბადა 1970 წლის 31 მაისს ქ. გორში.
სკოლაში სწავლისას გამოირჩეოდა კარგი სწავლითა და წესიერი დისციპლინით. დაკავებული იყო სპორტით.
რამაზ მურმანის ძე შაყულაშვილი მსახურობდა საქართველოს შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის გორის მე-11 ბატალიონში.
მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში, ჯერ სამაჩაბლოსა და შემდეგ 1992 წლის 14 აგვისტოდან მივლინებულ იქნა აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად.
1993 წლის 24 სექტემბერს სოფელ ახალდაბასთან, ერთ-ერთ საბრძოლო დვალების შესრულების დროს იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ბადრი ტრისტანის ძე ჩოფლიანი

დაიბადა 1972 წლის 30 ოქტომბერს გულრიფშის რაიონ სოფელ საკენში. 1988 წელს დაამთავრა სოფელ გენწვიშის საშუალო სკოლა. სკოლის შემდეგ დაამთავრა ტექნიკური სასწავლებელი.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებისთანავე დადგა ქვეყნის სამსახურში და იბრძოდა თავდაუზოგავად. როცა კოდორის ხეობას თავს დაესხა აფხაზური დაჯგუფება დარჩვის მთაზე, ბადრი და თავისი მეგობრები ვაჟკაცურად დაუხვდა მტერს. რასაც სამწუხაროდ შეეწირა ბადრი ჩოფლიანის სიცოცხლე.

ბადრი ჩოფლიანი გმირულად დაიღუპა 1993 წლის ივლისში მტერთან ბრძოლაში.

ზაზა ჩხაიძე

დაიბადა 1972 წლის მარტში. უცოლშვილო. მსახურობდა "ავაზაში", სერჟანტი. დაიღუპა ტამიშთან დესანტის გადმოსხმის დროს 1993 წლის 2 ივლისს. დაჯილდოვებულია მხედრული მამაცობისათვის.

ჩანტლაძე ირაკლი

ირაკლი ჯემალის ძე ჩანტლაძე ჩაირიცხა 23-ე მექანიზირებული ბრიგადის ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის პირველ ოცეულის რიგითად 1992 წლის 25 სექტემბრიდან. თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე (ბრძანება N 433, 03,01.1996 წ. დ. თევზაძე).

1992 წლის 25 დეკემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფ. აძიუბჟასთან პოზიციური ბრძოლების დროს ი. ჩანტლაძე სასიკვდილოდ დაიჭრა.

პოზიციებიდან გამოიყვანა მე-5 ბატალიონის შტაბის უფროსმა მ. კორძაიამ.

ირაკლი ჩანტლაძე დაჯილდოვებულია მედლით “მხედრული მამაცობისათვის“.

ჩარგეიშვილი გიორგი

დაიბადა 1971 წლის 3 ნოემბერს ქ. თბილისში.1977-1986 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 123-ე საშუალო სკოლაში.1986-1989 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში.1992 წლის 3 ნოემბრიდან 1993 წლის 22 ოქტომბრამდე ირიცხებოდა საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლად (სამხედრო წოდება - ზემდეგი).აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 22 სექტემბერს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაიღუპა ავიაკატასტროფაში ბაბუშერას აეროპორტში.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

სოზარ ჩანქსელიანი



ჩანქსელიანი სოზარ კატურბეს ძე დაიბადა 1945 წლის 15 დეკემბერს.

1992 წლის 18 აგვისტოდან 1992 წლის 12 სექტემბრამდე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, აფხაზეთში. იბრძოდა გაგრის ბატალიონის II ასეულის I ოცეულში, რიგით მსროლელად.

დაიღუპა 1992 წლის 12 სექტემბერს, საბრძოლო მოქმედებების დროს.

ჩანქსელიანი სოზარი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, ის იარაღით ხელში სიცოცხლეს ბოლო წუთამდე იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

შენ გმირი ხარ!

" ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს".

1992 წელი, მაშინ სიკვდილი მინდოდა . . . . რომ არა უხილავი ხმა, რომელიც შორიდან ჩამძახოდა, “შენ სიკვდილის უფლება არა გაქვს“, “შენ სახელოვანი შვილები უნდა გაუზარდო ქვეყანას, აი ამ ხმამ, ამ შეძახილმა, მომიყვანა დღემდე.

23 წელი გავიდა, რამდენი შიმშილი, რამდენი სიცივე, რამდენი გაჭირვება . . . მაგრამ ბრძოლა შვილების გადასარჩენად არ შემიწყვეტია, მიზანს მივაღწიე, ნამდვილად გაუზარდე სამშობლოს სახელოვანი შვილები, ეს ქალაქის მერიასაც არ გამოპარვია და 2005 წელს ღირსეული დედობისთვის სიგელით დამაჯილდოვა.

სოზარ! შენი შვილები დღეს თავიანთ ბუდეში ზიან, ქმარშვილთან ერთად. ძალიან ბედნიერები არიან, უკვე 9 შვილიშვილის ბაბუა ხარ, თეას პატარას შენი სახელი ჰქვია. ხშირად გიგონებენ, როგორც საუკეთესო მამას, შენით ამაყობენ, მე მჯერა, რომ არასოდეს დაგივიწყებენ და თაობიდან თაობას გადასცემენ შენი გმირობის ამბავს.

მე უკვე შემიძლია ვთქვა, რომ სიკვდილის აღარ მეშინია, რადგან ვალმოხდილი მივდიცვარ ამ ქვეყნიდან 9 შვილიშვილის ბებია. როცა იქნება დღეს თუ ხვალ, მოვალ შენთან! და მოგიყვები მიზნის მიღწევისათვის რამდენი ჯოჯოხეთი გამოვიარე ფრთა მოტეხილმა, უშენოდ, რომ მიმეღწია დასახულ მიზნისათვის.

მე! დავიტანჯე პირველი გრძნობით,
მე! შენს სიყვარულს არ გავცვლი სხვაზე
ჩვენს დაუვიწყარ ფსევდონიმს “მარი“-ს
სისხლით დავიწერ კუბოს ფიცარზე.

მანანა ხურციძე-ჩაქსელიანი.



ჩხეტიანი რუსუდანი და ზურაბი - და - ძმა

რუსუდანი დაიბადა 1969 წლის 5 ივლისს გულრიფშიდს რაიონის სოფ,. მერხეულში.

დაამთავრა სოხუმის სამედიცინო სასწავლებელი.

რუსუდანი იყო პატარაობიდანვე განსაკუთრებული ხასიათის მქონე. ალამართალი, უაღრესად კეთილი, დინჯი, უსამართლოდ არც თავს დაიჩაგრავდა და სხვასაც არ დაჩაგრავდა. ბრძოლაში ნამდვილი ვაჟკაცური თვისებები გამოიჩინა.

გულით იცავდი მშობლიურ აკვანს,
მშობლიურ მიწას გულით იცავდი,
ქალი ყოფილხარ, შვილი მამულის,
დიდება შენდა უკუნისადმი!

1992 წლის ნოემბერში ჩაირიცხა სამხედრო პოლიციაში სამედიცინო სამსახურის მედ-დად. ჩხეტიანი რუსიკო ასრულებდა თავისზე დაკისრებულ ვალდებულებას პირნათლად, როგორც ნაწილში, ასევე პოზიციაზე შესრულების დროსაც. გამოყვანილი

ჰყავს ბრძოლის ველიდან არა ერთი დაჭრილი. 1993 წლის 16-17 მარტის შემოტევისას ბრძოლის ველიდან გამოიყვანა რამდენიმე დაღუპულის გვამი, რის შედეგადაც საბრძოლო მამაცობისათის გამოეცხადა მადლობა.

აფხაზეთში იბრძოდი, დედაქალაქში იყავით შენ და შენი ძმა ბესიკი ომში დაჭრილი მამის სანახავად ჩასული, მამის, რომელსაც ერთი დღითაც არ მიუტოვებია აფხაზეთის ომი და თავის შვილებთან ერთად იცავდა სამშობლოს.

1993 წლის 22 სექტემბერს, სოხუმში მძიმე მდგომარეობის გამო ძმასთან ერთად ჩასხედით თვითმფრინავში სოხუმის მიმართულებით, რომელსაც სეპარატისტებმა ესროლეს და ბაბუშერას აეროპორტში ჩამოვარდა, თვითმფრინავი დაიწვა. . .

წავიდა 24 წლის ერთგული, პატრიოტი გოგონა . . . წავიდა ჩვენგან სიცოცხლეს მოწყურებული, სამშობლოსათის თავდადებული ვაჟკაცი გოგონა, რომელმაც საკუთარი ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრო . . . დაუტოვა ოჯახს მოუშუშებელი იარა.

დაჟილდოვებულია ვახტანგ გორფასლის 111 ხარისხის ორდენით.

ძმა ბესიკი დაიბადა 1971 წლის 21 თებერვალს გულრიფშის რაიონის სოფ. მერხეულში.

სვანური სულით, გულით, ცოდნით განათლებული, უცოლშვილი.

ხანმოკლე იყო ზურიკო შენი სიცოცხლე. 22 წლის წახვედი და დატოვე მოულოდნელი ტკივილი - საოცარი, ყველასგან გამორჩეული, ამიტომაც წახვედი ამ ქვეყნიდან გმირად.

აფხაზეთში იბრძოდი, დედაქალაქში იყავით შენ და შენი და - რუსიკო, ომში დაჭრილი მამის სანახავად ჩასული, მამის, რომელსაც ერთი დღითაც არ მიუტოვებია აფხაზეთის ომი და თავის შვილებთან ერთად იცავდა სამშობლოს.

ზურაბ ჩხეტიანი იყო მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-7 ბატალიონის რიგებში. რიგითი მებრძოლი 1992 წლის 15 დეკემბერიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო ოპერაციებში. თავი გამოიჩინა 1993 წლის 13-14 იანვარს შეტაკების დროს ოჩამჩირის რაიონის სოფ. კვიტოულში. დილიდანვე მოწინააღმდეგის ძალებთან მოუხდა ბრძოლაში ჩაბმა. სხვა თანამებრძოლებთან ერთად ბესიკი მამაცურად უტევდა მოწინაარმდეგეს.

გმირობა გამოიჩინა 9-10 ივლისს შრომა-ახალშენის მიმართულებით მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში. თანამებრძოლები მას უშიშარ, თავდადებულ ვაჟკაცად მოიხსენიებენ.

ეცემოდა სოხუმი . . . ეცემოდნენ ქართველი ვაჟკაცები. მტერი იტაცებდა ქართულ მიწას... ტყვიების წვინმა მოდიოდა . . . უჭირს სოხუმს . . . უკან არ დაუხევიათ . . .

1993 წლის 22 სექტემბერს, სოხუმში მძიმე მდგომარეობის გამო და - რუსიკოსსთან ერთად ჩასხედით თვითმფრინავში სოხუმის მიმართულებით, რომელსაც სეპარატისტებმა ესროლეს და ბაბუშერას აეროპორტში ჩამოვარდა, თვითმფრინავი დაიწვა. . .

უკუღმა დატრიალდა ბედის ჩიხი, თითქოს საშინელი ჩეხებით შემოუვარა ყველა კარს და ააფორიაქა, საკუთარი კერა ჩაუქრო ულმებელმა სიკვდილმა. . .

უდროვოდ წავიდნენ ღიმილის ბიჭები.

დაჟილდოვებულია ვახტანგ გორფასლის 111 ხარისხის ორდენით.

ჩიხრაძე ნოდარი

დაიბადა 1972 წლის 29 დეკემბერს ქ. სოხუმში.

დაამთავრა სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა. ქ. სოხუმის უნივერსიტეტში სწავლობდა ფიზკულტურის ფაკულტეტზე. იყო სპორტული აღნაგობის.

1 კურსი დახურა და შემდეგ იწყება ნოდარის საომარი ცხოვრება. ჭაბუკი ისე დავაჟკაცდა ერთ დღეში, სამხედრო ფორმის შემდეგ.

პატარაობიდანვე იყო ძალიან წყნარი, მშვიდი ხასიათის ბავშვი, არ უყვარდა შექება, იზიდავდა წიგნები და კითხულობდა ძალიან ბევრს. უყვარდა უფროსების პატივისცემა. ყველა სულიერი ეცოდებოდა, ნოდარი იყო სულით და ხორცით ქართველი.

ომი, სასტიკი და დაულდობელი, ცრემ;ლიანი, ტკივილიანი. რამდენი პირტიტველა ბიჭი წაგვართვა აფხაზეთის ომმა, რამდენი ოცნება დარჩა ხორცშესხმული.

19 წლის ნოდარი სიამაყეს გრძნობა დაეუფლა, სამშობლოს სიყვარულმოწყურებულმა, გადაწყვიტა ბრძოლის ველზე სამშობლოს დასაცავად წასულიყო.

გაგრაში ყოველი დღე იძაბებოდა.

“შვილი არც დედისა და არც მამისაა, შვილი ერისაა და ბედნიერია ის ვინც სამშობლოსათვის უძგერს გული“ - სწორედ ეს სიტყვებია, რომელმაც 19 წლის ნოდარ ჩიხრაძემ წარმოთქვა.

1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრაზე მასირებული შეტევა დაიწყო.

ბრძოლის ქარცეცხლიდან გამოჰქონდათ გმირების ცხედრები “თეთრი არწივის“ არწივებს. თვალსა და ხელს შუა ეცლებოდათ თანამებრძოლები და ამხანაგები . . . იღუპებოდნენ გულადი მეომრები.

19 წლის ნოდარი იბრძოდა - მამულის ერთიანობისატის;

იბრძოდა - საქართველოსათვის;

იბრძოდა ჭაბუკი სიკასკასით და ენერგიით.

შეწყვეტილი სიმღერასავით შეწყდა მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლე.

ის, რაც ნოდარ ჩიხრაძემ, 19 წლის ვაჟკაცმა მოასწრო, ბევრი ალბათ, საუკუნის მიღწეული ისე წავა ამ ქვეყნიდან, რომ სოფელს არას არ არგებს. . .

მან კი სამშობლოსათვის გაწირა თავი. 19 წლის სიცოცხლე უყოყმანოდ მიიტანა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის სამსხვერპლოდ. . . .

ნოდარის დედა ქ-ნი ციცო ლობჟანიძე - ჩიხრაძე დღესაც შვილის მოლოდინით ცხოვრობს. ენატრება დას - ქ-ნ იას 19 წლის ძმის სახე, რომელსაც არ ავიწყდება მისი მომღიმარი, ამაყი, ვაჟკაცური გამოხედვა.

დედის სიტყვებიდან, მესმის ტკივილიანი გამოძახილი: ისევ გელოდები შვილო, ვერ ვეგუები უშენობას, საშინელებაა ეს ცხოვრება. ჩემი ეტალონის ვერც ერთმა უჯრედმა ვერ აღითქვა შენი არყოფნა.

ამბობენ დრო ყველაფრის მკურნალიაო, . . . შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ის, ის იარა, ტკივილი, რომლის გრძნობაც სულით ხორცამდე შეგრძავს, ჯერ კიდევ შეუხორცებელია. ყველანი მომაკვდავნი ვართ ამ ქვეყანაზე, მაგრამ უდროვოდ წასული ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, უფრო ღრმა ჭრილობას ტოვებს ჩვენს გულებში.

ქართული ფუძე, ქართული ძირი ისევ ყვავი;ლობს. . .

ჩუმაშვილი ამირანი გრიგორის ძე

დაიბადა 1954 წლის 12 ოქტომბერს ქ. ბოლნისში. 1961 წელს შევიდა ბოლნისის ს.ს. ორბელიანის სახელობის საშუალო სკოლაში. 1974 წელს დაამთავრა ბოლნისის ტექნიკუმი. მუშაობდა ბოლნისის საკონსერვო ქარხანაში. ამავე წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში.

1993 წლის 17 სექტემბერს გაწვეულ იქნა ბოლნისის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და ჩაირიცხა ბოლნისის ბატალიონში.

1993 წლის 26 სექტემბერს უგზო-უკვლოდ დაიკარგა სოხუმის დაცვასთან წარმოებულ ბრძოლებში.

ჩუმაშვილი ამირანი გრიგორიოს ძე ბრძოლებში გამოირჩეოდა სიმამაცითა და გამბედაობით. უსაზღვრო იყო მისი სიყვარული სამშობლოსადმი. მისი საქციელი ყოველთვის მისაბაძი და სამაგალითო იყო თანამებრძოლებისათვის, გამოირჩეოდა თავმდაბლობით და თავდაჭერილობით. ბოლომდე მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი, თავი შესწირა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მამულისათვის თავდადებულ მებრძოლთან შორის.

ჩაკვეტაძე გიორგი

დაიბადა 1966 წლის 17 მაისს სოხუმის რაიონის სოფ. ზემო კელასურში. საშყუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის ინდუსტრიალურ ტექნიკუმში. პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

გიორგი გამოირჩეოდა, როგორც საზრიანობით, ასევცე ზრდილობით,ერგიულობით. მას ყველა უყვარდა, საკუთარ წილ სითბოს დაუშურებლად უწილადებდა ახლობლებსა და მეგობრებს. რაღაც სასწაულად ყველგან დროულად და ყველასათვის სიამოვნების მინიჭებას ახერხებდა. კაცმოყვარე ვაჟკაცი იყო, რომლისათვის მეგობარს კი არა, უცნობი ადამიანის ღალატიც უცხო იყო, არც სიტყვისგატეხვა და უკან დახევა ჩვეოდა. ყოველთვის პირნათლად ასრულებდა ადამიანურ ვალს და როცა საქმე პატრიოტული ვალის მოხდაზე მიდგა, უკან არც კი დაიხია. როცა საქართველოს ტერიტორიულ

მთლიანობას საფრთხე დაემუქრა, გიორგი 1992 წელს ჩაირიცხა 23-ე ბრიგადის პირველ მოტომსროლელ ბატალიონში სანიტარ - ინსტრუქტორად. მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში. მეთაურთა დავალებებს ასრულებდა პირნათლად.

1993 წლის 16 მარტის საბრძოლო მოქმედებების დროს მძიმედ დაიჭრა თავის არეში, მკურნალობის შემდეგ ისევ დადგა თანამებრძოლებს შორის და მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში.

1993 წლის 16 სექტემბერსსოფელ გვარდას აღებისას, მტერთან შეტაკების დროს დაიღუპა ბრძოლის ველზე. დაკრძალულია სოფ. კელასურის სასაფლაოზე.

მსუბუქი ყოფილიყოს ის მიწა, რომლის სიყვარულსაც სიცოცხლე აჩუქე, ქართველ ვაჟკაცო.

ჩაჩიბაია გოჩა

დაიბადა 1965 წლის 27 მაისს ქ. სოხუმში.

1982 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლა. გამოირჩეოდა სიდინჯით, გატაცებული იყო სპორტით. კრივის სპორტის ოსტატი მრავალჯერ გახდა აფხაზეთის ჩემპიონი.

ჩაჩიბაია გოჩა 1993 წლის ივნისს გაწვეული იყო სამხედრო სამსახურში და ჩარიცხული იქნა 23-ე ბრიგადის ცალკეული მსროლელ ასეულში, რიგითად.

სოხუმელმა ბიჭმა თავი გამოიჩინა, როგორც დისციპლინირებულმა მებრძოლმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ღირსეულმა დამცველმა .

მინდა შევახსენო მკითხველს მის გრძნობაზე . . . აფხაზეთის ომის დაწყების დროს იყო ქ. ლვოვის სამედიცინო ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი, რომელიც ვერ დაამთავრა, რადგანაც მის ქალაქს უჭირდა. თავის ძმებთან და მეგობრებთან ერთად იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ის არ ებრძოდა აფხაზს ხალხს, არამედ იცავდა სამშობლოს. . .

დიდებული ოჯახის შვილს, ბ-ნ ოთარ ჩაჩიბაიას ვაჯკაცს სვანაირად ვერ შეეძლო. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ პატივს სცემს ბ-ნ ოთარ ჩაჩიუბაიას, დამსახურებულ ექიმს, რომელიც საზოგადოებრივი საქმეების ნამდვილ სულისჩამდგმელი არის და ადამიანებისათვის მხოლოდ სიკეთე სურდა.

ასეთი სიყვარულით და რწმენით იზრდებოდა ჩაჩიბაიების ოჯახიდან გამოსული ვაჟკაცები: გოჩა ჩაჩიბაია, ბერუ ჩაჩიბაია (ბიძაშვილი), ფეტელავა მამუკა (მამიდაშვილი). სამივე სამშობლოს სადარაჯოზე იდგნენ წელგამართულნი.

1993 წლის ივნისის ბრძოლების დროს სოფ. ქვემო ეშერაში მდ, გუმისთაზე მტრის არტილერიის მიერ ასეულის პოზიციების დაბომბვის დროს თავის არეში მძიმე ჭრილობა მიიღო, რის შედეგადაც 1993 წლის 5 ივლისს გოჩა ჩაჩიბაია გარდაიცვალა ადგილზე. მიცვალებულის ცხედარი ბრძოლის ველიდან გადმოასვენეს.

ბრძოლის ველზე ნახევრად წაქცეული გოჩას სიტყვები იყო:

«Враги! Вы грузинскую спину не уиидите»…

დასაფლავებულია გულრიფშის სასაფლაოზე.

ეჰ, უკუღმართია, მოულოდნელობითაა სავსე ომის გზები. საქართველოს უამრავი გმირი ყავს, ძალზე ბევრნი . . . ვინც ანთებული გულით სამშობლოს ერთიანობისათის ბრძოლაში დაეცა.

ნათელში ყოფილიყოს, გოჩა, ბესიკ, მამუკა . . . თქვენი ბედკრული სული.

ჩაჩანიძე ალექსი

მამა ალექსი ერისკაცობაში ალექსანდრე (საშა) ჩაჩანიძე.

დაიბადა ჭიათურაში, 22 წლის იყო როცა ქ. სოხუმში გადასახლდა ოჯახი. დაოჯახდა სოხუმში, მეუღლე - ვარა დიმიტრის ასული შუბითიძე - ჩაჩანიძეზე. ეყოლათ 3 ქალიშვილი, ერთი ვაჟიშვილი.

ოდიშის რუსულ მონასტერში მოღვაწეობდა - მრევლად.

სიტყვა ძუმწი, თავმდაბალი, უფალის სიყვარიულში გაატარა მან თითქმის თავისი ცხოვრება ერისკაციბიდან, მორჩილებოდან, მონოზვნობამდე, მართალი სულით წმინდა. შვილებს ზრდიდა პატრიოტული სულით. და ასეთი პატრიოტული სულით ჰყავდა ერთ-ერთი ქალიაშვილი - მედიკო ჩაჩანიძე.

ჩაჩანიძე მედეა დაიბადა 1956 წლის 2 იანვარს ქ. სოხუმში. დაამთავრა ბესლეთის საშუალო სკოლა, შემდეგ სამედიცინო ტექნიკუმი მედდის სპეციალობით.

ჩაჩანიძე მედიკო --- იყო თავგანწირული ოჯახისათვის, მეგობრული, სიკეთისა და კეთილშობილების უზადო მაგალითს აძლევდა ყველა მისგვერდით მყოფს. უაღრესად პატიოსანი, ოჯახის შექმნაც კი ვერ მოასწრო. მუშაობდა სოხუმის კონიშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კვლევით ინსტიტუტში ლაბორანტად. იყო საშუალო ტანის თავდაბალი, ძალიან ქალური, მაგრამ ძალიან გაბედული, უძომოდ შეყვარებული თავის ქალაქზე, სამშობლოზე, მეგობრებზე, ოჯახის წევრებზე, სწორედ სამშობლოს სიყვარულმა მიიყვანა იქ, სადაც მისთვის ბოლო აღმოჩნდა, კარგ დროსაც, როდესაც ბედნიერი იყო, სიცოცხლე უხაროდა სულ ერთ და იმავეს იმეორებდა “მე დაცვიბადე სოხუმში და მე მოვკვდები ჩემს სოხუმში, რადგან ჩემი ქალაქის, ჩემი სოხუმის გარეშე მე სოცოცხლე არ შემიძ;ლიაო“!

ერთხელ საყვედურით უთხარით ახლობლებმა, ომი სოხუმში შენს გარეშეც მოგვარდებაო“. მან გაბედული ბავშვივით გვიპასუხა: “არა ბატონებო ჩემი ადგილი სწორედ აქ არის, მოვალეც ვარ და ვალდებულიცო“.

დიდი სიყვარული მოყვებოდა მამისგან - მამა ალექსისგან. და ამ სიყვარულით, როცა აფხაზეთს გაუჭირდა ირიცხება აფხაზეთის ყოფილი სამხდერო პოლიციის სამმართველოს სამედიცინო სამსახურში 1992 წლის 10 ოქტომბრიდან. მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც ატარებდა ასეული, იყო დაჭრილი. თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

ერთ-ერთ საავიაციო დაბომბვის დროს 1993 წლის 6 მაისს - გიორგობის დღეს დაიღუპა.

37 წლის ქალიშვილი, რომ არა ომი, სიცოცხლე ჯერ კიდევ წინ ექნებოდა. სიცოცხლე სწორედ იქ დაამთავრა, სადაც მისი სამშობლოს, ქალაქის სიყვარული მსხვერპლს ითხოვდა.

ომის შემდეგ, ქალიშვილის დაღუპვის შემდეგ მამა ალექსი იყო საპატრიარქოში, 12 წელი იმყოფებოდა იქ. იქვე ილია 11-მ აკურთხა და აღკვეცეს საგარეჯოს რაიონში მამათა მონასტერში.

ვლადიმერ ჩიტაია

დაიბადა 1975 წლის 25 მაისს ქ. გაგრაში. განათლება საშუალო, ქართველი. გაგრის მუდმივი მაცხოვრებელი. დაამთავრა გაგრის 11 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ დაამტავრა ვოვა გადადის ომის ხაზზე. აფხაზეთის ომს ვოვა ჩიტაია,მ სულ ახალგაზრდა. 17 წლის ასაკში შეხვდა. ომის პირველ დღიდანვე აიღო იარაღი სამშობლოს დასაცავად. სამშობლოს სიყვარული დედის რძესთან ერთად შეისისხლხორცა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი იბომბებოდა, მაინც მოასწრო მშობლების გადაყვანა ადლერში. თვითონ კი დაბრუნდა.

1992 წლის 2 ოქტომბერი. . . .

ბევრი მძიმე და ძნელი დღე გამოიარა. მტკაველი მიწა არ ეთმობოდა, ვაჟკაცურად იბრძოდა.

ვლადიმერი (ვოვა) გრიგორის ძე ჩიტაია მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში ქ. გაგრის ზონაში. ირიცხება ქ. გაგრის კომენდატურაში 1992 წლის 22 აგვისტოდან.

2 ოქტომბერს ქალაქზე შემოტევის დროს კომენდატურის ოცეულთან ერთად მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს.

ომი ერთი წელი და ერთი თვე მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში უამრავი გმირობის მოწმენი გავხდით - ამბობს ბადრი ფირცხელიანი - გაგრის კომენდანტი. მინდა მოგახსენოთ 17 წლის ვოვა ჩიტაიას ბრძოლის ეპიზოდი, - მას ყველა არ იცნობს.

- ის ჯერ კიდევ 14 წლის იყო, მხედრიონში რომ მოვიდა. ძალიან ლამაზი ბაცშვი იყო, საიცრად "ჟილკიანი". ომი რომ დაიწყო, ისევ ჩვენთან მოვიდა. ერთ დღეს ბიჭები დაზვერვაზე გავუშვი. არის ასეთი მთა მამძიშხვა. იქ უნდა ასულიყვნენ. გზის ნაწილი ავტობუსით უნდა გაევლოთ, მერე ფეხით წასულიყვნენ. ეს სამბავი ვიღაცამ აფხაზებს აცნობა. ჩეჩნები და აფხაზები ბიჭებს ჩაუსაფხდნენ, ავტობუსი ააფეთქეს. იქ 27 ადამიანი იჯდა. 6 დაიღუპა, დანარჩენები დაიჭრნენ, მაგრამ გამოღწევა შეძლეს. როცა ეს ამბავი გავიგეთ, დახმარება გავაგზავნეთ. დამხმარე რაზმში ვოვაც იყო. მათ ბიჭებს დროზე მოუსწრეს და მოწინააღმდეგე უკუაგდეს. დაჭრილები გამოიყვანეს. ვოვა მაშინ 17 წლის იყო. გადმოხტა მანქანიდან და ტყეში დაიწყო სირბილი, თან ყვიროდა თურმე, მოდი კარგად ვნახოთ, ან ჩვენიანი დაჭრილი არ იყოს სადმე, ანდა მტერიო. ერთ მასზე უფროს ბიჭს უთქვამს, ბიჭო, ნუ ყვირი, მტერმა არ დაგვინახოსო. ვოვა ამაზე გადაირია და უთხრა - კაცო, აქ იმიტომ ამოვედით, რომ დავინახონ და შენ ის მეუბნები, დავიმალოთო.

მოწინააღმდეგის სამხედრო ტექნიკა შემოვიდა. ვოვა რუსების ბმპ-ს შეახტა, თავიც აიფეთქა და რუსებიც თან გაიყოლია. საოცარი ბიჭი იყო ვოვა, ის ნამდვილი გმირია.

ჩიხრაძე გიორგი

დაიბადა 1965 წლის 5 იანვარს თბილისში. 5 წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა. ქ-ნმა რუსიკომ - გიას დედამ ერთად - ერთი შვილი გაზარდა პატიოსანი შრომის, ერთგულების და კაცთმოყვარეობის პრინციპით.

გიამ 1985 წელს დაამთავრა 89-ე საშუალო სკოლა. 1987-88 წლებში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1989 წელს ჩაირიცხა ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომლის დამთავრება ვერ მოასწრო.

1992 წლის აგვისტოში მუშაობა დაიწყო 8-ე ლეგიონში კომენდანტად, საიდანაც სამჯერ წავიდა აფხაზეთში, შემდეგ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ნაწილში. 1993 წლის 17 მარტს წავიდა აფხაზეთში.

3 აპრილს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს სოფელ ახალშენში პოსტის შესაცვლელად მიმავალნი 6 ახალგაზრდა ღალატით დახოცეს. ერთად გაიზიარეს ბიჭებმა ტკივილები, სიკვდილთან შეყრის მძიმე წუთები, ფიზიკურად განადგურდნენ ეს ლამაზი სიცოცხლით, სიყვარულით ანთებული ბიჭები, სულიერად კი ეზიარებნენ უკვდავებას. .. დარჩა ქ-ნი რუსიკო მარტო თავის ფიქრებთან და მოგონებებთან. ოთარაანთ ქვრივივით შემართულმა, გულმართალმა, პირდაპირმა და მშრომელმა ყმაწვილობაში დაქვრივებულმა დედამ, თავის ერთად ერთ პირმშოს ჩაუნერგა კაცთმოყვარეობა, შრომის მოყვარეობა, თავმდაბლობა, საჭიროებისას ვაჟკაცური აბობოქრების, სამშობლოსადმი უსაზღვროდ სიყვარულის რაინდული სული და აჰა დადგა გამოცდის ჟამი. გია, ეს ათლეტური გარეგნობის ვაჟკაცი უყოყმანოდ ჩაება სამშობლოს ტერიტორიული ერთიანობის დაცვისათვის ბრძოლაში. გიამ ვერ მოასწრო დაცოლშვილობა, ვერ დაუტოვა სამშობლოს შთამომავალობა.

შვილებს ხშირად საყვედურობენ ხოლმე, გიასაც საყვედურობენ დედის სრულიად უნუგეშოდ დატოვებას, მაგრამ გიასნაირები ჩვენგან სწორედ იმით განირჩევიან, რომ მათ სხვანაირი, ჩვენთვის მიუწვდომელი - თავგანწირული სიყვარულის ძალა შესწევთ. აფხაზეთიდან ბოლო ჩამოსვლისას დედას დაპირდა - აღარ წავალო, მაგრამ გულმა ისევ არ მოუთმინა. ბუნებით უღალატომ მხოლოდ საკუთარ დედას უღალატა. სახლში დარჩა ქაღალდის ნაგლეჯზე გაკრული ხელით მიწერილი: წავედი სოხუმში, მალე ჩამოვალ“ - ვეღარ ჩამოვიდა. ოცდამეექვსე წელი ვეღარ მიითვალა “ქოჩორა“ გიამ - როგორც მას თანაკლასელები და უბნელი ბიჭები ეზახდნენ.

გიას და მის მსგავსად სამშობლოსათვის თავშეწირულ რაინდებს დავიწყების ფერფლი ვერ დაფარავს.

ისტორია მათ არ დაივიწყებს.

გია ჩიხრაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

ჩოფლიანი დიმიტრი

დაიბადა 1954 წლის 12 თებერვალს, გულრიფშის რაიონის სოფ. გენწვისში. დაოჯახებული. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პირნათლად მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. სამშობლოზე და ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული. სიმართლე და პატიოსნება მისი კაცური ცხოვრების მეგზური იყო. სამყაროს ლამაზი თავლებით უყურებდა. სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი ეროვნულ მოძრაობის დაწყებისთანავე გვარდიის რიგებში ჩაება.

თანატოლებში ბევრჯერ უთქვამს, "გულით მინდა ყოველთვის სამშობლოს გვერდით ვიდგე, ვიდგე იქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირს ჩემს ქვეყანას, ერსა და ბერს, რადგან სამშობლოში ჩემს დედ-მამას ვხედავო". . .

ჩოფლიანი დიმიტრი ნიკოლოზის ძე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზირებული ბრიგადის 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მე-3 ბატარეის საზენიტო ათეულის მეთაურად. მას უშუალოდ მონაწილეობა აქვს მიღებული 239-ე საზენიტო დივიზიონის მიერ წარმოებულ ძირითად საბრძოლო ოპერაციებში, საბრძოლო დავალებების შესრულების დროს გამოირჩეოდა მამაცობითა და პატრიოტიზმით.

1993 წლის 25 სექტემბერს მძიმე პერიოდში, როდესაც ქ, სოხუმი ეცემოდა, მძინედ დაიჭრა სოხუმის მისადგომებთან სოფ. შრონმის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწინააღმდეგის მხრიდან გასროლილი ჭურვის აფეთქების შედეგად.

გარდაიცვალა 1993 წლის 26 სექტემბერს

დაჯილდოვებულია მედლით ""მხედრული მამაცობისათვის".

ჩაგოშვილი ლევან

დაიბადა 1965 წლის 14 იანვარს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ლენინგრადის ოლქის ქ. ვიბორგის საავიაციო ტექნიკურ სასწავლებელში. მუშაობდა ქუთაისის ვერტმფრენის ესკადრილიაში, ბორტინჟინრად.
1989წლის ჩაირიცხა ქ როსტოვის სავიაციო ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე. მუშაობდა თბილისის სამოქალაქო ავიაციის ვერტმფრენების ავიარაზმში, რომლის პირადი შემადგენლობაც, საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლის, თავდაცვის მინიატრის პირველი მოადგილის 1993 წლის 11 იანვრის N 19 ბრძალებია თანახმად, გადაიყვანეს აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტში მონაწილეობის მისაღებად.
ჩაგოლიშვილი ლევან იყო ერთგული, უღალატო მეგობარი, უაღრესად კეთილშობილი. რამდენი აუხდენელი ოცნება და გაუკეთებელი საქმე დაეჩა ამ ქვეყნად... მან ერის მომავლისთვის დათმო ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია--სიცოცხლე.
1993 წლის 30 სექტემბერს დაიღუპა ავიაკატასტროფაში ლტოლვილების გადმოყვანის დროს. ლევანისა და მისი მეგობრების სისხლი უკვალოდ არ ჩაივლის და შთამომავლობას კეთილი სიტყვებით გადაეცემა.. ნათელში ამყოფოს მისი სული ღმერთმა!

ჩაფიძე ხვიჩა ვიტალის ძე

დაიბადა ჭიათურის რაიონის სოფ. რცხილათში 1966 წლის 2 სექტემბერს. მისი ოჯახი კეთილი, მრავალსულიანი და მშრომელი იყო, ჰყავდა მშობლები, ხუთი ძმა და ორი და. ხვიჩამ ბავშვობა სოფელში გაატარა. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სოცელქითა და სამართლიანობით.

1972 წელს მან სწავლა დაიწყო.სკოლაში სწავლისას გამოირჩეოდა სანიმუშო ყოფა-ქცევით, მასწავლებისა და ამხანაგების მიმართ პატივისცემით. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა.

1980 წელს დაამთავრა 8 კლასი და სწავლა გააგრძელა ტყიბულის # 19 პროფ. სასწავლებელში.

1983 წელს დაამთავრა ტყიბულის # 19 პროფ. სასწავლებელში და მუშაობა დაიწყო ტყიბულის ლენინის სახელობის მაღაროში ელმავლის მემანქანედ.

1984-86 წლებში მოიხადა სავალდებულო-სამხედრო სამსახური. ჯარში მან მოიპოვა უფროსებისა და მეგობრების პატივისცემა და სიყვარული. ჯარის შემდეგ ხვიჩამ გააგრძელა მუშაობა ტყიბულის მაღაროში 1987 წლამდე.

1987 წელს დაქორწინდა ქალბატონ თამარ ბედინაშვილზე და ჰყავს 2 ქალიშვილი, მეგი და მაგდა.

1990 წელს მუშაობა დაიწყო ჭიათურის შინაგან საქმეთა განყოფილების არასაუწყებო დაცვაში მანამ, სანამ არ წავიდა აფხაზეთში, სამშობლოს დასაცავად.

1993 წლის მარტიდან გადავიდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირველი საარმიო კორპუსის ორხევის ასეულში რიგით გვარდიელად.

ხვიჩა ბოლოს,1993 წლის 2 ივლისს იმყოფებოდა თავის ოჯახში, მან 2 ივლისის მოვლენებს გულჩათხრობილი უყურებდა ტელევიზორს. მეორე დღესვე, დილით დაემშვიდობა ოჯახს და წავიდა საბრძოლველად...

ხვიჩა ჩაფიძე დაიღუპა გმირულად 1993 წლის 9 ივლისს ტამიშთან.

ხვიჩა ჩაფიძე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ სიკვდილის შემდეგ.

სამი ოჯახიდან...

მამა-დავით ჩხეტია; შვილები---მერაბ და თენგიზ ჩხეტიები

დავით ჩხეტია დაიბადა 1943 წლის 13 მარტს ქალაქ აბაშაში.
აფხაზეთში მიმდინარე სამარი მოქმედების დროს , დავით ჩხეტია ნიკოლოზის ძე მოხალისედ ჩაეწერა ქ. გაგრის ბატალიონში 1992 წლის 18 აგვისტოდან. ის მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში ქ. გაგრის ზონაში, რომელსაც აწარმოებდა ბატალიონი. იყო დისციპლინირებული და შემსრულებელი, მეთაურის დავალებებს ასრულებდა დროულად და პირნათლად. 1992 წლის 2 ოქტომბერს ქ. გაგრაზე მოწინააღმდეგის შემოტევის დროს სოფელ კოლხიდასთან გმირულად გმირულად იქნა დაღუპული.

მერაბ დავითის ძე ჩხეტია

დაიბადა 1969 წელს 5 მარტს ქალაქ გაგრაში.
აფხაზეთში მიმდინარე სამარი მოქმედების დროს, მერაბ ჩხეტია დავითის ძე იმყოფებოდა

მოხალისედ ქ. გაგრის ბატალიონში 1992 წლის 18 აგვისტოდან.
ის მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში ქ. გაგრის ზონაში, რომელსაც აწარმოებდა ბატალიონი. იყო დისციპლინირებული და შემსრულებელი, მეთაურის დავალებებს ასრულებდა დროულად და პირნათლად.
1992 წლის 2 ოქტომბერს ქ. გაგრაზე მოწინააღმდეგის შემოტევის დროს სოფელ კოლხიდასთან გმირულად დაიღუპა.

თენგიზ დავითის ძე ჩხეტია...

დაიბადა 1976 წლის 2 სექტემბერს ქალაქ გაგრაში.
აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედების დროს, თენგიზ ჩხეტია დავითის ძე იმყოფებოდა მოხალისედ ქ. გაგრის ბატალიონში 1992 წლის 18 აგვისტოდან.
ის მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში ქ. გაგრის ზონაში, რომელსაც აწარმოებდა ბატალიონი. იყო დისციპლინირებული და შემსრულებელი, მეთაურის დავალებებს ასრულებდა დროულად და პირნათლად.
1992 წლის 2 ოქტომბერს ქ. გაგრაზე მოწინააღმდეგის შემოტევის დროს სოფელ კოლხიდასთან გმირულად იქნა დაღუპული. იცავდა ტერიტორიულ მთლიანობას.

იზან მიხეილის ძე ცერცვაძე

დაიბადა 1952 წელს ქალაქ თბილისში, –სოფ. თავისუფლება ქართველი სამხედრო მფრინავი, პოლკოვნიკი. დაამთავრა ჩერნიგოვის უმაღლესი სამხედრო-საჰაერო სასწავლებელი.

1972–1982 წლებში მსახურობდა საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელ პოლკში.

1985 წელს დაამთავრა გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია. 1985 წლიდან იყო პოლკის მეთაური, შემდეგ საავიაციო უზრუნველყოფის ცენტრის უფროსი. მიენიჭა პირველი კლასის მფრინავისა და სამხედრო მფრინავ-გამომცდელის წოდებები.

1992 წლის 18 ივნისს დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად. მის მიერ 1992 წლის 19 სექტემბერს სუ-25-ით განხორციელებული გაფრენა ითვლება საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების დაბადების თარიღად. ხელმძღვანელობდა საჰაერო ოპერაციებს აფხაზეთში კონფლიქტის დროს. პირადად ასრულებდა საბრძოლო გაფრენებს.

1993 წლის 23 სექტემბერს მისი სუ-25 ჩამოაგდეს სოხუმის რაიონში, სოფელ თავისუფლებასთან. ცერცვაძე დაიღუპა.

სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი (1993).

ცქიტიშვილი გოჩა

დაიბადა 1965 წლის 8 აპრილს ქ. ზესტაფონში.
1971-1982 წლებში სწავლობდა ქ. მცხეთის საშუალო სკოლაში.
სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გლდანის რაიონის მილიციაში..
1984-1986 წლებში მსახურობდა სამჭოთა არმიის რიგებში.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 1 მარტს დაიკარგა უგზო-უკვლოდ სოფელ ლაბრასთან.

ცირდავა ავთანდილ

"არ მომკვდარხარ მტრის ჯინაზე წინ მიდიხარ,
ახალდაბას ვაჟკაცურად იცავ."

დაიბადა 1932 წლის 16 მაისს. საშუალო სკოლა დაამთავრა მუხურში. შემდეგ კი დაუძდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმატებით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სათავაში ცაუდგა ახალდაბის კოლმეურნეობის საბჭოს მდივნად. შემდეგ კი მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე, სადაც ოჩამჩირის საფინანსო ინსპექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობას მიჰყვამ შემდეგ ახალი კინდღის საბჭოთა მეურნეობის უფროს ეკონომისტად.
აფხაზეთის ტრაგედიის ერთ-ერთი უმძიმესი ფურცელი აქ დაიწერა-- გულისტკივილით გვესაუბრება ქალბატონი ნადეჟდა ცირდავა, რომელიც ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად აფხაზეთის ტყვეობაში იყო და საკუთარი თვალით ნახა დიდი უბედურება.
აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, ცირდავა ავთანდილი ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში. ავთანდილი ყოველ ღამე სადარაჯოზე იყო, წინა ხაზზე მიდიოდა ბიჭების გასამხნევებლად. მან ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა, განიარაღებულ ახალგაზრდობას სკურჩაში საკუთარი თანხით შეძენილი იარაღი დაურიგა. აფხაზებმა სამშვიდობო მოლაპარაკება როცა შემოგვთავაზეს, ითავა წასულიყო ათარაში მოსალაპარაკებლად.
ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ მას ტყვედ აიყვანდნენ, მაგრამ აფხაზებმა დიდი პატივისცემით გამოისტუმრეს უკან.
1993 წლის 16 სექტემბერს დილით ექვს საათზე ახალდაბა ორმხრივ ალყაში მოექცა. მეუღლეს ქალბატონ ნადეჟდას დაუბარა შვილებისთვის მიეხედა. თვითონ კი წავიდა . ახალდაბაში მტრის შემოტევის დროს, ცირდავა ავთანდილი 1993 წლის 19 სექტემბერს გმირულად დაიღუპა. დაკრძალულია სოფელ ახალდაბაში.' ანდერძად დაუტოვა შთამომავლობას აფხაზეთის დაბრუნება. მისი აყვავება დღესაც განისვენებს უჭირისუფლოდ საკუთარ მიწაში. მან თავისი ვაჟკაცური ლამაზი სიცოცხლე ლამაზი სიკვდილით დააგვირგვინა.
შრომის და ბრზოლის მეტად ძნელი, მაგრამ სახელოვანი გზა გაბვლო ღვაწლმოსილმა ადამიანმა, ავთანდილ ცირდავამ.

ცაავა რუსლანი ბადრის ძე

დაიბადა 1974 წლის ივლისს ქ. გაგრის რაიონის სოფ. კოლხიდაში. რუსლანი მოეგობრულ გარემოში იზრდებოდა ქართველ, აფხაზ და სომეხ ბავშვებთან ერთად. მას ზედმეტსახელად კოჭოიას ეძახდნენ და ყველას უყვარდა.

რუსლან ცაავა 1992 წლის 18 აგვისტოს ჩაირიცხა თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსისი 23-ე ბრიგადის მე-4 „გგარის“ ს/ნ 5090 ბატალიონში რიგით ჯარისკაცად.

-პატარა ხარ, ნამდვილი კოჭოია ხარ, რუსლან. იარაღი როგორ უნდა მოგცეთ ჯერ?

-ეუბნებოდნენ ასაკით უფროსები და ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე აერიდებინათ იგი განსაცდელისაგან. მაგრამ კოჭოია ყველა თავის მეომრებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო ოპერაციებში. ბრძოლის ველიდან უშიშრად გაჰყავდა დაჭრილები.

ერთხელ გამთენიისას, როცა ტყვიები ორსართულიანი სახლის სახურავიდან წამოვიდა, მიწაზე გართხმულ მზერავებს თავის აწევის საშუალება აი მისცა. მხოლოდ კოჭოია წამოდგა ტყვიის წვიმაში ფეხზე და გამწარებული ყუმბარმტყორცნიდან ისროლა.

რუსლან ცაავა 1993 წლის 4 ივლისს მოწინააღმდეგის შემოტევის დროს სოფ. შრომაში გმირულად იქნა დაღუპული.

დაკრძალულია ქ. სოხუმში.

რუსლან ცაავა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 4 დეკემბრის ბრძანებულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით, სიკვდილის შემდეგ.

ცაგურია დიმიტრი

დაიბადა 1968 წლის მარტის თვეში. 1985 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა რიგის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. მუშაობდა გალის სამხედრო კომისარიატში მეოთხე განყოფილების უფროსად. როცა სოხუმში ჩამოყალიბდა შინაგანი ჯარი, როგორც სპეციალისტი მიიწვიეს ჯერ შტაბის უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ შტაბის უფროსად. სანამ აფხაზეთში ომი დაიწყებოდა, წასული იუო ოსეთში.

1992 წლიდან იბრძოდა სოხუმის მისადგომებთან.

1992 წლის 4 ოქტომბერს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ცაავა შალერი ნოდარის ძე

დაიბადა 1962 წლის 27 ოქტომბერს გალის რაიონის სოფ. განახლებაში. შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობდა 1965 წლიდან. მან მუშაობის პერიპდში თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა, პრინციპულმა, ერუდირებულმა მუშაკმა. გამოირჩეოდა დისციპლინით, შინაგანი ინტელექტით, კეთილსინდისიერებითა და საქმის ცოდნით. იგი უშიშრად ებრძოდა ყოველგვარ დანაშაულს, უხამსობასა და ბოროტებას, შალერმა თავი შესწირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

პოლიციის სერჟანტი შალერი ცაავა დაცვის პოლიციის ბატალიონის სამსახურეობრივი შესრულების დროს დაიღუპა 1993 წლის 27 სექტემბერს.

ცანავა ედუარდ სოსოს ძე

დაიბადა 1959 წელს ქ. ტირნაუზში, ყაბარდო ბალყარეთში.

ედუარდის მამა- პროფესიით გეოლოგია და განაწილებით მოხვდა ქ. ტირნაუზში სადაც შეირთო მეუღლე -ლიანა ბარაზბიევა, პროფესიით ფილოლოგი. ჰყავდათ ქალ-ვაჟი, ბავშვები ადრე დაობლდნენ, დედა ადრე გარდაეცვალა. მამამ შვილები მარტვილში ჩაიყვანა თავის მშობლებთან. ბავშვები ბებია და ბაბუამ გაზარდა.

1966 წელს ედუარდი შეიყვანეს მარტვილის # 1 საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოხუმის აგუძერის ფიზიკის ინსტიტუტში ინჟინერ-ფიზიკოსად.

1992 წლის 20 დეკემბრიდან ედუარდი მსახურობდა ს/ნ 10152-ის 227-ე ცალკეული საარტილერიო დივიზიონის ოცეულის მეთაურად. საბრძოლო მოქმედებების დროს იჩენდა პატრიოტულ მოქმედებებს, ასრულებდა ყველა ბრძანებას კეთილსინდისიერად.

1993 წლის 26 თებერვალს საბრძოლო დავალების შესრულებისას იაშთუხას ზეგანის გადასასვლელზე ტანკსაწინააღმდეგო ჭურვით განადგურდა ურალ 4320, რომელშიც იგი იმყოფებოდა და ადგილზე გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ედუარდ ცანავა დაიღუპა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში და გმირი სახელი დატოვა.

ცანკაშვილი დავით რაჟდენის ძე

დაიბადა 1972 წლის 7 თებერვალს ქ. თბილისში. 1983 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 172-ე სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ყოფილი საბჭოთა არმიის რიგებში. საქართველოში ახლადშექმნილი ნგვარდიის ჩამოყალიბებისთანავე ჩადგა მის რიგებში. 1991 წლის მაისში მსახურობდა ოზურგეთში.

აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე ცაება საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში. აქტიური მონაწილეობა მიიღო საქაღტველოს ტერირორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

1992 წლის ივნისი-ივლისი სოფ. მეღვრეკლისი და დიდი და პატარა ლიახვის ხეობა. აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე 21 აგვისტოს ბედმა უმუხლა. მანქანიდან გადმოვიდა წყლის დასალევად რა დროსაც ჩასაფრებულმა მტერმა ნმუხანათურად მოისწრაფა სიცოცხლე სოფ. ტამიშთან.

ციკოლია თამაზ რაჟდენის ძე

დაიბადა 1968 წლის 8 თებერვალს გალის რაიონის სოფ. ცხირში.

თამაზი იყო გამორჩეული და პატრიოტი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული.

1992 წლის 20 დეკემბრიდან ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 114-ე მექანიზირებული ბატალიონის პირადი შემადგენლობის რიგებში. მან მიიღო ყველა საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა მისი ქვედანაყოფით და მან თავი გამოიჩინა, როგორც დისციპლინირებულმა მამაცმა და უშიშარმა მეომარმა. თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1993 წლის 2 ივლისს მტრის დივერსიული თავდასხმის დროს უტანასწორო ბრძოლაში გმირულად დაიღუპა თამაზ ციკოლია.

ციკოლია რევაზ გიგიშას ძე

დაიბადა 1956 წლის 23 ივლისს მარტვილის რაიონი სოფ. გაჭედილში.

1973 წელს დაამთავრა ბალდის საშუალო სკოლა. იმავე წელს გაიწვიეს სავალდებულო-სამხედრო სამსახურში. 1984 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1990 წელს. რევაზი პარალელურად მუშაობდა ინჟინერ-მექანიკოსად.

რ. ციკოლია იყო ვაჟ-კაცი, უაღრესად გულთბილი და მოსიყვარულე.

1992 წლის 10 ოქტომბრიდან იყო დისციპლინირებული მებრძოლი. პირნათლად ასრულებდა მეთაურის დავალებებს. თანამებრძოლებას შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1992 წლის 10 ოქტომბრიდან ჩაირიცხა აფხაზეთის სამხედრო პოლიციაში.

1993 წლის 20 სექტემბერს, რევაზ ციკოლია დაიღუპა ქ. სოხუმში ერთ-ერთი საბრძოლო მოქმედებების დროს.

ცაავა მეგონა ვანოს ძე

დაიბადა 1958 წლის 17 იანვარს, ეროვნებით ქართველი, განათლება - საშუალო, დაამთავრა 1975 წელს.

ზემდეგი ცაავა მეგონა ვანოს ძე მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 20-ე მექანიზირებული ბრიგადის 239-ე საზენოტო-საარტილერიო დივიზიონის მე-2 ბატარეის უფროს დამმნიზნებლად 1992 წლის 15 დეკემბრიდან 1993 წლის 21სექტემბრამდე.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ზემდეგ მ.ვ. ცაავას უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მიერ წარმოებულ თითქმის ყველა ძირითად საბრძოლო ოპერაციებში.

საბრძოლო დავალებების დროს გამოირჩეოდა მამაცობითა და დისციპლინით.

1993 წლის 16 სექტემბერს, როდესაც აფხაზმა სეპარატისტებმა მუხანათურად შემოუტიეს ქ. სოხუმს, 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მე-2 ბატარეის მებრძოლმა მ. ვ. ცაავამ დაიკავა საბრძოლო პოზიციები ქ. სოხუმის შემოსასვლელთან ძიძარიასა და გელოვანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებზე.

1993 წლის 21 სექტემბერს დილიდანვე გაიხსნა მასირებული საარტილერიო ცეცხლი მოწინააღმდეგის მხრიდან და ერთ-ერთი მოწინააღმდეგის მიერ გამოშვებული ჭურვის ნასხრევებმა ზემდეგი მ.ვ. ცაავა სასიკვდილოდ დაჭრა.

ცაავას გვამი ბრძოლის ველიდან მისმა თანამებრძოლებმა გამოიტანეს.

დასაფლავებულია გულრიფშის რაიონის სოფ. ფშაფში.

ასე ვაჟკაცურად შეეწირა საქართველოს ერთღიანობისათვის ბრძოლას საქართველოს ერთგული ჯარისკაცი ზემდეგი მეგონა ვანოს ძე ცაავა.

ტრისტან ძინძიბაძე

საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამართველოს კონტდაზვერვის განყოფილების უფროსი. დაიბადა 1963 წლის 20 აპრილს საჩხერის რაიონში. თბილისის 124-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1980 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1986 წელს. 1981 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. როდესაც სამშობლოს დასჭირდა ტრისტან ძინძიბაძემ დაუყონებლივ აიღო იარაღი ხელში, ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და დადგა სამშობლოს სადარაჯოზე.1992 წლის 30 მარტიდან დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის 28-ე ბატალიონის მეთაურის შტაბის უფროსად. ამის შემდეგ 1992 წლის პირველი ივლისიდან დაინიშნა ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე. 1993 წლის პირველ მარტს კაპიტანი ტრისტან ძინძიბაძე დაინიშნა ოპერაიულ განყოფილებაში ოპერ-რწმუნებულის თანამდებობაზე. 1993 წლის მაისში დანიშნეს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.ტრისტან ძინძიბაძე მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის რეგიონებში. მას ჰქონდა არა ერთი მადლობის წერილი მიღებული, სადაც მადლობას უხდიდნენ, რომ ერის ცხოვრების ამ მეტად საპასუხისმგებლო რთულ ისტორიულ ეტაპზე მან ღირსეულად შეასრულა საქართველოს სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოს ერთგული მოქალაქის საპატიო მოვალეობა. მან მთელი ნიჭი და ენერგია მოახმარა საქართველოს დაცვის ერთიანობისათვის ბრძოლას, გამოავლინა პატრიოტიზმი და საქმისადმი ერთგულება, მაღალი პროფესიონალიზმი. არ არსებობს უფრო მაღალი ჯილდო ვიდრე სამშობლოს მადლიერებაა.ტრისტან ძინძიბაძე 1993 წლის ოქტომბერში მდინარე ცხენისწყლის მისადგომებთან (ოჩამჩირის რაიონი) საბრძოლო მოქმედების დროს დაიღუპა. 1994

წლის26 დეკემბერს სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტან გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

ძმანაშვილი დავით

დაიბადა 1964 წლის 31 ოქტომბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში.1971-81 წლებში სწავლობდა ქ. რუსთავის №21 საშუალო სკოლაში.1983-1985 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.1986-1990 წლებში სწავლობდა ქ. მარიუპოლის ინდუსტრიულ ინსტიტუტში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 3 ოქტომბერს ქ. გაგრასთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ძამაშვილი როინი

დაიბადა 1972 წლის 27 თებერვალს , ქ. გორში. 1986 წელს დაამთავრა ქ. გორის N 12 საშუალო სკოლის რვა კლასი, შემდეგ სწავლა გააგრძელა აზნეთის პროფესიულ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1989 წელს.
1990 წლიდან როინ ძამაშვილი ირიცხებოდა საქართველოს მაშველთა კორპუსში, სადაც გაიარა საბრძოლო მომზადების კურსები, რის შედეგაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართულ ბრძოლებში.
როინ ძამაშვილი 1992 წლის 15 სექტემბერს ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, კერძოდ, გაგრის ბატალიონში. გაგრის დაცემის შემდეგ, 1992 წლის 2 ოქტომბერს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.
როინ ძამაშვილი იყო კომუნიკაბელური, ერთგული, ენერგიული, ორგანიზატორული თვისებებით დაჯილდოებული 20 წლის ახალგაზრდა, რომელმაც ყველაზე ძვირფასი რამ- სიცოცხლე- უყოყმანოდ გაწირა სამშობლოსათვის.

ძოწენიძეები - ამირანი, ბუთხუზი და ზაზა, მამა-შვილები

შაოსანმა დედამ, რომელმაც მწარე ტკივილით მომმართა.
რით ვანუგეშო? მხოლოდ უსიტყვო მოფერებით....

უსაფლაო და უყვავილო ანგელოზები...
ამირან, ბუთხუზ, ზაზა, სოხუმელი ძოწენიძეებო ! ვინ გაგიმეტათ?
სეპარატისტების მიერ მოკლული ამირან ძოწენიძე თავის ვაჟკაცებთან ერთად. 21 და 19 წლის შვილები.(ბუთხუზი და ზაზა_)
დედა--- ქალ. ნაზი ფაცაცია.''-ჩემი მეუღლე კი არის შვილებს ჩახუტული. მან მაჯობა. მე რა ვქნა უბედურმა დედამ, თავის მოკვლაც არ შემიძლია.'' ---- ეს სიტყვები ქალ. ნაზიმ მორიდებით წარმოთქვა.

ძაძუა ფრიდონ გიორგის ძე

დაიბადა 1964 წლის 7 დეკემბერს გალის რაიონის სოფ. ოქტომბაიაში, მრავალშვილიან ოჯახში.

1970 წელს შევიდა 1 ოქტომბაიას საშუალო სკოლაში და დაამთავრა 1981 წელს. მსახურობდა საბჭოთა ჯარის რიგებში 1982 – 1984 წლებში.

აფხაზეთში მიმდინარე საიომარი მოქმედებების დროს ფროდომ ძაძუა ჩაირიცხა 23-ე ბრიგადის მე-3 ბატალიონში 1992 წლის სექტემბრიდან. ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში. იყო უშიშარი, მამაცი, დისციპლინირებული ჯარისკაცი. მას მინიჭებული ჰქონდა ლეიტენენტის წოდება. სოხუმის დაცემის შემდეგ იბრძოდა აფხაზეთის უშიშროების სპეცნაზში სახელწოდებით “სატურნი“. ის იყო სანიმუშო ყოფაქცევის, სამხედრო ვალდებულებას კეთილსინდისიერად ეკიდებოდა. უყვარდა თავისი ოჯახი, სოფელი, სამშობლო.

ფრიდონ ძაძუა 1998 წლის 24 მაისს გალის მისადგომებთან საომარი მოქმედებების დროს გმირულად დაიღუპა.

1998 წლის 4 სექტემბერსსაქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, გმირული თავდადებისა და თავგანწირვისათის 111 ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი ლამაზი სულები. მათი სახელების უკვდავყოფა ხომ თითოეული ჩვენთაგანის ვალია. მათ საკუთარი სიცოცხლე დათმეს, რადგან სამობლოს სუცოცხლე სურდათ. . .

“ღმერთო იხსენ საქართველო და ქართველი ბიჭები“.

ძიძიგური იური

დაიბადა 1950 წელს,.

იური ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიკეთით, გულისხმიერებით, სიმართლის სიყვარულით, ახალგზრდა ჭაბუკმა შრომის და სწავლის ფრიად ნაყოფიერი გზა განვლო და შემდეგ მუშაობა დაიწყო აფხაზეთის შს სამინისტროს გაგრის საქალაქო განყოფილებაში. ყურადღებიანი, კეთისლსინდისიერი, შემსრულებელმა მუშაკმა დიდი სიყვარული გამოიჩინა თანამშრომლებში. იგი მუშაობდა 1980 წლიდან. ამ წლის მანძილზე შეუერიგებელი იყო ბოროტმოქმედების და საზოფადოებრივი წესრიგის დამრღვევთა მიმართ. მონაწილეობდა ყველა დაგეგმილ თუ განხორციელებულ ყველა ოპერატიულ ღონისძიებაში, სახელოვნად გაიარა გზა რიგით პოლიციიდან, სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების უფროსის თანამდებობამდე, მინიჭებული ჰქონდა პოლიციის მაიორის საპატიო წოდება. ოჯახიც მშვენიერი ჰყავდა. ბედნიერად გრძნობდა თავს, ნათელ მომავალზე ოცნებობდა, მაგრამ აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებამ ძირფესვიანად შეცვალა მისი ცხოვრება.

1992 წლის 2 ოქტომბერს, როდესაც გაგრაზე მტრის გააფრთებული შეტევა დაიწყო, გაგრის შინაგან საქმეთა განყოფილებაში შეიქმნა პოლიციელთა ერთი ჯგუფი, რომელსაც სანატორიუმ “გრუზიას“ მიმდებარე სტრატეგიული პოზიციის დაცვა დაევალა.

მტერთან სისხლისმღვრელი შეტაკებაში მამაცმა სიკვდილით დაეცა ორმოცდაორი წლის პოლიციის მაიორი.

სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის და ვაჟკაცობისათის იური შოთას ძე ძიძიგური დაჯილდოვებულია მედლით “მხედრული მამაცობისათვის“ და ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით.

არ შეიძლება საქართველომ დაივიწყოს იური ძიძიგური და მასავით გულანთებული ადამიანები, რომლებიც ჩვენს დღევანდელ და ხვალინდელ კეთილდღეობას შეეწირნენ.
ნუგეშად ესღა გვრჩება.

“ეგე ვითართაი არს სასუფეველი ცათა“

ძაძამია თენგიზ ბორისის ძე

დაიბადა 1960 წელს ქ. სოხუმში.

1977 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის # 1 საშუალო სკოლა. 1988 წელს დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

იყო წარმოსადგენი, ლამაზი -თავისი ოჯახითა და ცხოვრებით.

... და მაინც ღმერთი თავის ყველაზე საყვარელ მოწაფესაც კი გამოცდას უწყობს.

თენგიზისთვის ეკლის გვირგვინი, მძიმე ჯვარი და გოლგოთას გზა აფხაზეთის ომი იყო, რომელმაც აიძულა კალამი გაგდო ხელიდან და ავტომატი აეღო. ჩვეული შემართებითა და ერთგულებით ემსახურა თენგიზ ძაძამია თავის ქვეყანას და თავის ხალხს.

თენგიზ ძაძამია აფხაზეთში პირველივე დღიდან დადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იყო 23-ე ბრიგადის მე-8 ბატალიონის პირველი ტუგუროვკის ასეულის ოცმეთაური. პირნათლად ასრულებდა მეთაურის ყველა საბრძოლო დავალებას, არაერთხელ გამოიჩინა როგორც სამშობლოს ერთგულმა მამულიშვილმა.

1993 წლის 9 ივლისს ზემდეგი თ. ძაძამია გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე მტრის მიერ ნასროლი ჭურვის აფეთქების შედეგად ტუგუროვკის მთის სიმაღლეზე მიმდინარე ბრძოლისას.

თ. ძაძამია დაასაფლავეს თანამებრძოლებმა სოფ. იაშთხვაში.

დარჩა მეუღლე და სამი შვილი.

ზვიადი შაქროს ძე წიკლაური

დაიბადა 1971 წლის 9 აპრილს ქ.თბილისში. იბრძოდა სამაჩაბლოში ,,თეთრი არწივის“ მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონში ოცმეთაურად.

დაიღუპა 1992 წლის 19 მაისს.

კაპრალი გიზო წულაია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.
9 აგვისტო… რუსულმა ავიაციამ გორის სატანკო ბატალიონზე ავიაიერიში მიიტანა. დაღუპულთა შორის ახალგედა სამხედრო მოსამსახურე, 28 წლის კაპრალი გიზო წულაიაცაა.
გიზო, წულაიების ოჯახში, პირველი ვაჟი იყო. მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილში წლების წინ მას ცელქ და მოუსვენარ ბავშვად იცნობდნენ, დღეს კი ის გმირია. დიახ, ისიც ერთ-ერთი იყო იმ უამრავ გმირს შორის, რომელმაც საკუთარ ქვეყანას შესწირა თავი და ქვეყანასვე დაუტოვა ვაჟი, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს. წლინახევრის გიზო მამის გარდაცვალების შემდეგ მოევლინა ქვეყანას, თუმცა პატარას უკვე ესაუბრებიან თავდადებული მამის შესახებ.
ლორიტა გოგოხია, მეუღლე:
“ყოველთვის შვილზე ოცნებობდა, პირველი ბიჭი უნდოდა და აუსრულდა კიდეც ეს სურვილი, მაგრამ თვითონ ვერ მოესწრო, მისი სახელი დავარქვი ბავშვს. ორი თვის ორსული ვიყავი, რომ

დაიღუპა. გორში გადმოვედით ქირით, რადგან იქვე მსახურობდა. ომი რომ დაიწყო 8-ში შემოირბინა და თბილისში გამაცილა. მალე ვნახავთ ერთმანეთსო. არ მინდოდა წამოსვლა, მაგრამ თვითონ არ გამაჩერა, თან ორსულად რომ ვიყავი იქ არაფრით არ დამტოვებდა. გამომშვიდობებისას მუცელზე მომეფერა – ნუ გეშინია, ბავშვს ხომ გიტოვებო. იმ ღამეს დაიღუპა, სატანკო ბატალიონის დაბომბვისას".

სამხედრო საქმე ბავშვობიდან უყვარდა, ზეპირად იცოდა პატრიოტული ლექსებიო – იხსენებს გიზოს მამიდა, ნინელი წულაია, რომელსაც ხშირად ეუბნებოდა ხოლმე: - 5 შვილი რომ შემეძინოს ამ გზით უნდა გავზარდოო.

ჯამბულ ტატაშის ძე წერედიანი

დაიბადა 1960 წლის 7 ივნისს.
ირიცხებოდა თავდაცვის სამინისტროს დალის რეგიონის სამთო-მსროლელთა ცალკეული ბატალიონის ,,მონადირე‘‘რიგით მეომრად 1993 წლის 15 ოქტომბრიდან.
ჯამბულ წერედიანი თავის თანამებრძოლებთან ერთად ყოველთვის პირნათლად ასრულებდა მეთაურთა ყველა ბრძანებას. ბრძანების თანახმად 1994 წლის 2 აპრილს იმყოფებოდა ჯგუფთან ერთად დაზვერვაზე სეფელ ლათის მიდამოებში და უკან დაბრუნებისას წამოეგო მტრის მიერ დაგებულ ნაღმზე. მძიმედ დაჭრილი მიიყვანეს აჭარის სამხედრო ჰოსპიტალში, პირველი სამედიცინო დახმარება გაუწია თავდაცვის სამინისტროს ექიმთა ჯგუფმა. მიუხედავად ექიმთა მცდელობისა მძიმე ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა 1994 წლის 3 აპრილს სოფ. აჭარაში, სამხედრო ჰოსპიტალში.
იმავე დღეს ვერტმფრენით გადასვენებულ იქნა მესტიის რაიონის სოფელ ლატალში.
1994 წლის 9 აპრილს დაკრძალულ იქნა მაცხოვრის ეკლესიის გვერდით.

გოგი პარმენის ძე წერედიანი

დაიბადა 1956 წლის 13 აპრილს პარმენ და ნატაშა წერედიანების ოჯახში, გულრიფშის რ/ნ სოფ. ჩხალთაში. დაამთავრა მერხეულის საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. ფოთში ჰიდრომელორაციულ ტექნიკუმში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სამწლიანი ჯარის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ქ. სოხუმში თევზჭერის მრეწველობაში და ქმნის ოჯახს. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.
აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე ჩაბმული იყო სამხედრო ოპერაციებში და პირნათლად ასრულებდა

სამშობლოს წინაშე თავის გულწრფელ მოვალეობას.
1993 წლის 16 მარტს მდინარე გუმისტასთან შეტაკებისას გმირულად დაიღუპა.
სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულ იქნა მედალით „მხედრული მამაცობისათვის“.

წულაია გიორგი (გიზო)

დაიბადა 1968 წლის 6 იანვარს ყაზახეთის რესპუბლიკის ქალაქ ცელინოგრადში (ასთანა). 1974–1985 წლებში სწავლობდა თბილისის № 39 საშუალო სკოლაში.1985–1987 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში გერმანიაში.1988 წლიდან სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 5 ოქტომბერს დაიკარგა უგზო–უკვლოდ ქალაქ გაგრასთან.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

კაპრალი გიორგი წიქარიშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

9 აგვისტოს ცხინვალთან 19 წლის გიორგიმ უკანასკნელად იბძროლა. თანამებრძოლები წიქარას ეძახდნენ. ტანკების უკან მდგარან, როცა რუსულ ავიაციას მათი მძიმე ტექნიკა დაუბომბავს და ერთი სერჟანტი დაუჭრია. მძიმედ დაჭრილ სერჟანტს ბიჭების მიხედვა გიორგისთვის უთხოვია. წიქარას

ავტომატი ხელში აუღია და ბიჭებისთვის შეუძახია, მომყევითო. ალმოდებულ ტანკებს შორის წინ გაჭრილა, მის უკან ვინც იყო, ყველა გადარჩა, თავად გიორგი კი ცეცხლიდან აღარ გამოსულა. სამშობლოსთვის ბრძოლაში დაეცა 19 წლის გმირი, რომელსაც აგვისტოში ქორწილი უნდა ჰქონოდა.

წერედიანი გოჩა

დაიბადა 1975 წლის 2 აპრილს ქ . სოხუმში. დაამთავრა
ქ. სოხუმის მე-13 საშუალო სკოლა.
18 წლის სოხუმელ გოჩას ლამაზად დაწყებული ცხოვრების ლამაზი დასასრული სწამდა.
აფხაზეთის ომი, 1992 წლის 14 აგვისტო...
1992 წლის 4 ნოემბერს ის ჩარიცხული იქნა გაგრის 23-ე ბრიგადის მე-4 ბატალიონის პირად შემადგენლობაში მსროლელად. 18 წლისას გოჩამ , რომელსაც წინ უდიდესი და ლამაზი გეგმები ჰქონდა, ჩაიცვა სამხედრო ფორმა და დედას გამოეცხადა გამოსამშვიდობებლად. მან შეამჩნია დედის შეწუხებული სახე, რადგან რამდენიმე თვის წინ მისი ძმა მამუკა წერედიანი წავიდა პატრიოტული

მოვალეობის მოსახდელად, მაგრამ მაშინ დედას ერთი ცრემლიც არ ჩამოუგდია. მაშ, ახლა რა დაემართა? მოხდა ის, რომ დედის გულის წინათგრძნობა უტყუარია...
1993 წლის 2 ივლისი, მტერმა გრადის ტიპის საარტელირიო დანადგარებით სოფ. ტამიში ჯოჯოხეთურ ცეცხლში გაახვია. განსაკუთრებით გოჩა წერედიანმა თავი გამოიჩინა ტამიშის დესანტის დროს.
მებრძოლები სახელდახელოდ გაჭრილ სანგრებს აფარებდნენ თავს, გოჩა ხესთან ელოდებოდა მტერს, ისინიც არ აგვიანებდნენ. ჩუმად შემოდიან და ქართველ მებრძოლებს ზურგიდან ესვრიან. დაჭრილი მეგობარი გოჩას სანახევროდ თავის მკლავზე გადაჰყავს. გარბიან როგორც შეუძლიათ, დრო და დრო შემობრუნდებიან და ავტომატის ჯერით უკან ადევნებულ მტერს იგერიებენ, გოჩასათვის და მისი თანამებრძოლებისათვის ამოსული ივლისის მზის სინათლე თანდათანობით ქრება.
დადგა ის, ავად სახსენებელი დღე 14 ივლისი 1993 წლის. მტერი უფრო და უფრო უტევს აფხაზეთის სოფლის ყოველ კუთხე კუნჭულს. იმ დღეს ის ტყვია სწორედ გოჩასთვის იყო დამიზნული, დაუნდობელი ხელით გასროლილი ტყვიამ იმსხვერპლა...
გოჩა წერედიანი საყვარელ სამშობლოს მიწას მიაბარეს, იქ სადაც
დაიბადა და გაიზარდა.
18 წლის სოხუმელ გოჩას ლამაზად დაწყებული ცხოვრების ლამაზი დასასრული სწამდა.
აფხაზეთის ომი, 1992 წლის 14 აგვისტო...
1992 წლის 4 ნოემბერს ის ჩარიცხული იქნა გაგრის 23-ე ბრიგადის მე-4 ბატალიონის პირად შემადგენლობაში მსროლელად. 18 წლისას გოჩამ , რომელსაც წინ უდიდესი და ლამაზი გეგმები ჰქონდა, ჩაიცვა სამხედრო ფორმა და დედას გამოეცხადა გამოსამშვიდობებლად. მან შეამჩნია დედის შეწუხებული სახე, რადგან რამდენიმე თვის წინ მისი ძმა მამუკა წერედიანი წავიდა პატრიოტული მოვალეობის მოსახდელად, მაგრამ მაშინ დედას ერთი ცრემლიც არ ჩამოუგდია. მაშ, ახლა რა დაემართა? მოხდა ის, რომ დედის გულის წინათგრძნობა უტყუარია...
1993 წლის 2 ივლისი, მტერმა გრადის ტიპის საარტელირიო დანადგარებით სოფ. ტამიში ჯოჯოხეთურ ცეცხლში გაახვია. განსაკუთრებით გოჩა წერედიანმა თავი გამოიჩინა ტამიშის დესანტის დროს.
მებრძოლები სახელდახელოდ გაჭრილ სანგრებს აფარებდნენ თავს, გოჩა ხესთან ელოდებოდა მტერს, ისინიც არ აგვიანებდნენ. ჩუმად შემოდიან და ქართველ მებრძოლებს ზურგიდან ესვრიან. დაჭრილი მეგობარი გოჩას სანახევროდ თავის მკლავზე გადაჰყავს. გარბიან როგორც შეუძლიათ, დრო და დრო შემობრუნდებიან და ავტომატის ჯერით უკან ადევნებულ მტერს იგერიებენ, გოჩასათვის და მისი თანამებრძოლებისათვის ამოსული ივლისის მზის სინათლე თანდათანობით ქრება.
დადგა ის, ავად სახსენებელი დღე 14 ივლისი 1993 წლის. მტერი უფრო და უფრო უტევს აფხაზეთის სოფლის ყოველ კუთხე კუნჭულს. იმ დღეს ის ტყვია სწორედ გოჩასთვის იყო დამიზნული, დაუნდობელი ხელით გასროლილი ტყვიამ იმსხვერპლა...
გოჩა წერედიანი საყვარელ სამშობლოს მიწას მიაბარეს, იქ სადაც დაიბადა და გაიზარდა.

ომანაძე რომანი

დაიბადა 1968 წლის 19 ივლისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში.
არადუს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაქანათმშენებლობა-ტექნოლოგისს ფაკულტეტზე. პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.
1992 წლის 14 აგვისტოს, თავის თანასოფლელთან ერთად, იარაღით ხელში ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. 21 ოქტომბერს რომანი მუხლის არეში დაიჭრა. სამკურნალოდ თბილისში გააგზავნეს, მაგრამ გამოჯანმრთელობას არ დაელოდა და ისევ სოფლის დამცველთა რიგებში ჩადგა.
1993 წლის 9 მარტს, ერთ-ერთი შეტევის დროს, ჭურვის ნამსხვრევმა იმახვერპლა.

ჭანტურია იბრაგიმ

დაიბადა 1967 წლის 20 ივლისს სოფელ აჩიგვარაში.
იბრაგიმ იყო თავდადებული, უშიშარი მებრძოლი. მას არავითარი სხვა რეგალიები არ ამკობდა, გარდა კარგი და მართალი კაცისა.
ჭანტურია იბრაგიმ ბოჩიას ძე იყო მეორე საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 245-ე ბატალიონის შემადგენლობაში, ირიცხებოდა რიგით მსროლელად 1992 წლის 14 ნოემბრიდან 1993 წლის 4 მარტამდე.
აქტიურ მონაწილეობას იღებდა გამართულ ბრძოლებში სოფელ ბედიაში. საბრძოლო მოქმედების დროს 1993 წლის 4 მარტს დაიღუპა. დაკრძალულია სოფელ ბედიაში.

ჭანტურია ლევან

დაიბადა 1959 წლის 20 მაისს სოხუმის რაიონის სოფელ შრომაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

აფხაზეთის კონფლიქტის დროს გაიწვია სოხუმის სამხედრო კომისარიატმა.

1993 წლის 25 თებერვალს რიგითი ლევან ჭანტურია თავის ასეულთან ერთად იმყოფებოდა სოფელ ცუგუროვკის ტერიტორიაზე, სადაც მტრისგან ტერიტორიის გაწმენდას აწარმოებდნენ. ამ ოპერაციის შესრულებისას, მტრის მიერ დაგებულ ნაღმზე აფეთქდა. დასაფლავებულია სოფელ შრომაში.

ჭუჭულაშვილი ნუგზარ

დაიბადა 1968 წლის 21 იანვარს ქ. თბილისში.
სამხედრო მოვალეობა ავღანეთში მოიხადა. რა საშინელებანი აღარ ნახე იმ ომში, რამდენი ტკივილი გამოსცადე, მაგრამ ისევ ის ნუგზარი დაგვიბრუნდი საქართველოში--მომღიმარი და გულჩათხრობილი.
თბილისში მიმდინარე ამბებს ძალიან განიცდიდი. ახალი ეროვნული მოძრაობა მოგინდა, მაგრამ თბილისის ომმა ძალიან გაგანაწყენა. ამ ამბებს აფხაზეთი მოჰყვა. აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე უყოყმანოდ დადგა სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლთა გვერდით. სხვა უფლება არც ქონდა მას.ის ხომ უშიშროების სამსახურის ზემდეგი იყო. ყველა საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდა მონაწილეობას. აფხაზ ექსტრემისტებთან ბრძოლაში ქართველი პოლიციელებს არასოდეს უღალატნიათ. ასეთი იყო უშიშროების პოლიციის ზემსახური ნუგზარ ჭუჭულაშვილი. ნუგზარის ერთი დღითაც არ დაუტოვებია სოხუმი, იმ საბედისწერო 1993 წლის 27 სექტემბერს, ქალაქში შემოჭრილმა მტრის შენაერთებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოაცხადა მათ. ამ მომენტისათვის ნუგზარი თანამებრძოლებით მინისტრთა საბჭოში იმყოფებოდა. ისინი იცავდნენ მინისტრთა საბჭოს შენობას და ბატონ ჟიული შარტავას. ამ დღიდან ისინი უგზო- უკვლოდაა დაკარგული.
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.
სამშობლოსათვის თავგანწირვა ერის გამორჩეული შვილთა ხვედრია, მათ სახელს დავიწყება არ უწერია და ყოველთვის მიეფერება შთამომავლობა.

21 იანვარი – წეგზარ
ჭაჭელაგელი

ჯამბულათ ხოფერია

დაიბადა 1968 წლის 22 მარტს ლანჩხუთის რაიონის სოფ. გვიმბალაურში. უცოლშვილო. 24–ე ბრიგადის სადესანტო– საშტურმო ჯგუფის მეთაური. დაიღუპა 1993 წლის 15 აპრილს. აფხაზეთში, ტყვარჩელთან, ლაშკანდერის მწვერვალზე.

დაჯილდოებულია გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

თემურ ხასია



ბატონი არსენ გულბანი იხსენებს თავის მეგობარს...
21 სექტემბერს გმირულად დაიღუპა სოხუმელი ვაჟკაცი იაშტუხიდან, ხასია თემური, იაშტუხაში მტერი შემოვიდა და სასაფლაოების მისადგომთან დაჭრილი მდზიმედ აგუდზერის ჰოსპიტალში გადაიყვანეს,მაგრამ უკვე გვიანი იყო დასაფლავებულია 24 სექტემბერს სოფელ ფშაფში გზის პირა სასაფლაოებზე ,, თემური პირველივე დღიდან იბრდზოდა 23 ბრიგადის 1 ბატალიონში მონაწილეობა მიიღო ყველა საომარ მოქმედებებში , ხოლო ეგრეთწოდებული სამშვიდობო მოლაპარაკებების შემდეგ გადააიყვანეს შინაგან ჯარში, ნათელში ამყოფოს ყველა ვაჟკაცი თუ ქალბატონი ვინც თავი შესწირა მისი ქალაქის დაცვას მტრისაგან

ხასაია თემური გიორგის ძე

დაიბადა 1962 წლის 20 აგვისტოს სოხუმის რაიონის სოფ. იაშთხვაში. მშობლიურ სოფელში დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი დაამთავრა ტექნიკური სასწავლებელი.

თემურ ხასაია გამოირჩეოდა, როგორც სიცოცხლის მოპყვარული, იყო თავმდაბალი და მორიდებული. უყვარდა ოჯახი და ეამაყებოდა თავისი ვაჟიშვილებით: გია და ლევანით.

თემურ ხასაია საქართველოს თვდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის პირველი მოტომსროლელთა ბატალიონის რიგებში ირიცხებოდა 1992 წლის 4 დეკემბრიდან.

1993 წლის 10 სექტემბრიდან ზემდეგი თ. ხასაია მსახურობდა შსს შინაგანი ჯარების მე-2 მოტომსროლელ ბატალიონში.

აფხაზეთის ტეროტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს, მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ განხორციელებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. იყო თავგამოდებული მეომარი. საკუთარი სიცოცხლის ფასად უფრთხილდებოდა თანამებრძოლებს, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა, როცა მტერმა მის მშობლიურ სოფელ იაშთხვას შეუტია, უმძიმდა უკან დახევა, ერთი წუთითაც არ მიუტოვებია პოზიცია და გმირულად დაეცა საკუთარი სოფლის მისადგომებთან. იმ საბედისწერო 1993 წლის 22 სექტემბერს მტრის ყუმბარმტყორცნიდან ნასროლმა ჭურვის ნამსხვერმა იმსხვერპლა მამაცი მეომარი. პოზიციიდან გამოასვენეს და გულრიფშის რაიონში დაკრძალეს ერთგული თანამებრძოლების საშუალებით.

რეზერვისტი დათა ხურცილავა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.
ძმის გადასარჩენად გარბოდა, ბომბის ნამსხვრევი რომ მოხვდა…
მტერი სენაკის ბაზას ბომბავდა. ბიჭები მიწას გაერთხნენ, მასაც უყვიროდნენ „დათა, დაწექი!“ ის არ დაწვა – რა დავწვე, დაჩის ვერ ვპოულობო, უმცროსი ძმის ძებნა განაგრძო და… ბომბის ნამსხვრევი მოხვდა კიდეც იმ წუთას. ძმების მამა, რომელიც ბაზის კართან იდგა, ბაზაზე შეიჭრა თავზარდაცემული. პირველად დაჩი იპოვა – მძიმედ დაჭრილი, დათას საძებნად გავარდა და… მიაგნო… მკვდარ შვილს უხდიდა ბოდიშს – მაპატიე, აქ რომ გტოვებო… დაჩისთან დაბრუნდა გადასარჩენად…
დათო ხურცილავა სიცოცხლით სავსე, 22 წლის ბიჭი იყო… ომის დაწყებისთანავე გულანთებული გავარდა რეზერვში.
დაიბადა ხობში 1986 წლის 16 თებერვალს. დედა, ნინო ბულია გაიხსენებს, როგორ ბრუნდებოდა ღონიერი და მოუსვენარი დათა ყოველდღე სკოლიდან დასვრილი და პერანგდახეული. „ძალიან ცელქი იყო, უფროსკლასელებთან ჩხუბობდა თურმე… მეექვსე კლასიდან საეკლესიო სკოლაში გადავიყვანეთ, გამოიცვალა, დადინჯდა, გაკვეთილებს არ აცდენდა, კარგი მოსწავლე იყო. თავისზე უფროსებთან მეგობრობა უყვარდა…“
დაჩი, ძმა: „ძალიან მოუსვენარი, ჯანმრთელი და ენერგიული იყო. ძალიან ალერსიანი, მოსიყვარულე, მოფერება უყვარდა და ეს თვისება სიცოცხლის ბოლომდე გამოჰყვა. ნიჭიერი და მიზანდასახული იყო, ბაღში ზეიმები რომ იყო, ყველას ლექსები ზეპირად იცოდა, ახლაც ყურში ჩამესმის მისი ხმა… სკოლაში მათემატიკის კარგი ცოდნით გამოირჩეოდა. ამიტომაც დაისახა მიზნად ეკონომისტი გამხდარიყო და მიაღწია კიდეც. ეხერხებოდა ხაზვა. უმაღლესი სასწავლებლის მასალებს აძლევდა

მასწავლებელი დასახაზად. მშვენივრად აკეთებდა ყველაფერს და მაღალ შეფასებებს იმსახურებდა. გახარებული მიჩვენებდა შეფასებულ ნამუშევრებს. ახლა მაგის დათვალიერება ჩემთვის ჯოჯოხეთია…“

ხარაზიშვილი მალხაზ

დაიბადა 1972 წლის 25 სექტემბერს ქ. ხაშურში.1971–1989 წლებში სწავლობდა ხაშურის რ–ნის, სოფელ წაღვლის საშუალო სკოლაში.1989–1990 წლებში სწავლობდა ავტოსკოლაში მძღოლის სპეციალობაზე.1992 წლის 19 მაისს გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში საქართველოს შს შინაგან ჯარში.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 27 ოქტომბერს, ოჩამჩირის რ–ნის, სოფელ ქეთევანასთან დაიკარგა უგზო–უკვლოდ.

ხარჩილავა როლანდი კონსტანტინეს ძე

დაიბადა 1971 წლის 20 აგვისტოს გალის რაიონის სოფ. თაგილონში.

როლანდი იყო უცოლშვილო. ბუნებით კეთილი, სამშობლოს მოყვარული, უღალატო და ერთგული მეგობარი.

აფხაზეთში ომის დაწყების პირველივე დღიდანვე ჩადგა მებრძოლთა რიგებში.

როლანდ ხარჩილავა, 22 წლის ასაკში, ჩაირიცხა 1992 წლიდან 24-ე ბრიგადის სამურზაყანო რიგებში. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო მოქმედებებში. იბრძოდა ტყვარჩელის მისადგომებთან ტამიშში, ოხურეისსა და წარჩეში. თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1998 წლის მაისის მოვლენების დროს როლანდ ხარჩილავა მონაწილეობადს ღებულობდა სოფ. ხუმუშკურთან. მან თავისი მამაცობით ბევრი მშვიდობიანი მოსახლეობა გადაარჩინა სიკვდილს.

1998 წლის 15 მაისს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციების დროს როლანდ ხარჩილავა გმირულად დაეცა გალის მაისის მოვლენების დროს.

ხარაიშვილი ნოდარი

დაიბადა 1938 წლის 6 აპრილს საჩხერის რაიონის სოფ. ღოდორაში.

მისი ოჯახი კოჩარაში საცხოვრებლად გადავიდა. სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ იგი კოლმეურნეობაში მუშაობდა.

1964 წელს დაოჯახდა. შეეძინათ 3 შვილი. მუშაობდა და ცხოვრობდა ისე, როგორც შეეფერებოდა ნამდვილ პატიოსან ქართველ კაცს.

აფხაზეთში ომის დაწყების დღიდან რიგითი ნოდარ ხარაიშვილი 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონის მებრძოლი იყო.

1992 წლის 29 დეკემბერს სოფ. კოჩარასთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ხარაიშვილი ტრისტანი გენადის (ვანიჩკა) ძე

დაიბადა 1973 წლის 25 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარაში.

1991 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კოჩარის კოლმეურნეობაში.

ტრისტან ხაიაიშვილი 1993 წლის 16 მაისიდან ჩაება 250-ე ბატალიონში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბძოლო ოპერაციებში, კერძოდ მერკულა-ბესლახუბას შორის გამავალ ბრძოლის ხაზზე. სამშობლოსათვის დამცველი იყო უშიშარი და თავდადებული. ბევრჯერ ჩაუხედია სიკვდილისათვის თვალებში. მან მრავალ საბრძოლო ოპერაციებში მიიღო მონაწილეობა, ხელმძღვანელებისაგან არაერთი მადლობა დაიმსახურა.

1993 წლის 25 სექტემბერს, ტრისტან ხარაიშვილი ბრძოლის ველზე 21 წელი შეუსრულდა.

მტრებმა 28 სექტემბერს შემოუტიეს არადუს ბლოკირების შემდეგ ტრისტანმა და მისმა მეგობრებმა „ბმპ“ საბრძოლო მანქანით შეუტიეს არადუს გასასვლელში ჩასაფრებულ მტერს და გადაარჩინეს სოფლიდან აყრილი ბევრი მშვიდობიანი

მცხოვრები, მაგრამ ... ამ უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ ტრისტანი და მისი მეგობრები.

ხახიაიშვილი ნოდარი ვლადიმერის ძე

ხახიაიშვილი ნოდარი დაიბადა თეთრიწყაროს რაიონში. დაამთავრა თბილისის 64-ე საშუალო სკოლა. მსახურობდა ავღანეთის ჯარში.

სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი პირველსავე დღეებში ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იქ იდგა, სადაც სამშობლო იხმობდა. და, არასოდეს უფიქრია თავისი ოჯახითა და მცირეწლოვანი შვილებით. არა, არა, ეს ნამდვილ ქაღტველ გმირებს არ ჩვევიათ.

1982 წლის სექტემბრიდან ირიცხებოდა „ავღანელთა“ ბატალიონში.

1992 წლის 25 დეკემბერს სარდალ კამკამიძის მიერ „ავღანელთა“ ბატალიონმა მიიღო ბრძანება სტრატეგიული პუნქტის-ლაბრის აღების თაობაზე. „ავღანელთა“ ბატალიონმა შეტევა დაიწყო 26 დეკემბერს დილის 7 საათზე, რომლის ავანგარდშიც იდგა ნოდარ ხარაიშვილის ათეული, ავღანეთში ნაბრძოლი მეომრების შემადგენლობით.

1993 წლის თებერვალში მტრის დივერსიული ჯგუფის მიერ იყო მცდელობა სახელმწიფო მეთაურის წარმოამდგენლის ბატონ გოგა ხაინდრავაზე თავდასხმისა, შემთხვევის ადგილზე დროულად აღმოჩნდა ნ. ვ. ხახიაშვილი და მარტომ ბატონ გოგა

ხაინდრავას უსაფრთხოება, რომლის დროსაც თვითონ ხელში დაიჭრა. მიუხედავად ჭრილობისა, ჰოსპიტალზე უარი თქვა, შემთხვევის მერე ყველა ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას.

1993 წლის 25 სექტემბრიდან მტრის გაერთიანებულმა ძალებმა განახორციელეს სოხუმზე ძლიერი შემოტევა. 26 სექტემბრიდან სარდლობის ბრძანებით „ავღანელთა“ ბატალიონი იცავდა მინისტრთა საბჭოს შენობას, სადაც იმყოფებოდა მაშინდელი აფხაზეთის მთავრობა ჟიული შარტავას ხელმძღვანელობით. მტერი შემოეტია სოხუმს... სოხუმი დაეცა. „ავღანელთა“ ბატალიონის 25 მებრძოლი მოჰყვა ალყაში ბატონი ჟიული შარტავა მის დაცვასთან ერთად.

1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმში მინისტრთა საბჭოს მასირებული ალყის გარღვევისას ნოდარ ხახიაშვილი დაიკარგა.

ნოდარ ხახიაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 ნოემბრის 877 განკარგულებით, დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

ძმები ხვინგიები

ხვინგია ნოდარი ვალერიანის ძე-დაიბადა 1954 წლის 1 იანვარს გულრიფშის რაიონის სოფ. ფშაფში. საშუალო ტექნიკური განათლება, უცოლ-შვილო.

აფხაზეთის ომის დროს მოხალისედ მსახურობდა 23-ე ბრიგადის მე-3 ბატალიონის პირად შემადგენლობაში, რიგით მებრძოლად. იყო თავდადებული მებრძოლი.

ხვინგია ემზარი ვალერიანის ძე- დაიბადა 1957 წლის 6 ივნისს, გულრიფშის რაიონის სოფ. დრანდაში. 36 წლის;

ხვინგია თამაზი ვალერიანის ძე- დაიბადა 1959 წლის 30 მაისს გულრიფშის რაიონის სოფ. დრანდაში.

1993 წლის 27 სექტემბერს ხვინგია ნოდარი სოფ. ფშაფში აიყვანეს აფხაზმა სეპარატისტებმა ძმებთან ემზარ და თამაზ ხვინგიებთან ერთად. იმავე დღეს დახვრტეს აფხაზმა სეპარატისტებმა.

ნოდარ ხვინგია დასაფლავებულია სოფ. ფშაფში.

ხვინგიები

1993 წლის 27 სექტემბერს სოფ. ფშაფში დაქირავებულებმა დახვრიტეს სამი ძმა . . .

ტირის ფშაფი, დუმს ფშა-ხევი,

გლოვობს იბერიის შვილებს,

უხმოდ გოდებს და ინახავს

გულში მწარე საიდუმლოს.

სოფელს ბნელი გადაუცვამს,

ტირის დედა ცრემლგამშრალი,

სად წასულან, აქ რომ იყვნენ

დედის გულის გასახარნი?!

სამი შვილი, სამი სხივი,

კერის სითბო და იმედი,

ნოდარ, ემზარ და თამაზი,

ხვინგიების მომავალი!

ცა დაბნელდა, აღარა ჩანს

სადმე შუქის ნატამალი,

წყვდიადმა დაისადგურა

და შეჩერდა ჟამი ავი.

ცრემლი გაშრა, გახევებულ

სოფელს უვლის შიშის ქარი,

დაძრწის ბნელი ბოროტება,

შემძვრელი და შესაზარი.

დათარეშობს მოლაშქრეთა

სულგაყიდულ ბრბოთა ჯარი,

სიკვდილს აფრა აუშვია

და ზრიალებს შავი ზარი.

ნუცა აბულაძე-ციკოლია

ხიდეშელი კახაბერი (დრუნჩა)

იცნობდე შენი ქვეყნის გმირებს: კახა ხიდეშელი (დრუნჩა)

დაიბადა 1972 წლის 30 მარტს ქ. თბილისში. დაამთავრა 130-ე საშუალო სკოლა. 1992 წელს, ომის დაწყების დროს რაჭაში იმყოფებოდა, როდესაც ტელევიზიიდან გაიგო მეგობრის დაღუპვის შესახებ. კახამ დაუფიქრებლად მიაკითხა ონის რაიონის გამგეობას, რომ მამისონის უღელტეხილზე წასულიყო საზღვრის დასაცავად. გამგებელმა ასაკის გამო უარი უთხრა. კახა ხიდეშელი 20 წლის იყო. ამის მიუხედავად ის მოხალისედ გაიპარა სახლიდან, წავიდა ახალციხეში, მერე კი - სოფელ აჩიგვარაში.

1993 წლის 10 იანვრიდან 30 აპრილამდე მას მიღებული აქვს აქტიური მონაწილეობა შემდეგ საბრძოლო ოპერაციებში: სოფ. აგუბედიის ოპერაცია, სოფ. რეკას ოპერაცია, 15 თებერვლიდან 30 თებერვლამდე ირიცხებოდა 24-ე ბრიგადის რეზერვში. 5 მარტიდან დაღუპვის დღემდე კი იბრძოდა ლაბრის საბრძოლო პოზიციაზე.

1993 წლის 28 აპრილს კახას საბედისწერო დღე დაუდგა. საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილი მეგობრის გადარჩენა დააპირა, მაგრამ მეგობრის გამოყვანის დროს სნაიპერმა ესროლა და ორივე სასიკვდილოდ დაიჭრა. 21 წლის კახა

ხიდეშელმა სამშობლოსა და მეგობარს შესწირა ყველაზე ძვირფასი - საკუთარი სიცოცხლე. კახა ხიდეშელი არის ჩვენი ქვეყნის გმირი, გმირები კი არ კვდებიან !

ხოშტარია შოთა ოთარის ძე

დაიბადა ქ. თბილისში 1961 წელს. შოთა გაიზარდა სამშობლოს სიყვარულით. ფიზიკურად ძლიერი და ერთ-ერთი ზღაპრის გმირს ჰგავდა.

მონაწილეობდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში გამართულ ბრძოლებში.

ომის დაწყების პირველივე დღიდანვე ჩაირიცხა ქუთაისის ეროვნულ გვარდიის ბატალიონში.

1992 წლის 29 აგვისტოდან იბრძოდა საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის რეგიონში.

შოთა ხოშტარია მონაწილეობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, სადაც ბატალიონი იბრძოდა. იყო დისციპლინირებული და მეომარი ჯარისკაცი. მეთაურის დავალებას ყოველთვის დროულდა და პირნათლად ასრულებდა, რაზეც არაერთხელ დაუმსახურებია მეთაურის მადლობა.

1992 წლის 5 ოქტომბერს ქ. ლესელიძეში ერთ-ერთი საომარი მოქმედების დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ხურცილავა ვაჟა

დაიბადა 1938 წლის 15 ივლისს ქ. აბაშაში. 1956 წელს დაამთავრა აბაშის N 2 საშუალო სკოლა. 1960 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, სპეციალობით: ინჟინერ-მექანიკოსი.

1965 წელს ვაჟა ხურცილავა მუშაობას იწყებს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციაში, ავტოინსპექტორად. მუშაობის დაწყების დღიდანვე ვაჟამ დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა თანამშრომლებსა და სამინისტროს ხელმძღვანელებს შორის, როგორც თავისი საქმის პროფესიონალი და კეთილსინდისიერი მუშაკი. მალე იგი, როგორც პერსპექტიული და ნიჭიერი მუშაკი უფროსი ავტოინსპექტორის თანამდებობაზე დააწინაურეს. წლებთან ერთად მოდიოდა პოლიციის მუშაკისათვის დამახასიათებელი ცოდნა, სიბრძნე და გამოცდილება.

1978 წელს ვაჟა ხურცილავას დააწინაურეს და დანიშნეს აფხაზეთის შსს ავტოინსპექციის საერთაშორისო, სარეგისტრაციო განყოფილების უფროსად, ხოლო 1990 წლიდან აფხაზხეთის სახელმწიფო ავტოინსპექციის საპატრულო-საგზაო ასეულის უფროსად.

რთული სა საპასუხისმგებლო მუშაობის წლები კეთილსინდისიერად და პატიოსნად განვლო ვაჟა ხურცილავამ, რის გამოც შსს ხელმძღვანელობამ წაახალისა და დააჯილდოვა, მას მიენიჭა მაიორის წოდება.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ვაჟა ხურცილავა თავის თანამშრომლებთან ერთად ერთგულად იდგა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე. მას ერთი წუთითაც არ მიუტოვებია აფხაზეთი.

1993 წლის 27 სექტემბერს ტყვედ აიყვანეს აფხაზმა სეპარატისტებმა. ოცდაერთდღიანი ტყვეობას თავი სასწაულებრივ დააღწია თავი მტრის კლანჭებს. მას ერთი წუთითაც ვერ წარმოედგინა სეპარატისტებისათვის როგორ უნდა დაეტოვებინა წინაპართა სისიხლით გაპოხებული მიწა-წყალი. მარადიულ ზეციურ სასუფეველში აფხაზეთის დაკარგვის დარდი თან გაიყოლია. იგი დაიღუპა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

ხვედელიძე კახაბერი

დაიბადა თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1984 წელს დაამთავრა თბილისის 29-ე საშუალო სკოლა და მოეწყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1992 წელს დაამთავრა და მიენიჭა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

1985-1987 წლებში იმყოფებოდა სახმედრო სამსახურში, სამშენებლო ბატალიონში მსახურობდა დასავლეთ უკრაინაში.

1987-1989 წლებში მუშაობდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანასა და გაერთიანება „ელექტროაპარატში“ ზეინკალად.

1993 წელს გაიწვიეს შავნაბადას ბატალიონში სამხედრო შეკრებაზე. შავნაბადას ბატალიონის დაზვერვის უფროსი ოციცერი, ლეინტენანტი კახაბერ ბეჟანის ძე ხვედელიძე დაიღუპა ტამიშთან ბრძოლაში.

კახაბერ ხვედელიძე დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

ხვიბლიანი შალვა შალვას ძე

დაიბადა 1963 წლის 5 აგვისტოს მესტიის რაიონის სოფ. იელი. 1980 წელს დაამთავრა აჯარის საშუალო სკოლა. 1981-82 წლებში მოიხადა ლენინგრადში სამხედრო ვალდებულება.

სპეტაკი, პატიოსანი და ერთგული- ასე ახასიათებენ მას ნაცნობ-მეგობრები. უყვარდა სიცოცხლე და მამული. საქართველოს ეს ძირძველი მიწა, ცეცხლის ალში გაეხვია. შალვამ გადაწყვიტა იქ , სადაც სამშობლოს ბედი წყდებოდა.

შალვა შალვას ძე ხვიბლიანი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-11 კორპუსის 23-ე ბრიგადის გაგრის მე-4 ბატალიონში ჩაირიცხა რიგით ჯარისკაცად 1992 წლის 18 აგვისტოს. მან ერთ-ერთმა აიღო იარაღი თავის ქალაქის დასაცავად. იყო დისციპლინირებული და მეომარი. მეთაურის დავალებებს პირნათლად და დროულად ასრულებდა.

1992 წლის 25 აგვისტოს გმირულად დაიღუპა ათმეთაური შალვა ხვიბლიანი, რომელიც ერთგულად იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ხუნწარია თეიმურაზი

დაიბადა 1949 წელს. თეიმურაზ ხუნწარია დაიბადა ომის დამთავრებიდან მესამე წლისთავზე. უჭირდა ქვეყანას, ოჯახს, მაგრამ შვილისათვის არაფერი დაუკლიათ. ღირსეულად გაუკაფეს ცხოვრების გზა. ბავშვობისთანავე გამოირჩეოდა სამართლიანობით, ვერ იტანდა ადამიანის დაჩაგვრას ყოველთვის დაჩაგრულს და გაჭირვებულს ეხმარებოდა.

1979 წლიდან მუშაობდა ქ. გაგრის შს საქალაქო განყოფილებაში. იყო მაღალპროფესიონალური შემსრულებელი მუშაკი. ის გახლდათ სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორი, მინიჭებული ჰქონდა მაიორის საპატიო წოდება, ჰყავდა ოჯახი და შვილები. მომავლის იმედით შეჰყურებდა, მაგრამ მოულოდნელად სამშობლოს ცა, ის უანგაროდ დადგა აფხაზი ექსტრემისტების წინააღმდეგ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დამცველთა გვერდით, პირნათლად ასრულებდა ყველა ოპერაციას.

გაგრის შს საქალაქო განყოფილებაში მიიღეს ოპერატიული ცნობა აფხაზ ექსტრემისტთა ქალაქში შემოჭრის შესახებ. განყოფილების თანამშრომლები ავტობუსით გაემგზავრნენ შემთხვევის ადგილკისაკენ მტრის შემოტევის მოსაგერიებლად. გზის ერთ-ერთი მონაკვეთზე ავტობუსი მოხვდა მტრის ალყაში და დაცხრილეს ყუმბარმტყორცნიდან, ავტობუსს გაუჩნდა ცეცხლი და უთანასწორო შეტაკებაში მამაცთა სიკვდილით დაეცა პოლიციის მაიორი თეიმურაზ ხუნწარია.

მილიციის მაიორი თ. ხუნწარია დაჯილდოვდა მედლით: „მხედრული მამაცობისათვის“

ხვიბლიანი ზურაბი ინდიკოს ძე

დაიბადა 1971 წლის 24 მარტს ქ. გაგრის რაიონი, სოფ. ბზიფში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც გაიარა ქ. დნეპროპეტროვსკში. 1991 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. გაგრის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში, სადაც მალევე დაიმსახურა სიყვარული და ავტორიტეტი თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის, როგორც თავისი საქმის მაღალპროფესიონალურ დონეზე შემსრულებელმა მუშაკმა.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების დღიდანვე, ზურაბ ხვიბლიანი გგარის ბატალიონში ჩაირიცხა რიგით ჯარისკაცად 1992 წლის 16 აგვისტოდან. ის ერთ-

ერთი პირველი აღუდგა წინ იარაღით აფხაზ ექსტრემისტებს მშობლიური ქალაქისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ის გამოირჩეოდა სიმამაცითა და დიდი პასუხისმგებლობით, იყო დისციპლინიანი და შემსრულებელი, რის გამოც არაერთხელ დაუმსახურებია მადლობა მეთაურებისაგან. მან მონაწილეობა მიიღო მონაწილეობა მიიღო ყველა საბრძოლო ოპერაციებში ბატალიონთან ერთად.

მტრის მიერ გაგრის აღების შემდეგ ზურაბ ხვიბლიანს და მის მეგობრებს წინააღმდეგობა არ შეუწყვეტიათ, პარტიზანულ ბრძოლებზე გადავიდნენ.

1992 წლის 2 ოქტომბერს მოწინააღმდეგის შემოტევის დროს ზურაბ ხვიბლიანი გმირულად დაიღუპა. სიცოცხლის ბოლო წუთამდე იცავდა მშობლიურ ქალაქს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

2001 წლის 2 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის #551 განკარგულებით ზურაბ ხვიბლიანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

ხაზალია ბესიკ

სიკვდილით თქვა, სამშობლოსთვის
ცოცხალს რაც რომ უნდა ეთქვა.....

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან იღებს სათავეს.და , სწორედ ამ დღეს 1965 წლის 26 მაისს დაიბადა საქართველოს გმირი ხაზალია ბესიკ ქ. ზუგდიდში. აფხაზეთის კუთხის სიყვარულით ხაზალიების ოჯახი გადმოვიდა საცხოვრებლად გულრიფშის რაიონ სოფელ

ვლადიმეროვკაში და აქვე დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა.ხაზალიების ოჯახში თავიანთ შვილებს ზრდიდნენ პატრიოტული სიყვარულით. ადგილობრივი მოსახლეობა ოჯახს დიდ პატივს სცემდა, რადგან საზოგადოებრივი საქმეების ნამდვილი სულის ჩამდგმელი იყო და ადამიანებისთვის მხოლოდ სიკეთეს თესავდნენ.
1992 წელი 14 აგვისტო...
როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა გახდა საჭირო ბესიკ ხაზალიას ოჯახში დადგა საკითხი---სიცოცხლე ან სიკვდილი...ომის საწყების პირველივე დღიდანვე გულრიფშის სოფლები ვლადიმეროვკა და განახლებაში შეიქმნა ერთი ასეული (სოფელი დაერთიანდა) . 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონის ასმეთაურის უფროსად დაინიშნა კვაშილავა ვახტანგი. ამ ასეულის ერთ-ერთი რიგითი მებრძოლი ხაზალია ბესიკი ჩაუდგა ბატალიონის სათავეში...იბრძოდა საქართველოსთვის, თავისუფლებისთვის.28 წლის ხაზალია ბესიკ პირნათლად , კეთილსინდისიერად ასრულებდა ბატალიონის ყველა ბრძანებებს. ამ ასეულის ყველა საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდა მონაწილეობას. თანამებრძოლეების გადმოცემით ხაზალია ბესიკ გამოირჩეოდა როგორც მამაცი, უშიშარი, რადგან მის ლამაზ სულში ცხოვრობდა სამშობლოს დიდი სიყვარული. 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში ირიცხებოდა ბრძანებით N / 1101, 1993.სოხუმის დაცემის შემდეგაც კი პოზიციებს იცავდა დარჩენილი მე-5 ბატალიონთან მებრძოლებთან ერთად. მას ბატალიონი ბოლო წუთებამდე არ დაუტოვებია. 29 სექტემბერს ინფორმაცია მოუვიდა, რომ მშობლები არიან ცუდ მდგომარეობაში... სიმწრით დატოვა დროებით პოზიცია და ამბის გასარკვევად ბრუნდებოდა სახლში მშობლების დასახმარებლად...მაგრამ ვერ მიაღწია, რადგან უკვე აფხაზ ბოევიკებს სოფელი აღებული ჰქონდათ. იმავე დღეს 29 სექტემბერს ის ტყვედ აიყვანეს და დაკითხვის შემდეგ 30 სექტემბერს ბესიკ ხაზალია იქნა აფხაზ სეპარატისტების მიერ დახვრეტილი.ბესიკ ხაზალია უშიშრად შეხვდა მტერს, არ დაიჩოქა, არ უღალატა სამშობლოს და სიკვდილს ღირსეულად გაუმკლავდა....
იბრძოდა--მამულის ერთიანობისათვის.
იბრძოდა--საქართველოსთვის.
ხაზალია ბესიკისთვის არსებობდა სამშობლოსათვის დიდი სიყვარული და ამ სიყვარულის უმაღლესი ჯილდო; გმირული სიკვდილი

სამშობლოსათვის თავდადებულნი

ხოშტარია ზურაბ

საძმო საფლავზე, თმებ ჩამოშლილი,
ტირიფი ტირის...ნუ სტირი დედა,
მერე რა რომ არ იცი
საფლავი შვილის.
ნუ დარდობ დედა,
შენს სათქმელს ისევ
ტირიფი იტყვის...
ტირიფი , რომელიც
მის საფლავზე
უთქმელად ტირის.

საქართველოს ისტორიის თითოეული ფურცელი ქართველი ხალხის გამორჩეულ შვილთა სისხლითაა ნაწერი, დღევანდელობასაც ასეთები აძლევველ ელფერს.
დიახ, საქართველოს გმირებია დღეს,პატრიოტული სულისკვეთებით მოსულნი, მათ შორის ხოშტარია ზურაბია. სოხუმელი ჭაბუკი, რომალმაც 1992 წელს დაამთავრა თავისუფლების პირველი საშუალო სკოლა და ამავე წელს 18 წლის ხოშტარია ზურაბი დადგა ომის დაწყებისთანავე წინა ხაზზე. 1993 წლის 21 სექტემბერს ჯვართამაღლების დღეს, ალყა მოქცეული, დაჭრილი მამის მისაშველებლად გადასულა ტოლ ბიჭებთან ერთად. აქვე დაამთავრა 18 წლის ზურაბის სიცოცხლე და გადავიდა სასუფეველში 1993 წლის 21 სექტემბერს.
ჯვარამაღლების დღეს, სწორედ 23-ე მექანიზებული ბრიგადის საზენიტო ბატალიონის ჰაერსაწინააღმდეგო დივიზიონის ("შილკას) მეთაურმა სოხუმელმა ინჟინერმა, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერმა ტასო ნაჭყებია, რომელსაც გვერდით ჰყავდა ხოშტარია ზურაბი, ლაშხია ლაშა თავის უმცროს მეგობრებთან ერთად დაამთავრეს საომარი მოღვაწეობა 1992 წლის 21 სექტემბერს ჯვართამაღლების დღეს.

ხუბუტია ბადრი

კიდევ ერთი სოხუმელი..
სოხუმელი, რომელმაც 1979 წელს ოქროს მედლით დაამთავრა სოხუმის შოთა რუსთაველის პირველი საშუალო სკოლა და 1984 წელს ხარკოვის სამშენებლო ინსტიტუტი. ლენინგრადის ოლქის სოფელ კომუნარში გაანაწილეს სამუშაოდ. 1990 წელს ამავე სამშენებლოს უფროსი გახდა. დღეს კომუნარი 240-ათასიანი ქალაქია. ბადრი ამ ქალაქის საპატიო მოქალაქე იყო. საამაყოა და რთული, როცა ეს ყველაფერი მოასწრო 29 წლის ასაკში.
როცა აფხაზეთს - მშობლიურ ქალაქს გაუჭირდა, ჩამოვიდა სანკ-პეტერბურგიდან და თავისი უფროსი ძმის ონისეს გვერდით დადგა. მან საკუთარი სახსრებით სანკ-პეტერბურგიდან ჩამოიტანა მედიკამენტები, პროდუქტები და საჭირო ინვენტარი სამხედროებისთვის.
1997 წლის 22 მაისს ტრაგიკულად გარდაიცვალა ლენინგრადის ოლქის სოფელ კომუნარში....მას სამშობლოს დიდი სიყვარული და ტკივილი მიჰყვება ... სანკ-პეტერბურგის აეროპორტში .ქ. კომუნარის საზოგადოებამ, თანამშრომლებმა, როდესაც ბადრის ნეშტს თბილისში მოასვენებდნენ, გამოსათხოვარი მიტინგი გამართეს.
დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

ხუბუტია ზაურ

სოხუმელი ექიმი...მეცნიერებათა კანდიდატი....

ზაურ ხუბუტია შალვას ძე დაიბადა 1944 წელს ქ. სოხუმში.
სისხლითა და ცრემლებით იწერება ახალი, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს ისტორია. მკვდარი არ ეთქმის მას, ვინც გმირულად ეცემა ერის, სამშობლოს სიყვარულისთვის....
აფხაზეთის კონფლიქტის პირველსავე დღიდან ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დამცველთა რიგებში. სამედიცინო ჩანთითა და ავტომატით ყველა საბრძოლო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას.
1993 წლის 2 ივლისს დესანტის გადმოსხმის დროს დაჭრილების გამოყვანისას თავად დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია.
ზაურ ხუბუტიას სასწრაფო დახმარების მანქანით გამოჰყავდა დაჭრილები ბრძოლის ველიდან და აგუძერის ჰოსპიტალში აბინავებდა მათ.
დადგა დაუვიწყარი, მძიმე ... 1993 წლის 27 სექტემბერი...
სოხუმი ეცემა...სოხუმის ქუჩები მიმოფანტულია დაჭრილებით...ალმოდებულ სოხუმში ექიმი ზაურ ხუბუტია თავს არ ზოგავს... დილის 3 საათია. მთავრობის სახლი აღებულია.სოხუმს სეპარატისტები აკონტროლებენ...
ბოლომდე სურდა დაჭრილების შველა ...მაგრამ , ბედმა უმტყუნა...
მძიმე გრუხუნმა მაღლა აიტაცა მანქანა...
თანამებრძოლეებმა ზაურ ხუბუტიას ცხედარი არ დატოვეს...გამოიტანეს ცეცხლის ხაზიდან და სოფელ მერხეულში ერთ-ერთ ფერდობზე დაასაფლავეს.
დევნილობის შემდეგ, ქ. თბილისში, ერთ-ერთ პოლიკლინიკას მიენიჭა შ.პ.ს. "ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრ დიოსკურიას" სახელი.
სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

ხორგუანი ილია

დაიბადა 1960 წლის 16 თებერვალს, მესტიის რაიონის სოფელ ბეროში.
ილია შალვას ძეხორგუანი ჩარიცხული იყი მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მეძვიდე ბატალიონში 1992 წლის 15 ოქტომბრიდან. იგი იცავდა სოფელ ლათას, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1992 წლის 17-18 დეკემბერს სოფელ ტამიშში მტრის შემოტევის დროს.
1993 წლის 16 იანვარს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულში მტრის შემოტევის დროს დაიჭრა სასიკვდილოდ . ამავე წლის 6 თებერრვალს მოხდა მიცვალებულთა გაცვლა. ცხედარი გამოიყვანეს და დასაფლავებულია გულრიფშის რაიონის სოფელ ჩახში.

პაატა ჯანელიძე

დაიბადა ქ. თბილისში 1976 წლის 25 ოქტომბერს.
1983-1993 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 124-ე საშუალო სკოლაში. სკოლაში სწავლის პერიოდში სწავლობდა განათლების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის ქორეოგრაფიულ სტუდიაში და 1987 წელს დაამთავრა სრული კურსი.
აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 22 სექტემბერს, ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფისას დაიღუპა გმირულად.
დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

კაპიტანი გიორგი ჯოჯუა

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.
თორმეტი წლის იყო მშობლიური სოხუმი რომ დაატოვებინა მტერმა… 28 წლისას იგივე მტერმა სიცოცხლეც მოუსწრაფა.
სიყმაწვილე გაილია დევნილობაში. აფხაზეთიდან გადმოსული სენაკში ცხოვრობდა. სენაკში დაამთავრა სკოლა. ჩააბარა სამხედრო აკადემიაში.
22 წლის იყო ქობულეთში მომავალი მეუღლე რომ გაიცნო. გაცნობიდან ხუთ თვეში დაოჯახდნენ, ერთად 5 წელიწადს იცხოვრეს. 2 ვაჟი დატოვა ამქვეყნად…
„ძალიან ბედნიერი იყო, ბიჭი რომ გვეყოლა. ოცნებობდა აფხაზეთში დაბრუნებაზე, ოცნებობდა შვილებზე და უნდოდა ბიჭებსაც სამხედრო კარიერა ჰქონოდათ… უმცროსი ამბობს, რომ გავიზრდები ჯარში უნდა წავიდეო…“ – იხსენებს მეუღლე…
არც გიორგისთვის დაუშლია მამამისს ჯარში სამსახური, არ დაუშლია იმიტომ, რომ თავადაც იარაღით ხელში ებრძოდა ვერაგ მტერს აფხაზეთში…

ჯეირან ჯაჭვლიანი

დაიბადა 1966 წლის 2 თებერვალს, გულურიფშის რაიონის სოფელ ომარიშარში.
ჯეირან ჯაჭვლიანი ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23_ე მექანიზირებული ბრიგადის მე_2 მოტომსროლელ ბატალიონის ტანკსაწინააღმდეგო ოცეულში 1992 წლის 22 სექტემბრიდან (ბრძ.# 3. 23.09.92 – რ.გახოკიძე).
აფხაზეთის ომში მან თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი უშუალო მონაწილეა იმ საბრძოლო ოპერაციებისა, რომელსაც ახორციელებდა ბატალიონის შემადგენლობა. 1993 წლის 27 ივნისს, მდ. გუმისტის მიდამოებში. ერთ-ერთი ბრძოლის მიმდინარეობის დროს, რიგითი ჯეირან ჯაჭვლიანი სასიკვდილოდ დაიჭრა და იმავე დროს მიწურულს გარდაიცვალა აგუძერის სამხედრო ჰოსპიტალში.

ენვერ ევგენის ძე ჯაჭვლიანი

1952-1993

ჯეირან ჯაჭვლიანი

დაიბადა 1966 წლის 2 თებერვალს, გულურიფშის რაიონის სოფელ ომარიშარში.ჯეირან ჯაჭვლიანი ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23_ე მექანიზირებული ბრიგადის მე_2 მოტომსროლელ ბატალიონის ტანკსაწინააღმდეგო ოცეულში 1992 წლის 22 სექტემბრიდან (ბრძ.# 3. 23.09.92 – რ.გახოკიძე).აფხაზეთის ომში მან თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი უშუალო მონაწილეა იმ საბრძოლო ოპერაციებისა, რომელსაც ახორციელებდა ბატალიონის შემადგენლობა. 1993 წლის 27 ივნისს, მდ. გუმისტის მიდამოებში. ერთ-ერთი ბრძოლის მიმდინარეობის დროს, რიგითი ჯეირან ჯაჭვლიანი სასიკვდილოდ დაიჭრა და იმავე დროს მიწურულს გარდაიცვალა აგუძერის სამხედრო ჰოსპიტალში.

ჯაფარიძე გიორგი

დაიბადა ქ. ჭიათურაში 1959 წლის 19 ივლისს.1976 წელს დაამთავრა საჩხერის მე-2 საშუალო სკოლაში.სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს სარემონტო-საამშენებლო სამმართველოში უბნის უფროსად.აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს,1992 წლის 2 ოქტომბერს, გაგრის დაცემისას დაიღუპა გმირულად. საფლავი დღემდე უცნობია.დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ჯავაშვილი შალვა

დაიბადა 1960 წლის 29 აგვისტოს ქ.ბათუმში.

ბათუმის სადროშო “ქართველ შევარდენთა ლეგიონი”-ის მებრძოლი. საბრძოლო მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სხვადასხვა პოზიციებზე.
დაიღუა 1992 წლის 3 დეკემბერს საომარი მოქმედებების დროს ოჩამჩირეში სოფელ ცხენისწალთან.

დაჯილდოებულია მედლის მხედრული მამაცობისათვის, სიკვდილის შემდეგ.

ჯანჯღავა კონსტანტინე ზურაბის-ძე

დაიბადა 1970 წლის 18 აპრილს. 1987 წელს დაამთავრა ქ. თბილისის მე-18 საშ. სკოლა. 1988 წელს გაწვეული იქნა საბჭოთა კავშირის ჯარების მესაზღვრეთა ნაწილში ლენინაკანში. სასომხეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად გადმოყვანილ იქნა საქართველოში абхаз. асср. Г. Очамчира в/ч 2011 „тх“.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ მოვალეობის მოხდამდე ექვსი თვით ადრე მიატოვა სამსახური რუსეთის ჯარში. ჩამოვიდა თუ არა თბილისში ჩააბარა ინსტიტუტში, მოეწყო ეკონომიურ ფაკულტეტზე.პარალელურად გაერთიანდა „თეთრი გიორგის“ მებრძოლთა რიგებში. გვარდიის ჩამოყალიბების დღიდან მის სამსახურში ჩაება და იბრძოდა ყველგან, სადაც საქართველოს მტრები იჩენდნენ თავს, შიდა ქართლსა და აფხაზეთში, ამის შემდეგ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებულ სამმართველოს განყოფილების უფროსად. წოდებით იყო კაპიტანი.

1992 წლის 30 აგვისტოს, გაგრაზე შტურმის დროს შეტევის დაწყებისას წინა ხაზზე იდგა. მტრის მიერ გასროლილმა ჭურვმა, კოტეს მარჯვენა ხელი მოგლიჯა. კოტე ჯანჯღავა ამ ბრძოლაში სამშობლოსათვის გმირულად დაეცა.

kote janjgava (1)kote janjgava (2)

გარდაცვალების შემდეგ აქვს მიღებული მედალი „ მხედრული მამაცობისთვის“ და „ ვახტანგ გორგასლის“ მე-3 ხარისხის ორდენი.

***

რექვიემი გმირულად ქართველ მეომრებისათვის არის რაღაც საკრავური საიდუმლო იმაში, რომ „მხარმზიანი და თმაზე ნამშეუშრალი“ სიკვდილი სწორედ რომ ყველაზე ლაღს, თავისუფალს და ლამაზს აირჩევს ხოლმე, რათა ძალიან დაგვწყდეს გული და კოტესნაირი ვაჟკაცობის გმირული სულის ნაპერწკალით ჩვენც ავენთოთ სამშობლოს სიყვარულით. ეს ლექსიც ლაღმა და თავისუფალმა ქართველმა დაწერა ოდესღაც და ქართული ხალხური საუნჯის უკვდავებაში თავისი წილი უკვდავება

შეიტანა. კონსტანსინე ჯანჯღავა სრულად საქართველოს გამთლიანებისთვის იბრძოდა და ყველაზე საუკეთესო რაც გააჩნდა სიცოცხლე-შესწირა. გარდაცვალებიდან 6 თვის თავზე კი ვაჟი გაჩნდა კოტიკო.

ჯახაია გიორგი (გია) ლეონტის ძე

დაიბადა 1970 წლის 16 თებერვალს ქ, სოხუმში. ქართველი.

1987 წელს დაამთავრა გულრიფშის რაიონის ბაღმარანის საშუალო სკოლა. 1988 წელს ჩაირიცხა სოხუმის ინდისტრიულ ტექნიკუმში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახური პირნათლად მოიხადა ქ. მოსკოვში, სადაც იგი ყველასგან გამოირჩეოდა, ამხანაგებს შორის იგი მომრიგებელ მოსამართლეობას ეწეოდა. ჯარში ჰყავდა ყველა ეროვნების მეგობრები, ყველასთან ერთგული და სამართლიანი იყო.

გია იყო პრინციპული, კეტილი, ყველას მოყვარული, განსაკუთრებით უზომოდ უყვარდა თავისი მშობლიური კუთხე - ქ. სოხუმი.

1991 წელს სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სანქტ-პეტერბურგში სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტზე. ბედნიერად გრძნობდა თავს, ფიქრობდა მომავალზე. თავისი განათლებით გამოადგებოდა თავის სამშობლოს, მაგრამ ბედის ბორბალი სხვანაირად დატრიალდა.

როცა თავის სამშობლოს გაუჭირდა, როცა სოხუმში სისხლი დაიღვარა, ჯახაია გია ვერ გაჩერდა სანქტ-პეტერბურგში, მან გადადო ყველაფერი შემდეგისთვის, და გაუდგა სამშობლოს დასახმარებლად. მოუთმენლად ელოდა იმ წუთებს, როდის ამოუდგებოდა თავის სოხუმელებს. და დადგა ის დღეც. 1992 წლის ოქტომბრის თვიდან ჩაირიცხა 11 საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის პირველ მოტომსროლელ ბატალიონში რიგით მებრძოლად. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. პირნათლად ასრულებდა მეთაურის ბრძანებებსა და დავალებებს.

1993 წლის 17 თებერვალს სოფ. აჩადარას მასიური დაბომბვის, საბრძოლო დავალების დროს დაიღუპა. დასაფლავებულია ლეჩქოფის სასაფლაოზე.

კაცთმოყვარე, სოხუმელი ბიჭი, ამ ქვეყნად სიყვარულისათვის მოსული, სიძულვილის მსხვერპლი გახდა. სამშობლოს სიყვარული დააყენა პირველ ადგილზე და ამ სიყვარულს შეეწირა 23 წლის ჯახაია გიორგი. მას ხომ ბევრი რამ შეეძლო გაეკეთებინა თავისი სამსობლოსათვის. მას ოჯახიც არ დარჩენია, მაგრამ დარჩა პატიოსანი, პატრიოტული, მოსიყვარულე, სამშობლოსათვის თავდადებული, ერთგული ბიჭი ჯახაია გიორგი (გია) , რომელიც საქართველოს, მეგობრების, ოჯახის და ახლობლების გულში მუდამ იქნება.

საქართველო გადარჩება, აღდგება, გამთლიანდება, აღორძინდება - ასე სჯერა ყველა ღიმილის ბიჭებს, ვინც კი გმურულად დაეცა საქართველოს სიყვარულით.

ჯინჭარაძე მიხეილი

დაიბადა 1961 წლის 04 თებერვალს გაგრაში. 6 წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა.

1968 წელს წარჩინებით დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის გაგრის 1 საშუალო სკოლა. იმავე წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი. იგი ყველას ხარობდა ცოცხალი გამოხედვით, მამაკაცური იერით თუ სხარტი გონებით. მეგობრებაც შეუდარებელი იცოდა და ჭირსა და ლხინში გვერდით ყოფნაც.

1983 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ფიზიკური ქიმიის კათედრის ასპირანტი გახდა. დისერტაციის დაცვის შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა.

გაგრაში იგი არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა და დიდ პატივისცემას იმსახურებდა როგორც ცოდნით და საქმიანობით, ასევე კეთილშობილობით, ადამიანისადმი ყურადღებით და გულუსხმიერებით.

მერე მოვიდა სიყვარული . . .

სიყვარული ძლიერდება და არავინ ფიქრობდა სიკვდილზე . . .

მიშას უყვარდა ქალაქი, რომელშიაც დაიბადა, გაიზარდა, ოცნებობდა უფრო ლამაზი, მყუდრო და მოვლილი ენახა. დიდი გეგმები ჰქონდა, რომელთა მიხედვითაც ქალაქი მსოფლიო მნიშვნელობის კურორტად უნდა ქცეულიყო, სადაც ადამიანები კარგად იცხოვრებდნენ. კარგად დაისვენებდნენ.

მაგრამ . . .

სოხუმში იარაღის პირველ გასროლას ხმაც კი ვერ შეურყია ცხოვრებისეული კრედო მიშას: მას მიაჩნდა, რომ პოლიტიკური უთანხმოება მტრებად ვერ აქცევს მეგობრებს, ვერაგერი აიძულებს გუშინდელ ძმაკაცებს დღეს ერთმანეთს ესროლონ. ვაი, რომ ასე არ ყოფილა. . .

მწარედ ცდებოდა ქალაქის გამგებლის პირველი მოადგილე. ძმამ ძმას ესროლა. . .

1992 წლის 1 ოქტომბერს გაგრა უკვე ომის ცეცხლში იყო გახვეული. იგი ყველა ქართველ და აფხაზ ოჯახს შველოდა ქალაქიდან გასვლას. მან ცოლ-შვილი ქალაქიდან გამოხიზნა და თვითონ გაგრაში დარჩა, მოვიდა მტერი გამხეცებული - გაავებული - გაბოროტებული და გაგრის გამგებლის პირველი მოადგილე - მიხეილ ჯინჭარაზე წამებით მოკლეს.

ტრაგიკული ყოფილა მიშიკოს სიცოცხლის ბოლო წუთები. ნაწამები მიცვალებული 2 დღის შემდეგ დაუბრუნეს შვილმკვდარ დედას.

მიშას გეგმები განუხორციელებელი დარჩა . . .

დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენით, სიკვდილის შემდეგ.

დედაქალაქის მოუშუშებელ იარაღად ატყვია დამოუკიდხებლობისათვის ბრძოლაში დაფერფლილი მრავალი ვაჟკაცების სიცოცხლე. მათ შორის, ვინც უყოყმანოდ მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე, არის ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქ. გაგრის გამგებლის პირველი მოადგილე მიხეილ ჯინჭარაძე. ოჯახს უკანასკნელი სიტყვები დაუბარა “გაგრას მე ვერ დავტოვებო“! და ბოლონმდე კაცურად მოიხადა თავისი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მან საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ საქართველოს ბედნიერება იყო მისი ცხოვრების აზრი და მიზანი.

გავა დრო, საქართველო და მისი განუყოფელი ნაწილი - აფხაზეთი მოიშუშებს ჭრილობებს, ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს საქართველოს მთლიანობისათვის, ბედნიერებისათვის ბრძოლაში დაცემულ ვაჟკაცებს. მათთან ერთად მიხეილ ჯინჭარაძის სახელი მუდამ დარჩება, როგორც სამშობლოსათვის ჭეშმარიტ თავდადებულ, უანგარო სამსახურისა და რაინდული სულის გამოვლენის მკაფიო მაგალითი.

სამარადისო დიდება მათ, რომლებმაც სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანეს ყველაზე ძვირფასი - სიცოცხლე,

ჯობავა ბადრი

დაიბადა 1964 წლის 10 აგვისტოს გალის რაიონის სოფ. რეჩხში. ბადრის ჰქონდა განსაკუთრებული ხასიათი, ალალმართალი, უაღრესად კეთილი, დინჯი, უსამართლოდ არც თავს დაიჩაგრავდა და სხვასაც არ დაჩაგრავდა. სიმართლე და პატიოსნება მისი ხანმოკლე, მაგრამ კაცური ცხოვრების მეგზური იყო. მან თავის ტოლებთან ნდობა და სიყვარული დაიმსახურა, გულადი მებრძოლი, არაფრის ეშინოდა.

რიგითი ჯობავა ბადრი ვაჟას ძე ირიცხება მე-2 საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 245-ე ბატალიონის ასეულის მარეგულირებლად, 1993 წლის 5 მარტიდან 1993 წლის 30 სექტემბრამდე. დროის ამ პატარა მონაკვეთში ბადრი ჯობავამ გამოიჩინა დიდი გამბედაობა და მებრძოლი სულისკვეთება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით N39, 11.01.2000 წ. ბევრჯერ დაუმსახურებია მადლობა მეთაურისაგან. იყო კეთილსინდისიერი და ნებისმიერი ბრძანების შემსრულებელი უყოყმანოდ და დროულად.

თანამებძოლებთან სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, ერთ-ერთი ოპერაციიდან დაბრუნების დროს, უკვე ჩართული, გამზადებული ყუმბარმტყორცნის “მუხის“ დაშლისას მოხდა მოულოდნელი აფეთქება და მოსწყვიტა მარჯვენა ხელი. დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ ისევ ჩადგა მებრძოლთა რიგებში.

ბადრი ჯობავა 2001 წლის 23 აპრილს, გალის ტერიტორიაზე აფხაზ სეპარატისტების მორიგი წმენდის ჩატარებისას, სეპარატისტებისა და ქართველ პატრიოტებს შორის მოხვედრილ შეიარაღებულ შეტაკებისას გმირულად დაიღუპა.

დაკრძალულია ქ. ზუგდიდში.

ჩვენი საამაყო ვაჟკაცო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენივე წინაპრების სისხლით გაპოხიერებული ტიბაანის მიწა და გწამდეს, რომ ქვეყანა, ასე რომ გიყვარდა, არასოდეს დაგივიწყებს, რადგან საქართველოს არ ჰყავს შვილი დასაკარგავი!

გავა დრო, მიწყნარდება ქვეყანა და მეისტორიეც შეუდგება აფხაზეთის მწარე ომის სინამდვილის აღწერას. ისტორიას, რომლის გმირ ჭაბუკთა საუკუნოდ შესანახ სიაში შენი სახელიც იქნება საგულდაგულოდ ჩაწერილი.

ჯვართავა ვასილი (ვასო) მურადის ძე

ვასილ (ვასო) მურადის ძე ჯვართავა დაიბადა 1969 წლის 20 ივნისს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჯურუყვეთში.

1977-1986 წ. სწავლობდა ბაღდადის რაიონის სოფ. დიმის 1 საშუალო სკოლაში.

1987-1992 . პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

1992 წლის სექტემბერში მოხალისედ ჩაირიცხა ეროვნული გვარდიის “აცაზას“ ბატალიონში. იყო ზემდეგი, ტანკისტი.

1993 წლის 15 იანვარს გმირულად დაიღუპა აფხაზეთში.

დასაფლავებულია ბაღდადის რაიონის სოფ. საიმედოს სასაფლაოზე.

ჯეირანაშვილი ვასილი (კოშმარა)

დაიბადა 1969 წლის 11 მაისს.

მომავალს იმედით შეჰყურებდა, მაგრამ პირველი უბედურება მამამისის- სიკოს დაღუპვა იყო. ოჯახის სიმძიმე ვასიკოს მხრებს უნდა ეზიდა, უნდა ეპატრონა უმცროსი დაიკოსთვის, ყველასთვის დედასავით საყვარელი ქ-ნ ელიკოსათვის

ვასიკო დაქორწინდა. გაჩნდა პატარა ხატია, მაგრამ დაიწყო ომი . . .

როგორც ყველა ნამდვილი მამულიშვილი, ვასიკო სამშობლოს იცავდა, “თეთრი არწივი“ წევრი იყო. საიცრად ერთგული, ძმობაში უღალატო და ძალიან სათუთი ბუნების ადამიანი. მეგობრები მას “კოშმარას“ეძახდნენ.

1992 წლის 25 დეკემბერს ოჩამჩირის მისადგომებთან, სოფ. აძიუბჟასთან იმსხვერპლა მტრის ტყვიამ.

რამდენი აუხდენელი ოცნება დარჩა ვასიკოას.

მამუკა ჯმუხაძე

დაიბადა 1973 წელს თბილისში.

1990 წელს დაამთავრა თბილისის 103-ე საშუალო სკოლა.

1992 წლის 17 ნოემბრიდან ირიცხებოდა სწრაფი რეაგირების კორპუსის 1 ბრიგადის 1 ბატალიონის რიგით მებრძოლად.

1993 წლის 1 ივნისს გმირულად დაიღუპა მოწინარმდეგესთან შეტაკების დროს აფხაზეთში, სოფელ ლაბრაში.

ჯახია ომარი

დაიბადა 1949 წლის 10 აგვისტოს გულრიფშის რაიონის სოფ. ბაღმარანში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსხურში. დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში, კერძოდ, ქ. სოხუმის შს განყოფილებაში ინსპექტორად.

მუშაობის დაწყების პირველივე დღიდანვე ომარმა თავი გამოიჩინა მინდობილი საქმისადმი პროფესიონალიზმით, პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა კოლექტივის და განყოფილების ხელმძღვანელობას შორის, მინიჭებული ჰქონდა პოლიციის ლეიტენანტის წოდება.

ომარი მიღწეული შედეგით ვერ კმაყოფილდება, ზრუნავდა საკუთარი ცოდნის და პროფესიული დონის ამაღლებაზე.

აფხაზეთში საომარი მოქმედედბების დროს სწავლობდა შს სამინისტროს კიევის აკადემიის მეხუთე კურსზე. აფხაზეთში დატრიალებულმა ცხოვრების წესი შეცვალა, სამშობლო შველას ითხოვდა, ომარიც თავის თანამშრომლებთან ერთად უყოყმანოდ დადგა სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლთა გვერდით.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეს, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს სოხუმთან ერთად დაეცა მისი სული. მას დაჩა მეუღლე და ოთხი შვილი . . . სიცოცხლე გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება.

ჯიჭონაია ჯამბული

დაიბადა 1966 წელს ქ. სოხუმში. ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა.

მას უყვარდა თავისი აფხაზეთი და ამით ამაყიც იყო.

პოლიციის უფროსი ლეიტენანტი 27 წლის, უცოლშვილო, ქ. სოხუმის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომელი უშიშარი და მამაცი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა.

1993 წლის 16 სექტემბერს დილით 5 საათზე ქ. სოხუმის შს სამმართველოში შემოვიდა ინფორმაცია, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა დაარღვიეს ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და განაახლეს სოხუმზე შემოტევა შრომის მიმართულებიდან. დილის 8 საათზე მიღებული იქნა ახალი ინფორმაცია, რომ სეპარატისტებმა შემოტევა წამოიწყეს მდინარე გუმისთის ქვემო მხრიდან და “უჩხოზის“ ტერიტორიის მიმართულებითაც. რამდენიმე წუთში ბრძანების თანახმად ქ. სოხუმის შს სამმართველოს პირადი შემადგენლობა, ქ. თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლები და აფხაზეთის სამხედრო პოლიციის ბატალიონი მდინარე გუმისთის ნაპირებისკენ უნდა გასულიყო და შეეჩერებინა სეპარატისტების წინსვლა სოხუმისაკენ. შეუდგნენ საბრძოლო პოზიციების დაკავებას, რასაც მოჰყვა გაძლიერებული საარტილერიო დაბომბვა ნაღმტყორცნებიდან, ჰაუბიცებიდან და სხვა სახის საარტილერიო დანადგარებიდან. მიმდინარეობდა ასევე “უჩხოზის“ ტერიტორიის დაბომბვა.

ოცეულები განლაგდნენ საბრძოლო პოზიციებზე მდინარე გუმისთის მარცხენა სანაპიროზე “უჩხოზთან“ და ჩაებნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სეპარატისტებისა და დაქირავებული ბოევიკების ჭარბ ძალებთან.

ამ უთანასწორო ბრძოლაში პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა ჯამბულ ჯიჭონაიამ. სოხუმის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების

უფროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ.

ჯალაღონია თომა (თოლია)

ღიმილის ბიჭი იყო 20 წლის თოლიკა, ლამაზი ცხოვრებით იცხოვრა და საქართველოს კეთღილდღეობისათვის ბრძოლის ველზე დაეცა გმირულად.

ის არის უკვდავი, რადგან წმინდა საქმეს შეეწირა და მისი სახელი არასოდეს გაქრება ახლობლებისა და მეგობრების გულიდან.

მისი შემართება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით შეაფასა.

თავს ვხრით სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცის წინაშე

უფალმა გაანათოს საქართველოს თავდადებული ვაჟკაცთა სულები.

ჯიბლაძე თენგიზი გიორგის ძე

დაიბადა 1963 წლის 19 მაისს, ქ. სამტრედიის სოფ. ნაფაღაურში.

1971 წლიდან ოჯახი ცხოვრობდა სოხუმი რაიონის სოფ. ბესლეთში. აქვე დაამთავრა 8 წლიანი სკოლა. ეწეოდა სპორტს, კერძოდ ჭიდაობდა ქართულ და თავისუფალ ჭიდაობებს.

სამხედრო მოვალეობა მოიხადა გერმანიაში, იგი დაბრუნდა ქების სიგელით.

ჯიბლაძე თენგიზი როგორც აღნაგობით, ისე ფიზიკურად გამოირჩეოდა ძლიერი. ბავშვობიდანვე შრომისმოყვარე, ამხანაგებისა და მეგობრების მოყვარული. თავი გამოიჩინა, როგორც სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა ვაჟკაცმა. ნაღდი ქართველი, პატრიოტი. სამშობლოს სიყვარულში ეჯიბრებოდა მებრძოლებს და ბოლოს გამოჰქონდა საბოლოო აზრი - “თურმე ერთნაირად გვყვარებია საქართველო“.

და, ამ სიყვარულით 1993 წლის 1 მარტიდან მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში მე-11 ბრიგადის 15 666 სამხედრო ნაწილის სადაზვერვო ოცეულის მეთაურის მოადგილედ.

. . . უკუღმა დატრიალდა ბედის ჩარხი, თითქოს საშინელი ზუზუნით შემოუარა ყველა კარს და ააფორიაქა, ოჯახური კერა ჩაუქრო ულმობელმა სიკვდილმა . . .

1993 წლის 8 სექტემბერს ჯიბლაძე თენგიზი გიორგის ძე დაიღუპა ქ. სოხუმში საბრძოლო მოქმედებების დროს. ვა . . . ეს მას არ უნდოდა. მას სურდა ბოლომდე მიეყვანა საქმე საქართველოს კეთილდღეობისათის.

დაკრძალულია ქარელის რაიონი, სოფ. აბირი.

აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენი ტკივილია, და იქ დაღუპული ბიჭების უმანკო სისხლიც იმაზე მეტყველებს, რომ ნებისმიერი კუთხის შვილისთვის საქართველოა, მართლაც პირსაფიცარი.

საამაყო ვაჟკაცო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენივე წინაპრების მიწა და გწამდეს, რომ ქვეყანა, რომ ასე გიყვარდა, არასდროს დაგივიწყებს, რადგან საქართველოს არ ჰყავს შვილი დასაკარგავი.

ჯამჯულია ვახტანგი



დაიბადა 1952 წელს გალის რაიონის სოფ. ოქუმში. ჯანჯულიების ოჯახი საცხოვრებლად გადავიდნენ ოჩამჩირეში.

ვახტანგ ჯანჯულიამ თავისი ბედი ქ. ტულაში შექმნა, სამშენებლო ინსტიტუტში სწავლობდა, ხოლო ქ-ნი მზიური მომავალ ბიოლოგად ყალიბდებოდა. ისინი ზრდიდნენ სამ ლამაზ ვაჟკაცებს.

ვახტანგ ჯანჯულია მეორე საარმიო კორპუსის ს/ნ 20254 რიგითი, მონაწილეობას იღებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. შიში, შეშფოთება იგრძნობოდა ქ.

ოჩამჩირესა და მის შემოგარენში, როგორც მთელს აფხაზეთში. ფრონტის ხაზი უფრო და უფრო უახლოვდებოდა ქალაქს - სულ უფრო ხშირად და მკვეთრად ისმოდა ჭურვების აფეთქების ხმა, არტრილერიის გრუხუნი.

ვახტანგ ჯანჯულია - იხსენებენ თანამებრძოლები: ცხოვრებას უბრალო, თავმდაბალი, მორიდებული, სამშობლოს მოყვარული დადგა იქ, სადაც თავის ქალაქს ესაჭიროებოდა.. . მისი იარაღი მედიკამენტები და წითელი ჯვრის მანქანა იყო. მიზანი კი . . . დაჭრილების შველა.

ომი . . . თავზარდამცემი, სიკვდილის ცელით, როგორ ამახინჯებს და ანგრევს ყველაფერს თავის გზაზე, მას არ ელოდება, არ ინდობს, არად დაგიდევს, რომ შენი ბედნიერი ცხოვრება ერთ წამში ჯოჯოხეთად იქცევა.

1993 წლის ივლისს სოფ ტამიშში მოწინააღმდეგე მხარეს ზღვის მხრიდან დესანტი გადმოსხეს. მეორე დღეს კი ოჩამჩირის სამხედრო ჰოსპიტალს, სადაც ვახტანგი სანიტრად მსახურობდა, შეტყობინება მიუღია, რომ სასწრაფო დახმარება ესაჭიროება მრავალ დაჭრილ ქართველს. წამითაც არ დაყოვნებულა, მიუხედავად საშიში იყო იმ ტერიტორიაზე გასვლა. მტერმა ამოიღო მიზანში ქართველთა იმედად მოსული მანქანა და რამოდენიმე წამში იგი ალში გაეხვია. იმ იმედის მანქანაში ისხდა ორი ძმადნაფიცი ვახტანგი და ბორისი, ერთნაირი შემართებით გულანთებულნი დაიღუპნენ . . .

ვახტანგ ჯანჯულია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია ვახტანგ გორფასლის 111 ხარისხის ორდენით. დაკრაძალულია ილორში.

ვახტან ჯანჯულია არ მომკვდარა მისი ოჯახისათვის, ქვეყნისათვის, მეგობრებისათვის, რადგანაც მან საუკეთესო შვილები, ლამაზი ოჯახი და სამშობლოს დიდი მაგალითი დატოვა. მისი სახე და საქმეები მის შვილებში ცოცხლობს, რომლებიც ბოლომდე მიიყვანებენ იმ საქმეს, რისთვისაც მათმა მამამ სოცოცხლე გასწირა.

ჯახაია პაატა

დაიბადა 1976 წლის 19 აგვისტოს ქ. გალში.

ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა, და ბედნიერ მომავალს გეგმავდა გალელი ბიჭი, რომელიც უზომოდ შეყვარებული იყო თავის კუთხის, მას ვერ წარმოედგინა სხვაგან ცხოვრება უაფხაზეთოდ. მას დიდი გეგმები ჰქონდა, რათა თავისი მომავალი სამშობლოსათვის მიეძღვნა. იყო ბეჯითი, უშიშარი, სამართლიანი, სხვისი არასდროს არ უნდოდა, მაგრამ თავისას ინარჩუნებდა და უფრთხილდებოდა.

1992 წელს, როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, დიდი სურვილი ჰქონდა ეომა მტრის წინააღმდეგ და ქართველ ბიჭებთან ერთად ყოფილიყო, მაგრამ პატარა წლოვანების გამო არ გააფორმეს. მიუხედავად იმისა, ის მაინც იყო მებრძოლების გვერდით.

გაიზარდა ჯახაია პაატა, აფხაზეთი დაიკარგა, მაგრამ მას თავისი მშობლიური კუთხე გალი არ მიუტოვებია. გალში გრძელდებოდა პარტიზანული ომები, სადაც მონაწილეობას ღებულობდა და მამაცურად იცავდა თავის კუთხეს, ხალხს. ეთრ-ერთ პარტიზანული შეტაკების დროს დაიღუპა.

სიკვდილი მაინც არ ასცდა პაატას, ის იმდენად იყო გამწარებული და განადგურებული, მას ერჩივნა თავის სამშობლოსთვის შეეწირა თავი.

ასე წავიდა ამ ქვეყნიდან ჯახაია პაატა. მისი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს სიყვარული იყო, რის გამოც მას პატრიოტული, სუფთა სიცოცხლე აჩუქა.

დასანანია, რომ ასეთი პიროვნება ცოცხალთა რიგებში აღარ არის და რომ მას ასეთი სიკვდილი ერგო. ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

სიკვდილი - სიცოცხლის გზაგასაყართან კიდევ ერთხელ დებენ ფიცს ქართველი ვაჟკაცები, ერთ მუშტად შეიკრიბებიან, სადაც სამშობლოს ზვარაკად შეწირული ბიჭები ელოდებიან. მსუბუქი ყოფილიყოს ის მიწა, რომლის სიყვარულსაც სიცოცხლე აჩუქე, ქართველო ვაჟკაცო.

ჯიროვი ოდისეი

რიგითი ოდისეო ჯიროვი დაიბადა 1973 წლის 4 აგვისტოს ნოვოსიბირსკის ოლქში.

ეროვნებით ბერძენი.

მსახურობდა ოპერატიულ პოლკში 1992 წლის მაისიდან.

დაიღუპა 1992 წლის 30 აგვისტოს ქ. ოჩამჩირეში.

ჯაჭვლიანი ბადური

დაიბადა 1966 წლის 1 მარტს გულრიფშის რაიონის სოფ. ომარიშარაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. მუშაობდა ქ. სოხუმის რკინიგზის სადგურში სატვირთო ვაგონების მიმღებ-გამცემად

1992 წლის 18 ნოემბერს დაინიშნა 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-2 ბატალიონის 1-ლი ასეულის მეთაურად.

1993 წლის 15 თებერვალს მიენიჭა სამხედრო წოდება “უფროსი ლეიტენანტი“.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერნ ჩატარებულ საბრძოლო ყველა ოპერაციებში.

1993 წლის 27 იანვარს დაჯილდოვებული იყო სახელმწიფო მეთაურის მადლობით, როგორც ბრიგადის მოწინავე, მამაცი მებრძოლი.

იდგა იქ, სადაც საქართველოს ბედი წყდებოდა. უპირველესად, თავის მიწას იცავდა. ის იყო ბრწყინვალე გვარის და ოჯახის შვილი. ნამდვილად რაინდი, ამაყი, სამართლიანი. საოცრად ვერ იტანდა უსამართლობას და ფარისევლობას. იბრძოდა სამართლიანობისათის, პატიოსნებისათის, სამშობლოს სიყვარულისათის.

1993 წლის 16 მარტს აფხაზ-სეპარატისტების მიერ განხორციელებული შემოტევის დროს მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში შეტაკებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან ნასროლი ტყვიებით მკერდის არეში მიღებული გამჭოლი ჭრილობებისგან დაეცა ბრძოლის ველზე სამშობლოს თავდადებული უფროსი ლეიტენანტი ბადურ ჯაჭვლიანი.

ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, ვაჟკაცობისა და გაბედული მოქმედებებისათვის დაჯილდოვებულია მედლით “მხედრული მამაცობისათვის“.

ორი ობოლი დაუტოვა ქ-ნ ნინო გრიგოლიას, რომელმაც პატიოსნად და კეთილსინდისიერად გაუზარდა მომავალ გაერთიენებულ საქართველოს!

დაკრძალულია გულრიფშის რაიონის სოფ. ომარიშარაში.

უფროსი ლეიტენანტი თავისი სულითა და ბედისწერით, უდროოდ შეწყვეტილი ლამაზი სიცოცხლეა. ისტორია თავისას იზამს, შემოუნახავს შთამომავლობას, რომ ოდესღაც ქაკლაქ სოხუმის ქუჩებში ამაყად დააბიჯებდა ბადურ ჯაჭვლიანი, რომლის სახელითაც და ცხოვრებიდან იამაყებენ მისი შვილები, შვილიშვილები და თაობები . . .

ჯალაღონია თამაზი დათიკოს ძე

დაიბადა 1946 წლის 5 იანვარს, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალ კინდღში.

თამაზ ჯალაღონია მსახურობდა მეორე კორპუსის ცალკეული სატანკო ბატალიონის მესამე სატანკო ოცეულის უფროს მექანიკოს-მძღოლად 1993 წლის 1 თებერვლიდან.

მონაწილეობა აქვს მიღებული ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში საფ. ლაბრის, შრომა-კამანის, გუმისთის მიმართულებებით.

1993 წლის 11 ივნისს სოფ. შრომის მისადგომებთან წარმოებულ ოპერაციებში სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი თავის არეში.

დასაფლავებულია სოფ. კინდღის სასაფლაოზე.

ჯელაძე მამუკა

დაიბადა 1971 წლის 11ბ თებერვალს ქ. სოხუმში.
ბედნიერად ცხოვრობდა და უძღვებოდა ოჯახს თავის ლამაზ ქალაქში.
1992 წელი 14 აგვისტო...ბედის ბორბალი უკუღმად დატრიალდა.
1992 წლის პირველ ნოემბერს ჩარიცხული იყო მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-2 მოტომსროლელ ბატალიონში. მიღებული აქვსმონაწილეობა ბატალიონის მიერ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მდინარე გუმისთის მისადგომებთან.
1993 წლის 24 აპრილს, სეპარატისტების მიერ განხორციელებული საარტილერიო-სანაღმსატყორცნო ცეცხლდაშენის დროს, ერთ-ერთი ჭურვის აფეთქების შედეგად, ჭურვის ნამსხვრევებით მიიღო სასიკვდილო ჭრილობები თავის არეში.

ერთი უწყინარი ბიჭი
დადიოდა ოდიშში,
მშვიდად რაღაცას ფიქრობდა
უკვდავების ლოდინში.
რა ვიცოდი, გულში ჩუმად
სამშობლოს მზეს ჰყვაროზდა,
სხივოსანი სახე ჰქონდა,
მშვიდი არსად ჩქაროზდა . . .
და სამშობლოს დაძახილზე
უყოყმანოდნ წავიდა,
იდგა მცველად გუმუსთასთან
და აპრილი ჰყვაოდა . . .
შეეწირა საქართველოს,
დარჩა ფიქრში ოდიში . . .
იყო ბიჭი უწყინარი

უკვდავების ლოდინში!
ნ. აბულაძე - ციკოლია

ჯანჯღავა ზურაბ

ღირსების სხივი შეჰმატეს
მამა-პაპათა საფლავებს,
წმინდა სანთელი დავუნთოდ,
მადლობა ვუთხრათ ვაჟკაცებს.

დაიბადა 1977 წლის 24 იანვარს ქ. სოხუმში. ქ. სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა.16 წლის ზურაბი სამშობლოს სიყვარულით გალანთებული სოხუმელი ვაჟკაცი საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ჩადგა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის მებრძოლთა რიგებში.
ზურაბ ჯანჯღავა მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზირებული ბრიგადის პირველი ბატალიონის პირველი საცეცხლე ოცეულის მძღოლ-მექანიკოსად 1992 წლიდან, ხოლო 1993 წლის 3 მარტიდან 1993 წლის 23 სექტემბრამდე 239-ე საზენიტო საარტილერიო დივიზიონის მე-3 საზენიტო ბატარეის პირველი ოცეულის მესამე ათეულის მძღოლ-მექანიკოსად.
აფხაზეთის ომის პერიოდის განმავლობაში ზურაბი უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული პირველი ბატალიონისა და 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მიერ წარმოებულ ყველა ძირითად საბრძოლო ოპერაციებში. საბრძოლო დავალებების შესრულების პერიოდში, მიუხედავად თავის ახალგაზრდული ასაკისა, გამოირჩეოდა განსაკუთრებული მამაცობითა და მასზე მიმაგრებული სამხედრო ტექნიკისა და იარაღის პროფესიული ფლობით.
1993 წლის 25 სექტემბერს ზურაბ ჯანჯღავა მისთვის ჩვეული სიმამაცით ჩაება ბრძოლაში ახალი რაიონიდან ძველი რაიონისკენ გადასასვლელი გზის მიმდინარე ტერიტორიაზე. იერიში მიიტანა მტრის განლაგების სიღრმეში და სამწუხაროდ იქ დარჩა. დღემდე ის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.
ზურაბის უდროოდ წასვლა ამ საწუთროდან მოუშუშებელ ტკივილად დარჩა მის ოჯახში, მის მეგობრებში, მის ახლობლებში.
მუდამჟამს იყოს შენი ხსენება, უსაფლაოდ დარჩენილო ვაჟკაცო! შენი საფლავი აფხაზეთია, შენი

სახელი უკვდავია...
16 წლის ზურაბ ჯანჯღავამ ვერ მოესწრო ოჯახის შექმნა, მაგრამ ამ ასაკში მან დატოვა გმირული სახელი.



18 წლის გმირს- ზურაბ ჯანჯღავა

შენ გარბოდი ბძოლის ველზე,
თითქოს ომთან თამაშობდი,
ჯერაც ბავშვი, თექვსმეტი წლის,
წინაპართა გზნებით თრთოდი.
ბობოქრობდა ბოროტება,
წვიმდა ტყვია, როგორც დელგმა,
შენ გარბოდი სამშობლოსთვის,
შენი გული მეხს ებრძოდა.
იმ სექტემბრის ოცდაერთში
შეგიწირა ბნელმა ტყვიამ,
დაკარგულო სამშობლოსთვის
ამაოდ არ გიბრძოლია.
დაგეძებდა მამა დიდხანს,
მისი გული შენთვის ძრწოდა,
გძებნა დიდხანს, ვერ გიპოვა,
შენს კვალს დიდხანს დაეძებდა.
ბიჭო ზურა, ახლა სად ხარ?
სად გეძებოთ, საით გაქრი?
გეძებს მამა, ისევ გეძებს...
არ ჩანს მთქმელი შენი ამბის !

ნუცა აბულაძე- ციკოლია

jobava luxumi vaJas Ze

daibada galis raionis sof. reCxSi1961 wlis 27 maiss. 1978 wels daaTavra sof. reCxis saSualo skola. amave wels swavlobda avtoskolaSi, romlis damTavrebis Semdeg gaiwvies savaldebulo samxedro samsaxurSi.

1981 wels samxedro samsaxuris damTavrebis Semdeg muSaobda gagris avtokolonaSi mZRolad.

1992 wlis 18 agvistos Cairicxa gagris batalionSi rigiT mebrZolad saqarTvelos respublikis Tavdacvis ministris brZanebiT. monawileobda yvela sabrZolo operaciebSi.

jobava luxumi darwmunebuli iyo samarTlianobis sabolood gamarjvebaSi. gamoirCeoda, rogorc keTilSobilobiT, patiosnebiTa da didi vaJkacobiT.

meTauris brZanebasa da davalebas asrulebda pirnaTlad da patiosnad, Tavis droze.

1992 wlis 2 oqtombers mowinaaRmdegis mier gagraze Semotevis dros gmirulad daeca, kerZod imyofeboda samxedro_sabrZolo manqana (bmp)_Si, romelic afeTqebul iqna mowinaaRmdegis mier.

ჯავახიშვილი გიორგი ოთარის ძე

დაიბადა 1973 წლის 20 დეკემბერს ქ. თბილისში.დაამთავრა თბილისის მე-4 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ნოდარ დუმბაძის სახელობის იურიდიულ ფაკულტეტზე. მას არ დასცალდა ინსტიტუტის დამთავრება , რადგან 1992 წელს საქართველოში მოხდა არეულობა....აფხაზეთის ომი.....

"მაპატიე დედი!---ასე წერს გიორგი ჯავახიშვილი ერთ-ერთ წერილში.მე იქ ვპოულობ შვებას...მე მირჩევნია იქ ორი დღე ტალახში ვიყო, ვიდრე თბილისში ვიგულაო ....იქ მირჩევნია ყოფნა, სადაც ჩემი მებობრები შიმშილობენ და ცივათ...სიკვდილის გვეშინია, მაგრამ იქ უნდა ვიყოთ...ასე საჭირო დღეს... მოვა დრო და დედიკოს კალთებს ამოფარებულებს მოვიკითხავთ, თანაც მწარედ მოვიკითხავთ...მაპატიე დედი!".

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 22 სექტემბერს, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ტრაგიკულად დაიღუპა ავიაკატასტროფის დროს ბაბუშერას აეროპორტში.

1997 წლის 9 მაისს მოხერხდა გიორგი ჯავახიშვილის გადმოსვენება თბილისში. დაკრძალულია დიღმის ძმათა სასაფლაოზე.

გიორგი ჯავახიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მე-3 ხრისხის ორდენით.